აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

ქართველური მემკვიდრეობა

XXX

ქუთაისი
2026
Kutaisi

81.2 ბრ
809.463.1-800.87
ქ 279

ჟურნალი ინდექსირებულია ERIH PLUS-ის სამეცნიერო მონაცემთა ბაზაში:
https://kanalregister.hkdir.no/publiseringskanaler/erihplus/periodical/info.action?id=502345

მხარდამჭერი:
ტარიელ ფუტკარაძის ქართველოლოგიის საერთაშორისო საზოგადოება

„ქართველური მემკვიდრეობის" XXX ტომში იბეჭდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმზე („ქუთაისური საუბრები - XIX") წაკითხული მოხსენებები და რეცენზირებული ქართველოლოგიური (ენათმეცნიერული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ფოლკლორული, ისტორიოგრაფიული, ეთნოლოგიური, კულტუროლოგიური...) გამოკვლევები.

სარედაქციო საბჭო:

ინგა აბრამიძე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **ნათია ამირიძე** (ინგლისური ტექსტის რედაქტორი), **ნომადი ბართაია** (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **ლევან ბებურიშვილი** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **მერაბ ბერიძე** (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **თეიმურაზ გვანცელაძე** (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **როზეტა გუჯეჯიანი** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **ეკა დადიანი** (მთავარი რედაქტორი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **ლუკა დვალიშვილი** (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **სერგო ვარდოსანიძე** (თბილისის სასულიერო აკადემია), **როლანდ თოფჩიშვილი** (თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი), **ქევინ თუითი** (მონრეალის უნივერსიტეტი, კანადა), **მერაბ კეზევაძე** (ქუთაისის ცენტრალური არქივი), **იასუჰირო კოჯიმა** (ტოკიოს უცხო ენათა უნივერსიტეტი. იაპონია), **სულხან კუპრაშვილი** (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **მიხეილ ლაბაძე** (წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი), **ალექსანდრე მღებრიშვილი** (გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი), **მერაბ ნაჭყებია** (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **ავთანდილ ნიკოლეიშვილი** (პასუხისმგებელი რედაქტორი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **მაკა სალია** (დუბჯეს უნივერსიტეტი, თურქეთი), **რუსუდან საღინაძე** (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **გიორგი სოსიაშვილი** (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **მანანა ტაბიძე** (წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი), **ვიტორიო სარინგფილდ ტომელერი** (ტურინის უნივერსიტეტი, იტალია), **ნათია ფუტკარაძე** (რედაქტორი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **ნინო ფხაკაძე** (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **ფევზი ჩელები** (დუბჯეს უნივერსიტეტი, თურქეთი), **ნატო წულეისკირი** (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **რევაზ ჭანტურია** (მალმოს უნივერსიტეტი, შვედეთი), **რამაზ ხაჭაპურიძე** (სწავლული მდივანი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **ბეჭან ხორავა** (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **გიორგი ხორბალაძე** (გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი), **გია ხოფერია** (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **მარიკა ჯიქია** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

რედაქციის მისამართი: 4600, ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა, 59.
აწსუ ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.
ელფოსტა: **kartvelology@atsu.edu.ge**
ჟურნალის ელვერსია იხ.: **http://ejournals.atsu.ge/Kartvelology/**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2026

The journal is indexed in the ERIH PLUS academic database:
https://kanalregister.hkdir.no/publiseringskanaler/erihplus/periodical/info.action?id=502345

Supportive:
TARIEL PUTKARADZE INTERNATIONAL SOCIETY OF KARTVELOLOGY

Volume XXX of "Kartveluri Memkvidreoba" ("Kartvelian Heritage") presents the papers from the XIX Kutaisi Discussions Symposium, hosted by the Scientific-Research Center of Kartvelology named after Professor Tariel Putkaradze at Akaki Tsereteli State University (ATSU). The volume includes peer-reviewed research papers in Kartvelology (linguistics, literary studies, folklore, historiography, ethnology and culture studies.

EDITORIAL BOARD:
Inga Abramidze (Akaki Tsereteli State University), **Natia Amiridze** (Editor of English texts), **Nomadi Bartaia** (Akaki Tsereteli State University), **Levan Beburishvili** (Ivane Javakhishvili Tbilisi State University), **Merab Beridze** (Samtskhe-Javakheti State University), **Revaz Chanturia** (Malmö University, Sweden), **Fevzi Çelebi (Düzce University, Turkey), Rozeta Gujejiani** (Ivane Javakhishvili Tbilisi State University), **Teimuraz Gvantseladze** (Sokhumi State University), **Eka Dadiani** (Editor-in-chief, Akaki Tsereteli State University), **Luka Dvalishvili** (Akaki Tsereteli State University), **Marika Jikia** (Ivane Javakhishvili Tbilisi State University), **Merab Kezevadze** (Kutaisi Central Archive), **Ramaz Khachapuridze** (scientific secretary - Akaki Tsereteli State University), **Bejan Khorava** (Sokhumi State University), **Giorgi Khorbaladze** (Gori State Teaching University), **Gia Khoperia** (Akaki Tsereteli State University), **Yasuhiro Kojima** (Tokyo University of Foreign Studies. Japan), **Sulkhan Kuprashvili** (Akaki Tsereteli State University), **Mikheil Labadze** (St. Andrew the First Called Georgian University), **Aleksandre Mgebrishvili** (Gori State Teaching University), **Merab Nachkebia** (Sokhumi State University), **Avtandil Nikoleishvili** (managing editor - Akaki Tsereteli State University), **Nino Pkhakadze** (Akaki Tsereteli State University), **Natia Putkaradze** (Editor - Ivane Javakhishvili Tbilisi State University), **Rusudan Saginadze** (Akaki Tsereteli State University), **Maka Salia** (Düzce University, Turkey), **Giorgi Sosiashvili** (Gori State University), **Manana Tabidze** (St. Andrew the First Called Georgian University), **Vittorio Springfield Tomelleri** (University of Torino, Italy), **Roland Topchishvili** (Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology), **Nato Tsuleiskiri** (Akaki Tsereteli State University), **Kevin Tuite** (University of Montreal, Canada), **Sergo Vardosanidze** (Tbilisi Theological Academy).

Address of the Editorial Office: 59, Tamar Mepe str., Kutaisi.

Kutaisi State University Press, 2026.

შინაარსი – CONTENTS

ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“ 30 წლისაა 7
The 30th Anniversary of the Journal *Kartvelian Heritage* 9

ფატი აბაშიძე – სამკურნალო შელოცვები ტაო-კლარჯეთის ფოლკლორში
Pati Abashidze – Healing Incantations in the Folklore of Tao-Klarjeti 11

ფერიდე აფაქიძე – ანაკლიელი ლაზები
Peride Apakidze – The Laz of Anaklia 20

ციალა ბენდელიანი – მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენები ქართული ენის შიდა და სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში
Tsiala Bendeliani – Morphological and Syntactic Phenomena in Inner and South-Western Dialects of the Georgian Language 28

გოდერძი ბოლქვაძე – თურქული მაწყვერელ მღვდელმთავართა ქრონოლოგიური ნუსხა
Goderdzi Bolkvadze – Chronological List of the Bishops of Atskuri 41

კესო გეჯუა – დიალექტური ლექსიკისათვის მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების მეტყველებაში - I
Keso Gejua – On Dialectal Vocabulary in the Speech of the Descendants of Muhajir Georgians – I 62

თეა გიგიტაშვილი – აფხაზური ენის ფუნქციონირების საკითხები თურქეთისა და საქართველოს აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლებში
Tea Gigitashvili – The Functioning of the Abkhazian Language among the Descendants of Abkhaz Muhajirs in Turkey and Georgia 71

თამარ გოგოლაძე – ჯადოსნური საგნები, ფრინველები და ცხოველები ქართულ-თურქული ზღაპრების მაგალითზე
Tamar Gogoladze – Magical Objects, Birds, and Animals in Georgian-Turkish Folktales 83

ქეთევან გოდერძიშვილი – საქართველოს ძნელბედობა, ტოპონიმებთან შეზავებული
Ketevan Goderdzishvili – Georgia’s Historical Hardships as Reflected in Toponyms..... 89

ნატალია გულუა – იდენტობის საკითხი ქართულ და თურქულ პოსტმოდერნისტულ რომანებში (აკა მორჩილაძის „შენი თავგადასავალი“ და ელიფ შაფაქის „სტამბოლელი ნაბიჭვარი“)
Natalia Gulua – Identity in Georgian and Turkish Postmodernist Novels: Aka Morchiladze’s *Your Adventure* and Elif Shafak’s *The Bastard of Istanbul* 107

თენგიზ გუმბერიძე – თურქული რეალიები იონა გედევანიშვილის სამოგზაურო ჟანრის წიგნში „მიმოსულა“
Tengiz Gumberidze – Turkish Realities in Iona Gedevanishvili's Travel Narrative Mimosula (A Journey)..... 121

ეკა დადიანი– ფრაზეოლოგიური ერთეულები ტაოურ დიალექტში
Eka Dadiani – Phraseological Units in the Tao Dialect 130

მარიკა თედორაძე– *წინ / უკან* თანდებული-მორფემოიდები თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში (ტაოური მასალის მიხედვით)
Marika Tedoradze – Postpositional Forms/Morphemoids *tsin* and *ukan* in the Speech of the Georgian Diaspora in Turkey (Based on Tao Dialect Material) 139

ზეინაბ კიკვიძე – თურქეთში გამომავალი ჟურნალი „მამული“
Zeinab Kikvidze – The Journal *Mamuli* Published in Turkey 149

ნესტან ქუტივაძე– დიმიტრი შალიკაშვილის „საქართველოს წარმომადგენლობა თურქეთში 1921 წელს“, როგორც მემუარული ჟანრის ტექსტი
Nestan Kutivadze – Dimitri Shalikashvili's "The Diplomatic Representation of Georgia in Turkey in 1921": A Text of the Memoir Genre 160

თამარ ნინიძე – ზოგიერთი ზმნური ფორმის სემანტიკისათვის კლარჯულში
Tamar Ninidze – The Semantics of Certain Verbal Forms in the Klarjetian Dialect 175

ნიკოლოზ ოთინაშვილი– დიდი ლიახვის ხეობის ანთროპონიმები მე-18 საუკუნის ქართული და თურქული აღწერების მიხედვით
Nikoloz Otinashvili – Anthroponyms of the Greater Liakhvi Valley Based on 18th-Century Georgian and Turkish Census Records 183

მედეა რიჟვაძე – თურქიზმები სოფელ ღორჯომის მეტყველებაში
Medea Rijvadze – Turkisms in the Speech of the Village of Ghorjomi 191

ირმა რუსაძე – მუჰაჯირი ფრაზეოლოგიური ერთეულები ემოციური კომპონენტებით ინგლისურ, თურქულ და ქართულ ენებში (შედარებითი ანალიზი)
Irma Rusadze – Phraseological Units with Emotional Components in English, Turkish, and Georgian (Comparative Analysis) 204

რუსუდან საღინაძე – რთული ფუძის ზმნები თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში
Rusudan Saginadze – Complex-Stem Verbs in the Speech of Georgians in Turkey 213

სოსლან სურმანიძე – ლევან გელაძის პოემა „გუნეშ“
Soslan Surmanidze – Levan Geladze's Poem *Gunesh* 223

ჟუჟუნა ფეიქრიშვილი – სიტყვა *ქოქის* სემანტიკისათვის ქართულში
Zhuzhuna Peikrishvili – The Semantics of the Word "Koki" in Georgian 234

შორენა ფხაკაძე – ყარსიდან პარიზამდე: მიხეილ ბილანიშვილის ცხოვრება და შემოქმედებითი გზა
Shorena Pkhakadze – From Kars to Paris: The Life and Creative Path of Mikheil Bilanishvili 243

გიგა ქამუშაძე, მირანდა ჭანკვეტაძე – იმერხევის ქართული წარმოშობის მოსახლეობის მეტყველების ზოგი თავისებურება (კოდების გადართვა)
Giga Kamushadze, Miranda Tchankvetadze – Some Features of the Speech of the Georgian-origin Population of Imerkhevi (Code-Switching) 250

კახაბერ ქებულაძე – ქართულ-თურქული ურთიერთობების საკითხები კიტა აბაშიძის პუბლიცისტურ ნააზრევში
Kakhaber Kebuladze – Issues of Georgian-Turkish Relations in the Publicistic Writings of Kita Abashidze 257

იოსებ შენგელია, ნანა აბულაძე – ზოგი საქორწინო ტრადიციისათვის მეგრულ-ლაზურში (ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)
Ioseb Shengelia, Nana Abuladze – On Certain Wedding Traditions in Megrelian–Laz (Based on Folklore and Ethnographic Materials) 264

მზისადარ ჭაფანძე – ლაზური აივანი დადიანების სასახლეში
Mzisadar Chapandze – The Laz-Style Balcony of the Dadiani Palace 274

მაგდა ჭიქაბერიძე, მანანა ხვინგია – ზოგიერთი თურქული ნასესხობა ქართულ სალიტერატურო ენასა და მეგრულში
Magda Chikaberidze, Manana Chvingia – Selected Turkish Loanwords in the Georgian Literary Language and in Megrelian 285

მანანა ჭიჭინაძე – ორჰან ფამუქის მხატვრული პროზის რეცეფცია ქართულ ლიტერატურულ სივრცეში
Manana Chichinadze – The Reception of Orhan Pamuk's Fiction in the Georgian Literary Context 292

სოფიკო ჭუმბურიძე – ბილალ დინდარი (მიქელაძე) – „ვეფხისტყაოსნის" თურქულ ენაზე მთარგმნელი
Sofiko Chumburidze – Bilal Dindar (Mikeladze): Translator of Rustaveli's *The Knight in the Panther's Skin* into Turkish 311

ლუიზა ხაჭაპურიძე – ქართულ-თურქული ენობრივი კონტაქტები და ლექსიკური ინტერფერენცია აჭარულ შელოცვებში (საველე ექსპედიციის მასალების ანალიზი)
Luiza Khachapuridze – Georgian–Turkish Linguistic Contacts and Lexical Interference in Adjarian Incantations (Analysis of Fieldwork Materials) 317

ავტორთა მონაცემები / CONTRIBUTORS 325

ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა" 30 წლისაა!

„**ქართველური მემკვიდრეობა**" ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული პროფ. ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ყოველწლიური რეფერირებადი (რეცენზირებული) სამეცნიერო ჟურნალია (გამოიცემა ბეჭდური და ელექტრონული ფორმით).

ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიზანია ქართველური დიალექტების, ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის, აგრეთვე საქართველოში მცხოვრები არაქართველური ეთნიკური ჯგუფების მეტყველების, წეს-ჩვეულებებისა თუ ფოლკლორის თავისებურებათა შესწავლა; დეტალური, მრავალფეროვანი და სანდო მასალის მოპოვება, მათი მეცნიერული დამუშავება, კვლევის შედეგების გამოცემა; სხვადასხვა ქვეყანაში ემიგრაციაში მყოფ ქართველთა ღვაწლის მეცნიერული შესწავლა და წარმოჩენა სხვადასხვა მიმართულებით (ლიტერატურა, ხელოვნება, კულტურა, განათლება, მეცნიერება, პოლიტიკა...).

ქართველოლოგიის ცენტრი 1996 წლიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აწყობს **სამეცნიერო (დიალექტოლოგიურ, ეთნოგრაფიულ) ექსპედიციებს,** რომელთა მიზანია ენათმეცნიერული, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალის ჩაწერა-ფიქსაცია და კვლევა. 1993-2005 წლებში ექსპედიციები განხორციელდა საქართველოს სხვადასხვა მხარეში (სამეგრელო, სვანეთი, იმერეთი, აჭარა, სამცხე, რაჭა). 2006 წლიდან ცენტრი ექსპედიციებს აწყობს თურქეთის სახელმწიფოში არსებულ ისტორიულ ქართულ კუთხეებში (იმერხევი, ტაო, მაჭახელი, ლივანა...). აღნიშნული ექსპედიციები მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიულ მხარეებში დავიწყება-დაკარგვისა და ნიველირების საფრთხის წინაშე მყოფი ქართველური ენობრივ-კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის თვალსაზრისით. ქართველოლოგიის ცენტრში დაცულია უნიკალური დიალექტური ტექსტები (აუდიომასალა), რომელიც ჩაწერილა 1993-2025 წლებში.

ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი რეგულარულად ატარებს **ქართველოლოგთა სიმპოზიუმს "ქუთაისური საუბრები".** 1994 წლის 13-14 მაისს გაიმართა პირველი სამეცნიერო სემინარი – ქუთაისური საუბრები – I. დღემდე ჩატარდა 19 სიმპოზიუმი. ქუთაისური საუბრები – XIX გაიმართა 2025 წლის 13-14 ივნისს.

კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები იბეჭდება ჟურნალ „ქართველურ მემკვიდრეობაში". ჟურნალში ქვეყნდება ქართველოლოგიური გამოკვლევები, აგრეთვე ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომელთა მიერ მოპოვებული დიალექტური ტექსტები.

ჟურნალის მისიაა, გააშუქოს ქართველოლოგიის აქტუალური საკითხები, წარმოაჩინოს და ფართო საზოგადოებას გააცნოს სამეცნიერო მიღწევები, ითანამშრომლოს მაღალი დონის ადგილობრივ და უცხოელ

სპეციალისტებთან, ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მკვლევართა ჩართულობას სამეცნიერო საქმიანობაში, უზრუნველყოს კვლევის შედეგების საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესში მაქსიმალური ინტეგრაცია და ინტერნაციონალიზაცია, რაც ღირსეულად წარმოაჩენს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით პოტენციალს.

ჟურნალ „ქართველური მემკვიდრეობის" მიზანია იყოს რეიტინგული (საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი) სამეცნიერო გამოცემა, რომელშიც გამოქვეყნდება მაღალკვალიფიციური ქართველოლოგიური ნაშრომები, რომლებიც უპასუხებს ქართველოლოგიიის თანამედროვე გამოწვევებს.

ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა 1996 წელს (რედაქტორი **ტარიელ ფუტკარაძე)**. დღემდე გამოცემულია **30** ნომერი. ჟურნალში განთავსებულ ნაშრომებს თან ერთვის უცხოენოვანი (ინგლისური, რუსული) აბსტრაქტები. ჟურნალის სამეცნიერო საბჭოს წევრები არიან ცნობილი ქართველოლოგები.

„ქართველური მემკვიდრეობის” **XXX ნომერში** ქვეყნდება ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმზე („ქუთაისური საუბრები – XIX – „ქართულ-თურქული ურთიერთობები: ისტორია, ენა, ლიტერატურა, კულტურა“) წაკითხული მოხსენებები.

წარმოდგენილ ნომერში იბეჭდება ჰუმანიტარული პროფილის ნაშრომები, რომლებიც შეეხება მრავალფეროვან თემატიკას (ენათმეცნიერული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ფოლკლორული, ისტორიოგრაფიული, ეთნოლოგიური, კულტუროლოგიური...).

ინტერნეტსივრცეში განთავსებულია ჟურნალში დაბეჭდილი ნაშრომების როგორც ქართული, ისე ინგლისურენოვანი (აბსტრაქტის სახით) ვერსიები. ყველა ნომრის ელვერსია გაციფრებული სახით წარმოდგენილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე (https://journals.atsu.edu.ge/index.php/Kartvelology; https://ejournals.atsu.ge/Kartvelology/index.php).

ჟურნალი ინდექსირებულია **ERIH PLUS**-ის სამეცნიერო მონაცემთა ბაზაში: https://kanalregister.hkdir.no/publiseringskanaler/erihplus/periodical/info.action?id=502345.

დიდია ჟურნალის მნიშვნელობა არა მხოლოდ ქართველოლოგიის ცენტრის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოჩენისა და ფართო სამეცნიერო საზოგადოებისათვის მისი გაცნობის კუთხით, არამედ ქართველოლოგიის სფეროს განვითარებისათვის. ჟურნალში გამოჩენილ და ღვაწლმოსილ მეცნიერთა კვლევების გვერდით იბეჭდება ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომები, რაც აუცილებელი ფაქტორია მეცნიერების წინსვლისა და განვითარებისათვის.

ჟურნალის 30-წლიანი გამოცდილება და შთამბეჭდავი შედეგები მომავალი წარმატებების საწინდარია!

THE 30TH ANNIVERSARY OF THE JOURNAL *KARTVELIAN HERITAGE*

Kartvelian Heritage is an annual peer-reviewed scholarly journal published by the Tariel Putkaradze Kartvelology Scientific-Research Center at the Faculty of Humanities of Akaki Tsereteli State University in Kutaisi. The journal appears in both print and electronic editions.

The Kartvelology Research Center is dedicated to the study of Kartvelian dialects, oral tradition, and ethnography, as well as the speech, customs, and folklore of non-Kartvelian ethnic groups residing in Georgia. The Center also collects detailed, diverse, and reliable materials, conducts their scholarly analysis, and publishes research findings. Another important objective is the study and presentation of the contributions of Georgians living in the diaspora in fields such as literature, art, culture, education, science, and politics.

Since 1996, The Center of Kartvelology has organized scholarly (dialectological and ethnographic) expeditions in various regions of Georgia, aimed at recording, documenting, and studying linguistic, folkloric, and ethnographic materials. Between 1993 and 2005, fieldwork was carried out across various parts of Georgia, including Samegrelo, Svaneti, Imereti, Adjara, Samtskhe, and Racha. Since 2006, the Center has extended its research activities to historical Georgian regions within the territory of the Republic of Turkey (Imerkhevi, Tao, Machakheli, Livana, etc.). These expeditions are particularly important for the preservation of Kartvelian linguistic and cultural heritage that faces the threat of loss, disappearance or assimilation in Georgia's historical regions. The Kartvelology Center preserves a unique archive of dialectal texts (audio recordings) collected between 1993 and 2025.

The Kartvelology Research Center regularly organizes the Kartvelological symposium *Kutaisi Discussions*. The first scholarly seminar—*Kutaisi Discussions I*—was held on May 13-14, 1994. To date, 19 Symposia have been held. The most recent, *Kutaisi Discussions XIX*, took place on June 13-14, 2025.

The papers presented at the conference are published in the journal *Kartvelian Heritage*. The journal features Kartvelological research, as well as dialectal texts collected by the staff of the Kartvelology Research Center.

The mission of the journal is to address current issues in Kartvelology, to present and make scientific achievements accessible to a wider audience, to collaborate with leading local and international specialists, and to promote the active involvement of early-career researchers in scholarly activity. It also seeks to ensure the effective integration and internationalization of research results within the university teaching process, thereby highlighting the research potential of Akaki Tsereteli State University.

The journal *Kartvelian Heritage* aims to become a highly ranked scholarly publication that meets international standards and publishes high-quality Kartvelological research addressing contemporary challenges in the field.

The first issue of the journal was published in 1996 under the editorship of Prof. Tariel Putkaradze**.** To date, 30 issues have been released. The articles are accompanied by abstracts in English and Russian. The journal's editorial board is composed of prominent Kartvelologists.

The 30th issue of *Kartvelian Heritage* (*Kartveluri Memkvidreoba*) includes papers presented at the symposium (*Kutaisi Discussions XIX: "Georgian–Turkish Relations: History, Language, Literature, Culture")* organized by the Kartvelology Research Center.

The present issue includes humanities-oriented studies covering a wide range of topics, including linguistics, literary studies, folklore, historiography, ethnology, and cultural studies.

Both Georgian and English versions (in the form of abstracts) of the articles published in the journal are available online. The electronic versions of all issues are digitized and accessible on the website of Akaki Tsereteli State University (https://journals.atsu.edu.ge/index.php/Kartvelology; https://ejournals.atsu.ge/Kartvelology/index.php).

The journal is indexed in the **ERIH PLUS** database: https://kanalregister.hkdir.no/publiseringskanaler/erihplus/periodical/info.action?id=502345

The journal is of great importance not only for presenting the research activities of the Kartvelology Research Center and Akaki Tsereteli State University to the wider scholarly community, but also for the development of the field of Kartvelology. Alongside the studies of distinguished and accomplished scholars, the journal also publishes the work of young researchers, which is an essential factor in the advancement of scholarship.

The journal's 30-year experience and impressive achievements are a strong foundation for its future success.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.01

სამკურნალო შელოცვები ტაო-კლარჯეთის ფოლკლორში

HEALING INCANTATIONS IN THE FOLKLORE OF TAO-KLARJETI

ფატი აბაშიძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
ბათუმი, საქართველო

Pati Abashidze
Shota Rustaveli State University
Niko Berdzenishvili Institute
Batumi, Georgia

აბსტრაქტი

ქართული ხალხური სიტყვიერების ერთ-ერთი არქაული ჟანრი – შელოცვა ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაშია ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების მეხსიერებაში. მათ მეხსიერებაში კარგად არის შემონახული ქართული მაგიური პოეზიის ეს საინტერესო უბანი. ისტორიულ ტაო-კლარჯეთში გავრცელებული შელოცვები საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებულ შელოცვათა ღირებული ვარიანტებია და განსაკუთრებულ სიახლოვეს ავლენს აჭარულ ნიმუშებთან. სიტყვის მაგიური ძალის რწმენაზე დაფუძნებულ ამ პოპულარულ ჟანრს ადგილობრივები ხშირად „დუას“ უწოდებენ, რაც თურქულად „ლოცვას“ ნიშნავს. ქართულ ფოლკლორულ სინამდვილეშიც ტერმინი „შელოცვა“ ხშირად ენაცვლება სიტყვას „ლოცვა“. ჩვენი წინაპრები მიიჩნევდნენ, რომ საგნებსა და მოვლენებს შორის არსებობდა ზებუნებრივი კავშირი. მათი რწმენით, ნებისმიერი საგანი ან მოვლენა შეიძლებოდა როგორც სიკეთის, ისე ბოროტების წყაროდ ქცეულიყო; ამიტომ აუცილებელი იყო მათზე გარკვეული ზემოქმედება. ბუნების უხილავი ძალების დასამორჩილებლად სიტყვიერ ფორმულებს თან ერთოდა სხვადასხვა საწესო მოქმედებაც და თანდათან ჩამოყალიბდა შელოცვა, რომელიც ადასტურებს კაცობრიობის უძველეს სურვილს – დაეძლია ყველა დაბრკოლება და მიეღწია დასახული მიზნისთვის.

ჩვენს წინაპრებს ყოველი დაავადებისთვის საკუთარი შელოცვა შეუქმნიათ, რადგან სჯეროდათ, რომ მაგიურ სიტყვებს სამკურნალო ძალა ჰქონდათ. ტაო-კლარჯეთის მოსახლეობაში ფართოდ იყო

გავრცელებული თვალისცემის (გათვალვის), შეშინებულის, მუცლის ტკივილის, თიის ანუ თიაქრის, ჭიის, თავის ტკივილის, სირსვილის, მეჭეჭის, ნაღრძობის, თვალის ტკივილის, „ავი ქარების“ და სხვა სახის სამკურნალო შელოცვები, რომლებიც განკუთვნილი იყო როგორც ადამიანებისთვის, ისე შინაური ცხოველებისა და ფრინველებისთვისაც.

ისტორიული ტაო-კლარჯეთის სოფლებში მცხოვრებ ქართველთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაში შემონახული შელოცვების შესწავლა ცხადყოფს, რომ ეს ფოლკლორული ფენომენი ორგანულად უკავშირდება ზოგადქართველურ ზეპირსიტყვიერებას.

საკვანძო სიტყვები: ქართული ფოლკლორი, ტაო-კლარჯეთი, შელოცვა, მაგიური პოეზია.

ABSTRACT

One of the archaic genres of Georgian folk oral tradition — the incantation (shelotsva) — remained in active folkloric use until relatively recently within the collective memory of Georgian communities residing in historical Tao-Klarjeti. This remarkable layer of Georgian magical poetry remains well preserved in their cultural consciousness. The incantations widespread in historical Tao-Klarjeti constitute valuable variants of those known throughout other regions of Georgia and display notable affinity with Adjara corpus. Rooted in the belief in the magical power of the spoken word, this popular genre is frequently referred to by locals as dua, a Turkish term meaning “prayer.” In Georgian folkloric usage as well, the term *shelotsva* (“incantation”) often alternates with the word *lotsva* (“prayer”). Our ancestors believed that supernatural connections existed between objects and phenomena. According to their worldview, any entity or occurrence could function as a potential source of beneficent or malevolent force. To influence such forces, ritual intervention was required. Verbal formulas were accompanied by specific ceremonial actions aimed at subduing the invisible forces of nature, culminating in the formation of the incantation — a form that reflects humanity’s ancient aspiration to overcome obstacles and attain desired goals.

For every illness, our ancestors created a distinct incantation, believing that magical words possessed healing power. Among the population of Tao-Klarjeti, various healing charms were widely practiced against the evil eye (*gatvalva*), fright, abdominal pain, tia i.e. hernia, worms, headaches, ringworm, warts, sprains, ocular pain, and “evil winds,” among others. These incantations were intended not only for humans but also for domestic animals and poultry.

The study of incantations preserved in the oral tradition of the descendants of Georgians living in the villages of historical Tao-Klarjeti demonstrates that this folkloric phenomenon constitutes an organic part of common Kartvelian oral tradition.

Keywords: Georgian folklore, Tao-Klarjeti, incantation, magical poetry.

შესავალი

შელოცვა ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ერთ-ერთი არქაული ჟანრია. იგი ეფუძნება სიტყვისა და მოქმედების მაგიას, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ ჩაისახა, როდესაც კაცობრიობის მსოფლმხედველობას განსაზღვრავდა ანიმისტური რწმენა-წარმოდგენები. შელოცვების დანიშნულება და მიზანია საგნებსა თუ მოვლენებზე ზემოქმედებით სასურველი შედეგის მიღწევა.

შელოცვების გავრცელების არეალი ფართოა; იგი მოიპოვება მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში. რა თქმა უნდა, შელოცვის ძველთაძველი ჟანრი აქტუალური იყო საქართველოშიც. ტერმინი „შელოცვა" და „შემლოცველი" გვხვდება X-XI საუკუნეებით დათარიღებულ ხელნაწერებში, ხოლო ყველაზე ადრინდელი ნიმუშები დადასტურებულია X საუკუნის ხელნაწერ ძეგლებში.

ჩვენს წინაპრებს სჯეროდათ, რომ ზებუნებრივი კავშირი არსებობდა საგნებსა და მოვლენებს შორის. მათი რწმენით, ნებისმიერ საგანსა და მოვლენას შეუძლია მოიტანოს როგორც სიკეთე, ისე ბოროტებაც; ამიტომაც მიაჩნდათ, რომ აუცილებელი და საჭიროა მათზე გარკვეული ზემოქმედება. დროთა განმავლობაში ადამიანის მსოფლმხედველობასთან ერთად იცვლებოდა მათი დამოკიდებულებაც ბუნების მოვლენებისა თუ ერთმანეთის მიმართ; ადამიანები ყოველთვის იბრძოდნენ ბოროტებისგან და უარყოფითი მოვლენებისგან თავის არიდებისა თუ დაღწევისთვის. სწორედ ამიტომ, პროფილაქტიკის მიზნით, შეიმუშავეს მაგიური სიტყვიერი ფორმულები: წყევლა, დალოცვა, შელოცვა, სადღეგრძელო. ამათგან ყველაზე არქაული და იმავდროულად პოპულარული ყველა მოდგმის უძველეს ხალხში, და მათ შორის ქართველებშიც, ითვლებოდა და ითვლება შელოცვა. როგორც პროფესორი თინა შიოშვილი აღნიშნავს, „ჩვენს წინაპრებს სწამდათ, რომ საგანზე ან მოვლენაზე შეიძლებოდა სასურველი გავლენის მოხდენა – გადმობირება და გაუსნებოვნება, ანდა – განადგურება" (შიოშვილი 2022: 178).

ბუნების უხილავი ძალები რომ ადვილად დაემორჩილებინათ, სიტყვიერ ფორმულას დაემატა გარკვეული საწესო მოქმედებაც და თანდათანობით ჩამოყალიბდა შელოცვა, რომელიც ადასტურებს იმას, რომ კაცობრიობას თავიდანვე ჰქონდა დიდი სურვილი, გადაელახა ყველა დაბრკოლება და მიეღწია დასახული მიზნისა თუ სურვილისათვის. „შელოცვა მტკიცედ ჩამოყალიბებული, მაგიური ძალის მქონე სიტყვიერი ფორმულაა, რომლის მიზანია საგანზე ან მოვლენაზე გარკვეული ზემოქმედებით სასურველი შედეგის მიღწევა" (ოქროშიძე 1960: 302).

როგორც თამარ ოქროშიძე ვარაუდობს, ქართული ზეპირ-სიტყვიერება ძველთაგანვე იცნობდა შელოცვის სხვა, უფრო არქაულ სახელწოდებასაც; მართლაც, შელოცვის შესატყვისი ტერმინი ბიბლიის ქართულ თარგმანებში არის ,,სახრვა", რაც შელოცვის პროცესს ნიშნავს

და მიუთითებს ამ ჟანრის მაგიურ ბუნებაზე; თუმცა მეთოთხმეტე საუკუნის ქართულ ხელნაწერებში გვხვდება როგორც ტრადიციული ჟანრის სახელი „შელოცვა“, ასევე – ქრისტიანული ტერმინი „ლოცვა“ (ოქროშიძე 1960: 302). XVII საუკუნის ხელნაწერებში ხალხური სახელწოდება „შელოცვა“ გვხვდება „გამოლოცვის“ სახელწოდებითაც. აჭარაში მისი შესატყვისი სახელებია: „კითხვა“, „ჩაკითხვა“, ხოლო ისტორიული საქართველოში - ტაო-კლარჯეთში – „დუა“, რაც ლოცვას ნიშნავს.

კვლევის მეთოდები

სტატიაზე მუშაობისას გამოვიყენეთ ისტორიულ-შედარებითი და ტიპოლოგიური კვლევის მეთოდები, რაც განპირობებული იყო კვლევის მიზნითა და დანიშნულებით.

მსჯელობა

შელოცვა ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაშია ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ჩვენებურთა ისტორიულ მეხსიერებაში. მათთან საკმაოდ კარგად არის შემორჩენილა ქართული მაგიური პოეზიის ეს საინტერესო უბანი.

ჩვენს წინაპრებს ყოველი დაავადებისთვის შესაბამისი შელოცვა შეუქმნიათ, რადგან, მათი რწმენით, მაგიურ სიტყვებს შეეძლო განკურნება. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, და მათ შორის ტაო-კლარჯეთის ზეპირსიტყვიერებაშიც, კარგად არის შემონახული სამკურნალო შელოცვები. ისტორიული საქართველოს ხალხურ გადმოცემათა ანალიზი ცხადყოფს, რომ ისინი ზოგადქართულის, განსაკუთრებით კი აჭარულ და შავშურ, ნიმუშთა ვარიანტებია.

ტაო-კლარჯეთის მცხოვრებთა შორის ფართოდ არის გავრცელებული თვალისცემის (გათვალულის), შეშინებულის, მუცლის ტკივილის, თიის ანუ თიაქრის, ჭიის, თავის ტკივილის, სირსვილის, მეჭეჭის, ნაღრძობის, თვალის ტკივილის, „ავი ქარების“ და სხვა სახის სამკურნალო შელოცვები, რომლებიც განკუთვნილია როგორც ადამიანებისთვის, ისე შინაური ცხოველისა თუ ფრინველისათვის. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

სამკურნალო შელოცვათაგან ტაო-კლარჯელ ქართველთა მეხსიერებაში ჩვენს დრომდე შემონახულა ტრადიციული ხალხური **თიის ანუ თიაქარის** შელოცვა, რომელიც ძირითადად ისეთივეა, როგორიც საქართველოს სხვა კუთხეებში:

იაო, თიაო,
ეჲარე, ჩეჲარე!
რა ბღუიხარ ხარსავთენ,
რა ეძგერები ვერძსავთენ!
შენი საძგერებელი ზურგი
მე აა მაქვა,
მე ნუ მეძგერები! (შიოშვილი 2018: 132; შიოშვილი 2020: 912).

თიის შელოცვის განსხვავებულ კლარჯულ მოკლე ვარიანტში დაავადების ხალხური რეცეპტია მოცემული:

ილაძირი, მილაძირი,
ლუყუ ფესვი, ლეღვი ძირი,
გამოტყდა თია ძირი! (შიოშვილი... 2014: 163).

აჭარულ ფოლკლორში ბოლო დრომდე აქტუალურია თიაქრის (თიის) შელოცვის მრავალი ვარიანტი, რომელიც ძალზე ახლოსაა ტაოკლარჯულ თიის შელოცვასთან. ერთ-ერთი აჭარული ვარიანტი ამგვარია:

იავო, თიავო,
რას იელავ სასავებ,
რასა ბდღვინავ ზღვასავებ!
მიიარე, მოიარე,
დეიდევი ქვასავებ!
ქეთ-ქეთ ძაღლი ჩამორბოდა
ფეხწითელა, ბაუჟიო,
ამ ადამიანს მუცელი სტკივა,
უშველე და გაუშვიო! (შელოცვები 1994: 154).

ტაოური **ჭიის შელოცვა** ძალზე ახლოსაა კლარჯულ ვარიანტთან, რომელიც 2008 წელს, ქალაქ ბურსაში 60 წლის მერიემ თურგუთისგან ჩაუწერია პროფესორ¬ თინა შიოშვილს:

ჭია, ჭია, მამესე,
რა ბღუჲხარ ჯარსავეთ,
რა ესობი ნემსსავეთ,
ეჲარე, ჩეჲარე (შიოშვილი 2020: 945).

კლარჯული „ჭიის დუა“ ამგვარია:

ჭიის დედავ, თავი ჩაყე!
ჭიავ, ჭიავ, თავი ამოყე! (შიოშვილი... 2014: 159).

საქართველოს ყველა კუთხეში ფართოდ არის გავრცელებული **„გათვალულის“ / „ავი თვალის“** შელოცვა:

ერუსალემს ყანა მქონდა,
ყანაში იყო შავი ლოდი,
შაგ ლოდქვეშ იყო შავი გველი.
იმ შავ გველსა ერთი ქონდა წყალის თვალი,
ერთი ქონდა ცეცხლის თვალი.
გამოვიდა წყალის თვალი,
დაანელა ცეცხლის თვალი.
ვინც ავი თვალით შენ შეგხედოს,
დუუდგა მისი ორვე თვალი! (შელოცვები 1994: 43).

გათვალულის ამ ვარიანტში იერუსალიმია ნახსენები, რაც აჭარულისთვის ნაკლებად დამახასიათებელია, თუმცა ავი თვალის დაძლევის სიმბოლო ცეცხლი და წყალი იდენტურია:

ლოდიყანას ყანა მქონდა,
შითა იყო დიდი ლოდი.
ლოდსა ქვეშა – ერთი გველი,

გველსა ხონდა ვორი თვალი:
ერთი თვალი ცეცხლის ხონდა,
ერთი თვალი წყლისა ხონდა.
გადმოდინდა წყლის თვალმა,
დუუბნელა ცეცხლის თვალი.
ამ თვალის დამბნელებელსა
დუუქორდეს ვორვე თვალი! (ბსუნბიფა, საქმე №235: 40).

ზოგადქართულის მსგავსია გათვალულის კლარჯური ვარიანტიც, რომლის მიხედვითაც ბოროტი ძალის დამარცხება ხდება წყალში, საიდანაც შემლოცველის მაგიურ სიტყვებს ამოჰყავს შავი გველი „შავი კაცის“ ანუ გამთვალავის დასამარცხებლად:

შენ გილოცავ თვალისა,
უწინ ჩემი თავისა.
შავისა, შავრუანისა,
თეთრისა, თეთრუანისა.
მუუხედე შავსა გვარას,
მოვდოდა შავი წყალი,
მოქონდა შავი გველი.
მივართვი შავსა კაცსა,
შენზე თვალი მცემელსა
გულზე ნახვარი,
თვალში ნაცარი,
სკუპში ხაშარი!
შიფა ღმერთიდან!

მთქმელის განმარტებით, შელოცვის „ბოლოში დუუბერავ, იტყვი ტფუო! სამპირაჲ შუულოცო. თუ არგო, გაგამთქნარებს“ (შიოშვილი 2014: 74).

ტაოელ ქართველთა ზეპირმეტყველებაში მრავლად შემორჩენილია **თავის ტკივილის** შელოცვა:

შაჲ ტყე გაპწდა,
შაჲ კაცი გუმუარდა,
შავ ქვაზე შახტა,
შავ ქვადან ჩამაახტა.
შენი ავადნობა
გაცვდა, გაქარდა!
წითელი ტყე გაპწდა,
წითელი კაცი გუმუარდა,
წითელ ქვაზე შახტა,
წითელ ქვადან ჩამაახტა.
შენი ავადნობა
გაცვდა, გაქარდა!
მრეხი ტყე გაპწდა,
მრეხი კაცი გუმუარდა,

მრეხ ქვაზე შახტა,
მრეხ ქვადან ჩამაახტა.
შენი ავადნობა
გაცვდა, გაქარდა!
კითხვა ჩემიდან,
მოშორება ღმერთიდან!

(შიოშვილი 2017: 73-74; შიოშვილი 2018: 132-133; შიოშვილი 2020: 913).

შელოცვის ძირითადი ნაწილი ზოგადქართულია და შეშინებულის, უჟმურის შელოცვის ზოგიერთი ვარიანტის მსგავსია:

... ავი ქარისას, ავი ანგელოზისას, უჟმურისას.
გასკდა შავი კლდე, თან გამოჲყვა შავი ცხენი.
შავ ცხენზე იჯდა შავი კაცი.
ედგა უნაგირი შავი, ჰქონდა ლაგამი შავი,
ხელთ ეჭირა შავი მათრახი,
მოდის, მოყოყოჩაობს, მოტოტოჩაობს,
თვალსა მაანათებს შავსა,
კბილსა მააღრეჩამს შავსა
წინ შაჲხვდა მიქელ-გაბრიელი, წმინდა გიორგი:.. (შელოცვები 1994: 7-10).

აქაც, ისევე როგორც ტაოურ ვარიანტში, შავი კლდიდან გამოდის „შავი კაცი“, რომლის დამარცხება დაავადების გაქრობის მანიშნებელია, მაგრამ, ტაოური ვარიანტისგან განსხვავებით, მის წინააღმდეგ ქრისტიანული წმინდანები გამოდიან.

ტაოკლარჯულ ჩვენებურთა მეტყველებაში ბოლო დრომდე ფართოდ არის გავრცელებული კანის დაავადების – **სირსვილის** შელოცვა:

ალაჲვერდი ჭალასა
სირსვილი ხნავს ყანასა,
მიაწვებოდა ქვეშეთ,
მიაყრიდა მიწასა.
ხარ ტაბიკი უუწყდა,
სირსვილ ფეხი მუუწყდა! (ფაღავა 2015: 187).

სირსვილის შელოცვის ეს ვარიანტი აჭარულის მსგავსია:

სირსვილი მივა ყანასა
ალივერდოღლი ჭალასა,
სირსვილს ძირი უხმებოდა,
ხარს ტაბიკი უტყდებოდა (საუნჯე 2024: 329).

ორივე ვარიანტში შემლოცველი გვეუბნება, რომ კლარჯულ ვარიანტში ალაჲვერდის, ხოლო აჭარულში ალივერდოღლის ჭალაში სირსვილი ყანას ხნავს, მიდის დასახნელად მაგრამ „ხარს ტაბიკი უუწყდება“, „ხარს ტაბიკი უტყდებოდა“, რის გამოც სირსვილი ქმედებას ვეღარ აგრძელებს, რითაც დაავადება მარცხდება.

დასკვნა

ისტორიული ტაო-კლარჯეთის სოფლებში მცხოვრებ ქართველთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაში შემონახული შელოცვების შესწავლა ცხადყოფს, რომ ჩვენებურთა ფოლკლორული შემოქმედების ეს უბანი ზოგადქართველური ზეპირსიტყვიერების ორგანული ნაწილია; აქ გავრცელებული შელოცვები საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებულ შელოცვათა ღირებული ვარიანტებია და განსაკუთრებულ სიახლოვეს ავლენენ აჭარულ ნიმუშებთან.

გამოყენებული ლიტერატურა

საუნჯე 2024: აჭარული საუნჯე, ტ. VI, ბათუმი.

ბსუნბიფა: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოკლორული არქივი, №235.

ოქროშიძე 1963: ოქროშიძე თ., შელოცვა. კრებული „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება“, ტ. I. თბილისი.

ფაღავა 2015: ფაღავა მ., ექსპედიციის დღიურები. კრებული „აჭარა, წარსული და თანამედროვეობა“. ბათუმი..

შელოცვები 1994: ქართული ხალხური შელოცვები. კრებული შეადგინა და შენიშვნები დაურთო თინა შიოშვილმა. ბათუმი.

შიოშვილი 2014: შიოშვილი თ., კლარჯული საბავშვო ფოლკლორი. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“, ტ. X. ბათუმი.

შიოშვილი... 2014: შიოშვილი თ., მახარაშვილი გ., კლარჯული ზეპირსიტყვიერება (მასალები). ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“, ტ. VIII. ბათუმი.

შიოშვილი 2017: შიოშვილი თ., ისტორიული სამხრეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, II. კლარჯული ფოლკლორი. თბილისი.

შიოშვილი 2018: შიოშვილი თ., ტაოური ხალხური პოეზია (ტექსტები შენიშვნებითა და ვარიანტებით). ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“, ტ. XIII. თბილისი.

შიოშვილი 2020: შიოშვილი თ., ტაოური ფოლკლორი (ტექსტები). კოლექტიურ მონოგრაფიაში „ტაო“. ბათუმი.

შიოშვილი 2022: შიოშვილი თ., ისტორიული სამხრეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, III. ტაოური ფოლკლორი. ბათუმი.

References

Adjarian Treasure 2024: Adjarian Treasure, vol. VI. Batumi.
FA of NBI, BSU: Folklore Archive of the Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University, №235.
Georgian Folk Spells 1994: Georgian Folk Spells. The collection was compiled and annotated by Tina Shioshvili, Batumi.
Okroshidze 1963: Okroshidze T., Spell. Collection - "Georgian Folk Poetic Creation", vol. I. Tbilisi.
Pagava 2015: Pagava M., Expedition Diaries. Collection - "Adjara, Past and Present", Batumi.
Shioshvili 2014: Shioshvili T., Klargian Children's Folklore. "Collection" of the Center for Kartvelology, Faculty of Humanities, BSU, vol. X, Batumi.
Shioshvili... 2014: Shioshvili T., Makharashvili G., Klargian Folklore (Materials). "Collection" of the Center for Kartvelology, Faculty of Humanities, BSU, vol. VIII. Batumi.
Shioshvili 2017: Shioshvili T., Historial South Georgian Folklore, II. Klargian Folklore, Tbilisi.
Shioshvili 2018: Shioshvili T., Taoian Folk Poetry (Texts with notes and options). "Collection" of the Center for Kartvelology, Faculty of Humanities, BSU, vol. XIII. Tbilisi.
Shioshvili 2020: Shioshvili T., Taoian Folklore (Texts). Collective monograph „Tao". Batumi.
Shioshvili 2022: Shioshvili T., Historial South Georgian Folklore, III. Taoian Folklore. Batumi.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.02

ანაკლიელი ლაზები

THE LAZ OF ANAKLIA

ფერიდე აფაქიძე
დადიანების სასახლეთა
ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი
ზუგდიდი, საქართველო

Peride Apakidze
Dadiani Palaces
Historical and Architectural Museum
Zugdidi, Georgia

აბსტრაქტი

ანაკლიელი ლაზების ისტორიისათვის საინტერესო ცნობები მოიპოვება დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, ხელნაწერი დოკუმენტების სახით. ამ საბუთებზე დაყრდნობით შესაძლებელია ვისაუბროთ, როდის და როგორ ცხოვრობდენენ ლაზები ანაკლიაში.

ანაკლია ისტორიული ადგილია დასავლეთ საქართველოში, ზუგდიდის რაიონში. ანაკლიაში ნამოსახლარები ძვ. წ. II ათასწლეულიდან ჩანს, რასაც მოწმობს დადიანების სასახლეში დაცული, „დიხა გუძუბას“ სახელწოდებით ცნობილი არტეფაქტები. ანაკლია მთელს დასავლეთ საქართველოში, ბერძნების მიერ შავიზღვისპირეთის ათვისების შედეგად, VII-VIII სუკუნეებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი იყო; XVIII საუკუნიდან უცხოელი მოგზაურები და მკვლევრები ანაკლიას ასახელებენ როგორც ძლიერ საეპისკოპოსო ცენტრს და სავაჭრო პორტს. მას შემდეგ, როდესაც აქ ააგეს ამავე სახელწოდების დიდი ციხე, რომლის ნაშთებიც დღემდეა შემორჩენილი ზღვის სანაპირო ზოლთან, ანაკლია სავაჭრო ქალაქად არის მოხსენიებული.

ანაკლიაში, მას შემდეგ, რაც ვაჭრობა გაძლიერდა, განსაკუთრებით გაზაფხულსა და შემოდგომაზე, კონსტანტინოპოლიდან, ირანიდან, ტრაპეზუნიდან, გონიოდან შემოდიოდა იალქნიანი გემები. სამეგრელოში შემოსული სავაჭრო ხომალდებისთვის ანაკლია გახდა ყველაზე ხელმისაწვდომი და მნიშვნელოვანი ნავსადგური მთელ სამეგრელოში. აქედან შავი ზღვით თურქეთში შემოდგომაზე გემებით გაჰქონდათ სელის ძაფი, ტილო, სელის თესლი, ხარის ტყავი, ლერწამი, ბზა, ძვირფასი ბეწვი, თაფლი, ცვილი; ხოლო გაზაფხულზე ვაჭრებს სამეგრელოში ჩამოჰქონდათ ძვირფასი ჭურჭელი, რკინეულობა, საბრძოლო იარაღები, მარილი. ანაკლიის სავაჭრო ნავსადგურს XX საუკუნის დასაწყისამდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

ანაკლიაში XX საუკუნის დასაწყისში ლაზების მთავარ საქმიანობად კვლავ ვაჭრობა და მეთევზეობა რჩებოდა. როცა ბოლშევიკებმა საზღვრები ჩაკეტეს თურქეთთან, ანაკლიელ ლაზებს შესთავაზეს დარჩენა ან თურქეთში

გადასვლა; ვინც დარჩა, მათ აეკრძალათ გადასვლა, ნათესავებთან ურთიერთობა გაწყდა; ანაკლიაში დარჩა რამდენიმე ოჯახი, დარჩენილები კი დღეს არ საუბრობენ ლაზურად. 1921 წლის შემდეგ ანაკლიაში ლაზების დაახლოებით თხუთმეტი გვარი დარჩა: აბდულ-ოღლი, ოდაბაშ-ოღლი, აი-ოღლი, რეიზ-ოღლი, სოქთ-ოღლი, ოქსუს-ოღლი, ქვაქულ-ოღლი, ქელექ-ოღლი, სუფალ-ორლი, ფატ-ოღლი, თიკან-ოღლი, აბდულ-ოღლი, მოლა-ოღლი, მაჭახელ-ოღლი, აღაზადე. არსებულმა რეჟიმმა ზოგი ლაზი აიძულა გვარი შეეცვალა. საქართველოში დარჩენილმა ლაზებმა ცხოვრება დანარჩენ ქართველებთან ერთად გააგრძელეს.

საკვანძო სიტყვები: ლაზები, ლაზური გვარები, ანაკლია.

ABSTRACT

Valuable information concerning the history of the Laz of Anaklia can be found in the manuscript collection of the Historical-Architectural Museum of the Dadiani Palaces, preserved as handwritten documents. These sources allow researchers to discuss chronological framework and living conditions under which Laz communities lived in Anaklia.

Anaklia, located in the Zugdidi region of western Georgia, is a historically significant site. Traces of habitation dating to the second millennium BCE are confirmed by artifacts preserved in the Dadiani Palace, widely known as “Dikha Gudzuba”. Across western Georgia, Anaklia emerged as one of the most significant strategic locations during the period of Greek expansion along the Black Sea coast in the seventh–eighth centuries. From the eighteenth century onward, foreign travelers and explorers described Anaklia as a powerful episcopal center and trading port. After the construction of a large fortress bearing the same name — the remains of which are still extant along the coastal zone — Anaklia came to be referred to as a trading city.

In Anaklia, as trade intensified — particularly during the spring and autumn seasons — sailing ships regularly arrived from Constantinople, Iran, Trebizond, and Gonio. For merchant ships entering Samegrelo, Anaklia became the most accessible and important harbor in the entire region. From here, goods such as flax thread, linen cloth, flaxseed, oxhide, reeds, boxwood, precious furs, honey, and wax were shipped across the Black Sea to Ottoman territories in the autumn,whereas in the spring merchants brought into Samegrelo luxury tableware, iron goods, weaponry, and salt. The trading port of Anaklia preserved its commercial significance well into the early twentieth century.

In the early twentieth century, trade and fishing remained the primary occupations of the Laz population in Anaklia. When the Bolsheviks closed the borders with Turkey, the Anaklian Laz were given the choice either to remain or to relocate to Turkey; those who chose to stay were prohibited from crossing the border and contact with relatives was severed. Only a few Laz families remained in Anaklia, and today they no longer speak the Laz language. After 1921, approximately fifteen Laz surnames were documented in Anaklia: Abdul-oghli, Odabash-oghli, Ai-oghli, Reiz-oghli, Sokt-oghli, Oksus-oghli, Kvakul-oghli, Kelek-oghli, Sufal-oghli, Fat-oghli, Tikan-oghli, Abdul-oghli, Mola-oghli, Machakhel-oghli, Aghazade. Under the prevailing regime, some Laz were compelled to change their surnames. Those who remained in Georgia continued their lives alongside other Georgian communities.

Keywords: Laz, Laz surnames, Anaklia.

შესავალი

ანაკლია ისტორიული ადგილია დასავლეთ საქართველოში, ზუგდიდის რაიონში, სამეგრელო-ზემო-სვანეთის რეგიონში. ანაკლიაში ნამოსახლარები ძვ. წ. II ათასწლეულიდან ჩანს, რასაც მოწმობს დადიანების სასახლეში დაცული, „დიხა გუძუბას“ სახელწოდებით ცნობილი არტეფაქტები. ანაკლია მთელს დასავლეთ საქართველოში, ბერძნების მიერ შავიზღვისპირეთის ათვისების შედეგად, VII-VIII სუკუნეებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი იყო; გაშენებულია იმ ადგილას, სადაც ოდესღაც დიდი ქალაქი იყო, რომელსაც „ჰერაკლეა“ ერქვა (შარდენი 1975: 214-215). XVIII საუკუნიდან უცხოელი მოგზაურები და მკვლევრები ანაკლიას ასახელებენ, როგორც ძლიერ საეპისკოპოსო ცენტრს და სავაჭრო პორტს.მას შემდეგ, როდესაც აქ ააგეს ამავე სახელწოდების დიდი ციხე, რომლის ნაშთებიც დღემდეა შემორჩენილი ზღვის სანაპირო ზოლთან (ზაქარაია 1973: 118-119), ანაკლია სავაჭრო ქალაქად არის მოხსენიებული, ხოლო ციხის მშენებლობასთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა ვერსიას ასახელებენ.

1804 წელს შედგენილ რუკაზე ანაკლია დატანილია, როგორც ქალაქი და ეს შემთხვევით არ უნდა იყოს. იმხანად ქალაქს სავაჭრო ცენტრებს უწოდებდნენ. აქედან მომდინარეობს სიტყვა „ქალაქობა”, რომელიც „ვაჭრობას“, „ბაზრობას“ აღნიშნავს ქართულში (ტუღუში 1991: 19). ისტორიკოს ავთანდილ თორდიას მიერ შედგენილი სამეგრელოს სამთავროს რუკაზე, რომელიც ინახება დადიანების სასახლის ხელნაწერთა ფონდში, ანაკლია როგორც სოფელი მოხსენიებულია XV საუკუნეში (ზსიემ/დკ, 10109), ხოლო როგორც ქალაქი ჩანს XVII საუკუნიდან (ზსიემ/დკ, 10111). XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური ლუი გრანჟე წერს, რომ ანაკლია პირველად ჩანს XVII საუკუნის მეორე ნახევრის თურქულ რუკაზე (ტუღუში 1991: 6).

ანაკლიაზე საუბრობს პარმენ ზაქარაია: „ანაკლიაში დასახელებული პუნქტის წარმოშობა ადრევე სავარაუდოა, გამორიცხული არ არის, რომ ძველად აქ სიმაგრეც ყოფილიყო, მაგრამ ის, რაც ამაჟამადაა, არ შეიძლება XVIII საუკუნეზე ადრე წარმოშობილიყო“ (ზაქარაა 1978: 117). აქვე მოჰყავს ვახუშტი ბატონიშვილის ნააზრევი, რომ „ანაკრიას აღაშენეს ოსმალთა ციხე 1703 წ., აწცა უპყრიათ მათვე“; დასძენს, რომ „ანაკლიის ციხე არ არის ტიპიური დასავლეთ საქართველოსთვის. ოსტატს უთუოდ მიუბაძავს იმავე პერიოდის ქართლ-კახეთის ციხეებისთვის“ (ზაქარაია 1978: 118-119). ამ დროიდან, XVIII საუკუნიდან, ანაკლიაში ვაჭრობა გაძლიერდა; კონსტანტინოპოლიდან, ირანიდან, ტრაპეზუნიდან, გონიოდან შემოდიოდა იალქნიანი გემები. ეს იყო ხელმისაწვდომი და მნიშვნელოვანი ნავსადგური მთელ სამეგრელოში, რომელსაც XX საუკუნის დასაწყისამდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა (ტუღუში 1991: 21).

1899 წელს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ხშირად აქვეყნებდა ანაკლიის სავაჭრო ქალაქის ამბებს, რომ ოდიშელმა ვაჭარმა, გვარად ბოკუჩავამ, თურქული ხომალდით ოცდაათი ურემი საქონელი ჩამოიტანა. ოდიშელებთან ერთად ანაკლიაში ვაჭრობდნენ ადგილობრივი ლაზები. მეოცე საუკუნის დასაწყისისთვის ანაკლიაში ორმოცამდე ვაჭარი

ცხოვრობდა. ვაჭრობამ ანაკლიაში მოსახლეობის ზრდაც გამოიწვია. ფრანგი მოგზაურისა და გეოგრაფოს ჟან მურიეს ცნობით, 1895 წელს ანაკლიაში ოცი მოსახლე ყოფილა, 1897 წლისათვის კი 178 კაცი ცხოვრობდა (ტუღუში 1991: 19).

მოცემული კვლევა ეხება ანაკლიელი ლაზების ყოფა-ცხოვრებას XIX საუკუნის სამეგრელოში. მათ შესახებ საინტერესო მასალებია დაცული დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, რაც საშუალებას გვაძლევს ანაკლიაში მცხოვრები ლაზების შესახებ ვისაუბროთ, რადგან დღეისათვის მათი რაოდეობა ძალიან მცირეა გასულ საუკუნეებთან შედარებით. კვლევისას ძირითადად ხელნაწერთა ფონდის დოკუმენტები –საკომლო სია გამოვიყენე, რომელშიც, შეიძლება ითქვას, სრულად ჩანს ლაზების საქმიანობა, ასევე, მათი დღემდე უცნობი გვარების სია.

მსჯელობა

ანაკლიაში მცხოვრები ლაზების ყოფა-ცხოვრების შესახებ საინტერესო ცნობები მოიპოვება დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულკი მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, ხელნაწერი დოკუმენტების სახით; მათზე დაყრდნობით შესაძლებელია ვისაუბროთ, როდიდან და როგორ ცხოვრობდენენ ლაზები ანაკლიაში, როგორი იყო მათი საქმიანობა და ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება XIX-XX საუკუნეებში.

ჩვენ ხელთ არსებული წყაროების მიხედვით, ანაკლიაში ლაზების დასახლება XVIII საუკუნიდან ჩნდება. დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში დაცული XIX საუკუნის ისტორიული საბუთების მიხედვით, ლაზები სამეგრელოს მთავრებს ემორჩილებოდნენ. მაგალითად, ანაკლიელი ლაზი მაჰირა ჯიხოღლი, ოსმანი სეფერია, ახმეტ-იაიჯ იუსუფ-ოღლი ლაზების სახელით სამეგრელოს უკანასკნელ მთავარს – დავით ლევანის ძე დადიანს (1812-1853) მორჩილებისა და ერთგულების წერილს სწერდნენ. ამ საბუთს ოსმალურად ხუთი ლაზის ხელმოწერა უზის:, „ესეთი პირობა, რომ დღეის ამას იქით უწესობა ჩვენ ვეღარ გავბედოთ, არამედ თუ რამე გვგჭირდა და ან ვინმემ შეგვაწუხა თქვენ გვედროთ და ერთმანეთში ფიცი არ მოვახთინოთ და აგრევე თქვენის ყმობიდან არსად წავიდეთ და ვინც ამის პირობის წინააღმდეგი იქნება, როგორც ღირსეულად დასჯით ღმერთმან გისმინოსთ!“ (ტუღუში 1991: 24). როგორც ჩანს, ლაზები სამეგრელოს მთავრის – დავით დადიანის მორჩილებას გამოხატავდნენ; ამას არსებული ვითარება ითხოვდა, რადგან ისინი აღებ-მიცემობას აწარმოებდნენ, ვაჭრობდენენ, იჯარით იღებდნენ მთავრისაგან მიწებს და მის მფარველობასაც აღიარებდნენ.

დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, ასევე, ინახება 1870 წლის საბუთი, რომელშიც ანაკლიაში მცხოვრები ლაზები, ოცდათერთმეტი კომლი, თხოვნით მიმართავდა სამეგრელოს მმართველ ნიკოლოზ დავითის ძე დადიანს (1848-1903), გამოეჩინა მოწყალება და ეპატიებინა მათთვის წინა წლის გადასახადი, რომელიც ვერ გადაიხადეს, რადგან უბედურება დაატყდათ, ყველაფერი ხანძარმა შთანთქა. ხელნაწერში ვკითხულობთ: „1870 წ. 22 აპრილი. ანაკლიის მცხოვრები ოცდათერთმეტის კომლის

თათრებისაგან თხოვნა: უხსოვარის დროიდან სახლებულან წინაპარნი ჩუენნი, საფარველთა თქუნის წინაპრებითა და ჩუენ სანეტარო მშობლის თქუნის დავითდადიანისათა, რომლებთაც შეგვიტანია შესაბამისი დაწესებული სარგებლობა სახლისა თქუნისად. თქუნის საკუთნულის მიწისა ვითარ სამოსახლოდა საცხოვრებლისა თანასწორ ჩუნგანს ვისაც ქონდა დუქნებიდამაც გარნა ჩუნცა გვქონდა ის საფარველი და საკუთარი ყურადღება როგორ ვიყავით ღირსი შეუწუნელნი და უცხო გარეშე გრანიცის პირებნი, რაიცა მცირე წლოვანობდგან გუქონდათ ნაშრომი დუქნებზედ და მას შინა მდებარე ერთმანეთზედ ყოველივე დაგვეწვა. საინტერესო ფაქტია, რომ ისინი წერენ ,,უხსოვარის დროიდგან სახლებულან წინაპარნი ჩუენნი, საფარველთა თქუნის წინაპრებითა“. საბუთს ხელს აწერს ოცდათერთმეტი ანაკლიელი ლაზი: გუმიში ღადოშვილი, მაირა მაინოღლი, მახმუთო ალიოღლი, ბიტუ გვასალია, ახმეტი დევუდოღლი, მემთი ომანოღლი, ისლამელ ცხვიტარია (ვფიქრობ გვარი შეცვლილია აქვს – ფ.ა.), გვადა თიკანოღლი, იაქოფი დვალიშვილი, ალი ბერიშვილი, ომერი ლომანოღლი, რეჯება დურვუტოღლი, მემეში დავალიშვილი, ახმეტი ლიმანოღლი, ომერი ღაღაშვილი, ისლამ ფატანძე, ავუტი ფატელანძე, ალვახერ ხიავა, რეჯაბია ჟვანია, გუდუ დელმელეთი, ხუშუთი ცხვიტარია, მემევა შემაოღლი, ხასან ლომანოღლი, დურსუმი ქელაჯოღლი, მელალა ვარიმაინოღლი, სელმანი, ახმეტი, ჯავაიები, ხასან ჯუდიხე (ზსიემ/ საკ.ა. 435).

განსაკუთრებით საინტერესოა 1886 წლის ხელნაწერი – ანაკლიის მოსახლეობის აღწერილობითი, საკომლო სია, რომელშიც ლაზურ გვარ-სახელებთან ერთად მეგრული გვარებიცაა: თიკანოღლი სულეიმანი, თიკანოღლი ემინი, რეიოღლი გუმიში, მუსტაფაოღლი მაირა, ბერვიოღლი ლომანი, ომეროღლი ხასანი, დევრიშოღლი ხასანი, ბაირამოღლი ომერი, მემედოღლი ახმედი, კელენჯიოღლი დურსუნი, რუფალოღლი ალი, ბაგდადიოღლი ასლანი, მემედ-რეიზოღლი ალი, რეიზოღლი მუჰამედი, კვარაცხელია ახმედი სელიმოღლი (ზსიემ/სამ.ა, 1178).

1886 წლის საბუთით, რომელიც ორ ენაზეა დაბეჭდილი, ხოლო მოსახლეობის სახელი და გვარები ხელითაა ჩაწერილი, კომლთა აღწერა ასეთია: ნიმუშად მომყავს ომეროღლის გვარის ოჯახი: „ომერ ოღლი ხასანი – 34 წლის; მისის შვილი ალი – 5 წლის; ძმისშვილი ხუსეინი – 12 წლის; ქალები –4 სული (ქალთა შესახებ არაფერია ჩაწერილი, რადგან მხოლოდ ოჯახის უფროსის თანხმობით იწერებოდა); რა ენაზე იცის წერა: უსწავლელი; იცის თუ არა რუსული: ენა არ იცის; სად მიუღია სწავლა ან სად სწავლობდა: არსად; რომელი თემისაა: თურქული; სარწმუნოება: მუსლიმი; შინაური ენა, რომელზეც ლაპარაკობენ: თურქული; რა ხელობისაა, ანუ რა საქმეს ადგია: ეწევა მიწის დამუშავებას; ომეროღლი ხასანი გარდაიცვალა 1890 წლის 15 აპრილს“ (ზსიემ/დკ, 1178).

ანაკლიაში მცხოვრები ლაზები იჯარით იღებდნენ მიწებს სადუქნედ, სახნავ-სათესად; მათ იჯარით ჰქონდათ ასევე აღებული სანაპირო ზოლი სათევზაოდ. დოკუმენტში სახელდება მოიჯარეთა გვარები: მაინოღლი, ალიოღლი, დევუდოღლი, ოსმანოღლი, თიკანოღლი, ბეროოღლი, დელმელეთი, შემაოღლი, მონანოღლი, ქერეჯოღლი ვარიმაინოღლი, ჯავაია, ჯუდიხე, ღერმოღლი, იაჯიოღლი, დეილოშოღლი, დიალოღლი,

დემიკუტოღლი, ლემანოღლი, ფატოღლი, ალიშახე, ქეროჯოღლი, შინანოღლი, ალია, თიკანოღლი, ღაღოღლი, კვიწინი, ძამუოღლი, სოსიოღლი, ეფრემოღლი, ღაალოღლი, სამზოოღლი, ხაჯალოღლი, ხოხიოღლი, ხანძოოღლი, თერმოღლი (ზსიემ/დკ, 1178). ლაზურ გვარებს შორის მოხსენიებულია: დვალიშვილი, ღაღაშვილი, ჟვანია, ღადოშვილი. როგორც ჩანს, ანაკლიაში მცხოვრები ლაზების გვარების შეცვლა-გადაკეთება დაწყებულია არა ბოლშევიკების მოსვლიდან, რამედ მანამდეც, რასაც ზემოთ აღნიშნული საბუთები მოწმობს. ა. ტუღუშის მონაცემებით, ეს გვარებია: აბდულ-ოღლი, ოდაბაშ-ოღლი, აი-ოღლი, რეიზ-ოღლი, სოქთ-ოღლი, ოქსუს-ოღლი, ქვაქულ-ოღლი, ქელექ-ოღლი, სუფალ-ორლი, ფატ-ოღლი, თიკან-ოღლი, აბდულ-ოღლი, მოლა-ოღლი, მაჭახელ-ოღლი, აღაზადე. აბ.ტუღუშიც აღნიშნავს, რომ არსებულმა რეჟიმმა ზოგი ლაზი აიძულა გვარი შეეცვალა: მაჭახელოღლი-მაჭახელიძე, ფათ-ოღლი-ფატლანძე, რეიზ-ოღლი-რაზმაძე, თიკან-ოღლი-თიკანაძე (ტუღუში 1991: 15).

1992 წელს ა. ტუღუშმა აღრიცხა ანაკლიაში მცხოვრები 15 ლაზური გვარი: ოდაბაშ-ოღლი, ოქსუს-ოღლი, რეიზ-ოღლი, სუფალ-ოღლი, სოფ-ოღლი, ქვაქულ-ოღლი, მაჭახელ-ოღლი, ქელეჯ-ოღლი, სოქთ-ოღლი, ალი-ოღლი, დემლიშ-ოღლი, თიკან-ოღლი, აბდულ-ოღლი, მოლა-ოღლი, აღაზადე (ტუღუში 1991: 25). საინტერესოა, რატომ არ ჩანს სხვა დანარჩენი დასახელებული გვარები, რომელთა შესახებ ვეცნობით 1886 წლის აღწერილობით სიაში. როგორც დღევანდელი ანაკლიელი ლაზები აღნიშნავენ, წინაპრებმა დატოვეს ანაკლია XX საუკუნის დასაწყისში. როდესაც ბოლშევიკებმა საზღვარი ჩაკეტეს, ლაზებს მოსთხოვეს წასვლა ან დარჩენა; კიდევ ერთი ფაქტი, ანაკლიელი ლაზების უმრავლესობამ გვარი გადაიკეთა.

XX საუკუნის პირველ ნახევარში ანაკლიელ ლაზებს ტრადიციისამებრ სოფლის ტერიტორიაზე, ცალკე გამოყოფილ ადგილას, სასაფლაო ჰქონდათ. ამავე საუკუნის 50-იან წლებში, მდინარე ენგურმა ადიდების შედეგად ჩამორეცხა ეს ადგილი და ფაქტიურად დაეკარგათ წინაპართა საფლავები. ადგილობრივები დღესაც იხსენებენ ამ ამბავს. დროთა განმავლობაში ანაკლიელი ლაზები აითქვიფნენ ადგილობრივ ქართველებთან (მეგრელებთან) და დღეს მხოლოდ იხსენებენ თავიანთი წინაპრების ისტორიას. საბჭოთა პერიოდში, ვინც ანაკლიაში დარჩა, მათ ხან თურქებს – თათრებს, ხან ლაზებს ეძახდნენ: „ანაკლიაში რამდენი საუკუნეა მეგრელებთან ერთად ცხოვრობენ მაჰმადიანი ლაზები, რომელთაც სამწუხაროდ, ადგილობრივი მკვიდრნი თურქებს უწოდებენ... არადა ის ანაკლიელები, რომელთაც თანასოფლელი მეგრელები თურქებად მიიჩნევენ, ჩვენი სისხლი-სისხლთაგანი – ლაზები არიან“ (ტუღუში 1991: 23).

2021 წლის მონაცემებით, ანაკლიაში ადგილობრივ 600-მდე ოჯახთან ერთად, 30-მდე ლაზური ოჯახი ცხოვრობდა (კრავეიშვილი 2021: https://heiamo.com/docs). 2025 წლისათვის, ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, მხოლოდ რვა ლაზური ოჯახია შემორჩენილი, რომლებიც არ საუბრობენ ლაზურად. ესენი არიან: სოქთოღლი, რეიზოღლი, სუფალოღლი, ოდაბაშოღლი, ოქსუსოღლი, მოლაოღლი, ხალვაში, ჯაბიევი.

ანაკლიელი ლაზი ჯემალ სოქთოღლი გვიყვება: „ჩვენი, ლაზების, საქმიანობა ოდითგანვე ვაჭრობა და მეთევზეობა იყო. ბაბუაჩემი მეჯითი ვაჭარი იყო, რომელსაც აქედან, ანაკლიიდან, რიზეში ქართული ხალიჩები გაჰქონდა გასაყიდად. ბებიაჩემი – ჰამფა მოლა-ოღლი 1888 წელს თურქეთშია დაბადებული, საუბრობდა ლაზურად. როცა ბაბუაჩემს გაჰყვა ცოლად, მას შემდეგ ანაკლიაში ცხოვრობდა სიცოცხლის ბოლომდე და 1965 წელს გარდაიცვალა; მამაჩემი – იზეთი ქალაქ რიზეში დაიბადა, გარდაიცვალა 1980 წელს ანაკლიაში. ბებია და ბაბუას სარწმუნოება არ შეუცვლიათ; ბაბუაჩემს ხოფაში მიწები დარჩა, იქ ჩვენი ნათესავები ახლაც ცხოვრობენ; ბაბუა და ბებიას საფლავი სამწუხაროდ დაკარგულია, მდინარე ენგურის ადიდების შედეგად ჩარეცხა და მათ შორის სხვა ლაზების საფლავებიც. ეს მოხდა XX საუკუნის 50-იან წლებში. მე ანაკლიაში დავიბადე; 1982 წელს ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაში მოვინათლე. ეს დედაჩემის, ვერა ჯობავას სურვილი იყო, თუმცა მამას წინააღმდეგობა არ გამოუთქვამს. ბებიაჩემი – ჰამფა მოლაოღლი ერთადერთი, უკანასკნელი ქალი იყო მთელს ანაკლიაში, ვისაც ლაზური ტრადიციული წესით სატირალში დაჰქონდა ნამცხვარი „ჰელვა“, ასევე, ამზადებდა სალათას – „ლუყუს“; დღესაც მახსოვს მისი გემო, თუმცა ჩვენთან არავინ აგრძელებს ამ წესს და ვწუხვარ. ჩვენ ლაზური არ ვიცით. ეს საბჭოთა ეპოქამ მოგვიტანა. იყო დრო, ვმალავდით ჩვენს ლაზურ წარმოშობას. როგორც ვიცი, დღევანდელი ლაზები ანაკლიაში მეთვრამეტე საუკუნიდან ვცხოვრობთ, პირადად ჩემი ოჯახი მეოცე საუკუნის ოციან წლებში დასახლდა და სამუდამოდ დარჩა ანაკლიაში“.

დასკვნა

როგორც ვნახეთ, ანაკლიელი ლაზების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული დოკუმენები. XIX საუკუნით დათარიღებული ეს საბუთები ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი. მათი საშუალებით შესაძლებელია შევიქმნათ წარმოდგენა ლაზების ყოფა-ცხოვრებაზე სამეგრელოს შავიზღვისპირა სოფელ ანაკლიაში.

გამოყენებული ლიტერატურა

ზაქარაია 1973: ზაქარაია პ., საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები. თბილისი.. გამომც. „მეცნიერება“.

კრავეიშვილი 2021: კრავეიშვილი გ., ანაკლიელთა მეგრული და ლაზური ხალხური სიმღერები. https://heiamo.com/docs;

ტუღუში 1991: ტუღუში ა., ანაკლიის ისტორია. ზუგდიდი. გამომც. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრი – ისტორიული მუზეუმი.

შარდენი 1975: შარდენი ჟ., მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. თბილისი.. გამომც. „მეცნიერება“.

ჭითანავა 2010: ჭითანავა დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში. თბილისი. გამომც. „მწიგნობარი“

საარქივო მასალა

ზსიემ/სამ. ა 1178: დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის სამხედრო არქივი.

ზსიემ/საკ. ა. 435 ფ. 17: დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის საკანცელარიო არქივი.

ზსიემ/საკ. ა. 435 ფ. 20: დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის საკანცელარიო არქივი.

ზსიემ/დკ. 10109: დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის დოკუმენტური არქივი.

ზსიემ/ დკ. 10111: დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის დოკუმენტური არქივი.

References

Chardin 1975; Chardin J., Travels to Persia and Other Countries of the East. Tbilisi.

Chitanava 2010: Chitanava D., Churches and defensive structures in Samegrelo. Tbilisi.. Publ. “Mtsignobari”.

Kraveishvili 2021: Kraveishvili G., Megrelian and Laz folk songs of the Anaklia people; https://heiamo.com/docs.

Tughushi 1991:. Tughushi A., History of Anaklia. Zugdidi 1991. Publ. Academy of Sciences of the Republic of Georgia Zugdidi Scientific Center-Historical Museum.

Zakaraia 1973: Zakaraia P., Ancient Cities and Fortresses of Georgia. Tbilisi. Publ. “Science”

Archival material

Zhem / mil. A. 1178: Military Archive of the Manuscript Fund of the Dadiani Palaces Historical and Architectural Museum.

Zhem / Ch. A. 435 Sh.17: Chancellery Archive of the Manuscript Fund of the Dadiani Palaces Historical and Architectural Museum.

Zhem / Ch. A. 435 Sh. 20: Chancellery Archive of the Manuscript Fund of the Dadiani Palaces Historical and Architectural Museum.

Zhem /DK.10109: Documentary Archive of the Manuscript Fund of the Dadiani Palaces Historical and Architectural Museum.

Zhem / DK.10111: Documentary Archive of the Manuscript Fund of the Dadiani Palaces Historical and Architectural Museum.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.03

მორფოლოგიურ–სინტაქსური მოვლენები ქართული ენის შიდა და სამხრეთ–დასავლურ დიალექტებში

MORPHOLOGICAL AND SYNTACTIC PHENOMENA IN INNER AND SOUTH-WESTERN DIALECTS OF THE GEORGIAN LANGUAGE

ციალა ბენდელიანი
სოფელ ნახახულევის საჯარო სკოლა
ხონი, საქართველო

Tsiala Bendeliani
Public School of the Village of Nakhakhulevi
Khoni, Georgia

აბსტრაქტი

სტატიაში ვეხებით ქართული ენის შიდა და საქართველოს საზღვარს მიღმა, სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში საერთო მორფოლოგიურსა და მორფოსინტაქსურ რამდენიმე მოვლენას:

ა) *უნდა* მოდალური ნაწილაკისა და ზმნის ცვლილება ხდება ქართული ენის აღმოსავლურსა (ხევსურული, ფშაური, მოხეური: *უნდ-ან-ან-თ, უნდ-ან-ან)* და დასავლურ დიალექტებში (ქვემოიმერული, გურული, აჭარული: *უნდ-ენ, უნდ-ებ-ლარიენ*)., ასეთივე ცვლილებებია საზღვარს მიღმა, სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში: კლარჯულში, შავშურში, ტაოურში: *უნდ-ან-ან, უნდ-ა-რ-ან.* ქვემოიმერულის მოზაიკურ სამეტყველო არეალში მიგრირებულ კოდთაგან *უნდ-ან-ან* ფორმა დასტურდება ადიგენელ მესხებთან, ქვემოიმერულში წარმოქმნილია ინოვაციური ფორმები: *უნდ-ავ-ენ, უნდ-ავ-ი-ენ,* რომელშიც *-ავ* ძველი ქართული *-ან* თემის ნიშნის მონაცვლე უნდა იყოს, რომელსაც შემდგომ დართვია მრავლობითის *-ენ* ნიშანი: *უნდ-ან / უნდ-ავ-ენ.* ამ ფორმათა წარმომავლობის შესახებ არსებობს სხვა აზრიც.

ბ) *ი-სვრ-ი-ს* ზმნა სხვადასხვა მორფოლოგიური ფორმით გვხვდება ქართული ენის შიდა და სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში: ფშაურში აქვს ა ხმოვანი პრეფიქსი: *ასვრის:* ლეკები *ასვრიან* თოფებსა (ა. შანიძე). ქვემოიმერულის არეალში მრავალგზის მოქმედებას აღნიშნავს მიგრირებულ ლეჩხუმელთა შემონატანი ფორმა *სროულობს,* ხოლო ქვემოიმერულში *სროლავს* გამოხატავს ერთგზის მოქმედებას. ეს ყოველივე ასახულია მორფოსინტაქსშიც: *ისვრის* ის, *ისვრის* ის მას, *სროლავს* ის, *სროლავს* ის მას, *ასვრის* ის მას. მოსალოდნელი იყო *ასვრის* ის მას მას, ამ შემთხვევაში

ა- იქნებოდა ე- ხმოვანპრეფიქსის ფუნქციური ეკვივალენტი: *ესვრის* ის მას მას / *ასვრის* ის მას მას. ჩვენი აზრით, მისი ყალიბია არტყამს (ეს ზმნაც სროლასთან არის დაკავშირებული, *არტყამს* ის მას ტყვიას), მაგრამ *ა-სვრის* ზმნა სამი პირით მასალობრივად არ შეგვხვედრია.

იმერულში (ვანურ თქმაში) არის უ- პრეფიქსიანი ფორმაც: *უსროდა* ქვეფს და ებძოდა უბედურათ (ნ. შარაშენიძე), იმერულში არის უპრეფიქსო ფორმაც *სვრის* „ისვრის“ (ბ. ჯორბენაძე), მრ. რ. სვრი-ან. ხმოვანპრეფიქსების მატება-კლებასთან არის დაკავშირებული ზმნათა სინტაქსური ვალენტობა ანუ ადგილიანობა.

კლარჯულში დადასტურებულია: *მსვრელი* „ვინც ისვრის, მსროლელი“. კარქა *ვსვრი* მაუზერ (ქლასკური); *ვსრი* გვხვდება მაჭახლურშიც: ბაბამ ლივერი მიყიდა, *ვსრი* და *ვსრი* (ქედქედი) (ფაღავა...), შდრ. იმერული *სვრის,* რომელშიც, განსხვავებით მაჭახლურისგან, ზმნის ძველქართული ძირი *სრ-ევ-ა* შენარჩუნებული არ არის, მაგრამ ერთნაირია კლარჯულსა და იმერულში: *მ-სვრ-ელ-ი.* ძირში ვ ბგერის ჩართვა მოულოდნელი იყო, უნდა ყოფილიყო -სრ- ძირი.

სხვადასხვა დიალექტურ / ენობრივ გარემოში მოქმედებს ძველი ქართულის/ საერთოქართულის ფაქტორები, წარმოდგენილია დროის ხანგრძლივ პერიოდში მიმდინარე დიაპროცესის შედეგები.

3. მუჰაჯირების მეტყველებაში გვხვდება ნომინატიური და კვაზიერგატიული კონსტრუქციების მონაცვლეობა, რომლის დროსაც მოთხრობით ბრუნვას მინიჭებული აქვს განსაზღვრება-განუსაზღვრელობის გამოხატვის ფუნქცია. ასეთი შემთხვევა არ იპოვება ქართული ენის მთელს დიალექტურ სივრცეში, მაგალითები: *კაცი გეიარა,* ნიშნავს, რომ გაიარა უცნობმა კაცმა, ხოლო *კაცმა გეიარა,* ნიშნავს, რომ გაიარა ნაცნობმა კაცმა, რომლის შესახებ ადრე იყო საუბარი (ფუტკარაძე... 2022: 306). ეს მოვლენა ვერ აიხსნება უერგატივო თურქულის გავლენით. მას შესაძლოა უფრო მეტი საერთო ძველი ქართული ნაწევარის ფუნქციასთან ჰქონდეს, რომელიც სახელს განსაზღვრულად წარმოგვიდგენდა.

ცნობილია, რომ უცხო გარემოში იძულებით გადასახლებულთა ენობრივი ცნობიერება განსხვავდება ნებაყოფლობით მიგრირებულთა ცნობიერებისგან. როგორც ჩანს, მათმა ცნობიერებამ მშობლიური ენის წიაღში მოიძია ნაცნობის, განსაზღვრულის, კონკრეტულის გამომხატველი მორფოლოგიური ინვენტარი და შექმნა შესაბამისი ფუნქციის მორფოსინტაქსური კონსტრუქცია.

საკვანძო სიტყვები: ქართული დიალექტები, მორფოლოგიური სტრუქტურა, მორფოსინტაქსური კონსტრუქციები; განსაზღვრულობა/ განუსაზღვრელობა.

ABSTRACT

This article examines a number of common morphological and morphosyntactic phenomena attested in the inner dialects of Georgian as well as in the south-western dialectal forms spoken beyond the borders of Georgia:

a) The modal particle *unda* (უნდა) [*unda* - expressing necessity, obligation, or intention] and its associated verbal morphology display notable variation across both eastern Georgian dialects (Khevsurian, Pshavian, and Khevian (i.e. Mokhevian or Mokheuri: (უნდ-ან-ან-თ [*und-an-an-t*], უნდ-ან-ან [*und-an-an*]) and western dialects (Lower Imeretian, Gurian, and Adjarian (უნდ-ენ [*und-en*], უნდ-ებ-ლარიენ [*und-eb-larien*]). Similar developments are found in the south-western ones — specifically Klarjian, Shavshian, and Tao dialects, where forms such as უნდ-ან-ან [*und-an-an*] and უნდ-ა-რ-ან [*und-a-r-an*] occur. Among the sub-dialects or idioms spoken by communities that migrated into a linguistically diverse dialectal environment of Lower Imereti, the Adigeni Meskhetians preserve the form უნდ-ან-ან [*und-an-an*]. In Lower Imeretian, innovative forms such as უნდ-ავ-ენ [*und-av-en*] and უნდ-ავ-ი-ენ [*und-av-i-en*] have emerged, in which -ავ [-av] appears to alternate with the Old Georgian thematic marker -ან [-*an*], later combined with the plural marker -ენ [-*en*] — უნდ-ან [*und-an*]/უნდ-ავ-ენ [*und-av-en*]. Alternative views concerning the origin of these forms have been proposed.

b) The verb ი-სვრ-ი-ს (*i-svr-i-s,* "throwing/shooting") occurs in various forms across Georgian dialects. In the Pshavian dialect, it appears with the vowel prefix ა [a-]: ასვრის (*asvris),* ლეკები ასვრიან თოფებსა (cf. A. Shanidze: lekebi asvrian topebsa, "the Leks fire their rifles"). In the Lower Imeretian dialectal area, the form სროულობს [*sroulobs]*, brought by migrated Lechkhumians, denotes a repeated action, whereas სროლავს [*srolavs*] in Lower Imeretian sub-dialect expresses a single-occurrence action. These semantic distinctions are reflected in morphosyntax as well: ისვრის ის [*isvris* is – meaning: he/she is throwing/shooting], ისვრის ის მას *[isvris* is mas – meaning: he/she is throwing/shooting it], სროლავს ის [*srolavs* is – meaning: he/she is throwing/shooting], სროლავს ის მას [*srolavs* is mas – meaning: he/she is throwing/shooting it], ასვრის ის მას [*asvris* is mas – meaning: he/she is throwing/shooting it]. A theoretically expected construction would be ასვრის ის მას მას [*asvris* is mas mas, meaning "he/she is throwing/shooting it at him/her"], where the prefix ა- [a-] would serve as a functional equivalent of the vowel prefix ე- [e-]: ესვრის ის მას მას [esvris is mas mas]/ ასვრის ის მას მას [asvris is mas mas, both meaning "he/she is throwing/shooting it at him/her"]. In our view, the structural template seems closest to არტყამს [*artqams]*, "he/she hits/strikes", a verb related to throwing, shooting, hitting, and striking]; e.g., არტყამს ის მას ტყვიას [*artqams* is mas tkvias, meaning "he/she strikes him/her with a bullet"]), though we have not encountered the verb ა-სვრის [*a-svris*] in the form of a three-argument verb (or a ditransitive verb).

In the Imeretian dialect (specifically in the Vani variety), a form with the უ- [u-] prefix is attested: უსროდა ქვეფს და ებძოდა უბედურათ (*usroda kveps da ebzoda ubedurat*, "He threw stones and fought relentlessly") (N. Sharashidze). The dialect also preserves an unprefixed variant, სვრის (*svris,* "he/she is shooting") (B. Jorbenadze), with the plural form სვრი-ან [*svri-an*, "they are shooting"). The addition or loss of vowel prefixes correlates with the syntactic valency — or positional structure — of verbs.

In the Klarjian dialect, the form მსვრელი [msvreli, "one who shoots, shooter") is attested. Examples include კარქა ვსვრი მაუზერ [*Kark'a vsvri mauzer,* "I shoot Mausers well"] (the Klaskuri idiom) and ვსრი (vsri), which is likewise encountered

in the Machakhlian: e.g., ბაბამ ლივერი მიყიდა, ვსრი და ვსრი [*Babam liveri miq'ida, vsri da vsri,* "My father bought me a gun, I shoot and shoot"] (the Kedkedi idiom) (Paghava et al.), cf. Imeretian სვრის [*svris*], where — unlike the Machakhlian dialect — the Old Georgian verbal root სრ-ევ-ა [*sr-ev-a*] has not been preserved. However, both Klarjian and Imeretian dialects share the form მ-სვრ-ელ-ი [*m-svr-el-i,* "the one who is throwing/shooting"]. The insertion of the consonant ვ [v] into the root appears unexpected, as the anticipated root would be -სრ- [-sr-].

Across different linguistic environments, factors inherited from Old Georgian or Common Kartvelian continue to function in various areas, representing the outcomes of diachronic processes that have unfolded over extended periods of time.

c) In the speech of Muhajir communities, an alternation between nominative and quasi-ergative constructions is attested, where the ergative case assumes the function in expressing definiteness/indefiniteness. This feature does not appear elsewhere across the Georgian dialectal continuum. For instance, კაცი გეიარა [*k'atsi geiara*] indicates that an unfamiliar man passed by, whereas კაცმა გეიარა [*k'atsma geiara*] refers to a definite referent previously mentioned in discourse (Putkaradze et al., 2022). This development cannot be explained by the influence of Turkish, a non-ergative language; rather, it may have closer parallels with the function of an Old Georgian particle that marked the noun as definite.

It is generally recognized that the linguistic consciousness of populations subjected to forced displacement into foreign environments differs from that of voluntary migrants. In this context, speakers appear to have drawn upon the morphological inventory of their native language to convey familiarity, definiteness, and specificity, thereby forming a corresponding morphosyntactic construction serving this function.

Keywords: Georgian dialects, morphological structure, morphosyntactic constructions; definiteness/indefiniteness.

შესავალი

ქართული ენის შიდა და საქართველოს საზღვრებს მიღმა, კერძოდ, სამხრეთ-დასავლურ დიალექტურ კოდებს ერთმანეთთან საერთო მოვლენები აქვთ ენის ყველა დონეზე, რადგან ეს დიალექტები მომდინარეობენ საერთო საფუძვლიდან. ეს საერთო საფუძველია ქართველური ენები, შემდგომ ძველი და თანამედროვე ქართული ენა. ეს უკანასკნელი აქტიურ ექსტრალინგვისტურ ფაქტორს არ წარმოადგენს უცხოენოვან სამეტყველო გარემოში მოხვედრილ დიალექტურ კოდთათვის, მაგრამ თანამედროვე ქართული ენა უშუალო გაგრძელებაა ძველი ქართული ენისა, რომლის ენობრივ გარემოში იმყოფებოდა დღეს თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული დიალექტური კოდები, სანამ მშობლიურ ენას მოწყდებოდნენ.

მეტად საინტერესოა ყველა მოვლენა, რომელიც მიგრირებული მოსახლეობის კავშირს გამოხატავს მშობლიურ ენასთან. ამ თვალსაზრისით გვაქვს განხილული საერთო, ქართული ენის დიალექტებში მიმდინარე დიაპროცესის გამომხატველი რამდენიმე მორფოლოგიური და მორფოსინტაქსური მოვლენა.

კვლევის მეთოდები

კვლევისას გამოყენებულია: იმანენტური მეთოდი, ისტორიულ-შდარებითი მეთოდი, ვალენტობის თეორია.

მსჯელობა

ქართული ენის შიდა და სამხრეთ-დასავლური დიალექტებიდან ზოგი მათგანი საუკუნეობით არის მოწყვეტილი ქართული ენის დიალექტურ სივრცეს, მაგრამ თავის თავთან იდენტობა არც ერთ მათგანს ჯერაც დაკარგული არ აქვს. თუმცა სრულად ასიმილირებული ქართული დიალექტური ჯგუფებიც არსებობენ, არსებობენ ისეთი მიკროკოდებიც (იმერხევში), რომელთა გამოყენების არე არა მხოლოდ საოჯახოთი შემოისაზღვრება, არამედ გამოიყენება, შეიძლება ითქვას, საზაფხულოდ, აგარაკებზე (ღუტიძე 2014: 78).

საერთო მორფოლოგიურსა და სინტაქსურ მოვლენებს ქართული ენის დიალექტებს შორის განაპირობებს მათი საერთო წარმომავლობა. ის დიალექტები, რომლებსაც ვგულისხმობთ შიდა დიალექტებში ანუ საქართველოს საზღვრებს შიგნით არსებულ სამეტყველო დიალექტურ არეალებში, ისტორიულად ძირითადად გავრცელებული იყო მტკვრის, არაგვის, ჭოროხის, რიონისა და ცხენისწყლის ხეობებში. ამ ტოპოსებიდან მომდინარეობს ამ არეალებში გავრცელებული ქართული დიალექტების თანამედროვე სახელწოდებებიც: ,,მტკვრის ხეობის“, ,,არაგვის ხეობის“, ,,ჭოროხის ხეობის“ და ა.შ. დიალექტები. ამათგან მტკვრისა და ჭოროხის ხეობების ქართული დიალექტები აღმოჩნდნენ თურქეთის ტერიტორიაზე.

შეუძლებელია ყველა იმ მოვლენის აღნუსხვა, რომელიც ქართული ენის შიდა დიალექტურ კოდებს საერთო აქვთ საზღვარს მიღმა დიალექტებთან, სამხრულსა და სამხრეთ-დასავლურ დიალექტურ მეტყველებასთან, ამიტომ ამჯერად ვეხებით რამდენიმე მეტად საინტერესო საკითხს მორფოლოგიიდან და მორფოსინტაქსიდან, კერძოდ:

ა) ამ დიალექტებს შორის საერთო მორფოლოგიურ მოვლენას, რომელიც ეხება **უნდა** მოდალურ ნაწილაკსა და ზმნას;

ბ) **ისვრის** ზმნის მორფოლოგიური ფორმის ვარიაციებს აღნიშნული დიალექტების მიხედვით;

გ) დიაკვაზინომინატიური და დიაკვაზიერგატიული კონსტრუქციების მონაცვლეობას, რომლის დროსაც მოთხრობითი ბრუნვა გამოიყენება განსაზღვრება-განუსაზღვრელობის ფუნქციით.

ამ საკითხებს განვიხილავთ ცალ-ცალკე:

ა) ზოგ შემთხვევაში მეტად საყურადღებოა ფორმაცვლილი ზმნური ფორმები, რომლის დროსაც ვხვდებით საერთოქართული დიალექტური სივრცისთვისაც დამახასიათებელ ფაქტებს, რითაც იკვეთება საერთო დიალექტური ტენდენციები, მაგრამ მათი ახსნისას ამჯერად ამოსავლად ვიყენებთ ქვემოიმერულის მოზაიკურ სამეტყველო არეალს, რადგან აქ მიგრაციების გამო გვხვდება ქართული ენის რამდენიმე დიალექტი: მიმღებია ქვემოიმერული დიალექტური კოდი, მიგრირებულია ადიგენური მესხური, სხალთისხეობური აჭარული, ლეჩხუმური; ეკომიგრაციის საფუძველზე აქ დიდი ხანია ცხოვრობენ ქვემო, ჩოლურელი და ზემო სვანები: ამ არეალში კარგა ხანია სახლობენ ე.წ. ,,თურქი მესხები“. ამ

სამეტყველო გარემოში აფხაზეთის ომის გამო მოხვდნენ ლენტეხური, ჩოლურული, ლაშხური, ზემოსვანური და მეგრული (სამურზაყანოული) მეტყველების წარმომადგენლები. თავისთავად ეს არეალი ემეზობლება სამეგრელოს, ამიტომ ქვემოიმერულის ყველა დონეზე ჩანს მეგრულის სუბსტრატი. მიგრირებულ კოდებს, მაგალითად, აჭარულს თავისი ისტორიული საცხოვრისიდან შემოტანილი აქვს მეგრულის სუბსტრატი, ხოლო ლეჩხუმურს სვანურის სუბსტრატი. არსებობს ქართველურ სამეტყველო კოდთა შეხვედრის ფაქტები ქვემოიმერულის (ხონის) სამეგრელოსპირა, ლეჩხუმის მოსაზღვრედ, მთიან სოფლებში.

უნდა მოდალური ნაწილაკისა და ზმნის შემთხვევაში ქვემოიმერულში სახეზეა ინოვაციის წარმოქმნის, გავრცელებისა და დამკვიდრების სამეცნიერო თეორიულ ლიტერატურაშიც კარგად ცნობილი საფეხურებრივი მოვლენა (Косериу 1963: 154): გვხვდება სალიტერატურო ენის მორფოლოგიური ინვენტარის გამოყენებით წარმოქმნილი **უნდა** ზმნის ინოვაციური ფორმა **უნდავენ** „უნდათ“, ეს ფორმა გასული საუკუნის დასასრულს იყო სამტრედიულში და თანდათან გავრცელებულა ახლომდებარე თქმებსა და ქცევებში. არსებობს, ასევე, **უნდავიენ** ფორმაც ხონის რაიონის სოფ. ხიდის მეტყველებაში (ფორმა მოგვაწოდა რ. საღინაძემ).

ქართულ სალიტერატურო ენაში **უნდა** ნაწილაკისა და ზმნის შესახებ არსებობს გამოკვლევები, ხოლო კერძოდ ქვემოიმერულის მოზაიკურ არეალში მიგრირებულ ადიგენელ მესხთა მეტყველებაში ჟ. ფეიქრიშვილისეული ახსნა ამ ფორმათა წარმომავლობისა და ბგერობრივი ცვლილების შესახებ ასეთია; მეცნიერი სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ ცნობილ მოსაზრებებზე დაყრდნობით წერს: „გრამატიკული ობიექტის მრავლობითობის გამოხატვას -**ან** ნიშნით, -**თ** სუფიქსის გარდა, ხელს უწყობს ისიც, რომ რეალურად იგი სუბიექტია“, ადიგენელთა მესხურში დასტურდება -**ან** სუფიქსი (სძინავან, ჰყავან, აქვანან, უყვარან), ხოლო ქვემოიმერულში მოქმედებს უნიფიკაციის ტენდენცია, ამიტომ ახალგაზრდათა მეტყველებაში შეინიშნება ორივე ტიპის წარმოება: **სძინავენ, ჰყავენ || სძინავან, ჰყავან.** ინვერსიულ ზმნათა წარმოების ეს წესი ზოგჯერ უფრო შორს მიდის: გვაქვს **უნდანან, აქვან** ფორმები. ცნობილია, რომ ძველ ქართულში აწმყოს **ქუ** ფუძეს დაერთვოდა -**ან** თემის ნიშანი სავრცობიან მწკრივებში და **ქუანდა** ფორმა მიიღებოდა. მოხდა **უა**-ს შერწყმა და მივიღეთ **ქონდა.** ეს **ქონ** ფუძე ძველად აწმყოშიც იხმარებოდა, მაგალითად: **მქონან** იგივეა, რაც **აქონან. ო**-საგან მივიღეთ **ვა** კომპლექსი, **აქვანან.** ამის ანალოგიით არის წარმოქმნილი **უნდანან** (ფეიქრიშვილი 2007: 100-101) (უნდა ნაწილაკის შესახებ სალიტერატურო ენაში იხ. შარაშენიძე 1999: 49-56).

ქართული ენის სხვადასხვა დიალექტში წარმოქმნილია ბგერობრივად განსხვავებული ფორმები. რაც საინტერესოა, აღმოსავლურ დიალექტებშიც იმავე ფორმებს ვხვდებით. ძველი ქართულის ფორმათქმნადობის კანონზომიერება მთელს ქართულ დიალექტურ სივრცეშია შენარჩუნებული. ეს ყოველივე ქართულ დიალექტებში მიმდინარე დიაპროცესის გამოხატულებაა.

უნდა ზმნის ცვლილებები გვხვდება აჭარულში, რომლის თავისებურებანი შენახულია მუჰაჯირების ქართულში, რადგან, როგორც

გამოკვლეულია, მუჰაჯირების ქართულში აჭარულის თავისებურებებია განზოგადებული: **უნდ-ან-ან;** გვხვდება ,,ჩვენებურების ქართულში“: **უნდ-ა-რ-ან**: წამოხმარება **უნდარან** და არ აძლევდენ; დამოუკიდებლობა **უნდარან** (ფუტკარაძე 1993: 151, 152); ასეთი, **რ**-ჩართული ფორმა სხვაგან არ იპოვება, **ნ:რ** შენაცვლება, შესაძლოა, მეგრული დიაფონის, ნაზალიზაციის, შესუსტების შედეგი იყოს.

ფშაურშია – **უნდ-ან-ან-თ**, ხევსურულში – **უნდ-ან** (ჭინჭარაული 1961: 398). ქვემოიმერულია **უნდ-ენ**, ხოლო ადიგენელ მესხთა მეტყველებაში შეურევლადაა შემონახული **უნდა** ნაწილაკის **-ნა** ფორმა, რომელიც მიერთვის ზმნას, მაგალითად: შეუნახო-**ნა.**

ქვემოიმერულში **უნდ-ენ** ზმნურ ფორმაში-**ენ** სუფიქსი მიღებულია -**ან** უძველესი თემის ნიშნის ხმოვნის ცვლილებით ,,ეურობის“ საფუძველზე, **-ან>-ენ**, გამოყენების სიხშირე განაპირობა სალიტერატურო -**თ** სუფიქსისთვის თავის არიდების მცდელობამ, ხოლო აჭარულსა და ფშაურში სხვა პროცესია სავარაუდო: **-ან** თემის ნიშნის შემდეგ ზმნაში ჩნდება -**ენ** მრავლობითის ნიშანი. თანმიმდევრობის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, -**თ** სუფიქსი გვიანდელია, სალიტერატურო ენის გამოხატულებაა. **უნდ-ავ-ენ** ფორმაში თუ **ვ**-ს ცალკე გამოვყოფთ, ძნელია თქმა, **ვ** ჩანართია თუ სუბიექტური წყობის აღმნიშვნელი: ობიექტური წყობის (მინდა, გინდა, უნდა) და სუბიექტური წყობის (ვუნდივარ, უნდიხარ, უნდა) კონტამინაციის შედეგი. მაგრამ ამ ფორმებში დასაშვებია -**ავ** თემის ნიშნის გამოყოფა, რახან უძველეს ქართულში უნდა ყოფილიყო -**ან** თემის ნიშანი. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ქვემოიმერულში -**ენ** და -**ლარიენ** სუფიქსებით ნაწარმოები ფორმები: (მო)უნდ-ებ-ი-**ენ** / უნდ-ებ-**ლარიენ**. ქვემოიმერულში ასეთ წარმოებას დაბრკოლება არ ხვდება. ასეთი რამ საქართველოს საზღვრის მიღმა არსებულ კოდებში არ გვხვდება, მაგრამ ჩანს, რომ ამ ფორმათა ძველი ქართულიდან მომდინარე ცვლილებებს თვით დიალექტებში მიმდინარე შინაგანი განვითარების ტენდენციები განსაზღვრავს.

ამ სიტყვაფორმებთან აღსანიშნავია ისიც, რომ **უნდა** ნაწილაკის მოკლე ფორმა -**ნა** გვხვდება მესხურში, საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგაც ქვემო იმერეთში ადიგენელ მესხებს იგი შემონახული აქვთ: შეუნახო-**ნა**, დაკრიალებული-**ნა** იყოს.

ამ მოდალური ნაწილაკის მეორე მარცვალი **და** გვხვდება მხოლოდ შავშურში, თანაც ერთი პირის მეტყველებაში და ერთსა და იმავე წინადადებაში. როგორც მუჰაჯირების მეტყველებაში, შავშურში ერთსა და იმავე წინადადებაში გვხვდება -**ნა**-ც და იმავე **უნდა** მოდალური ნაწილაკის მეორე მარცვალი -**და** (შავშურში): „შენზე ათ ტკაველ ზემოში არ-**და** გეერიო, შენ ქვემოთ ათ ტკაველში არ-**ნა** გეერიო (მანატბა)“ (ფაღავა… 2022, 304);

ჩვენი ვარაუდით, **უნდა** ნაწილაკის **და** ნაწილს, შესაძლოა, მოდალობის გამაძლიერებელი ფუნქცია ჰქონდეს. სხვა შემთხვევაში სხვადასხვა ნაწილის გამოყენებას საფუძველი არ აქვს. რომელიღაცა ნაწილი მოდალურად განსხვავდება მეორისგან, ან ფორმალურ სიტუაციაში სათქმელად იგულისხმება.

ამ ნაწილაკის შესახებ საინტერესოა ნ. სურმავას მოსაზრება: „ნაშრომში (იგულისხმება ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი – ც.ბ.) ყურადღება გამახვილებულია **უნდა** ზმნის მრავლობითის ფორმაზე **უნდავენ.**

იგი შეფასებულია, როგორც ინოვაცია. ფორმის ერთეული ნიმუშები დადასტურებულია სამტრედიულ მეტყველებაში“. მისი აზრით, „მას მივყავართ ქართველ ებრაელთა მეტყველებასთან: „**უნდოდავე** შვილი ყოლებოდათ“, „როგორც **გინდავე** და რანაირათაც მეგენებებავე, ისე თქვენი შეხედულობით იქცევით.“ ეს ამონარიდებია რ. თავდიდიშვილის ტექსტებიდან“ (სურმავა 2025: 3).

ჩვენი აზრით, ქვემოიმერულ მიკროკოდთა **-ავ** ნიშნიან ფორმებს ებრაელთა მოცემულ ფორმებთან კავშირი არ აქვთ. ებრაელთა მეტყველებაში **-ვე** ნაწილაკი მიჩნეულია **-ყე** ნაწილაკის ფუნქციურ ეკვივალენტად. მოვიხმობთ სათანადო ადგილს ჩვენი სადისერტაციო ნაშრომიდან: ,,ქუთაისელი ებრაელების მეტყველების თავისებურებანი კარგადაა შესწავლილი (რ. ენოხი, თ. ლომთაძე, რ. საღინაძე...). ქუთაისელ ებრაელთაგან როზა თავდიდიშვილის მიერ გასული საუკუნის 30-იან წლებში ჩაწერილ ტექსტებში მოცემულია ქართულში კარგად ცნობილი **-ყე** ნაწილაკის ფუნქციური ეკვივალენტი **-ვე** ნაწილაკი, ამ ნაწილაკის შესახებ მანამდეც არსებობდა ცნობა (რ. ენოხი) (სურმავა 2014, 39); ამის შესახებ მოსაზრება გამოთქმული აქვს ი. შამელაშვილსაც (1959), ისიც **-ვე** ნაწილაკს უკავშირებს **-ყე**-ს (იხ. ზექალაშვილი 2014, 104). ამგვარად, სახეზეა მორფოლოგიური ელემენტის რეინტერპრეტაციის ფაქტი“ (ბენდელიანი 2025: 39).

უნდ-ავ-ენ, უნდ-ავ-ი-ენ ფორმებში **-ავ** ძველი ქართული **-ან** თემის ნიშნის მონაცვლე უნდა იყოს, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამტრედიულსა და ხონურს უშუალო მეზობლობა ჰქონდათ კულაშელ და ქუთაისელ ებრაელებთან. ქუთაისელ ებრაელთა დანატოვარ ენობრივ მასალაში ამჟამად ეს ფორმები არ არის. კვლევის ამ ეტაპზე ჩვენი აზრი ამ ფორმათა მიმართ ასეთია.

2. ცოცხალ მეტყველებაში სამეტყველო კოდთა ურთიერთზემოქმედებით ხდება ზმნათა ფუნქციური დიფერენცირებაც. ასეთი მაგალითია ქვემოიმერულში ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედების აღსანიშნად ინოვაციური ფორმების წარმოქმნა: ლეჩხ. **სროულობს** ქვემოიმერულში ლეჩხუმელთა შემონატანია, მაგრამ მას ზოგჯერ იყენებენ ქვემოიმერლებიც. ინოვაციურია **სროლავს,** ერთჯერადობის ნიუანსით, მას იყენებდნენ მხოლოდ სამტრედიელები და თანდათან ვრცელდება ირგვლივ მდებარე მიკროკოდებში.

სალიტერატურო **ისვრის** თავისი ყალიბის მიხედვით **ი**-ხმოვან-პრეფიქსიანი უკუქცევითი ფორმაა, მაგრამ ზმნურ კონსტრუქციაში გამოიყენება არა უკუქცევითი ყალიბით, არამედ აღნიშნავს საარვისო ქცევის მოქმედების არეს: **ისვრის** ის მას, **ესვრის** ის მას მას.

საერთოდ, ეს ზმნა სპეციფიკურია, ამიტომ ქართული ენის დიალექტებში მას სხვადასხვა ფორმა აქვს, მაგალითად, ფშაურში აქვს **ა**-ხმოვანი პრეფიქსიც: **ასვრის:** ლეკები **ასვრიან** თოფებსა (შანიძე 1984: 194). ეს უკანასკნელი ასახულია მორფოსინტაქსშიც: **ისვრის** ის, **ისვრის** ის მას, **სროლავს** ის, **სროლავს** ის მას, **ასვრის** ის მას. მოსალოდნელი იყო **ასვრის** ის მას მას, ამ შემთხვევაში **ა-** იქნებოდა **ე-** ხმოვანპრეფიქსის ფუნქციური ეკვივალენტი: **ესვრის** ის მას მას / **ასვრის** ის მას მას. ჩვენი აზრით, მისი

ყალიბია არტყამს (ეს ზმნაც სროლასთან არის დაკავშირებული, არტყამს ის მას ტყვიას), მაგრამ **ა-სვრის** ზმნა სამი პირით მასალობრივად არ შეგვხვედრია.

ვ. თოფურია წერს, რომ **ი-სარი** და **სრ-ოლ-ა, სი-სრ-ა, ი-სვრ-ის**, და ხევსურულში **სრ-ევ-ა, ი-სრ-ევ-ს, ე-სრ-ევ-ს** („თოფის სრევა"; „მეთოფე ...ესრევს", ხევსურული მასალების მიხედვით) უჩვენებს, რომ ძირია **სარ**- და **ი-** პრეფიქსი (არნ. ჩიქობავა), ჭან. **ისიჯი** „ისარი", მეგრ. **ისგნდი** „შუბი", ისინდი „ჯირითი", „სისრა" იძლევა საშუალებას, რომ ისარ-ში -**არ** სუფიქსად გამოიყოს" (თოფურია 1979: 97). ამდენად, **ასვრის** ფორმას ემატება -**ე** ხმოვანპრეფიქსიანი ხევსურული **ე-სრ-ევ-ს,** რომელიც კონტექსტში შესაძლოა სამპირიანიც იყოს, მსგავსად **ე-სვრის** ზმნისა.

იმერულში (ვანურ თქმაში) არის **უ-** პრეფიქსიანი ფორმაც: **უსროდა** ქვეფს და ებძოდა უბედურათ (შარაშენიძე 2008, 275), იმერულში არის უპრეფიქსო ფორმაც **სვრის „**ისვრის" (ჯორბენაძე 1989: 476), მრ. რ.: **სვრი-ან**.

დიალექტურმა მიკროკოდებმა, ერთი მხრივ, შეცვალეს ხმოვანი პრეფიქსი, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ზმნას ხმოვანპრეფიქსი საერთოდ ჩამოშორდა, როგორც შეუსაბამო ზმნის ფუნქციასთან, ხოლო სხვა დიალექტმა მას ფუნქციის შესაბამისი ხმოვანი პრეფიქსი დაურთო: **ასვრის** (მოხეური ეს ზმნა კონტექსტში მხოლოდ III პირის ფორმით გვხვდება: ლეკები **ასვრიან** თოფებსა (შანიძე 1984: 194). სავარაუდოდ, მას I-II პირის ფორმები არ აქვს. ამ კონსტრუქციაში ეს ზმნა ორპირიანია: ასვრის ის მას, ერთვალენტიანია, მაგრამ შეიძლება იყოს სამპირიანიც, ანალოგიით **არტყამს** ზმნის ყალიბისა. ეს ზმნაც თავისებურია, **არტყამს** ის მას მას, **ურტყამს** ის მას მას, **ირტყამს** ის ქამარს, მაგრამ **ირტყამს** ის მას (თავში რაღაცას). ხმოვანი პრეფიქსების მიხედვითაა სემანტიკის ცვლილებაც და პირის კლება-მატებაც.

დიალექტებში ხშირად ხდება სალიტერატურო ენის ან დიალექტის ნორმის ნაკლულევანების შევსებაც: მაგალითად, სალიტ. **ისვრის** ერთპირიანი და ერთვალენტიანია, მაგრამ არა უკუქცევითი, ვინც ისვრის, თავისთვის არ სჩადის ამ მოქმედებას, ორპირიანი ფორმაც: **ესვრის** ის მას ერთვალენტიანია, ფუნქციურად არ გამოხატავს უკუქცევითობას, ყალიბი არ ეთანადება ფუნქციას. ასვრის ის რაღაცას, ორპირიანია და ერთვალენტიანი, მაგრამ სამპირიანია და ერთვალენტიანი, როცა არტყამს ზმნის ყალიბით განვიხილავთ.

საქმე სწორედ ამ ერთვალენტიანობაშია, ზმნას არ აქვს ობიექტური პირებისთვის ადგილი, ცნობილი ტერმინით, ადგილიანობა. ის ყალიბით უკუქცევითია და ადგილიც ერთი პირისთვის აქვს, სუბიექტისთვის; არ არის გამოხატული არც ერთჯერადობა და არც მრავალგზისობა. დიალექტური სროულობს მრავალგზისობას გამოხატავს, **სროლავს** – ერთჯერად მოქმედებას. ასეთი გამიჯვნა არ არის ამ დიალექტთა ნორმაში, არც სალიტერატურო ენაშია, ამიტომ ქვემოიმერულმა დიალექტმა ამ ინოვაციური ფორმებით გამოძებნა ენობრივი საშუალება ერთგზისი მოქმედების გამოსახატავად. ასეთივეა: **შოულობს** და **შონავს; შოულობს** ზმნის ტიპისაა **შოვნილობს,** ხოლო პარალელურად გავრცელებულია **შონობს** (საღინაძე 2004: 54-55), გვხვდება შ**ონილობს** ფორმაც.

კლარჯულში დადასტურებულია: **მსვრელი** „ვინც ისვრის, მსროლელი“. კარქა **ვსვრი** მაუზერ (ქლასკური); ვსრი გვხვდება მაჭახლურშიც: ბაბამ ლივერი მიყიდა, ვსრი და **ვსრი (**ქედქედი) (ფაღავა... 2023: 67), შდრ. იმერული **სვრის,** რომელშიც, განსხვავებით მაჭახლურისგან, ზმნის ძველქართული ძირი **სრ-ევ-ა** შენარჩუნებული არ არის, მაგრამ ერთნაირია კლარჯულსა და იმერულში: **მ-სვრ-ელ-ი.** ძირში **ვ** ბგერის ჩართვა მოულოდნელი იყო, უნდა ყოფილიყო -**სრ**- ძირი.

3. რაც შეეხება კვაზიერგატიულ კონსტრუქციებში მოთხრობითი ბრუნვის რეინტერპრეტაციის ფაქტს, მისი მსგავსი არ არის მთელს ქართულენოვან დიალექტურ სივრცეში. მუჰაჯირების მეტყველების შესახებ გამოკვლევიდან მოვიხმობთ ასეთ დაკვირვებას: „მუჰაჯირთა აჭარულ დიალექტში დასტურდება ერგატიული კონსტრუქციის არეალის გაფართოება ნიგალურ-ლაზურისებურად, მაგალითად, კაცმა საჭმელი აკეთეფს „კაცი საჭმელს აკეთებს“; „დუზჯეში ორ ძმამ ვაჭრობდა („ვაჭრობას იქამდა“); როგორც ცნობილია, თანამედროვე ზემოაჭარულს ასეთი რამ არ ახასიათებს, მაგრამ მუჰაჯირთა წარმომავლების მეტყველებაში ის შეიძლება ძალზე ხშირად შეგვხვდეს, როგორც ნიგალურთან და ლაზურთან ინტერფერენციის შედეგები“ (ფუტკარაძე... 2022: 306).

იმავე ავტორთა წიგნის მიხედვით ამ არეალში დასტურდება ძალზე საინტერესო შემთხვევაც: მოთხრობითი ბრუნვა ზოგჯერ მიუთითებს სახელის განსაზღვრულობაზე: **კაცი გეღარა,** ნიშნავს: ვიღაც კაცმა გაიარა, რომლის შესახებაც ადრე საუბარი არ ყოფილა, ხოლო **კაცმა გეღარა,** ნიშნავს გაიარა კაცმა, ვისზეც წინათ საუბარი იყო (იქვე, 306).

ეს მოვლენა ანალოგიურია ევროპული ენების განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლის ფუნქციისა (შდრ. გერმ. ენაში: Ein Mann, განუსაზღრელი არტიკლით, როცა სახელი პირველად არის მოხსენიებული, ხოლო განსაზღვრული არტიკლით, Der Mann, როცა კვლავ სახელდება), მაგრამ ევროპულ ენათა მოვლენებს ამ არეალის ქართულენოვან კოდებთან შეხება არასოდეს ჰქონია.

სავარაუდოა თურქული გარემოს ზემოქმედება. მოვიხმობთ თურქულის გრამატიკის მონაცემებს: თურქულ ენაში განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა (belirlilik-belirlizlik) ძირითადად არსებით სახელებთან მიმართებით ჩანს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ობიექტური წინადადების სტრუქტურაში. განსაზღვრულობის დროს ობიექტი კონკრეტულად ცნობილია და წინადადებაში belirli ობიექტური ფორმებით გამოიხატება, თურქულში მას ხშირად ბრუნვები გამოხატავენ. ქართულთან საერთო თურქულს აქვს ჩვენებითი ნაცვალსახელებისა და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის (ერთი – bir) გამოყენება (ქაროსანიძე-ქირსაჩი 2025: 7).

თურქულის გავლენით ასეთი კონსტრუქციების წარმოქმნა ვერ ხსნის ამ სინტაქსური მოვლენის არსს, რადგან თურქული უერგატივო ენაა. გვხვდება ქართულენოვან კოდებში ერგატივის მაგიერ ნომინატივი, მაგრამ არა პირუკუ პროცესი: [გურჯული] ჩემი ქალი ჩემზე კაი იცის და თაზე არი (ჩიხორი); თელი სოფელი თურქჩა არ იცის (მაჩხატეთი) (ფაღავა… 2023: 76). ქართულში ამ სინტაქსურ მოვლენასთან უფრო ახლოს დგას ძველი

ქართულის ნაწევარის ფუნქცია. ნაწევარიც საგნის განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობას გამოხატავდა.

ა. შანიძის აზრით, თავდაპირველად უძველეს ქართულში მოთხრობითის ნიშანი უნდა ყოფილიყო **-ნ**: კაც-ნ, რომელიც გამოხატავდა განუსაზღვრელ სახელს, ხოლო ნაწევარი მან სახელს განსაზღვრულად წარმოადგენდა: **კაც-ნ - კაც-მან.** შემდგომ **-ნ** ნიშანი შეერწყა **-მან** ნაწევარს და მივიღეთ მოთხრობითის **-მან** ნიშანი (შანიძე 1980: 619-621). შესაძლოა სახელობითი (კაცი გეიარა) სწორედ უძველესი ქართულის განუსაზღვრელი ნომინატივისა (კაც/ein Mensch) და განსაზღვრელი ნომინატივის (კაცი იგი / der Mensch), ფარდი მოვლენა იყოს, როგორც ამას ა. შანიძე ფიქრობდა (იქვე: 619).

შესაძლოა, სხვაენოვან გარემოცვაში ქართულმა ენობრივმა ცნობიერებამ სემანტიკის დონეზე მშობლიურ ენაში მოიძია განსაზღვრულის, ნაცნობის, შეიძლება ითქვას, სულიერის (რომელსაც საერთოდ მოთხრობითი ბრუნვის სემანტიკა გულისხმობს), გამოხატვის საშუალება და იგი იპოვა მოთხრობითი ბრუნვის სახით. იძულებით გადაადგილებულნი განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან მშობლიური ენისა და მისი სამეტყველო კოდის მიმართ, მუჰაჯირების მეტყველებაში ეს მორფოსინტაქსური კონსტრუქცია ამ კანონზომიერებას შეიძლება გამოხატავდეს.

დასკვნა

1 .ქართული ენის შიდა და სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში წარმოქმნილი ბგერობრივად განსხვავებული ფორმები ამ დიალექტებში მიმდინარე დიაპროცესის გამოხატულებაა. ამ დიაპროცესს საფუძვლად უდევს საერთოქართველური / ძველი ქართულის ფორმათქმნადობის კანონზომიერებები.

2. **უნდა** ზმნისა და მოდალური ნაწილაკის ქართულ შიდა და საზღვარსმიღმა დადასტურებულ ფორმებში **-ან** უძველესი თემის ნიშანია, რომლის მონაცვლე უნდა იყოს ქვემოიმერულ მიკროკოდებში **-ავ** თემის ნიშანი: **უნდ-ან (უნდ-ენ) / -უნდ-ან-ან /-უნდ-ან-ან-თ,** ხოლო ებრაელთა მეტყველებაში დადასტურებული **უნდოდავე, გინდავე, მეგენებებავე,** მისაჩნევია **-ყე** ნაწილაკის ფუნქციურ ეკვივალენტად.

3. მასალობრივად **უნდა** ნაწილაკის **ნა/და** ნაწილების გამოყენებას ერთი პირის მეტყველებაში, წინადადებებში ერთმანეთის მიყოლებით, ნებისმიერი არ უნდა იყოს; შესაძლოა ინტონაციური საფუძველი ჰქონდეს, ცვლიდეს მოდალობას, რომელიმე მათგანი აძლიერებდეს მას. დიალექტური ტექსტების ჩაწერის თანამედროვე ტექნიკისა და ფონოლოგიური სიზუსტის შემთხვევაშიც კი სხვა მხრივ მათი დანიშნულება გაურკვეველია.

4. **ი-სვრ-ის / *სრ-ოლ-ულ-ობ-ს / ა-სვრ-ის / სრ-ოლ-ავ-ს/სვრ-ის / უ-სვრის,** შდრ. **შოულობს / შონავს / შონობს / შოვნილობს** ფორმათა სხვადასხვა დიალექტური ვარიანტების არსებობა მიგვითითებს შერევების სიღრმისეულ ფაქტორებზე ანუ სხვადასხვა დიალექტურ / ენობრივ გარემოში მოქმედებს ძველი ქართულის / საერთოქართულის ფაქტორები, წარმოდგენილია დიალექტებში მიმდინარე დიაპროცესის შედეგები.

5. დიალექტურმა მიკროკოდებმა, ერთი მხრივ, შეცვალეს ხმოვანი პრეფიქსი, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ზმნას ხმოვანპრეფიქსი საერთოდ

ჩამოშორდა, როგორც შეუსაბამო ზმნის ფუნქციასთან, ხოლო სხვა დიალექტმა მას ფუნქციის შესაბამისი ხმოვანი პრეფიქსი დაურთო: **ასვრის** (მოხეური). ეს ზმნა კონტექსტში მხოლოდ III პირის ფორმით გვხვდება: ლეკები **ასვრიან** თოფებსა. ხმოვანი პრეფიქსების მიხედვითაა სემანტიკის ცვლილებაც და პირის კლება-მატებაც, მასზეა დამოკიდებული ზმნათა ვალენტობაც.

6. მუჰაჯირების ქართულში არსებული იშვიათი სინტაქსური კონსტრუქცია ვერ აიხსნება უერგატივო თურქულის გავლენით: მოთხრობითი ბრუნვა ზოგჯერ მიუთითებს სახელის განსაზღვრულობაზე: **კაცი გეჲარა,** ნიშნავს: ვიღაც კაცმა გაიარა, რომლის შესახებაც ადრე საუბარი არ ყოფილა, ხოლო **კაცმა გეჲარა,** ნიშნავს გაიარა კაცმა, ვისზეც წინათ საუბარი იყო. ქართულში ამ სინტაქსურ მოვლენასთან ახლოს დგას ძველი ქართული ნაწევარის ფუნქცია. ნაწევარიც საგნის განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობას გამოხატავდა.

7. იძულებით გადაადგილებულნი განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან მშობლიური ენისა და მისი სამეტყველო კოდის მიმართ, მუჰაჯირების მეტყველებაში ეს მორფოსინტაქსური კონსტრუქცია გამოვლენაა მშობლიური ენის მორფოლოგიური ინვენტარის გამოყენებისა.

გამოყენებული ლიტერატურა

თოფურია 1979: თოფურია ვ., ხმოვანთავსართოვანი სახელები. შრომები, III. თბილისი.

სურმავა 2025: სურმავა ნ., გამოხმაურება ც. ბენდელიანის სადისერტაციო ნაშრომზე: ,,მოზაიკური სამეტყველო არეალის მორფოსინტაქსური ასპექტები ქვემოიმერულში“. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 12.07.2025.

ფაღავა... 2020: ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ქართული ენის ტაოური დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი). ბათუმი.

ფაღავა... 2022: ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ქართული ენის შავშური დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი). ბათუმი.

ფაღავა... 2023: ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ქართული ენის კლარჯული დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი). თბილისი.

ფეიქრიშვილი 2007: ფეიქრიშვილი ჟ., მესხურ და იმერულ დიალექტთა შერევა ახალშენის მეტყველებაში. თბილისი.

ფუტკარაძე 1993: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული. ბათუმი.

ფუტკარაძე... 2022: ფუტკარაძე ტ., ტაბიძე მ., ლაბაძე მ., კეკუა ს., გეჯუა კ., ჩელები ფ., სალია-ბეშიროღლუ მ., ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების მიხედვით. თბილისი.

ღუტიძე 2014: ღუტიძე ი., იმერხევის ენობრივი ვითარება, I. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XLII. თბილისი.

შანიძე 1980: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თხზულებანი 12 ტომად, ტ. III. თბილისი.

შანიძე 1984: შანიძე ა., ქართული კილოები მთაში. თხზულებანი 12 ტომად, ტ. I. თბილისი.

შარაშენიძე 1999: შარაშენიძე ნ., უნდა მოდალური ფორმის ისტორიისა და მორფოსინტაქსური ანალიზისათვის. ენათმეცნიერების საკითხები, №4.
შარაშენიძე 2008: შარაშენიძე ნ., საჩინოური ქართული. თბილისი.
ჭინჭარაული 1961: ჭინჭარაული ა., ხევსურულის თავისებურებანი. თბილისი.
ჯორბენაძე 1989: ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I. თბილისი.
Косериу 1963: Косериу Е., Синхрония, диахрония и история. Новое в лингвистике, т. III. Москва.

References

Chincharauli 1961: Chincharauli A., Peculiarities of Khevsurian. Tbilisi.
Ghutidze 2014: Language situation of the Imerkhewian, I. Ibero-Caucasian Linguistic, XLII, Tbilisi.
Coseriu 1963: Coseriu E., Synchrony, Diachrony, and History, New in Linguistics. vol. III. Moscow.
Jorbenadze 1989: Jorbenadze B., Georgian Dialectology. Tbilisi.
Paghava... 2020: Paghava M., Tsintsadze M., Baramidze M., Taoan Dialect of the Georgian Language (Research, Materials, Glossary). Batumi.
Paghava... 2022: Paghava M., Tsintsadze M., Baramidze M., Shavshuri Dialect of the Georgian Language (Research, Materials, Glossary). Batumi.
Paghava... 2023: Paghava M., Tsintsadze M., Baramidze M., Klarjuli Dialect of the Georgian Language (Research, Materials, Glossary). Tbilisi.
Peikrishvili 2007: Peikrishvili Zh., Mixing of Meskhetian and Imeretian Dialects in the Speech Code of Akhaltsikhe. Tbilisi.
Putkaradze 1993: Putkaradze Sh., Georgian of our kin. Batumi.
Putkaradze... 2022: Putkaradze T., Tabidze M., Labadze M., Kekua S., Gejua K., Chelebi F., Salia-Beşiroğlu M., The Kartvelian-Turkish Codemixing Regularities according to the Speech of Kartvelian-speaking Muhajirs' Descendants. Tbilisi.
Shanidze 1980: Shanidze A., The Basics of the Grammar of the Georgian Language. Works in Twelve Volumes. vol. III. Tbilisi.
Shanidze 1984: Shanidze A., Georgian Mountainous Dialects. Works in Twelve Volumes. vol. I, Tbilisi.
Sharashidze 1999: Sharashidze N., For the History and Morphosyntactic Analysis of the Modal Verb Must - უნდა [unda]. Linguistic Papers №4.
Sharashidze 2008: Sharashidze N., Sachino Dialect of the Georgian Language. Tbilisi.
Surmava 2025: Surmava N., Comments on Ts. Bendeliani's dissertation: "Morphosyntactic Aspects of the Mosaic Speech Area in Kvemo-Imeretian Dialect". Akaki Tsereteli State University, 12.07. 2025.
Topuria 1979: Topuria V., Vowel Prefixes in Georgian Nouns. Works, III. Tbilisi.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.04

მაწყვერელ მღვდელმთავართა ქრონოლოგიური ნუსხა[1]

CHRONOLOGICAL LIST OF THE BISHOPS OF ATSKURI

გოდერძი ბოლქვაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Goderdzi Bolkvadze
Sokhumi State University
Tbilisi, Georgia

აბსტრაქტი

აწყურის ეპარქია ერთ-ერთი უძველესი საეპისკოპოსო კათედრაა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში (ქართლის (მცხეთის) საკათოლიკოსოში). შუა საუკუნეებში აწყურის კათედრის პატივის გამომხატველი იყო მმართველი ეპისკოპოსის ადგილი საქართველოს (ქართლის) ეკლესიის მღვდელმთავართა შორის და ტიტული. მაწყვერელი ჯერ იყო ეპისკოპოსის ტიტულის მატარებელი, მოგვიანებით ის გახდა მთავარეპისკოპოსი. მაწყვერელი მღვდელმთავრის პატივი და ადგილი მღვდელმთავართა შორის ჩანს სხვადასხვა წყაროში. „კურთხევა მირონისას“ მიხედვით განსაზღვრულია, კათოლიკოსთან ერთად რომელი მღვდელმთავრები კისრულობენ საპატიო ფუნქციას მირონის ხარშვის პროცესში. უპირველესად დასახელებულია დიდი სომხეთისა მიტროპოლიტი, შემდგომ ქართლის მთავარეპისკოპოსი და მათ შემდგომ მაწყვერელი. „განგება დარბაზობისას“ მიხედვით მაწყვერელი ქართლის საკათოლიკოსოს იურისდიქციაში მყოფ მღვდელმთავართა შორის რიგით მესამეა, დიდისა სომხეთისა მიტროპოლიტის და ქართლის მთავარეპისკოპოსის შემდეგ. სამცხის ათაბაგების განკერძოების პოლიტიკა აისახებოდა საეკლესიო პოლიტიკაზეც. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდგომ მაწყვერელი მღვდელმთავარი განსაკუთრებულ ფიგურად იქცა. ათაბაგების საეკლესიო განკერძოების პოლიტიკის მთავარი დასაყრდენი სწორედ აწყურის საეპისკოპოსო იყო. XVI საუკუნის I ნახევრის საბუთით სამცხე- საათაბაგოს მღვდელმთავართა ნუსხაში მაწყვერელის ეპარქია მოიცავს საკმაოდ დიდ ტერიტორიას, გარდა ამისა, ის მესხეთის ცამეტ მღვდელმთავართა შორის პირველია და მხოლოდ მას აქვს გვირგვინის (მიტრის) და ბისონის ტარების უფლება და ამ პერიოდიდან მაწყვერელი იწოდება საგანგებო ტიტულით: „მღვდელმთავართმთავარ-მთავარეპისკოპოსად“.

[1] კვლევა PHDF-22-1615 განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით

სამცხის საათაბაგოს, ოსმალეთის იმპერიის მიერ დაპყრობის შემდგომ, მაწყვერელ მღვდელმთავრებს ოსმალეთის სულთანი ამტკიცებს. XVIII საუკუნისათვის აწყურის ეპარქია მოშლილი ჩანს.

სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არ გვაქვს სარწმუნო და უეჭველი წყარო იმისა, თუ როდის დაარსდა აწყურის საეპისკოპოსო. შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ის V-VI საუკუნეების მიჯნაზე უნდა შექმნილიყო. ასევე, წყაროთა სიმწირის გამო, არაა სრულყოფილი აწყურის ეპარქიის მღვდელმთავართა ქრონოლოგიური რიგი. წინამდებარე კვლევა – „მაწყვერელ მღვდელმთავართა ქრონოლოგიური ნუსხა“ – წარმოადგენს მცდელობას, შესაძლებლობის ფარგლებში, აღინუსხოს ეპარქიის დაარსებიდან ვიდრე გაუქმებამდე მოღვაწე აწყურის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრები. ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებზე დაყრდნობით, გამოკვლეულ და შევსებულ იქნა ვალერი სილოგავასა და ნიკოლოზ გურგენიძის მაწყვერელთა ქრონოლოგიური რიგი; დავაზუსტეთ ზოგიერთი მაწყვერლის მოღვაწეობის თარიღი და ქრონოლოგია, ასევე, აქამდე ეპისკოპოსი გედეონი შეცდომით გაბრიელად იყო მოხსენიებული, რაც გასწორდა; ქრონოლოგიურ რიგს შევმატეთ სამი ახალი მღვდელმთავარი და ჯამში დღეისათვის ჩვენთვის ცნობილია 28 მაწყვერელი.

საკვანძო სიტყვები: სამცხე-საათაბაგო, აწყურის საეპისკოპოსო, მაწყვერელი მღვდელმთავრები.

ABSTRACT

he Atskuri Diocese is one of the oldest episcopal cathedrae within the jurisdiction of the Georgian Orthodox Church (specifically within the Kartli (Mtskheta) Catholicosate). In medieval times, the honor associated with the Atskuri Cathedra was reflected in both the rank and title of its ruling bishop within the hierarchy of the Georgian (Kartlian) Church. The Matskvereli hierarch initially functioned in the capacity of bishop and was subsequently elevated to archiepiscopal rank. The honor and position of the Matskvereli hierarch among Georgian hierarchs are attested across multiple sources. According to *K'urtkheva Mironisa* ("The Blessing of the Chrism"), specific bishops, together with the Catholicos, were assigned honorary roles in the ritual of Chrism preparation: first the Metropolitan of Greater Armenia is mentioned, followed by the Archbishop of Kartli, and thereafter the Matskvereli. According to the *Gangeba Darbazobisa* ("Rules of "Session of the Royal Council"), Maksvereli is ranked third among the hierarchs under the Kartli Catholicosate, after the Metropolitan of Greater Armenia and the Archbishop of Kartli. The political aspirations of the Atabags of Samtskhe toward autonomy was mirrored in the church governance as well.

Following the fragmentation of Georgia into separate royal and princely polities, the Matskvereli hierarch became an especially influential figure. Atskuri episcopal see became the principal ecclesiastical pillar of Atabag's policy of church autonomy. A document from the first half of the sixteenth century, listing the bishops of Samtskhe-Saatabago, attests that the Matskvereli diocese covered a notably extensive territory. Moreover, among the thirteen Meskhetian hierarchs, the Matsqvereli occupied primacy and uniquely held the privilege of wearing the mitre (crown) and the bisoni (sakkos). From this period onward, the hierarch bore the distinguished title "Chief Hierarch-Archbishop".

Following the Ottoman conquest of Samtskhe-Saatabago, the Matsqvereli bishops were confirmed in office by the Ottoman Sultan. By the eighteenth century, the Atskuri episcopal see appears to have been effectively dismantled.

Regrettably, no reliable and definitive source has been preserved that would allow the precise dating of the foundation of the Atskuri Episcopal cathedra. It may be assumed that the diocese emerged around the turn of the fifth and sixth centuries. Due to the scarcity of sources, the chronological succession of the hierarchs of the Atskuri Diocese remains incomplete. The present study is an attempt, within the limits imposed by extant sources, to reconstruct the list of the ruling bishops of the Atskuri diocese from its foundation until its abolition. Based on the available sources, the chronological sequence of the Matskvereli hierarchs compiled by Valery Silogava and Nikoloz Gurgenidze has been critically reassessed and supplemented. The dates of service and chronology of several Matskvereli hierarchs have been refined and specified, and the bishop previously misidentified as Gabriel has been corrected to Gedeon. Three additional bishops have been incorporated into the list, raising the total number of presently known Matskvereli hierarchs to twenty-eight.

Keywords: Samtskhe-Saatabago, Atskuri episcopal see, Atskuri hierarchs.

შესავალი

ეპარქიის ისტორიის სრულფასოვნად შესწავლისათვის უმნიშვნელოვანესია მმართველი მღვდელმთავრების ქრონოლოგიური რიგის დადგენა. მაწყვერელ/მაწყუერელ მღვდელმთავართა ნუსხის დადგენას საგანგებო კვლევა მიუძღვნა ვალერი სილოგავამ: „აწყურის ეპარქია“. მაწყვერელ მღვდელმთავართა ნუსხის მისეულ ვერსიაში 18 მაწყვერელის მოღვაწეობაა დადგენილი (სილოგავა 2001: 10). ვ. სილოგავას მიერ შემოთავაზებული ქრონოლოგიური რიგი დააზუსტა და შეავსო ნიკოლოზ გურგენიძემ სტატიაში: „მაწყვერელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი“, რომელშიც 25 მღვდელმთავარია დადასტურებული (გურგენიძე 2013: 86).

ჩვენ შევეცადეთ მკვლევართა მიერ შემოთავაზებული მაწყვერელების ნუსხა გამოგვეკვლია, დაგვეზუსტებინა და ქრონოლოგიური რიგი შეგვევსო. ჩვენ მიერ დაზუსტებულ და შევსებულ ნუსხაში 28 მაწყვერელი მღვდელმთავარია.

კვლევის მეთოდები

საკვლევ მეთოდოლოგიად გამოყენებულია ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი, რომელიც გულისხმობს ისტორიული წყაროს შინაარსობრივი ელემენტების (ფაქტები, პერსონები, თარიღები) ურთიერთშეჯერებას, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოკვეთასა და ფაქტოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანას.

მსჯელობა

იოსები ეპისკოპოსი „ადსუელი“ (506 წ.) – პირველ წერილობით წყაროს, რომლის საფუძველზეც შეგვიძლია ვივარაუდოთ აწყურის ეპარქიის დაარსების სავარაუდო პერიოდი, წარმოადგენს „ეპისტოლეთა წიგნი“. ჩვენთვის საყურადღებოა სომეხთა კათოლიკოსის – აბრაამის მესამე ეპისტოლე ქართლის კათოლიკოსის კირიონის მიმართ. ეპისტოლეს ბოლოს აბრაამ სომეხთა კათოლიკოსი წერს, რომ 506 წლის დვინის

საეკლესიო კრებას ესწრებოდა ქართლის კათოლიკოსი გაბრიელი „თავისი თანამოსაყდრეებითურთ“ და ჩამოთვლის მღვდელმთავრებს, მათ შორის დასახელებულია „იოსებ ეპისკოპოსი ადსუელი“ (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 97). ეპისტოლეში ძალზე დამახინჯებულია ქართული საეპისკოპოსოების დასახელებები. ზაზა ალექსიძე ქართული საეპისკოპოსოების დასახელებების დამახინჯებას ხსნის იმით, რომ ტექსტი, სავარაუდოდ, სომხურიდან ბერძნულად ითარგმნა, სომხური დედანის დაკარგვის გამო, შემდეგ კვლავ ბერძნულიდან სომხურად (იქვე: 162). ივანე ჯავახიშვილი, მარი ბროსე, სარგის კაკაბაძე და კორნელი კეკელიძე შეეცადნენ აღედგინათ საეპისკოპოსოების დამახინჯებული სახელები. სარგის კაკაბაძე და კორნელი კეკელიძე თვლიან, რომ „იოსებ ეპისკოპოსი ადსუელი“ უნდა იყოს აწყურის ეპისკოპოსი (იქვე: 161). ამდენად, დღემდე გაზიარებულია აზრი, რომ ჩვენთვის ცნობილი პირველი მაწყვერელი ეპისკოპოსი იოსებია, რომელიც ქართლის კათოლიკოს გაბრიელთან და სხვა ქართველ ეპისკოპოსებთან ერთად ესწრებოდა 506 წელს გამართულ დვინის საეკლესიო კრებას.

მაწყვერელი ეპისკოპოსი ეფრემ დიდი (855-895) – ეფრემ მაწყვერელის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის X საუკუნის მოღვაწე გიორგი მერჩულე თხზულებაში: „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. თხზულებაში აღწერილია, თუ როგორ დაიმოწაფა გრიგოლ ხანძთელმა ყრმა ეფრემი, სად იზრდებოდა, როგორი პიროვნება იყო და რა დამსახურებები ჰქონდა ეკლესიის წინაშე.

გიორგი მერჩულე თხზულებაში აღნიშნავს დიდ დამსახურებას, რომელიც ეფრემ მაწყვერელს უკავშირდება: „არამედ დიდი ეფრემ მრავლისა კეთილისა მომატყუებელ ექმნა ქვეყანასა ჩუენსა, რამეთუ პირველად აღმოსავალისა კათალიკოსთა მიჰრონი იერუსალემით მოჰყვანდა. ხოლო ეფრემ ქრისტესმიერითა ბრძანებითა მიჰრონისა კურთხევაი ქართლს განაწესა იერუსალემისა პატრიარქისა განწესებითა და წამებითა სიხარულითა“ (მერჩულე 1963: 290). მერჩულე იქვე დასძენს: „ესე ნეტარი ეფრემ ორმეოც წელ ეპისკოპოსობდა შემკული სულითა წმიდითა, რამეთუ დაფარულსა კაცთა საქმესა ვითარცა ცხადსა ამხილებდა და სიკუდიდ განწირულთა სნეულთა სიტყვით მსწრაფლ განჰკურნებდა, ხოლო ურჩთა სიტყვითვე მოაკუდინებდა, და სხუათაცა სასწაულთა იქმოდა მრავალთა. და კეთილსა შინა სიბერესა მადლითა სავსე გარდაიცვალა და მიიწია სიხარულით წინაშე ქრისტესა და ჩუენ მორწმუნეთათვის მეოხ არს უკუნისამდე“ (იქვე: 291). ეფრემ ეპისკოპოსის მაწყვერლობის თარიღად გაზიარებულია 855-895 წლები (მენაბდე 1962: 481). ყრმა ეფრემი ხანძთაში მიიყვანეს 836 წელს. ეფრემი, გიორგი მერჩულის ცნობით, ორმოცი წლის განმავლობაში მართავდა აწყურის ეპარქიას.

მაწყვერელი ეპისკოპოსი გიორგი შუარტყლელი (IX-X სს. მიჯნა) – გიორგი მაწყვერელის შესახებ ცნობები დაცულია ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებასა“ და გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. მანანა სანაძისა და თამარ ქორიძის სტატია „ახლადაღმოჩენილი წარწერა აწყურიდან და მირეანისძეთა საგვარეულო“ ეხება წარწერას, რომელშიც მოხსენიებულია გიორგი ეპისკოპოსი მირეანის ძე. ავტორები ასკვნიან: „აწყურის წარწერაში მოხსენიებული ეპისკოპოსი მირეანის-ძე, სახელად, გიორგი, X ს-ის I ნახევარში მოღვაწე აწყურის ეპისკოპოსია“ (სანაძე... 2023: 453). დღემდე არ არის მყარი და ცალსახა

არგუმენტებით დადასტურებული ამ სამი გიორგის იგივეობა. მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, თხზულებებში მოხსენიებული ეპისკოპოსი გიორგი ერთი თუ ორი სხვადასხვა პიროვნებაა: „მათ იგივეობას მხარს უჭერს ეპოქისა და სახელთა დამთხვევა (თუ, რა თქმა უნდა, სერაპიონ ზარზმელის მოღვაწეობის ხანად IX საუკუნის შუა წლებს მივიჩნევთ. მაგრამ ამ ორი გიორგი იგივეობა, ცხადია, სრული უეჭველობით დამტკიცებული ვერ ჩაითვლება, რადგან არ არის სავსებით გამორიცხული ორი გიორგი მაწყვერელის არსებობა აღნიშნულ ხანაში“ (ვაჩნაძე 1975: 117-118). ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, ვალერი სილოგავა, ნიკოლოზ გურგენიძე თვლიან, რომ გიორგი მერჩულესა და ბასილი ზარზმელის თხზულებებში მოხსენიებული გიორგი მაწყვერელი ერთი პიროვნებაა. ბასილი ზარზმელი გიორგი ეპისკოპოსის შესახებ წერს: „რომელი-იგი აღმოსცენდა ხევისაგან შუარტყლისა, მშობელთაგან წარჩინებულთა და ღმრთის-მოშიშტა, ხოლო აღიზარდა იგი განთქმულსა მას უდაბნოსა ოპიზას“ (იქვე: 171). გიორგი მაწყვერელი გახდა სამცხის დიდი ფეოდალის, გიორგი ჩორჩანელის გარდაცვალების მეოთხე წელს, როდესაც ჩორჩანელთა სახლეულობაში, და საერთოდ, მთელ სამცხეში დიდი მღელვარება და შინაომი იყო გაჩაღებული მისი მემკვიდრეობის გამო: „ხელთიდვა განგებაჲ სამცხისაჲ დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თჯსი, ვითარცა წეს-იყო და დაიპყრა ყოველი მამული და ეკლესიანი პირველთა მათ მეშფოთეთანი“ (ვაჩნაძე 1975: 177). გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში, რომელიც დაიწერა 951 წელს, გიორგი მერჩულე გარდაცვლილად მოიხსენიებს გიორგი მაწყვერელს (მენაბდე 1962: 482-484). ჩვენ ვფიქრობთ, რომ გიორგი მაწყვერელი ეპისკოპოსი IX-X საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა.

მტბევარ-მაწყვერელი ეპისკოპოსი იოვანე (995-1003) – შემდეგი მაწყვერელი ეპისკოპოსი იოვანეა (არსენისა და მარიამის ძე). ეპისკოპოსი იოანე, ვიდრე მაწყვერელი გახდებოდა, ტბეთის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი იყო. იოვანე ეპისკოპოსი გამორჩეული ჰიმნოგრაფ-მწიგნობარი და თვალსაჩინო კულტურულ-საეკლესიო მოღვაწეა. 978-988 წლებში მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ იოვანე მტბევარის მიერ შეთხზული საგალობელ-დასდებელთა თხუთმეტი ჯგუფია შესული. იოვანე ეპისკოპოსის შეკვეთითაა დამზადებული: 995 წლით დათარიღებული ტბეთის I სახარება (ინახება პეტერბურგში, რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში), X საუკუნის „სვანური მრავალთავი“ (ხეც A-19), ხოლო 1003 წლით დათარიღებული წმიდანთა ცხოვრების კრებულის (ინახება ათონის ქართველთა მონ. წიგნთსაცავში, №28) გადაწერაში მას პირადად მიუღია მონაწილეობა (სილოგავა 2010: 98-99). ვალერი სილოგავას გამოკვლევით, იოვანე ტბეთის ეპისკოპოსი 995 წლის შემდეგ გადაჰყავთ აწყურის ეპარქიის მმართველად. გარკვეული ხნით იოვანე მაწყვერელი ეპისკოპოსია, მოგვიანებით ის ტოვებს მაწყვერლობას და ბრუნდება ტბეთში (იქვე: 104). როგორც ჩანს, გარემოებათა გამო, იოვანემ უარი თქვა ეპარქიის მმართველ მღვდელმთავრად დარჩენაზე და კერძო ცხოვრების წესი აირჩია. იოვანე ეპისკოპოსის მაწყვერლობის ქვედა ზღვარის განსაზღვრა ტბეთის I სახარების ხელნაწერზე დაყრდნობითაა შესაძლებელი, ხოლო ზედა ზღვარისა წმიდანთა ცხოვრების კრებულის ხელნაწერზე დაყრდნობით

(ინახება ათონის ქართველთა მონ. წიგნთსაცავში, №28). ვ. სილოგავას სტატიაში „ტბეთის ეპარქია“ გამოქვეყნებული აქვს ტბეთის I სახარების ანდერძები. ანდერძები სხვადასხვა დროსაა შესრულებული და საინტერესო ცნობებს გვაწვდის იოვანე ეპისკოპოსის შესახებ. ხელნაწერის მთავარ ანდერძში სახარების გადაწერა დათარიღებულია 995 წლით. ხელნაწერის მომგებელია იოვანე, რომელიც ანდერძში აღნიშნავს: „მეცა გლახაკი და|უნარჩევესი ყ(ოვე)ლთა შ(ორი)ს მორწმუნეთა იოვანე |არა უებელ მყო ღ(მერთმა)ნ|წესსა მონაზონებისასა|და პატივსა მღდელობის(ი)სა|და სახელად მეწოდა|რეცა ეპისკოპოსი წ(მიდის)ა|საყდრისა ტბეთისასა.|და მოვიგე წ(მიდა) ესე ს(ა)ხ(ა)რ(ე)ბ(ა)“ (სილოგავა 2010: 104). ჩვენთვის საინტერესოა ხელნაწერის მომგებლის განმადიდებელი ანდერძი: „უ(ფალ) ო ი(ეს)უ ქ(რისტ)ე, მეოხებითა |წ(მიდა)თა მახარ(ე)ბ(ე)ლთ(ა)ითა, | ადიდე იოვანე მა|მათმთ(ა)ვ(ა)რი, პირველ |მტბევარი და აწ |შენ მიერ მაწყუერ|ელ ეპისკ(ო)პ(ო)სი, და |კუალად მუნვე |თვისსა საყდრად |შესრული“ (იქვე: 101). ზემოთ მოყვანილი ანდერძებიდან ცხადი ხდება, რომ სახარება დაიწერა 995 წელს და ამ დროისთვის იოვანე ტბეთის ეპისკოპოსია, 995 წლის შემდეგ ის გადაიყვანეს აწყურის ეპისკოპოსად, გარკვეული ხნის შემდგომ მას დაუტოვებია აწყურის კათედრა და დაბრუნებულა ტბეთში. შესაბამისად იოვანეს მაწყვერლობის ქვედა ზღვრად შეგვიძლია მივიჩნიოთ 995 წელი. რაც შეეხება იოვანეს მაწყვერლობის ზედა ზღვრის დადგენას, ვალერი სილოგავას გამოკვლევით, 1003 წელს, ბაგრატ III-ის დაკვეთით, შაორში გადაიწერა ათონის ქართველთა მონასტერში დაცული წმინდანთა ცხოვრების ხელნაწერი (№28). ხელნაწერის ანდერძ-მინაწერში მოხსენიებულები არიან იოვანე მტბევარი და აკვილა მტბევარი, როგორც გადამწერები. იოვანე ეპისკოპოსის ტბეთიდან აწყურში გადაყვანის შემდგომ ტბეთის ეპისკოპოსად დასვეს აკვილა. იოვანე აწყურიდან ტბეთში ბრუნდება, შემდეგ ყოფილი მტბევარ-მაწყვერელი იოვანე და მტბევარი აკვილა გადავიდნენ შაორის მონასტერში (რაჭაში), სადაც გადაწერეს ზემოთ ხსენებულ ხელნაწერს (სილოგავა 2010: 103-104). შესაბამისად, იოვანე ეპისკოპოსის მაწყვერლობის ზედა ზღვარი შეგვიძლია განვსაზღვროთ 1003 წლამდე.

მაწყვერელი ეპისკოპოსი არსენი (ჯაყელი) (XI საუკუნის 40-50 წწ.) – XI საუკუნეში მოღვაწე მაწყვერელი ეპისკოპოსის შესახებ ცნობა დაცულია „მატიანე ქართლისაიში“, კერძოდ, როდესაც მემატიანე საუბრობს მეფე ბაგრატ IV-ისა (1027-1072) და კლდეკარის ერისთავ ლიპარიტ ბაღვაშის დაპირისპირებაზე: „ამისა შემდგომად გამოიყვანნა მაწყვერელმან მესხნი, განძითა ბაგრატისითა, შუელად მეფისა. და მეფე დგა ღრტილას. ხოლო ლიპარიტ შეკრიბნა კახნი და მოადგა ფოკათა. გამოექცა მაწყვერელი მეფესა ბაგრატს და შეეზრახა ლიპარიტს. ვითარცა ცნა ესე მეფემან, ზამთრისა ბუქთა საშინელთა გარდაიარა შავშეთი და ჩავიდა ქართლს“ (მატიანე 1955: 300). მაწყვერელი ეპისკოპოსი, რომლის სახელიც არ არის დასახელებული, მეფის მომხრე ყოფილა და ჯარით დახმარებია მეფეს, თუმცა შემდგომ ლიპარიტს მიმხრობია. აღნიშნული მოვლენები ხდება 1047 წლამდე, მანამ, სანამ სასირეთის ბრძოლაში დაუპირისპირდნენ მეფისა და ლიპარიტის ჯარები. მაწყვერელის ვინაობის დასადგენად უაღრესად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ლიპარიტ ბაღვაშის (კლდეკარის ერისთავი XI საუკუნის 30-60-იან წლებში) დაკვეთით გადაწერილი იოანე ოქროპირის

თხზულების „მათეს და იოანეს სახარებათა თარგმანება“, რომლის ანდერძშიც წერია: „დაიწერა წმიდაი ესე წიგნი დიდებულსა საყდარსა აწყურისასა, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა, ხელითა საპყრისა ჩემისა გაბრიელ მწერლისა კოტაისაითა მღვდელთმოძღურებასა არსენი ეპისკოპოზისასა, ბოცოისა მარზაპნისა, ჯაყელისა ძისასა ქორონიკონი იყო სოგ (1053 წ.)“ (სილოგავა 2001: 2). როგორც ამ უკანასკნელი ხელნაწერის ანდერძიდან ირკვევა, 1053 წლისათვის აწყურის საეპისკოპოსო კათედრაზე მჯდარა არსენ ბოცოს ძე ჯაყელი. ეპისკოპოსი არსენი ძლიერი ფეოდალური გვარის წარმომადგენელი ყოფილა. თუ დავუშვებთ, რომ 1053 წლის ანდერძში მოხსენიებული ეპისკოპისი არსენი (ჯაყელი) და „მატიანე ქართლისაში“ მოხსენიებული მაწყვერელი ერთი პიროვნებაა, გამოდის, რომ XI საუკუნის 40-50 წლებში აწყურის ეპარქიის მმართველი მაწყვერელი ეპისკოპოსი არსენია.

მაწყვერელი მიქაელი (მირიანის ძე) (ქართლის კათოლიკოსი 1178-1187) – მაწყვერელი მიქაელი (მირიანის ძე) მოხსენიებულია თამარ მეფის ორივე ისტორიკოსის თხზულებაში, როგორც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანიში“, ასევე, ბასილი ეზოსმოძღვარის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისაში“. როგორც თხზულებიდან ჩანს, მეფე თამარსა და მიქაელ კათოლიკოსს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. თამარ მეფემ კრებაც კი მოიწვია მიქაელის გადასაყენებლად. კრებას ხელმძღვანელობდნენ ყოფილი კათოლიკოსი ნიკოლოზი (გულაბერისძე) და ქუთათელი ანტონი (საღირისძე). ბასილი ეზოსმოძღვარი წერს: „არა ინებეს შორის მათსა ყოფად მაშინდელი იგი ქართლისა კათოლიკოსი, რამეთუ წინა-უკმორამეი წყოწესთა ეკლესიისათა და ჭყონდიდელ-მაწყუერლობა და მწიგნობართუხუცესობა მოევერაგა უფლისაგან“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 118). ნიკოლოზმა და ანტონმა არ მოისურვეს მიქაელის დასწრება კრებაზე იმ მიზეზით, რომ „რამეთუ წინა-უკმო რამე იწყო წესთა ეკლესიისათაო“. მიქაელი ძლიერი და გავლენიანი პიროვნება ჩანს, რომელმაც მოახერხა და „მოივერაგა“ უმაღლესი თანამდებობები. მის წინააღმდეგ შეკრებილმა საეკლესიო კრებამაც კი ვერ გადააყენა და გარდაცვალებამდე დარჩა საკათოლიკოსო ტახტზე. მიქაელ IV-ის კათოლიკოსობა დათარიღებულია 1178-1187 წლებით. იგივე ბასილი ეზოსმოძღვარი მიქაელ IV-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „მოკუდა ქართლისა კათალიკოსი, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, ქართველი, მირიანის ძე მიქელ, რომელსაც აქუნდა სამთავისიცა, და არავინ შეწუხნა მისთჳს, არცა დიდი და არცა მცირე, რამეთუ ყოველნი სძულობდეს“ (იქვე: 122). აქ ჩვენთვის საინტერესოა ერთი ფაქტი, კერძოდ ის, რომ ქართლის კათოლიკოსი და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი მიქაელი საეკლესიო კრების მოწვევის დროისთვის ფლობდა მაწყვერლობას, გარდაცვალების დროისთვის ის აღარ იხსენიება მაწყვერელად და ნათქვამია: „რომელსა აქუნდა სამთავისიცა“. როგორც ჩანს, კათოლიკოსმა მიქაელმა მაწყვერელობა დათმო სამთავნელობის სასარგებლოდ. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მსჯელობას გვთავაზობენ მ. სანაძე და თ. ქორიძე. ავტორები სტატიაში მიქაელ მირიანისძესთან დაკავშირებით ასკვნიან: „ვფიქრობთ, მიქაელი, როგორც მირიანის ძე და აწყურის საეპისკოპოსო ტახტის ამ საგვარეულო კუთვნილების უფლებით მფლობელი, აწყურის ეპარქიის საჭეთმპყრობელი

უფრო ადრე, საკათალიკოსო ტახტის დაკავებამდე, უნდა გამხდარიყო, ხოლო მისი კათოლიკოს-პატრიარქობა – მაწყვერლობით განპირობებული. ამიტომ საეჭვოა, მას მაწყვერელობა, სხვა თანამდებობებისგან განსხვავებით, „მოვერაგებული“ ჰქონოდა“ (სანაძე... 2023: 452). ჩვენთვის მისაღებია ავტორთა მიერ შემოთავაზებული ლოგიკა. ამგვარად, მიქაელ მირიანისძის მაწყვერელობისა და კათოლიკოსობის თარიღები არ ემთხვევა ერთმანეთს. ის მაწყვერელი უკვე უნდა ყოფილიყო 1178 წლამდე, ხოლო აწყურის ტახტი უნდა დაეთმო 1184-1187 წლებს შორის პერიოდში.

მაწყვერელი მელქისედეკი (1200 წ.) – საბუთში „დაწერილი მღვიმის კრებულისა ბასილი ალავერდელისადმი“ მოხსენიებულია კიდევ ერთი მაწყვერელი მელქისედეკი. საბუთი უთარიღოა, თუმცა ქართული ისტორიული საბუთების კორპუსში დათარიღებულია მასში მოხსენიებული მღვიმის მოძღვარის – ბასილ თავაურის მიხედვით, რომელიც მოძღვრად იხსენიება 1200 წლის ახლო ხანებში. „და მელქიზედეკ მაწყუერლისა, და ბასილი თავაურ[ისა | ძე]თა, და ჭყონდიდლისა მწიგნობარისა ი(ოვან)ე, და სამოელის ხუცესთა პი| რითა ჩ(უე)ნ, ყ(ველ)თავე ძმათა გამოგვიცხადე. ჩ(უე)ნ, ვითა შ(ე)ნდა მომართ ს(ა)სო(ებაი) გუქონდა, ეგრე გავიხარენით და საწირვ(ე)ლოდ [თქუენ] | მოგახსენეთ...“ (კორპუსი 1984: 190-191). ამგვარად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე აწყურის კათედრაზე იჯდა მელქისედეკ მაწყვერელი.

მაწყვერელი იოვანე (1241 წ.) – საბუთი: „დაწერილი მიქაელ ქართლის კათალიკოსისა ვაჩე გუარამაისძისადმი“ ჩვენთვის საინტერესოა, რადგან მასში მოხსენიებულია მაწყვერელი იოვანე. საბუთი უთარიღოა და სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვა დათარიღებას გვთავაზობს. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსში გაზიარებულია სარგის კაკაბაძის დათარიღება, რომელიც საბუთს 1241 წლით ათარიღებს. საბუთში ვკითხულობთ: ,,ქ. ამის ქ(რისტე)ს მიერ ქართლისა ქ(ათალი)კოზთა დაწერილისა და ღ(მრ)თისა სწორთა| პ(ა)ტრონთაგან დამტკიცებულისა მოწ(ა)მე და დამამტკიცებელი ვარ| მიწაი და მლოცველი წ(მიდ)ისა მეფობისა მათისაი, უნდოი და უღი|რსი ი(ოვა)ნე მ(ა)წყ(უერელ)ი“ (კორპუსი 1984: 116). ამგვარად, ჩვენთვის ცნობილია, რომ XIII საუკუნის 40-იან წლებში აწყურის ეპარქიას მართავდა იოვანე მაწყვერელი.

მაწყვერელი ნიკოლოზი (ჯუანშერის-ძე) (XIII ს. 70-80-იანი წწ.) – ცნობები ნიკოლოზ მაწყვერელზე გვხვდება „ჟამთააღმწერლის“ თხზულებაში. ნიკოლოზ მაწყვერელთან ერთად იხსენიება საქართველოს კათოლიკოსი ნიკოლოზი (1250-1282) და მეფე დემეტრე II თავდადებული (1270-1289): „ვითარ მოიცალეს მცირედ ჭირთაგან და განისუენეს, და მიდრკეს გზისაგან საღმრთოსა, იწყეს განდომად, რამეთუ მეფემან მოიყვანნა სამნი ცოლნი, ეგრეთვე სადუნმან მოიყვანა სამი ცოლი, და მთავართა იწყეს ხელის შეხებად საყდართა და მონასტერთა, და იწყეს მიტაცებად სოფელთა და აგარაკთა, უმეტეს მესხთა საყდარსა ზედა დიდებულსა აწყვერისასა. დაღათუ ამათ უწესოებათა დიდად ამხილებდა ნიკოლოზ კათალიკოსი და ნიკოლოზ მაწყუერელი ჯუანშერის-ძე, გარნა არავინ ყურად იღებდა სიტყუასა მათსა“ (ჟამთააღმწერელი 1959: 276-277). „ჟამთააღმწერელი“ იქვე აგრძელებს ზოგადი სურათის დახასიათებას: „და კუალად სხუანიცა აღმოსცენდებოდეს ბოროტნი, რამეთუ იწყეს ურთიერთას მძღავრობად და მიხუეჭად, და არავინ იპოვებოდა სამართლის

მყოფელი, რამეთუ იყო მღვდელთ-მთავარი და მღვდელი ლაღ-ამპარტავან, ანგარ-ბოროტისმყოფელი, უწესო“ (იქვე: 277). ავტორის მიერ ზოგადი სურათის ამგვარად დახასიათების ფონზე ხაზგასმა იმისა, რომ „დაღათუ ამათ უწესობათა დიდად ამხილებდა ნიკოლოზ კათალიკოსი და ნიკოლოზ მაწყუერელი ჯუანშერის-ძე“, მიუთითებს კათოლიკოსისა და მაწყვერელის როგორც მღვდელმთავრების გამორჩეულობაზე. ნიკოლოზ მაწყვერლის მოღვაწეობა აწყურის კათედრაზე შეგვიძლია ვივარაუდოთ XIII ს. 70-80-იანი წლებში.

მაწყვერელი მთავარეპისკოპოსი გრიგოლი (XIII-XIV სს. მიჯნა) – გრიგოლ მაწყვერელი იმითაა გამორჩეული, რომ ის მთავარეპისკოპოსის ტიტულით იხსენიება. მისი არსებობა დასტურდება სოფ. ქარზამეთის ტაძრის სამხრეთის ტიმპანის წარწერაში: „ქრისტე ღმერთო შეიწყალე გრიგოლ მაწყვერელი მთავარეპისკოპოსი, რომლისა ბრძანებითა აღეშენა წმიდაი ესე ეკლესიაი“ (ბერიძე 1955: 187-188). ექვთიმე თაყაიშვილი ეკლესიას ათარიღებს XIV საუკუნის II ნახევრით. შენობის აგების ხარისხზე, სხვადასხვა დეტალსა და ძეგლებთან შედარებაზე დაყრდნობით ვახტანგ ბერიძეც იზიარებს ექვთიმე თაყაიშვილისეულ დათარიღებას და ასკვნის, რომ ძეგლი XIII-XIV სს. მიჯნაზე უნდა იყოს აგებული (იქვე: 188). შესაბამისად, გრიგოლ მთავარეპისკოპოსის მაწყვერლობაც ამავე პერიოდში უნდა ვიგულისხმოთ.

მაწყვერელი მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (XIV საუკუნის 40-60 წწ.) – შუა საუკუნეებში ქართლის საკათოლიკოსოში ეპისკოპოსები და მონასტრის წინამძღვრები საგანგებოდ შედგენილი ტექსტით, რომელიც ფიცის წიგნს წარმოადგენდა, უდასტურებდნენ კათოლიკოსს ერთგულებას. ფიცის წიგნი საჭიროებისამებრ სხვა დროსაც შეიძლება დაედოთ, თუ არსებობდა რაიმე გამოწვევა საეკლესიო ერთიანობის თვალსაზრისით. სწორედ ფიცის წიგნიდან დასტურდება ნიკოლოზ მთავარეპისკოპოსის მაწყვერლობა. „ერთგულების წიგნი ნიკოლოზ მაწყვერელისა იოვანე კათალიკოსისადმი“: „...მე, მონამან და მოწა|ფემ(ა)ნ თქუენმან, გლახაკმან მაწყუერელ მთავარებისკოპოზმან ნიკოლაოზ,| მას ჟამს, ოდეს, ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან ძლიერი და უძლეველ|ი ღ(მრ)თივ-გუირგ{უი} ნოსნობა მეფეთა-მეფისა დავითისი, შემიწყალეს და საყდარი| [ა]წყურის მიბოძეს თქუენითა თანადგომითა და ჯერჩინებითა.

და| თქუენ, ვითარცა ხელთა თქ{უ}ეთა გაზრდილ-შეწყალებული, ეგრეთ| სიტკბოებით სიყუარულით მაკურთხეთ. და მე ამის კეთილისყოფისა და| სიყუაროლისა თქუ{ე}ნისა სანაცვლოდ, ვითა წესი იყო, ესე დაწერილი და| აღთქმა მოგახსენე...“ (კორპუსი 2013: 245-246).

საბუთი უთარიღოა. არსებულ გამოცემებში იგი დათარიღებულია განსხვავებულად; რ. პატარიძემ შეისწავლა საბუთზე გამოსახული ჭვირნიშანი – „მსხალი ორი ფოთლით”. ამ ჭვირნიშნის რამდენიმე ვარიანტიდან ის, რომელიც კარგად ჩანს მოცემულ საბუთზე, გავრცელებული იყო 1331-1393 წლებში. ამიტომ მივიდა რ. პატარიძე დასკვნამდე – საბუთში მოხსენიებული დავით მეფე არის არა დავით X, როგორც ეს ჟორდანიას და სხვა მკვლევრებს მიაჩნდათ, არამედ – დავით IX. რ. პატარიძის არგუმენტები გაიზიარა ი. დოლიძემ და საბუთი დავით IX-ის ზეობის (1346-1360) წლებით დაათარიღა. „კორპუსში” საბუთის დათარიღებისათვის გაზიარებულია პატარიძისეული არგუმენტები (კორპუსი 2013: 245). შესაბამისად, ნიკოლოზ

მთავარეპისკოპოსის მაწყვერლობის წლებად შეგვიძლია ვივარაუდოთ 1346-1360 წწ.

მაწყვერელი მთავარეპისკოპოსი პიმენი (XIV ს. ბოლო) – მაწყვერელი პიმენის შესახებ ცნობა დაცულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერის მინაწერზე: „აქა მოვიდა მაწყვერელი პიმენ მას ჟამსა, ოდეს თემურ დიმაშხი (დამასკო) ააოხრა და ჯუარისა სახლი აშლით ააოხრეს და დაჭირებულს ზეთი და ცვილი შემოსწრირა“ (მენაბდე 1980: 110). თემურ-ლენგმა დამასკო 1400 წელს აიღო, რამაც დიდი გავლენა იქონია იერუსალიმზე და სწორედ ამ დროს უნდა ჩასულიყო მაწყვერელი პიმენი ჯვრის მონასტერში. მაწყვერელყოფილი პიმენი XV საუკუნის 10-იან წლებში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვრის თანამდებობას იკავებდა (იქვე: 110).

მაწყვერელი მთავარეპისკოპოსი გერასიმე (XV ს. 10-20-იანი წწ.) – საინტერესო და მეტად მნიშვნელოვანია აწყურის მთავარეპისკოპოს გერასიმეს ერთგულების წიგნი, რომელშიც მაწყვერელი კათოლიკოს მიქაელს (კათოლიკოსი 1419-1426 წწ.) პირობას აძლევს, რომ: „აწ, ესე წიგნი, მე, მაწყუერელ მთავარეპისკოპოზმან გერასიმე კადრეთ და მოგახსენ|ე და ვინც შემდგომად ჩემსა სხ(უა)ნი მაწყ[უ]ერელ- ნი იყ[უ]ნენ და საყდრიშვილნი, რო|გორც ამას წინათ მეფეთა მლოცველ- ნი და თქუენნი მამ£სენებელნი და ერ|თგულნი ყოფილან, ამავე წესითა მეფეთა მლოცველნი ვიყ[უ]ნეთ და თქ(უე)ნნი | მამ£სენებელნი ვიყ[უ]ნეთ. არცა პატრია[რ]ქი მოვი£სენოთ ანტიოქი[ი]სა, არც მისგან გამოგზავნილი კაცი შევიწყნაროთ, არც ვარძიისა დიაკონი| ვაკურთხოთ. და ვინც ამა თემსა ანუ სხ(უა)გან შეაჩ(უე)ნოთ, როგორცა| თქ(უ)ენგან ნაკურთხევსა გუმართებს, აგრე შევაჩუენოთ. და ვისცა თქ(უე)ნ სწ| ყალობდეთ, ჩ(უე)ნც მისნი მლოცველნი ვიყუენეთ“ (კორპუსი 2013: 131-132). გერასიმე მთავარეპისკოპოსის მაწყვერლობა შეგვიძლია დავათარიღოთ კათოლიკოს მიქაელის მოღვაწეობის წლებით.

მაწყვერელი მთავარეპისკოპოსი სერაპიონი (1427-1438 წწ.) – მთავარეპისკოპოსი სერაპიონი მაწყვერლად კურთხევის ჟამს ქართლის კათოლიკოსს ტრადიციისამებრ აძლევს ფიცის წიგნს: „ესე წიგნი კადრეთ და მოგახსენეთ თქუენ, წმიდასა დედაქალაქსა და საყდრსა და მას შიგან სუე[ტსა]| ღ(მრ)თივ-აღმართებულსა, კუართსა საუფლოსა და მიჰრონსა ღ(მერ)თმყოფელსა და თქუენ, წმ[ი]|დასა მეუფესა და მღრდელთამთავართ-მთავარსა, ქ(ართლი)სა კ(ათალიკო)ზსა თე(ოდორე)ს მე, მაწყუერელი| მთავარებისკოპოზმან სერაპიონ, მას ჟამსა, ოდეს მაწყუერელობა მიბოძეთ და მაკურთხე[თ]| და მე ესე საერთგულო წიგნი მოგახსენე…“ (კორპუსი 2013: 146-147). საბუთი და შესაბამისად სერაპიონის მაწყვერლობა შეგვიძლია დავათარიღოთ საბუთში მოხსენიებული კათოლიკოს თევდორეს მოღვაწეობის წლებით – 1427, 1429-1435/38 წწ.

მაწყვერელი ეპისკოპოსი შიო (1467 წლამდე) – სოფ. პატარა სმადას ეკლესიის წარწერიდან ვიგებთ XV საუკუნის II ნახევარში მოღვაწე კიდევ ერთი მაწყვერელი ეპისკოპოსის შესახებ: „ქრონიკონსა რმიე, ამა ეკლესიის [აღმშენებელსა ერისთავსა] შაბურისძეს, მაწყვერე[ლ ეპისკოპოსსა შიოს და მშობელთა მისთა შეუნდვენ ღმერთმან]“ (ბერიძე 1955: 176-177). ქორონიკონი რმიე=1467 წ. (მე-14 მოქცევა = 780 წ. + 532 წ. = 1467 წ.) ქორონიკონის მიხედვით შიოს მაწყვერლობა 1467 წლამდე პერიოდზე მოდის (გურგენიძე 2013: 81).

მაწყვერელი ეპისკოპოსი იოვანე (1467 წლიდან) – სოფ. პატარა

სმადას ეკლესიის წარწერიდან ვიგებთ, რომ მაწყვერელი შიოს შემდგომი მაწყვერელი ყოფილა იოვანე: „ქ. სახელითა [ღვთისაიტა აღეშენა ესე წმიდაი ეკლესიაი იო]ვანე მაწყვერელ ებისკობ[ოზისათა], კახაბერისა ზეობასა,[ქრისტე განუსვენე სუ]ლსა მშობელთა [მისთა]“ (ბერიძე 1955: 176-177). წარწერის შინაარსის შესაბამისად, ქორონიკონიდან გამომდინარე, იოვანეს მაწყვერლობა 1467 წლიდან უნდა მივიჩნიოთ (გურგენიძე 2013: 81).

მაწყვერელი გრიგოლი (1473 წ.) – რ.მ. ბარტიკიანის გამოკვლევით, სომხურ ანდერძ-მინაწერზე დაყრდნობით, 1437 წლით დათარიღებულ წარწერაში მოხსენიებულია მაწყვერელი მღვდელმთავარი გრიგოლი (გურგენიძე 2013: 82). ამგვარად, ჩვენთვის ცნობილი ხდება კიდევ ერთი მაწყვერელის შესახებ, რომელიც XV საუკუნის 70-იან წლებში მოღვაწეობდა.

უცნობი მაწყვერელი (ყვარყვარე II-ის მიერ 1486 წელს გაძევებული) – 1486 წელს იაკუბ ყაენი შემოესია სამცხეს, ახალციხის აღების შემდეგ, მიადგა აწყურის ციხეს. ციხეში სხვა დიდებულებთან ერთად მაწყვერელიც იმყოფებოდა. ციხეში გამოკეტილები, ხელშეუხებლობის და საყდრისა და ციხის არდანგრევის პირობით, დანებდნენ მტერს. „და ვითარცა შევიდეს ციხესა მას შინა, მიეტევნეს ვითარცა მხეცნი და იავარ-ჰყვეს ყოველი საჭურჭლე საყდრისა, და ერი ურიცხვი დედებით და ყრმებითურთ რომელნიმე მოსრნეს მახვილითა, ხოლო სხუანი ტყუედ წაიყვანნეს“ (ახალი ქართლის ცხოვრება 1959: 482). გარდა ამისა, მტერმა აწყურის ეპარქიის მთავარი სიწმინდე – აწყურის ღვთისმშობლის ხატიც გაიტაცა, რომელიც მოგვიანებით ყვარყვარემ და მანუჩარმა დააბრუნეს დიდი პატივით. რაც შეეხება მაწყვერელ მღვდელმთავარს: „ვითარცა ესმა ესე ყუარყვარეს და მეუღლესა და ძეთა მისთა, განრისხეს გამცემელთათვის ციხისათა და სიკუდილად დასჯა ბრძანეს მაწყუერლისა და სხვათა ყოველთა, რომელნი შინა-გამცემელ იქმნნეს. იძლია ბუნებითისა მოწყალებისაგან, არღარა სიკუდიდ დასაჯნა, არამედ ექსორია ყვნა“ (იქვე: 483). ჩვენთვის უცნობია გაძევებული მაწყვერლის შემდეგი ბედი.

მაწყვერელი მღვდელმთავართამთავარი – მთავარეპისკოპოსი სვიმონი (1486 წლიდან –სავარაუდოდ, 1515 წლამდე) – მას შემდეგ, რაც ყვარყვარე II-მ აწყურის ციხის ჩამბარებელი, მაწყვერელი ეპისკოპოსი გააძევა, „ამისა შემდგომად მოიძიეს სხვა ეპისკოპოზი და ჰპოვეს საზღვართაგან პონტოსათა ქალაქით ტრაპეზონელი, სახელით სვიმეონ, რამეთუ მაშინ საჭეთ-მპყრობელობდა საყდარსა ტბეთისასა“ (ახალი ქართლის ცხოვრება 1959: 483). ამგვარად, 1486 წლიდან აწყურის ეპისკოპოსი გახდა სვიმეონი.

მზეჭაბუკ ათაბაგი 1508/9 წელს, აწყურის კათედრას და მაწყვერელ მღვდელმთავარ სუიმონს საგანგებო სიგელით სწირავს მამულებს, სოფლებსა და გლეხებს (საბუთები 1913: 26). აღნიშნული შეწირულობის სიგელი საინტერესოა იმ მხრივ, რომ მზეჭაბუკი მაწყვერელ მღვდელმთავარს მოიხსენიებს, როგორც „მღვდელთმთავართ მთავარს“. ეპითეტი „მღვდელმთავართა მთავარი“, როგორც წესი, მიემართება პირველიერარქს და სიგელებში ამგვარად სწორედ მას მოიხსენიებენ. მაწყვერელი მღვდელმთავრის ამგვარად განდიდება მიუთითებს მზეჭაბუკის გადაწყვეტილებაზე – პატივით აამაღლოს აწყურის კათედრა და მას დაუქვემდებაროს სამცხის სხვა ეპარქიები. მზეჭაბუკმა მოისურვა ანტიოქიის პატრიარქ დოროთეოს III-ის (ანტიოქიაში პატრიარქობდა 1511-1524 წწ.) მეშვეობით განეხორციელებინა ის, რაც ვერც ერთმა მისმა

წინაპარმა ვერ შეძლო, კერძოდ, მაწყვერელი მღვდელმთავრისთვის თვითმწყემსობისა და ეპისკოპოსების კურთხევის უფლების მინიჭება (ჯავახიშვილი 1982: 390-391). დოროთეოს III-მ გასცა საგანგებო სიგელი, რომლის ძალითაც მაწყვერელ მღვდელმთავარს აძლევს უფლებას მცხეთისგან დამოუკიდებლად თავად აკურთხოს ეპისკოპოსები. „ამისთ(ვი) ს ვ(ითარც)ა ჯ(ე)რ-იყო და ს(ა)მ(ა)რთალ, მ(ა)დლითა ღ(მრთ)ისათა და შ|ეწ(ე) ვნითა დიდისა მ(ო)ც(ი)ქ(უ)ლთა თ(ა)ვისა პ(ეტრ)ესითა, ვინ(ე)ბეთ და მ(ა)ს მივათუ(ა)ლეთ ყ(ოველ)ი საბ|რძ(ა) ნ(ე)ბ(ე)ლი პ(ა)ტრ(ო)ნისა მზეჭაბუკისი, რ(ა¡თ)ა ებკო[პო]ზნი მისგ(ა)ნ ეკურთხეოდენ ყ(ოველ)ნივე და |მისსა წესსა და ბრძ(ა)ნ(ე)ბასა ჰმორჩილობდენ. და სჯ(უ)ლთა მისთა ერჩდენ და მისგ(ა)ნ |იმწყსებოდენ" (კორპუსი 2016: 40-42). ქართული ისტორიული საბუთების „კორპუსში" საბუთი დათარიღებულია 1510-1516 წლებით. ამრიგად, მზეჭაბუკ ათაბაგმა თავის მიზანს მიაღწია, ფორმალურად მისი სურვილი შესრულდა. ბუნებრივია, ქართლის კათოლიკოსს მწვავე რეაქცია ექნებოდა მზეჭაბუკ ათაბაგისა და ანტიოქიის პატრიარქის მიერ განხორციელებულ არაკანონიკურ აქტზე. ჩვენთვის ცნობილია სოილ კოპასძეთა სახლში დაწერილი ათაბაგთა მოსახსენებელის შესახებ, რომელიც გამოქვეყნებული აქვს მკვლევარ ქრისტინე შარაშიძეს. მოსახსენებელში გადმოცემულია ფაქტი, რომელიც ნათელს ჰფენს, თუ რა ბედი ეწია და რით დასრულდა მზეჭაბუკ ათაბაგისა და ქართლის კათოლიკოსის დაპირისპირება. წყაროდან ვიგებთ, რომ მზეჭაბუკ ათაბაგი იაკობის სახელით მონაზვნად აღიკვეცა (შარაშიძე 1961: 95). 1517-1520 წლებით დათარიღებულ, ქართლის კათოლიკოს ბასილისადმი მიცემულ მანუჩარ ათაბაგის პირობის წიგნში ვკთხულობთ: „იპრიანოს ღმერთმან და ჩუენი საბა|ტონო მამულიჩუენვე დავიჭიროთ და ჩუენ|ვე დაგურჩეს, როგორაცა ძუელითგან და პაპი|სა და მამისა ჩუენისა ჟამშიგან მცხეთისა საყდრ|ისა მამულნი ყოფილიყუნენ და ეპისკოპოზნი და მაწ|ყუერელი თქუენგან საკურთხეველი ყოფილა, და სხუ|ანი სამცხისა ეფისკოპოზნი, ყოველნივე ისრე თქუ|ენნი სამწყსონი იყუნენ და ისრე დაგამორჩილნეთ. |და საღმრთოთა და სჯულიერითა საქმითა თქუ|ენისა ბრძანებისა მორჩილნი ვიყუნეთ" (კორპუსი 2016: 59-60). სვიმონ მთავარეპისკოპოსის მაწყვერლობა იწყება 1486 წელს. ზედა ზღვარის გავლება ჭირს, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მზეჭაბუკ ჯაყელის მიერ ათაბაგობის დატოვების შემდეგ (1515 წ.), როდესაც პრომცხეთური ორიენტაციის ათაბაგები მოდიან, შესაძლებელია სვიმონიც ჩამოშორდა საეპისკოპოსო კათედრას.

მაწყვერელი მთავარეპისკოპოსი მანოელი (ჩხეტიძე) (1535-1541) – მანოელის (ჩხეტიძის) მაწყვერლობას ადასტურებს ნიკორწმინდის ხელნაწერის ანდერძ-მინაწერში მოხსენიება: „ჩხეტიძესა მანოელსა მაწყუერელსა შეუნდვეს. მანოელსა მაწყუერელსა დღეგრძელობით ცოდვანი მათნი შეუნდნეს ღმერთმან" (სულთა მატიანე 1939: 5). იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის ნიკორწმინდისადმი შეწირულობის წიგნიდან ვიგებთ, რომ იმერთა მეფე ბაგრატს აღუდგენია ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა და მმართველ მღვდელმთავრად მანოელი (ჩხეტიძე) დაუსვამს (ქრონიკები... 1897: 379). თედო ჟორდანია საბუთს 1534 წლით ათარიღებს. თ. ჟორდანიას ვარაუდს იზიარებენ ე. თაყაიშვილი, მ. ბერძნიშვილი, გ. გუგუშვილი, ბ. გაფრინდაშვილი. მეცნიერთა ნაწილი: ს. კაკაბაძე, თ. ბერაძე და მ. მურუსიძე მიიჩნევენ, რომ ბაგრატ III-ის შეწირულობის საბუთი 1544

წლით უნდა დათარიღდეს (გაფრინდაშვილი 2015: 62). 1535-1545 წლებში განსხვავებული საეკლესიო ვითარებაა სამცხის საათაბაგოში. 1535 წელს მურჯახეთის ბრძოლის შემდგომ იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ სამცხე დაიკავა. ჩვენთვის ცნობილია, რომ 1541 წელს მაწყვერელი იყო იოაკიმე, 1543 წლის საბუთით დასტურდება, რომ მაწყვერლობდა ქრისტეფორე. ასევე, ცნობილია მღვდელმთავარი ანტონი, რომელიც 1545 წლამდე უნდა ყოფილიყო მაწყვერელი, რადგან შემდეგ გენათელად ჩანს. შესაბამისად, ის ბაგრატ III-ის პოლიტიკის გამტარებელია და სოხოისტას ბრძოლის შემდეგ მას სამცხეში აღარ დაედგომებოდა. ამ მოცემულობების გამო, ვფიქრობთ, რომ მანოელი (ჩხეტიძე), რომელიც 1529 წლიდან იყო ხონელი მთავარეპისკოპოსი (გაფრინდაშვილი 2015: 225), მაწყვერელი უნდა ყოფილიყო 1535 წლიდან 1541 წლამდე პერიოდში. როგორც ჩანს, მეფე ბაგრატ III-მ 1535 წელს, სამცხის დაუფლების შემდგომ, თავისი ერთგული და უნარიანი ხონელყოფილი ეპისკოპოსი მანოელი (ჩხეტიძე) გადაიყვანა სამცხეში აწყურის სამთავარეპისკოპოსო კათედრაზე.

მაწყვერელი მთავარეპისკოპოსი იოაკიმე (1541 წ.) – მე-16 საუკუნეში საფარის მონასტერში მოღვაწეობდა ცნობილი კალიგრაფი დიაკონი სვიმონ კარგარეთელი, რომელსაც იოაკიმე მაწყვერელის ბრძანებით გადაუწერია პოლემიკურ-დოგმატური და სამეცნიერო კრებული (ხეც S – 312 ხელნაწერი). ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ: „ადიდოს ღმერთმან ორთავე სუფევათა შინა მღვდელთ-მთავართ მთავარეპისკოპოსი მაწყუერელი იოაკიმ, რომლისა ბრძანებითა დაიწერა წმიდაი ესე უზაკველი და ყოვლითურთ უნაკლულო საფილოსოფოსო წიგნი, დღეგრძელებით ყოველნივე ცოდვანი მისნი შეუნდნეს ღმერთმან. ამინ. და მე, მონამან მისმან, კარგარეთელმან დიაკონმან სვიმონ დავწერე. აწ გევედრები ყოველთავე, რომელნიცა მიემთხვინეთ წიგნსა ამას, რათა მეცა მომიხსენოთ შენდობით, რათა თქუენცა მოგიხსენოს ქრისტემან ღმერთმან სასუფეველსა მისსა. დიდებაი ღმერთსა! გათავდა საფარას საბას ლავრისსა“ (S კოლექცია 1960: 365-375). კრებული დათარიღებულია 1541 წლით, შესაბამისად, იოაკიმეს მაწყვერლობა 1541 წლის ახლოს უნდა განვსაზღვროთ.

მაწყვერელი ქრისტეფორე (1543 წ.) – აქამდე უცნობი და ჩვენ მიერ ქრონოლოგიურ რიგში შეყვანილი მაწყვერელი მოხსენიებულია შემდეგ საბუთში: „ფარიშატ და გიორგი ბარათაშვილების გაყრის წიგნი“, სადაც ვკითხულობთ: „..ძალითა და ბრძანებითა ღ(მრ)თისათა, დავსხედით ჩუენ, მეფეთ მეფე პატრონი ლუარსაბ, დაგვისხდეს გვერ{დ}თა ბატონი კათალიკოზი ბარათშვილი იოანე და ქსნის ერისთავი ბატონი შანშე და ამილახვარი ბატონი თაყა და დიასამიძე ბატონი ვარამ და მაწყუ{ე}რელი ბატონი ქრისტეფორე და ფავლენისშვილი ბატონი დავით და ჯავახისშვილი ბატონი ჯავახ და საკაძე ბატონი ივანე, ბარათასშვილის ბატონის ფარიშატის და გიორგის და ამათ მამათ მამულის გასაყოფლად” (კორპუსი 2016: 171-173). „ფარიშატ და გიორგი ბარათაშვილების გაყრის წიგნი“ დათარიღებულია 1543 წლით, სადაც მაწყვერლად იხსენიება ქრისტეფორე.

მაწყვერელი ანტონი (XVI ს. 40-იანი წწ.) – მაწყვერელყოფილი ანტონი 1550-იანი წლიდან უკვე გენათელ მთავარეპისკოპოსად იხსენიება. ამას გვამცნობს გელათის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის სამხრეთ მინაშენის წარწერა: „მაწყვერელმა და აწ გენათელ მთავარეპისკოპოსმან ანტონ

დავხატენ კარისბჭე ესე ჩემდა სულის საოხად, მეფეთ მეფის გიორგის სადიდებლად, ამინ“ (ლომინაძე 1955: 40). მთავარეპისკოპოსი ანტონი იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის (1510-1565) მიერ მოწვეულ საეკლესიო კრების განჩინების – „კათალიკოსთა სამართალი“ – ხელისმომწერთა შორისაა (ძეგლები 1963: 393-397). ანტონი მაწყვერელი გახდა 1543 წლის შემდგომ და, სავარაუდოდ, აწყურის კათედრა 1545 წელს დატოვა, როდესაც სოხოისტას ბრძოლის შემდგომ სამცხის საათაბაგოს ტერიტორია ბაგრატ III-მ დაკარგა. „ანტონ მაწყვერელი, რომელიც ვერ შეურიგდა ოსმალების ბატონობას, დატოვა სამცხე და იმერეთში გადავიდა. ბაგრატ III-მ ის გელათის ეპისკოპოსად დასვა. ჩანს, ანტონი ნდობით აღჭურვილი პირი იყო ბაგრატ III-ისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის გელათის საეპისკოპოსო კათედრას ვერ დაიკავებდა“ (გაფრინდაშვილი 2015: 99).

მაწყვერელი მღვდელთმთავართმთავარი იერემია (1575 წ.) – იერემია მაწყვერელი ჩვენამდე მოღწეულ ორ წყაროში იხსენიება. პირველი ესაა 1575 წლის ახლო ხანებით დათარიღებული „შეწირულების წიგნი ამილახორის ცოლ-ყოფილ თამარისა აწყურის საყდრისადმი“, სადაც ვკითხულობთ: „მას ჟამსა, ოდეს, ეშმაკის საფრთხისაგან ძმის მკვლელობა შემოგუივიდა და მოგივედით კარსა თქუენ[სა] და თქუენს საყდარსა, და სასჯ[უ]ლ[ო] გარდაგუიწყუიდეთ. შემოგწირეთ თქუენ, საშინელსა ა წ ყ უ რ ი ს ა ღ(მრ)თისმშობელსა, და მოვახსენეთ მას ჟამისა საჭეთმპყრობელსა პატრონს იერემია აწყუერელსა“ (კორპუსი 2016: 294-296). ასევე, მანოელ ინანიკიშვილის მიერ გადაწერილი „მარხვანის“ ანდერძი: „დიდებაი ღმერთისა სრულმყოფელსა ყოველთა კეთილთასა, სრულ იქმნეს წმიდანი ესე და სულთა განმანათლებელნი მარხვანი, ყოველითურთ სრულნი და უკლებნი მისითა საწინასწარმეტყუელოთა, სამოციქულოთა, სახარებითა, სტოდიელითა, ტიბიკონითა; იწყების მეზუერისა და ფარისევლისა კვირიაკესა და სრულ იქმნების დიდსა შაბათსა ბრძანებითა და ჯერ-ჩინებითა მღვდელთმთავართ მთავრისა იერემია მაწყუერლიისათა, რომლისა საუკუნომცა არს სახსენებელი და კურთხევაი მისი ამინ. დაიწერა ხელითა ფრიად ცოდვილისა და ყოველთა კაცთაგან უცოდველისა ინანიკიშვილისა მანოელისაითა. მანოელსა და მისთა მშობელთა შეუნდეს ღმერთმან, ამინ. და ვინცა ბრძანოთ, თქვენცა შეგინდნეს ღმერთმან, ამინ. სრულ იქმნა მაისსა იგ, დღესა ოთხშაბათსა, ქორონიკონსა სჲგ“ (Qკოლექცია 1958: 114). „მარხვანის“ ხელნაწერი დათარიღებულია 1575 წლით და, შესაბამისად, იერემიას მაწყვერლობა 1575 წლის ახლოს უნდა ვივარაუდოთ.

მაწყვერელი მღვდელთმთავართმთავარი სერაპიონი (ხურციძე) (1577 წ.) – ზარზმის მონასტრის სამრეკლოს წარწერაში დაცულია ცნობა კიდევ ერთი მაწყვერელი მღვდელმთავრის შესახებ. „აღმოსავლეთის კედელზე, ჯვრის ზემოთ კუთხეებში, ხურციძეთა დიდი წარწერაა მოთავსებული. წარწერაში ნათქვამია, რომ „წმინდა ეკლესია“, ე.ი. პირველი სართულის სამლოცველო (სამრეკლოს) „აღეშენა წმიდაჲ ეკლესიად სახელსა ზედა წმიდისა იოანე მახარებელისსა ნებითა ღვთისაჲთა და ბრძანებითა ყოველსა ქუეყანასა სახელგანთქმულისა, აგარიანთა პირის დამყოფელსა ხურციძისა პატრონისა ფარსმანისითა, სულსა მისსა განუსვენეს და შეუნდნეს ღმერთმან, მღუდელთმთავართ-მთავრობასა ხურციძისა პატრონის მაწყუერელისა სერაპიონისსა, ქორონიკონს სჲე“ (ბერიძე 1970: 71). აღნიშნული ქორონიკო ნი შეესაბამება 1577 წელს. ამგვარად, მღვდელმთავარ სერაპიონ ხურციძის მაწყვერლობის წელია 1577.

მაწყვერელი იოანე ბერი (1649-1650 წწ.) - იოანე ბერის მაწყვერლად დანიშვნის შესახებ 1649 წლით დათარიღებული ოსმალეთის სულთან მეჰმედ IV-ის საგანგებო ფირმანიდან ვიგებთ. ვინმე იოანე ბერმა არზა გააგზავნა არზრუმის სამდივნოში და სულთნისგან ითხოვა აწყურის კათედრაზე მართლმადიდებლური ტრადიციით მღვდელმთავრად დამტკიცება: „მან თავიანთი ცრულ წესების მიხედვით მაწყვერლობის ბოძება გვთხოვა“ (აბულაძე 1989: 198-203). სულთან მეჰმედ IV-ის ფირმანი ქართული თარგმანით გამოქვეყნებული აქვს ცისანა აბულაძეს: „ჩილდირის ბეგლარბეგს იუსუფს... როცა მაღალი სამეფოს უავგუსტესი ნიშანი მოაღწევს, ეცნობოს, რომ იოანედ სახელდებულმა ბერმა, რომელიც უავგუსტოეს ფირმანს ფლობს, არზრუმის დივანს არზა წარუდგინა – ახალციხის ვილაიეთისა და მასზე დაქვემდებარებულ [მხარეში] არსებული მაწყვერლის თანამდებობა მიტოვებულია და თავისუფალი. რადგან მან თავიანთი ცრუ წესების მიხედვით მაწყვერლობის ბოძება გვთხოვა, ჩემი ბრძანება გაიცა, რომ აღნიშნული მაწყვერლობა ხსენებულ იოანეს მიენდოს. ჩემს მიერ გამოცემული ბრძანების თანახმად ხსენებული ახალციხის ვილაეთში და მასზე დაქვემდებარებულ მიდამოებში არსებულ მაწყვერლობის თანამდებობაზე დაინიშნოს. სხვა ნურვინ ჩაერევა და ხელს ნუ შეუშლის. ასე იცოდე. პატიოსან ნიშანს მიენდე, დაიწერა 1059 წლის ჯუმადა-ლ-ევველის შუა რიცხვებში, ქალაქსა მას არზრუმს“ (აბულაძე 1989: 198-203). სულთნის სიგელიდან არ ჩანს, თუ ვინ არის იოანე ბერი, რა საეკლესიო ხარისხის მატარებელია, მაღალიერარქია თუ რიგითი სასულიერო პირი, „ბერობა“ მის ზოგად საეკლესიო სტატუსს განსაზღვრავს თუ იერარქიულ ხარისხს. არსებული მასალებით რთულია მსჯელობა, თუ ვინ არის იოანე ბერი. სიგელში აღწერილია პროცედურა, თუ როგორ ხდებოდა ეპისკოპოსების დამტკიცება ახალციხის საფაშოში, კონკრეტულ პიროვნებას უნდა მიემართა ადგილობრივი ხელისუფლებისათვის და სწორედ ადგილობრივი ხელისუფალი წარადგენდა მის კანდიდატურას სულთნის კარზე დასამტკიცებლად. აღსანიშნავია, რომ სულთანი უფლებას აძლევს იოანე ბერს, რომ „ცრუ წესების“ ანუ საქართველოს ეკლესიის ტრადიციის დაცვით დაიკავოს აწყურის კათედრა. სულთანი მაწყვერელს ახალციხის საფაშოში არსებობის უფლების გარდა მფარველობის ქვეშ ამყოფებს: „სხვა ნურვინ ჩაერევა და ხელს ნუ შეუშლის“. სიგელიდან არ ჩანს, თუ როგორ და სად მოხდა იოანე ბერის ხელდასხმა მღვდელმთავრად, მანამდე იყო თუ არა ის ეპისკოპოსის ხარისხში, ზოგადად როგორ ხდებოდა ახალციხის საფაშოში მღვდელმთავრების ხელდასხმა და ჰქონდათ თუ არა ამ მღვდელმთავრებს კავშირები ქართლის კათოლიკოსთან – ეს საკითხები ბუნდოვანია. ცისანა აბულაძის გამოკვლევით დადასტურებულია, რომ სულთნის ფირმანი თარიღდება 1649 წლით და შეუძლებელია ის ნაყალბევი იყოს. ამგვარად, ოსმალეთის სულთან მეჰმედ IV-ის სიგელით დასტურდება კიდევ ერთი მაწყვერელი ეპისკოპოსის ვინაობა – მაწყვერელი იოანე ბერის, რომელიც 1649-1650 წლებში მართავდა აწყურის ეპარქიას.

მტბევარ-იშხნელ-მაწყვერელი გედეონი (საფარიძე) (1650 წლიდან, სავარაუდოდ, 1667 წლამდე) – საინტერესო ცნობებს გვაწვდის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული S-252გ ხელნაწერი, კინკლოსების ისტორიული მინაწერებიდან ვიგებთ, რომ 1637 წელს: „აქა საფარიძე გედეონ მტბევარს დაჯდა“ (მცირე ქრონიკები 1968: 56). იქვე საინტერესოა 1650 წლის

მინაწერი: „აქა საფარიძეს მტბევარს, იშხნელობა და მაწყვერლობა მოუვიდა ხვანთქრისაგან“ (იქვე: 58). როგორც ჩანს, სულთნის ფირმანით 1649 წელს მაწყვერლად დანიშნული იოანე ბერი მალევე გარდაიცვალა ან რაიმე სხვა მიზეზით აწყურის კათედრას ჩამოსცილდა. სულთნის თანხმობით, აწყურისა და იშხნის საეპისკოპოსო კათედრები მიიერთა ტბეთის ეპარქიის მმართველმა მღვდელმთავარმა გედეონ საფარიძემ (S - 252 გ).

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მესხეთში თანდათან მოიშალა ეპარქიები და მორწმუნეებმა დაიწყეს მეზობელ ქართულ სამეფოებში გადასახლება: „არა იყო მორჩილება კათალიკოზისა ანუ ეპისკოპოსისა და სამღუდელოთა, არამედ ოჯრება ეკლესია-მონასტერთა და შენება ჯამთა. ხოლო მორწმუნენი ჰფარვიდნენ და მალვიდნენ ხატთა, ჯუართა და ნაწილთა წმიდათათა და სხუათა წარაქუნდათ პირველისაებრ იმერეთს და ქართლს და ივლტოდიანცა წარჩინებულნი, რომელნი სძულობდენ მაჰმადიანობასა, რამეთუ განაგებდა საფარ ფაშა ნებითა ოსმალთათა ყოველსავე...“ (ბატონიშვილი 1973: 726). XVII საუკუნისთვის, როგორც ჩანს, სამცხის ცამეტი საეპისკოპოსოსაგან მხოლოდ სამი იყო დარჩენილი: აწყურის, ტბეთის, იშხანის, რომელთაც ერთი მღვდელმთავარი მართავდა. საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის მიხეილ თამარაშვილი, რომელიც ეყრდნობა კაპუცინელი მისიონერის ცნობას, რომ გურიაში ყოფილა ვინმე გედეონ სკანითელი (Scanitelli): „ზემოთხსენებულ ეკლესიას ბერძნულად ეწოდების ისკანი. ხოლო მისი საზოგადო სახელი ქართულად არის ისკანეთელი“ (თამარაშვილი. 1902: 168). თამარაშვილის მიერ მოთხრობილი ამბავი 1667 წელს ხდება. საკეთელი/ ისკანეთელი/ ისკანელი ეპისკოპოსი იშხნელი უნდა იყოს (ქართველიშვილი 2006: 24). სავსებით შესაძლებელია თამარაშვილის მიერ დასახელებული გურიაში მყოფი იშხნელი გედეონი ჩვენთვის ცნობილი მტბევარი გედეონი იყოს რომელსაც იშხნელობა და მაწყვერლობა 1650 წელს დაუმტკიცდა სულთნისგან. თუ დავუშვებთ ამ ალბათობას, გამოდის, რომ გედეონ საფარიძის მაწყვერლობა უნდა ვივარაუდოთ 1650 წლიდან 1667 წლამდე პერიოდში.

ეპისკოპოსი გიორგი (XVIII ს. 60-იანი წწ.) – ჩვენთვის საინტერესოა ტფილელი მღვდლის – ფრანჩისკე შაროანთის 1764 წლის 13 აგვისტოს ახალციხეში დაწერილი ერთი წერილი, რომელსაც ის სწერს რომში. წერილში ვკითხულობთ: „ქალაქში თურმე გიორგი ეპისკოპოსის გაკათოლიკება გამოცხადებულიყო, რის გამოც მწვალებლებს მისთვის ეჩივლათ და ფაშასაც დაეტყვევებინა“ (თამარაშვილი 1902: 431). ეპისკოპოსი გიორგი ახალციხეში ზის, ის 1763-1764 წლამდე მართლმადიდებელია და მღვდელ ფრანჩესკოს მტკიცებით მიიღო კათოლიკობა, რის შემდეგაც ეპისკოპოსს დევნიან სომხები და ოსმალებიც პრობლემებს უქმნიან. ჩვენთვის საინტერესოა 1764 წლამდე მართლმადიდებელი ეპისკოპოსის არსებობის ფაქტი ახალციხის საფაშოში. შოთა ლომსაძე ვარაუდობს, რომ ეპისკოპოსი აწყურში ან საფარაში უნდა მჯდარიყო (ლომსაძე 2011: 301). ეპისკოპოსი გიორგი ჩვენთვის ცნობილი ბოლო მღვდელმთავარია (სავარაუდოდ, მაწყვერელი).

დასკვნა

ამგვარად, ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებში დაცული ცნობების საფუძველზე, დაზუსტებული და შევსებული მაწყვერელ მღვდელმთავართა ქრონოლოგიური ნუსხა შემდეგნაირად გამოიყურება:

1. იოსები ეპისკოპოსი „ადსუელი“ – 506 წ.
2. მაწყვერელი ეპისკოპოსი ეფრემ დიდი – 855-895 წწ.

3.მაწყვერელი ეპისკოპოსი გიორგი შუარტყლელი – IX-X სს. მიჯნა.
4.მტბევარ-მაწყვერელი ეპისკოპოსი იოვანე – 995-1003 წწ.
5.მაწყვერელი ეპისკოპოსი არსენი (ჯაყელი) – XI ს. 40-50-იანი წლები.
6.მაწყვერელი მიქაელი (მირიანის ძე) – ქართლის კათოლიკოსი 1178-1187 წწ.
7.მაწყვერელი მელქისედეკი – 1200 წ.
8.მაწყვერელი იოვანე – 1241 წ.
9.მაწყვერელი ნიკოლოზი (ჯუანშერის-ძე) – XIII ს. 70-80-იანი წლები.
10. მაწყვერელი მთავარეპისკოპოსი გრიგოლი – XIII-XIV სს. მიჯნა.
11. მაწყვერელი მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი – XIV ს. 40-60 წწ.
12. მაწყვერელი მთავარეპისკოპოსი პიმენი – XIV ს. ბოლო.
13. მაწყვერელი მთავარეპისკოპოსი გერასიმე – XV ს. 10-20-იანი წლები.
14. მაწყვერელი მთავარეპისკოპოსი სერაპიონი – 1427-1438 წწ.
15. მაწყვერელი ეპისკოპოსი შიო – 1467 წლამდე.
16. მაწყვერელი ეპისკოპოსი იოვანე – 1467 წლიდან.
17. მაწყვერელი გრიგოლი – 1473 წ.
18. უცნობი მაწყვერელი (ყვარყვარე II-ის მიერ 1486 წელს გაძევებული).
19. მაწყვერელი მღვდელმთავართამთავარი – მთავარეპისკოპოსი სვიმონი – 1486 წ., სავარაუდოდ, 1515-წლამდე.
20. მაწყვერელი მთავარეპისკოპოსი მანოელი (ჩხეტიძე) – 1535-1541 წწ.
21. მაწყვერელი მღვდელთმთავართ მთავარეპისკოპოსი იოაკიმე – 1541 წ.
22. მაწყვერელი ქრისტეფორე – 1543 წ.
23. მაწყვერელი ანტონი –XVI ს. 40-იანი წლები.
24. მაწყვერელი მღვდელთმთავართმთავარი იერემია – 1575 წ.
25. მაწყვერელი მღვდელთმთავართმთავარი სერაპიონი (ხურციძე) – 1577 წ.
26. მაწყვერელი იოანე ბერი – 1649-1650 წწ.
27. მტბევარ-იშხნელ-მაწყვერელი გედეონი (საფარიძე) – 1650, სავარაუდოდ, 1667-წლამდე.
28. ეპისკოპოსი გიორგი – 1764 წლამდე.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

აბულაძე 1989: აბულაძე ც., მეჰმედ IV¬ის სიგელი იოანე ბერის მაწყვერლად დანიშვნის თაობაზე. თსუ-ს შრომები, ტ. 290. თბილისი.
ახალი ქართლის ცხოვრება 1959: ახალი ქართლის ცხოვრება. მესამე ტექსტი, ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.
ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: ქართლის ცხოვრება, ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.
ბატონიშვილი 1973: ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.
ბერიძე 1955: ბერიძე ვ., სამცხის ხუროთმოძღვრება XIII-XVI საუკუნეებში. თბილისი.
ბერიძე 1970: ბერიძე ვ., სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები. თბილისი.
გაფრინდაშვილი2015:გაფრინდაშვილიბ.,რაჭა-იმერეთისსაეპისკოპოსოები (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა). თბილისი.

გურგენიძე 2013: გურგენიძე ნ., მაწყვერელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი. რელიგიის ისტორიის საკითხები. II. თბილისი.
ეპისტოლეთა წიგნი 1968: ეპისტოლეთა წიგნი. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ. თბილისი.
ვაჩნაძე 1975: ვაჩნაძე ნ., სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო. თბილისი.
თამარაშვილი 1902: თამარაშვილი თ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. თბილისი, 1902 (ხელახალი გამოცემა – 2011).
კორპუსი 1984: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბილისი.
კორპუსი 2013: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. II. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ. თბილისი.
კორპუსი 2016: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. IV. შეადგინა და ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ. სპარსული ტექსტი მოამზადა თ. აბაშიძემ. თბილისი.
ლომინაძე 1950: ლომინაძე ბ., გელათი. თბილისი.
ლომსაძე 2011: ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი. ახალციხე.
მატიანე 1955: ქართლის ცხოვრება. ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.
მენაბდე 1962: მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ. I. თბილისი.
მენაბდე 1980: მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ. II. თბილისი.
მერჩულე 1963: გიორგი მერჩულე, შრომაი და მოღუაწეობაი გრიგოლისი არქიმანდრიტისაი ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაი. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ჯიქიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ. წ. I. თბილისი.
მეტრეველი 2000: მეტრეველი რ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები. თბილისი.
მროველი 1955: ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქართლის ცხოვრება. ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.
მცირე ქრონიკები 1968: მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები). ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ოდიშელმა. თბილისი.
ჟამთააღმწერელი 1959: ჟამთააღმწერელი. ქართლის ცხოვრება. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.
საბუთები 1913: ისტორიული საბუთები, წ. II. ტექსტი გამოსცა ს. კაკაბაძემ. ტფილისი.
სანაძე... 2023: სანაძე მ., ქორიძე თ., ახლადაღმოჩენილი წარწერა აწყურიდან და მირეანისძეთა საგვარეულო. საქართველო და კავკასია – წარსული, აწმყო, მომავალი. თბილისი.

სილოგავა 2001: სილოგავა ვ., აწყურის ეპარქია. გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №4 (28).
სილოგავა 2010: სილოგავა ვ., ტბეთის ეპარქია, I. თბილისი.
სულთა მატიანე 1939: მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიანე ნიკორწმინდის ხელნაწერში. ტექსტი გამოსცა ექ. თაყაიშვილმა. პარიზი.
ქართველიშვილი 2006: ქართველიშვილი თ., გურიის საეპისკოპოსოები (XV-XIX). თბილისი.
ქართველიშვილი... 2017: ქართველიშვილი თ., ქორიძე თ., ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოთა ურთიერთმიმართების საკითხისათის იმერთა მეფის ბაგრატ III-ის ეპოქაში. ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, ტ. IX. თბილისი.
ქრონიკები... 1897: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წ. II (1213 წლიდამ 1700 წლამდე). ტფილისი.
შარაშიძე 1961: შარაშიძე ქრ., სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.). თბილისი.
ძეგლები 1963: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი.
ძეგლები 1965: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი.
ჭიღლაძე 2019: ჭიღლაძე ი., საქართველოს ეკლესიაში სამღვდელთმთავრო ბისონისა და მიტრის დამკვიდრების ისტორიისათვის. ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, ტ. XI. თბილისი.
ჭიღლაძე 2020: ჭიღლაძე ი., მიტროპოლიტისა და მთავარეპისკოპოსის წოდებათა ისტორიისათვის. ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, ტ. XII. თბილისი.
ჭყოიძე 2012: ჭყოიძე ე., ქართველთა რჩეულობის იდეა: წარმოშობა და ისტორიული კონტექსტი. პოლიტიკური თეოლოგია: მოდერნულობამდე და მოდერნულობის შემდეგ. თბილისი.
ჯავახიშვილი 1982: ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი 12 ტომად. ტ. III. თბილისი.
ჯავახიშვილი 1951: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია. ტ. I. თბილისი.
ჯუანშერი 1955: ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ქართლის ცხოვრება. ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.
S კოლექცია 1959: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა. ტ. I. ელ. მეტრეველის რედაქციით. თბილისი.
Q კოლექცია 1958: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა. ტ. II. ილ. აბულაძის რედაქციით. თბილისი.

References and Sources

Abuladze 1989: Abuladze Ts., Mehmed IV’s Charter on the Appointment of Ioanne Beri as Matskveri. TSU Works, Vol. 290. Tbilisi.
Basil Ezosmodzgvari 1959: Life of Kartli, Vol. II. Text established according to all main manuscripts by S. Kaukhchishvili. Tbilisi.

Batonishvili 1973: Vakhushti Batonishvili, Description of the Kingdom of Georgia. Life of Kartli, Vol. IV. Text established according to all main manuscripts by S. Kaukhchishvili. Tbilisi.
Beridze 1955: Beridze V., Architecture of Samtskhe in the 13th-16th Centuries. Tbilisi.
Beridze 1970: Beridze V., Architectural Monuments of Samtskhe. Tbilisi.
Book of Epistles 1968: Book of Epistles. Armenian text with Georgian translation, research and commentary published by Z. Aleksidze. Tbilisi.
Chighladze 2019: Chighladze I., On the History of Establishing the Clerical Ranks of Bison and Miter in the Georgian Church. Christian-Archaeological Studies, Vol. XI. Tbilisi.
Chighladze 2020: Chighladze I., On the History of the Titles of Metropolitan and Archbishop. Christian-Archaeological Studies, Vol. XII. Tbilisi.
Chkoidze 2012: Chkoidze E., The Idea of Georgian Chosenness: Origin and Historical Context. Political Theology: Before and After Modernity. Tbilisi.
Chronicle 1955: Life of Kartli. Vol. I. Text established according to all main manuscripts by S. Kaukhchishvili. Tbilisi.
Corpus 1984: Corpus of Georgian Historical Documents. Vol. I. Compiled and prepared for publication by T. Enukidze, V. Silogava, N. Shoshiashvili. Tbilisi.
Corpus 2013: Corpus of Georgian Historical Documents. Vol. II. Compiled and prepared for publication by T. Enukidze, N. Tarkhnishvili, B. Lominadze. Tbilisi.
Corpus 2016: Corpus of Georgian Historical Documents. Vol. IV. Compiled and Georgian text prepared for publication by M. Surguladze. Persian text prepared by T. Abashidze. Tbilisi.
Chronicle of Souls 1939: Chronicle of the Souls of Kings and Catholicoses in the Nikortsmnda Manuscript. Text published by Ek. Takaishvili. Paris.
Chronicles... 1897: Chronicles and Other Materials on the History and Literature of Georgia. Collected, chronologically arranged and explained by T. Zhordania. Book II (from 1213 to 1700). Tiflis..
Documents 1913: Historical Documents, Book II. Text published by S. Kakabadze. Tiflis..
Gaprindashvili 2015: Gaprindashvili B., Racha-Imereti Bishoprics (Gelati, Khoni, Nikortsmnda). Tbilisi.
Gurgenidze 2013: Gurgenidze N., Chronological Sequence of Matskveri Bishops. Issues in the History of Religion. II. Tbilisi.
Javakhishvili 1982: Javakhishvili Iv., Works in 12 Volumes. Vol. III. Tbilisi.
Javakhishvili 1951: Javakhishvili Iv., History of the Georgian Nation. Vol. I. Tbilisi.
Juansher 1955: Juansher, Life of Vakhtang Gorgasali. Life of Kartli. Vol. I. Text established according to all main manuscripts by S. Kaukhchishvili. Tbilisi.
Kartvelishvili 2006: Kartvelishvili T., Bishoprics of Guria (XV-XIX). Tbilisi.
Kartvelishvili... 2017: Kartvelishvili T., Koridze T., On the Issue of Relations between the Catholicosates of Kartli and Abkhazia during the Reign of Bagrat III of Imereti. Christian-Archaeological Studies, Vol. IX. Tbilisi.
Lominadze 1950: Lominadze B., Gelati. Tbilisi.
Lomsadze 2011: Lomsadze Sh., Samtskhe-Javakheti. Akhaltsikhe.
Menabde 1962: Menabde L., Centers of Ancient Georgian Literature. Vol. I. Tbilisi.

Menabde 1980: Menabde L., Centers of Ancient Georgian Literature. Vol. II. Tbilisi.
Merchule 1963: Giorgi Merchule, Works and Activities of Grigol Archimandrite, Builder of Khansti and Shatberdi. Monuments of Ancient Georgian Hagiographical Literature. Prepared for printing by: Il. Abuladze, N. Atanelashvili, N. Goguadze, L. Jikia, Ts. Kurtsikidze, Ts. Chankiev and Ts. Jghamaia. Book I. Tbilisi.
Metreveli 2000: Metreveli R., Catholicos-Patriarchs of Georgia. Tbilisi.
Minor Chronicles 1968: Minor Chronicles (Historical Notes from Colophons). Texts published with introductory article and commentary by J. Odisheli. Tbilisi.
Monuments 1963: Monuments of Georgian Law. Vol. I, Text published with notes and indexes by I. Dolidze. Tbilisi.
Monuments 1965: Monuments of Georgian Law. Vol. II. Text published with notes and indexes by I. Dolidze. Tbilisi.
Mroveli 1955: Leonti Mroveli, Life of the Kings of Georgians. Life of Kartli. Vol. I. Text established according to all main manuscripts by S. Kaukhchishvili. Tbilisi.
New Life of Kartli 1959: New Life of Kartli. Third Text, Vol. II. Text established according to all main manuscripts by S. Kaukhchishvili. Tbilisi.
Sanadze... 2023: Sanadze M., Koridze T., Newly Discovered Inscription from Atskuri and the Mireanisze Family Genealogy. Georgia and the Caucasus - Past, Present, Future. Tbilisi.
Sharashidze 1961: Sharashidze Kr., Materials on the History of Southern Georgia (XV-XVI cc.). Tbilisi.
Silogava 2001: Silogava V., The Atskuri Diocese. Newspaper “Literary Meskheti”, No. 4 (28).
Silogava 2010: Silogava V., The Diocese of Tbeti, I. Tbilisi.
Tamarashvili 1902: Tamarashvili T., History of Catholicism among Georgians. Tbilisi, 1902 (Reprint - 2011).
The Chronicler 1959: The Chronicler. Life of Kartli. Vol. II. Text established according to all main manuscripts by S. Kaukhchishvili. Tbilisi.
Vachnadze 1975: Vachnadze N., The Life of Serapion Zarzmeli as a Historical Source. Tbilisi.
S Collection 1959: Description of Georgian Manuscripts, Former Collection of the Society for Spreading Literacy among Georgians (S). Vol. I. Edited by El. Metreveli. Tbilisi.
Q Collection 1958: Description of Georgian Manuscripts, New (Q) Collection. Vol. II. Edited by Il. Abuladze. Tbilisi.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.05

დიალექტური ლექსიკისათვის მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების მეტყველებაში – I[1]

ON DIALECTAL VOCABULARY IN THE SPEECH OF THE DESCENDANTS OF MUHAJIR GEORGIANS – I

კესო გეჯუა
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი
თბილისი, საქარტველო

Keso Gejua
Saint Andrew the First-Called Georgian University
of the Patriarchate of Georgia
Tbilisi, Georgia

აბსტრაქტი

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები თურქეთში წარმოადგენენ ორენოვანეთნიკურჯგუფს,რომლებიცკომპაქტურადარიანდასახლებულნი ქვეყნის სამ დიდ რეგიონში – შუა შავიზღვისპირეთში (გირესუნიდან სინოპამდე), სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთში (დუზჯესა და საქარიის ილებში) და მარმარილოს ზღვისპირეთში (უპირატესად, ბურსის ილში). მათი ამჟამინდელი ქართველური მეტყველება წარმოადგენს აჭარულ დიალექტსა და ხოფური დიალექტის ჩხალურ კილოკავს. ეს მეტყველებები XIX საუკუნის ბოლოდან ვითარდებიან სამწიგნობრო ქართული ენისა და სხვა ქართველური დიალექტებისგან იზოლირებულად, ამასთანავე, დღემდე განიცდიან თურქული ენის გავლენას.

[1] წინამდებარე სტატია წარმოადგენს იმ სამუშაოს ერთგვარ გაგრძელებას, რომელსაც პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის მიერ ჩაეყარა საფუძველი 2018 წელს პროექტის სახით - „ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების მიხედვით“ (FR-18-14869 – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი). პროექტის ფარგლებში 2019-2022 წლებში ექსპედიციები ჩატარდა თურქეთის შუა შავიზღვისპირეთში, სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთსა და მარმარილოს ზღვისპირეთში. მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების მეტყველების ლინგვისტურ ანალიზსა და საკუთრივ, ჩაწერილ ტექსტებს დაინტერესებული პირები შეიძლება გაეცნონ პროექტის ფარგლებში მომზადებულ მონოგრაფიაში: „ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების მიხედვით“ (ავტორები: ტ. ფუტკარაძე, მ. ტაბიძე, მ. ლაბაძე, ს. კეკუა, კ. გეჯუა, ფ. ჩელები, მ. სალია-ბეშიროღლუ).

რასაკვირველია, მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარული დიალექტის ლექსიკურ ფონდში შემორჩენილია ძველი ლექსიკური ერთეულებიც, უცვლელი თუ შეცვლილი ფორმით. წინამდებარე სტატიაში სწორედ ამ ჯგუფის ლექსიკაზეა ყურადღება გამახვილებული. კერძოდ, ღირებულების, უფრო ზუსტად, ფულის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებზე: *მარჩილი* – „რკინის ფული“ და *ნაჭარი* – „ქაღალდის ფული“. ლაზურში ფიქსირებული *გეჭარელი // გენჭარერი* (ფულის მნიშვნელობით) გვაძლევს მყარ საფუძველს ვთქვათ, რომ *ნაჭარი* წარმოადგენს მეგრულ-ლაზურ ძირ-ფუძეს, რომელშიც *ჭარ-* „წერ-“ ძირი გამოიყოფა და სემანტიკურადაც ზუსტად ასახავს საგანს (ნა-ჭარ-ა „დაწერილი“, გეჭარილი / გეჭარელი „ზედ დაწერილი, ამოტვიფრული“). ამასთან, ფულზე აღბეჭდილ წარწერებს „ლეგენდას“ ქართულ მწერლობაში „ზედაწერილი“ ერქვა. ასევე, გაანალიზებულია ერთეული *ნაშალი,* რომელიც *შალ-* ძირს, „დაშლა“-ს უკავშირდება. მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების მეტყველებაში *სესხი / სესხობა* მხოლოდ თვის აღმნიშვნელად გამოიყენება. მიუხედავად ამისა, ის მაინც განვიხილეთ, რადგან ხსენებული ძირი ქართველურ სივრცეში ასევე გულისხმობს დროებით გაცემულ ფულს.

მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების მეტყველების ლექსიკური ფონდის ძირითადი ნაწილი დაცულია. ბუნებრივია, ლექსიკის გარკვეულ ნაწილს ნასესხობები წარმოადგენს, თუმცა ფაქტია, საერთოქართველურთან უძველესი ერთობა დღემდე არ გაწყვეტილა.

საკვანძო სიტყვები: ქართველი მუჰაჯირები, ქართველური ლექსიკა, აჭარული ლექსიკა.

ABSTRACT

The The descendants of Georgian muhajirs in Turkey represent a bilingual ethnic group, compactly settled across three major regions of the country - the Central Black Sea coast (from Giresun to Sinop), the South-Western Black Sea region (Düzce and Sakarya provinces), and the Marmara coastal zone (predominantly within Bursa Province). Their present-day Kartvelian speech reflects a continuation of the Adjarian dialect and the Chkhalian variety of the Khopa dialect. Since the late nineteenth century, these speech forms have developed in relative isolation from the literary Georgian language and other Kartvelian dialects, while continuing to reflect the influence of Turkish.

Naturally, within the lexical inventory of the Adjarian dialect preserved in the speech of the muhajir descendants, archaic lexical units are retained, either in unchanged or modified forms. The present article focuses on this lexical layer, specifically, on terms denoting value, or more precisely, money: *marčili* – (“metal currency”) and *naĉari* – (“paper currency”). The Laz forms *Gechareli//Genchareri* (in the sense of “money”) provide compelling evidence that *nachar* derives from a Megrelian-Laz lexical base, containing the root *ĉar-* (“to write”), which is identifiable

and semantically congruent with the referent (*Na-ĉar-a* „written“, *Geĉarili/Geĉareli* „inscribed, engraved“). Notably, the inscriptions impressed upon coinage — the “legend” — were referred to in Georgian literary tradition as *zedaċerili* (“that which is written above”). The lexical unit *našali,* linked to the root *šal-*, *dašla* (“to divide, to separate”), is also analyzed. In the speech of the muhajir descendants, *sesḣi/sesḣoba* is used only to denote a month. Nevertheless, we still discussed it, because the broader Kartvelian semantic field of the root also encompasses the meaning of money temporarily lent.

The main lexical corpus of the speech of Georgian muhajir descendants has been largely preserved. Naturally, part of the vocabulary is composed of loanwords; nevertheless, an enduring connection with the broader Common Kartvelian linguistic continuum has not been disrupted to this day.

Keywords: Georgian Muhajirs, Georgian vocabulary, Adjarian vocabulary.

შესავალი

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები თურქეთში წარმოადგენენ ორენოვან ეთნიკურ ჯგუფს, რომლებიც კომპაქტურად არიან დასახლებულნი ქვეყნის სამ დიდ რეგიონში – შუა შავიზღვისპირეთში (გირესუნიდან სინოპამდე), სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთში (დუზჯესა და საქარიის ილებში) და მარმარილოს ზღვისპირეთში (უპირატესად, ბურსას ილში). აგრეთვე, სტამბოლსა და სხვა დიდ ქალაქებშიც. ისინი განიხილებიან, როგორც თურქეთის ქართული დიასპორის ნაწილი. აქვე აღსანიშნავია, რომ ქართველობის ის ნაწილი, რომელიც თურქეთის ზოგ რეგიონში (უმეტესწილად, ჩრდილო-აღმოსავლეთში) მკვიდრი მოსახლეობაა, დიასპორად არ ითვლება.

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებს წარმოადგენენ აჭარიდან და ლაზეთიდან გადასახლებულთა შთამომავლები, რომლებიც ორ მსხვილ ჯგუფს ქმნიან: პირველნი – გურჯები (აჭარიდან, ქობულეთიდან, მაჭახლიდან და ნიგალიდან) და მეორე – ლაზები (გონიოდან, სარფიდან, მაკრიალიდან, ლიმანიდან, აზლაღიდან, მდ. ჩხალას და ბეღლევნის ხეობიდან). თურქეთში ამ უკანასკნელთ ქართველთაგან დამოუკიდებელ (თუმცა მონათესავე) ეთნიკურ ჯგუფად მიიჩნევენ. რასაკვირველია, ეს მცდარი შეხედულებაა, რადგანაც „ყოველი ინდივიდი, რომლისთვისაც ქართული / ქართველური ენობრივი სისტემა (ქართველური ენა-კილოები) მშობლიურია, ეთნიკურად ქართველია“ (ფუტკარაძე... 2022: 24).

მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების ამჟამინდელი ქართველური მეტყველება წარმოადგენს აჭარულ დიალექტსა და ხოფური დიალექტის ჩხალურ კილოკავს. ეს მეტყველებები XIX საუკუნის ბოლოდან ვითარდებიან სამწიგნობრო ქართული ენისა და სხვა ქართველური დიალექტებისგან იზოლირებულად, ამასთანავე, დღემდე განიცდიან თურქული ენის გავლენას.

იქიდან გამომდინარე, რომ მუჰაჯირთა შორის ყველაზე მეტი იყო აჭარის მკვიდრი ქართველობა (ზემო- და ქვემოაჭარლები, ქობულეთელ-ჩაქველები და მაჭახლელები), აჭარული დიალექტი საყოველთაოდ განზოგადდა და მუჰაჯირთა იმ ნაწილმაც, რომელიც აჭარის მეზობელი კუთხეებიდან იყო წამოსული, აჭარულად დაიწყო მეტყველება; ლაზების შემთხვევაში კი – ჩხალურ კილოკავზე. მსგავს შემთხვევებში ეს ჩვეულებრივი და გარდაუვალი პროცესია.

კვლევის მეთოდები

კვლევისას გამოყენებულია აღწერითი, შედარებითი, ლინგვისტური ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

მსჯელობა

აღსანიშნავია, რომ აჭარულად მოლაპარაკე მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველებას შემორჩენილი აქვს თითქმის ყველა ის ძირითადი ნიშან-თვისება, რაც ახასიათებს დღევანდელ აჭარულ დიალექტს უშუალოდ აჭარის ტერიტორიაზე. კარგადაა დაცული ლექსიკური ფონდის ძირითადი ნაწილი, რომელიც საერთოა სალიტერატურო ენასა და სხვა ქართველურ კილოებთან: **დაი** „და“, **ნენეი** „დედა, ნენა“, **ბაბოი** „მამა, ბაბა“, **მზეი** „მზე“, **მთუარეი** „მთვარე“, **წისქუილი** „წისქვილი“... აღსანიშნავია არქაული ქართული ლექსიკაც: **მერჩულე** „სუფისტი, მერჯულე“, **ტანაჯორი** „ბზრიალა“, **ხანაში** „ხენეში, ცუდი“, **ხიზანი** „საცოდავი“... ბუნებრივია თურქული (და მისი მეშვეობით, არაბული და სპარსული) ნასესხობების არსებობაც: **დელიყანი** „ვაჟკაცი“, **ზამანი** „დრო“... (ფუტკარაძე... 2022: 220-221).

რასაკვირველია, მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარული დიალექტის ლექსიკურ ფონდში შემორჩენილია ძველი ლექსიკური ერთეულებიც, უცვლელი თუ შეცვლილი ფორმით. წინამდებარე სტატიაში სწორედ ამ ჯგუფის ლექსიკაზე გავამახვილებთ ყურადღებას. კერძოდ, ღირებულების, უფრო ზუსტად, ფულის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულზე.

ღირებულების აღმნიშვნელ ერთეულად ვიყენებთ **ფული** ფორმას. რომელსაც ს.ს. ორბელიანთან ვხვდებით შემდეგი ფორმით: **ფოლი** „ფული“ და იქვე გვამისამართებს: ნ. აბაზი > „ოთხი შაური, ორმოცი ფოლი“ (ორბელიანი, 1991, 1993).

ფული ქეგლ-ში განმარტებულია როგორც: 1. ლითონის ან ქაღალდის ნიშანი, რომელიც წარმოადგენს ღირებულების საზომს ყიდვა-გაყიდვისას; 2. რისამე გადასახადი. აქვე შემოთავაზებულია ფულის სახეობები: მსხვილი ფული, წვრილი ფული, ხურდა ფული (ქეგლ). აქვე ვხვდებით წვრილი ფულისთვის დღეს აქტიურად გამოყენებულ ერთეულს **ხურდა,** რომელიც სპარსული წარმომავლობისაა: ხორდე „წვრილი, მცირე“ (ქეგლ).

აქვე მოკლედ **დავძენთ**, რომ ქართულ ლიტერატურაში ფულის, ღირებულების საზომად ვხვდებით სხვადასხვა ენიდან (სპარსული, ბერძნული, რუსული) ნასესხებ ლექსიკას: დრაჰკანი, აბაზი, შაური, ტალანტი, გროში, კაპიკი...

დღეს აქტიურად გამოიყენება სპარსული წარმომავლობის **ფული** ფორმა, თუმცა ზეპირ მეტყველებებში, სხვადასხვა კუთხეებში (გურულში,

იმერულში, აჭარულში, მეგრულში...) ხშირია თურქულიდან შემოსული **ფარა.**

გასაკვირი არ უნდა იყოს მუჰაჯირ ქართველთა მეტყველებაშიც **ფარა**-ს აქტიური გამოყენება:

მემრენ, ის მაღაზა რომ ქონდენ, იქიდან პაწაწა რაცხები ქონებია დედესი – *ფარა,* შენახული. (მუსტაფა ოზთურქი, ხოხოტაიშვილი, 67 წლის, უნიე, სოფ. ექინჯული) (ფუტკარაძე,... 2022: 166);

ერთი დირექტორი მყარდა მოხუცი, დირექტორმა მომატყუილა, მაშინ *ფარა* მუმიპარა, მემრე ის გარაძე. (ახმედ იმაზი, 45 წლის, ჩარშამბა) (იქვე: 351);

ენ წინ, მქუცვები მისას მისულან – უსტა კაცია, *ფარა* ექნება, დევეცეთ, გავხქუცოთო (სინან მიმარი, დუზჯე) (იქვე: 416).

2019-2022 წლებში თურქეთში, მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლებთან ერთ-ერთი ექსპედიციის დროს, დავაფიქსირეთ ორი ქართველური ერთეული:

მარჩილი – „რკინის ფული“ და **ნაჭარი** – „ქაღალდის ფული“.

მარჩილი გვხვდება განმარტებით ლექსიკონებში: საბა გვიხსნის როგორც „სამი აბაზი“ და გვამისამართებს **ეჟურა** ფორმასთან „მარჩილი; ანდრია სალოსში: „მომეც დრაჰკანი ანუ ეჟურა“ (ორბელიანი 1991, 1993). **მარჩილი** „ძველი ქართული ფული, ხშირად მოხსენებული ვახ. მეფის სამართლის წიგნსა შინა, აწინდელი სამი აბაზის ვეცხლის ფულის ფასისა; ხოლო იმერეთსა შინა აწცა ხმარობენ თეთრის თჳლაში და ჰნიშნვენ 6 შაურს, ან რუსულს ერთ რუბლს შავს ფულსა, რამეთუ მარჩილს სთEლიან ასს ფარად და ფარად უხმობენ კაპეიკს“ (ჩუბინაშვილი 1961); ამავე მნიშვნელობითაა შესული ქეგლ-ში: „ძველი ქართული ვერცხლის ფული, უდრიდა სამ აბაზს; წვრილი ფული ძველად“ (ქეგლ).

მარჩილი ფიქსირებულია „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“: **მარჩილი** (იმერხ.) „ფულის ერთეული ძველად“. იქვე იმოწმებს საბასა და ჩუბინაშვილების განმარტებას (ღლონტი 1984); ი. ყიფშიძეს შეტანილი აქვს თავის ლექსიკონში და განმარტებას – 10 კაპიკი, ამატებს აღწერის მასალების ინფორმაციას: „უძველესი მეგრული მონეტა, თითქმის გრივენიკის ტოლი“. ამასთან დაკავშირებით ავტორი დასძენს, რომ „არ ვიცით არსებობდა თუ არა ასეთი უძველესი მეგრული მონეტა; საქართველოში არსებობდა და ორბელიანის მიხედვით 60 კაპიკი ღირდა... მუთუნგ-ქესა-მარჩილით „არავითარ შემთხვევაში, არანაირ ფასად“ (ყიფშიძე 1994); ო. ქაჯაიას მეგრულ-ქართულ ლექსიკონში: **მარჩილი** – „ფულის ერთეული, 10 კაპიკი“ (ქაჯაია 2001); ალ. ქობალიას მეგრულ ლექსიკონშიც იმავე მნიშვნელობით დასტურდება: „ძველი მონეტა (უდრიდა ქართული ვერცხლის სამ აბაზს)“ (ქობალია 2010).

ი. გიულდენშტედტს, საქართველოს აღწერისას, აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ ფულთა შორის მოხსენიებული აქვს **მარჩილი.** დასავლეთ საქართველოში, სხვათა შორის, **მარჩილიც** „მიღებული ყოფილა“, თუმცა „...ადგილობრივი ქართული საკუთარი ფული არ ყოფილა, არამედ ოსმალური და უცხოური, ამიტომ მარჩილიც

ადგილობრივ ფულად არ უნდა ვიგულისხმოთ“-ო. წყაროები სხვა სურათს გვიჩვენებს: ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ფულის სახელი **მარჩილი** XVI საუკუნის პირველი ნახევრიდან ჩნდება. ბაგრატ იმერეთის მეფის 1545 წლის გელათის სიგელიდან ჩანს, რომ ის ვერცხლის ფულია. ეს სახელი აღმოსავლეთ საქართველოშიც რომ ვრცელდება, 1629 წლის მცხეთის სიგელით დასტურდება. დასავლეთ საქართველოში XVII-XVIII საუკუნეების საბუთებში წინანდებურად იხსენიება **მარჩილი.** გარდა ამისა, ის მარტო საქართველოში რომ არ იყო გავრცელებული და უცხოეთში გადიოდა, ჩანს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სულთა მატიანედან: მაგ. ჩიჯავაძე ვახტანგს „ასი მარჩილი“ შეუწირავს, დადიანის ასულმა ხვარამზემ „მოგუცა ხუთასი მარჩილი“... (ვრცლად იხ.: ჯავახიშვილი 1925: 24). დამატებით არგუმენტად შეიძლება დავიმოწმოთ ფილოლოგიის დოქტორ გიორგი (საიდ) მულიანის მიერ მოწოდებული ინფორმაცია XVIII საუკუნის სპარსულ დოკუმენტზე, სადაც აღნიშნულია ერთ-ერთი ქართველი მთავრის მიერ გადახდილ ხარკზე, რომლის ერთეული იყო „მორჩილი“ (იგივე მარჩილი – კ.გ.) [2].

რაც შეეხება **ნაჭარი** ფორმას, ის მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების მეტყველებაში გამოიყენება როგორც „ნაჭერის“, ისე „ფულის“ მნიშვნელობით.

სხვა ქართველურ მეტყველებებში **ნაჭარ-** ფუძე დაკავშირებულია მოჭრასთან, ჭრილობასთან, ნაჭერთან; მაგ., დასტურდება ხევსურულში: **ნაჭარი** მოჭრილი (ბევრა ხეებ ჩამოვყარე ქვიტკირისად ნაჭარია (ხევს. პოეზია) და ჭრილობის მნიშვნელობით (ჭინჭარაული 2005); ასევე, თუშურში“ ნაჭარი ჭრილობა (ავი ყოფილა ნაჭარი, ნაჭმევი თუშის ხმლისაო), ნაჭარაყი ნაჭერი (ერთი შეშის ნაჭარაყიც არ მიგდი, ზამთარ კი სიდაცა ქუდს დიყხურავს (ცოცანიძე 2002).

რას შეიძლება უკავშირდებოდეს **ნა-ჭარ-** ფუძე?! ერთი მხრივ, რადგან, ზოგადად, ფული იჭრება, შესაძლებელია **ჭრა** ძირზე გვეფიქრა ძირთა სხვადასხვაობა რომ არ გვიშლიდეს ხელს. მეორე მხრივ, ვფიქრობთ, მეტად მნიშვნელოვანი, ლაზურში ფიქსირებული **გეჭარელი//გენჭარერი** „ფულის“ მნიშვნელობით (თანდილავა 2013), გვაძლევს მყარ საფუძველს ვთქვათ, რომ **ნაჭარი** წარმოადგენს მეგრულ-ლაზურ ძირ-ფუძეს, რომელშიც **ჭარ-** „წერ“ ძირი გამოიყოფა და სემანტიკურადაც ზუსტად ასახავს საგანს (ნა-ჭარ-ა „დაწერილი“, **გეჭარილი/გეჭარელი** „ზედ დაწერილი, ამოტვიფრული“). ამასთან, ფულზე აღბეჭდილ წარწერებს „ლეგენდას“ ქართულ მწერლობაში „ზედაწერილი“ ერქვა, ხოლო ზედამოყვანილ სახეს „ხატი“ (ჯავახიშვილი 1925: 13).

ერთ-ერთი მთქმელის მეტყველებიდან ჩანს, რომ **ნაჭარი,** ზოგადად, ფულს აღნიშნავს, თუმცა, რა თქმა უნდა, გარჩეულია **ნაჭარი,** როგორც ქაღალდის ფული და **მარჩილი** – რკინის ფული. წარმოვადგენთ შემთხვევებს:

ქაღიდის ფარა, რკინის ფარა. ნაჭარიჷო ვიტყვით იმასაც. რატომ ვიტყვით? თურქებმა არ მიხდენ დიე, თჷალ დუუქნევთ – ჭო, ნაჭარი არ მიცე

[2] გიორგი (საიდ) მულიანი ამ დოკუმენტს იმოწმებს თავის მონოგრაფიაში „ქართველთა როლი ირანის ისტორია, კულტურასა და ცივილიზაციაში“, ისპაჰანი, 2000, გვ. 1128 (სპარსულენოვანი).

მაგას! (სულეიმან ხინკლაძე (ქაზანჩი), 73 წლის, სოფ. ხეირიე) (ფუტკარაძე... 2022: 560);

გოგოს ძმა იქნებოდა კართან, ფარას, ნაჭარს აართმავს. მერე დედოფალი. დაჲ მისცემს სიძეს... (ყადრიე და ფევზი ჩელები, გოლჲაქა) (იქვე: 429);

ნაჭარი, ხურდა ფული ნაშალია, თუ არადა ნაჭარი. მარჩილი აგინია, ქურუშები (ნური თურქილმაზ, 76 წლის; აჰმედ მემედაღიშვილი (სალიხაშვილები), 72 წლის, მურათბეჲ) (იქვე: 533).

აქ საინტერესოა სპარსული წარმომავლობის **ხურდა** და ქართველური **ნაშალი** ფორმებიც, რომლებიც „წვრილ ფულს“ აღნიშნავენ. ცხადია, **ნა-შალ-ი შალ**- ძირს უკავშირდება (დაშლა). ისინი აქტიური გამოყენებისაა თანამედროვე ქართველურ ზეპირ მეტყველებებში (ლეჩხ., იმერ., გურ., მეგრ., ზ. აჭარ...). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **ხურდ-ა** ძირის შემცველი ზმნური ფორმები სხვა სემანტიკასაც იძენენ, მაგალითად: **დაახურდავე** „წვრილ ფულად დაშალე“, ასევე, „გადაცვალე“; **გადაახურდავე** – ეს პირდაპირ ვალუტის გადაცვლას გულისხმობს.

საინტერესოა, ასევე, რომ ფულთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა **ვალი, სესხი** „დროებით გაცემული თანხა“, მათ მეტყველებაში აღინიშნება თურქული შესატყვისით **ბორჯ:** გამოვდა, დუუმახა გარსონსა და ბორჯუმ ნე ყადარო? – ეკითხება. ჲუზ ბინ ლირაო! – იმან უთხრა (ფუტკარაძე... 2022: 459). თუმცა მათ ცნობიერში **სესხ-** ძირი შემორჩენილია **სესხობა-**ს (თვის აღმნიშვნელი) შემთხვევაში და მთქმელი განგვიმარტავს კიდევაც:

აქაური თვეები ჳიცით ჩჳენ. გურჯული არ ჳიცით, ერთი ორი თჳე ჳიცით: აპრილი, სესხელობაჲ. **სესხობა**, ჲანე, ზაფხულის მოსლამდინ დეგელია პური, სიმინდი, სესხობის თჳე - მოჳალ შენთან, მოგთხოჳ, მომცემ და ბაშქა, სხვა იგი არ აქ, ჲანე, ზათემ მომცემ. სხჳა არ ჳიცი, აუგუსტოს იტყოდენ, იანვარს იტყოდენ, ზემთერს იტყოდენ – მწარე სიცივის იგი. თებერჳალიც არი, მარტიც გაგონილი მაქ. (ნური თურქილმაზ, 76 წლის, აჰმედ მემედაღიშვილი (სალიხაშვილები), 72 წლის, მურათბეჲ) (იქვე:: 533);

სესხები გაზაფხულია, ერთი ჰაფთა არი, ონ ბეშ გუნი არ ვიცი ის, სესხები გამოჳდა ზაფხული მოჳა (თევრან შირინ, 65 წლის, გჲულბაჰჩე (იქვე: 562);

ერთი აპრილი ვიცი, ჩემი დიდი ბაბანე იტყვოდა, ბაბას დედა იტყვოდა, დედაბრების სესხიჳო იტყვოდა. რომენე ბევრი გათოვლდებოდა, აჰა იშთე ხედავ – ასე გვეტყვოდა, – დედაბრებმა კიდენ რაცხა რომელი უნდოდენ, ის ქნასო, გაათოვლესო იტყვოდა, გუუწიწებდა ასე ზამთარი. ოთხ თვეს გადაიარდა ჲა ზამთარი, სიცივეეფში დედაბრის **სესხი, სესხობა.** აპრილი, მარტი, **სესხობა: ესე არი ისი, რომე, ერთი კოინჯი ვინცხა** ყოფილა, მცხუარი ძალიანი ყოლებია. მარტი გასულა-ქი, ე მცხუარი კარქათაჲ, ლამაზათაჲ შუუნახვია. მემრენ და, აპრილი მოვდა და გამოფინა მცხუვარი ჲაილაზედა ლამაზ-ლამაზ. იგზე, ერთი უშაირნია იმ კოინჯისა, ქი:

„იმფრათ გევდა მარტი-მურტივო,

ვერ მიმაკლო კრავის კნუტივო!“

ამფერ უშაირნია და, გუუგონია ესე მარტსა. აპრილისად უთქმია, რომე: მეგზე ერი კოინჯი რუმაა, მეგისი ჯავრი ამომფუვლდა, ერთი-ორი დღე **მასესხევიო. უსესხებია** იმ აპრილსაც, სამი დღეჲ. ჰელე, დუუშვა იმ მარტმა

ხოშკეკალაჲ, დუუშვა-დუუფინა, დუუფინა და ჰეფთენ ჩუუცვითა იმ კოინჯის მისი მალი, მცხვარი რაც რომ ყოლებია. ეგია **სესხობა.** ეს სახელი იმფრად დარჩენილა (სულეიმან ხინკლაძე (ქაზანჩი), 73 წლის, ხეირიე) (ფუტკარაძე... 2022: 561).

მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების ნიმუშების ჩაწერისას მასალებში დაფიქსირდა მრავალი პიროვნული მეტსახელი; მათგან ერთ-ერთი იყო **ნაჭარულაჲ,** ითქმის ადამიანზე, რომელსაც ბევრი ფული აქვს და ფანტვა უყვარს (მუსტაფა ხოხოტაიშვილი (ოზთურქი), 67 წლის, უნიე, სოფ. ექინჯუღი) (იქვე: 297).

დასკვნა

მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების მეტყველების ლექსიკური ფონდის ძირითადი ნაწილი დაცულია. ბუნებრივია, ლექსიკის გარკვეულ ნაწილს ნასესხობები წარმოადგენს, თუმცა ფაქტია, საერთოქართველურთან უძველესი ერთობა დღემდე არ გაწყვეტილა; მიუხედავად ამისა, თანამედროვე პირობებში დიდია თურქულენოვანი გარემოს გავლენა მათ მეტყველებაზე და გაქრობის საფრთხეს უქმნის. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, დარგის სპეციალისტთათვის მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა და საშური საქმეა აღნიშნული მეტყველების ნიმუშთა შეგროვება-შესწავლა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

თანდილავა 2013: თანდილავა ა., ლაზური ლექსიკონი. თბილისი, 2013.
ორბელიანი 1991: ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული. თბილისი, I ტ.
ორბელიანი 1993: ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული. თბილისი, II ტ.
ფუტკარაძე... 2022: ფუტკარაძე ტ., ტაბიძე მ., ლაბაძე მ., კეკუა ს., გეჯუა კ., ჩელები ფ., სალია-ბეშიროღლუ მ., ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების მიხედვით. თბილისი.
ქაჯაია 2001-2002: ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, II, III ტომი. თბილისი.
ქეგლ 1950-1964: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული. მთავარი რედაქტორი არნ. ჩიქობავა. თბილისი.
ქობალია 2010: ქობალია ა., მეგრული ლექსიკონი. თბილისი.
ღლონტი 1984: ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.
ყიფშიძე 1994: ყიფშიძე ი., რჩეული თხზულებანი. თბილისი.
ჩუბინაშვილი 1961: ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი. თბილისი.
ცოცანიძე 2002: ცოცანიძე გ., თუშური ლექსიკონი. თბილისი.
ჭინჭარაული 2005: ჭინჭარაული ალ., ხევსურული ლექსიკონი. თბილისი.
ჯავახიშვილი 1925: ჯავახიშვილი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა : წიგნი III, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ნაკვეთი III. თბილისი.

References and Sources

Chincharauli 2005: Chincharauli A., Khevsurian Dictionary. Tbilisi.
Chubinashvili 1961: Chubinashvili N., Georgian Dictionary. Tbilisi.
Ghlonti 1984: Ghlonti A., The vocabulary of the Georgian Dialects and Subdialects. Tbilisi.
Javakhishvili 1925: Javakhishvili I., The Purpose of History, Sources and Methods Then and Now: Book III Georgian Metrology, or Numismatics-Metrology Plot III. Tbilisi.
Kajaia 2001-2002: Kajaia O., Megrelian-Georgian Dictionary. Vol. I, II, III, Tbilisi.
Kegl 1950-1964: Explanatory Dictionary of the Georgian Language, eight volumes. Editor Arn. Chikobava. Tbilisi, .
Kipshidze 1994: Kipshidze I., Selected Works. Tbilisi.
Kobalia 2010: A. Kobalia, Megrelian Dictionary. Tbilisi.
Orbeliani 1991: Orbeliani S.-S., Georgian Dictionary. Tbilisi, I vol.
Orbeliani 1993: Orbeliani S.-S., Georgian Dictionary. Tbilisi, II vol.
Putkaradze... 2022: Putkaradze T., Tabidze M., Labadze M., Kekua S., Gejua K., Chelebi F., Salia-Beshiroghlu M., The Kartvelian-Turkish Code-Mixing Regularities According to the Speech of Kartvelian-speaking Muhajirs' Descendants. Tbilisi.
Tandilava 2013: Tandilava A., Laz Dictionary. Tbilisi.
Tsotsanidze 2002: Tsotsanidze G., Tush Dictionary. Tbilisi

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.06

აფხაზური ენის ფუნქციონირების საკითხები თურქეთისა და საქართველოს აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლებში

THE FUNCTIONING OF THE ABKHAZIAN LANGUAGE AMONG THE DESCENDANTS OF ABKHAZ MUHAJIRS IN TURKEY AND GEORGIA

თეა გიგიტაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Tea Gigitashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia

აბსტრაქტი

აფხაზები, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ ძირითადად თურქეთსა და საქართველოში (აჭარაში), არიან აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლები, რომლებიც რუსეთის იმპერიამ იძულებით გადაასახლა მე-19 საუკუნეში.

ხალხთა დეპორტაციის გავლენა ენების ფუნქციონირებაზე ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული და კომპლექსური საკითხია სოციოლინგვისტიკაში. დეპორტაციის დროს საზოგადოება იძულებით იცვლის სოციალურ, კულტურულ და ლინგვისტურ გარემოს. შედეგად ბავშვები და მომავალი თაობები ვეღარ სწავლობენ მშობლიურ ენას. ოჯახური კომუნიკაცია გადადის მასპინძელი ენის გამოყენებაზე, ირღვევა თაობებს შორის ენის ბუნებრივი გადაცემა. შანსებს. ამ პროცესს ამძაფრებს აფხაზური ენის პრესტიჟულობის დაქვეითება – ენა აღარ აღიქმება სოციალური ან ეკონომიკური წარმატების ინსტრუმენტად, რაც იწვევს მის ჩანაცვლებას დომინანტური, უფრო პრესტიჟული ენებით. შედეგად არა მხოლოდ ენის ფუნქციური არეალი ვიწროვდება, არამედ საფრთხე ექმნება ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებასაც, რადგან ენა ამ იდენტობის ერთ-ერთი ცენტრალური კომპონენტია.

აფხაზური ენა დღეს მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას როგორც აფხაზეთში, ისე მუჰაჯირთა შთამომავლებში, განსაკუთრებით თურქეთის რესპუბლიკაში. ენის ფუნქციონირების პრობლემატიკა უკავშირდება როგორც პოლიტიკურ, სოციალურ, ასევე, დემოგრაფიულ ფაქტორებს, რაც მისი გადარჩენის ან ასიმილაციის პერსპექტივებს განსაზღვრავს.

აფხაზური ენის ფუნქციონირება საქართველოსა და თურქეთში სერიოზულ საფრთხეებს განიცდის, რაც სხვადასხვა სოციალურ-

პოლიტიკური თუ ლინგვისტური ფაქტორით არის განპირობებული. ენის ასიმილაციის პროცესები – ქართულის, თურქულისა და რუსულის გავლენით – ხელს უშლის აფხაზური ენის ბუნებრივ განვითარებას. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – რუსიფიკაციის, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე (ბათუმსა და მის შემოგარენში) – ქართული ენის, ხოლო თურქეთში – თურქიზაციის პროცესები აფხაზური ენის ფუნქციონირებას ასუსტებენ.

აფხაზური ენა იუნესკოს გაქრობის საფრთხის წინაშე მდგომი ენების სიაშია შეტანილი.

საკვანძო სიტყვები: აფხაზური ენა, მუჰაჯირობა, ენის პრესტიჟულობა, ენების ასიმილაცია, საფრთხის წინაშე მყოფი ენები.

ABSTRACT

The Abkhazians currently residing primarily in Turkey and in Georgia (particularly in Adjara), are descendants of Abkhaz muhajirs who were forcibly displaced by the Russian Empire in the nineteenth century.

The impact of forced deportation of peoples on language functioning is one of the most challenging and complex issues in sociolinguistics. During deportation, communities are compelled to undergo radical transformations of their social, cultural, and linguistic environments. Under such conditions, children and subsequent generations frequently fail to acquire the ancestral language. Communication within the family shifts toward the host language, thereby interrupting the natural transmission of language across generations. This process is further intensified by the decline in the prestige of the Abkhaz language, which ceases to be perceived as an instrument of social or economic advancement, leading to its replacement by dominant and more prestigious languages. As a result, not only does the functional scope of the language narrow, but the preservation of ethnic identity is also threatened, since language is one of its central components.

Today, the Abkhazian language faces significant challenges both in Abkhazia and among muhajir descendant communities, particularly in the Republic of Turkey. The issues of language functioning are related to political, social, and demographic factors, which determine its prospects for linguistic preservation or assimilation.

The functioning of the Abkhazian language is confronted with considerable threats in Georgia (especially in Adjara) and Turkey arising from various socio-political and linguistic factors. Processes of language assimilation under the influence of Georgian, Turkish and Russian hinder the natural development of the Abkhazian language. Within the Autonomous Republic of Abkhazia, ongoing Russification; in Georgian-controlled territories (notably Batumi and its surrounding region), the predominance of Georgian; and in the Republic of Turkey, systematic Turkification processes collectively weaken the functional vitality of the Abkhazian language.

The Abkhazian language is included on UNESCO's list of endangered languages.

Keywords: Abkhazian language, muhajirism, language prestige, language assimilation, endangered languages.

შესავალი

აფხაზური ენა განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფს. ამ ჯგუფში აფხაზურის გარდა გაერთიანებულია: აბაზური, ყაბარდოული, ადიღეური და უბიხური ენები. აფხაზურ ენას ორი ძირითადი დიალექტი აქვს: **აბჟუური** და **ბზიფური.** მათ შორის სხვაობა ძირითადად შეიმჩნევა ფონეტიკურ სტრუქტურასა და ფონეტიკურ პროცესებში, მცირედი თავისებურება იჩენს თავს მორფოლოგიასა და ლექსიკაში. აბჟუური დიალექტი, რომელიც გავრცელებულია ოჩამჩირის რაიონში, კილოკავების თვალსაზრისით ძირითადად ერთგვაროვანია. ბზიფურ დიალექტში კი, აკად. ქ. ლომთათიძის კლასიფიკაციით, სამი კილოკავი გამოიყოფა: **ოთჰარისა, ლიხნისა** და **ააცისა (**ლომთათიძე 1976: 7-9).

ამორიდიალექტისგარდაგამოყოფენბათუმელაფხაზთამეტყველებასაც, რომელიც ნარევი ხასიათისაა. გარკვეული სახეცვლილებით საუბრობენ თურქეთის, სირიისა და იორდანიის კომპაქტურად მცხოვრები აფხაზები. რაც შეეხება თურქეთსა და სირიაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებას, იგი ჯერჯერობით სამეცნიერო თვალსაზრისით არ არის კარგად შესწავლილი (გვანცელაძე 2003: 18).

აფხაზური ენა იუნესკოს გაქრობის საფრთხის წინაშე მდგომი ენების სიაშია შეტანილი[1].

აფხაზურ ენაზე ლაპარაკობენ საქართველოსა (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა) და თურქეთში. აფხაზური ენის გავრცელების არედ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ტერიტორიაზევე, ბათუმისა და მისი შემოგარენის რამდენიმე სოფელი, ასევე, სირიაში არსებული რამდენიმე აფხაზურენოვანი დასახლებული პუნქტი. აფხაზების გარკვეული ნაწილი კომპაქტურად ან დისპერსიულად ცხოვრობს რუსეთში, იორდანიაში, ერაყში, აშშ-სა და ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში (ყველაზე მეტი გერმანიაში). მათი საერთო რაოდენობა ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში 500 ათასამდე აღწევს (ეს ციფრი პირობითია, ზუსტი ოფიციალური რაოდენობა არ არსებობს).

აფხაზები, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ ძირითადად თურქეთსა და საქართველოში (აჭარაში), არიან აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლები, რომლებიც რუსეთის იმპერიამ იძულებით გადაასახლა მე-19 საუკუნეში.

კვლევის მეთოდები

სოციოლინგვისტური კვლევის შედეგების ზუსტი ანალიზისთვის მოვახდინე მონაცემთა სისტემატიზაცია, გამოვიყენე კვლევის სხვადასხვა მეთოდი და დამხმარე ფაქტორები. გავითვალისწინე რესპონდენტთა ასაკი, სქესი, კულტურული და სოციალური მახასიათებლები.

სტატიაზე მუშაობის პროცესში გამოყენებულია კვლევის სხვადასხვა მეთოდი. კვლევით ექსპედიციაში ვიმყოფებოდი 2019 წლის ივლის-

[1] "UNESCO"-მ აფხაზური ენა გაქრობის საფრთხის წინაშე მდგომი ენების სიაში ოფიციალურად შეიტანა // 7 დღე. დაარქივებულია ორიგინალიდან — 2012-07-30. ციტირების თარიღი: 2011-10-27.

აგვისტოსა და 2024 წლის სექტემბერში აჭარაში, ბათუმსა და მის მიმდებარე დასახლებებში, სადაც აფხაზები კომპაქტურად ცხოვრობენ. საველე სოციოლინგვისტური კვლევების საწარმოებლად გამოვიყენე რაოდენობრივი და თვისებრივი პარამეტრების ანალიზი, რომელიც თავისთავად ეფუძნებოდა ანკეტირებისა და კითხვარების შევსებას. ასევე, ვიწერდი ინტერვიუებს ადგილობრივ მოსახლეობასთან და ვაგროვებდი ფოტომასალას.

კვლევის შედეგების გასაანალიზებლად დავიხმარე სოციო-ლინგვისტური კვლევის ძირითადი მეთოდები: ისტორიულ-კულტურული ფაქტორი, სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული ინტერვიუ, ენობრივი დაკვირვება, სოციოდემოგრაფიული მონაცემების შეგროვება, კოდ-შერწყმის (code-switching) დაკვირვება (აფხაზური, ქართული და სხვა ენების მონაცვლეობის ან შერევის ანალიზი საუბარში).

მსჯელობა

აფხაზეთის კოლონიზაცია-რუსიფიკაციის ერთ-ერთი ყველაზე ვერაგული შედეგი იყო **მუჰაჯირობა,** ანუ აფსუათა გაძევება აფხაზეთიდან, რაც აფსუათა უდიდეს ნაწილს შეეხო და ფაქტობრივად მათი გენოციდის ტოლფასი მოვლენა იყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. რესეთის იმპერიას სურდა დემოგრაფიული სურათის შეცვლა აფხაზეთში აფსუათა ხარჯზე, თავისთავად შემცირდებოდა ქართველთა ხვედრითი წილიც და ეს გააადვილებდა „რუსული აფხაზეთის“ შექმნას (გასვიანი 2004: 63).

1864 წელს კავკასიის მთიელი ხალხების დამარცხების შემდეგ რუსეთის მთავრობა შეუდგა ადრე შემუშავებული გეგმის განხორციელებას – მთიელთა განდევნას მშობლიური მიწა-წყლიდან, განსაკუთრებით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან. მაშინ აიძულეს 700 ათასამდე ჩერქეზი, უბიხი, აფხაზი, ჩეჩენი, დაღესტნელი და სხვა მთიელნი ოსმალეთში გადასულიყვნენ. სამშობლოდან განდევნილებს მუჰაჯირებს უწოდებდნენ, რაც არაბულად „გადასახლებულს“ ნიშნავს.

1864 წლის 21 მაისს უბიხების, ჩერქეზებისა და ამჟამინდელი გაგრის რაიონის ტერიტორიაზე მოსახლე აფხაზთა ოთხი ჯგუფის (**ჯიქეთის, აიბგას, აჰჭიფსისა** და **ფსჰუს** აფხაზთა) ბრძოლის მარცხით დასრულებისთანავე იმპერიამ დამარცხებულთ მაშინვე მოსთხოვა აყრა და დედაბუდიანად ოსმალეთში გადასახლება, მაგრამ მათმა ნაწილმა კვლავ იარაღი აიღო ხელთ. ამ დაუმორჩილებელ ჯგუფებს მალე მოუხდათ დანებება, ისინი ჩაიყვანეს ზღვის სანაპიროზე და განდევნეს ოსმალეთში, ხოლო მათი სოფლები გადაწვეს და გაამზადეს რუსი კოლონისტების დასასახლებლად. ამ ოპერაციის დროს ოსმალეთში გასახლებულ იქნა თითქმის 20 000 **ჯიქი, აიბგელი, აჰჭიფსელი** და **ფსჰუელი.** ეს იყო უმნიშვნელოვანესი ეთნიკურ-დემოგრაფიულ-ლინგვისტური შინაარსის ეკოლოგიური კატასტროფა, რითაც დაიწყო რუსეთის მიერ განხორციელებული კატასტროფების სერია აფხაზეთში (გვანცელაძე... 2021: 31).

ამ ბარბაროსული ოპერაციის შედეგად სამუდამოდ გაქრა აფხაზეთის ლინგვისტური რუკიდან აფხაზური ენის **ჯიქური** (სამური), **აიბგური, აჰჭიფსური** და **ფსჰუური** მიკროსამეტყველო ვარიანტები. ოთხივე ჯგუფის წარმომადგენლები ოსმალეთის იმპერიამ დაფანტულად დაასახლა

სრულიად უცხო ეკოლოგიურ გარემოში, საკუთრივ თურქეთის ვრცელ ტერიტორიასა და იმ დროს აზიის, ევროპისა და აფრიკის კონტინენტებზე გადაჭიმულ ქვეყნებში, სადაც ცხოვრობდნენ თურქულენოვანი, არაბულენოვანი და სამხრეთსლავური ჯგუფის ენებზე მოლაპარაკე ხალხები, რომლებსაც აფხაზთაგან ძალზე განსხვავებული ეთნოფსიქიკა, საკუთარი მსოფლხედვა და ტრადიციები ჰქონდათ. ამჟამად ამ ოთხი აფხაზური ტომის წარმომადგენლების უმრავლესობამ აღარ იცის დედაენა, ნაწილი გათურქდა, ნაწილი გაარაბდა, მესამე ნაწილმა ენა დაკარგა, მაგრამ ეთნიკური იდენტობა დღემდე შეინარჩუნა, თუმცა ისიც უკვე გაქრობის სტადიაზე (გვანცელაძე... 2021: 31).

მეორე მასობრივი გადასახლება 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის მსვლელობისას, 1877 წლის აგვისტოში განხორციელდა, როცა თურქეთში დაახლოებით 30 ათასი აფხაზი გადასახლდა. გადასახლების ცალკეული შემთხვევები შემდეგ პერიოდშიც იყო. მუჰაჯირი აფხაზები როგორც ოსმალეთის შიდა პროვინციებში, ასევე, განაპირას, სამშობლოსთან ახლოს სახლდებოდნენ.

მუჰაჯირების უმეტესი ნაწილი გადასახლების დროს გზაში დაიღუპა. ოსმალეთის იმპერია ვერ უმკლავდებოდა მიგრანტთა შედინებას, ხშირად საცხოვრებელი ადგილის გარეშე დარჩენილი მუჰაჯირები შიმშილითა და გავრცელებული დაავადებებით იღუპებოდნენ.

გაუკაცრიელებული აფხაზეთი დამთრგუნველი სანახავი იყო. როგორც დიდი მეცნიერი **ნიკო მარი** აღნიშნავდა, „აფხაზეთის ცენტრალური ეთნოგრაფიული ნაწილიც კი გაუკაცურდა... დარჩა მხოლოდ გაველურებული ეზოები ხეხილით, არ იყო არც ერთი აფხაზი და არც აფხაზური სიტყვა გაისმოდა“ (Марр 1935: 177).

რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებული შეთანხმებითაც მუჰაჯირებს სამშობლოში დაბრუნების უფლება არ ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, მუჰაჯირები ჯიუტად ცდილობდნენ, ზოგი ზღვით, ზოგი ხმელეთით, გამოეღწიათ ოსმალთა და რუსთა საგუშაგოებისთვის და მშობლიურ კერას დაბრუნებოდნენ. რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1878 წლის 3 მარტის **სან-სტეფანოს ზავის** დადების შემდეგ მუჰაჯირები პირველ რიგში ბათუმისკენ გაემართნენ, რომელიც ჯერ ისევ ოსმალეთის შემადგენლობაში შედიოდა და აფხაზეთში დაბრუნებას იქიდან ცდილობდნენ. ქართველი საზოგადოებრიობის დახმარებით აფხაზთა ერთი ნაწილი ბათუმსა და მის შემოგარენში დამკვიდრდა, სადაც აფხაზი მუჰაჯირები 1864 წლიდან ცხოვრობდნენ.

ბოლოს აფხაზთა მოზღვავებამ რუსეთის მთავრობა აიძულა 1879 წლის 27 იანვარს კონსტანტინოპოლში ხელი მოეწერა ოსმალეთთან ხელშეკრულებისთვის, რომლის თანახმადაც რუსეთის ხელისუფლებამ დაუშვა აფხაზების ნაწილობრივი რეპატრიაცია ხელშეკრულების ხელმოწერიდან სამი წლის განმავლობაში (ხორავა 2004: 60).

ამის შედეგად, 1882 წლის იანვრისთვის აფხაზეთში 15 ათასამდე მუჰაჯირი დაბრუნდა. ქართველი საზოგადოებრიობა დიდი თანაგრძნობით შეხვდა აფხაზთა მუჰაჯირობას, ტრაგედიას, რამაც აფხაზი ხალხი, ფაქტობრივად, ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დააყენა.

მე-19 საუკუნეში ოსმალეთის იმპერიაში აფხაზი მუჰაჯირების გადასახლების შედეგად თურქეთში ჩამოყალიბდა აფხაზური დიასპორა, რომელთა შთამომავლებში აფხაზური ენა მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა. თურქეთში აფხაზური დიასპორის რაოდენობა საკმაოდ მრავალრიცხოვანია, მაგრამ ენის ფუნქციური მდგომარეობა **საშუალოდ სუსტად** ითვლება.

თურქეთში აფხაზური ენის შესუსტების გამომწვევი რამდენიმე მიზეზია: აფხაზური ენა არ გამოიყენება თურქეთის განათლების სისტემაში; მშობლიური ენის მასწავლებლები ცოტანი არიან და პროფესიულად არ არიან გადამზადებულნი; ენას არ აქვს ეკონომიკური / პრაქტიკული ღირებულება; აფხაზი ბავშვები ოჯახის გარეთ ვერავისთან საუბრობენ აფხაზურად; აფხაზური ეთნოსი თურქულენოვან საზოგადოებასთანაა ინტეგრირებული და ასიმილაციის მაღალი დონეა; აფხაზურის გადაცემის ნაკლებად ფორმალური გზები (ოჯახური გადაცემის სისტემის სუსტი შენარჩუნება); აფხაზური სკოლებისა და მედიის ნაკლებობა; თურქული ენის დომინანტური მდგომარეობა ენის ფუნქციონირების ყველა სფეროში...

თურქეთში მცხოვრები აფხაზების რაოდენობის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. 1965 წლის აღწერის თანახმად, აფხაზურ ენაზე მოლაპარაკეთა მთლიანი რაოდენობა 12 119 ადამიანს შეადგენდა (McConnel 1984). თავად აფხაზები მიიჩნევენ, რომ თურქეთში მილიონზე მეტი აფხაზი ცხოვრობს. თუმცა აფხაზი მკვლევრის **ვიაჩესლავ ჩირიკბას** შეგროვებული მონაცემების თანახმად, თურქეთში 228 აფხაზური სოფელია. მისი აზრით, თურქეთში აფხაზი მოსახლეობის რაოდენობა 200-დან 500 ათასამდე მერყეობს (Чирикба 2012: 10-12).

KAFFED-ის შიდა არაოფიციალური კვლევის მიხედვით, რომელიც 2018 წელს აწარმოეს, აფხაზური ენის მცოდნეთა რაოდენობა სულ მცირე 3 000–5 000 ადამიანია. თურქეთში მცხოვრები აფხაზური წარმოშობის ეთნოსის რიცხვი კი 80 000-100 000 ადამიანს აღწევდა.

თურქეთში აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლები დღემდე ცხოვრობენ, განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, როგორიცაა: **საქარია, დუზჯე, ბურსა, სტამბოლი** და სხვა. თუმცა აფხაზური ენის აქტიური ფუნქციონირება შესუსტებულია. მუჰაჯირთა შთამომავლების უმრავლესობა ყოველ-დღიურად თურქულად საუბრობს. აფხაზურ ენას ინარჩუნებენ მხოლოდ კულტურული ცენტრებისა და ოჯახური წრეების მეშვეობით. არსებობს აფხაზური ენის კურსები და საზოგადოებები (მაგალითად, აფხაზური დიასპორული ორგანიზაციები), რომლებიც ცდილობენ ენის გადარჩენას, მაგრამ ახალგაზრდებში ენის ფლობის დონე საკმაოდ დაბალია. ენას იყენებენ ძირითადად უფროსი თაობის წარმომადგენლები და ისიც მხოლოდ ოჯახებში.

აფხაზური ენის შენარჩუნების მცდელობა ისეთ დიასპორულ ორგანიზაციებსა და კულტურულ ცენტრებს უკავშირდება, როგორიცაა, მაგალითად: „Düzce Abhaz Kültür Derneği“, „İstanbul Abhaz Derneği“ და სხვ. მათი ძალისხმევით ტარდება ენის სასწავლო კურსები და კულტურული ღონისძიებები.

მიუხედავად აღნიშნული მცდელობებისა, ენობრივი გადაცემა თაობიდან თაობაზე სუსტდება, რაც თურქულენოვანი გარემოს დომინანტობასა და აფხაზური ენის ოფიციალური სტატუსის არქონას უკავშირდება.

სოციოლინგვისტური კვლევები, რომელიც ჩაატარა ორგანიზაციამ Münevver Özdemir (2013, 2020) – «Diaspora Identity and Language Use among Circassians and Abkhazians in Turkey», ასეთ სურათს გვაძლევს:

- უფროსი თაობა (60+) – მეტწილად ფლობს, მაგრამ ენის გადაცემის პროცესი სუსტია;
- საშუალო თაობა (35–60) – მეტწილად საშუალო დონეზე ფლობს აფხაზურ ენას;
- ახალგაზრდები (<30) – ძალიან დაბალ დონეზე ან საერთოდ ვერ ფლობენ მშობლიურ ენას.

თურქეთში მაცხოვრებელი აფხაზური ეთნოსის მხოლოდ 4-6% იყენებს მშობლიურ ენას ყოველდღიურად. თურქეთის აფხაზებთან აფხაზური ენა აღიქმება როგორც **კულტურული სიმბოლო** – მისი მნიშვნელობა უფრო მეტად სენტიმენტალურია, ვიდრე პრაქტიკული. ბევრი ოჯახი ენას ვერ გადასცემს მომავალ თაობებს, მაგრამ ცდილობს შვილებში „აფხაზობის“ ცნობიერების შენარჩუნებას.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილმა ეთნიკურ-დემოგრაფიულმა მდგომარეობამ განსაზღვრა შემდგომ მისი ენობრივი ვითარებაც. აფხაზური ეთნოსის შემცირებას თან მოჰყვა აფხაზური ენის შესუსტებაც. რუსეთის იმპერიულმა პოლიტიკამ ამ ენის გენოციდს ჩაუყარა საფუძველი, რაც შემდგომ გაგრძელდა საბჭოთა წყობილების დროს და უწყვეტად გრძელდება დღესაც.

საქართველოში აფხაზური ენა ძირითადად აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა, თუმცა 1992-93 წლების ომის შემდეგ და დე ფაქტო აფხაზეთის განცალკევების ფონზე, აფხაზური ენის მდგომარეობა სავალალოდ წარიმართა. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, აფხაზური ოფიციალურად აღიარებულია როგორც **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალური ენა.**

დე ფაქტო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზური ენა ფორმალურად წარმოადგენს **სახელმწიფო ენას რუსულთან ერთად.** მიუხედავად ამისა, ყოველდღიურ კომუნიკაციაში უპირატესობა ენიჭება რუსულს, ხოლო აფხაზური ხშირად შეზღუდულია და სიმბოლური ფუნქციის მატარებელია.

აფხაზური ენის ცოდნა ახალგაზრდა თაობაში სუსტდება, რაც დაკავშირებულია რუსული ენის დომინანტობასთან მედიის, განათლებისა და ადმინისტრაციის სფეროებში. აფხაზური ენის გადარჩენისა და განვითარებისთვის დე ფაქტო ხელისუფლება ცდილობს მისი სწავლების გაძლიერებას, მაგრამ ენობრივი ასიმილაცია და რუსიფიკაციის გავლენა მაინც ძლიერია.

ქართველ ენათმეცნიერებსა და სოციოლინგვისტებს აბსოლუტურად შეზღუდული აქვთ წვდომა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რაც შეუძლებელს ხდის რეგიონში ენების ფუნქციონირების,

ენობრივი პოლიტიკისა და ენობრივი იდენტობის ცვლილებების სიღრმისეულ შესწავლას. აღნიშნული პრობლემა განპირობებულია 1990-იანი წლებიდან არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარებითა და ფაქტობრივი დე ფაქტო ადმინისტრაციული კონტროლით, რომელიც აფხაზეთში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად ხორციელდება.

სოციოლინგვისტური კვლევები, რომლებიც მოითხოვს ადგილობრივ მოსახლეობასთან უშუალო კონტაქტს, ინტერვიუების ჩატარებას, დაკვირვებასა და რეალურ სიტუაციაში ენობრივი ცვლილებების შეფასებას, ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება საქართველოს მხრიდან. შედეგად მკვლევრები იძულებულნი არიან დაეყრდნონ მხოლოდ არაპირდაპირ წყაროებს – დევნილთა საზოგადოების მეხსიერებას, მედიამონიტორინგს, საზღვარგარეთულ დოკუმენტებსა და საერთაშორისო კვლევებს, რაც ვერ უზრუნველყოფს ენის ფუნქციონირების სრულყოფილ, ობიექტურ სურათს.


ამჟამად არსებული რეალობა ნიშნავს, რომ ენობრივი უფლებების, კულტურული თვითმყოფადობისა და ეთნოლინგვისტური თანასწორობის საკითხები რეგიონში ერთგვარად ბუნდოვანი რჩება ქართული აკადემიური სივრცისთვის. ამის შედეგია ისიც, რომ აფხაზეთში მიმდინარე ენობრივი პროცესების შესახებ მორღვეული, ხშირ შემთხვევაში პოლიტიზებული და აფხაზური მხრიდან შეზღუდული ინფორმაცია ვრცელდება.

საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე (განსაკუთრებით ბათუმსა და მის შემოგარენში) აფხაზური ენის ფუნქციონირება მინიმალურ დონეზეა დასული და მხოლოდ ოჯახური კომუნიკაციის დონეზე ინარჩუნებს ნაწილობრივ სიცოცხლისუნარიანობას. აფხაზურენოვანი მუჰაჯირების შთა-მომავლობა ძირითადად ქართულენოვან გარემოშია ინტეგრირებული. აფხაზური ენის ფუნქციონირება უკიდურესად შეზღუდულია – ხშირად მხოლოდ ცალკეულ სიტყვებთან ან სიმბოლურ გამოყენებასთან გვაქვს საქმე. ზოგიერთ ოჯახში ჯერ კიდევ ახსოვთ აფხაზური, მაგრამ ენაზე სრულფასოვანი კომუნიკაცია იშვიათია.


აჭარაში აფხაზებით დასახლებული ადგილებია: ე.წ. **პივზაოდი, გარადოკი, ადლია, ანგისა, მინდა** (დღეს ყველა ეს ტერიტორია ბათუმის შემადგენლობაშია), სოფლები: **ურეხი, მწათობი, ქვედა სამება, კახაბერი, ფერია, ახალშენი, სალიბაური, წინსვლა, ჩელტა, ჩაისუბანი, სამება, ჭარნალი, ერეხი, გონიო** და სხვა. აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა უფროსმა თაობამ იცის, რომ მათი წინაპრები აფხაზეთის სხვადასხვა რაიონიდანაა ჩამოსახლებული.

როგორც ენათმეცნიერი **ე. კილბა** აღნიშნავს თავის მონოგრაფიაში “Особенности речи Батумских Абхазов”: „ენობრივი მონაცემები ადასტურებს, რომ აჭარაში მცხოვრები აფხაზები ნამდვილად აფხაზეთის სხვადასხვა რაიონიდან გადმოვიდნენ. მათ მეტყველებაში ძირითადად შენარჩუნებულია ის ენობრივი თავისებურებანი, რომლებიც დამახასიათებელია იმ ადგილობრივთა მეტყველებაში, რომელსაც ისინი გამოეყვნენ“ (Килба 1983: 35).

სტატიაში წარმოვადგენ 2019 და 2024 წლებში სოციოლინგვისტური კვლევის დროს გამოყენებული კითხვარის რამდენიმე შეკითხვას და მათ მოკლე შეფასებას:




გამოკითხული 150 რესპონდენტიდან აფხაზურ ენას თავისუფლად ფლობს მხოლოდ 4%, საშუალო დონეზე ფლობს – 9%, ცუდად – 15% და საერთოდ ვერ ფლობს – 72%.



აფხაზურ ენაზე ოჯახში მხოლოდ 4% საუბრობს, შერეულად ქართულ და აფხაზურ ენებზე – 3%, 1% – რუსულ (ან თურქულ) ენაზე, 92% – ქართულ ენაზე.

როგორც გამოკითხვამ გვიჩვენა, აფხაზურ ენას თემში, უბანში, სოფელსა და ქალაქში საურთიერთო-საკომუნიკაციო ფუნქცია ფაქტობრივად დაკარგული აქვს. აფხაზურ ენას თემსა და სოფელში საკომუნიკაციოდ იყენებს გამოკითხულთა 1%, 2% – შერეულად, ქართულ-აფხაზურად საუბრობს, მაგრამ ადგილობრივების განმარ-ტებითვე უფრო მეტად ქართულად საუბრობენ, "აფხაზურად მხოლოდ სიტყვებსა და ფრაზებს იშველიებენ, ისიც მაშინ, როდესაც რაიმეს ლამაზად და კონკრეტულად თქმა სურთ" – ადგილობრივების კომენტარები. 3% –საურთიერთოდ იყენებს თურქულ ან რუსულ მეტყველებას.

რომელ ენაზე საუბრობთ თემში, უბანში, სოფელში, ქალაქში?
სხვა რომელიმე უცხო ენაზე – 3 %
ქართულ და მშობლიურ ენაზე – 2 %
ქართულ ენაზე – 94 %
მშობლიურ ენაზე – 1, 00 %



აფხაზური ენა თვით ბათუმის აფხაზებში აღარ არის ე.წ. **პრესტიჟული ენა. კ**ვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ენის პრესტიჟულობა ბათუმისა და მისი შემოგარენის აფხაზურ მოსახლეობაში მნიშვნელოვნად შერყეულია იმ ენების სასარგებლოდ, რომლებიც საზოგადოებრივ წარმოსახვაში ასოცირდება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული წარმატების შესაძლებლობებთან. 150 რესპონდენტიდან **58%-ის მიერ ინგლისური ენის პრესტიჟულად აღქმა** მიგვანიშნებს გლობალიზაციისა და დასავლური განათლების / შრომის ბაზრის გავლენაზე. **35%-ით ქართული ენის პრესტიჟად** აღქმა მიუთითებს სახელმწიფო ენისადმი ინსტიტუციურ ლეგიტიმაციაზე და სოციალურ ინტეგრაციასთან მის კავშირზე. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მხოლოდ **2%-მა დაასახელა მშობლიური (აფხაზური) ენა პრესტიჟულად,** რაც ეთნიკური ენის სტატუსის სერიოზულ დაქვეითებაზე მიუთითებს. მეტიც, **5%-ის** მიერ პრესტიჟულ ენებად **რუსულისა** და **თურქულის** დასახელება ნათლად აჩვენებს რეგიონის გეოპოლიტიკურ და დიასპორულ კავშირებს, თუმცა მშობლიური ენის მოთხოვნისა და სტატუსის შესუსტებასაც ამძაფრებს.

ამრიგად, აფხაზური ენის პრესტიჟულობის კლება მის შემცირებულ ფუნქციურ გამოყენებას, ინსტიტუციური მხარდაჭერის ნაკლებობასა და ენობრივ ასიმილაციას ასახავს. ენა, რომელიც აღარ აღიქმება პრესტიჟულად თვით ამ ენის მატარებელთა ჯგუფშიც, აშკარად გაქრობის საფრთხის წინაშე დგას.

დასკვნა

ხალხთა დეპორტაციის გავლენა ენების ფუნქციონირებაზე ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული და კომპლექსური საკითხია სოციოლინგვისტიკაში. დეპორტაციის დროს საზოგადოება იძულებით იცვლის სოციალურ, კულტურულ და ლინგვისტურ გარემოს. შედეგად ბავშვები და მომავალი თაობები ვეღარ სწავლობენ მშობლიურ ენას. ოჯახური კომუნიკაცია გადადის მასპინძელი ენის გამოყენებაზე, ირღვევა თაობებს შორის ენის ბუნებრივი გადაცემა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აფხაზური ენის ფუნქციონირება საქართველოსა და თურქეთში სერიოზულ საფრთხეებს განიცდის, რაც სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური თუ ლინგვისტური ფაქტორით არის განპირობებული. **ენის ასიმილაციის პროცესები** – ქართულის, თურქულისა და რუსულის გავლენით – ხელს უშლის აფხაზური ენის ბუნებრივ განვითარებას. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – რუსიფიკაციის, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე (ბათუმსა და მის შემოგარენში) – ქართული ენის, ხოლო თურქეთში – თურქიზაციის პროცესები აფხაზური ენის ფუნქციონირებას ასუსტებენ.

თაობათაშორის ენის გადაცემის შესუსტება და ახალგაზრდებში ენობრივი მოტივაციის კლება მნიშვნელოვნად ამცირებს ენის გადარჩენის შანსებს. ამ პროცესს ამძაფრებს აფხაზური **ენის პრესტიჟულობის დაქვეითება** – ენა აღარ აღიქმება სოციალური ან ეკონომიკური წარმატების ინსტრუმენტად, რაც იწვევს მის ჩანაცვლებას დომინანტური, უფრო პრესტიჟული ენებით. შედეგად არა მხოლოდ ენის ფუნქციური არეალი ვიწროვდება, არამედ საფრთხე ექმნება **ეთნიკური იდენტობის** შენარჩუნებასაც, რადგან ენა ამ იდენტობის ერთ-ერთი ცენტრალური კომპონენტია. UNESCO-ს ენობრივი საფრთხის კრიტერიუმებში ერთ-ერთი ფაქტორია ენის პრესტიჟულობა ენის გადარჩენისა თუ მისი თანდათანობითი გაქრობის პროცესში. არაპრესტიჟული ენა ხშირად იცვლება უფრო პრესტიჟული ენით ყოველდღიურ კომუნიკაციაში. ამას თან სდევს ენათა შერწყმისა და **ბილინგვიზმის** ეტაპები, რასაც შესაძლოა მოჰყვეს საბოლოო **მონოლინგვიზმი** დომინანტურ ენაზე.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

გასვიანი 2004: გასვიანი გ., აფხაზეთი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნეში (ქართველთა და აფსუათა ურთიერთობის პრობლემები). თბილისი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი.

გვანცელაძე 2003: გვანცელაძე თ. აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის. ტ. I, თბილისი. გამომც. „ინტელექტი“.

გვანცელაძე... 2021: გვანცელაძე თ., ჭაავა ს., აფხაზური ენა: წარსული, აწმყო და... (ეკოლინგვისტური და სოციოლინგვისტური ანალიზი)., თბილისი, გამომც. „სამშობლო“.

ლომთათიძე 1976: ლომთათიძე ქ., აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. თბილისი. გამომც. „მეცნიერება“.

ხორავა 2004: ხორავა ბ., აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა. თბილისი. გამომც. „არტანუჯი“.
McConnel 1984: McConnel H., Linguistic Composition of the Nations of the World. vol. 5, Europe and USSR. Québec. Presses de l'Université Laval.
Килба 1983: Килба Э., Особенности речи батумских Абхазов, Тбилиси. Академия наук Грузинской ССР, Институт языкознания.
Марр 1935: Марр Н., Избранные работи, т. V. Москва-Ленинград, Государственное социально-экономическое издательство (ГСЭИ).
Чирикба 2012: Чирикба В., Расселение абхазов и абазин в Турции. 1. Вопросы этно-культурной истории Западной Абхазии или Джигетии. вып. 1. Москва. „Джигетский сборник“,
https://burusi.wordpress.com/2010/03/21/bejan-khorava-4/ დამოწმება: 20.02.2024.

References and Sources

Chirikba 2012: Chirikba V., The Settlement of Abkhazians and Abazins in Turkey. 1. Questions of the Ethno-Cultural History of Western Abkhazia or Djigeti. issue 1. Moscow. "Djigeti Collection",
Gasviani 2004: Gasviani G., Abkhazia at the end of the 19th century and in the 20th century (Problems of relations between Georgians and Apsuas). Tbilisi. Iv. Javakhishvili Institute of History and Ethnology.
Gvantseladze 2003: Gvantseladze T., For students of the Abkhazian and Georgian languages. Vol. I, Tbilisi. Publisher: "Intellect".
Gvantseladze... 2021: Gvantseladze T., Chaava S., Abkhazian language: past, present and... (ecolinguistic and sociolinguistic analysis). Tbilisi. Publisher: "Samshoblo".
Khorava 2004: Khorava B., The Abkhazian migration of 1867. Tbilisi. Publisher: "Artanuji".
Kilba 1983: Kilba E., Peculiarities of the Speech of the Batumi Abkhazians. Tbilisi. Academy of Sciences of the Georgian SSR, Institute of Linguistics.
Lomtatidze 1976: Lomtatidze K., Historical-comparative analysis of the Abkhazian and Abaza languages. Tbilisi. Publisher: "Science".
Marr 1935: Marr N., Selected Works, Vol. V. Moscow-Leningrad, State Social and Economic Publishing House.
McConnel 1984: McConnel H., Linguistic Composition of the Nations of the World. vol. 5, Europe and USSR. Québec. Presses de l'Université Laval.
https://burusi.wordpress.com/2010/03/21/bejan-khorava-4/ 20.02.2024.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.07

ჯადოსნური საგნები, ფრინველები და ცხოველები ქართულ-თურქული ზღაპრების მაგალითზე

MAGICAL OBJECTS, BIRDS, AND ANIMALS IN GEORGIAN-TURKISH FOLKTALES

თამარ გოგოლაძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გორი, საქართველო

Tamar Gogoladze
Gori State University
Gori, Georgia

აბსტრაქტი

სხვადასხვა ქვეყნის ზეპირ შემოქმედებაში ზღაპარს, უფრო მეტად ჯადოსნურ ზღაპარს, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რამდენადაც იგი არის ერთგვარი „ფსიქოლოგიური დაცლა“ ამა თუ იმ ერის შემოქმედებითი ენერგიისა და ჭეშმარიტად გამოხატავს მის ძირითად შეხედულებებს. ჯადოსნურ ზღაპარს თავისი სტრუქტურული ელემენტები გააჩნია. ზღაპრებში, როგორც წესი, გამოიყენება სხვადასხვა ჯადოსნური საშუალებები (საგნები, ფრინველები, ცხოველები).

საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა ქართულ-თურქული ურთიერთობანი, განპირობებული დაპყრობითი ომებითა თუ კულტურული თანაცხოვრებით, რამაც განსაზღვრა კიდეც მსგავსი სიუჟეტები ხალხის ფოლკლორშიც. თურქული ფოლკლორისათვის წყარო, ისევე როგორც საერთო აღმოსავლური კულტურისათვის, იყო არაბული ზეპირსიტყვიერება. ის განსხვავებულად ჩამოყალიბდა ე.წ. „დედაბრის ზღაპრების“ და მოხეტიალე ბარდის – მედაჰის ზღაპრების სახით. „დედაბრის ზღაპრები“ ძირითადად ვრცელდებოდა საზოგადოების დაბალ ფენებში, თუმცა მედაჰიც ხშირაც სარგებლობდა „დედაბრის ზღაპრებიდან“ სიუჟეტებით.

სიუჟეტის გავლენა-გავრცელებამ, ასევე, მოაღწია საქართველოშიც, რომლის საზღაპრო ეპოსი ძირითადად XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გვხვდება შემკრებთა პუბლიკაციებში.

წინამდებარე სტატიის მიზანია ქართულ და თურქულ ზღაპრებში დასახელებული ჯადოსნური საგნების, ფრინველთა და ცხოველთა მსგავსება-განსხვავებებისა და ფუნქციების მიმოხილვა, რაც ემსახურება ზღაპართმცოდნეობის ერთი მნიშვნელოვანი საკითხის ზოგად კვლევას.

საკვანძო სიტყვები: ქართული ფოლკლორი, ქართული ზღაპრები, თურქული ზღაპრები, ჯადოსნური საგნები.

ABSTRACT

Within the oral creative traditions of various peoples, the fairy tale — particularly the magic tale — occupies a significant position, functioning as a mechanism of "psychological release" for collective creative energy and as an authentic articulation of a people's foundational worldview. The magic tale has its own structural features and conventionally incorporates diverse magical agents, including enchanted objects, birds, and animals.

Over the course of centuries, Georgian-Turkish relations were conditioned by wars of conquest and cultural coexistence, circumstances that shaped similar narrative motifs in the folklore of both peoples. Turkish folklore, much like broader Eastern cultural traditions, drew substantively upon Arabic oral storytelling. Over time, it developed into distinct narrative forms, including the so-called "old woman's tales" and the performative narratives of the wandering storyteller (*meddah*). The former circulated primarily among the lower social strata, yet meddahs often borrowed their storyline from "old woman's tales". The spread and influence of these storylines extended to Georgia as well, where the fairy-tale epic corpus is primarily attested in the published compilations of folklore collectors from the second half of the nineteenth century onward.

This article aims to explore the similarities, differences, and narrative functions of magical objects, birds, and animals featured in Georgian and Turkish fairy tales. This analysis contributes to the broader investigation of an important issue in folklore studies.

Keywords: Georgian folklore, Georgian fairy tales, Turkish fairy tales, magical objects.

შესავალი

სხვადასხვა ქვეყნის ზეპირ შემოქმედებაში „ზღაპარს", უფრო მეტად „ჯადოსნურ ზღაპარს", მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რამდენადაც იგი არის ერთგვარი „ფსიქოლოგიური დაცლა" ამა თუ იმ ერის შემოქმედებითი ენერგიისა და ჭეშმარიტად გამოხატავს მის ძირითად შეხედულებებს. ჯადოსნურ ზღაპარს თავისი სტრუქტურული ელემენტები გააჩნია, რომლის აღმოჩენა ეკუთვნის ფოკლორისტული სკოლის ლიდერს ვლადიმერ იაკობის ძე პროპს (1835-1970). „ზღაპრის შესასწავლად მნიშვნელოვანია საკითხი – რას აკეთებენ ზღაპრული პერსონაჟები, ხოლო საკითხები – ვინ აკეთებს და როგორ აკეთებს – შესწავლისათვის უკვე მეორეხარისხოვანია" (პროპი 1984: 12).

ჩვენთვის ამ ეტაპზე საყურადღებო აღმოჩნდა სწორედ ის ფაქტი, რომელსაც ი. პროპი მოქმედების შემდგომ ასახელებს, როგორ, რით მოქმედებენ პერსონაჟები ამ კუთხით, რით ეხება ჯადოსნურ საგნებს პერსონაჟის ფუნქციონალური დატვირთვის, მით უმეტეს, რომ „თუ გმირი მიდის სახლიდან რაიმეს საძებრად და მისთვის სასურველი საგანი ძალიან შორსაა, მას შეუძლია გაფრინდეს ჯადოსნური ცხენით ან არწივით, ან მფრინავი ხალიჩით, ანდა მფრინავი ხომალდით, ეშმაკის ზურგზე შემჯდარი და ა.შ." (პროპი 1984: 32). ი. პროპის მიერ შესწავლილი და

გამოყოფილი 15 სიუჟეტიდან გრძნებით შეკრულთა და მოჯადოებულთა შესახებ თილისმის მფლობელის შესახებ (ჯადოსნური ნივთების მფლობელთა შესახებ) აუცილებლად გულისხმობს ჯადოსნურ საგანს, ფრინველს ან ცხოველს. სწორედ მათ მეშვეობით პერსონაჟთა ქმედება (ფუნქცია) ხორციელდება: „ხან ბოროტი იმარჯვებს კეთილზე, ხან კეთილი – ბოროტზე. ი. პროპი მათ „ჯადოსნურ საშუალებებს“ უწოდებს“ (იქვე: 86). „საშუალებას“ ზოგჯერ აძლევენ, ზოგჯერ მიასწავლიან, ამზადებენ, იყიდება და ყიდულობენ, შემთხვევით შოულობენ (პოულობენ), უეცრად თავისთავად ჩნდება, სვამენ ან ჭამენ, იტაცებენ. ხშირად სხვადასხვა პერსონაჟები „თვითონ თანხმდებიან, იყონ გმირის განკარგულებაში“. ი. პროპი გვთავაზობს „ჯადოსნურ საშუალებად“ სქემას, რომელშიც, თუ ტიპთა განსაზღვრის ამოსავლად ჯადოსნურ საშუალებათა გადაცემის ფორმებს ჩავთვლით, მაშინ შეიძლება კავშირთა ორი ტიპი დავადგინოთ: 1. ჯადოსნური საშუალების მოტაცება, რომელიც დაკავშირებულია გმირის მოსპობის (მოხრაკვის და სხვ.) ცდასთან, ნივთების გაყოფის თხოვნასთან, გაცვლის შეთავაზებასთან, 2. გადაცემისა და მიღების ყველა სხვა ფორმა დაკავშირებულია ყველა სხვა მოსამზადებელ ფორმასთან (იქვე: 88-89).

ჩვენი სტატიისათვის ორი ერის, ქართველთა და თურქთა, ჯადოსნურ ზღაპარში რა მსგავს ან განსხვავებულ „საშუალებას“ ვხვდებით, დავასახელებთ „ქართულ ხალხურ ზღაპრებს“ (1959) და „მსოფლიოს ხალხთა ზღაპრების“ ეგიდით გამოცემულ „თურქული ზღაპრებს“ (1972). რაც შეეხება ტექსტებს, მასში ძირითადად „დედაბრის ზღაპრებია“ შეტანილი... მედაჰის ზღაპრები – „მტირალა ზღაპრებიდან“ „მცინარა კომში“ და „ორმოცი ვეზირის ზღაპრებიდან“ – „ხარბი ხოჯა“. ქართული გამოცემა შეირჩა იმდენად, რამდენადაც შეიცავს კახურ-ქიზიყურ, ქართლურ, იმერულ, რაჭულ ადაპტირებულ ზღაპრებს და საკვლევად წარმოდგენილია საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ზღაპარი.

სტატიის მიზანია სამი მსგავსი და ერთი განსხვავებული „ჯადოსნური საშუალების“ მაგალითზე აჩვენოს, „რა მოპარული“ ელემენტი ჯადოსნური ზღაპრის ფუნქციისა შეიძლება ჩაითვალოს „ზოგადად“ და რა განსხვავებული განსახილველი ქვეყნების ფოლკლორის ინდივიდუალობის გამოსახატავად. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თურქული ზღაპრები თარგმნილი ტექსტებითაა წარმოდგენილი, რომელიც ემყარება მთარგმნელის მიერ შერჩეულ ლექსიკას. ეს კიდევ ქმნის ერთგვარ დაბრკოლებას შედარებისათვის.

კვლევის მეთოდები

კვლევისას ვიყენებთ ტიპოლოგიური და შედარებითი ანალიზის მეთოდებს.

მსჯელობა

ქართველი და თურქი ხალხის ისტორია საუკუნეთა განმავლობაში მჭიდროდ უკავშირდება ერთიმეორეს. იქნებოდა ეს დაპყრობით-განმათავისუფლებელი ბრძოლები, ხიზნობა თუ კულტურული ურთიერთობა. ყოველივე ეს ფოლკლორსაც უქმნიდა მთქმელის მიერ შემოტანილი საინტერესო ამბის (ზღაპრის სახით) შევიწროებისა ან გაფართოებისათვის, ამას ემატებოდა სავაჭრო მექარავნეების მიერ

შემოტანილი საქონლის უცხოური დასახელებების ჩართვაც თხრობის პროცესში და სხვ.

თურქულ ჯადოსნურ ზღაპარში რამდენიმე ადგილას გვხვდება დევების დედა ან ჯადოქარი, რომელიც ცდილობს „ქვევრზე“ გადამჯდარი დაეწიოს გმირებს შურის საძიებლად, ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობთ, მთარგმნელს უნდა მოეძებნა თურქული სიტყვის შესატყვისი და არა გადმოქართულებული „ქვევრი“, მით უმეტეს თურქულში „ქოთანი“ სხვა სიტყვით აღინიშნება (çomek) და ქვევრი სხვა სიტყვით (surahi). კვლევის ამ ეტაპზე ვეცდებით თემის გაღრმავებას, კერძოდ, „ქვევრის” სანაცვლო „საშუალების“ ზუსტი შესატყვისობისა და მისი ფუნქციური დანიშნულების საკითხის შესწავლას.

ზოგიერთი ქართული ზღაპრის სიუჟეტების მსგავსების მიუხედავად, უფრო მეტად შეინიშნება „ჯადოსნურ საშუალებათა“ გამოყენებაც. მაგალითად, **საგნებიდან:** ოქროს ქამარი, სარკე, მარილის ქვა, კენჭი, ალმასის მჭადი, სკივრი, ბორკილი, სავარცხელი, ოქროს პირსახოცი, ალმასის ქოში, ბეჭედი, წკეპლა, ბუმბული, ოქროს ყანა, შავი მდინარე, ეკლის ყვავილი, ჩონგური, ზეთი, ვარდი; **ხილიდან:** ვაშლი, მსხალი, თუთა, ბროწეული, ვაზი, ყურძენი. **ფრინველებიდან:** არწივი, ფასკუნჯი; **ცხოველებიდან:** თვალჩიტა, შავჩიტა, რაშები, თვალთუთა რაში, იხვი, ძროხა, ხარი, ჭიანჭველა, ირემი...

თურქულ ზღაპრებში თითქმის ბევრგან ფიგურირებენ ფადიშაჰები, ფერიები, ცალკეა სულთანი. ჯინს მეზღაპრე არაბულიდან უნდა სესხულობდეს, მაგრამ გმირი უჯერებს უფრო ფერიას, ვიდრე – ჯინს. დიდი ადგილი უჭირავს თურქულ ზღაპარში უზარმაზარ არსებას – დევს, რომელიც ხშირად ქართულ ზღაპარშიც იმავე ფუნქციით გვევლინება: დევი ადამიანებს ჭამს, არის რამდენიმეთავიანი, ზოგჯერ ჰაერშიც დაფრინავს, თუმცა ზოგჯერ ადამიანსაც ეხმარება.

თურქულ ზღაპარში „ჯადოსნურ საშუალებათაგან“ გამოყენებულია: გასაღები, მარგალიტებიანი საბანი, „ელვის“ ქვა, მოთმინების ქვა, ვარცლი, თეთრი ვარდი, ბარი, ცოცხი, ნაფოტი, პირბადე, თავშალი, თმა, პერანგი, წყარო, ხიდი, ღობე, ვაშლი, ბროწეული, თურინჯი, ბაღი... **ფრინველთაგან:** არწივი, სამოთხის ჩიტი, ზუმრუთანკა... **ცხოველთაგან:** ციკანი, სახედარი, გველი, რაში...

როგორც ზემოთ დასახელებულთაგან ირკვევა, ქართულ და თურქულ ზღაპრებში მსგავსია და ხშირად გამოიყენება სარკე (სარკის ნატეხი), ვაშლი, რაში; განსხვავებულებიდან ყურადღებას შევაჩერებთ თურინჯზე, უცხოურ ხილზე, ხოლო ქართული ფასკუნჯი და თურქული ზუმრუთანკა თითქმის ანალოგიური სახით ასრულებენ „ჯადოსნური საშუალების“ ფუნქციას.

სარკე – ქართულ ზღაპრებში ხშირად გვხვდება როგორც გარდასახვის „საშუალება“, მას აქცევენ ყინულის მდელოდაც. ზოგჯერ ჯადოსნური დანიშნულებითაც იკვეთება: „მეწვრილმანემ მოჰკრა თვალი ნატვრის თვალს, რომელის სარკის წინ იყო“ („ნატვრისთვალი“). ერთ ზღაპარში („ოილ-გულან-აღაჯი“) იგი მოსალოდნელი უბედურების მაუწყებელია. „მწუხარების სარკეა“ – „სარკემ“ ნახევარ გვერდზე ჩრდილი მაჩვენა“, რაღაც მწუხარების მაუწყებელია, „გზაში ამ სარკეში იცქირე და დაინახავ, მოგდევს თუ არა ეშმაკი“ („ხელმწიფის ვაჟის თავგადასავალი“).

„სარკე გადააგდე!“ – ქალმა გადააგდო, გაჩნდა ყინული, მორბის დევი, იქცევა, ფეხი უსხლტება, იტანჯება, მაგრამ იმასაც გაატანა და გადაიარა“ („შავჩიტა რაში“).

თურქულ ზღაპრებში სარკე უფრო ხშირად გვხვდება. ერთ-ერთ ზღაპარს სათაურადაც აქვს „ჯადოსნური სარკე“. ადამიანის მიერ გადარჩენილი გველ-კაცა მასვე ურჩევს. მშობლებს შვილის ხსნის სამაგიეროდ სარკე გამოართვას. ეს სარკე მართლაც ჯადოსნურია: „ამოიღო სარკე ჯიბიდან და გადააბრუნ-გადმოაბრუნა, მერე შიგაც ჩაიხედა. უცებ მის წინ უზარმაზარი არაბი აიტუზა და დასჭექა: – მიბრძანე, რა გნებავსო!“ („ჯადოსნური სარკე“). არაბი გმირს ყველა სურვილს უსრულებს, მაგრამ ცოლის ეშმაკური თხოვნით ფადიშაჰის ასული და დედაბერი თავის ქვეყანაში დააბრუნებს. გმირი თაგვების მეშვეობით (სარკის ნატეხს – სხვაგან ასეა მოხსენებული – თ.გ.) სარკეს უკან იბრუნებს და ფადიშაჰი ხდება.

სხვა ზღაპარში („მტირალა ბროწეული და მცინარა კომში“) ეს სარკე დევებს აქვთ და მის მოსატანად გზავნიან სულთანს, მაგრამ მისი დანიშნულება გაურკვეველია. მთავარი ამ ზღაპარში უჩინმაჩინის ქუდი და ხალიჩაა. თურქულ ზღაპრებშიც მოჩანს სარკის არაჯადოსნური დანიშნულება: „მივიდა გოგო და სარკეში ჩაიხედა... სარკე ქვაზე დაახალა და ტირილი მორთო“ („მოცირმული ქოში“).

ვაშლი, როგორც ხილი და როგორც ჯადოსნური საგანი, ხშირად გვხვდება ქართულ თუ თურქულ ზღაპრებში. ვაშლს აძლევს უცნობი უშვილო ფადიშაჰს, მოხუც ცოლ-ქმარს და სხვ. თან არიგებს, რომ შუაზე უნდა გაიჭრას და ნახევარ-ნახევარი შეჭამოს წყვილმა. ვაშლი უცებ მშვენიერ ქალად იქცევა, ხან მშვენიერ ვაჟად, ხან სულაც გველი შეეძინებათ, რომლის ტყავში ადამიანი იმალება. ვაშლი, როგორც მითოლოგიური საგანი და ნაყოფიერებასთან დაკავშირებული, ტიპურია ორივე ქვეყნის ზღაპრებისათვის. მაგრამ ამისგან განსხვავებით თურქულ ზღაპარში გვხვდება ხილი თურინჯი.

თურინჯი, იგივე თრუნჯი, ციტრუს გრეიფურტის სახეობაა, თუმცა არ მოიხსენიება ჩვენ მიერ განხილულ ქართულ ზღაპართა კრებულში, მაგრამ გვხვდება თურქულ ზღაპრებში. მისი ნაყოფის მოტანას გადაწყვეტს შეჰზადე, რომელიც ობოლმა ბავშვმა ასე დაწყევლა: „– ჩემო შეჰზადევ, მეტს არას გეტყვი, სამი თურინჯის დარდი შეგყროდესო“ („სამი თურინჯი“). თურინჯის ინტერესით გულშეპყრობილი შეჰზადე წავა, მაგრამ სამივეს შეჭმა მოუნდება და აი, „შეჰზადე უკან მიუხედავად გარბოდა, მაგრამ გზაზე წყურვილისაგან პირი გაუშრა. აიღო ერთი თურინჯი და გაფცქვნა. ხედავს და რას ხედავს, ეს თურინჯი კი არა, თოთხმეტი დღის მთვარის მსგავსი ქალია! ისეთი ლამაზია, კაცი ცქერით ვერ გაძღება“.

თურინჯის შემოტანა ქართულ სინამდვილეში უფრო XVII-XIX-XX საუკუნეების ეპოქასთანაა დაკავშირებული, ამიტომ ს.ს. ორბელიანის „სიტყვის კონაში“ მხოლოდ „ხედ“ მოიხსენიება.

ვაშლისა და თურინჯის ჯადოსნური თვისებები ზოგიერთ ზღაპარში მსგავსია, ზოგში – განსხვავებული. თუ ვაშლი ხშირად ნაყოფის მომტანია, შვილიერების მომცემი, მხიარულიც და მწუხარეც, დიდიც და გაურკვეველი ზომისა (ისეც, რომ ჯიბეში ჩაიდებოდეს), თურინჯიდან ქალები იბადებიან. ეს ალბათ მისი რამდენიმენაწილიანი შიგთავსით აიხსნება.

ჯადოსნურ ფრინველებს შორის გამოირჩევა ქართულში **ფასკუნჯი,** თურქულში – **ზუმრუთანკა.** ორივე ფრინველი თავიდანვე ჯადოსნურია და მადლიერების ნიშნად ადამიანების მსგავსად ეხმარება: ზურგზე შეისვამს და უცხო მიწაზე გააფრენს („ბროწეულის ამბავი“). აქ მეფის ერთი ვეზირი გაიხსენებს ფასკუნჯს, ხოლო მეფის შვილის მიერ მისი ბარტყების გადარჩენის შემდეგ გმირს დახმარებას აღუთქვამს.

თურქულ ზღაპარში („ზუმრუთნკა“) ფადიშაჰის ვაჟს დაუმეგობრდება, როცა ეს უკანასკნელი მის ბარტყებს გადაარჩენს. ზუმრუთანკა მიიყვანს გმირს მამის სასახლეში და თვითონ უკან გაბრუნდება.

ვფიქრობთ, ეს ჯადოსნური ფრინველია, რომელიც „თურქული ზღაპრების“ წიგნის ბოლოს „შენიშვნებში“ ასეა განმარტებული: „ზუმრუთანკა – მითიური ფრინველი აღმოსავლეთის მითოლოგიაში“ (თურქული ზღაპრები 1972: 313).

ასევეა განმარტებული ქართული ზღაპრების ლექსიკონშიც: „ფასკუნჯი ზღაპრული ფრინველია“ (ქართული ზღაპრები 1959: 290).

დასკვნა

„ჯადოსნური საშუალებების“ ძიებამ ქართულ და თურქულ ზღაპრებში გვიჩვენა დასახელებული „საშუალებების“ მსგავსება-განსხვავებულობა, მაგრამ ფუნქცია-დანიშნულებათა „გარდასახვა-გადაქცევის“ პროცესი მოითხოვს მეტ სიღრმისეულ კვლევას, ხოლო წინამდებარე წერილი მხოლოდ განზოგადოებულ მასალად წარმოვადგინეთ.

გამოყენებული ლიტერატურა

თურქული ზღაპრები 1972: მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები. ი. გოცირიძის, ე. გულიაშვილის, ლ. ჩლაიძის, ნ. სხირტლაძის მიერ თარგმნილი ტექსტები ლექსიკონით. ლია ჩლაიძის წინასიტყვაობით; გამომც. „ნაკადული“. თბილისი.

პროპი 1984: პროპი ვ., ზღაპრის მორფოლოგია. თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო მარიამ კარბელაშვილმა. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი.

ქართული ზღაპრები 1959: ქართული ხალხური ზღაპრები. შ. ძიძიგურის რედაქციით. გამომცემლობა „საბლიტგამი“. თბილისი.

References

Georgian fairy tales 1959: Georgian folk tales. Publishing House “Sablitgami“, Tbilisi.

Propp 1984: Propp V., Morphology of the Fairy Tale. Translation and foreword by Mariam Karbelashvili. Publishing House “Mecniereba”, Tbilisi.

Turkish Fairy Tales 1972: Fairy tales of the peoples of the world. Publishing House“Nakaduli”, Tbilisi.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.08

საქართველოს ძნელბედობა, ტოპონიმებთან შეზავებული

GEORGIA'S HISTORICAL HARDSHIPS AS REFLECTED IN TOPONYMS

ქეთევან გოდერძიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Ketevan Goderdzishvili
Ilia State University
Tbilisi, Georgia

აბსტრაქტი

ჩვენი ნაშრომი გახლავთ გიორგი ზედგინიძის მნიშვნელოვანი ისტორიული თხზულების, „დედის ტაძრის", განხილვა ისტორიულ-ონომასტიკური მეთოდით. გიორგი ზედგინიძე წარმომავლობით სამცხე-ჯავახეთიდან გახლდათ. ეს მოთხრობა სწორედ სამცხე-ჯავახეთის ავბედით ისტორიულ პერიოდს აღწერს. მეტიც, არა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთში, მოქმედება ვითარდება ისტორიული სამხრეთ საქართველოს, კონკრეტულად დღევანდელი თურქეთის, ტერიტორიაზე. ამ ისტორიულ თხზულებაში აღწერილია ოსმალების მიერ ქართული მიწის ანექსია XVII საუკუნეში. ხაზგასმით იკვეთება შავშეთის დაპყრობა-განადგურების პროცესი. აქ ის პერიოდია ასახული, როცა სამხრეთ-დასავლეთი საქართველო მეტად მწარედ განიცდიდა თურქთა ბატონობის უღელს, რაც XVI საუკუნიდან დაიწყო ქართული მიწის მიმართ. მეტიც, ამ მზაკვრულმა გეგმამ მთელი დასავლეთი საქართველოც მოიცვა. შედეგსაც მიაღწიეს - საქართველოს ჩამოეჭრა ის ტერიტორია, რომელიც ერთ დროს, IX-X საუკუნეებში, იქცა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურულ-საეკლესიო ცენტრად. როგორც პროფ. რევაზ სირაძე წერს, „მეორე ქართლად". XVII საუკუნეში ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ქართული მიწის ქართულ სახელებს, ქართულ ტოპონიმებს, რომელთაც მე ერთგვარი „პირადობის მოწმობა " ვუწოდე.

გამოვიყენებ შედარებას: როგორც 90-იან წლებში გაუჩინარდა პირადობის მოწმობიდან ეროვნების დამადასტურებელი სიტყვა, ჩვენ ჩვენთვის უნდა გვცოდნოდა, რომ მასში ჩაწერილი გვარი იყო ქართული, ისე გაილია, გაქრა ქართული წარმომავლობის აღნიშვნის საჭიროება ისეთ „დაპყრობილ ტოპონიმებშიც", რომელთა ნაწილში, მიუხედავად ფორმაცვლილებისა, ჯერ კიდევ თვალხილულად იკითხებოდა, რომ იყო ქართული სიტყვა. მაგრამ მეცნიერება არც ერთს დატოვებს უყურადღებოდ და არც მეორეს.

XVII საუკუნეში ჯერ კიდევ ფიქსირდება, რომ ქართული ტოპონიმები მყარად ინარჩუნებენ ქართული მიწის ეროვნულ მეობას, ისინი თითქოს უტყვად დგანან ქართული მიწის სადარაჯოზე. თხზულებაში დაფიქსირებული ამ ტოპონიმებით სახელდებული ქართული სოფლების მცირე ნაწილი კარგა ხანია ნასოფლარებადაა ქცეული, მაგრამ ტოპონიმები თავად ღაღადებენ მათს არსებობას.

ჯერ წარმოვადგენთ თხზულებაში დადასტურებულ სამცხე-ჯავახეთის, შემდეგ ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს მე-17 საუკუნისდროინდელ ტოპონიმებს, ანუ სამი საუკუნის წინანდელ ტოპოვითარებას, უხვად ვიმოწმებთ ტოპონიმებით გაჯერებულ ტკივილიან ფრაზებს.

მიუხედავად უსასტიკესი დაპყრობითი ბრძოლებისა, ერთი ფაქტის აღნიშვნაც გვმართებს: მართალია, ასეთი დაუნდობელია დამპყრობელი, მაგრამ არ შეიძლება ყურად არ ვიღოთ გ. ზედგინიძის თხზულებაში ის ადგილი, სადაც ვკითხულობთ ერთი დაჭრილი თურქისა და ქართველი კაცის ჰუმანურ ურთიერთობაზე. აი, ასეთმა ფაქტებმა დროთა განმავლობაში თანდათანობით შეცვალეს ქართველთა და თურქთა ურთიერთობა კეთილგანწყობისკენ, მეგობრობისკენ.

საკვანძო სიტყვები: სამცხე-ჯავახეთი, ქართული ტოპონიმები, თურქეთი, გიორგი ზედგინიძე.

ABCTRACT

This paper examines Giorgi Zedginidze's important historical narrative, *The Mother's Cathedral,* through a historical-onomastic method. Giorgi Zedginidze, a native of Samtskhe–Javakheti, depicts in his work the turbulent and tragic period in the history of that region. The narrative extends beyond Samtskhe–Javakheti to encompass historical southern Georgia, specifically territories corresponding to modern-day Turkey. The work depicts the seventeenth-century Ottoman annexation of Georgian lands, with particular emphasis on the conquest and devastation of Shavsheti.

The narrative reflects a historical phase during which south-western Georgia endured severe subjugation under Ottoman rule, initiated in the sixteenth century, gradually encompassing the entirety of western Georgia. These efforts proved successful — Georgia was deprived of a territory that, in the ninth and tenth centuries, had served as the political, cultural, and ecclesiastical center of the country. As Professor Revaz Siradze characterizes it, this region constituted a "Second Kartli".

In the seventeenth century, historical south-western Georgia continued to preserve its Georgian place names, or toponyms, which I have characterized metaphorically as a symbolic form of "identity".

A pertinent analogy may be drawn with the removal, during the 1990s, of the explicit identification of nationality from identity documents – while it remained evident to us that the surname recorded therein was Georgian – so too the explicit marking of Georgian origin gradually faded from certain "conquered toponyms". Yet, despite formal transformation, the Georgian lexical base could still be discerned.

Scholarly investigation, however, overlooks neither the linguistic nor the historical dimensions of this phenomenon.

As late as the seventeenth century, Georgian toponyms still clearly preserved the national identity of Georgian land, standing as silent guardians over it. Several of the Georgian villages identified by the toponyms attested in the narrative have long since become abandoned settlements, yet the toponyms themselves remain as enduring linguistic testimonies to their historical existence.

This study will first examine the toponyms of Samtskhe-Javakheti attested in the narrative and then proceed to those of historical south-western Georgia in the seventeenth century, thereby reconstructing the toponymic configuration of three centuries prior. The analysis draws on the emotionally charged, thematically poignant, and toponym-rich passages of Zedginidze's prose, revealing the intertwining of geography, memory, and identity.

Amid the harsh realities of conquest and warfare, one passage in the narrative stands out: although the conqueror is portrayed as ruthless, G. Zedginidze's work includes a scene depicting the humane interaction between a wounded Turkish soldier and a Georgian man. Such episodes suggest that, over time, human compassion helped transform relations between Georgians and Turks, fostering goodwill and friendship.

Keywords: Samtskhe-Javakheti, Georgian toponyms, Giorgi Zedginidze, Turkey.

შესავალი

დღეს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკებს კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვთ. წარსული ავადმოსაგონარია. ჩვეულებრივ ასე ხდება. ავიღოთ გერმანიისა და დანარჩენი მსოფლიოს მაგალითიც წარსულში და დღეს, ბევრი სხვაც. ეს იმის ნიმუშად უნდა იქცეს, რომ თურმე შესაძლებელია ერებსა და ქვეყნებს შორის კულტურული და პრობლემათა დიალოგით წარმართული ურთიერთობა, რათა წარსული სიავე აღარ განმეორდეს. რთული ურთიერთობები არა მარტო ქვეყნებს, ერთი ერის ადამიანთა შორისაც ჩვეულებრივი მოვლენაა, სავალალოდ. მაგრამ შეცდომებზე ვსწავლობთ. ეს შეცდომები კი არ უნდა იქნეს დავიწყებული, არ უნდა იქნეს თვალსა და გულს მიღმა დარჩენილი, პირიქით, უნდა გაანალიზდეს, რომ აღარ განმეორდეს. ჩვენი ქვეყნის წარსულ ძნელბედობაზე ბევრი იწერება, იქმნება მხატვრული ნაწარმოებები და ლიტერატურათმცოდნეები ამას გვერდს ვერ ავუვლით. ერთ-ერთი ასეთია **გიორგი ზედგინიძის „დედის ტაძარი“** (1981), რომელიც ეხება XVII საუკუნის თურქულ-ქართულ ურთიერთობებს, ცხადია, უმძიმესს.

წარმოვადგენთ საანალიზო თხზულების ლიტერატურულ-ონომასტიკურ ანალიზს, რაც გააცოცხლებს ჩვენი ქვეყნის წარსულს როგორც ისტორიული, ისე ონომასტიკური თვალსაზრისით. ტოპონიმები თავად ღაღადებენ მათით სახელდებულ ტერიტორიებზე ადგილობრივ მკვიდრთა მძიმე ყოფას. შეუძლებელია ახსენო **შავშეთი, წეფთა...** და ამ სახელთა ხსენებამ არ შეგახსენოს წეფთაში დატრიალებული ის ტრაგედია, რომელიც გიორგი ზედგინიძის თხზულებაშია აღწერილი; შეუძლებელია შავშეთის, წეფთას (რომელი ერთი ჩამოვთვალო) ხსენებამ გული არ შეგიკუმშოს,

რამეთუ მათ უკან დგას ქართული ტკივილი. ასეთი განცდა სდევს თითოეულ ტოპონიმს. დღეს ზოგიერთმა ქართულმა ისტორიულმა ტოპონიმმა მიიძინა, მაგრამ არ დაკარგულა. ოფიციალურად შეცვლილი არაერთი ტოპონიმის უკან დავიწყებას არ ეძლევა პირვანდელი ტოპონიმები, ისინი ხალხში ტრიალებენ და სამშობლოს ერთგული დარაჯები მათ დავიწყების მტვერს აცლიან. ექვთიმე თაყაიშვილი ასახელებს რელიგიური ხასიათის ტოპონიმს სამუსულმანო საქართველოში – ესაა სამლოცველო ადგილი **ზიარეთი.** 1917 წლის ექსპედიციის დროს თამარ მეფესთან დაკავშირებული საინტერესო ისტორიით წარმოგვიდგინა ე. თაყაიშვილმა გამუსულმანებული ქართველებით დასახლებული სოფლის ტოპონიმი **ბინათი**, გზად მიმავალი თამარ მეფე რომ ერთი ღამით დაბინავდა სოფ. ჭოროხის ნაპირზე. მის მიერაა დაფიქსირებული ქართულენოვანი სოფლების ქართული ტოპონიმები: **კობაკი, ხევეკი, გუდახევი, უტავი, ვანისხევი**... ჭიმჭიმი (თაყაიშვილი 1968: 221-223). ამ თვალსაზრისით დიდი ამაგი მიუძღვის აკად. სერგი ჯიქიას („გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“). რად ღირს პროფ. შუშანა ფუტკარაძის შემონახულ-აღდგენილი იმერხევის სოფლების ტოპონიმები: ჩიხორი, თეთრაკეთი, ბაზგირეთი, წყალსიმერი, შოლტიხევი, ბზათა, მანატბა, აგარა, უბე, ბორჩხა, მარადიდი, ჭილავრი, ზემო- და ქვემოქურა, ზედუბანი, ქართლა... თურქეთის იურისპრუდენციაში მოქცეული ზედა მაჭახელას სოფლების ქართულენოვანი ტოპონიმები: **ქუბითავი, ზედავაკე** – ყოველივე ეს XX საუკუნის ცნობებია (ფუტკარაძე 1993). არაერთი ტოპონიმია შემონახული ტარიელ ფუტკარაძის მიერ (ფუტკარაძე 2007). შავშეთისა და კლარჯეთის ქართული ტოპონიმების გამოვლენის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია როლანდ თოფჩიშვილისა და ინგა ღუტიძის 2019 წელს გამოცემული ნაშრომი. სწორედ ამ ისტორიულ დოკუმენტებსა და ისტორიულ ფაქტებს ეყრდნობიან მწერლები, როცა ქმნიან მხატვრულ ნაწარმოებს, მით უფრო, თუ პერსონაჟები არიან ეპოქის ცნობილი ისტორიული პირები, ცნობილ ისტორიულ არეალში მოქმედნი.

გიორგი ზედგინიძე წარმომავლობით სამცხე-ჯავახეთიდან გახლდათ. ამ ისტორიულ თხზულებაში ასახულია ოსმალების მიერ ქართული მიწის ანექსია შავშეთსა და სამცხე- ჯავახეთში. ეს უკანასკნელი ისევე იყო ოკუპირებული ოსმალეთის იმპერიის მიერ, როგორც შავშეთი, ანუ მოწყვეტილი დანარჩენ საქართველოს. ეს პროცესი დაწყებულია XVI საუკუნეში, როცა 1578 წელს ოსმალეთის იმპერიის სარდალი ლალა მუსტაფა ფაშა საქართველოში შემოიჭრა, სამცხე თანდათანობით (1578-1587) მთლიანად გადავიდა ოსმალეთის კონტროლქვეშ და გარდაიქმნა ახალციხის საფაშოდ. განსაკუთრებით მტკივნეულად იკვეთება შავშეთის დაპყრობა-განადგურების პროცესი. თხზულებიდანვე ვიგებთ, რომ არც ქართველები იყვნენ გულზე ხელებდაკრებილნი, რაც ჩანს შემდეგი ფრაზიდან: 1. „გვიბრძანეთ, დიდებულო მეფევ, ფეხზე დადგება **ჯავახეთი** და **სამცხე**... მთის გადაღმა **შავშელნი** ხომ ოსმალთა ქვეშევრდომობას სიკვდილს არჩევდნენ: ცეცხლში ვარდებოდნენ, კლდეზე ცვიოდნენ და მათ კი არ ნებდებოდნენ“ (ზედგინიძე 1981: 115); 2. ფაშა ჯავრობდა: „**შავშეთში** უწესობა დაწყებულა, აჯანყებულან ღვთისა და დიდი სულთნის წინააღმდეგ, ალაიბეგი მოუკლავთ, ბევრი სხვაც (იქვე: 12); 3. ქართული

ოჯახების სიხარულს საზღვარი არ აქვს: „გიორგი მეფე იმიტომ გადმოსულა **ოშორაში** (ასპინძის მუნიც. – ქ.გ.), თათრებს ახალციხის ქვეყანა წაართვასო“ (იქვე: 101).

ამრიგად, „მესხეთის მიწაზე მზადდებოდა დიდი შეთქმულება ოსმალთა წინააღმდეგ“ (იქვე: 250).[1] მაგრამ ბრძოლისთვის მზადყოფნა, თუნდაც ბრძოლა ერთია, რეალობა, არსებული ვითარება კი – მეორე... რეალურად არა მარტო სამცხე-ჯავახეთი, „იმერეთი, გურია, სამეგრელო თურქთა ხელით იწეწება... ათასობით ქალი და ვაჟი ცხვარივით იყიდება თურქეთის ბაზრებზე, საათაბაგო და აფხაზეთი ოსმალთა უღვთო თარეშის გამო სისხლისგან იცლება“ (ზედგინიძე 1981: 223), „მთელი ქვეყანა დრტვინავს ოსმალთა ხელში!“ (იქვე: 115).

აი, ასეთი ვითარების ფონზე ჩვენი ამოცანაა დაპყრობილი ქართული ტერიტორიების ტოპონიმური სურათის კვლევა. როგორ ჩანს, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ქართული მიწის ქართულ სახელებს, რისი თქმის საფუძველსაც გვაძლევს მოთხრობაში დაფიქსირებული XVII საუკუნისდროინდელი ქართულენოვანი ტოპონიმები. ოსმალებს ჯერ ტოპონიმთა „გათურქებისათვის“, გათურქულენოვნობისთვის არ ეცალათ, უპირველესად ქართველთა გათურქება-გამუსულმანებითა და ტერიტორიული დაპყრობითი ომებით იყვნენ დაკავებული. ტოპონიმთა გათურქულენოვნობას დრო და სხვა ძალისხმევა სჭირდებოდა. ადამიანთა გამაჰმადიანება უფრო ადვილი იყო, ვიდრე ტოპონიმთამაჰმადიანთაენაზემოქცევა-დამკვიდრება. ტოპონიმთაგამძლეობა და სიცოცხლისუნარიანობა აღემატება ადამიანთა სიცოცხლისუნარიანობას. ამიტომაა ტოპონიმები ერთ-ერთი სერიოზული ბაზა ქვეყნისა და ერის ისტორიის კვლევისას.

კვლევის მეთოდები

ჩვენ თემატურად შევისწავლეთ განსახილველი საკითხი. ორი დიდი დარგის - ისტორიისა და ონომასტიკის შეზავებითა და ისტორიულ-შედარებით მეთოდის გამოყენებით წარმოვადგინეთ შესაბამისი ეპოქა. ტოპონიმებს დღევანდელ სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე განვიხილავთ გიორგი ზედგინიძის თხზულებისეული ფრაზებით, რომლითაც ამეტყველებულია და დაფიქსირებულია მათით სახელდებულ ადგილთა მძიმე ისტორიული ვითარება (XVII ს.).

მსჯელობა

სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს იმ ნაწილმა (სამცხე-ჯავახეთი, დღევანდელი ბორჯომის მუნიციპალიტეტით, აჭარით), რომელიც ადრიანოპოლის სამშვიდობო ხელშეკრულებით გათავისუფლდა ოსმალთა ბატონობისაგან, ქართულ მიწებთან ერთად დაიბრუნა ქართულენოვანი ტოპონიმები, ხოლო ისტორიული საქართველოს იმ ნაწილმა (ტაო, კლარჯეთი, არტაანი... აჭარის ნაწილი), რომელიც ყარსის ხელშეკრულებით (1921, 13 ოქტ.) დარჩა ოსმალურ სივრცეში, ცხადია,

[1] აქა-იქ ისახება ყიზილბაშებისგან აღმოსავლეთ საქართველოს მძიმე ყოფაც: „ყიზილბაშები დათარეშობენ ყველგან, ტყვეებს იტაცებენ, ჰყიდიან, გაპარტახდა ქართლი, გორი, ნარიყალა, ციხეები სპარსელებით არის სავსე, დღემუდამ თავს ესხმიან მოსახლეობას...“ (ზედგინიძე 1981: 117), აი, რას წერს სულეიმან ყაენი სულეიმან სულთან - გიორგი ხანს: ქართლი და კახეთი წავართვითო (იქვე: 187).

განიცადა ტოპოერთეულთა ენობრივი ცვლილება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ დღემდეა შემორჩენილი ქართული ტოპონიმები ან მათი ფონეტიკური სახეცვლილებანი: **მურჯიკანი** > დღეს **Murçkan; მაჭახელი > Maçaheli; იმერხევი > Imerhev; შავშეთი > Şavşat; ქვაბი > qvabi; როკეთი > Roketi:**[2] **არტაანი > არდაჰანი**[3]**... Tabagetil (Yaşarköy) – დაბაკეთილი, Şavta (Şenköy) – შავთა... ალასტანი > Alastan/Alaçam; ხანდო > Hando არტანუჯი > Ardanuç...**

ქართულენოვანი ეს ტოპონიმები გვხვდება ჩვენს საანალიზო თხზულებაში.

I.ჯერწარმოვადგენთთხზულებაშიდადასტურებულსამცხე-ჯავახეთის (შემდეგ ისტორიაული საქართველოს) მე-17 საუკუნისდროინდელ ტოპონიმებს, სამი საუკუნის წინანდელ ტოპოვითარებას.

როგორც ვთქვით, ტექსტიდან იკვეთება, რომ, მიუხედავად თურქთა მიერ საქართველოს ამ ღვიძლი მხარის ოკუპაციისა და გათავისებისა, რაც XVI საუკუნიდან დაიწყო, XVII საუკუნეში ფიქსირდება ქართული ტოპონიმები, რომლებიც მყარად ინარჩუნებენ ქართული მიწის ეროვნულ მეობას, ისინი თითქოს უტყვად დგანან ქართული მიწის სადარაჯოზე. თხზულებაში დაფიქსირებული ამ ტოპონიმებით სახელდებული ქართული სოფლების მცირე ნაწილი კარგა ხანია ნასოფლარებადაა ქცეული, მაგრამ ტოპონიმები თავად ღაღადებენ მათს არსებობას. საანალიზო თხზულებაში ჩანს ასახულ ეპოქაში თურქული აგრესია ქართული ტოპონიმებით წარმოდგენილ ამ სოფლებზე და ქართველთა თავდაცვითი მცდელობები.

1) თურქულ გარემოცვაში მოქცეული **ასპინძის მუნიციპალიტეტიდან** თხზულებაში დაფიქსირებულია დღეს ნასოფლარებად ქცეული **ინდუსა, ყამზა, ღობიეთი, ქუნცა, ხიზა**[4]. აგრეთვე დღევანდელი ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლები: **ასპინძა, ხერთვისი, ნიჯგორი, ნაქალაქევი,**

[2] ნასოფლარია ერუშეთის მხარეში. ეს ტოპონიმი გვხვდება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარშიც“. როკი ქართული სიტყვაა და „ტოტს“ ნიშნავს.

[3] ისტორიული მხარე და ციხე-ქალაქი სამხრეთ საქართველოში, მტკვრის ზემო დინების ორივე მხარეს.

[4] ქუნცა – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, ასპინძიდან 19 კმ., შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები, მაგრამ ამ დასახელების ტოპონიმი თურქეთშიცაა – Kunca, ზოგჯერ სუფიქსით -ler: Kuncler.

ინდუსა - ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში. ვარაუდობენ, რომ მოდის ინდუშა-სგან (რაც ძველ ქართულში ნიშნავს „რუხ ფერს“ (ორბელიანი 1991). მოხსენიებულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, ასევე ახსენებს ვახუშტი: „ოშორასკევის შესართავის ზეით, ინდუსას, არს ხიდი მტკვარზედ”.

ყამზა – ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოშორასთან. გ. ბოჭორიძე, რომელმაც იმოგზაურა სამცხე-ჯავახეთში 1932-1933 წლებში სოფ. ყამზაში, მიუთითებს მაჰმადიანი ქართველებით დასახლებულობაზე და ერთ ქართულ ტოპონიმზე „ვენახები”. ამასთან, აღნიშნავს, რომ შენახულია ძირები.

ღობიეთი - ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ შედგენისას ყოფილა სოფ. ზველის ვენახოვანი ადგილი, რომელიც შემდგომში დამოუკიდებელ სოფლად ჩამოყალიბებულა ზველის დასავლეთით. დღეს ასპინძის მუნიციპალიტეტშია, ზველთანაა, როგორც მისი უბანი. ვახუშტი ბაგრატიონიც ასახელებს ღობიეთს, რომლის „პირისპირ ოშორის ხევიაო“ (ქც 1973: 666,16).

ხიზა - ნასოფლარი ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიზაბავრის ტერიტორიაზე. შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები. ს.-ს.ორბელიანის განმარტებით, „ხიზა” არის „ცმელი დანაყილი, ჭერისათვის”. ცმელი კი არის „იგივე ქონი გარდემდნარი“ (სოფელი ტოპონიმით ხიზა დღეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტშია).

თმოგვი[5]**, ოთა, ოშორა, ხიზაბავრა... იდუმალა... ოცხე** (დღევანდელი აბასთუმანი), რუსთავი.

ამ ტოპონიმთა დაფიქსირება მოიცავს შესატყვისი ტერიტორიების ისტორიას - დამორჩილებისა თუ დაუმორჩილებლობისას, რაც ნათლად ჩანს შემდეგი ამონარიდებიდან:

ა) მაგალითად, მკითხველს ცოცხლად ჩაესმის ავტორის მიერ ასახული **ღობიეთელი** ქალის ქვითინი: ჩემი ხატისა წაგვართვეს „იანჩრებმა, **ასპინძის** ციხეში რომ დაგანან“ (გვ. 136-138);

ბ) „**აწყურისა** და **ხერთვისის** ციხეებში, ისე როგორც **არტაანისა** და **ოლთისის** ციხეებში, თურქეთის ჯარი იდგა... სალიმ ფაშამ „ჯარები გამოიწვია... **ყარსის** საფაშოდანაც“ (გვ. 249), რადგან „იმერეთის დაკავების ფიქრი საამოდ.უღიტინებდა სალიმს გულში“ (ესე იგი, არა მარტო სამცხე-ჯავახეთის);

გ) „**ხიზელი** ქალიშვილი მოუტაციათ თურმე თათრებს... თურქეთში წაუყვანიათ და ფაშასათვის მიურთმევიათ, თვალად ტანადი ყოფილა ის საბრალო, ფაშას ცოლად შეურთავს, მაგრამ ვერ შეჰგუებია თათრის ცოლობას... ისე უნაღვლია, რომ... მომკვდარა (გვ. 191);

დ) გამაჰმადიანებული კაცი დააჯილდოვეს მამულებით... **ქუნცაში,** შემდეგ **ნიჯგორში** გადმოიყვანეს (ასე დათარეშობდნენ სოფლიდან სოფელში) (გვ. 94);

ე) „ამას წინათ **მარგასტანში** (თმოგვი) უცნაური ამბავი მითხრეს. თმოგვში 7 იანიჩარი ასულა. რაც მოუთხოვიათ სასმელ-საჭმელი, მისცეს“. თან ხალხს დასცინოდნენ, ჭამის ქირა მოუთხოვიათ, **თმოგველებმა** რომ ვერაფერი ვერ მისცეს, სახლები გაუჩხრეკიათ (გვ. 25);

ვ) **ნიჯგორი:** გამაჰმადიანებული „თოთიბაძეების ოჯახი პირველად მაშინ მოევლინა **ნიჯგორს,** გამაჰმადიანება რომ დაიწყეს ამ მხარისა (გვ. 93), „**ნიჯგორელებმა** ქალები და ბავშვები საროში და ხიზაბავრაში გახიზნეს“ (გვ. 257);

ზ) **ნაქალაქევში** „12 იანიჩარი ასულა“, ხორცი გვაჭამეთო. 2 ჭედილა დაუკლეს, მაგრამ ეს რა არის, მჭლე არისო. მეტი არაფერი გვყავს დასაკლავიო. მაშინ იანიჩარებს ერთი ძროხა დაუნახავთ და ის დაუკლიათ (გვ. 24);

თ) მაგდანას ვაჟი „**ოთელი** ბეგის ცხვარს აძოვებდა“ (გვ. 17);

ი) **ყველი, აგარა**:[6] „**ყველელი** ზეინაბ ბეგის წინააღმდეგ მიემხრნენ აჯანყებულებს **აგარაში** (და **წურწყაბში.** დღეს თურქეთშია) (გვ. 274).

---

[5] თმოგვი (ყოფილი მარგასტანი) - ასპინძის მუნიციპალიტეტში ქართველ დიდებულთა, თმოგველების საგვარეულო. თმოგვის ქალაქი მანუჩარ ათაბაგის მფლობელობაში იყო, როცა 1578 წელს ოსმალები შემოვიდნენ სამცხეში და მან თმოგვი ლალაფაშას გადასცა. მოკლე ხანში სამცხე-ჯავახეთი მთლიანად მიიტაცეს თერქებმა. 1829 წლის ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებით, რუსეთმა დაიბრუნა... თმოგვიც.

[6] ამ სახელით სოფელი (გარდა ქარელისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებისა), გვხვდება ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებში ნასოფლარად. აგარა, ყამზა, ღობიეთი, ქუნცა, ხიზა ნასოფლარებია ასპინძის მუნიციპალიტეტში. თხზულებაში რომელი აგარა იგულისხმება, ვერ გეტყვით, იქნებ ასპინძის მუნიციპალიტეტის ნასოფლარი. საინტერესო ფაქტად მივიჩნიე, რომ აგარა სასტუმროს სახელია თურქეთში, პარხლისწყლის ხეობაში.

ისტორიული ვითარება არა მხოლოდ დაბებისა და სოფლების მდგომარეობის ჩვენებითაა წარმოდგენილი. ქვეყანაში ოსმალთა ფეხისმოკიდება უფრო ფართო მასშტაბითაა ნაჩვენები მაკროტოპონიმთა გამოყენებით: **მესხეთი**[7]**//სამესხეთო//სამცხე, ჯავახეთი, გურჯისტანი**...

გურჯისტანი: ა) „მზეჭაბუკის (სამცხის ათაბაგი) დროიდან მოყოლებული თანდათან გაიდგეს ოსმალებმა ფესვი **სამცხეში**, ბოლოს კი საქართველოს უმნიშვნელოვანესი მხარეთაგანი თავიანთ პროვინციად გამოაცხადეს“ (გვ. 29); ბ) სულთანმა ირანის, შაჰ-სულეიმანის ელჩი **„გურჯისტანის** ვილაიეთის მპყრობელთან, სალიმთან, გამოგზავნა - დაატყვევე გიორგი ხანიო, შაჰნაზარ ხანიც გააძევე იმერეთიდანო“ (გვ. 188); გ) „**გურჯისტანის** ვილაიეთის დიდი მფლობელის სასახლეშიც ჰყავთ თავიანთი მსტოვრები“ (გვ. 198);

დ) „ამ წიგნში მოთხრობილია თურქ-ოსმალთა პირველი გამოჩენა **სამცხე-საათაბაგოში**“ (გვ. 28);

ე) „**სამცხეში** ოსმალთა მძლავრობას საზღვარი არ ჰქონდა“. დაპყრობილი ხალხი და ქვეყნის მთელი სარჩო-საბადებელი ხომ თავიანთ კუთვნილებად მიაჩნდათ. ახალმა მმართველობამ ესეც არ იკმარა, მოსახლეობის ძალით გამაჰმადიანებას შეუდგა, რათა ამ გზით იგი სამუდამოდ დაემონებინა“ (გვ. 29).

მაგრამ, როგორც ვთქვით, არც ქართველები იყვნენ გულზეხელდაკრებილი, რასაც თხზულებაში ადასტურებს ქართული ტოპონიმებით სახელდებულ ტერიტორიაზე ქართველთა რეაქციები:

ა) „ხალხი ამას ვეღარ შეურიგდა, აჯანყება ხან აქ იფეთქებდა, ხან იქ“, თუმცა ავტორი დასძენს, რომ „ოსმალები შეუბრალებელი სისასტიკით იმორჩილებდნენ აჯანყებულებს“. ამ სიტყვების ფონზე უფრო მეტად დასაფასებელია ქართველთა შემართება.

ბ) ოსმალებს რომ აღარ ეპუებოდნენ, ამიტომ „პეტრე-პავლობის დღესასწაულზე „**ოშორას** დილიდანვე მოაწყდა ხალხი **იდუმალადან, მლაშეხევიდან, ინდუსიდან** და **ყამზიდან**... ძალადობას ოშორის ახლომახლო ოსმალთა მსახურნიც ვეღარ ბედავდნენ... ქრისტიანი მეფეც „ქრისტიანების შემავიწროებელს სასტიკად სჯისო“ (გვ.126);

გ) **ოცხე** (< ოძრხე, აბასთუმანი ადიგენის მუნიც-ში): სალიმი მძვინვარებდა, რომ „არც **ოცხეს** სანჯაყ-ბეგმა ავალიშვილმა მოაწოდა ლაშქრისთვის სანოვაგე“ (გვ. 250);

დ) „**მესხეთის მ**იწაზე მზადდებოდა დიდი შეთქმულება“ (გვ. 250);

ვ) „მეფე გიორგი აქ იმიტომ მოვიდა, რომ ხონთქარს თავისი ძველი საბრძანებელი, **მესხეთი** გამოსთხოვოს“ (გვ. 92);

ე) „ქართველთა მეფე ხონთქართან კაცებს გზავნის - **სამესხეთო** ჩვენი ქვეყანაა, ისევ მე უნდა მომცეთო“ (გვ. 89);

ვ) „**სამცხეში** ჯერაც არ იყო მოშლილი ქართველობა, მამაპაპური ზნე და წესი. თურქული ადათი ნელა და უხალისოდ მკვიდრდებოდა“ (გვ. 152);

ზ) მეფეს უნდა, რომ „ახალციხის ქვეყანა დიდ **გურჯისტანს** შეუერთოს“ (გვ. 237).

[7] თხზულებაში გვხვდება ტოპონიმი მისხი. გაუგებარია, სად არის ამ სახელით სახელდებული ადგილი თუ სოფელი და საერთოდ, არასწორი ფორმით ხომ არ არის წარმოდგენილი, რადგან თურქების მიერ ნახსენები მისხის (სადაც ჰაიდარ ბეგი ძლივს გადაურჩა დამხვდურთ) ადგილმდებარეობა ვერ მოიგონა სალიმ ფაშამ და გამოძიების დროც აღარ იყო (გვ. 253). და მაინც ალბათ ნასოფლარად უნდა ჩაითვალოს.

თ) ერთ წინადადებაშია თავმოყრილი სამცხის ტოპონიმები: **ზველი, მუსხი** და **ჩახრახის** მთა:[8] ქალს ერთი რამ აწუხებდა - „ოჯახის ფუძე, ვაჟკაცი ისევ ოთელი ბეგის სამსახურში იყო... და დასდევდა ცხვარს „მუსხის, ზველის ღელეებში... ჩახრახის მთებში“ (გვ. 100).

ი) „...ჯერ **რუსთავი**[9] მოენახულებინათ“, შემდეგ ნოჯგორი (გვ. 157). **რუსთაველებს**... დაეხოცათ იანიჩრები (გვ. 250); მეფეს რუსთავი დაცარიელებული დახვდა: „ზოგი იმერეთსა და ქართლ-კახეთში გაიქცა,ზოგიც მტერმა გაწყვიტა“ (გვ. 161).

ჩავთვალეთ, რომ თხზულების ერთი საინტერესო ადგილი, თუნდაც მითი, თუნდაც არა თემატიკის შესატყვისი, დაგვემოწმებინა: რუსთავში, საიდანაც ხალხი გახიზნულიყო, ძლივს ერთი კაცი ნახეს, გვარად ჯვარიძე... შოთა რუსთაველი თუ გაგიგონიათო? - ჰკითხა ვახტანგ ბატონიშვილმა. - როგორ არა, ჩვენს სოფელში დაბადებულა... მაშინ დიდი სოფელი იყოო რუსთავი. „საბატონოდ შოთას მამასა ჰქონია... შოთას საფლავიც აი, იქ, ქვევით უნდა იყოს, გზის პირზე... მივიდნენ. მცირე გორაკი იყო გზის პირას. გორაკზე ცალგვერდჩამოწგრეული მომცრო მრგვალი კოშკი იდგა... ხალხი ამბობს, დიდი შოთა რუსთაველი აქ არის დამარხულიო... კოშკში წარწერა არაფერი იპოვებოდა, თვითშენობა სანახევროდ დანგრეული იყო. ნეტა ვინ ემარხა აქ. ნუთუ მართლა დიდი რუსთაველი?“ (გვ. 163-164).

2) **ახალქალაქის მუნიციპალიტეტიდან** დაფიქსირებულია: ვარდციხე, დადეში,[10] მურჯიკანი, ბავრა, გოკიო, ალასტანი, მურჯახეთი, ხულუგმო, ხანდო[11] **აზავრეთის მთები,** სადაც ვხვდებით ე.წ. „**ჩუმად ქრისტიანობის**“ ფაქტს, რაც ჩვენს საანალიზო თხზულებაში სიტყვა „**ფარულით**“ არის გადმოცემული: „რამდენი გამაჰმადიანებული ქართველი დაუსჯიათ ფარული ქართველობისთვის“.

ტერმინი „**ჩუმად ქრისტიანობის ხანა**“ ეკუთვნის შ. ლომსაძეს, როცა აღწერს XIX საუკუნის ქართველ მაჰმადიანთა ქართული ტრადიციებითა და ქრისტიანული წესებით მალულად მოქმედებას (ლომსაძე 2011: 306).

---

[8] საინტერესოა ეს უკანასკნელი - ჩახრახის მთა. სარგის კაკაბაძის ვარაუდით, ეს მთა შოთა რუსთველის მამის საკუთრება იყო. ამ მთას უკავშირებს გვარს ჩახრუხაძეს. მისი თქმით, შოთა ჩახრახიდან უნდა ყოფილიყო, მერე დამკვიდრდნენ რუსთავში (კაკაბაძე 1966: 54-60)

[9] სამცხის რუსთავზეა საუბარი (ასპინძის მუნიც. – ქ. გ.)

[10] დადეში წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVI საუკუნეში. ნასოფლარია და მდებარეობს ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ასევე, დაფიქსირებულია შავშეთსა და კლარჯეთში. მეფის რუსეთის რუკაზე მოხსენიებულია, როგორც „Куридадешъ“, ხოლო საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკებზე – „Дадеши“.
ვარდციხე - ვარციხის ისტორიული სახელწოდება. ვარციხე არაერთგანაა (იმერეთში, აჭარაში), მაგრამ თხზულებაში დამოწმებული ვარდციხე დღევანდელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში უნდა ყოფილიყო, თუმცა დღეს არ დასტურდება, ნასოფლარია ალბათ. ახალქალაქის მუნიციპლაიტეტის სოფლად კი იმიტომ მივიჩნევთ, რომ მასთან ერთად დასახელებული მის ბედქვეშ მყოფი ორი სოფელი - ალასტანი და ხანდო -ახალქალაქის მუნიციპალიტეტშია.

[11] ხანდო – ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელი ამ რეგიონის უძველესი დასახლებული პუნქტია. „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთრის” მონაცემებით, სოფელში ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში 61 ოჯახი ცხოვრობდა.

ამ საკითხს ეხება ნათელა მელიქიძე თავის მონოგრაფიაში „ასპინძის მუნიციპალიტეტის ანთროპონიმები“ (მელიქიძე 2021: 185). ეს ფაქტი დასტურდება ჩვენს საანალიზო თხზულებაშიც (დედის ტაძარი 1981), მაგრამ სიტყვა „ფარულით“. თუკი „ჩუმად ქრისტიანობას“ გარკვეული მოვლენის აღმნიშვნელ ტერმინად ჩავთვლით, ტერმინოლოგიურ დატვირთვას იძენს იმავე მოვლენის აღმნიშვნელი სიტყვა „ფარული“, მით უფრო, რომ ეს ფაქტი, გადმოცემული სიტყვა „ფარულით“ გაცილებით უწინარესია (1981) და უდავოდ მოვლენის აღმნიშვნელი ტერმინია: იუსუფი **ფარულად,** თურქთა თვალს მიღმა, **აზავრეთის მთებში,** აშენებს ქრისტიანულ ეკლესიას მიუხედავსდ იმისა, რომ მისი დედა, ქეთევანი, შიშმა აიტანა, ხონთქრის ხელში ვის აუშენებია საყდარიო? რაც კი ტაძრებია, ქართველ მეფეთა დროს აგებული, ახლა სულ სხვა დროა, ხონთქარი გვადგას თავზე. იმასაც ანგრევენ, რაც წინათ აუშენებიათო (გვ. 89-92); „იუსუფს გაეღიმა. ვერ მიმხვდარან, რომ **ფარულად** ვაშენებო... ვეცდები, ეს ამბავი ეს ამბავი არ გავახმაურო...“ (გვ. 89-92).

დღევანდელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ჯავახეთში, ოსმალთა თარეშს ვერაფერი აჩერებს:

ა) მათი განუკითხაობის დასტურია ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. მურჯიკანში (დღეს ნასოფლარია) მომხდარი ამბავი: **მურჯიკანში** მამაკაცები ერთ სახლში გამოუკეტავთ, ქალებისთვის და უწლოვანი ბავშვებისთის უბრძანებიათ, გადასახადი მოიტანეთო. შეშინებულებს ყველაფერი მოუტანიათ, შემდეგ იმავე ქალებისთვის და ბავშვებისთვის უბრძანებიათ – გინდათ თუ არა, სიმღერა შემოსძახეთო (გვ. 195);

ბ) ვინც **ჯავახეთის** ფაშას ერთგულად ემსახურებოდა, მაგალითად, გამაჰმადიანებული ალი (თოთიბაძე), მას იქვე მამულები მისცეს **დადეშში** (ახალქალაქის მუნიც.) და **ქუნცაში** (ასპინძის მუნიც.) (გვ. 94);

გ) „**გოკიოს** შევიწროებას ბოლო არ უჩანდა. ვინც შემუსვრას გადაურჩა, იმათგან ოსმალები მონურ მორჩილებას მოითხოვდნენ, ყველას აიძულებდნენ დაეთმო მამაპაპეული რჯული, ენა და ზნე-ჩვეულება. ვინც მოახერხა, დედაბუდიანად აიყარა და ქართლს შეაფარა თავი. მტრის ხელში ყოფნას წინაპართა სამკვიდრებლის დატოვება არჩია... გაათათრებდნენ, ძალით მოაქცევდნენ ნათესავთა მკვლელთა რჯულზე (გვ. 15).

ჯავახთა გაბედული ქცევა შემოგვინახა ავტორმა **ახალქალაქის მუნიციპალიტეტის** სოფლებში. მიუხედავად ასეთი განუკითხაობისა და ჩაგვრისა, ჯავახეთის ფაშის, ასლანის, ცნობამ მთლად მდუღარე დაასხა დამწვარზე სალიმს, გურჯისტანის ვილაიეთის მპყრობელს (გვ. 188):

ა) ხმა გავარდა: **ხულგუმოსა** და **მურჯახეთში** ახალქალაქის იანიჩარებს ვიღაც (აჯანყებული ქართველები – ქ.გ.) დასხმია თავს და ამოუჟლეტიაო...

ბ) „ოთელმა დათამ **ნაქალაქევიდან** (ასპინძის მუნიც. – ქ.გ.) ასლან ფაშას ცხენების რემა გაიტაცეს... თურქებზე თავდასხმები **ნიალისყურსა**[12] და **ქვაბულიანში**[13] ძლიერ გახშირდა“ (გვ. 239);

გ) სელიმ ფაშას თქმით, „**ალასტანის, ხანდოსა** და **ვარდციხის** მცხოვრებთ ალაჰი... გაურისხებიათ“, რადგან მეჩეთის გადასახადზე „უარი

[12] ნიალისხევი - ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში. უდიდესი ნაწილი საქართველოს გარეთაა.

[13] ქვაბულიანი // ქვაბლიანი სერგი ჯიქიას „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ მოხსენიებულია „ქვაბლიანის ნაჰიე“, დღეს ადიგენის მუნიც-შიც შეკუმშული ფორმა ქვაბლიანია. ჩვენი ავტორი იმოწმებს შეუკუმშავ ფორმას „ქვაბულიანი“.

გამოუცხადებიათ, შემდეგ კი სოფელ **წერაკუნტის**[14] ახლოს თავს დასხმიან მუთავალთ“, ანუ მეჩეთის მამულების მმართველებს (გვ. 190);

დ) „-არა, არც გადასახადებს გადავიხდით და არც ჩაუშებს შემოვუშვებთ სოფელში. თვით სალიმ ფაშაც რომ მობრძანდეს, იმასაც ასე მოვახსენებთ, - ბობოქრობდნენ **ვარდციხელები**! (გვ. 195);

ე) „**ალასტანელები**[15] გადასახადს უხდიდნენ თურქებს, მაგრამ ტექსტიდან ირკვევა აგრეთვე, რომ ალასტანელები კატეგორიულ უარს ამბობენ გადახდაზე (ისევე როგორც ვარდციხელები), რადგან კაიმაკამი ახმედამათაც არაერთხელ მოჰპყრობია უსამართლოდ. ამიტომ იმუქრებიან: „ჩვენ გადასახადის გადამხდელები არა ვართ... იმერეთს გადავალთ მეფე არჩილთან, ქართველთა ქვეყანაა და ქართველი მეფე მაინც გვიპატრონებსო“ (გვ. 196).

ე) **ბავრაში** (აგრეთვე მურჯახეთში) იანიჩარებს დაესხნენ თავს და გაწყვიტეს შეთქმულმა ქართველებმა, რომელთაც იუსუფ ბეგ აბაშიძე ედგა სათავეში, ასევე, მისი წაქეზებით **რუსთაველებს** დაუხოცავთ იანიჩარები (გვ. 250, 238);

ვ) **პალაკაციო:**[16]„პალაკაციოს მხრიდან მშვიდად ამოიწვერა მთვარე და გაანათა ჯავახეთის ზეგანი“ (გვ. 3).

3) თხზულებაში წარმოდგენილია დღევანდელი **ახალციხის მუნიციპალიტეტის** ნასოფლარები: **მარდა** (ფოცხოვისწყლის ნაპირზე) (გვ. 250), **ენთელი, სლესა**[17]; სოფლები: **მუსხი, რუსთავი** (გვ. 151, 15), **ახალციხე, ვახანი, აწყური, ზიკილია**[18], **ჭაჭარაქი**[19].

---

[14] წერაკუნტი, ხოკიეთი (გვ. 234) ვერ მოვიძიე, უსახელო ნასოფლარად იქცა ალბათ. უფრო თურქეთის ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე.

[15] ცნობისთვის: ლაშა-გიორგის ალასტანელ მეფესაც ეძახდნენ. მისი საუფლიწულო მამული ყოფილა ალასტანში.

[16] პალაკაციო - მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია); აბოცს, ჯავახეთს, კოლა-არტაანსა და კარსს (ყარსი) შორის მდებარე მიწები; XII საუკუნის ბოლო პერიოდში ადმინისტრაციულად ჯავახეთის სანაპირო საერისთავოში შედიოდა. მომდევნო საუკუნეებში სამცხე-საათაბაგოს შემადგენელი ნაწილი იყო. ამ პერიოდში პალაკაციოს უკვე „ჩრდილის“ (თურქ. „ჩილდირ“) სახელით მოიხსენიებდნენ. 1186-87 წლებში ჯავახეთის ერისთავთერისთავმა გამრეკელ კახას ძე თორელმა დაამარცხა პალაკაციოში შემოსული თურქები. XVI საუკუნეში იგივე ჩრდილის – ჩილდირის მხარე ოსმალებმა დაიპყრეს. 1578 წელს აქ გაიმართა დიდი ბრძოლა ოსმალთა და სპარსელთა ჯარებს შორის. ჩილდირი (თურქ. Çıldır) მომდინარეობს ქართული ჩრდილისგან.

[17] სლესა – ნასოფლარი.მოხსენიებულია სოფლად „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ (XVI ს.).

[18] ზიკილია მდებარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტში. აქ არსებული მეჩეთი აგებულია 1897 წელს, ადგილობრივი მუსლიმი მესხების მიერ, რომლებიც სტალინმა შუა აზიაში გადაასახლა 1944 წელს.

[19] ჭაჭარაქი – ოსმალეთის ბატონობის ხანაში (XVI ს.-1829) მოიხსენიება, როგორც ჩეჩერექი, მაგრამ ჩეჩერაქი არ არის ოსმალური ტოპონიმი, ოსმალური მისი ფორმაა. თურქებისთვის რთულია მკვეთრი ყრუ ბგერების გამოთქმა. სარგის კაკაბაძის აზრით, ამ სოფელს თურქების შემოსვლამდე ჩახრახი უნდა რქმეოდა. საანალიზო ტექსტში დასტურდება ჩახრახის მთა.

ტოპონიმები რომ ერთგვარი მოწმობაა, მეტიც, კონკრეტული საბუთია გამეფებული ვითარებისა - დამორჩილება თუ დაუმორჩილებლობისა - ჩანს შემდეგი ფრაზებიდანაც:

ა) ჭაჭარაქთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ისტორიული ფაქტია დაფიქსირებული, რაც შეიძლება მწერლის ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ თხზულების ფონზე მისი რეალობაც არ არის გამორიცხული: „სოფ **ჭაჭარაქს** რომ მიუახლოვდა ცხენოსანთა რაზმი, „ქართველთა მეფის ქარავანი“... „მოპირდაპირე მხრიდან რაზმს წინ ლურჯა მერანზე ამხედრებული სალიმ ფაშა (სხვათა შორის, ჯაყელი იყო) მიუძღოდა“ და აი რა მოხდა: „მეფე გიორგის რაზმის მოახლოებისთანავე ფაშა და მისი მომყოლნი ქვეითად გამოემართნენ ქართველთა მეფის შესახვედრად“ გიორგი კი „**ცხენდაცხენ დაწინაურდა,**“ მხოლოდ „ათიოდე ნაბიჯზე რომ მიუახლოვდნენ“, მეფე მაშინ ჩამოქვეითდა ცხენიდან. „კიდევ ორიოდე ნაბიჯიც და ახალციხის ფაშამ (რომელიც თავს უწოდებს სულთნის ბედნიერ ვეზირს - ქ.გ.) მუხლი მოიყარა მეფის წინაშე, მთელი მისი რაზმი (ანუ იანიჩრები - ქ.გ.) მიწამდე დაიხარა. ეს რომ მწერლის მწერლური ჩანართი არ არის (როგორც „ბაში-აჩუკში“) და რეალურად დასაშვებია, ადასტურებს შემდეგი ფრაზა: „ამ დროს სამცხეში ჯერაც არ იყო მოშლილი ქართველობა, მამაპაპური წესი და ზნე. თურქული ადათი ნელა და უხალისოდ მკვიდრდებოდა“ (გვ. 151-152). თუმცა, მეორე მხრივ, თხზულებაში უკიდურესად მწვავედაა გადმოცემული მტრის ძალმომრეობა, თუნდაც სამცხეში მთლად მოშლილი არ ყოფილიყო ქართველობა. მეფე გიორგის აცნობებენ, რომ იანიჩარებს „სულთნის ბრძანებით, თქვენი დაჭერა უნდათო“ (გვ. 189). „დაატყვევე გიორგი-ხანი!“ (გვ. 188). აკი დაატყვევეს კიდეც.

ბ) სალიმ ფაშამ ასეთი შინაარსის წერილი მიიღო: „**ენთელის**[20], **ხევაშენის** (ადიგენის მუნიც.). **ვახანის** (სწორი ფორმაა ვარხანი – ქ.გ.)... მცხოვრებლები გადასახადების გადახდაზე უარს აცხადებენო... ითხოვენ სალიმ ფაშასთან შეგვახვედრეო!

გ) თურქებმა მეფე გიორგი რომ დაატყვევეს, ქართველები ზრუნავენ, რომ მისი ოჯახი **სლესას** გადაიყვანონ (გვ. 199). ე.ი. სლესა უსაფრთხოა თურქთაგან;

დ) არც აწყურელებს ეძინათ: „**აწყურის ნაჰიეში** თავდასხმებმა ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ ციხესიმაგრეში მოკალათებული სულთნის მსახურები გადასახადების ასაკრეფად ციხიდან ფეხის გამოდგმას ვერ ბედავდნენ. გახშირებულმა თავდასხმებმა საგონებელში ჩააგდო სულთნის კაცები“ (გვ. 239);

ე) „**აწყურის, არტაანის, ხერთვისის, ოლთისის** ციხეებში თურქეთის ჯარი იდგა და სალიმ ფაშამ „ჯარები გამოიწვია... ყარსის საფაშოდანაც ელოდნენ დამხმარე ლაშქრის ჩამოსვლას“, რადგან „იმერეთის დაკავების ფიქრი საამოდ.უღიტინებდა სალიმს გულში“ (გვ. 249).

ვ) **ბორჯომის** მუნიც., როგორც სამცხე-ჯავახეთის (ადიგენის) მხარის კუთვნილება, XVI საუკუნეში ასევე განიცდიდა ოსმალთა ძალმომრეობას, მაგრამ მათი მკვიდრნიც ფეხზე იდგნენ სოფლებიდან: **ნუა, სადგერი,**

[20] ენთელი (ზემოენთელი და ქვემოენთელი) - ნასოფლარი ახალციხის მუნიცი-პალიტეტში, ხოლო სოფელია ადიგენის მუნიციპალიტეტში, ურავლის ხეობაში. ვფიქრობ, თხზულებაში მეორე ვარიანტითაა, რადგან მასთან ერთად ჩამოთვლილი ორი სოფელიც ადიგენის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის.

ახალდაბა, ტაშისკარი, გუჯარეთი, ციხისჯვარი ურავლის ხეობაში და მისი მეზობელი რაიონის სოფლები: სურამი, სამწევრისი, სკრა... (გვ. 215).

ზ) **ხიხაძირი**[21] - სოფ. ხულოს მუნიც-ში.

თ) **მაჭახელა**[22] (მაჭახლის ხეობა), **იმერხევი**: „შავშეთელთ და **იმერხეველთ**[23] სისხლის აღება არც აგრერიგად უყვართ... ეგ უფრო **მაჭახალელთ** სჩვევიათ“ (გვ. 234).

ბენარა[24] „სალიმმა... იანიჩართა მცირე რაზმით ბენარისკენ გასწია“ (გვ. 276).

თხზულებაში ასახული და დადასტურებულია, თუ როგორ სწვდებოდა ოსმალთა ხელი დღევანდელი საქართველოს არა მარტო სამცხე-ჯავახეთს ბორჯომთან და აჭარასთან ერთად, არამედ დანარჩენ საქართველოს:

ა) „**იმერეთის** დაკავების ფიქრი საამოდ უღიტინებდა სალიმ ფაშას გულში“. თუ იმერეთი მის ხელთ იქნებოდა, „იქიდან **გურია-სამეგრელო** და **სვანეთი-რაჭა-ლეჩხუმიც** შორს არ იყო, ბოლოს, ვინ იცის, **ქართლ-კახეთიც** დარჩენოდა და, ამგვარად, მთელი გურჯისტანის მმართველი გამხდარიყო (გვ. 249);

ბ) მეფის სიტყვები: „**იმერეთი, გურია** და **სამეგრელო** თურქთა ხელით იწეწება, საათაბაგო ა**ფხაზეთი** ოსმალთა უღვთო თარეშის გამო სისხლისგან იცლება. ქართლი ოდითვე დედაბოძი იყო ქართველთა ქვეყნებისა. როცა რომელიმე მათგანს გაუჭირდებოდა, ქართლი უმსუბუქებდა ჭირსა და ვარამს. ახლა... უბედურ დღეში ჩავაგდეთ **ქართლიც**... თუ მთელ საქართველს არა, ქართლს მაინც ავხადოთ უღვთო ტანჯვის უღელი“ (გვ. 223).

ამრიგად, ჩვენ შევეხეთ საქართველოს იმ ტოპონიმებისა და მათით სახელდებული იმ ტერიტორიების ხვედრს, რომლებიც მე-17 საუკუნეში ოსმალთა ფეხქვეშ ითელებოდა, მაგრამ საუკუნეების შემდეგ, როგორც იტყვიან, დედასამშობლოს დაუბრუნდნენ, ზოგი მათგანი თუნდაც ნასოფლარის სახით, მაგრამ იმ დოკუმენტებით, რომელთაც ქართული ტოპონიმები ჰქვია. სავალალოდ, დიდი ნაწილი ქართული მიწისა დარჩა ქართული სტატუსის გარეშე უცხო გარემოში, მაგრამ სანამ იარსებებს კაცობრიობა, დავიწყებას არ მიეცემა ის ჭეშმარიტება, რომ ტაო-კლარჯეთი საქართველოა, სადაც დღემდე ფიგურირებს, ზოგ შემთხვევაში პარალელურ

---

[21] სოფელი ხიხაძირი – აჭარა ხომ ექვემდებარებოდა ოსმალთა ექსპანსიას. X-XI საუკუნეებში სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე კუთხე და დიდმნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი ყოფილა. სოფელში განვითარებული იყო მეთამბაქოეობა.

[22] მაჭახლის ხეობა 1550 წელი - ტრაპიზონის სანჯაყბეგმა მუსტაფა ფაშამ აიღო და პოლიტიკურად მოსწყვიტა საქართველოს დანარჩენ კუთხეებს. 1878 წელს აჭარა, მაჭახელა და ქვემო გურია დედასამშობლოს შემოუერთდა (გარდა მაჭახელას ერთი ნაწილისა).

[23] იმერხევი - ეს მხარე ტაო კლარჯეთშია, ისტორიულ შავშეთში: იმერხევი მდინარე შავშეთისწყლის მეორე სახელიცაა. XVI საუკუნეში იგი საქართველოს სხვა მიწებთან ერთად ოსმალეთმა მიიტაცა. ქართული მოსახლეობით დასახლებული ეს მხარე ახლა თურქეთის ფარგლებშია.

[24] დღეს ადიგენის მუნიციპალიტეტშია. სოფლის ძველი სახელწოდება ყოფილა ბელნარა. იგი პირველად მოიხსენიება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში (1595 წ.), როგორც ახალციხის ლივის ალთუნყალის (ოქროს ციხე) ნაჰიეში შემავალი სოფელი. იმ პერიოდისათვის იქ 17 კომლი ქართველი ცხოვრობდა.

რეჟიმში მაინც – ქართული მეობის დამადასტურებელი სიტყვები – ტოპონიმები, რომელთაც დასაწყისშივე შევეხეთ.

XVII საუკუნისდროინდელი ქართული ტოპონიმები თურქეთის ისტორიული საქართველოს ქართულ მიწაზე

II. გიორგი ზედგინიძის საანალიზო თხზულებაში მოქმედება ხდება როგორც დღევანდელი საქართველოს ოსმალთა მიერ XVI საუკუნიდან დაპყრობილ ტერიტორიაზე, ისე საქართველოს იმ ტერიტორიაზე, რომელიც შეეწირა აქ ასახულ ბრძოლას და დღემდე მოქცეულია თურქეთის სივრცეში და რომელსაც დაერქვა ისტორიული საქართველო. დღეს თურქეთს მიკუთვნებულ ქართულ ტერიტორიაზე ქართულ ტოპონიმთა უმრავლესობა თურქულენოვანი ტოპონიმითაა შეცვლილი. აქ წარმოვადგენთ XVII საუკუნეში ქართულ ისტორიულ მიწაზე დაფიქსირებულ ტოპონიმთა ძირძველ ქართულ ან ფონეტიკურად ადაპტირებულ ფორმებს, როგორც ეს მოცემულია ჩვენ მიერ გაანალიზებულ თხზულებაში „დედის ტაძარი“.

მოქმედება, ძირითადად, **შავშეთში** ხდება.[25] ზოგადად მკითხველში ტოპონიმ შავშეთის ხსენებაც კი ტკივილიან განცდას იწვევს, მით უმეტეს, შავშეთით სახელდებული მიწის ხვედრი, ასახული გიორგი ზედგინიძის თხზულებაში. XVII საუკუნეში ჯერ კიდევ ქართულენოვანი ტოპონიმები მძლავრობდა, რაც ხელშესახებადაა გადმოცემული:

სოფ. **დიდღელე** შავშეთში: „მიუდგომელი მთაგორიანი მხარეა შავშეთი“ (გვ. 29), მიუდგომელი, მაგრამ „შავშეთი განადირებულ იანჩართა პირისპირ აღმოჩნდა“ (გვ. 35). „მოთმინებადაკარგულ შავშებს ერთი დაძახილი სჭირდებოდათო“, - წერს ავტორი და „ამ დაძახილად“ სოფ. დიდღელეში გამართულ ბერიკაშვილების ქორწილს ასახელებს. ქორწილს ჰასან-ბეგი ესწრებოდა. შავშური ღვინოც ბლომად მოიტანესო, „მისი მოსპობა ჯერაც ვერ მოესწროთ ვაზის მოძულე ოსმალებს“ (გვ. 30). თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, ახალგაზრდა ჰასან ბეგი „არავის უშლიდა ქართული წესების შესრულებას“, მაგრამ შემდეგ ღვინომოკიდებულმა დედოფალთან დაწოლა დაჟინებით რომ ითხოვა... ნეფემ ხანჯლით განგმირა... რასაც მოჰყვა სოფ. **დიდღელის** მამაკაცების დახოცვა, ქალების წაბილწვა, ბავშვების თვალების დათხრა და სოფლის ცეცხლით გადაბუგვა.

ეს ფაქტი იქნებ ვინმემ მხატვრული თხზულების მხატვრული ხერხად ჩათვალოს, მწერლის მიერ გამოყენებული, დაძაბულობის კულმინაციისთვის? მაგრამ ავტორი წელსაც ასახელებს და სოფელსაც, სადაც ეს მოხდა: დიდღელე. „1689 წლის შემოდგომისთვის...“ ერთ მუჭად შეკრულ შავშელებს მეზობელი სოფლებიდან ამოუდგნენ მხარში და „იანიჩართა რაზმი თვალის დახამხამებაში აკუწეს... ასე მოედო აჯანყების ამბავი მთელ შავშეთს.

წეფთის ციხე: მაღალ კლდეზე გადმომდგარი აუღებელი წეფთის ციხე[26] იანიჩარებს ჟრუანტელს ჰგვრიდა და იქ გამაგრებულ ქართველებს

[25] შავშეთი - საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, ისტორიული მესხეთის ნაწილი (აჭარის სამხრეთით). 1547 წელს შავშეთი ოსმალეთის იმპერიამ დაიპყრო, 1877-1878 წლების ომის შედეგად რუსეთის იმპერიამ დაიკავა. 1921 წელს, ყარსის ხელშეკრულებით, გადაეცა თურქეთს. ამჟამად შედის თურქეთის ართვინის პროვინციაში.

[26] წეფთის ციხე (წერეფთის ციხე) – ციხესიმაგრე თურქეთის ტერიტორიაზე, იმერხევში. მას წერეფთის ციხესაც უწოდებენ. ეს და სხვა ქართული ტოპონიმები კიდევ ერთხელ ადასტურებენ შავშეთ-იმერხევის ქართულმიწობას.

„შეითანლარს“ ეძახდნენ (გვ. 35). ძალა აღმართს ხნავსო და მაინც აიღეს... შავშელები ტყვედ ჩავარდნას კლდიდან უფსკრულისკენ გადაშვებას ამჯობინებდნენ, რის შესახებაც ავტორი წერს: „შეცბუნებული იანიჩრები თვალგაშტერებული მისჩერებოდნენ ამ საოცრებას“ (გვ. 49);

არტაანი (არდაჰანი): „გასწორდით! – შეუტია არტაანის ალი-ბეგმა ტყვეებს“;

ანაკერტი[27]: „ანაკერტის ხეობის სანახებში ოლთისის ფაშის ჯარები შემოიჭრნენ“ (გვ. 58); „ხერთვისისა და ოლთისის რაზმებმა აღასრულეს მირმარის ბრძანება: ანაკერტის ხეობა ააოხრეს“ (გვ. 62);

როკეთი:[28] „იანჩარის რაზმმა როკეთის მაღლობები გადასერა“ (გვ. 34);

ზაქიეთი და **მიქელეთი:**[29] „მოვიდნენ ოლთისელებისგან დარბეული ზაქიეთელებიც (გვ. 59). Mikelet (Çermik) მიქელეთი - მიქელას კუთვნილი ადგილი;

სხლობანი, წითვეთი, გრაკალანი და **ფერანათი**[30]: „ახალციხიდან და ხერთვისიდან მიმავალმა რაზმებმა გზად შეხვედრილი სოფლები: სხლობანი, წითვეთი, გრაკალანი, ფერანათი ნაცარტუტად აქციეს. ბოლოს ტბეთსა და ციხისძირს შემოადგნენ“ (გვ. 35);

ტბეთი და **ციხისძირი**:[31] „ბოლოს ტბეთსა და ციხისძირს შემოადგნენ. ტბეთსა და ციხისძირის მცხოვრებლებმა წეფთის ციხეს შეაფარეს თავი“ (გვ. 35);

არტანუჯი, ანაკერტი[32],**ოლთისი**[33]: „ანაკერტის ხეობის სანახებში ოლთისის ფაშის ჯარები შემოიჭრნენ“ (გვ. 58); „ხერთვისისა და ოლთისის

[27] ანაკერტი, დაბა – ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, კლარჯეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით. მდ. სამწყარის, შავშეთისწყლის მარცხენა **კლარჯეთში.**

[28] **როკეთი** (Roketi) – ისტორიული სოფელი ერუშეთის მხარეში, არტაანის პროვინცია. როკი ქართული სიტყვაა და „ტოტს“ ნიშნავს. 1595 წლისთვის („გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“) სოფელი მთლიანად დაცარიელებული იყო. ეს დასახლება ხელახლა დასახლებული აღარ გამხდარა. მიუხედავად ამისა, ქართველმა მკვლევრებმა 2014 წელს ქარაქალეს (შავციხეს) სოფელში როკეთის სახელწოდება აღმოაჩინეს. **P.S.** საქართველოს იმერეთის მხარეში არის როკითის სახელწოდების სოფელი.

[29] სოფლები შავშეთის რაიონში, ართვინის პროვინციაში. ესენი სოფლის ისტორიული, ძველი ქართული სახელებია, რომლებიც შემორჩენილია გ.ზედგინიძის თხზულებაში დღეს კი მიქელეთს ჰქვია ჩერმიქი (Çermik), ზაქიეთს - იაღლი (Yağlı).

[30] სოფლები სხლობანი (სულობანი) და წითვეთი (წითვი), რომლებიც ამ ისტორიულ თხზულებაშია დაფიქსირებული, შავშეთშია, ართვინის პროვინციაში. წითვეთი სოფლის ისტორიული, ძველი ქართული სახელია და დღეს **ათალარი** (Atalar) ჰქვია. წინადადებაში ამ ორ სოფელთან არის დაწყვილებული სოფლები: გრაკალანი და ფერანათი. ეს ორი სოფელიც შავშეთში უნდა იყოს.

[31] ტბეთი მდებარეობს თურქეთში, ართვინის პროვინციაში, შავშეთის რაიონში, ისტორიულ შავშეთში. დღეს მისი სახელია ჯევიზლი (Cevizli). რაც შეეხება ციხისძირს, მოცემული წინადადების მიხედვით, ან ალბათ ეს ტოპონიმიც შავშეთში უნდა ყოფილიყო, რადგან ტბეთთან არის დაწყვილებული, ან აჭარის ციხისძირი მოიაზრება, .მით უფრო, რომ შავშეთი უშუალოდ ესაზღვრება აჭარას. ყოველ შემთხვევაში, ზემოთ წარმოდგენილი ფრაზა ადასტურებს ამ ორი ტოპონიმის მეზობლურ სიახლოვეს. Tibet (Cevizli) ტბეთი – ტბ-ეთ-ი: ტბიანი ადგილი: ტაბ-ეთ-ი > ტბეთი. შდრ.: ტბეთი არის აჭარაშიც. შდრ.: ტაბახმელა, ტაბაწყური...

[32] ანაკერტი, არტანუჯი - დაბები კლარჯეთში, ართვინის ვილაიეთი.

[33] ოლთისი -ტაოში

რაზმებმა აღასრულეს მირმარის ბრძანება: ანაკერტის ხეობა ააოხრეს“ (გვ. 62); „ოლთისის თურქთა ჯარები (გვ. 249).

ბერთუბანი: ეს სოფელი რომ შავშეთში იყო, ტექსტიდანაც იკვეთება: „ბერთუბანს აჯანყების ხანძარი მოსდებია... მტერი სამჯერ მეტი იქნება აჯანყებულ შავშებზე, მაგრამ აჯანყებულები არ შეუშინდნენ“ (გვ. 42).

დაბა, დიობანი[34], **წყალწიმერი** სოფლებია იმერხევსა და შავშეთში. ტექსტში დასახელებულია „იანიჩარებისგან აოხრებული სოფლები: დაბა, დიობანი, წყალწიმერი“, რომელთა მაცხოვრებლებმა ხოკიეთში მოიყარეს თავი. ხოკიეთში მოვიდნენ აგრეთვე ოლთისელებისგან დარბეული ზაქიეთელებიც (გვ. 59), „იანიჩერების რაზმი წყალწიმერისაკენ მიდიოდა“.

ყველი / ყველისციხე:[35] აჯანყებულები „ყველში ზეინაბ ბეგს მიხტომოდნენ... ყველელი ბეგის მთელი ქონება ერთმანეთს შორის გაენაწილებინათ“; „სანჯაყბეგი ისმაილი იტყობინება, ამბოხება ყველისციხის მიდამოებში დაიწყოო“ (გვ. 274);

ინაწმინდა:[36] ართვინის უღელტეხილია. „მტერმა ინაწმინდის გადასასვლელი შეუკრა იქ გამაგრებულ ჯარს“ (გვ. 62).

სოფ. **წურწყაბი**:[37] „აჯანყებულები წურწყაბსა და აგარაში გადასულიყვნენ და ყველში ზეინაბ ბეგს მიხტომოდნენ“ (გვ. 274).

ხოკიეთი (დღეს ნასოფლარი უნდა იყოს) კლარჯეთში. თხზულებაში აღწერილია, შავშეთის სოფლების აოხრება: „იწვოდა სოფლები... მეზობლების ბედს მხოლოდ მაღალ ადგილზე გაშენებული სოფელი **ხოკიეთი** გადაურჩა... მთელი შავშეთის დაკავებამ **ხოკიეთელებს** იმედი ვერ გადაუწყვიტა. მათ თავიანთ სოფელში გამაგრება არჩიეს“. დარბეულმა სოფლებმა **ხოკიეთს** შეაფარეს თავი (გვ. 59), მაგრამ ანაკერტის ხეობის აოხრების შემდეგ ხოკიეთში თავმოყრილი ქართველობაც დაატყვევეს (გვ. 62).

ფოცხოვი[38]: თხზულებაში ნახსენებია **ფოცხოვისწყალი,** რომელსაც სათავე თურქეთში აქვს: „ფოცხოვისწყალზე ხიდი გაიარეს“ (გვ. 153).

დასკვნა

გიორგი ზედგინიძის საანალიზო თხზულების საფუძველზე კიდევ არაერთი ისტორიული ტოპონიმისა და მასთან დაკავშირებული ფაქტების დასახელება შეიძლებოდა, მაგრამ ძირითადი სურათი წარმოდგენილია. ახლა მხოლოდ დავასახელებთ „დედის ტაძარში“ დაფიქსირებულ სხვა ტოპონიმებს: კოლთისხევი, ოკამი, მუხრანი, ყვავის საყდარი, წედისი, სანისლო მთა, ფალავნების გორა, ყერძენის ქედი, ლოგათისხევი, ჩილდირი

[34] დიობანი არა მხოლოდ სოფელია იმერხევში, არის საძოვარიც. დიობნის ღელე, სოფელ წყალწიმერში – მთა დიობნიწვერი.

[35] დღეს სოფ. ყველი არტაანის პროვინციაშია, მდ. ფოცხოვისწყალთან. ჰქვია ქოლქიოი (Kolköy). სოფლის ძველი ქართული ტოპონიმია ყველი (ყუელი). „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, სოფელს ყველი ეწოდება. ამ სოფელში მდებარეობს ყველისციხე. დაიპყრეს XVI საუკუნეში. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს სოფლის სახელი1886 წლის რუსულ ჩანაწერებში არის ყველი (Квель).

[36] ინაწმინდას „საინტერესო ტოპონიმს“ უწოდებს თ. შიოშვილი და დასძენს, რომ იგი „უცილობლად ქრისტიანობის დროიდან მომდინარეობს: „ინაწმინდას ცხვარი ძოვდა“. ახლა ინდაწმინდა ჩაენაცვლაო (შიოშვილი 2022).

[37] წურწყაბი - არტაანის პროვინციაში. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ იხსენიება როგორც ზუზღაბ. ვახუშტი ბატონიშვილთან წურწყუმა. დღეს ამ სოფელს ჰქვია აშიქზიულალი (Aşıkzülali).

[38] ფოცხოვი - ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული შუა საუკუნეების საქართველოში, ისტორიულ სამცხეში (თურქეთში). ეკუთვნოდა ჯაყელთა ფეოდალურ საგვარეულოს. XVI საუკუნეში ოსმალეთმა დაიპყრო. შეიქმნა ადმინისტრაციული ერთეული ფოცხოვის ლივა, რომელიც იყოფოდა მზვარისა და ჩილდირის ქვეადმინისტრაციულ ერთეულებად.

(<ჩრდილი ანატოლიაში), წყაროსთავი[39], თეთრობის ხეობა, სადგერის ხეობა, არსიანის ქედი, მლაშეხევი, ხევა[40] ცოცხათი, ჩიხოლიშის წყალი და ხვალიშას წყალი - ამასთან დაკავშირებით ცნობილი ფაქტიც აქვს ავტორს დაფიქსირებული (გვ. 191). ახალციხის მუნიციპალიტეტში არის სოფ. ივლიტა, ჩვენს თხზულებაში დასტურდება ტოპონიმი „ივლიტას გორა“. საინტერესოა ამავე მუნიციპალიტეტში დაფიქსირებული XVII საუკუნისდროინდელი უბნები და ქუჩები: მეფახირეთა უბანი, მჭედლების შუკა (//ქუჩა//უბანი), ოქრომჭედლების უბანი, მახამლეების უბანი, ხაბაზების შუკა - ეს ამ წიგნში შემონახული მიკროტოპონიმებია და მნიშვნელოვანი დოკუმენტი.

დასასრულ ერთი ფაქტის აღინიშვნაც გვმართებს: მართალია, ასეთი დაუნდობელია დამპყრობელი, მაგრამ არ შეიძლება ყურად არ ვიღოთ გ. ზედგინიძის თხზულებაში ის ადგილი, სადაც ვკითხულობთ ერთ თურქ პერსონაჟზე – უსეინ თურქზე; „უბოროტო, ოდნავ ნაღვლიანი ღიმილით და გონიერი გამოთქმებით შეზავებული თხრობა სასიამოვნო მოსაუბრედ ხდიდა თურქს, მეტად სულგრძელიც ჩანდა უსეინი... თურმე თათრის გულშიც ყოფილა სათნოება, თათარსაც შესძლებია სიყვარული და მეგობრობა, სიბრალული და ლმობიერება“... (ზედგინიძე 1981: 197-198). „ამიტომაც იყო, რომ დაჭრილი თურქის მიმართ ქართველმა იუსუფმა ყურადღება გამოიჩინა: საკუთარ ჭერქვეშ დააწვინა და განთქმული ექიმი მიუჩინა მკურნალად დაჭრილს“ (იქვე: 194). აი, ასეთმა ფაქტებმა დროთა განმავლობაში თანდათანობით შეცვალეს ქართველთა და თურქთა ურთიერთობა კეთილგანწყობისკენ, მეგობრობისკენ.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ზედგინიძე 1981: ზედგინიძე გ., „დედის ტაძარი“. თბილისი. გამომც. „ნაკადული“.

თაყაიშვილი 1960: თაყაიშვილი ე., 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. თბილისი.

თაყაიშვილი 1968: თაყაიშვილი ე., რჩეული ნაშრომები, ტ. II, თბილისი. გამომც. „მეცნიერება“.

თოფჩიშვილი... 2019: თოფჩიშვილი რ., ღუტიძე ი., შავშეთისა და კლარჯეთის ტოპონიმები XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის რუსულ დოკუმენტებში. თბილისი. გამომც. „მწიგნობარი“.

კაკაბაძე 1966: კაკაბაძე ს., შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი. თბილისი.

ლომსაძე 2011: ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს-ის შუაწლებიდან XIX ს-ის შუაწლებამდე). ახალციხე.

მელიქიძე 2021: მელიქიძე ნ., ასპინძის მუნიციპალიტეტის ანთროპონიმები. ახალციხე. სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ორბელიანი 1991: ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული. თბილისი, ტ. I. გამომც. „მერანი“.

ორბელიანი 1993: ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული. თბილისი, ტ. II. გამომც. „მერანი“.

[39] წყაროსთავი - ეს ტოპონიმი კლარჯეთშიცაა (ისტორიულად) და ჯავახეთშიც

[40] მთა საქართველოსა და თურქეთის საზღვარზე.

ფუტკარაძე 2007: ფუტკარაძე ტ., იმერხევის მეტყველი მიწა-წყალი. თბილისი. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
ფუტკარაძე 1993: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული. წიგნი პირველი. ბათუმი. აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა.
ფუტკარაძე 2016: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული. წიგნი მეორე, ბათუმი. გამომც. „აჭარა“.
ქც 1973: ბატონიშვილი ვახუშტი: აღწერა სამეფოსი საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტომი IV. თბილისი. გამომც. „საბჭოთა საქართველო“.
შიოშვილი 2022: შიოშვილი თ., ისტორიული სამხრეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, III. ტაოური ფოლკლორი. ბათუმი. გამომც. „აჭარა“.
ჯიქია 1941: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ. თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

References and Sources

Bagrationi 1973: Bagrationi Vakhushti,. Description of the Kingdom of Georgia. In The Georgian Chronicles (Kartlis Tskhovreba), Vol. IV. Tbilisi. Publishing House „Soviet Georgia“.
Jikia 1941: Jikia S., The Great Register of the Vilayet of Gurjistan. Turkish text published with translation, study, and commentary. Tbilisi. Publishing House „Academy of Sciences of the Georgian SSR“.
Kakabadze 1966: Kakabadze S., Shota Rustaveli and His “The Knight in the Panther’s Skin“. Tbilisi.
Lomsadze 2011: Lomsadze Sh., Samtskhe–Javakheti (From the Mid-18th to the Mid-19th Century). Akhaltsikhe.
Melikidze 2021: Melikidze N., Anthroponyms of Aspindza Municipality. Akhaltsikhe. Publishing House „Samtskhe–Javakheti University Press“.
Orbeliani 1991: Orbeliani S.-S., Georgian Dictionary. Vol. I. Tbilisi, Publishing House „Merani“.
Orbeliani 1993: Orbeliani S.-S., Georgian Dictionary. Vol. II. Tbilisi, Publishing House „Merani“.
Putkaradze 2007: Putkaradze T., Imerkhevi Speaking Land. Kutaisi. Publishing House “Kutaisi State University”.
Putkaradze 1993: Putkaradze Sh., The Georgian Language of Our People. Book One. Batumi. Adjara Journal and Newspaper Publishing House.
Putkaradze 2016: Putkaradze Sh., The Georgian Language of Our People. Book Two. Batumi. Publishing house “ajara“.
Shioshvili 2022: Shioshvili T., Historial South Georgian Folklore. III, Taoian Folklore. Batumi. Publishing house “ajara“.
Taqaishvili 1960: Taqaishvili E., The 1917 Archaeological Expedition in Southern Georgia. Tbilisi. Publishing House „Metsniereba“.
Taqaishvili 1968: Taqaishvili E., Selected Works. Vol. II. Tbilisi. Publishing House „Metsniereba“.
Topchishvili… 2019: Topchishvili R., Ghutidze I., Toponyms of Shavsheti and Klarjeti in the Russian Documents of XIX Century and of the beginning of XX Century. Tbilisi. Publishing House ”Mtsignobari”.
Zedginidze 1981: Zedginidze G.,The Temple of the Mother. Tbilisi: Publishing house, „Nakaduli“.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.09

იდენტობის საკითხი ქართულ და თურქულ პოსტმოდერნისტულ რომანებში (აკა მორჩილაძის „შენი თავგადასავალი“ და ელიფ შაფაქის „სტამბოლელი ნაბიჭვარი“)

IDENTITY IN GEORGIAN AND TURKISH POSTMODERNIST NOVELS: AKA MORCHILADZE'S *YOUR ADVENTURE* AND ELIF SHAFAK'S *THE BASTARD OF ISTANBUL*

ნატალია გულუა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Natalia Gulua
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

აბსტრაქტი

პოსტმოდერნისტულ რომანებში იდენტობის ძიება ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემად ითვლება. იდენტურობა ყალიბდება მოცემულ საზოგადოებაში შეგნების, გემოვნების, ჩვევების, ნორმების, ღირებულებების და ა. შ. გათავისებისა და მიღების გზით. ამა თუ იმ კულტურულ სამყაროსთან თავის გაიგივება ქმნის ადამიანის ცხოვრებას მოწესრიგებულსა და გასაგებს. გლობალიზაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა კულტურული წყობის მქონე და განვითარების განსხვავებულ საფეხურზე მყოფ მრავალ ქვეყანას, ხელს უწყობს ურთიერთგავლენებს და წარმოშობს იდენტობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. გლობალიზაციას კულტურის სფეროში ახასიათებს მკვეთრად გამოხატული ტენდენცია ლოკალური გაერთიანებების უნიფიკაციისა, რაც ვლინდება საერთო ღირებულებების, ნორმების, იდეალების გავრცელებაში; შესაძლოა ჩამოყალიბდეს პლურალური იდენტურობა, რომლის დროსაც ადგილობრივი კულტურული ფორმები ნაწილობრივ თავსდება გლობალურ სივრცეში. პოსტმოდერნისტულ მხატვრულ ტექსტებში, განსხვავებით მოდერნისტულისაგან (სადაც გმირები ეძებენ და პოულობენ თვიანთ ფესვებს, აგნებენ და ითავისებენ თავიანთ იდენტობას, რითაც სრულდება მათი ძიება და „მოგზაურობა“) იდენტობა არ არის ბოლომდე განსაზღვრული, ცალსახა, ერთგვაროვანი, რადგან სივრცე და გარემო ცვლის და თავიდან აყალიბებს მას; ანუ ძიება დაუსრულებელი პროცესია და თუ ვინ ვართ სინამდვილეში, ამას განსაზღვრავს სამზერი კუთხე, საიდანაც ვუცქერით სამყაროს, მიმდინარე მოვლენებს.

მიზნად დავისახეთ, ვაჩვენოთ ქართულ და თურქულ პოსტმოდერნისტულ რომანებში როგორ დგას იდენტობის საკითხი, რა პრობლემებს წამოსწევენ წინ და მათი გადაჭრის რომელ გზას ირჩევენ სხვადასხვა კულტურული სივრცის წარმომადგენლები. საანალიზოდ ავიღეთ რომანები: აკა მორჩილაძის „შენი თავგადასავალი“ და ელიფ შაფაქის „სტამბოლელი ნაბიჭვარი“, მივიჩნიეთ რა რომ აღნიშნული პოსტმოდერნისტი მწერლების დასახელებული მხატვრული ტექსტები იდენტობის საკითხთან არსებული პრობლემების მძაფრი გამოძახილია და გადაჭრის სხვადასხვა გზას გვთავაზობს.

საკვანძო სიტყვები: პოსტმოდერნიზმი, ლიტერატურული პარალელები, აკა მორჩილაძე, ელიფ შაფაქი.

ABSTRACT

The pursuit of identity is one of the defining concerns of postmodern novels. Identity is constructed through the internalization and acceptance of social consciousness, aesthetic preferences, habitual practices, norms, and value systems. Identification with a specific cultural sphere provides coherence and intelligibility to individual existence. Globalization, encompassing countries with diverse cultural systems and different levels of development, stimulates intercultural interaction while simultaneously producing identity-related challenges. Within the cultural domain, globalization exhibits a strong tendency toward the unification of local formations, through the dissemination of common values, norms, and ideals. This process may generate plural identities, wherein local cultural forms are partially incorporated into a global framework. In postmodern literature, unlike modernist texts — where protagonists search for and ultimately discover their roots, thereby resolving their journey of self-discovery — identity remains indeterminate, ambiguous, and non-homogeneous, as space and environment continuously reshape and reconstruct it; thus, the search becomes an ongoing process, and who we truly are depends on the perspective from which we view the world and unfolding events.

The present study aims to demonstrate how the issue of identity is articulated in Georgian and Turkish postmodern novels, which problems are highlighted, and how authors from different cultural settings propose to address them. The analysis is based on Aka Morchiladze's Your Adventure and Elif Shafak's The Bastard of Istanbul. These postmodern literary works may be regarded as powerful reflections of identity-related complexities, proposing distinct ways toward their resolution.

Keywords: Postmodernism, literary parallels, Aka Morchiladze, Elif Shafak.

შესავალი

საზოგადოების კულტურის განვითარების საფუძველია საბაზო ღირებულებათა სისტემა, დაკავშირებული ტრადიციასთან, წეს-ჩვეულებებთან, ქცევის სტანდარტებთან, კულტურულ კოდთან, სიმბოლოებთან. ყოველივე ეს ერთად აღებული აყალიბებს ერთიან კულტურულ ველს. იდენტურობა ყალიბდება მოცემულ საზოგადოებაში შეგნების, გემოვნების, ჩვევების, ნორმების, ღირებულებების და ა. შ. გათავისებისა და მიღების გზით. ამა თუ იმ კულტურულ სამყაროსთან თავის გაიგივება ქმნის ადამიანის ცხოვრებას მოწესრიგებულსა და გასაგებს. იდენტურობის გაუცნობიერებლობის პრობლემა აქტიურდება სხვა კულტურის წარმომადგენლებთან კონტაქტისას, რის შედეგადაც ხდება საკუთარი იდენტობის გააზრება, რაც მიმდინარეობს „ჩვენი“ და „სხვისი“ შეპირისპირების ფონზე. გლობალიზაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა კულტურული წყობის მქონე და განვითარების განსხვავებულ საფეხურზე მყოფ მრავალ ქვეყანას, ხელს უწყობს ურთიერთგავლენებსა და წარმოშობს იდენტობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. გლობალიზაციას კულტურის სფეროში ახასიათებს მკვეთრად გამოხატული ტენდენცია ლოკალური გაერთიანებების უნიფიკაციისა, რაც ვლინდება საერთო ღირებულებების, ნორმების, იდეალების გავრცელებაში; შესაძლოა ჩამოყალიბდეს პლურალური იდენტურობა, რომელიც დგას „ერთიანობისა და მრავალფეროვნების“ პრინციპზე, რომლის დროსაც ადგილობრივი კულტურული ფორმები ნაწილობრივ თავსდება გლობალურ სივრცეში.

პოსტმოდერნისტულ რომანებში იდენტობის ძიება ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემად ითვლება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პოსტმოდერნისტულ მხატვრულ ტექსტებში, განსხვავებით მოდერნისტულისაგან, სადაც გმირები ეძებენ და პოულობენ თავიანთ ფესვებს, აგნებენ და ითავისებენ საკუთარ იდენტობას, რითაც სრულდება მათი ძიება და „მოგზაურობა“ (დამადასტურებლად შეგვიძლია მოვიხმოთ გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვა მოდერნისტ მწერალთა რომანები), იდენტობა არ არის ბოლომდე განსაზღვრული, ცალსახა, ერთგვაროვანი, რადგან სივრცე და გარემო ცვლის და თავიდან აყალიბებს მას; ანუ ძიება დაუსრულებელი პროცესია და ჩვენს მეობას განსაზღვრავს სამზერი კუთხე, საიდანაც ვუცქერით სამყაროს, მიმდინარე მოვლენებს.

ნაშრომის მიზანია ვაჩვენოთ, ქართულ და თურქულ პოსტმოდერნისტულ რომანებში როგორ დგას იდენტების საკითხი, რა პრობლემებს წამოსწევენ წინ და მათი გადაჭრის რომელ გზას ირჩევენ სხვადასხვა კულტურული სივრცის წარმომადგენლები. საანალიზოდ ავიღეთ რომანები: აკა მორჩილაძის „შენი თავგადასავალი“ და ელიფ შაფაქის „სტამბოლელი ნაბიჭვარი“, მივიჩნიეთ რა, რომ აღნიშნული პოსტმოდერნისტი მწერლების დასახელებული მხატვრული ტექსტები იდენტობის საკითხთან არსებული პრობლემების მძაფრი გამოძახილია და გადაჭრის სხვადასხვა გზას გვთავაზობს.

კვლევის მეთოდები

გაანალიზებულმა მასალამ რომ მართებული შეხედულებების გამოტანის საშუალება მოგვცეს, ვიყენებთ კვლევის თანამედროვე

მეთოდებსა და მიდგომებს, კერძოდ კომპარატივისტულსა და სემიოტიკურს, ასევე, მხატვრული ტექსტის რეცეფციულ ანალიზს და ლიტერატურული დისკურსის ნარატიულ ასპექტებს.

მსჯელობა

აკა მორჩილაძის შემოქმედება ხშირად ადამიანის შინაგანი ძიების, თვითგააზრების ისტორიაა. მისი გმირები გაურბიან პოსტსაბჭოთა საქართველოში არსებულ ქაოსსა და გაურკვევლობას, საბჭოთა წარსულით ნასაზრდოვებ სინამდვილეს და მათი წარმოსახვითი მოგზაურობა თვითგამორკვევას, საკუთარი იდენტობის ძიებას მიემართება. მწერალი რომანში „შენი თავგადასავალი“ გმირის შინაგან სამყაროში მიმდინარე პროცესებს გვიჩვენებს. ნაწარმოებში იდენტობის თემა ერთ-ერთი მთავარი ხაზია, რომელიც გმირის შინაგან სამყაროსა და მისი გამოცდილების წრეზე ტრიალებს. აქ იდენტობა წარმოსახულია დინამიკურ პროცესად, როცა პერსონაჟი მუდმივად გადააზრების პროცესშია. რომანი გვიჩვენებს, რომ ადამიანისთვის საკუთარი თავის პოვნა ისეთივე რთული და მრავალფეროვანი პროცესია, როგორიც თავად ცხოვრება. ნაწარმოების მთავარი გმირი – პეტრე ჯაფარიძე თბილისელი ახალგაზრდა (იგივე პიტერ ჯეფერსი, იგივე ჯორჯია), XX საუკუნის 90-იანი წლების ორომტრიალს რომ გაექცა ლონდონში, მუდმივად ცდილობს გაარკვიოს, ვინ არის სინამდვილეში; მთელი მისი წარმოსახვითი მოგზაურობა თვითგამორკვევისაკენ, თვითიდენტიფიკაციისაკენ არის მიმართული, ეძებს საკუთარ ნამდვილ სახეს. გმირის მოგზაურობა იდენტობის ძიების სიმბოლოა. ეს არის გზა, რომელიც წარმოაჩენს როგორც მის შინაგან ბრძოლას, ისე საზოგადოებასთან კონფლიქტს. „არაფერია იმაზე ბუნებრივი, ეგზისტენციალური კრიზისით გაწამებულმა ადამიანმა წარსულში დაიწყოს ქექვა, რომ როგორმე წააწყდეს საკუთარ ვინაობასა და გაიგოს, საიდან უნდა განაგრძოს სვლა“ (ხარბედია 2022).

შეიძლება ითქვას, რომ გმირი ორმაგი იდენტობის მატარებელია. ერთია ის სახე, რომელსაც უჩვენებს გარშემომყოფებს, ანუ ის, რადაც სურს იქცეს და კონკრეტულ როლს, ნიღაბს ირგებს; მეორე – რაც სინამდვილეშია, თავისი ჭეშმარიტი სურვილებით, მოტივებით, შიშებით და რასაც ვერ ფარავს კრიტიკულ მომენტებში. გმირზე, მის იდენტობაზე, რა თქმა უნდა, აქტიურად ზემოქმედებს ის სოციალური გარემო, ატმოსფერო, რომელშიც იმყოფება. პეტრე მხოლოდ ფიზიკურად წავიდა სამშობლოდან, რადგან მისი აწმყო და სამომავლო ფიქრებიც კი წარსულის მოგონებებთან იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული, რომ ახალი ცხოვრების დაწყება შეუძლებელია. მისი მეხსიერება განვლილი ცხოვრებისეული მძაფრი შთაბეჭდილებებით არის დატვირთული და ახალი ემოციებისთვის ადგილი აღარ დარჩენილა. საინტერესო ფაქტია, რომ პეტრე ჯაფარიძეს ინგლისში წასვლამდე, „პერესტროიკის“ წლებში, თავის სადებიუტო ნაწარმოებებში გმირებად გამოჰყავდა ანტისაბჭოური განწყობის ადამიანები, ბოლშევიკებთან უთანასწორო ბრძოლაში რომ იღუპებოდნენ. „ბოლშევიკური ხვრეტები ვერ დავივიწყეო“, – ამგვარად შესჩივის მთხრობელი მკითხველს. შეიძლება ითქვას, რომ ამ მოთხრობების ერთგვარ ლოგიკურ გაგრძელებად იქცა მთხრობელის რეალური ცხოვრება: წინააღმდეგობა, სროლები, დახვრეტები, სისხლი, გადატრიალება... 21 წლის იყო, მოთხრობების წერა

რომ დაიწყო და 33 წლისამ მოგვითხრო „შენი თავგადასავალი“. სათაურთან დაკავშირებით იყო მსჯელობა, რომლის მიხედვით „შენს თავგადასავალს“ აკაკი წერეთლის ავტობიოგრაფიულ ტექსტთან აკავშირებდნენ, არადა პოსტმოდერნისტული ტექსტის (ასევე მისი სათაურის) პირდაპირი გაგება აღნიშნული ჟანრის კანონს ეწინააღმდება და ამ ორი ტექსტის შედარება ასოციაციურ დონეზე მეტად არც უნდა განვიხილოთ. ამბავი, რომელსაც მთხრობელის მეხსიერება თან ატარებს, არა მხოლოდ მისი, არამედ მთელი ერის გამოცდილებაა და თითოეული ჩვენგანის თავგადასავალია, ვისაც იმდროინდელი ემოციები ღრმად ჩაბეჭდვია გონებაში, ვისაც მოსვენებას არ აძლევს ჩვენი ქვეყნისათვის თავსდატეხილი ტრაგიკული მოვლენები, რაც გამორიცხავს ახალ ცხოვრებასთან უპირობოდ ადაპტირების საშუალებას. ეს ნაწარმოები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ვერსად გაექცევი შენს თავს, შენს წარსულს, იდენტობას, ის შენშია.

პერსონაჟმა რომ 21 წლის ასაკში დაიწყო წერა და თანაც ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ გმირებზე წერდა, შემთხვევითი ამბავი არ არის; ამ რიცხვმა 1921 წელი უნდა მოგვაგონოს, როგორც საბედისწერო თარიღი, რომლითაც დაიწყო ჩვენი ქვეყნისათვის ტრაგიკული მოვლენები. ამ მოვლენათა ლოგიკური გაგრძელება გახლდათ 1989 წლის 9 აპრილი და მასთან დაკავშირებული ამბები, რომელთა ზემოქმედების ქვეშაც იმყოფება საანალიზო ტექსტის მთავარი გმირი. 33 წლის იყო ქრისტე, როდესაც აწამეს და ზეცად ამაღლდა, 33 წლის არის პეტრე ჯაფარიძეც, როცა თავისი თავგადასავლის თხრობას იწყებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ის ჩვენი თავგადასავალიცაა, ჩვენი გოლგოთაა, საერთო ტკივილია, რომელიც გვამთლიანებს და ჩვენი იდენტობის კიდევ ერთ მყარ ფენას ქმნის.

რომანი „შენი თავგადასავალი“ პოსტმოდერნიზმისათვის დამახასიათებელ მრავალ ნიშანს შეიცავს; მათგან ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, რომ ის რთულად აღსაქმელი რომანია, მისი სწორად გააზრებისათვის მკითხველს გარკვეული ცოდნა და გამოცდილება ესაჭიროება. ამ კუთხით დიდად გვეხმარება „სიზმრების ახსნა“, რომელიც ავტორმა რომანის შემდგომ გამოცემებს დაურთო. ის არა მხოლოდ ახსნა-განმარტებებითაა მკითხველისთვის სასარგებლო, არამედ იმითაც, რომ მასში ღიად იკვეთება მწერლის პათოსი. ავტორი „სიზმრების ახსნაში“ თავად შენიშნავს, რომ პეტრე ჯაფარიძის „გონებაში კიდევ საშინელ ნახატებად არის დალექილი განვლილი საბჭოთა ცხოვრება და ჰგონია, რომ თუ სხვა კაცად არ გადაიქცა, არაფერი ეშველება“ (მორჩილაძე 2010: 284). ამიტომაცაა, რომ ქვეყნიდან მიდის და სახელსა და გვარსაც იცვლის; თუმცა ამაოდ: პირველივე შემთხვევაში, როგორც კი საკუთარ თავზე კონტროლს კარგავს (ექსტაზის მიღებას ვგულისხმობთ), წარსულს უბრუნდება, ქვეყნისათვის საბედისწერო მოვლენები ისევ ცოცხლდება მის გონებაში და თავისებურ განვითარებასაც ჰპოვებს. აშკარაა, რომ ამ თემაზე ფიქრი არასოდეს დასრულდება; განცდილი ემოციები ისევ არსებობს ერის მეხსიერებაში და ერიც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას (შინაგანად მაინც) განაგრძობს. ეს არის ის იდეა, რომელიც ერს აერთიანებს, ეს არის ის სატკივარი, რომელსაც მხოლოდ ქართველი გაიგებს. აღსანიშნავია ავტორის სიტყვები: „რაც კი რამ ალუზია გამჩენია ცხოვრებაში, ყველა ამ წიგნში ჩაეტია“. შეიძლება ითქვას, რომ 1989 წლის მოვლენების „ალუზია“

გამუდმებით მუსირებს საანალიზო ტექსტში. რომანის გმირი ექსტაზის მიღების შემდეგ იწყებს წარმოსახვით მოგზაურობას და პირველი, რაც გონებაში ამოუტივტივდება, არის „ქართველთათვის ყველაზე საშინელი, ტკივილიანი და მძიმე სურათი: რუსის ჯარის ტრიალი თბილისში ტანკებით და მშვიდობიან მომიტინგეთა ჟლეტა რუსი ჯარისკაცებისგან 1989 წლის 9 აპრილს“ (მორჩილაძე 2010: 288).

ტექსტში ანტაგონისტად გვევლინება წარმოსახვითი პერსონაჟი – როდიონოვი – 9 აპრილის მოვლენების „სულისჩამდგმელი“ და სახიფათო დავალებას აძლევს ჯორჯიას: იმისათვის, რომ მოემსახუროს თავის სამშობლოს და სიკვდილისგან იხსნას მეგობრები, ჯერ უნდა დაეხმაროს „დიდ სამშობლოს“: ლორდ ბრუს-პარტინგტონის წყალქვეშა ნავის ნახაზები და ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა მოპაროს სეიფიდან (არტურ კონან დოილის მოთხრობის სიუჟეტიდან ამოგლეჯილი ერთი წახნაგია). აქ მთავარი ისაა, რომ როდიონოვი (ზოგადად რუსი) კარგად იცნობს ქართველი კაცის ხასიათს: „ქართველობა ორი რამით მტკიცდება, სხვისთვის ჩადენილი გმირობით ან მეგობრის ხათრით რაიმეს დათმობით“. სწორედ ქართველი კაცის ხასიათსა და ბუნებაზე დაკვირვებას ეყრდნობა „ჩრდილოელი ძმა“ და მასზე აგებს თავის მანიპულაციებს, შანტაჟს, დამონების გეგმას. ჯორჯიაც თავისი ნებით „შედის სათაგურში“, რათა მეგობრები, თანამოაზრეები და სამშობლო იხსნას. არადა, მისი თავდაპირველი განზრახვა იყო ყველაზე მართებული, როცა უნდოდა, რომ როგორმე გაერღვია საზღვრები და 9 აპრილის ამბები მსოფლიოსთვის გაეგებინებინა, ამისთვის ჭირდება „ტაიმსი“ და რადიო, რადგან „ესესერ – წიურმა ნაროდოვ“.

პეტრეს მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად, ე.წ. „ფიქრების მემკვიდრეობა“ და სწორედ ეს მიაჩნია მას მთავარ საგანძურად. როგორც რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი, ინგლისელი ლორდი ამბობს, მემკვიდრეობა მაშინ არის საშიში, როცა რაღაცას ცვლის და სწორედ ამ მემკვიდრეობაზე უარის თქმაა რთული. ინგლისელი მოუწოდებს ქართველს, უარი თქვას ამ მემკვიდრეობაზე, მაგრამ პეტრე ვერ ამბობს უარს მძიმე წარსულის მემკვიდრეობაზე, რომელიც ის აჩრდილია, თან რომ სდევს და გენეტიკური კოდივით უცვლელად მოკალათებულა მის მეხსიერებაში. ჯორჯიას „თავისი ბავშვობის ურჩხულებმა ლონდონშიც ჩამოაკითხესო“, – ამბობს სემი (ჯორჯიას წარმოსახვითი მეგობარი) და მართალიც არის.

„თქვენ ვერ გაიგებთ ჩვენს ტკივილს“ – ამ სიტყვებით რამდენჯერმე მიმართავს ჯორჯია ინგლისელებს; მართალია, ეს ფრაზა ნახევრადხუმრობით მოიტანა ამ ტექსტში ავტორმა ერთ-ერთი საბჭოთა დროის ფილმიდან, მაგრამ ის ნათლად გამოხატავს ქართველი ერის საერთო ტკივილს, რომლის სიმძაფრე ისევ ქართველისთვისაა გასაგები და რომლის აღქმას ვერ შეძლებს სხვა ერის შვილი. ჯორჯიას აზრით, ჩვენ უბედური ხალხი ვართ „ჯერჯეროობით მაინც იმიტომ, რომ როცა წარმომავლობას გვკითხავენ, აუცილებლად უნდა განვმარტოთ, რომ ამერიკელები არა ვართ და იქვე დავურთოთ, რომ ყოფილი საბჭოელები გახლავართ – Caucasus. TRANSCAUCASIA...“ (მორჩილაძე 2010: 180). ჯორჯ ჯეფერსმა – ადამიანმა ყოფილი საბჭოეთიდან – კარგად იცის, რომ საქართველოს, თბილისს ევროპის მოქალაქეთა უმრავლესობა მხოლოდ

ფეხბურთელებით იცნობს; ყიფიანი, ხინჩაგაშვილი, ჩივაძე, მაჩაიძე – ის სპორტსმენები არიან, რომელთაც გაარღვიეს რკინის ფარდა და მათი გვარებიც აღიბეჭდა ევროპელთა მეხსიერებაში. დანარჩენი ქართველობა კი რუსეთთან ასოცირებული დარჩა: „თქვენ რუსი ხართ, ჯორჯია?“ – ხშირად ეკითხებიან პეტრეს.

როგორია ევროპელის დამოკიდებულება ამ საერთო ქართული ტკივილის მიმართ? ზოგი მის დავიწყებას ურჩევს ჯორჯიას, ზოგს კი ურჩევნია უსამართლობა და არეულობა იყოს საქართველოში. ამის დასადასტურებლად საკმარისია მოვიტანოთ ნაწყვეტი წარმოსახვით მწერლებსა (მისის ვოინიჩი და მისის ბიჩერ სტოუ) და მთავარ გმირს შორის გამართული დიალოგიდან:

„– რა ქვეყანაა ეს ქართველი? – ასეთ მწერლებს ხომ ყველაფერი აინტერესებთ?

– თქვენ რომ გაგიხარდებათ, ისეთია.

– მე რა გამიხარდება?

– რა ვიცი, ალბათ, უსამართლობა და არეულობა“ (მორჩილაძე 2010: 136).

რომანის მიხედვით, ინგლისელის (შეიძლება ითქვას, ზოგადად ევროპელის) თანაგრძნობა და გაგება იმაზე შორს არ წასულა, რომ აღმოსავლეთის (იგულისხმება რუსეთი) ზრახვები მისთვის მიუღებელი იყო: „ჩემო ბიჭუნავ, არასოდეს მიყვარდა ის, რაც აღმოსავლეთში ხდებოდა – მითხრა ვაჟკაცურად...“ (მორჩილაძე 2010: 217). რუსეთი რომ საქართველოს ტერიტორიებს ითვისებს და ევროპას არ ერჩის, ეს დროის საკითხი რომაა მხოლოდ, ამაზე მიანიშნებს მისტერ მანტლიპისადმი ნათქვამი პეტრეს სიტყვები: „მათი აზრით, შენი სახლი მხოლოდ იმიტომაა შენი, რომ ჯერ-ჯერობით მათ არ სჭირდებათ“.

რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ტექსტის ერთ მონაკვეთში ჯორჯიას დამხმარე და თანამოაზრე ფაშისტი, სამხედრო დამნაშავე ოტო სკვოცენი (იულიუს მადერის ნაწარმოების – „სახენაიარევი კაცის კვალდაკვალ“ – პერსონაჟი) ხდება. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესოა ჯორჯიას დამოკიდებულება: „ხალხი კომუნისტი ყოფილა, მამა-პაპანი ჩვენნი, და იმათთვის არაფერი მითქვამს და ახლა ამ გადასარევ კაცს ვუსაყვედურო? რა სისულელეა. თუმცა მისი ფაშისტობა სულაც არ არის მთავარი“ (მორჩილაძე 2010: 186). ე. ი. მოვლენების გადაფასება დაწყებულია და ინტენსიურადაც მიმდინარეობს. მაგრამ თუ ვაპატიეთ გერმანიას და სხვა დამპყრობელ ქვეყნებს საქართველოსათვის საუკუნეების განმავლობაში მიყენებული ზიანი, რუსეთმა რატომ ვერ დაიმსახურა ქართველი ერის გულში შენდობა? პასუხი ცალსახაა: არც რუსეთს და სათანადოდ არც მსოფლიოს არ უღიარებია, რომ რუსეთ-საქართველოს შორის უბრალოდ კონფლიქტი კი არ მომხდარა, უთანასწორო ომი მიმდინარეობდა და შედეგად უდანაშაულო ადამიანების სისხლი დაიღვარა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა, უამრავ მოქალაქეს მოუხდა იძულებით გადასახლება... სწორედ ამ ფაქტების არაღიარების გამოა, რომ 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები (და კიდევ მრავალი სხვა ტრაგიკული თარიღი) ღია ჭრილობადაა დარჩენილი საქართველოს ისტორიაში.

კიდევ ერთი დაზარალებული ერის მოუშუშებელ ტკივილებზე გვესაუბრება თურქი-ბრიტანელი მწერალი **ელიფ შაფაქი.** მისი მხატვრული ტექსტები ხშირად ეხება იდენტობას და კულტურულ დიალოგს. არც რომანი „სტამბოლელი ნაბიჭვარი“ არის გამონაკლისი. მასში იდენტობის საკითხი ღიად დასმული პრობლემაა. ნაწარმოებში ავტორი ისეთ სენსიტიურ მოვლენას ეხება, როგორიცაა გასული საუკუნის დასაწყისში მომხდარი სომეხი ერის გენოციდი. ცნობილი ფაქტია, რომ 1915 წელს ოსმალეთის იმპერიაში სომეხ მოსახლეობას დიდი ტრაგედია დაატყდა თავს. 24 აპრილს ოსმალურმა ხელისუფლებამ დაიწყო სომეხი მოსახლეობის გენოციდი: დაიღუპა მილიონზე მეტი სომეხი მოქალაქე და მასობრივი დეპორტაციის შედეგად ქვეყანა დატოვა უამრავმა სომეხი ეროვნების ადამიანმა. მიუხედავად იმისა, რომ მრავალმა ქვეყანამ და საერთაშორისო ორგანიზაციამ ეს მოვლენა სომეხთა გენოციდად აღიარა, თურქეთის ოფიციალური პოზიცია განსხვავებულია; საუბრობენ არა გენოციდზე, არამედ ორმხრივ კონფლიქტზე, ანუ ამ მოვლენისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია ისევე, როგორც რუსეთ-საქართველოს შორის ომზე, ერთი მხარისათვის რომ ომია და მეორისთვის კი მხოლოდ კონფლიქტი. ამ არაერთგვაროვან დამოკიდებულებაზე (ჩვენი ქვეყნის მტრებმა ომი კონფლიქტად რომ შეაფასეს, რითაც თითქოს შეარბილეს ის დანაშაული, რომელიც რუსეთს მიუძღვის საქართველოს წინაშე) ხაზგასმად მიმაჩნია აკა მორჩილაძის რომანიდან „შენი თავგადასავალი“ ის ფაქტი, მთავარი გმირი – პეტრე ჯაფარიძე კონფლიქტოლოგიას რომ სწავლობს.

ამერიკაში იძულებით გადასახლებული სომხები მჭიდროდ შეკრულ ოჯახებად ცხოვრობენ, რაც კარგადაა ნაჩვენები ელიფ შაფაქის რომანში „სტამბოლელი ნაბიჭვარი“; მათთვის სახლი ციხესიმაგრეა, საიმედო თავშესაფარია; გარეთ კი არქტიკაა, „ცივი მიწაა“. გარეთ გასასვლელად სომეხს თან ჟაკეტი უნდა წაეღო, სასურველი იყო ნაქსოვი, ანუ ხელით ნამუშევარი, მშობლიური ნივთი, რომელსაც უნდა გაეთბო ოჯახიდან წაღებული სითბოთი, დაეცვა, დაეფარა, ისევე როგორც ბებიების ხელით ნაქსოვ საბნებს, რომელთაც კიდეებში ინიციალები აქვთ ამოგვირისტებული. „ისე დაძინება, რომ სხეული არაფრით დაგეფარათ, უბრალოდ წარმოუდგენელი რამ იყო, ხოლო ქუჩაში უჟაკეტოდ გასვლა – შეცდომა. ისე როგორც სახლს სჭირდებოდა სახურავი, ადამიანებსაც სჭირდებოდათ დამატებითი ტყავი მათსა და დანარჩენ სამყაროს შორის, რათა თავი უსაფრთხოდ და თბილად ეგრძნოთ“ (შაფაქი 2016: 137). ეს ყველაფერი იმისათვის, რომ კიდევ უფრო მძაფრად შეეგრძნოთ თავიანთი იდენტობა, შეენარჩუნებინათ თავისთავადობა და არ ათქვეფილიყვნენ სხვა ერებში. აღსანიშნავია სომხობის ხარისხის შემფასებელი ტესტი: „1. თუ ისე გაიზარდეთ, რომ ხელით ნაქსოვი საბნის ქვეშ გეძინათ ან სკოლაში ხელით ნაქსოვი ჟაკეტებით დადიოდით; 2. თუ 6-7 წლის ასაკამდე ყოველ დაბადების დღეზე სომხურ ანბანს გჩუქნიდნენ; 3. თუ სახლის, გარაჟის ან სამსახურის კედელზე არარატის მთის სურათი გიკიდიათ....“ და ასე უსასრულოდ, მაშინ ხარ ნამდვილი სომეხი.

რომანში სომხურ და თურქულ მხარეებს არმანუშ ჩახმახჩიანი და ასია კაზამჯი წარმოაჩენენ, ორი ახალგაზრდა გოგონა, გენოციდის

დროიდან მესამე თაობის წარმომადგენლები. არმანუშ ჩახმახჩიანს, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს, ორ განსხვავებულ სამყაროს შორის არსებობა გაურკვევლობის განცდას უჩენს. მის ცნობიერებაში ორი კულტურა უპირისპირდება ერთმანეთს; ერთ მხარეს დგას ამერიკა – ინდივიდუალიზმის, თვითგამოხატვის თავისუფლებით, მეორე მხარეს კი – სომხური დიასპორა ტრადიციებით, ოჯახური ისტორიებით, წარსულში განცდილი ტკივილებით. მისი იდენტობა მჭიდროდაა დაკავშირებული წინაპრების მეხსიერებასთან. აშკარაა, რომ არა მარტო ძველი თაობის სომეხი ემიგრანტები იკვეთებიან თავიანთ წარსულთან, არამედ ახალი თაობაც, ოღონდ ტექნიკური პროგრესის (ინტერნეტის) გათვალისწინებით. სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები სომხები, ერთ დროს სტამბოლელი ოჯახების შვილთაშვილები, სასაუბრო ფორუმში „კაფე კონსტანტინეპოლში“ იკრიბებიან და „ერთადერთ უსაფრთხო სამოთხეს“ აფარებენ თავს. არმანუშს ფორუმზე შესასვლელი ფსევდონიმიც სიმბოლური აქვს – „მადამ დევნილი სული“. დასახელებული ფსევდონიმი 1915 წელს თურქების მიერ სიკვდილმისჯილთა სიაში შეტანილი ერთადერთი სომეხი ნოველისტი ქალის – ზაბელი იესაიანის საპატივცემულოდ აირჩია. ე. ი. არმანუში მასთან აიგივებს თავს, გარკვეულწილად იზიარებს მის ხვედრს, ანუ თავისებურად აპროტესტებს ვითარებას. ფაქტია, რომ ახალ თაობას გენეტიკურად გადაეცა ის ტკივილი და განცდები, რაც მათმა წინაპრებმა გამოიარეს და რამაც მათი იდენტობა ჩამოაყალიბა.

მართალია, ჩახმახჩიანების ოჯახი გადაურჩა რეპრესიებს, მაგრამ ნამდვილი სიმშვიდე არ უპოვია. ეს იყო ერთგვარი დამღა, რომელიც გენოციდმა დაასვა უამრავ სომხურ ოჯახს. „თუ გადარჩენილთა შვილი იყავით და კითხვა და ფიქრი მაინც გინდოდათ, ეს ძალიან უხმაუროდ, მხდალად და დაკვირვებულად უნდა გაგეკეთებინათ და არასოდეს უნდა გადაქცეულიყავით განთქმულ მკითხველად“ (შაფაქი 2016: 131). გადარჩენის შიში არმანუშის ოჯახის ერთიან ნიშან-თვისებად ქცეულიყო, ეშინოდათ გამორჩეულობის. ღრმა განათლების მიმართ მათი პროტესტის უკან ძალზე ფუნდამენტური საფიქრალი იმალებოდა: „მამიდას უბრალოდ არ უნდოდა, არმანუშს ასე ეკაშკაშა და სხვებისგან გამორჩეული ყოფილიყო. მწერლები, პოეტები, მხატვრები ინტელექტუალები პირველები იყვნენ სომეხთა შორის, ვისაც ოტომანთა მთავრობა ანადგურებდა“ (შაფაქი 2016: 130). მიუხედავად იმისა, რომ არმანუში იძულებით გადასახლებულთა მესამე თაობაა, თავს ვერ აღწევს გენეტიკურ მემკვიდრეობას, მისი ერთი ნაწილი ამაყობს კიდეც.

სომეხი პერსონაჟების იდენტობა ისტორიულ ტკივილზეა დაფუძნებული. მათთვის გენოციდი არა მხოლოდ წარსულის ნაწილია, არამედ აწმყოს განმსაზღვრელიც. ამ მხრივ მნიშვნელოვან პერსონაჟად მიგვაჩნია ფორუმის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე – ბარონი ბაღდასარიანი, რომელიც პატრიოტი, მოაზროვნე სომეხი ემიგრანტის სახეს წარმოადგენს. ის დევნილთა შვილებს უსვამს „საუკუნოვან“ კითხვას: „მიატოვებთ თქვენ თემს იმისათვის, რომ თურქებს შეურიგდეთ და წარსულის ისე შეთეთრების ნება მისცეთ, რომ, როგორც თავად ამბობენ, ყველამ წინ წავიწიოთ?“ (შაფაქი 2016: 153). „წინ წაწევაში“ იგულისხმება ცხოვრების გაგრძელება, პროგრესი, რაც, თავისთავად, „წარსულის შეთეთრებას“ გულისხმობს.

მართლაც დილემაა – წარსულში ნაგემი ტკივილი უნდა დავივიწყოთ თუ ლოტის ცოლივით წარსულში ჩავრჩეთ? არმანუში, რომელიც დედის მხრიდან ამერიკული საზოგადოების კუთვნილებაა და მამის მხრიდან კი სომხური დიასპორის წარმომადგენელი, გადაწყვეტს მოგზაურობას (წარსულში), რათა მიაგნოს თავის იდენტობას. ის გამუდმებით მერყეობს ორ მდგომარეობას შორის და არ შეუძლია თავიდან ბოლომდე რომელიმე მხარის კუთვნილება იყოს. არმანუშმა უნდა იმოგზაუროს წარსულში, რათა თავის სომხობას მიაგნოს და ამის შემდეგ გახდეს ამერიკელი სომეხი.

ასია კაზანჯის ცხოვრებაც ორ სამყაროს შორის მიმდინარეობს: აღმოსავლური – ტრადიციებით, ოჯახური კავშირებით დატვირთული და დასავლური – ის იდეალები, რომელთაც სტამბოლის ერთ-ერთ კაფეში – „კუნდერაში“ ეზიარება. ეს კულტურული გაორება, რომანის მიხედვით, დაკავშირებულია მის არაკანონიერ შობასთან, „ნაბიჭვრობა“ მისი იდენტობის ნაწილია, ის ერთგვარი სტიგმაა, რომელიც საზოგადოებას აქვს მის მიმართ. აქედან გამომდინარე, მას პროტესტი აქვს ტრადიციების მიმართ და საკუთარ გზას ეძებს.

პერსონაჟების ეთნიკურ-ისტორიული იდენტობის ძიება თურქულ-სომხური კონფლიქტის ფონზე მძაფრდება და უფრო ნათლად იკვეთება. წარსულში განცდილი ტკივილები და ეროვნული ტრამვა განსაზღვრავს კოლექტიურ მეხსიერებას და ამოკლებს თვითგამორკვევის გზებს. არმანუშის პირით იძულებით გადასახლებული სომხების დიასპორა მეტყველებს: „მთელი მისი სევდის მიუხედავად, ისტორია არის ის, რაც გვაცოცხლებს და გვაერთიანებს“. ასია კი თურქული მხარის დიდი უმრავლესობის აზრს აჟღერებს, როცა ამ სიტყვებით მიმართავს არმანუშს: „მესმის, რამდენად ტრაგიკული წარსული ჰქონდა შენს ოჯახს და პატივს ვცემ შენს სურვილს, რაც უნდა მოხდეს, იცოცხლო მოგონებებით, რომ შენი წინაპრების ტანჯვა დავიწყებას არ მიეცეს. ჩვენი გზებიც სწორედ აქ იყოფა“ (შაფაქი 2016: 239). მას არ სურს, რომ წარსულთან რაიმე საერთო ჰქონდეს, მისთვის ისტორია „დღეს“ იწყება და არ არსებობს დროის უწყვეტობა. სოხების აზრით კი „ყველანი უწყვეტ დროში ვიბადებით და წარსული აწმყოში აგრძელებს არსებობას“ (იქვე: 347).

აშკარაა, რომ ამ ორ საანალიზო რომანს („შენი თავგადასავალი“ და „სტამბოლელი ნაბიჭვარი“), რომელთაც ერთმანეთისაგან დრო, სივრცე, რელიგია, პოლიტიკა, კულტურა და კიდევ მრავალი სხვა ფაქტორი აშორებს, მაინც ბევრი საერთო აქვს, იდეა გვაქვს მხედველობაში, რომლის მიხედვით დაზარალებული მხარე უწყვეტ დროში ცხოვრობს და გარშემომყოფებისგან მისი ტრაგედიის აღიარებას ელის. სომხური მხარე ამგვარად აფასებს თურქებს: მათი მეგობარი მანამდე იქნებით, ვიდრე საკუთარ თავზე იტყვით უარს. ჩვენ, სომხები, მხოლოდ ჩვენი დანკარგისა და ტკივილის აღიარებას ვითხოვთ, რაც უმთავრესი მოთხოვნაა ჭეშმარიტი ადამიანური ურთიერთობების გასაჩაღებლად. მაგრამ თურქებთან დამეგობრების ერთადერთი გზა არსებობს: მათსავით უმეცარი და გულმავიწყი უნდა იყო. ფაქტია, რომ სისტემატური უარყოფა უფრო დიდ ტკივილს აყენებს სომხურ მხარეს, რაც ნათლად იგრძნობა ბარონ ბაღდასარიანის სიტყვებში: „ისინი წარსულს ჩვენი თვალით არასოდეს შეხედავენ, ფიქრობენ, რომ ჩვენ

უნდა ავყვეთ მათ წარსულის არცოდნაში“. ამიტომაც იყო, რომ დიასპორის სომხებისთვის ჰაიათი (სომხური სასამართლო) გახლდათ ფსიქოლოგიური დასაყრდენი, რომელიც იდენტობას ანარჩუნებინებდა. სომეხთა გენოციდის აღიარება არის სომეხი ერის მთავარი მოთხოვნა, ისევე როგორც ქართველი ერისთვის არის უმნიშვნელოვანესი დაკარგულ ტერიტორიულ მთლიანობაზე მართებული საუბარი.

თურქების ძველი თაობის პრობლემებთან ბრძოლის მეთოდი, რომელიც უნდა განზოგადდეს, ასეთია: „სულ წარსულზე ლაპარაკობენ, მაგრამ ეს დეზინფიცირებული წარსულია. ასეთი მეთოდები აქვთ კაზანჯებს პრობლემებთან გასამკლავებლად: თუ რამე გაწუხებს, მიდი, დახუჭე თვალები, ათამდე დათვალე, ინატრე, რომ ეს არასოდეს მომხდარიყოს და მერე იცი, რა იქნება? ის, რომ არც არაფერი მომხდარა. ვაშა! ყოველდღე პირფერობის მორიგ კაფსულას ვყლაპავთ...“ (შაფაქი 2016: 199). ასიასთვის წარსული არაფერია ბორკილების გარდა. მუსტაფაც ცდილობს საკუთარი წარსულიდან გაქცევას. ის გაურბის მის მიერ ჩადენილ დანაშაულს და ამას ცდილობს დავიწყების გზით. საერთოდ, თურქებს ურჩევნიათ დაივიწყონ 1915 წელს მომხდარი მოვლენები, რადგან ასე უფრო ადვილია ცხოვრება. მუსტაფა ტიპური თურქია, როცა გულწრფელად ამბობს: „ბევრი არაფერი ვიცი ამ ამბებზე, ისტორიაა, ისტორიკოსებს უნდა გაესაუბრო“. ესაა პასუხისმგებლობის თავიდან აცილების პოლიტიკა. არმანუში შეგნებულად არ საუბრობს თავის თურქ მამინაცვალზე ამერიკელ მეგობრებთან, რადგან მათ უმრავლესობას თურქულ-სომხური კონფლიქტის ისტორია არ აინტერესებს. ეს ტრაგედია მხოლოდ სომეხი ემიგრანტების სატკივარია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა, ისევე როგორც ქართველი ერის ტრაგედიაა გაუგებარი ინგლისელებისთვის აკა მოჩილაძის „შენი თავგადასავლის“ მიხედვით.

ელიფ შაფაქი ალბათ ვერ იქნებოდა ჭეშმარიტი მწერალი, მხოლოდ ერთი მხრიდან რომ შეეხედა ამ ორი ერის ურთიერთობისათვის. ის, თავად ორმაგი იდენტობის მატარებელი, ცდილობს დაგვანახოს, რომ, მიუხედავად მრავალი ურთიერთბრალდებისა და განსხვავებისა თურქ და სომეხ ხალხებს შორის, მრავალსაუკუნოვანი ტერიტორიული ერთობა ბევრ საერთოს წარმოქმნის – კულტურულს, ტრადიციულს, აყალიბებს მსგავს გემოვნებას, ხასიათს. ტექსტის მიხედვით (და არა მარტო ტექსტის) სომხურ-თურქულ ურთიერთობებში ეს ყველაზე თვალში საცემად კულინარიაში ვლინდება. რომანში პირველად ამ მოვლენას ვაწყდებით მაშინ, როცა არმანუშის თურქი მამინაცვალი მუსტაფა სომხურ კერძებს იწონებს: „ისიც სომეხია? – ჩურჩულით იკითხა მისის გრინელმა, როცა მუსტაფა ოთახიდან გავიდა. – რა თქმა უნდა, არა, – ხმა ჩაუწყდა როუზს, – უბრალოდ რაღაცები საერთო აქვთ“ (შაფაქი 2016: 135). ის, რომ კერძები და გემოვნება ორივე ერს საერთო აქვთ, მრავალწლიანი ერთად ცხოვრების შედეგია. „ამ საჭმელებს იმიტომ ვიცნობ, რომ ისინი ნაწილობრივ სომხურ სამზარეულოშიც არის“, – მიმართავს არმანუში გაოცებულ კაზანჯებს. სომხებისა და თურქების გვარებიც მსგავსად არის ნაწარმოები, ორივეგან ჩი ბოლოსართს ამატებენ: კაზან-ჩი – „ქვაბების ოსტატს“ ნიშნავს თურქულად. ასევეა სომხური გვარებიც: ჩახმახ-ჩი-ან. „ესეც კიდევ ერთი რამ, რაც საერთო

გვაქვს“ – აღმოაჩინა არმანუშმა. მწერალი აშკარად ეძებს დამაკავშირებელ კვანძებს, რომელთაც ამ ერებს შორის ჩატეხილი ხიდი უნდა გაამთელოს და ამ ერთიანობის, ერთი ბირთვისგან წარმოშობის სიმბოლოდ წარმოგვიდგენს საერთო კერძს – აშურეს, იგივე ნოეს პუდინგს. „მაშინ ნოემ ბრძანა: „მოიტანეთ, რაც კი გაგაჩნიათ“. მათაც მიუტანეს, – ცხოველებმაც, ადამიანებმაც, მწერებმაც და ფრინველებმაც, სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანებმაც მიუტანეს ის მცირედი, რაც კი დარჩენოდათ და ყველაფერი ერთად ჩაყარეს. ასე მოათუხთუხეს ერთი დიდი ქვაბი აშურე“ (შაფაქი 2016: 403).

რამდენიმე სიტყვა რომანის სათაურზეც უნდა ვთქვათ, რომელიც თავისი მნიშვნელობით ძალიან ტევადია და, შეიძლება ითქვას, მრავალ ჭრილში მუშაობს. სიტყვა „ნაბიჭვარი“ ამორალურობასთან ასოცირდება და ამ შემთხვევაში კონკრეტულ პიროვნებას კი არ მიემართება, არამედ საზოგადოებას, რომელმაც ამგვარი იარლიყი მიაკრა მას. სტამბოლი აღმოსავლური და დასავლური კულტურის გაერთიანებისა და კონფლიქტის ადგილია. სტამბოლელობა კი ერთგვარი პასუხისმგებლობაა როგორც ეროვნული, ისე ისტორიული. სწორედ აქ უნდა განიხილოს საზოგადოებამ სომხური გენოციდის უარყოფისა თუ აღიარების საკითხები და შედეგებზე პასუხისმგებლობაც აიღოს, რითაც ჩამოირეცხავს იმ სამარცხვინო ლაქას, „ნაბიჭვრობა“ რომ ჰქვია.

ბოლოს გვინდა გამოვკვეთოთ ჩვენი აზრი რომანის მიზანდასახულობის შესახებ, რაც, ვფიქრობთ, იმაში მდგომარეობს, რომ განსხვავებული კოლექტიური მეხსიერების ადამიანებს სიყვარულითა და ურთიერთგაგების გზით შეუძლიათ ერთიანობის მიღწევა. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ აზრს ავითარებს მწერალი ორმაგი იდენტობით, რომლის შექმნილი პერსონაჟები არაერთგვაროვანი, მრავალწახნაგოვანი იდენტობის მატარებლები არიან. ერთგან ბაღდასარიანს ათქმევინებს: „უნდა ვაღიაროთ, დიასპორაში ზოგიერთ სომეხს არასოდეს ენდომებოდა, რომ თურქების გენოციდი ეღიარებინათ... როგორც თურქებს აქვთ ჩვევად საკუთარი დანაშაულის უარყოფა, სომხებსაც აქვთ მსხვერპლად ყოფნის საფარველქვეშ განცხრომის ჩვევა“ (შაფაქი 2016: 349). ამ სიტყვებს მივყავართ იმ აზრამდე, არსებობს ძველი ჩვეულებები, რომლებიც ორივე მხარეს უნდა შეიცვალოს. თავად ავტორიც ამ შეხედულებას იზიარებს. ამას რომანის ბოლოსიტყვაობაც გვიდასტურებს: „დიდ ვალში ვარ სომეხ და თურქ ბებიებთან, რომლებსაც თითქმის ბუნებრივად გამოსდით საზღვრების დარღვევა, რომლებიც ნაციონალისტებს, აქეთაც და იქითაც, გარანტირებული ჰგონიათ“ (შაფაქი 2016: 470). ეს ჭეშმარიტი გლობალისტი მწერლის ნათქვამია.

დასკვნა

ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა, ქართულ და თურქულ პოსტმოდერნისტულ რომანებში როგორ დგას იდენტების საკითხი, რა პრობლემებს წამოსწევენ წინ და მათი გადაჭრის რომელ გზას ირჩევენ სხვადასხვა კულტურული სივრცის წარმომადგენლები. ამისათვის გავაანალიზეთ რომანები: აკა მორჩილაძის „შენი თავგადასავალი“ და ელიფ შაფაქის „სტამბოლელი ნაბიჭვარი“. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ დასახელებულ ტექსტებში, მიუხედავად მათში გადმოცემული განსხვავებული თემებისა, პრობლემა იმდენად საერთოა, რომ შეიძლება

ითქვას, ერთ რომანში დასმულ კითხვებს მეორეში აქვს პასუხი გაცემული და პირიქით. ორივე მწერალი თვლის, რომ იდენტობა არ შეიძლება ბოლომდე განისაზღვროს, სივრცისა და გარემოს ცვლილების გავლენით იდენტობის ძიება დაუსრულებელი პროცესია. აკა მორჩილაზეც და ელიფ შაფაქიც იდენტობის არსს მსგავსად აღიქვამენ და განსაზღვრავენ, მაგრამ განსხვავებული სამომავლო ხედვები აქვთ და, შესაბამისად, გაანალიზებული რომანების მიზანდასახულობაც ერთმანეთს აცდენილია.

აკა მორჩილაძე მიიჩნევს, რომ, მართალია, საქართველოში მომხდარი მოვლენების გადაფასება უკვე დაწყებულია და ინტენსიურადაც მიმდინარეობს, ღია ჭრილობების მოშუშების დრო ჯერ არ დამდგარა. რაც შეეხება ელიფ შაფაქს, მთელი მისი შემოქმედება კულტურული გლობალიზაციის ორგანული ნაწილია და მწერლის დამოკიდებულებაც იდენტობის საკითხთან დაკავშირებით მსოფლიო კულტურაში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებიდან გამომდინარეობს. ელიფ შაფაქი რომანში „სტამბოლელი ნაბიჭვარი“ დასმულ კითხვებს სწორედ ამ პროცესების გათვალისწინებით სცემს პასუხს, რომ იდენტობა არ არის ცალსახა და ერთგვაროვანი; მისი ძიება დაუსრულებელი პროცესია, მაგრამ არ არის აუცილებელი დაზარალებული მხარე გამუდმებით მსხვერპლის როლში იყოს, დროა დაინგრეს საზღვრები და განსხვავებული კოლექტიური მეხსიერების მქონე ადამიანებმა მიაღწიონ ერთობას.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

მორჩილაძე 2010: მორჩილაძე ა., შენი თავგადასავალი. თბილისი. გამომც. „პალიტრა L“.

პაიჭაძე 2009: პაიჭაძე დ., დაბოლილი ცნობიერების ნაკადი. აკა მორჩილაძე, შენი თავგადასავალი. ჟურნალი „არილი“, 14/06/2009.http://arilimag.ge/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%91%E1 დამოწმება: 17.10.2025.

სმითი 2008: სმითი ე., ნაციონალური იდენტობა. თბილისი, გამომც. „ლოგოს პრესი“.

შაფაქი 2016: შაფაქი ე., სტამბოლელი ნაბიჭვარი. თბილისი, გამომც. „პალიტრა L“.

ჩიხრაძე... 2019: ჩიხრაძე მ., შავგულიძე ქ., შერგელაშვილი მ., სახლთ-ხუციშვილი მ., ქარაია ლ., ინტეგრაცია და იდენტობა. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

წიფურია 2016: წიფურია ბ., ქართული ტექსტი საბჭოთა/ პოსტსაბჭოთა/ პოსტმოდერნულ კონტექსტში. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ხარბედია 2022: ხარბედია მ., თანამედროვე ქართული რომანის 20-წლიანი ისტორია – იდენტობის ძიებაში. ჟურნალი „არილი“, 05/06/2022. http://arilimag.ge/%e1%83%97%e1%83%90%e1%83%9c%9b-3/ დამოწმება:14.10.2025.

Furlanetto 2012: Furlanetto E., The Search for a Hybrid Post-Ottoman Identity in Elif Shafak's The Bastard of Istanbul", „commonvealth essays end studies“, 36.2, 19-31 https://journals.openedition.org/ces/5172.

References and Sources

Chikhradze... 2019: Chikhradze M., Shavgulidze K., Shergelashvili M., Sakhltkhutsishvili M., Karaia L., Integration and Identity. Tbilisi, Ivane Javakhishvili State University Publishing House.

Furlanetto 2012: Furlanetto E., The Search for a Hybrid Post-Ottoman Identity in Elif Shafak's The Bastard of Istanbul", „commonvealth essays end studies", 36.2, 19-31. https://journals.openedition.org/ces/5172.

Kharbedia 2022: Kharbedia M., 20-Year History of the Modern Georgian Novel – In Search of Identity. Journal «Aril», 05/06/2022. http://arilimag.ge/%e1%83%97%e1%83%90%e1%83%9c%9b-3/ Verification: 14.10.2025.

Morchiladze 2010: Morchiladze A., Your Adventure. Tbilisi. Publishing House "Palitra L".

Paichadze 2009: Paichadze D., The Tired Stream of Consciousness. Aka Morchiladze, Your Adventure. Journal "Aril", 14/06/2009. http://arilimag.ge/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%91%E1 Verification: 17.10.2025.

Smith 2008: Smith E., National Identity. Tbilisi, Publishing House: "Logos Press".

Shafak 2016: Shafak E., The Bastard of Istanbul. Tbilisi, Publishing House «Palitra L».

Tsipuria 2016: Tsipuria B., Georgian Text in the Soviet /Post-Soviet/ Postmodern Context. Tbilisi, Ilia State University Publishing House.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.10

თურქული რეალიები იონა გედევანიშვილის სამოგზაურო ჟანრის წიგნში „მიმოსულა“

TURKISH REALITIES IN IONA GEDEVANISHVILI›S TRAVEL NARRATIVE *MIMOSULA* (*A JOURNEY*)

თენგიზ გუმბერიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Tengiz Gumberidze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

აბსტრაქტი

იონა გედევანიშვილმა აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობა თბილისიდან დაიწყო. მოგზაურმა თავისი შთაბეჭდილებანი აღწერა და ერთად თავი მოუყარა თავის წიგნში, რომელსაც „მიმოსულა“ ჰქვია. როგორც კი საქართველოს საზღვრებს გასცდა, მოგზაური უმალვე თურქეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდა, რადგან კარგა ხანია ახალციხის საფაშო ჩვენი ქვეყნის უშუალო მეზობელი გახლდათ. იონა გედევანიშვილის მოგზაურობამდე, ნებსით თუ უნებლიეთ, ქართველთა არაერთი წარმომადგენელი ყოფილა თურქეთში, მაგრამ სპეციალური აღწერილობა და თურქული რეალიების წარმოსახვა, რომლებიც იონა გედევანიშვილის „მიმოსულაში“ გვხვდება, მაინც სხვა დანიშნულებისა და ღირებულებისაა, იგი განსაკუთრებულ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს მეზობლის მიმართ, რომელმაც ძველი საბერძნეთის მიწაზე ფეხი მყარად მოიკიდა.

თბილისიდან წამოსული მოგზაური სურამში ჩასულა. იქიდან კი მოქარავნეებს გაჰყოლია და ჩასულა ათაბაგის ქვეყანაში ქალაქ ახალციხეს.

საინტერესოა, რომ ქართველ მოგზაურს ყველგან კეთილად ხვდებოდნენ. იგი დააბინავეს წმინდა მარინის ეკლესიის კელიაში, სადაც მასპინძლობენ ბერძენ მღვდელმთავრებს. ამის შემდეგ, ათაბაგის ბრძანებით, იონა დიდი პატივით გააყოლეს ვაჭართა ქარავანს კონსტანტინეპოლისაკენ. იონა დაწვრილებით აღწერს ამ მოგზაურობის თითოეულ დეტალს. იგი ჩადის კონსტანტინეპოლს და ასევე დეტალურად გადმოგვცემს იქაურ ყოფა-ცხოვრებას.

კონსტანტინეპოლისაკენ გზაზე საინტერესოა იონას გეოგრაფიული მიმოხილვები. მას უხილავს ჭოროხის სათავე, ამ მდინარეს იგი თავისი

სიდიდით ადარებს მტკვარს. ასევე, უნახავს მრავალი ტყე და მდინარე, რომელთაც ადარებს ქართლის მდინარეებს. ჭოროხზე ამბობს მტკვრის ოდენაო, ხოლო გოლის ხეობაში ნახულ მდინარეზე – ქსნის ოდენაო. აღწერს იქაურ სოფლებსა და ტყეებს. შემდეგ ახასიათებსს ბოსფორს და განსაკუთრებულად ქალაქ კონსტანტინეპოლს, სადაც იგი სულთანსაც კი შეხვედრია.

კრიტიკოსთა მიერ გამოთქმული მოსაზრების შესაბამისად, სულთნის საბრძანებელში იონას ასეთი ტრიუმფით მიღება იყო შედეგი იმისა, რომ მას იცავდა და გააჩნდა რუსეთის იმპერატორის მიერ მის სახელზე გაცემული რწმუნება.

საკვანძო სიტყვები: სამოგზაურო ჟანრი, მოგზაურობა თურქეთში, იონა გედევანიშვილი.

ABSTRACT

Iona Gedevanishvili began his journey to the Eastern countries from Tbilisi. The traveler recorded his impressions and subsequently compiled them into his book entitled *Mimosula* (*A Journey).* Once he crossed Georgia's borders, the traveler immediately entered Ottoman lands, as the Pashalik of Akhaltsikhe had long been a direct neighbor of our country. Although many Georgians had previously traveled to Ottoman territories, whether by choice or circumstance, the detailed descriptions and representations of Turkish realities found in Iona Gedevanishvili's Mimosula have a distinct purpose and significance. The book offers a unique perspective on Georgia's neighbor, which had firmly established its presence on the lands of ancient Greece.

Departing from Tbilisi, the traveler reached Surami. From there, he joined a caravan and entered the Atabag's land, arriving in the city of Akhaltsikhe.

Remarkably, the Georgian traveler was received kindly wherever he arrived. He was accommodated in a cell of the Church of Saint Marina, which served as lodging for visiting Greek high priests. After that, at the Atabag's command, Iona was honorably accompanied with a caravan of merchants to Constantinople. Iona carefully recounts the details of the journey and, once in Constantinople, presents a detailed depiction of the city's life and atmosphere.

Along the road to Constantinople, Jonah's geographical reflections are of considerable interest. He saw the source of the Chorokhi River and compared its size to that of the Mtkvari. Numerous forests and rivers encountered on the journey were described through comparison with the rivers of Kartli. He considers the Chorokhi as being as large as the Mtkvari and a river in the Goli Valley as comparable to Ksani. He further depicts the surrounding villages and woodlands, and turns to a descriprion of the Bosphorus and, especially, the city of Constantinople, where he had an audience with the Sultan.

Scholars have suggested that Iona's triumphant reception at the Sultan's court was the result of the protection afforded to him through a credential issued in his name by the Russian Emperor.

Keywords: Travel genre, journey to the Ottoman Empire, Iona Gedevanishvili.

შესავალი

იონა გედევანიშვილი მე-18-მე-19 საუკუნეების ერთ-ერთი გამოჩენილი ქართველი მოგზაური გახლდათ, რომელმაც 10 წელი დაჰყო მოგზაურობაში საქართველოს ფარგლებს გარეთ. ამ მოგზაურობის შედეგად მან დაგვიტოვა მოგზაურული ჟანრის წიგნი „მიმოსულა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა“, რომელიც ერთგვარად სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის ინდროინდელი აღმოსავლეთის მეზობელი თუ შორეული ქვეყნების ისტორიულ-გეოგრაფიული და სახელმწიფო-ეკონომიკური მდგომარეობის წარმოსახვის კუთხით. აღნიშნული წიგნის იონა გედევანიშვილისეული ხელნაწერის ეგზემპლარი ჩვენამდე მოღწეული არ არის, მაგრამ იგი 1852 წელს გამოუცია ცნობილ ქართველოლოგს პლატონ იოსელიანს, რომლის სრულყოფილი ვერსიაც დღეისათვის, მიუხედავად მისი იშვიათობისა ჩვენს ბიბლიოთეკებში, დაინტერესებულ პირთათვის მაინც შესაძლებლად ხელმისაწვდომია. „მიმოსულა“ დაბეჭდილია ქ. თბილისს, „სტამბასა შინა კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიისა“. გამომცემელი იმასაც გვამცნობს, რომ წიგნი გამოცემულია „ბრძანებითა კავკასიის ნამესტნიკის კნიაზის მიხაილ ვორონცოვისა“. წიგნს თან ერთვის გამომცემლის წინასიტყვაობა, რომელიც სათანადო წარმოდგენას გვიქმნის იონა გედევანიშვილის პიროვნებასა და ღვაწლზე. მრავალი ტოპონიმისა და მოვლენის შესახებ განმარტებულია სქოლიოებში, რაც ასევე წიგნის გამომცემელს ეკუთვნის. პლატონ იოსელიანის წინასიტყვაობა ამ ბოლო ათწლეულებში ორჯერ გამოსცა ცნობილმა გეოგრაფმა კობა ხარაძემ. „მიმოსულა“, როგორც შემოკლებით ამ წიგნს უწოდებენ, საინტერესოდ იკითხება. იგი გვიანდელი შუა საუკუნეების აღმოსავლეთზე მრავალმხრივ წარმოდგენას გვიქმნის. აქვე აღვნიშნავ, რომ წიგნის ერთ-ერთი უკანასკნელი სრულყოფილი გამოკვლევა ეკუთვნის პროფ. ა. ნიკოლეიშვილს და დაბეჭდილია მისივე ავტორობით გამოცემული ქართველოლოგიური ეტიუდების მე-5 ტომში სათაურით – იონა გედევანიშვილის „მიმოსულა“.

კვლევის მეთოდები

საკითხის კვლევისას ძირითადად ვიყენებდით აღწერით მეთოდს, რომელიც ემყარებოდა ავტორისეულ გადმოცემებსა და ინფორმაციებს. ასევე, ანალიზის მეთოდს. „მიმოსულის“ სპეციფიკა თავისთავად მოითხოვს ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებასაც, რადგან ეპოქათა სიშორე საჭიროებს ამის აუცილებლობას, მით უმეტეს, წიგნის ავტორიცა და გამომცემელიც კიდევ უფრო შორეული ისტორიის ფრაგმენტებსაც ეხებიან.

მსჯელობა

იონა გედევანიშვილს დაწვრილებით აქვს აღწერილი თავისი მოგზაურობის თითოეული დღისთვის დამახასიათებელი მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტები. იმ დროს აღმოსავლეთითა თუ დასავლეთით მიმავალი ქართველი მოგზაურები თავის სამშობლოს გასცდებოდნენ თუ არა, მაშინვე მეზობელი თურქეთის ტერიტორიაზე ამოყოფდნენ თავს, ვინაიდან მე-15 საუკუნის შუახანებიდან ბიზანტიის იმპერიის ნანგრევებზე სწორედ ოსმალეთის იმპერია ჩამოყალიბდა, რომლის დღევანდელი სახელწოდებაც თურქეთია.

თურქეთმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეცვალა ძველი საბერძნეთი, რომელთან მეზობლური ურთიერთობა, მიუხედავად დაუსრულებელი პოლიტიკური ინტრიგებისა, მაინც იყო ურთიერთობა მართლმადიდებელ ქვეყანასთან, რომელიც ჩვენში ყოველთვის ქრისტეს ჯვრით შემოდიოდა. საბერძნეთის მხრიდან რელიგიური საბურველი, მართალია, მძლავრი პოლიტიკური იარაღიც იყო ისევე, როგორც შემდეგ ეს იყო რუსეთის მხრიდან, მაგრამ მუსლიმანური თურქეთი საქართველოსთვის სრულიად უცხო და განსხვავებული ახალი მეზობელი გახლდათ თავისი რელიგიით, ცხოვრების სტილითა და წეს-ჩვეულებებით; საერთო ნიშანს თითქმის ვერცკი აღმოაჩენდი, მაგრამ იძულებული ვიყავით, რომ ამ ვეებერთელა მაჰმადიანურ მეზობელთან პოლიტიკური და შემდეგ ეკონომიკური ურთიერთობანიც ჩამოგვეყალიბებინა. სხვანაირად წარმოუდგენელიც კი იყო, მით უმეტეს, ასეთი ტერიტორიული სიახლოვიდან გამომდინარე.

ამდენად, ბერძნული დასახლებანი, სოფლები და ქალაქები თურქულით შეიცვალა. შესაბამისად, იცვალა ტოპონიმებიც. იონა გედევანიშვილის მოგზაურობამდე, ნებსით თუ უნებლიეთ, ქართველთა არაერთი წარმომადგენელი ყოფილა თურქეთში, მაგრამ სპეციალური აღწერილობა და თურქული რეალიების წარმოსახვა, რომლებიც იონა გედევანიშვილის „მიმოსულაში“ გვხვდება, მაინც სხვა დანიშნულებისა და ღირებულებისაა; იგი განსაკუთრებულ წარმოდგენას გვიქმნის აქ მყარად დამკვიდრებული უკვე ახლო მეზობლის მიმართ. „აღსანიშნავია, რომ ეს მოგზაურობა თავისი არეალითა და ხანგრძლივობით ბევრად აღემატება ტიმოთე გაბაშვილისა და გიორგი ავალიშვილის ასეთივე ხასიათის მოგზაურობებს“ (ხარაძე 1987: 25). სწორედ ეს თურქული რეალიებია ჩვენთვის ყველაზე საინტერესო, რაც წიგნში არცთუ მცირედაა მოცემული.

მოგზაურობის დაწყებისას იონა გედევანიშვილი უმალ ახსენებს ღმერთს („მბადმან მან ნათელმან უსხეულომან, ყოველთა არსთა მიზეზმან მიზეზთამან...“), კერძოდ, „ვჰხადე დედოფალსა ღვთისმშობელსა შუამდგომლობა ძისა თვისისა თანა, რათა მიხსნას ყოვლისა ზედა კუეთებისაგან ვნებისა, რომელიცა ჩვენისა ცხოვრებისათვის მოვიდა ქუეყანასა ზედა, და წარმოვემართე თბილისით“. მას მოგზაურობა დაუწყია თბილისიდან, მალე იქვე სწვევია მცხეთის მონასტერს, ხოლო შემდეგი პუნქტი ყოფილა სურამი და დაბინავებულან ორჯონიკიძეებთან და როცა „იქარავნეს სურამელთ სამცხეთით, და მეცა თანა მავალ ვიქმენ მათ თანა და მივედი ქუეყანასა ათაბაგისასა, ქალაქსა, ახალციხედ წოდებულსა“ (გედევანიშვილი 1852: 11). ათაბაგმა განსაკუთრებული პატივით მიიღო ჩვენი მოგზაური მიტროპოლიტი და დააბინავა „წმინდის მარინის კარსა ეკლესიისასა“ კელიას, სადაც ბერძენთა მღვდელთმთავარნი ისადგურებენ. უშიშრად მგზავრობის მიზნით იონას ათაბაგისთვის უთხოვია, რომ ვაჭართა ქარავანს გაეყოლებინა იგი კონსტანტინეპოლისაკენ. წიგნის ეს დასაწყისი თავი სწორედ ასეა დასათაურებული: „მიმოსულა ანუ მგზავრობა, თფილისით კონსტანტინეპოლედ“. ათაბაგს გაუმგზავრებია იონა და თანაც აახლა კაცი ერთი მეგზურად.

საინტერესოა იონას გეოგრაფიული მიმოხილვებიც. იგი აღწერს გოლის ხეობას და მის მდინარეს, რომელსაც სიდიდით ასევე ადარებს

მდინარე ქსანს. ქსნის მსგავსად, თურქეთის ეს მდინარეც მდიდარი ყოფილა ორაგულით. გოლის ხეობის ორსავ მხარეს გაშენებული ყოფილა მშვენიერი სოფლები, აღწერილია იქაური ტყეები, ხეობის თავზე აღმართულია ციხესიმაგრე, სადაც ცოტა შეისვენეს და შეუდგნენ „მთასა შავშეთისასა“, რომელიც დახასიათებული აქვს, როგორც მშვენიერი, ბალახოვანი და ყვავილოვანი, თუმცა „თოვლ-აუღებელი მრავალს ადგილსა“. მისულან არტანუჯს, უხილავს კლარჯეთის ციხე. „წყალი მომდინარე ხეობასა ამას შინა მსგავსი სიდიდითა არაგვისა, სავსეა თევზითა, თვინიერ ორაგულისა... ციხე უცხო და საკვირვალი თვინიერ შენობისა, არამედ ბუნებითი კლდე შემოზღუდვილი თხემსა მას კლდისასა, ველი ვაკე, დიდი და მშუენიერი... ჩამოვედით ძირსა და მას შინა სოფლები ნაყოფიერი, ღვინო კეთილი, და არა მრავალი თურქისა გამო ვიხილეთ“ (გედევანიშვილი 1852: 12-13). პლატონ იოსელიანის განმარტებით, თურქები 1600 წელს შესულან იქ და გაუმაჰმადიანებიათ ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც ყოფილა ქრისტიანი ქართველობა, ისინი მისდევდნენ მევენახეობას, რის გამოც იმ ადგილებში დღემდე შემორჩენილია ძველი მარნებისა და ქვევრების არსებობის კვალი.

იონა ასევე აღწერს ლიონის, ანუ ართვინის, ხეობას და იქაურ მდინარეებს ქართლისას ადარებს. მას უხილავს მდინარე ჭოროხის სათავე. სიდიდით მდინარე ჭოროხს იგი ადარებს მტკვარს. „ხეობასა ამას შინა არს ართვინის ქალაქი“ - აღნიშნავს მოგზაური. ხეობა მდიდარი ყოფილა ხილითა და ზეთისხილით. ჭოროხის პირას ყოფილა ძველი ციხე ათაბაგთაგან აშენებული, „ველსა მას ცხენთ არბიელი საბურთალი, მახლობლად განსავალსა მას ხიდსა ქვითკირისასა“. ამ ხიდით იონა მივიდა ყარაქაიას ათაბაგთან, ახალციხის ფაშის მმასთან. მაშინ ახალციხიდან წამოყოლილმა მეგზურმა ფაშას გადასცა ახალციხელი ათაბაგის წერილი და ფაშამაც პატივით მიიღო იონა, დაათვალიერებინა თავისი სამყოფელ-საცხოვრებელი, შემდეგ მოიხმო ერთი აზნაური ვინმე სომეხი და, წერილში აღნიშნულის შესაბამისად, დაავალა მას, რომ სტუმრისთვის მოემზადებინა ყველა საჭიროება, რაც აუცილებელია საზღვაო მგზავრობისათვის. როგორც ვხედავთ, ართვინელი ფაშა უზრუნველყოფდა იონას კონსტანტინეპოლისაკენ ზღვით გამგზავრებას. მან იმავე სომეხს უბრძანა სტუმრის ხოფამდე უშიშრად და მშვიდობიანად ჩაყვანა. „ბრძანებისაებრ მისის ათაბაგისა ყოველივე აღმისრულეს და გამისტუმრეს“ – ამბობს მოგზაური. იქიდან წამოსულმა იონამ იხილა სოფლები ქართველთა დასახლებებითა და ქართულად მოსაუბრეებით, მაგრამ მაჰმადიანნი. ორი დღის შემდეგ მიადგნენ ჭანის მთას. ჩვენი მოგზაური ახასიათებს ჭანებს და აღნიშნავს, რომ ისინი საუბრობენ ჭანურად. „მსგავსნი კაცნი მთიულთა“ – აღნიშნავს იგი. ბოლოს მიაღწია ხოფამდე და იხილა ზღვის ნაპირი, „ზღვასა შინაა ნავნი განმზადებულნი; ჩავსხედით და განვემართენით კონსტანტინეპოლედ. ნავსა შინა ისხდენ კაცნი ასერგასნი ქრისტიანნი და მცირედ თურქნი“. ტრაპიზონამდეც ვერ მიაღწიეს უშფოთველად, რადგან ქარისა და გრიგალის გამო ისევ ნავსადგურში დაბრუნდნენ და იდგნენ, სანამ კეთილმა ზურგქარმა არ დაუბერა. იონამ უხიფათოდ ჩააღწია კონსტანტინეპოლს.

როგორც ვხედავთ, თბილისიდან აღმოსავლთისაკენ სამოგზაურო მარშრუტი, ჩვეულებრივ, უპირველესად ოსმალეთთან გადაიკვეთება, რადგან სამხრეთით სწორედ ისაა ჩვენი უახლოესი მეზობელი. წიგნის შემდეგი თავი უშუალოდ გვამცნობს კონსტანტინეპოლს და იგი დასათაურებულია ასე: „მიმოხილუა კონსტანტინეპოლისა“. იონა გედევანიშვილი დაწვრილებით აღწერს თურქეთის მთავარ ქალაქამდე მისასვლელ საზღვაო გზას, რომელსაც მოიხსენიებს ბოსფორად, მშუენიერთა მთათა შორის ხეობას უწოდებს მას, საიდანაც კონსტანტინეპოლამდე თექვსმეტი ვერსტი ყოფილა სიგანე ამ ხეობისა, „რომლისა შუაზედ სდის ბოსფორისა ზღუა დიდთა ხომალდთათვის სავლელი, არის 350 საჟენი“. ამ ხეობის „მთიანთა გუერდთა ზედა მარჯვნივ და მარცხნივ“ თურქებს მრავალი ციხესიმაგრე ჰქონიათ ზარბაზნებით დაცული. ამიტომაც ყოფილა მტერთაგან შეუვალი. თურმე აქ თურქები ნებიერად ატარებენ ზაფხულს. ირგვლივ მოჩანს ბაღები, ჩამწკრივებულია ცაცხვის ხეები, სიმწვანით შემოსილა მთები, განსაკუთრებული სახილველი ყოფილა მთის კალთები, „ეჩუენებიან თუალთა განსაკვირუებლად. ევროპიისა კერძოსა ნაპირნი მშუენიერებითა შემკულნი არიან: ნეოხორი, ტერაპია და ბუუკდერე. ამ უკანასკნელსა ადგილსა არს სასახლე რუსეთის დესპანისა და მეც აქ ვისადგურე მიწოდებით დესპანისაგან ტაინის სოვეტნიკის ვლადიმირ პავლეს ძისა ტიტოვისა“ (გედევანიშვილი 1852:16). 1641 წელს რუსეთის დონის კაზაკებს მოუოხრებიათ ეს ადგილები და თვით კონსტანტინეპოლის ახლო მდებარე ნეოხორი, „აქავე ძველთა ბიზანტიელთა შემუსრეს ფლოტი ფილიპე მაკედონელისა, მამისა ალექსანდრე დიდისა“ – გვამცნობს ქართველი მოგზაური შორეულ ისტორიულ ფაქტს.

იონა გედევანიშვილი კიდევ უფრო შორეულ მოვლენებსაც უსწორებს თვალს და არგონავტიკისეულ ცნობებსაც ეხება. აღნიშნავს, რომ ასევე მშვენიერებით შემკულ ტერაპიაში, სადაც დგას სულთნის ძველი სასახლე, „მედეამან დედოფალმან კოლხიდისა დაჰსტოვა ყუთი სავსე შელოცვილთა სამკურნალოთა ბალახებითა, რომელთა ძალმან მიაძინა კოლხიდისა მძვინვარე გუნდი და ესრეთ დაიხსნა შეყვარებული თვისი, ვითარცა ჰსწერს დიონისი ბიზანტიელი 170 წელსა შემდგომად ქრისტესა“ (იქვე: 18). მოგზაურის ცნობით, თურმე დღესაც ერთ „დაქცეულსა ბურჯსა ეწოდება ბურჯი მედეასი და აქავე ერთსა ადგილსა ეწოდება ყურე არღონავტთა“, სადაც შეუსვენებიათ და იაზონის ბრძანებით ბერძნებს შეუკეთებიათ თავიანთი ხომალდი, „რომელსაცა ეწოდებოდა არღოს“ – დაასკვნის მოგზაური. ყოველივე ეს იონასთვის უამბია „პრინკეის ჭალაკსა“ მცხოვრებ ერთ განსწავლულ კონსტანტი პატრიარქად წოდებულ და ახლა გადამდგარ პიროვნებას, რუსულის კარგად მცოდნეს, რომელსაც ეკატერინე მეორის მეფობისას უსწავლია კიევის აკადემიაში და ყოფილა მწერალი („მრავალთა წიგნთა მწერალმან“). მალე იონას მოუხილავს ადგილი, რომელსაც ეწოდება ჩიბუკლი, სადაც მოჩანს დანაქცევი ერთი ძველი მონასტერი, რომელიც დამკვიდრებული ყოფილა 420 წელს ბერძენთა მიერ. იქ „მოუწყვეტელად“ ლოცულობდნენ და გალობდნენ ბერძნები და ასირიელები. თავის დროზე, იონას ცნობით, აქ „მონასტერსა შინა პატიმარჰყვეს განდევნილი ვახტანგ გორგასლანისაგან საქართველოდამ მთავრ-ეპისკოპოსი მიხაილ“ (გედევანიშვილი 1852: 17-18).

კონსტანტინეპოლისკენ მიმავალ ბოღაზის ვიწრო შესასვლელის ორივე მხარეს აშენებული ყოფილა მრავალი ციხე „და მას ციხესა შიგან მანათობელნი ორისავე მხრიდან, რათა მავალნი ნავნი არა შესდნენ გზისაგან ამის ბოღაზისა“ და არ ეკვეთოს კლდის ნაპრალს და „არა შეიმუსროს ნავი და ამათ ეწოდების ფარანი“. სწორი ორიენტაციისთვის საზღვაო გზა ასეთი კეთილმოწყობით გამოიყურებოდა, რათა კატასტროფა თავიდან აეცილებინათ. ამ ვიწრო შესასვლელით შესულა სტამბოლს იონა გედევანიშვილიც და აღნიშნავს, რომ შენობების მწკრივები ორივე მხრიდან გასდევდა „ბოღაზად წოდებულსა იწროსა... ვიდრე დასასრულამდე ბიზანტიისა, ანუ კონსტანტინოპოლისა და მეორეს მხრიდამ ვიდრე სურის-პოლამდე აწ წოდებულად უსკედარად და აქა ორისავე მხრით შენობა გაყოფილი თავთავისის სახელებით: არნაუტქოი, გაურქოი, ენისარქოი, ისტანქოი და სხვანი“ (იქვე: 17), რომელთა სრულად აღრიცხვას ჩვენი მოგზაური ვერ ახერხებს სტამბოლის დასასრულამდე და გაღმა უსკედარამდე.

საინტერესოა, რომ, იონა გედევანიშვილის გადმოცემით, სახელმწიფო სასახლის წინ ზღვაში „მოოქროვილი ცურვითა“ იდგა მრავალი საომარი ნავი შიგ ზარბაზნებით. სულ ას ოცი ვიხილეთო, – ამბობს მოგზაური. როგორც ჩანს, მან ას ოცი ზარბაზანი დათვალა და არა ას ოცი ნავი. როცა ხმელეთზე გადავიდნენ და ფეხი დაადგეს კონსტანტინეპოლის მიწას, იხილა ქვითკირით შემოზღუდული ქალაქი. რაც არ უნდა საკვირველი იყოს, მასში მდგარა ოცდაოთხი ქრისტიანული ეკლესია, „მშუენიერნი მართლ-მადიდებელთანი“ და ერთიც სომხური, ხოლო ფრანგულ-კათოლიკური – არც ერთი. იონას იქ მისვლისას არნაუტისქოის გარდაცვლილა „დიდად სნეული პატრიარხი კონსტანტინეპოლისა გაბრიელ. იონა სხვა უამრავ თაყვანისმცემლებთან ერთად გამგზავრებულა გარდაცვლილი პატრიარქის პატივის მისაგებად და მალევე დაბრუნებულა კონსტანტინეპოლს. იგი ოფიციალურად რელიგიური მისიით მოგზაურობდა და კონსტანტინეპოლსაც ამავე მისიით ეწვია. მიუხედავად ამისა, „სტამბოლში ყოფნის პერიოდში მას ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან არათუ ყურადღება და პატივისცემა არ მოჰკლებია, არამედ სულთანის ნახვის საშუალებაც კი მისცემია“ (ნიკოლეიშვილი 2019: 83). იგი უშუალოდ ამბობს: „და ვიხილეთ ხელმწიფე სულთანი“. იონა გადმოგვცემს სულთნის გამოსვლას თავისი საზაფხულო სახლიდან და ზღვით გამომგზავრებას კონსტანტინეპოლისკენ. ნავს, რომელიც დახურული იყო ქოლგით, მართავდა სულთნის მხლებელი ოცდაოთხი მენიჩბე. დედაქალაქში სულთნის შემოსვლა ზარბაზნის ზალპით აღუნიშნავთ. სულთანს თან ხლებია თავისი ორი ძე (წიგნის რედაქტორი და გამომცემელი პლატონ იოსელიანი აღნიშნავს, რომ იმ დროს თურქეთის სულთანი ყოფილა აბდულ ჰამედი (1774-1789). იგი ხონთქრობდა „შემდგომად მუსტაფა მესამისა“). იონა ზედმიწევნით გადმოგვცემს იმ დიდებულ ცერემონიალს, რაც თან ახლდა კონსტანტინეპოლს ხონთქრისა და მისი ვაჟების შემოსვლას. და რა შემოვიდა ქალაქს, დახვდა (წარუდგა – თ. გ.) იონა და ორი სერბი ბერი „ბარტყულ ანაფორითა“. ამათთვის „უცხოს კაცობით“ დაურთავთ ნება სულთანთან შეხვედრისა, თორემ სხვა დამხვდურებს უმეტესად მხოლოდ შორიდან ცქერის უფლება ჰქონიათ, რადგან ბოსტან-ბაშები

ახლოს არ უშვებდნენ. საინტერესოა სულთნის ჩაცმისა და აღკაზმულობის გადმოცემა, რომელიც ადგილობრივი დიდკაცობის შესატყვისი ყოფილა, ხოლო გამორჩეული ნიშანი კი ჰქონია „თავსა ჯიღა ძვირფასი“. როგორც ვხედავთ, არც ადგილობრივებთან და არც უცხოელ სტუმრებთან, მათ შორის განსხვავებული რელიგიური მრწამსისა და შედარებით დაბალი რეგალიების მატარებელ სტუმრებთან, შეხვედრასა და ურთიერთობას თურქთა მბრძანებელი თავს სულაც არ არიდებს. ასევე, არც ჩაცმულობითაა სხვა დიდებულებისაგან გამორჩეული, გარდა იმისა, რომ მისი თავისა შესამოსელი ყოფილა „ჯიღა ძვირფასი“.

ამის შემდეგ იონა გედევანიშვილმა თავისი თავი წარუდგინა პატრიარქის ეგზარქოსს პაისიოსს, კაცსა კეთილ-გონებიანსა და მყუდრო გონებისასა“, და ბინად უბოძეს კელია ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოში. იონა ყურადღებას ამახვილებს ამ ეკლესიის მშვენიერებასა და კეთილმოწყობაზე: „...მშვენიერი და მდიდარია, უცხოთ ჩასხმული. იატაკი დაფენილი მარმარითა ფერადითა სხვითა და სხვითა“ (იოსელიანი 1852: 20). კონსტანტინეპოლის პატრიარქად დანიშნული ყოფილა სმირნის მიტროპოლიტი პროკოპიოსი, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩამოსულიყო. იქვე იონამ მოინახულა პატრიარქი იერუსალიმისა აბრამიოსი, კეთილი და წმინდა კაცი, მან თურმე შვილივით შეიტკბო იონა. როცა სმირნის ეპისკოპოსიც ჩამოვიდა, იონა მანაც კეთილად მიიღო და იზრუნა მასზე. ამ მღვდელმთავრებმა იონას უსახსოვრეს წიგნები საქართველოს მეფესადა კათალიკოსთან. იონას ეს წიგნები საქართველოში გამოუგზავნია.

აღსანიშნავია, რომ კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ სულთნის ხელისუფლებას ქრისტიანული სიწმინდეები ხელ არ უყვია და კონსტანტინეპოლს ისევ ჰყავდა პატრიარქი. იონა გედევანიშვილის გადმოცემებში ძალიან საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ პატრიარქის პალატსა და სამყოფელს იცავს „ჩაუში თურქთა“, რომელიც ზის პალატის კართან, „რათა არ იქმნას ვნება თურქთაგან და ჰსცავს კარსა პატრიარქისასა და აქუს როჭიკი მათგან საპატრიარხოსა შემოსავლით“ (გედევანიშვილი 1852: 21). აქ მინიშნებამ, „აქუს როჭიკი საპატრიარხოსა შემოსავლით“, შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ასეთი მცველი თურქი თვით საპატრიარქოს დაქირავებული მცველი უნდა იყოს და არა სულთნის ხელისუფლებისგან გამწესებული ამ დავალებაზე, რადგან ულუფას და გასამრჯელოს („აქუს როჭიკი...“) საპატრიარქოს შემოსავლიდან იღებს. იონა აღწერს ეკლესიათა ნაგებობებს და დიდად მოსწონს მას ეს ნაგებობები.

იონას უხილავს აია-სოფიაც და აღწერს მის შემადგენელ ნაგებობებს და გადმოგვცემსმათიმშვენიერებისშესახებაც.ესყოფილამთელიქალაქი,ხოლო ფრიად მას გარეთ არის მონასტერი წყარო ცხოვრებისა. სამღვდელო პირებს იონასთვის შეუთავაზებიათ ამ მონასტრის „მოხილუა“ და თაყვანისცემა. ასევე, ეკლესია ყოფილა „კეთილი გზაზე ქალაქით ანდრიანოპოლისსა და წყარო ცივ გემო-კეთილიანნი და თევზიანნი ნახევრად გუერდ შემწუარნი – აღნიშნავს იონა – ცივი წყარო ვიგემნეთ, შემდეგ კაკლის ძირში ჩამოვსხედით და მივიღეთ მცირე ოტკა და მცირე პური, და კაკლისა ნაყოფთაგანი“ (იქვე: 25) მალე მივიდნენ ადრანა-კაფათ წოდებულ ქალაქში. იქ ერთმა კეთილმა ბერძენმა უმასპინძლა, რომელსაც საუცხოო პურმარილი გაუშლია, „გუცა ქორი სანოვაგითა ჯეროვანი“ - აღნიშნავს მოგზაური. იქიდან იონას

გაუვლია კიდევ შორი მანძილი („განვვლე ზღუა შორის ბიზანტიისა“) და ხურისაპოლისში შეხვედრია გიორგი რაჭის ერისთავის ძეს, რასაც დიდი სიამოვნებით აღნიშნავს. მასთან ორი დღის განმავლობაში დარჩენილა და შემდეგ წასულა ხალკიდონს (თურქულად კადი-კოი). აქ იონა უკვე იღებს იერუსალიმს გამგზავრების და ქრისტეს საფლავისა და სხვა წმინდა ადგილთა მონახულების გადაწყვეტილებას. ამის შესახებ მას უცნობებია პატრიარქისთვის. ამ საქმეში დიდი მზრუნველობა გამოუჩენიათ და დახმარება გაუწევიათ იქაურ ქართველებს – იასე ქართველსა და პავლე ვახანელს. მათ მოიძიეს ნავი და იონა გაემგზავრა მარმარილოს ზღვით და მისულა ჩინახ-ყალას.

დასკვნა

იონა გედევანიშვილის „მიმოსულა“ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის თავისი დროის თურქული ყოფის, საეკლესიო და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. ასევე შეიცავს ცნობებს იმ შეცვლილი ტოპონიმების შესახებაც, რომელთაც ადრე ჩვენი ხალხი ბერძნული სახელწოდებებით იცნობდა. იქვე გვხვდება თურქთა მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიების აღწერილობანი, სალოცავები, ცხოვრების შეცვლილი წესი და პირობები.

მოგზაურს დღიურების სახით აქვს აკინძული და დეტალურად გადმოცემული ყოველი ფაქტი და მოვლენა, რაც მოგზაურობისას ყოველდღიურად უნახავს ან თავს გადახდენია. აშკარად თვალში საცემია ურთიერთობები და კეთილი დახვედრები იონას მიმართ, რასაც ყველგან იჩენენ თურქული მხარის წარმომადგენლები. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს პროფ. ა. ნიკოლეიშვილი ზემოთ დასახელებულ წიგნში, რომლის მიხედვითაც, იონა გედევანიშვილს უნდა ჰქონოდა რუსეთის საიმპერატორო კარის ხელდასხმა, რითაც აიხსნება თურქული მხარის მიერ ქართველი საეკლესიო მოღვაწისა და მოგზაურის მიმართ ესოდენი ყურადღება და პატივისცემა.

გამოყენებული ლიტერატურა

გედევანიშვილი 1852: გედევანიშვილი ი., მიმოსულა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა. გამოსცა პლატონ იოსელიანმა. ტფილისი. სტამბა შინა კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიისა.

ნიკოლეიშვილი 2019: ნიკოლეიშვილი ა., ქართველოლოგიური ეტიუდები. ქუთაისი. საგამომცემლო ცენტრი „ქუთაისი“.

ხარაძე 1987: ხარაძე კ., XVIII-XIX საუკუნეების ქართველი მოგზაურები. თბილისი. გამომცემლობა „განათლება“.

References

Gedevanishvilii 1852: GedevaniSvili I., The Journey of Jonah Metropolitan of Ruiz. Published by Platon Ioseliani. Tbilisi. Printing House of the Chancellery of the Viceroy of the Caucasus.

Kharadze 1987: Kharadze K., Artelian Travelers of the XVIII-XIX Centuries. Tbilisi. Publishing House “Education”.

Nikoleishvili 2019: Nikoleishvili A., Kartveliological Etudes. Kutaisi. Publishing Center “Kutaisi”.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.11

ფრაზეოლოგიური ერთეულები ტაოურ დიალექტში

PHRASEOLOGICAL UNITS IN THE TAO DIALECT

ეკა დადიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი. საქართველო

Eka Dadiani
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

აბსტრაქტი

ისტორიულ ტაოში საუკუნეების განმავლობაში თურქული ენის ძლიერი გავლენის შედეგად, სამწუხაროდ, ქართული ენის პოზიციები ნელ-ნელა სუსტდება, რაც ასიმილაციის უწყვეტ პროცესზე მიანიშნებს. ტაოში ოფიციალური ურთიერთობის ენა თურქულია, რომელიც თურქეთის სახელმწიფო ენაა და ყველა სფეროში ფუნქციონირებს, ქართული კი ოჯახში, შინაურ გარემოში გამოიყენება და აქაც ქართულს არცთუ იშვიათად თურქული უწევს მეტოქეობას. მიუხედავად არათანაბარი ბილინგვური გარემოსი, ტაოს მაღალმთიან სოფლებში (ხევაი, ქვაბაი, ბალხი) მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში დღემდე მეტ-ნაკლებად დაცულია ქართული ენის ძირითადი მახასიათებლები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლექსიკა.

კვლევისას გამოვიყენეთ საველე პირობებში, დიალექტოლოგიური ექსპედიციების პერიოდში, 2006-2025 წლებში ტაოში, პარხლისწყლის ხეობის ქართულ სოფლებში, ადგილობრივი ქართველებისგან ჩაწერილი დიალექტური ტექსტები (აუდიო- და ვიდეომასალა). ტაოურის მონაცემები შედარებულია ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მასალასთან და წარმოჩენილია ამ მხრივ არსებული მსგავსება-განსხვავებები.

ტაოურ დიალექტში დადასტურებული ხატოვანი ფრაზები, ანდაზა-შეგონებანი და მყარი გამოთქმები ძირითადად საერთოქართულია; გვხვდება ქართულ სალიტერატურო ენასა და კილოებში; მათი ნაწილი ტაოურში გარკვეული სტრუქტურული თუ სემანტიკური ცვლილებით იხმარება. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ნაწილი ტაოური მეტყველებისთვის სპეციფიკური ჩანს. ისინი საკუთრივ დიალექტურია ან კიდევ თურქული ენის მეშვეობით გაჩნდა.

გაანალიზებული ლექსიკური მასალა მნიშვნელოვანია ტაოელ ქართველთა ენის, ისტორიისა და კულტურის შესწავლის კუთხით.

მასში ირეკლება ტაოელ ქართველთა ენობრივ-ეთნიკური იდენტობის მნიშვნელოვანი წახნაგები, ტაოს ისტორიისა და თანამედროვე ყოფის ამსახველი მოვლენები, სოციალური ურთიერთობები... გამოთქმებში შეიმჩნევა თურქული ენის გავლენაც: ზოგან ქართული სიტყვა თურქული მასალით არის შეცვლილი. მსგავსი გამოთქმები ტაოში არსებულ ენობრივ ვითარებას გამოხატავს და ქართული და თურქული ენობრივ-კულტურული ინტერფერენციის პროცესს გვიჩვენებს.

საკვანძო სიტყვები: ქართული დიალექტოლოგია, ტაოური დიალექტი, დიალექტური ლექსიკა, ფრაზეოლოგიზმები.

ABSTRACT

Over the centuries, the strong influence of Turkish in historical Tao has gradually weakened the position of the Georgian language, pointing to an ongoing process of assimilation. Turkish operates as the official language of communication in Tao, functioning as the state language of the Republic of Turkey across institutional and public spheres, while Georgian is largely restricted to intra-familial and domestic contexts, where it frequently encounters competition from Turkish. Despite this unequal bilingual environment, the speech of Georgians living in the highland villages of Tao (Khevai, Kvabai, Balkhi) has to some extent preserved essential features of the Georgian language. In this regard, the vocabulary is of particular interest.

The research draws upon dialectal texts (audio and video materials) recorded in situ from local Georgian speakers during dialectological expeditions conducted between 2006 and 2025 in Tao, particularly in the Georgian villages of the Parkhlistskali Valley. The Tao data have been compared with materials from the Georgian literary language and other Georgian dialects, and the resulting correspondences and divergences have been presented.

The figurative phraseological units, proverbs, admonitory sayings, and fixed expressions attested in the Tao dialect are predominantly common Georgian in origin; they are also found in the Georgian literary language and in other dialects. Certain units, however, display structural or semantic variation in Tao usage. Some of the phraseological units appear to be specific to Tao speech, either as authentically dialectal constructions or contact-induced developments shaped by Turkish linguistic influence.

The analyzed lexical material is important for the study of the language, history, and culture of the Georgians of Tao. It reflects important aspects of the linguistic and ethnic identity of Tao's indigenous Georgian population, along with Tao's historical developments and contemporary socio-cultural dynamics. The presence of Turkish influence is observable in certain expressions, where Georgian words have been replaced by Turkish forms. Such constructions reflect the current linguistic situation in Tao and show the ongoing process of Georgian-Turkish linguistic and cultural interference.

Keywords: Georgian dialectology, Tao dialect, dialect vocabulary, phraseological units.

შესავალი

ტაოური დიალექტი გამოირჩევა არქაიზმებით, ენობრივი მრავალფეროვნებით. თურქულ ენობრივ გარემოში არსებობამ ტაოელ ქართველთა მეტყველებას თავისებური დაღი დაასვა: საუკუნეების განმავლობაში დიალექტში გაჩნდა უცხოური (ძირითადად თურქული) წარმომავლობის ლექსიკური ერთეულები / გამოთქმები, რომლებიც ხშირად ქართულის პარალელურად იხმარება, ზოგჯერ კი თურქული ვარიანტი მთლიანად ცვლის ქართული სიტყვასფორმებს, რაც, სამწუხაროდ, ქართული ენის პოზიციების შესუსტებასა და ასიმილაციის უწყვეტ პროცესზე მიანიშნებს. ტაოში ოფიციალური ურთიერთობის ენა, რა თქმა უნდა, თურქულია, რომელიც თურქეთის სახელმწიფო ენაა და ყველა სფეროში ფუნქციონირებს, ქართული კი ოჯახში, შინაურ გარემოში გამოიყენება და აქაც ქართულს არცთუ იშვიათად თურქული უწევს მეტოქეობას. მიუხედავად არათანაბარი ბილინგვური გარემოსი, ტაოს მაღალმთიან სოფლებში (ხევაი, ქვაბაი, ბალხი) მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში დღემდე მეტ-ნაკლებად დაცულია ქართული ენის ძირითადი მახასიათებლები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლექსიკა.

კვლევის მეთოდები

კვლევა ჩატარდა სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. საველე პირობებში, დიალექტოლოგიური ექსპედიციების პერიოდში, ტაოს სოფლებში ადგილობრივი ქართველებისგან ჩავიწერეთ აუდიო- და ვიდეომასალა; დავამუშავეთ დიალექტური მეტყველების ნიმუშები, სისტემატიზებული მასალა აღვწერეთ და შევუდარეთ ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მონაცემებს. გავაანალიზეთ როგორც საერთოქართული, ისე ტაოური დიალექტისთვის დამახასიათებელი ფაქტები, წარმოვაჩინეთ ტაოური მეტყველების თავისებურებანი.

მსჯელობა

ტაოური ფრაზეოლოგიზმების ნიმუშები წარმოდგენილია გამოქვეყნებულ სამეცნიერო კვლევებსა და დიალექტურ ტექსტებში (ფუტკარაძე 1993; ფაღავა... 2020; ფაღავა... 2024). ჩვენ ტაოს ქართულენოვან სოფლებში ჩავიწერეთ არაერთი ხატოვანი ფრაზა, ანდაზა-შეგონება და მყარი გამოთქმა. ისინი ძირითადად საერთოქართულია, გვხვდება ქართულ სალიტერატურო ენასა და კილოებში; მათი ნაწილი ტაოურში გარკვეული სტრუქტურული თუ სემანტიკური ცვლილებით იხმარება. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ნაწილი ტაოური დიალექტისთვის სპეციფიკური ჩანს. ისინი საკუთრივ დიალექტურია ან კიდევ თურქული ენის მეშვეობით გაჩნდა. ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ირეკლება ტაოელ ქართველთა ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა მხარე, მათი მსოფლაღქმა, ეთნოკულტურული რეალიები, ენობრივი კანონზომიერებები...

I. იდიომატური გამოთქმები

ტაოელ ქართველთა მეტყველებაში აქტიურად გამოიყენება იდიომატური გამოთქმები.

„იდიომი არის შესიტყვების ფორმის მქონე დაუშლელი ლექსიკური ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან“ (ონიანი 1966, 1-2). იდიომი ფორმით შესიტყვებაა

– შედგება ორი ან მეტი გრამატიკულად გაფორმებული სიტყვისაგან, მაგრამ მნიშვნელობის მიხედვით ერთ სიტყვას უტოლდება – სემანტიკურად ის სიტყვის ეკვივალენტია (იქვე, 8).

1. იდიომები, რომლებიც საერთოქართულია:

გულის გასკდომა – ძალიან განერვიულება: *გული გიმისკდა* (ბალხი, 2025).

შდრ. **გულის გასკდომა** – შეშინება, შეძრწუნება (ონიანი 1966: 39).

გულის დაწვა – დამწუხრება, ტკივილი:. *გული გეწვის,* ამა თ̈ალ წყალი მოვა, ტირი, ამა ისე ჴმიანა არ იტირებენ (ქვაბაი, 2016).

შდრ. **გულის დაწვა** – წყენა, გულის ტკენა, გულის დაწყვეტა; გულის დათუთქვა (ონიანი 1966: 42); დადარდიანება, დამწუხრება, დანაღვლიანება (სახოკია 1979: 113).

გული გენთება – გაწუხებს, განიცდი, გტკივა: *გული გენთება,* ამა რა იქამ, ტირილით უკან ვერ მეიყვან (ქვაბაი, 2016).

გულის ანთება „წყენის, გაბრაზების“ მნიშვნელობით: „ხაჲწი არ მაჭამე, *გული მენთება* შენზეო“ (*გული მენთება* – გავჰერსდი შენზეო, ი თქმაა) / სადიყანა/ (ფაღავა... 2024: 136).

შდრ. სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში შესაბამისი სემანტიკით გამოიყენება: **გულის ტკენა** – წყენა, დანაღვლიანება, შეწუხება, გულის დაწყვეტა (ონიანი 1966: 46); წყენინენა, ცუდ გუნებაზე დაყენება, გაჯავრება (სახოკია 1979: 115).

თვალი დარჩომია – მოსწონებია: მოატყულა, აქევრ იერზე *თვალი დარჩომია* (ქვაბაი, 2017).

შდრ. **თვალის დარჩენა** (ვინმეზე, რამეზე) – ძალიან მოწონება (ვისიმე, რისამე) (ონიანი 1966: 92). თვალი ზედ რჩებოდა – მეტად ლამაზი, მეტად მშვენიერი იყო (სახოკია 1979: 257).

ფეხზე ძინავს – მოდუნებულია, მოუცლელობის გამო ვერ ახერხებს ნორმალურ ძილს: *ფეხზე ძინავხარ,* ვძინავარ (ბალხი, 2022).

თავის დაკარგვა – არაადეკვატური, უკონტროლო ქცევა: კაცმა რახი შესვა, თა(ვ)ი დუკარგია (ბალხი, 2025).

პირის გაშავება – შერცხვენა, სიკვდილი. მერთმა *პირი გიგიშაოს!* (წყევლა) (ხევაი, 2012).

შდრ. **პირის გაშავება** – თავის შერცხვენა (ონიანი 1966: 126); პირშავი – დამნაშავე, მტყუანი, უნამუსო, უსინდისო, უსირცხვილო, უპირწყლო, სახელგატეხილი, უპირული (სახოკია 1979: 499).

პურ-წყალზე დასმა – გამდიდრება, კარგი ცხოვრება: ღმერთმა კაჲ *პურ-წყალზე დასვას* (ხევაი, 2017).

შდრ. **პურსა და წყალზე ყოფნა** – სხვის კმაყოფაზე ცხოვრება, სხვისი ხარჯით არსებობა, სამოწყალოდ დარჩენა, სხვისი შესანახი (სახოკია 1979: 507).

სულის გაყრა – მოკვლა, განადგურება, ბოლოს მოღება: *სული გუაყრევნიეთ* ქართოლსა, ი აღარ გეიზდება, იმდენი მახვარათეით; ჴარ დავკლავთ, ისე *სულ გაყრის* (ქვაბაი, 2015).

შდრ. **სულთა გაყრა** – სიკვდილი (სახოკია 1979: 593).

სულის ჩადგომა – მოღონიერება, მოსულიერება, გამოცოცხლება: საჭმელ ქი შიჭამ, ოჴ, *სული ჩიმიდგაო* (ხევაი, 2015).

შდრ. **სულის ჩადგმა** – სიცოცხლისუნარიანობის, ძალ-ღონის მომატება; დახმარება, ფეხის ადგმევინება; ფეხის ადგმა (ონიანი 1966: 144); გაჭირვების დროს შველა, დახმარება, უბედურების აშორება, სიკვდილისაგან გადარჩენა (ავადმყოფობისა), დასრულება რისამე (სახოკია 1979: 599).

ტაოურში „მოღონიერების, გამოცოცხლების“ მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე:

სულზე მოსვლა / ჯანზე მოსვლა: ხო, სულზე მოხვალ, ჯანზე; ო, *ჯანზე მოხვალ*, ი კაი საჭმელია; *სულზე მოხვალ* და, გაყუითლდები, იაღუზია (ხევაი, 2015).

შდრ. **სულად მოსვლა / სულად მოქცევა** – მოსულიერება უგრძნობელისა გრძნობად მოყვანა (სახოკია 1979: 591); სულობას მოსვლა – მოსულიერება, გრძნობათა დაბრუნება, გამხნევება; სიცოცხლე, არსებობა (იქვე: 601).

შდრ. **ჯანზე მოვიდა** – მოღონიერდა, მომაგრდა (ქეგლ); **ჯანზე მოსვლა** – განკურნება (ნეიმანი 1978: 554).

ყურს უგდებს – უსმენს: ყურ უგდებ, ბევრ *ყურ უგდებ* და ცქუიტა ხვაათოფთ, ზაბა ვერ მიმხუთარვართ (ხევაი, 2012); ჩვე *ყურ უგდეფთ* (დევთისა, 2025).

შდრ. **ყურის (და)გდება** – მოსმენა, ყურის მიპყრობა; ყურადღების მიქცევა (ონიანი 1966: 165); არაფრის კეთება, სიზარმაცე (სახოკია 1979: 729).

მე მივალ, **ფეხები არ მივაო** (ქვაბაი, 2022).

შდრ. **ფეხები უკან რჩება** – მისვლა ეზარება, სადმე წასვლა უჭირს, უმძიმს (ონიანი 1966: 150); წასვლა არ უნდა, ყოყმანობს, ვერ გაუბედნია რისამე გაკეთება, გინა თქმა (სახოკია 1979: 650).

ხელის დარევა – ხელის ხლება, რამის დაშავება: ნენეჲ იარენობდა ქი, შემეყუჩაო, ჩვენ *ხელ არ გვირიესო* (ქვაბაი, 2012).

შდრ. **ხელი არ ურევნიან** ნიშნავს: ხელი არ უხლიათ, არაფერი დაუშავებიათ: ქალებთან *ხელი არ ურევნიან*... თქვენ ჩვენი სისხლიდან ხართო და *ხელი არ ურევიან* ვინმესთვინ... გურჯი მილეთიზა ხელი არ ურევნიან /ქუაბაგი/ (ფაღავა... 2024: 138).

შდრ. **ხელის დარევა** – ჯობნა, მორევა, დაუფლება (ონიანი 1966: 190).

ხელში მიგივა – მოგეცემა: თუ რამ იქამ, *მიგივა ხელჩი* (ხევაი, 2022).

შდრ. **ხელში ჩავარდნა** – (ვისიმე) მფლობელობაში გადასვლა, (ვისიმე) საკუთრებად ან ტყვედ გახდომა (ონიანი 1966: 193); სხვის კუთვნილებად გახდომა, სხვის ნება-სურვილზე გავლა, საკუთარი ნებისყოფის დაკარგვა, ვისამე უფლების ქვეშ მოყოლა (სახოკია 1979: 930).

ჩუმ არ გამეჲღებენ – ჩუმადაა, ხმას არ იღებს. იმასაც *ჩუმი არ ამუღია* (ბალხი, 2022); ი დედა ფუტკარ, ემე ჩავა, კუმლი, დაჩუმდება, მერესაც *ჩუმ არ გამეჲღებენ* (ხევაი, 2016).

შდრ. **ხმის ამოღება** – ერთხანს დუმილის შემდეგ ლაპარაკი (სახოკია 1979: 938); ენის ამოღება – ხმის ამოღება, რისამე თქმა, კრინტის დაძვრა (ონიანი 1966: 63).

2. იდიომები, რომლებიც ტაოური დიალექტისთვის არის დამახასიათებელი. მათი ნაწილი საკუთრივ დიალექტის წიაღში ჩანს გაჩენილი, ნაწილი კი თურქულ ენასთან უშუალო კონტაქტის შედეგია. ზოგი გამოთქმა ფართოდაა გავრცელებული ტაოში, ზოგი კი შედარებით იშვიათად გვხვდება. საილუსტრაციო ნიმუშები:

აკვნის რწევა – ბევრი შრომა, რთული საქმის კეთება, შრომისგან ძალიან დაღლა: ჩვენში ისე იტყვიან, თუ ა(რ) დეიძინე, *აკვანი აწიე?* – ეტყვიან (ხევაი, 2014).

დუნიაზე მოსვლა – დაბადება: ღენჭი (ბიჭი) *დუნიაზე მოსულა* (ელიასხევი, 2025).

თავის გასწორება – გააზრება, დაფიქრება: ერთი *თაი გასწორდეს,* გითხრა (ბალხი, 2025).

თვალი მიყო – თვალით მანიშნა, თვალი ჩამიკრა (ბალხი, 2022).

თვალ წყალი მოვა – თვალებიდან ცრემლი წამოვა. ჩუმა იტირებ და, *თვალ წყალი არ დადგება* ზათენ, წომოვა და ისე ჯმით ვერ იტირებ, სირცხვილია; გული გეწვის, ამა *თუ*ალ *წყალი მოვა*, ტირი, ამა ისე ჯმიანა არ იტირებენ (ქვაბაი, 2016).

თვალი უქნია – დამწიფებულა (ახალ დამწიფებულ ხილზე იტყვიან): *თვალი უქნია*, შექნილა [ბალი] (ბალხი, 2022).

თვალებში სანათი მოიდა – თვალებში გამოვიხედე, მოვსულიერდი. ო, თვალეფში სანათი მოიდა. ჩუე ვიმუშაეფთ, ვიმუშაეფთ, მოალთ ზაბა მშიერი, დაჯდები, შიშჭამ, ოf, სული ჩიმიდგა, *თვალეფში სანათი მოიდა* (ხევაი, 2015).

თმიები დიეყუდა თავშხამი – დამბურძგლა (ბალხი, 2025).

შდრ. **თმების ყალყზე დადგომა** – შეშინება, შეძრწუნება; აღელვება, აღშფოთება (ონიანი 1966: 96).

ლაშ იჭირავს – მარხულობს: ე *ლაშ იჭირავს,* ყოლ რასმე არ ჭამსა (დევთისა, 2025).

მეერე (მეორე) დუნიაში წასვლა – გარდაცვალება; **მეერე დუნია** – საიქიო: *მეერე დუნიაში წევდაო,* ესეც დუნია, მერე დუნიაც არი ზათენ, *მეერე დუნიაში წევდაო*, ვიტყვით, ო, იქ ართუხ ჯეენეთი, ჯეენემი. ამ დუნიაში თუ კაიობა იქამ, ბევრ ნამაზ ილოცავ, იკითხავ, მეერე დუნიაში ჯეენეთ მეიგებ. ამა ა(რ) იკითხავ, ა(რ) ილოცავ, ა(რ) მევგეფთ. ართუხ ჯეენემში გაგუაქანებენ (ხევაი, 2015).

მიწა წყალ შესვამს – წყლით გაიჟღინთება, სრულად შეისრუტავს (დევთისა, 2025).

პირ არ აძლევს – არ უყურებს, უბრადაა: გოგო ბიჭ სულა *პირ არ აძლევს,* ოთხ დღე შეიქნაო, *პირ ა(რ) აძლევსო* (ხევაი, 2012).

სულის გაწყდომა – გადაღლა, არაქათის გამოცლა: ო, რა ბელა მევღალე, *სული გიმიწყდა* (ხევაი, 2015).

სულის შეჭირვება – შეწუხება, ტანჯვა: გეყოფა, *სული შიმიჭირდა* (ქვაბაი, 2017).

ტვიტვირები გახმა – ტუჩები გამიშრა, მომწყურდა: *ტვიტვირები გახმა,* წყალიც არ არი (ქვაბაი, 2013),

ყია გიმიხმა – ყელი გამიშრა: მომწყურდა, ყია გიმიხმა (ხევაი, 2013).

შდრ. **ყელის გაშრობა** – მოწყურება (ონიანი 1966: 162).

ხელიდამ, ფეხიდამ ჩომოარდები – დაბერდები, დაუძლურდები, ძალღონე მოგაკლდება: იცოცხლო, *ხელიდამ, ფეხიდამ ჩომოარდები,* ვინ-ნა გიტეროს (გიპატრონოს)? (ქვაბაი, 2017).

II. ანდაზები

ტაოელმა ქართველებმა არაერთი ქართული შეგონება-ანდაზა შემოინახეს. ამასთან, შექმნეს ახალი გამონათქვამებიც.

ერთ კოდში ორი დედა ფუტკარი არ იქსა (ხევაი, 2016).

რაც ენადამ წომოა, თავში გავა, ლაშიდამ (ხევაი, 2015).

დედეკაც ემეი [ასაკს] არ კითხვენ, კაცსა მააშს (ხელფასს) (ქვაბაი, 2022).

ყოლი კაცისი ვათანი (სამშობლო) მისთუნ კაჲა (ქვაბაი, 2022).

ყოლამფერი თავდება, ჰასრეთობა (მონატრება) არ თავდებაო (ქვაბაი, 2022).

უსაქმები (უსაქმურები) მეზერლუღში (საფლავში) არიან (ქვაბაი, 2022).

ხარი მოკვტა, ჩიFთი (თურქ. „წყვილი, უღელი“) მეიშალაო (ქვაბაი, 2022).

მოზობელის ბააზე (შესახებ) არ-ნა იხვაათო (ხევაი, 2012).

კარზე გახრაკული, ნახვარზე გახრაკული შეშა სახლა არ-ნა მიიტანო (ხევაი, 2017).

უდავეთო მომსლელი უმინდრო დაჯდებაო (ბალხი, 2012) – დაუპატიჟებელი სტუმარი ადგილის გარეშე დარჩებაო (მინდარი, დაბლა დადებ, ზედან დაჯდები და იმი სახელი მინდარია). თურქ. მინდარი – ქვეშსაგები, ლეიბი. შდრ. მანდარი - სხვათა ენაა, საგებელი (ორბელიანი 1991: 434).

შდრ. **დაუპატიჟებელ სტუმარს აბუჩად აიგდებენო** (ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა).

III. მყარი ფრაზები

არც მარტმა ხეირი მიყო, არც აპრილი მთვარემა – გამოხატავს ყოფით, ცხოვრებით გამოწვეულ სინანულსა და უკმაყოფილებას. ჩვენს შეკითხვაზე: – რახან იტყვი ამას? რესპონდენტის პასუხი იყო: – ისე ყოლ ვახთი (ყოველთვის) ვიტყვი, რა ვიცი (ქვაბაი, 2022).

მერთმა ყოლი ხვარათი იცის (ხევაი, 2016).

შდრ. **ერთმა ღმერთმა იცის** – მე (ან ჩვენ) არაფერი ვიცი, ვერას ვიტყვი, რა იქნება, ან რა იყო (სახოკია 1979: 183).

ღმერთს რაცხა დუწერია, ი მოვა (ხევაი, 2022).

დასკვნა

გაანალიზებული ლექსიკური მასალა მნიშვნელოვანია ტაოელ ქართველთა ენის, ისტორიისა და კულტურის შესწავლის კუთხით. მასში ირეკლება ტაოელ ქართველთა ენობრივ-ეთნიკური იდენტობის მნიშვნელოვანი წახნაგები, ტაოს ისტორიისა და თანამედროვე ყოფის მნიშვნელოვანი მოვლენები, სოციალურ ურთიერთობები... გამოთქმებში ჩანს თურქული ენის გავლენა: ზოგან ქართული სიტყვა თურქული მასალით არის შეცვლილი. მსგავსი გამოთქმები ტაოში არსებულ ენობრივ ვითარებას გამოხატავს და ქართული და თურქული ენობრივ-კულტურული ინტერფერენციის პროცესს გვიჩვენებს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ექსპედ. მასალა: სტატიის ავტორის მიერ 2008-2025 წლებში ტაოში ჩაწერილი დიალექტური მასალა. ინახება აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებულ პროფ. ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში.

ნეიმანი 1978: ნეიმანი ალ., ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. მე-3 გამოცემა: თბილისი, გამომც. „განათლება“.

ონიანი 1966: ონიანი ალ., ქართული იდიომები. გამომც. „ნაკადული“, თბილისი. http://openlibrary.ge/bitstream/123456789/9100/1/Kartuli%20idiomebi-oniani.pdf დამოწმება: 10.02.2026.

ორბელიანი 1991: ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული. ტ. I. თბილისი, გამომც. „მერანი“.

სახოკია 1979: სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი, გამომც. „მერანი“.

ფაღავა.. 2020: ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ჩოხარაძე მ., შიოშვილი შ., ხალვაში რ., მგელაძე ნ., შაშიკაძე ზ., ხალვაში მ., ჩხვიმიანი ჯ., კარალიძე ჯ., ტაო (მონოგრაფია). გამომც. „მერიდიანი“, ბათუმი.

ფაღავა.. 2024: ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ქართული ენის ტაოური დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი). გამომც. „მერიდიანი“, ბათუმი.

ფუტკარაძე 1993: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი I. გამომც. „აჭარა“, ბათუმი.

ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა https://idioms.tsu.ge/?cat=18 დამოწმება: 14.02.2026.

ქდკ: ქართული დიალექტური კორპუსი (http://www.corpora.co/#/corpus). დამოწმება: 14.02.2026.

ქეგლ: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (https://ena.ge/explanatory-online). დამოწმება: 14.02.2026.

ჩხენკელი… 2009: ჩხენკელი ჰ., ჩხენკელი ვ., ჩხენკელი ფ., ქართული ანდაზები (ბრძნული გამონათქვამები). თბილისი, გამომც. „საქართველოს მაცნე“. https://el.ge/articles/616 დამოწმება: 14.02.2026.

References and Sources

Database of Georgian Idioms and Proverbs Funds https://idioms.tsu.ge/?cat=18 Verification: 14.02.2026.

Georgian Dialect Corpus (http://www.corpora.co/#/corpus). Verification: 14.02.2026.

Explanatory Dictionary of the Georgian Language (https://ena.ge/explanatory-online). Verification: 14.02.2026.

Exped. Material: Dialect material recorded in Tao by the author of the article in 2008-2025. Stored in the Prof. Tariel Putkaradze Scientific-Research Center of Kartvelology at the Faculty of Humanities of the Georgian State University.

Neiman 1978: Neiman A., Dictionary of Georgian Synonyms. 3rd edition: Tbilisi, Publishing House «Education».

Orbeliani 1991: Orbeliani S.-S., Georgian Dictionary. v. I. Tbilisi, Publishing House «Merani».

Oniani 1966: Oniani A., Georgian Idioms. Publishing House «Nakaduli», Tbilisi, 1966. http://openlibrary.ge/bitstream/123456789/9100/1/Kartuli%20idiomebi-oniani.pdf Verification:: 10.02.2026.

Sakhokia 1979: Sakhokia T., Georgian figurative words and expressions. Tbilisi, Publishing House “Merani”.

Paghava.. 2020: Paghava M., Tsintsadze M., Baramidze M., Chokharadze M., Shioshvili Sh., Khalvashi R., Mgeladze N., Shashikadze Z., Khalvashi M., Chkhvimiani J., Karalidze J., Tao (monograph). Publishing House «Meridiani», Batumi.

Paghava.. 2024: Paghava M., Tsintsadze M., Baramidze M., Taoist Dialect of the Georgian Language (Research, Materials, Dictionary). Publishing House «Meridiani», Batumi.

Putkaradze 1993: Putkaradze Sh., Georgian of Our Own, Book I. Publishing House «Adjara», Batumi.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.12

წინ / უკან თანდებული-მორფემოიდები თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში (ტაოური მასალის მიხედვით)

POSTPOSITIONAL FORMS/MORPHEMOIDS *TSIN* AND *UKAN* IN THE SPEECH OF THE GEORGIAN DIASPORA IN TURKEY (BASED ON TAO DIALECT MATERIAL)

მარიკა თედორაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Marika Tedoradze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

აბსტრაქტი

ტაოური დიალექტი მრავალი საუკუნეა თურქული ენის ძლიერ გავლენას განიცდის. მიუხედავად ამისა, ტაოურში საკმაოდ კარგადაა დაცული ქართული ენობრივი სისტემა. საინტერესო სურათს გვიჩვენებს *წინ, უკან* სიტყვები, რომლებიც წარმოშობით ზმნისართებია, თუმცა გამოიყენება თანდებულის ფუნქცია-დანიშნულებითაც. სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი ცნობილია თანდებული-მორფემოიდის სახელით.

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია *წინ, უკან* მორფემოიდები ფორმობრივ-სემანტიკური და ფუნქციური თვალსაზრისით; ნაჩვენებია მათი რეალიზების შემთხვევები, ფონეტიკური ვარიანტები, სემანტიკური ნიუანსები ქართულ სალიტერატურო ენასა და კილოებთან მიმართებით.

საანალიზოდ ავიღეთ აწსუ პროფ. ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში დაცული, 2011-2022 წლებში ტაოს ქართულ სოფლებში ექსპედიციების პერიოდში ჩაწერილი დიალექტური მასალა; აგრეთვე გამოქვეყნებული ტაოური მეტყველების ნიმუშები.

ტაოურში *წინ, უკან* მორფემოიდები ჩვეულებრივ ახლავს მიცემითი ან ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს. გვხვდება არსებით სახელებსა და ნაცვალსახელებთან.

წინ თანდებული-მორფემოიდი გვხვდება შემდეგი ნაირსახეობით: *წინ, წინე, წინწინ / წინაწინ, წინიდამ / წინედამ, წინაჲ.* გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელობით. აღნიშნავს: ა) ადგილმყოფობას: ქოხი *წინიდამ* დაჯდები, ბ) დროს: თხუთმეტი წლის *წინ* აქ ვიყავით.

უკან დასტურდება შემდეგი ვარიანტებით: *უკან, უკნიდამ, მასუკან / მასუკა / მასკვან / მასკვა.* სემანტიკური თვალსაზრისით მრავალფეროვან სურათს გვიჩვენებს. გამოხატავს: ა) ადგილს: იმ თის *უკან* ჩახუალ, ბ) დროს: ერთ წლი *უკან* მოქყუავს; გ) თანაობას: ჴარეფთ *უკან,* ჩიFთის *უკან* კალო ვიჯებოდით.

ტაოური დიალექტური მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ, თურქული ენის ძლიერი ზეგავლენის მიუხედავად, ტაოს მკვიდრ ქართველთა მეტყველებაში წინ, უკან თანდებული-მორფემოიდების სტრუქტურა და სემანტიკური ნიუანსები უმთავრესად ქართულია. ცალკეულ შემთხვევებში დასტურდება სპეციფიკური, დიალექტისთვის დამახასიათებელი ფაქტები.

საკვანძო სიტყვები: ტაოური დიალექტი, სახელის ფორმაწარმოება, ზმნისართები, მორფემოიდები.

ABSTRACT

The Tao dialect has undergone intensive contact with Turkish over the course of several centuries. Despite this prolonged influence, the fundamental structural framework of Georgian remains comparatively well preserved within the dialect. Of particular interest are the forms *ts'in* ("before") and *ukan* ("after"), which are originally adverbial in nature but employed as postpositions as well. In scholarly literature, these units are classified as postpositional morphemoids.

The present study examines the morphemoids ts'in and ukan from both formal and functional-semantic perspectives. It demonstrates their realizational patterns, phonetic variants, and semantic nuances in relation to Standard Georgian and dialectal usage.

The analysis is based on dialectal materials recorded during expeditions in the Georgian villages of Tao between 2011 and 2022 and preserved at the Tariel Putkaradze Kartvelology Research Center of ATSU, as well as on published samples of Tao speech.

In the Tao dialect, the morphemoids *ts'in* and *ukan* typically occur with dative or genitive case forms and appear with both nouns and pronouns.

The postpositional morphemoid *ts'in* is attested in the following variants in the Tao dialect: *ts'in, ts'ine, ts'ints'in / ts'ina-ts'in, ts'inidam / ts'inedam,* and *ts'inay*. It carries different meanings and may indicate:

a) spatial reference, as in k'okhi *ts'inidam* dajdebi ("you will sit in front of the hut"); b) temporal reference, as in tkhutmeti ts'lis *ts'in* ak' viqavit ("we were here fifteen years ago").

The morphemoid ukan is attested in several variants, including *ukan, uknidam, masukan / masuka / maskvan / maskva.* Semantically, it displays considerable diversity. It expresses:

a) spatial reference: im tis *ukan* chakhval;b) temporal reference: ert c'li *ukan* moq'q'vavs;c) associative/accompaniment function: kharept *ukan,* ch'iftis *ukan* kalo vijebodit.

The analysis of Tao dialectal data indicates that, even under significant Turkish linguistic influence, the structural organization and semantic differentiation of the postpositional morphemoids ts'in and ukan in the speech of Tao's autochthonous Georgian population remain predominantly Georgian. In some cases, certain dialect-specific features are also attested.

Keywords: Tao dialect, formation of nominals, adverbs, morphemoids.

შესავალი

ტაოელ ქართველთა მეტყველებაში, რომელიც მრავალი საუკუნეა თურქული ენის გავლენას განიცდის, საკმაოდ კარგადაა დაცული ქართული ენობრივი სისტემა. ამ მხრივ საინტერესოა **წინ** და **უკან** სიტყვაფორმები.

წინ, უკან წარმოშობით ზმნისართებია, თუმცა დაერთვის სახელებსაც და გამოიყენება თანდებულის ფუნქცია-დანიშნულებით. სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი სხვადასხვა ტერმინით არის ცნობილი.

არ. მარტიროსოვი **წინ, უკან** ფორმებს ზმნისართულ თანდებულებად მიიჩნევს, რადგან თავისუფლად ითავსებენ თანდებულის ფუნქციასაც. ისინი სინტაქსურად არ განსხვავდებიან, თანდებულის მსგავსად უშუალოდ დაერთვიან სახელის ამა თუ იმ ბრუნვას და კარგავენ დამოუკიდებლობას. ზმნისართში თანდებულის ფუნქციის შეთავსება სრულიად ბუნებრივია, რადგან, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რიგი თანდებული და ზმნისართი ლექსიკურად ერთია. შემთხვევითი არაა, რომ როგორც ქართულში, ისე სხვა ენებშიც თანდებულთა ფუნქციით მხოლოდ ადგილისა და დროის ზმნისართებია გამოყენებული. მაშინ, როდესაც ზმნისართი თანდებულად გამოიყენება, მათ შორის განსხვავებას ქმნის ბრუნვაში მართვა. თუკი ზმნისართს აღმოაჩნდება ბრუნვაში მართვის უნარი, მაშინ მას შეიძლება ეწოდოს ზმნისართული თანდებული (მარტიროსოვი 1946: 243).

ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონის მიხედვით, **წინ, უკან** განხილულია როგორც თანდებული-მორფემოიდები (ჯორბენაძე... 1988: 387, 466). ჩვენთვის მისაღებია აღნიშნული ტერმინი.

თანდებული, როგორც წესი, ახლავს სახელებს, ზმნისართებსა და სახელზმნას ამა თუ იმ ბრუნვაში. ნაწილი თანდებულებისა ერწყმის შესაბამის ფორმას, ნაწილი კი ცალკე დგას. ამ უკანასკნელის ჯგუფში საკუთრივ თანდებულებთან (შორის, გამო, მიერ...) ერთად შეიძლება განხილულ იქნეს წინ, უკან ფორმები.

წარმოდგენილ სტატიაში განვიხილავთ **წინ, უკან** თანდებული-მორფემოიდების რეალიზების შემთხვევებს, ფონეტიკურ ვარიანტებს, სემანტიკურ ნიუანსებს ქართულ სალიტერატურო ენასა და კილოებთან მიმართებით.

საანალიზოდ ავიღეთ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში დაცული, 2011-2022 წლებში ტაოს ქართულ სოფლებში ექსპედიციების პერიოდში ჩაწერილი დიალექტური მასალა; აგრეთვე გამოქვეყნებული ტაოური მეტყველების ნიმუშები (ფუტკარაძე 1993; ფაღავა... 2020, ფაღავა... 2024).

კვლევის მეთოდები

კვლევის დროს გამოვიყენეთ სხვადასხვა მეთოდი. აღწერითი მეთოდით ვაჩვენეთ ტაოურ დიალექტურ ტექსტებში **წინ, უკან** თანდებული-მორფემოიდების გამოყენების შემთხვევები, ფონეტიკური ვარიანტები, ფუნქციურ-სემანტიკური ნიუანსები; შედარებითი მეთოდის საშუალებით გამოვკვეთეთ ტაოური დიალექტის მიმართება სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებთან.

მსჯელობა

I. წინ თანდებული-მორფემოიდი

ა) ფორმობრივი ანალიზი

ქართულ სალიტერატურო ენაში **წინ** თანდებული-მორფემოიდი, როგორც წესი, დაერთვის სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას და იწერება ცალკე (ჯორბენაძე 1988: 466).

ტაოურში **წინ** თანდებული-მორფემოიდი წარმოდგენილია სხვადასხვა ფორმით: **წინ, წინე, წინწინ / წინაწინ, წინედამ.** მათგან **წინ** ყველაზე გავრცელებული ვარიანტია.

წინ ძირითადად ნათესაობითი, იშვიათად კი მიცემითი ბრუნვის ფორმებს ახლავს.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ზოგჯერ სახეზეა, მეტწილად კი ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის: იკარგება ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ნაწილი:

სამ წელიწადი*ს წინ* იყო; სამ წლის *წინ* ვიყავ; ზათი შენ ქი გეიგონე იმის *წინე,* ხუთ დღი *წინე;* ასე ქოხის *წინიდამ* თუ ყანა არი, კარჩიყანა-რი (ექსპედ. მასალა); ხევაჲს *წინ* ქილისა ყოფილა; პურს აღარ თესვენ. სახლის *წინ* კალოა! (ფაღავა 2024: 234).

გაწვიმდება, კოდი *წინიდამ* დაჯდები წუხანდელის კიდე იმნეთი არა და იმი *წინ* ჲაღუზ იყო; ზათი შენ ქი გეიგონე იმის *წინე,* ხუთ დღი *წინე* (ექსპედ. მასალა); ყვერე უშენებიან [დედეებს]. სოფლი *წინაჲ,* კარი *წინაჲ*... (ფაღავა 2024: 310).

ზოგჯერ *წინ* თანდებული-მორფემოიდი გაფორმებულია საკუთრივ თანდებულით: წინიდამ / წინედამ:

ემეში, გაღმი ტყეში, ჩვენ ქოხი *წინიდამ,* აი გაღმი; გუმუყრიან კოდი *წინიდამ,* მომკვტარ; იმის *წინედამ* დაბმული ერთი ფური მყავსა (ექსპედ. მასალა).

მიცემით ბრუნვაში **წინ** თანდებული-მორფემოიდის დართვისას -ს სუფიქსი იკარგება:

ორ თვე *წინ* ერთი დეკაცი დაგლიჯა; ერთ დღე *წინ*ჯებიან; დუგუნზე ერთ დღე *წინაწინ* ვიჯებოდით; დუგუნზე ერთ ღამე *წინაწინ* ბგანოსი თერეფი იქსა ამასა; ბევრი გათოვდა ხომ, ქარი, იქ ერ თვე *წინაწინ* გახმება, აქ არ გახმება (ექსპედ. მასალა); ხოჯიყანა – ჯამე *წინიდამ* არი (ფაღავა 2024: 317).

იშვიათად მიცემითის -**ს** შენარჩუნებულია:

ჩვენ დევსეკარას *წინიდამ* წყარო არი და დუუთქმევნებიან წყაროთი (ექსპედ. მასალა).

თანდებულ-მორფემოიდი დასტურდება თანდებულიან ფორმასთან:

ი ჲაღუზი იყო, ამა თქუნზე *წინ* კედე მოვნეს აქოურობაში; ერთ საათზე *წინაწინ* იქ მზე ჩამოვა (ექსპედ. მასალა).

შდრ.: მსგავსი ფორმები დასტურდება დიალექტებში: ახლა ხენწიფის *წინ* გაჩერებულია თახსინაჲ; სახლის *წინ* დიდი კალო იყო (ქდკ, ზემოაჭარული, შ. ნიჟარაძე, 1957).

ბ) ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი

ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონის მიხედვით, **წინ** თანდებული-მორფემოიდი გამოხატავს

ვისიმე ან რისამე პირისპირ მყოფობას: „სახლის *წინ* თუთის ორი ხე დგას“... დროის აღმნიშვნელ სახელებთან შეუძლია გამოხატოს დროის გარდასული მონაკვეთი: „ეს ამბავი ორი წლის *წინ* მოხდა“ (ჯორბენაძე... 1988: 466). შდრ. ქეგლ-ში **წინ** განმარტებულია როგორც ზმნისართი ადგილის მნიშვნელობით: ვისიმე, რისამე პირის მხარეს, პირდაპირ; თავში, სათავეში, დასაწყისში (ქეგლ 1964: 1110).

წინ თანდებული-მორფემოიდი ტაოურშიც, ქართული სალიტერატურო ენის დარად, აღნიშნავს ადგილს და დროს. საილუსტრაციო ნიმუშები:

ა) ადგილს:

ჩვენ დევსეკარას *წინიდამ* წყარო არი და დუუთქმევნებიან წყაროთი; ემეში, გაღმი ტყეში. ჩვენ ქოხი *წინიდამ,* აი გაღმი; გაწვიმდება, კოდი *წინიდამ* დაჯდები; ჩვენ სახლაც გაგდებულია საჯი, საჯის *წინედამ* (ექსპედ. მასალა).

ხევაჲს *წინ* ქილისა ყოფილა; პურს აღარ თესვენ. სახლის *წინ* კალოა! (ფაღავა 2024: 234); ყვერე უშენებიან [დედეებს], სოფლი *წინაჲ,* კარი *წინაჲ* (იქვე: 310); ხოჯიყანა – ჯამე *წინიდამ* არი და იმ ბარზე (იქვე: 317).

ბ) დროს:

თხუთმეტი წლის *წინ* აქ ვიყავით; ორ თვე *წინ* ერთი დეკაცი დაგლიჯა; ი ჲაღუზი იყო, ამა თქუენზე *წინ*ვედე მოვნეს აქოურობაში; ზათი შენ ქი გეიგონე იმის *წინე,* ხუთ დღი *წინე,* დუგუნზე ერთ დღე *წინაწინ*ვიჯებოდით; დუგუნზე ერთ ღამე *წინაწინ* ბგანოსი თერეფი იქსა ამასა (ექსპედ. მასალა).

შდრ.: მსგავსი ნიმუშები დასტურდება ქართული ენის სხვა დიალექტებში: მოდრეკილაი მერეთის *წინედამა* კაი ტყე არი (ქდკ, მაჭახლური, ჩამწერი: შ. ფუტკარაძე, 1989); ხო ურერც დალევს ჭამის *წინ* და მეორეს დალევს ჭამის შემდექ (იმერ., ცენტრის მასალა).

II. უკან თანდებული-მორფემოიდი

უკან თანდებული-მორფემოიდი დაერთვის მიცემითი ან ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს, იწერება ცალკე (ჯორბენაძე... 1988: 387).

შდრ. **უკან** – ზმნისართი, იმის მოპირდაპირე მხარეს, საითაც პირი აქვთ, საითაც მიდიან, – ზურგისაკენ, 2. ისევ იქ, სადაც იყო, საიდანაც [წა]მოვიდა, წამოიღო (წამოიყვანა), 3. შემდეგ, მერე (ქეგლ).

ტაოურ დიალექტში **უკან** მორფემოიდი სალიტერატურო ქართულთან მიმართებით გარკვეულ განსხვავებას გვიჩვენებს როგორც ფორმობრივი, ისე სემანტიკური თვალსაზრისით.

ა) ფორმობრივი ანალიზი

უკან ტაოურში გვხვდება **უკან, უკანაჲ, უკნიდამ** ფორმებით. ახლავს მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს. მიცემითი ბრუნვის ფორმასთან **-ს** ფორმანტი, როგორც წესი, დაცულია:

მაწონ გავლესავთ წყალს *უკან,* ორ კოზ ემე ჩავჰყრი, ფქვილსა; იმ გზას *უკან* ქი წევდა, გოლში ჩევდა; ჩემ ქალს *უკან* ბარაბერ; ზათი ჩუენ ყოფნიხან დავბერნით მუამთიელს *უკან,* დედამთიელს *უკან* ელთეფთ *უკან* ერთი დედამთიელს *უკან* ვერ გუძლიან; აღარ სხენან დედამთიელს *უკან;* იმის ოჯაღის *უკანაჲც* ყანა არი; სოფლის *უკანაჲ* ტყე-რი, აქ არი, აქ (ექსპედ. მასალა).

სოფელი პარეხი, ბალხიბარს *უკან* – რამდენიმე ქოხია, ბევრი არაა. ჴევი – პარეხი ჴევია. (ფაღავა 2024: 491);

ჩემს *უკან*-ნა იყუე ბებეროო; ისე ართუხ თაფლი გუმუხილავთ, იმასაც *მასუკან* შევდენავთ; მას უკან რეჲგა იქნა, რეჲგა იქნა, იცი? დავბურავთ, *მასუკან* სამ დღეზე იქედამ; ართუხ ბიჭები, ძლები, იმათ *უკან* ამა მოზობლობა აქევრი ძლები შეერებ არ გავა; თორები მყავან, იმათ *უკან* ვდგავარ; (ექსპედ. მასალა).

შარაბი შესვი, ქალი შენს *უკან* აღარ წევსა (ფაღავა 2024: 496).

უკან თანდებული-მორფემოიდის დართვისას ნათესაობითი ბრუნვის **-ის** სუფიქსი მეტწილად სახეზეა:

სახლის *უკან*ყო, კარზე სახლი ვქენეცით, კაი, ზაფხული ნა-დაწვე იქ; გედეიარე, იმ თის *უკან* ჩახუალ; ღელეში დამჯდარა დათვის *უკან* და დათსა უთქვია ქი; სახლა დავწვებით, ვიქნებით ბებრის *უკან* არამ-ნა შესვას, არხატაშის *უკან* ქი რამ-და ეიღოს, შიჭამოს, ფული უნდა; ისე მარილის *უკან* გახმებოდა, ხმელ ისე შევშჭამდით; ქოხის *უკან* საქათმე, ერთი გოგო ჩავქათმე, კაცის *უკან* ეხრება არიან ესენი (ექსპედ. მასალა).

მთის *უკან* ქედა არი, ჭილჭიმი (ფაღავა... 2020: 720); სახლის *უკან* რაც არი, ერთი გოგო რაც არი (ფაღავა, 2024: 289); წუხელი დათვი მოვდა კარჩი, ძაღლის *უკან*ეხლართენ, იჩხუბეს (ფაღავა, 2024: 441).

იშვიათად იკარგება სუფიქსისეული **ს** თანხმოვანი: **-ის > -ი**:

ამა ერთ წლი *უკან* აქოს ამაზე მოქყუავს; ოთხი ხუთი წლი *უკან* ვიყავ აქა (ექსპედ. მასალა).

საყდარი, სოფლის მაღალი უბანი *უკან* არი საყდარი (ხევეკი) ფაღავა 2024: 118); სავრიეთი ზომოთ არი და იგი გზი *უკნიდამ* არი (იქვე: 347).

უკან მორფემოიდი გამოიყენება თანიანი მრავლობითის ფორმასთან:

მოვალთ აქოს ჩვენ შვილეფთ *უკან* ღარჭეფთ *უკან*; ჩემ გენჯობაში ფაქა ფერხულობა იყო ბგანეფთ *უკან* გოგოეფთ *უკან*; ბგანეფთ *უკან* ვფერხულობდი, გოგოეფთ *უკან*. ვიმღერებდი; მე სირაზე მოველ ბგანეფთ *უკან*; ამა ბერეფთ *უკან* მიდიან (ექსპედ. მასალა).

ზოგჯერ **უკან** თანდებული-მორფემოიდი საკუთრივ თანდებულს დაირთავს: **უკნიდამ / უკნიდან:**

ჩემ ანა *უკნიდამ* რაზე გეიცინეო? (ფაღავა 2020: 1064); ჩუენ კარი *უკნიდან* დავდგებით; ი' რუ *უკნიდან* კილდე არის (ფაღავა 2024: 118); კიბილ ამაიგდებენ, კარი *უკნიდან* დაჰდებენ (იქვე: 36); წამოვა: [ქალი] ბიჭის *უკნიდან* წუმუვა (იქვე: 505); სავრიეთი ზომოთ არი და იგი გზი *უკნიდამ* არი (იქვე: 347); ჩქარა ჩქარა და ბიჭი ჩუმუვა აქე, ჭამის *უკნიდან* ჩუმუა (იქვე: 329).

უკან მორფემოიდთან წარმოდგენილი პირის ნაცვალსახელები **-ს** სუფიქსით არის გამორმებული:

ბებერო, აღარ-ნა წახუიდეო, ჩემს *უკან*-ნა იყუეო; სერინი; ჩემს *უკან* არ არიან, იქ არიან, საქმობენ; აქო ჩვენი მოზობელიაო, არხატაში, ჩემს *უკან* გაზდილი; წევნეთ ჭალაში, ვთიბოთ, წომოხვალ და ჩემს *უკან*?; თქვენიდამ არიან ჩვენს *უკან*, ერთგან ვსაქმოფთ ჩვენა; ეჲდა, ა გიმიშვებ, ვიქნებიო და შენს *უკან*ო და; ეჲდა, ა გიმიშვებ, ვიქნებიო და შენს *უკან*ო (ექსპედ. მასალა).

შდრ.: მეც მათ *უკან* ვსაქმოფ.

მესამე პირში (მხ. რიცხვში) იხმარება **მასუკან / მასუკა** და აღნიშნავს: „მას შემდეგ“.

მასუკან დათესავ. იმასაც *მასუკან* შევდენავთ, მისი დერმანი არი დუმანსავთე, დუმან უზამთ; *მასუკან* ემევიქმოდით, ასე დიდრუანი ა

ისე ჩათმებ იქნებოდა; ზემო ახლაჲ ვართა და აბლი ერთი თვეს *მასუკან* ჩომოალთ აქა მას *უკან*-ნა გუმაარგლო; *მასუკა* აბლი კიდევ გეჲზდება წუყალი-ნა მოასხა (ექსპედ. მასალა).

შდრ.: გვხვდება გამოქვეყნებულ ტაოურ ტექსტებშიც: *მას უკან* ამეჲღებ ქევგირით, დელუგიანი ციცხვით; *მას უკან* წყალ აადუღებ, ონდასონრა ჩაჰყრი შიგან (ფაღავა... 2020: 729).

დასტურდება **მასკვან / მასკვა** ფორმები:

ღენჭებ უწინ მუართვამთ, *მასკვან* დიდუანი დავსხდებით (ფაღავა... 2020: 1053); სამი თანე ალთუნი, ბეჭედი, სხვა არაფერი, ესენი *მასკვან* ევღევით (იქვე: 1064); ენწინ სოფელი თაში იყო, *მასკვა* აქ ჩომოსულან (იქვე: 1066); ქვა წუმოსულა, *მასკვა* ტბა შექნილა, ავსილა წყალი (იქვე: 1089).

შდრ.: **მასუკან / /მასკან** („მას შემდეგ“) გამოიყენება იმერხეულსა და ჯავახურში: *მასკან* ის ემ›ნა ქნა, ქალი გააბანიო და ის›ნა მააწოვიო (ქდკ, ბაზგირეთი, შავშეთ-იმერხევი, ჩამწერი: მერი ცინცაძე, მამია ფაღავა 2009). *მასკუან* დაიჭირეს ჩვენი რჯული, მასკუან ზოგი ისინიც მოინათლა (ქდკ, სარო, სამცხე-ჯავახეთი, ჩამწერი: გრიგოლ ბერიძე, 1948). *მასუკან* უუნიავებთ პური კაკალსა; მასკან ვედრო თენექასი (ფუტკარაძე 2016: 88). ასევე, გვხვდება ქიზიყურში, ინგილოურში, აჭარულში, ხევსურულში (ღლონტი 1984: 347). მაგ.: ჯერ სიგრძეს ავიღებდი, *მასკვან* სიგანესა, მასკვან ამ სარტყლის სიგანესა (ქდკ, კახური/ქიზიყური, ჩამწერი: სტეფანე მენთეშაშვილი 1935).

ბ) ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი

უკან თანდებული-მორფემოიდი გამოხატავს ზურგის მხარეს ვისიმე ან რისამე მყოფობას: „სახლს *უკან* გომური იდგა“, სახლის *უკან* ამოთხრილი ორმო ნახეს“... დროის აღმნიშვნელ სახელებთან შეუძლია გამოხატოს დროის გარდასული მონაკვეთი: სამი წლის *უკან* მოხდა ეს ამბავი“ (შდრ. სამი წლის წინ“) (ჯორბენაძე... 1988: 387).

უკან ტაოურში სემანტიკური თვალსაზრისით მრავალფეროვან სურათს გვიჩვენებს. გამოხატავს: ადგილს, დროს, თანაობას. დაერთვის მიცემითი ან ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს; გვხვდება არსებით სახელებსა და ნაცვალსახელებთან. გამოხატავს:

ა) ადგილს:

სახლის *უკან* იყო, კარზე სახლი ვქენეცით; იმ გზას *უკან* ქი წევდა, ე ქომო გოლი არი; ქოხის *უკან* სად არი; გედეიარე, იმ თის *უკან* ჩახჯალ; ამი გადაღმა, იმას *უკან* ასე სინორია; ასე ხევთ *უკან* ჩამეიარს (ექსპედ. მასალა).

მთის *უკან* ქედა არი, ჭილჭიმი (ფაღავა 2024: 489); ქოხის *უკან* სათარი / ერთი გოგო რათ არი (იქვე: 475); სავრიეთი ზომოთ არი და იგი გზი *უკნიდამ* არი (იქვე: 347).

შდრ.: **უკან** ამავე სემანტიკით დასტურდება ქართული ენის დიალექტებში: ფარისეველია ადამიანი, გეფარისოვლება პირში და ზურქს *უკან* სხვანაირს ფიქროფს; ამის *უკან* ვინ დგია მერეთ? (იმერ., ცენტრის მასალა).

ბ) დროს:

უკან თანდებულ-მორფემოიდს დროის აღმნიშვნელ სახელებთან შეუძლია აღნიშნოს დროის გარდასული მონაკვეთი: „სამი წლის *უკან* მოხდა ეს ამბავი“ (შდრ.: „სამი წლის წინ“).

შ. აფრიდონიძის განმარტებით, თანდებულად გამოყენებული **უკან** სიტყვის ტრადიციული მნიშვნელობა არის: შემდეგ, მერმე, მოგვიანებით. მაგ., რამდენსამე დღეს *უკან* იჩეკებიან მატლებიც (ი. გოგებაშვილი); რა ილაპარაკეს მას *უკან* არ ვიცი (ილია); მკათათვეში შუადღის *უკან* უფრო ცხელა (თ. რაზიკაშვილი); თანდებულისავე ფუნქციით და ამავე მნიშვნელობით გამოიყენება დიალექტებშიც: მოზელი ცოტა დროი გასვლას *უკან* ცომს მოუვლი (ინგილ.); ხუთ-ექს დღეს *უკან* წავლეით ფერეიდანსათი, ავლით ფერეიდანჩი (ფერეიდნ.) (აფრიდონიძე 1984: 251).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აღნიშნულია, რომ თანდებულად გამოყენება **უკან** ზმნისართის დროითს მნიშვნელობას არ ცვლის. მყარი შეთანხმება **მას უკან** ასეა განმარტებული: მას შემდეგ, იმ დროიდან მოყოლებული (ქეგლ).

ტაოურში **უკან** ენაცვლება დროის გამომხატველ სიტყვას – შემდეგ. ხშირად გვხვდება ნაცვალსახელებთან:

ერთ წლი *უკან* აქოს ამაზე მოქყჷავს; *მასუკან* რეჲგა იქნა, რეჲგა იქნა, იცი?; ისე ართუხ თაფლი გუმუხილავთ, იმასაც *მასუკან* შევდენავთ; დავბურავთ, *მასუკან* სამ დღეზე იქედამ, სამ დღე ქი იქნება; შევხედავთ ა ისე, *მასუკანსაც* კიდევ აჲნი, მისი თველი მუა; ახლა ათდახუთი დღე *მასუკან* იმა ჩუხედავთ, იმისი თაფლი აქჲა; ორი თანე ქალი ვიქნებოდით და *მასუკა* ღენჭები გოგოები, მემესწრნეს; ართხ *მასუკან* შაი კალოშები მოვდა, ისინი (ექსპედ. მასალა).

შდრ.: მსგავსი ფორმები დასტურდება გამოქვეყნებულ ტაოურ ტექსტებსა და ქართული დიალექტური კორპუსის (ქდკ) მასალებში: პურ დააწობ, ფილავ მოხარშავ, იმის *უკან* გარეკავ წყალში, შესუამ (ფუტკარაძე 1993: 180); იმის *უკან* დალბობილი წყალი'ნა გუდუწურო; *მას უკან* მუსლიმანი შექნილან; *მას უკან* ამეჲღებ ქევგირით, დელუგიანი ციცხვით;. *მას უკან* წყალ აადუღებ, ონდასონრა ჩაჰყრი შიგან; ასი წელწად ხრისტიანი ყოფილან, *მას უკან* მუსლიმანი შექნილან (ფაღავა... 2020: 1115); ჩქარა ჩქარა და ბიჭი ჩუმუვა აქე, ჭამის *უკნიდან* ჩუმუა (ფაღავა... 2024: 329);

უკან მიცემითის ფორმებთან „შემდეგ", „მერე" დროის ზმნისართების ფუნქციას ასრულებს იმერხეულში, მაჭახლურში და მუჰაჯირების მეტყველებაში. მაგ., ერთ თვეს უკან მივა ელში (ფუტკარაძე 2016: 88, 234).

გვხვდება სხვა დიალექტებშიც: ხუთ-ექს დღეს *უკან* წაველით ჭერეჲდანსათი, ავლით ჭერეჲდანჩი გამოყვანიხან (ქდკ, ფერეიდნული; ჩამწერი: არნ. ჩიქობავა, 1992); გაწმენდას *უკან* ვყრით, ზედ წყალ ვოსხამთ (ქდკ, კახი (საინგილო), ჩამწერი: ნათელა როსტიაშვილი, 1953); ერთ თვე *უკან* დავფაჭავთ (ქდკ, ქუაბითავი, ზედა მაჭახელი, ჩამწერი: შ. ფუტკარაძე, 1989).

შ. ნიჟარაძე ზემოაჭარულში ადასტურებს შემდეგ ვარიანტებს: **უკან** = შემდეგ: ცოტა ხანს უკან გადაჭრა წყარო იმ გველეშაპმა; **მასქან** = მასუკან, შემდეგ, მერე, მერმე: ახლა თუარ ქცალია, მასქან იყოს (ნიჟარაძე 1961: 84).

გ) თანაობას

სალიტერატურო ენისა და რიგი დიალექტებისაგან განსხვავებით, ტაოურში უკან აქტიურად გამოიყენება თანაობის გამოსახატავად, -თან თანდებულის მნიშვნელობით. ჩვეულებრივ, დაერთვის არსებითი სახელისა და ნაცვალსახელის მიცემითი და ნათესაობით ბრუნვის ფორმებს.

შ. ფუტკარაძის აზრით, „თან“ თანდებულისა და „ერთად“ ზმნიზედის ფუნქციით გამოდის. მაგ., ჩემ *უკან* გზელი აჰმედი იყო (ჩემთან ერთად); მის *უკან* საქმობდა (მასთან ერთად) (ფუტკარაძე 2016: 287).

იმ გზას *უკან* ქი წევდა, გოლში ჩევდა; მეიხარშვის, იმა ლებუოს *უკან* შივჭამთ; წავნენ, თიაზეს *უკან* მე წევდოდი; მარტო გოგოს *უკან* მე ვარ; ჩემს *უკან* არ არიან; ჩუენს უკან აღარ დგებიან; შენს *უკან* რა შეხვდებიან ამათ; აღარ სხენან დედამთიელს *უკან*; ამი გადაღმა, იმას *უკან* ასე სინორია (ექსპედ. მასალა).

ჯარეფთ *უკან*, ჩიFთის *უკან* კალო ვიჯებოდით; თქუენ დგებით დედამთიელეფთ *უკან*? ბაღლაჯობა უქნია მალეფთ *უკან*; მე ვისმეთ *უკან*არ ვიყავღებ (ექსპედ. მასალა).

მოსულა და ღელეში დამჯდარა დათვის *უკან*; არამ-ნა შესვას, არხატაშის *უკან* ქი რამ-და ეიღოს; მარილის *უკან* გახმებოდა, ხმელ ისე შევშჭამდით; მოვალთ აქოს, ჩვენ შვილეფთ *უკან*, ღარჭეფთ *უკან* ქალის *უკან*, იშთე; მე ამის *უკან* წაკიდებულ ვარ ქი, ვიცოდე და. გიაურიშვილო[ფაქა ბარაბერ ვინცხა უნდა, იმის *უკან* თელი მილეთისი ემეთ მოკრეფიან, პირტყვებ იქნებიან; ჩუენც ზათე იმის *უკან* ვიხუარათეთ, იმათ *უკან* არა (ექსპედ. მასალა).

ერთგან იქნებიან დადეები გოგოს *უკან*, სამი ღამე გათამდება, წავლენ და გააგდებენ იმას (ფაღავა 2024: 434); წუხელი დათვი მოვდა კარჩი, ძაღლის *უკან* ეიხლართენ, იჩხუბეს (იქვე: 441); ჰაჲდე წევდეთ რუს *უკან*, რა შოხვდება ჩემს *უკან* (იქვე: 38)

ჩემს *უკან*-ნა იყუეო; აქო ჩვენი მოზობელიაო, არხატაში, ჩემს *უკან* გაზდილი, აზიზ; ჭალაში, ვთიბოთ, წომოხვალ და ჩემს *უკან*? თქვენიდამ არიან ჩვენს *უკან*, ერთგან ვსაქმოფთ ჩვენა; ჩამოვდეს და ერთი, ვილაპარაკოთ ამის *უკან*; თორები მყავან, იმათ *უკან* ვდგავარ; მეც მათ *უკან* ვსაქმოფ; ღარნა წახუიდეო; ბევრი მათ *უკან* ილაპარაკეთ; ღენჭები თავამდი მოქცეს, იმათ *უკან* დაგაბეროს (ექსპედ. მასალა); ჩვენც არ ხვარათობ შენს *უკან*, ვიცი, ჰამა არ ხვარათობ (ფაღავა... 2020: 1020).

შდრ.: მსგავსი სემანტიკით დასტურდება ლივანურში: გადნობილ ერბოსა პურის *უკან*, ჭადის *უკან* ჭამ; ჩემ მაზლის *უკან* საქმობენ; ასკერებიც მის *უკან* გადმუანურია; ჩემ *უკან* გზელი აჰმედი იყო (ფუტკარაძე 2016: 191).

დასკვნა

ტაოური დიალექტური მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ, თურქული ენის ძლიერი ზეგავლენის მიუხედავად, ტაოს მკვიდრ ქართველთა მეტყველებაში წინ, უკან თანდებული-მორფემოიდების სტრუქტურა და სემანტიკური ნიუანსები უმთავრესად ქართულია. ცალკეულ შემთხვევებში დასტურდება სპეციფიკური, დიალექტისთვის დამახასიათებელი ფაქტები.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

აფრიდონიძე 1984: აფრიდონიძე შ., თანდებულად გამოყენებული ზოგი ზმნისართის ერთი ფუნქციისათვის. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VI, თბილისი.

ექსპედ. მასალა: 2011-2022 წლებში ტაოში ჩაწერილი დიალექტური მასალა (ინახება აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული პროფ. ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრში).

მარტიროსოვი 1946: მარტიროსოვი არ., თანდებული ქართულში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბილისი.

მარტიროსოვი 1960: მარტიროსოვი არ., ზმნისართისა და თანდებულის სინტაქსური ურთიერთობისათვის. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XII, თბილისი.
ფაღავა... 2020: ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ჩოხარაძე მ., შიოშვილი თ., ხალვაში რ., მგელაძე ნ., შაშიკაძე ზ., ხალვაში მ., ჩხვიმიანი ჯ., კარალიძე ჯ., ტაო (მონოგრაფია). ბათუმი, გამომც. „მერიდიანი“.
ფაღავა... 2024: ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ქართული ენის ტაოური დიალექტი. ბათუმი, გამომც. „მერიდიანი“.
ფუტკარაძე 1993: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი I. ბათუმი, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა.
ფუტკარაძე 2016: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი II. ბათუმი, გამომც. „აჭარა“.
ქდკ: ქართული დიალექტური კორპუსი: http://corpora.co/#/ texts. 11.06.2025.
ქეგლ 1950-1964: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული. რედ. – არნ. ჩიქობავა. თბილისი, საქართველოს მეცნ. აკად. გამომც.
შანიძე 1973: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები.
ჯორბენაძე 1988: ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი. თბილისი, გამომც. „მეცნიერება“.

References and Sources

Apridonidze 1984: Apridonidze Sh., Some adverbs used as adverbs for one function. Issues of Georgian Speech Culture, VI, Tbilisi.
Georgian Dialect Corpus: http://corpora.co/#/ texts Verification: 11.06.2025.
Expedition material: Dialectal material recorded in Tao in 2011-2022 (stored in the Prof. Tariel Putkaradze Scientific-Research Center of Kartvelology at the Faculty of Humanities of the Georgian State University).
Explanatory Dictionary of the Georgian Language 1950-1964: eight volumes. Editor – Arn. Chikobava. Tbilisi, Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR..
Jorbenadze 1988: Jorbenadze B., Kobaidze M., Beridze M., Dictionary of Morphemes and Modal Elements of the Georgian Language. Tbilisi, Publishing House “Science”.
Martirosov 1946: Martirosov A., Adverbs in Georgian. Iberian-Caucasian Linguistics, I, Tbilisi.
Martirosov 1960: Martirosov A., On the syntactic relationship between adverbs and adverbs. Iberian-Caucasian Linguistics, XII, Tbilisi.
Paghava... 2020: Paghava M., Tsintsadze M., Baramidze M., Chokharadze M., Shioshvili T., Khalvashi R., Mgeladze N., Shashikadze Z., Khalvashi M., Chkhvimiani J., Karalidze J., Tao (monograph). Batumi, “Meridiani”.
Paghava... 2024: Paghava M., Tsintsadze M., Baramidze M., A Tao dialect of the Georgian language. Batumi, Publishing House “Meridiani”.
Putkaradze 1993: Putkaradze Sh., Georgian of Our Time, Book I. Batumi, Adjara Journal-Newspaper Publishing House.
Putkaradze 2016: Putkaradze Sh., Georgian of Our Time, Book II. Batumi, Adjara Publishing House.
Shanidze 1973: Shanidze A., Fundamentals of the Grammar of the Georgian Language. Tbilisi..

DOI:https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.13

თურქეთში გამომავალი ჟურნალი „მამული“

THE JOURNAL *MAMULI* PUBLISHED IN TURKEY

ზეინაბ კიკვიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Zeinab Kikvidze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

აბსტრაქტი

თურქეთში სხვადასხვა დროს გადასახლებული ქართველების სამშობლოსთან სულიერი კავშირი თაობიდან თაობისათვის გადაცემული ენა იყო, რომელშიც ინახებოდა საკუთარი იდენტობის არდავიწყების კულტურული კოდი. საქართველოს გასაბჭოებამ კიდევ უფრო შორეული გახადა ჩვენებურებისათვის ისტორიული მიწა-წყალი, რადგან თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის არცთუ ისე კარგი დამოკიდებულება არსებობდა. გაჩნდა იმის საფრთხეც, რომ თურქეთში დაბადებული და გაზრდილი თაობა თანდათან დაივიწყებდა საკუთარ ვინაობას. როგორც ჩანს, ეს იყო საკმაოდ მძლავრი ბიძგი იმისათვის, რომ თურქეთელ ქართველ მამულიშვილებს ეფიქრათ ჟურნალის გამოცემაზე, რომელიც ასახავდა საქართველოს ყოფა-ცხოვრებას, ქართულ კულტურას, ისტორიას.

წარმოდგენილი სტატია შეეხება თურქეთში გამომავალ კულტურულ ჟურნალს „მამულს“, რომელიც ფაქტობრივად უცნობია ქართული საზოგადოებისათვის.

თურქეთში სხვადასხვა დროს გამოიცემოდა იქაური ქართველების კულტურული ცხოვრების განმსაზღვრელი ჟურნალები, კერძოდ, 1921-22 წლებში გამოიცა ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“. მოგვიანებით, მეოცე საუკუნის მიწურულს – ჟურნალი „ჩვენებური“, რომლის რედაქტორმა ფაჰრედინ ჩილოღლუმ (ფარნა ჭილაძემ) ითავა ჟურნალ „მამულის“ გამოცემა.

ჟურნალი 1997-98 წლებში იბეჭდებოდა სტამბულში თურქულ ენაზე, თუმცა მასში ზოგჯერ ქართული სტატიებიც ქვეყნდებოდა. ჟურნალს ჰქონდა ხელოვნების, ლიტერატურული, ეთნოგრაფიული, პოლიტიკური მოვლენების ამსახველი განყოფილებები. იყო საბავშვო რუბრიკაც, რომელშიც ქართული პოეზიის ნიმუშები და იგავ-არაკები იბეჭდებოდა ორივე ენაზე.

„მამულში“ საკმაო ყურადღება ეთმობოდა ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებს. რუბრიკით „პორტრეტები ქართული ლიტერატურიდან“ ჟურნალი მკითხველებს აცნობდა გამოჩენილი ქართველი მწერლების შემოქმედებას. ჟურნალი თურქეთელ ქართველებს თავისებურ წარმოდგენას უქმნიდა საქართველოს ქალაქებზე; ასევე, ქვეყნდებოდა სტატიები კავკასიელი ხალხების შესახებაც.

სულ გამოვიდა „მამულის“ ხუთი ნომერი, თუმცა ამ ჟურნალმა გარკვეული როლი შეასრულა თურქეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციაში.

საკვანძო სიტყვები: ჟურნალი „მამული“, თურქეთელი ქართველები, ქართული კულტურა.

ABSTRACT

Among Georgians resettled in Turkey over different periods, the enduring spiritual connection to the homeland was sustained through the intergenerational transmission of language, which embodied a cultural code that preserved their sense of identity. The Sovietization of Georgia rendered the historical homeland even more distant for these communities, particularly in the context of strained Turkish–Soviet relations. The prospect that younger generations born and raised in Turkey might gradually lose awareness of their origins became a serious concern. It appears that this concern motivated Georgian patriots in Turkey to establish a periodical aimed at representing Georgian life, culture, and history.

The present study examines the cultural periodical *Mamuli* (“Homeland”), published in Turkey, which has thus far remained largely unknown to the Georgian public.

At different times, several journals shaped the cultural life of ethnic Georgians in Turkey. In 1921-1922, *Tavisupali Sakartvelo* (“Free Georgia”) was published, followed decades later by *Çhveneburi* (“one of us”, “of our people/country”), whose editor, Fahrettin Çiloğlu (Parna Chiladze), undertook the publication of Mamuli.

Published in Istanbul in 1997-1998, Mamuli appeared primarily in Turkish but occasionally included articles in Georgian. It featured sections on art, literature, ethnography, politics, and a children’s rubric presenting selections of Georgian poetry and didactic fables in both languages. The periodical devoted special attention to issues relating to the Georgian language and literature, introducing readers to the works of renowned Georgian writers through the section titled “Portraits from Georgian Literature.” The journal further constructed a distinctive representation of Georgian cities for the Georgian diaspora in Turkey and featured articles addressing various Caucasian peoples.

Although only five issues appeared in print, *Mamuli* played a measurable role in preserving ethnic Georgians’ linguistic and cultural identity in Turkey and in promoting Georgian culture within the Turkish context.

Keywords: ournal “Mamuli”, Georgians in Turkey, Georgian culture.

შესავალი

სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზეზთა გამო თურქეთში გადასახლებულ ქართველობას, მართალია, თავისი ისტორიული მიწა-წყლის ხილვა ოცნებად ქცეოდა, მაგრამ სულიერი კავშირი არასდროს გაუწყვეტია საკუთარ ფესვებთან. საქართველოდან წაღებულ ეთნო-წესსა და ჩვეულებებში, ენაში ცოცხლობდა ქართული იდენტობა, „დედო მემლექეთის“ ხსოვნა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა; თუმცა ფაქტია, რომ, როცა მიმოსვლა არ იყო ან მკაცრად იზღუდებოდა ქვეყნების პოლიტიკური უთანხმოების გამო, უცხო ქვეყანაში საკუთარი ეროვნული ვინაობის დასაცავად ან თუნდაც შესანარჩუნებლად იქაურ ქართველებს დიდი სირთულეების დაძლევა უწევდათ. მშობლიური ქვეყნის ხსოვნას სჭირდებოდა ერთგვარი გამაერთიანებელი ფუნქციის მქონე სტრუქტურა ან რაიმე ორგანო, რომელიც შეძლებდა ქართველობის არდავიწყებასაც და სულიერი კავშირის გახანგრძლივებასაც. ალბათ უწინარესად ეს ფუნქცია ჰქონდა თურქეთში გამომავალ ჟურნალებს. სტატიაში განხილულია თურქეთში ჩვენებური ქართველების მიერ გამოცემული კულტურულ-საგანმანათლებლო ჟურნალი „მამული“, რომელიც ნაკლებად ცნობილია ქართველი საზოგადოებისათვის.

კვლევის მეთოდები

ჟურნალ „მამულში“ განთავსებული რუბრიკებისა და სტატიების განხილვისას გამოყენებულია ანალიტიკური და სინთეზური მეთოდები. კვლევა ძირითადად მოიცავს კულტუროლოგიურ ასპექტებს.


მსჯელობა


საქართველოს გასაბჭოების შემდეგ თურქეთში გადასულ ქართველობას იმედი ჰქონდა, რომ ქვეყანაში ბოლშევიკების მმართველობა დროებითი იყო და მალე ისევ დამოუკიდებლობას მოიპოვებდნენ. ეს აზრი დომინირებდა მათ მიერ გამოცემულ ჟურნალში „თავისუფალი საქართველო“, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და მის გარშემო შემოკრებილი პოლიტიკური ძალების მიერ საზღვარგარეთ გამოცემული პირველი ემიგრანტული პოლიტიკური ჟურნალი იყო. იგი გამოიცემოდა პარიზსა და სტამბოლში 1921-1922 წლებში. სარედაქციო კოლეგიასთან აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ ნ. ჟორდანიას, კ. ჩხეიძეს, ევგ. გეგეჭკორს, ნ. რამიშვილს, აკ. ჩხენკელს (თავისუფალი საქართველო). მოგვიანებით, მეოცე საუკუნის 70-იან წლებში, კერძოდ 1977 წელს, სტოკჰოლმში გამოიცა ჟურნალი „ჩვენებური“, იგი წარმოადგენდა ქართული კულტურის ცენტრის ბეჭდვით ორგანოს და იწოდებოდა კავკასიოლოგიურ ჟურნალად. რამდენიმე ნომრის შემდეგ მისი ბეჭდვა გაგრძელდა სტამბოლში.

„ჩვენებურის“ რედაქტორი **აჰმედ ოზქანი-მელაშვილი** თავისი გულმხურვალე, ნამდვილი ქართული საქმიანობის გამო მოღალატედ ცნეს და მოკლეს, რადგან საქართველოცა და კავკასიაც მაშინ საბჭოთა კავშირის შემადგენობაში შედიოდა. აჰმედ მელაშვილი იყო ქართული საქმიანობის სულისჩამდგმელი თურქეთში, კერძოდ, იგი თანამშრომლობდა კავკასიურ და ქართულ დიასპორებთან, საქართველოზე გამოსცა წიგნი, ინეგოლის სოფელ ჰაირიეში ჩამოაყალიბა ქართული ცეკვის ანსამბლი, ასევე, დააარსა კავკასიური კულტურის ცენტრი (დაუშვილი... 2012: 155); ეს ყველაფერი

თურქეთის ძალოვანი სტრუქტურებისათვის გამოიყურებოდა საბჭოთა კავშირისათვის სასარგებლო მუშაობად. ამის გამო ჟურნალის გამოცემა შეწყდა და განახლდა გასული საუკუნის 90-იან წლებში.

ამ პერიოდში ჟურნალის სარედაქციო გუნდში მოღვაწეობდა ახალგაზრდა ჟურნალისტი **ფაჰრედინ ჩილოღლუ,** იგივე ფარნა-ბექა ჭილაძე, რომელმაც გარკვეული ხნის შემდეგ დატოვა „ჩვენებურის“ რედაქცია და დაიწყო ცალკე ჟურნალის – „მამულის“ გამოცემა. პირველი ნომერი 1997 წლის იანვარში გამოვიდა სტამბოლში. ჟურნალს გარეკანზე თურქული და ქართული ასოებით ეწერა სახელწოდება და ასევე ისიც, რომ ეს იყო კულტურული მიმართულების გამოცემა.





„მამულის“ სულ ხუთი ნომერი გამოიცა. ოთხი მათგანის ყდის დიზაინი ერთნაირი იყო, ხოლო მეხუთე ნომრის გარეკანზე გამოსახული იყო ფიროსმანის სურათის ილუსტრაცია „მეთევზე“. სავარაუდოა, რომ ამ დროს უკვე არსებობდა იდეა ჟურნალ „ფიროსმანის“ გამოცემისა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჟურნალის მთავარი რედაქტორიც ფარნა ჭილაძე გახლდათ.

ჟურნალში სტატიები თურქულ ენაზე ქვეყნდებოდა, თუმცა ზოგიერთი ტექსტი ქართულ ენაზეც დაიბეჭდა, განსაკუთრებით მოკლე ისტორიული მიმოხილვები, ლექსები და იგავები.

ჟურნალს ჰქონდა პოლიტიკური მოვლენების ამსახველი, ხელოვნების, ლიტერატურული, ეთნოგრფიული განყოფილებები. იყო საბავშვო რუბრიკაც.

„მამულში“ საკმაო ყურადღება ეთმობოდა ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებს. რუბრიკით **„პორტრეტები ქართული ლიტერატურიდან“** ჟურნალი მკითხველებს აცნობდა გამოჩენილი ქართველი მწერლების შემოქმედებას; თურქეთელ ქართველებს თავისებურ წარმოდგენას უქმნიდა საქართველოს ქალაქებზე; ასევე, ქვეყნდებოდა სტატიები კავკასიელი ხალხების შესახებაც.

„მამულის“ პირველი ნომერი იხსნებოდა რედაქტორის წინასიტყვაობით. აღნიშნული იყო, რომ ეს ჟურნალი ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში მესამე გამოცემა იყო. ამით ხაზგასმული იყო

ჟურნალის მთავარი მიმართულება – თურქეთის ქართველებისათვის ქართული კულტურის გაცნობით საქართველოსთან დაკავშირება. რადგან თურქეთში კავკასიელი სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები მრავლად ცხოვრობდნენ. „მამული“ მიზნად ისახავდა მათი კულტურული ყოფის ამსახველი სტატიების გამოქვეყნებასაც.

რედაქტორი მოკლედ მიუთითებდა ჟურნალის რუბრიკებისა და შესაბამისი ფოტომასალის შესახებ.

ჟურნალის პრინციპი იყო: „არ ავურიოთ ისტორია და აწმყო ერთმანეთს“ (მამული 1997/2). მართალია, ამ დროისთვის საქართველო უკვე აღარ წარმოადგენდა საბჭოთა ქვეყანას, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც არსებობდა გარკვეული იდეოლოგიური წნეხი და ჟურნალის ფურცლებზე განთავსებულ წერილებში იგრძნობოდა რედაქტორული სიფრთხილე.

სანამ ცალკეულ განყოფილებებს შევეხებოდეთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ჟურნალის სახელწოდებაზეც. „მამული“ იყო უზუსტესად არჩეული სიტყვა, რომელშიც გაერთიანებული იყო თურქეთელ ქართველთა ნოსტალგიაც, ისტორიული ფესვებიც, აწმყო ყოფის გააზრებაც და, შესაძლოა, მომავლის იმედიც. მართალია, ჟურნალს კულტურულის სტატუსი ჰქონდა, მაგრამ მისი ფუნქცია გაცილებით დიდი იყო.

ისტორიული სამშობლოს დეტერმინიზაცია მხოლოდ მუჰაჯირობის მტანჯველი მოგონებით, რომელიც ყოველთვის დარდიან დაღად აჩნდათ ჩვენებურებს, როდი უნდა მომხდარიყო. ადამიანებს, რომელთაც ყველაფერი მშობლიური დაკარგეს, შესაძლოა ენაც კი, ეს ჟურნალი მიაბრუნებდა საკუთარ ფესვებთან, სამშობლოს განცდას გაუჩენდა არა მხოლოდ წარსულის მოგონებით, არამედ აწმყოში, თანადროულობაში. და ამდენი ხნის განმავლობაში ჩამოყალიბებული შეგრძნება, რომ სამშობლო იყო სადღაც შორს, რკინის ფარდის მიღმა, ჩანაცვლდებოდა იმაზე ფიქრით, რომ სამშობლო ერთი მდინარის მეორე ნაპირზეა, ახლოა. ალბათ, ის ქართული ტექსტებიც, რომლებიც ქართული ასოებით იყო დაბეჭდილი, რომელსაც „მამულის“ გამომწერი წაიკითხავდა, მათ შემეცნებაში უფაქიზეს გრძნობებს შეარხევდა და ენით გამოუთქმელ სიხარულსაც შეაგრძნობინებდა.

მართალია, ჟურნალი „მამული“ ქართული კულტურის გამავრცელებლად ცხადდებოდა, მაგრამ ის მაინც ვერ აცდებოდა პოლიტიკური მოვლენების განხილვას. მით უმეტეს, რომ საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ფაქტი – **დამოუკიდებლობის გამოცხადება** – ქმნიდა საშუალებას თურქეთთან სულ სხვაგვარი ურთიერთობები დაწყებულიყო.

რუბრიკაში **„თვალსაზრისი“** განთავსებული იყო წერილი **„საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა საბჭოთა კავშირის დაშლიდან მეხუთე წელს“**, რომლის ავტორიც ასევე ბატონი ფარნა იყო. სტატიაში განხილული იყო რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა საქართველოს მიმართ. ავტორი ახსენებდა გეორგიევსკის ტარაქტატს და საუბრობდა იმპერიის ნამდვილ ზრახვებზე, იმოწმებდა ისტორიულ ფაქტებს, კერძოდ, ნახსენები იყო მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის ყველა მნიშვნელოვანი თარიღი, როდესაც რუსეთმა ნაწილ-ნაწილ შეიერთა ქართული მიწები. განსაკუთრებით მუჰაჯირობის თემა შუქდებოდა. სტატიაში დაფიქსირებული იყო, რომ თურქეთმა ერთ-ერთმა პირველმა

ცნო საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა, ნახსენებია ის რუსული ნარატივიც, რომელიც ამ დროს ვრცელდებოდა, რომ, თუ საქართველო თავისუფალი გახდებოდა, თურქეთი მას გადაყლაპავდა. ეს ინფორმაცია ავტორს აღებული აქვს „საქართველოს რესპუბლიკის“ 1990 წლის 27 ოქტომბრის ნომრიდან. ავტორი ყურადღებას ამახვილებდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რთულ ვითარებაზეც, რომელშიც ლომის წილი ედო რუსეთს. „**რუსეთი ცივ ქარს აფრქვევს აფხაზეთშიო**“, – დასძენდა სტატიის ავტორი. გასაკვირი არც არის აფხაზური თემის წამოწევა, რადგან თურქეთში აფხაზებიც მრავლად ცხოვრობენ.

საქართველოსა და თურქეთის დაახლოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ნახსენები იყო ეკონომიკური კავშირები, კერძოდ, ნავთობგადამზიდი კომპანიების ინვესტიციები. ზოგადად ჟურნალში ქვეყნდებოდა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების შესახებ ინფორმაციები. ყურადღების ცენტრში იყო ინვესტიციების კვლევაც.

„მამულში“, თურქეთელი ქართველების გარდა, იბეჭდებოდა ჩვენი თანამემამულეების სტატიებიც. გამოქვეყნდა ქალბატონ **შუშანა ფუტკარაძის** სტატია „**ემიგრანტი ანუ მუჰაჯირი ქართველები თუ ჩვენებურები**“, რომელიც შეეხებოდა მუჰაჯირობის საკითხს. ავტორი ვრცლად მიმოიხილავდა რუსეთის პოლიტიკას საქართველოში და ხსნიდა სხვადასხვა დროს (რუსეთ-თურქეთის ომები, დამოუკიდებლობის დაკარგვა და გასაბჭოება) თურქეთში ქართველების მასობრივი გადასახლების მიზეზებს. შ. ფუტკარაძის აზრით, გადასახლების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო არა რელიგიური განსხვავებულობა, არამედ რუსეთის იმპერიის ზრახვები კავკასიის რეგიონში. მკვლევარი ცალკეულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ასახელებდა სტატისტიკურ მონაცემებს, რომელი სოფლიდან რომელ დროს რამდენი კომლი გადასახლდა თურქეთში. მისი შეფასებით, ეს იყო ერის ცხოვრებაში ერთ-ერთი უმძიმესი ტრაგედია. მუჰაჯირთა რაოდენობის შესახებ სტატიაში დამოწმებულია იტალიელი მკვლევრის – **ევგენი დალეჯიოს** მიერ წიგნში „**ქართველები სტამბოლში**“ (1920) მოხმობილი რიცხვები, – ქართველებმა 64 სოფელი თუ ქალაქური დასახლება შექმნეს თურქეთში. გადასახლებულთა რიცხვი სხვადასხვა დროს ასიათასობით იყო. ამაში არ იყვნენ მითვლილი მეგრელები. „საქართველოს ანექსიის შემდეგ დაახლოებით 300-400 ათასი ქართველი მუჰაჯირი გახდა. საერთო ჯამში კი მათი რიცხვი მეცხრამეტე საუკუნის ომებიდან მოყოლებული მილიონამდე აღწევს“ (ფუტკარაძე 1997: 16). შ. ფუტკარაძე იმოწმებს ერთ-ერთი რუსი სახელმწიფო მოხელის – **სვიატოსლავ მირსკის** წერილს ბათუმის გუბერნატორისადმი: „ბათუმის რეგიონის შემოერთებით რუსეთმა მოიპოვა ბუნებრივი ციხე-სიმაგრე კავკასიის საზღვრების ყველაზე სახიფათო კუთხეში. მაგრამ აქ მცხოვრები ხალხი მეომარი და დაუმორჩილებელია, მათი აქ დარჩენა შეუძლებელია, უნდა მოვიშოროთ ადგილობრივი მოსახლეობა“ (ფუტკარაძე 1997: 15). ცხადია, რომ რუსეთის იმპერიულ ზრახვებს, გაძლიერებულიყო კავკასიაში, მხოლოდ თურქეთი ვერ შეუშლიდა ხელს; ის კარგად ხედავდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ასე იოლად არ შეეგუებოდა რუსულ ჩექმას, პრობლემის მოსაგვარებლად კი მათი აყრა და გადასახლება ოპტიმალური გამოსავალი იყო. ეკონომიკური სიდუხჭირე და რელიგიური შეუთავსებლობა გახდა რუსული წნეხის

საუკეთესო მეკავშირე, რამაც ძირძველი ქართველი მოსახლეობა აიძულა დაეტოვებინა საკუთარი სახლ-კარი და სამკვიდრო უცხოეთში ეძებნა.

რუბრიკაში „**გეზი**“ ჟურნალი თურქეთელ ქართველებს მოკლე მიმოხილვით აცნობდა საქართველოს ქალაქებს. სასიხარულოდ ერთგვარად გასაკვირიც აღმოჩნდა, რომ პირველი ნომრის რუბრიკა იხსნებოდა ქუთაისის შესახებ სტატიით. სათაურში ჩვენი ქალაქი გურჯისტანის მეორე გულად იყო მოხსენიებული. ავტორი საუბრობდა ქალაქის მდებარეობაზე, ქუთაისს უწოდებდა საქართველოს მეორე დედაქალაქს, ისტორიას იწყებდა მინოსური ცივილიზაციიდან. იმოწმებდა ანტიკური ბერძნების შეხედულებას ქალაქზე, როგორც ეგრისის სამეფოს დედაქალაქზე, ახსენებდა აფხაზეთის სამეფოს მეფე ბაგრატს და ბაგრატის ტაძარს, ასევე, გელათს, როგორც გაერთიანებული საქართველოს სიმბოლოს. სტატიაში აღნიშნული იყო, რომ ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ქუთაისი იყო იმერეთის სამეფოს დედაქალაქი, რომელიც რუსების შემოსვლის შემდეგ მრავალჯერ გაიძარცვა.

ავტორი საუბრობდა მეოცე საუკუნის დასაწყისის ქალაქზე, როგორც კულტურის ცენტრზე, ახსენებდა იმ მწერლებს, რომლებიც აქ მოღვაწეობდნენ გასული საუკუნის დასაწყისში, სიმბოლისტებს, ასევე, ზაქარია ფალიაშვილს. მიმოიხილავდა ძეგლებს, ჟურნალ „განთიადს“; არ ტოვებდა გამოჩენილ სპორტსმენებს, რომლებიც ამ ქალაქიდან აფრინდნენ: მაია ჩიბურდანიძეს, ზ. საკანდელიძეს, მ. ქორქიას, ლ. ახვლედიანს – მოქანდაკეს.

სტატიას თან ერთვოდა ქუთაისის ხედების ამსახველი ორი სურათი; ერთი 1870-იანი წლების ბოლო, სადაც კათოლიკური ეკლესია მოჩანს და ფალიაშვილის ქუჩის ხედი, გვერდიდან თეატრის შენობა მოჩანს. ეს სურათები საიდან აიღეს, უცნობია, სავარაუდოდ, ალბომებიდან, რადგან ამ დროს ინტერნეტი არ იყო და ვერ ისარგებლებდნენ.



GEZİ

Gürcüstan'ın ikinci kalbi

Kutaisi


Kutaisi, Gürcüstan'ın İmereti bölgesinde harikulade olarak nitelenebilecek bir kenti. Başkent Tiflis'ten sonra, yaklaşık 250 bin nüfusuyla ülkenin ikinci büyük yerleşmesidir. Kent, Kutaisililerin dediği gibi "Gürcüstan'ın ikinci başkenti" olarak anılabilir.

Kutaisi, Rioni Irmağı kıyısında, ırmağın Kafkasların yamaçlarından indiği yerde kurulmuştur. Dünyanın ve Transkafkasya'nın en eski kentlerinden biridir. Antik Yunan mitolojisine ve tarihine göre kentin geçmişi Minos uygarlığı dönemine (İÖ 7-5. yy) kadar uzanır. Antik Yunanlılar, Kutaisi kralı Aieti'yi (Aietes) tanrı gibi büyük görüyorlardı. Ünlü Argonotların ulaştığı topraklar, egemen bir kent olan Kutaisi çevresiydi. Eski çağlarda Kutaisi, Kolheti'nin (Batı Gürcüstan) bilinen ilk kentiydi.

Egrisi (Lazika) Krallığı'nın başkenti olan Kutaisi, 6. yüzyılda yaklaşık 20 yıl Pers-Bizans savaşlarına sahne oldu. Persler tarafından işgal edilen kent, daha sonra Bizanslılar ve Gürcüler tarafından geri alındı. 8. yüzyıl sonlarında Kutaisi, birleşik Egrisi ve Abhazya krallıklarının başkenti oldu. 10. yüzyılda, birleşik Gürcüstan'ın kralı III. Bagrat, ülkenin birleşmesinin bir sembolü olarak Bagrat Manastırı'nı yaptırdı. Böylece kent, 978-1122 yılları arasında, birleşik Gürcüstan'ın başkenti olarak kaldı. Kurucu IV. Davit 1089 yılında burada taç giydi. 1106-1125 yıllarında, kentin hemen yakınlarında Gelati Manastırı ve Akademisi inşa edildi. 1489-1810 yılları arasında, Gürcüstan devletinin birkaç parçaya

1870'lerin sonu. Kentten bir görünüm. Köprü ve Katolik kilisesi.

mamuli - 16



GEZİ

bölündüğü dönemde Kutaisi İmereti Krallığı'nın başkentiydi. Kent, bu tarihten sonra, İmereti bölgesiyle birlikte Ruslar tarafından ilhak edildi. Kutaisi, tarihi boyunca birçok kez yağmalandı; bunların en önemlisi 1692 yılında Osmanlıların girişti̇ği hareketti.

Kutaisi, Gürcü kültürünün gelişmesinde önemli rol oynayan kentlerden biridir. İçinde yaşadığımız yüzyılda ünlü Gürcü yazar ve şairler Kutaisi'de yaşadılar ve burada yapıtlarını yazdılar. Bu kişiler arasında Akaki Tzereteli, Şalva Dadiani, Davit Kldiaşvili, Niko Lortkipanidze, Konstantine Gamsahurdia ve Leo Kiaçeli sayılabilir. 1911'de, sembolist şairler Paolo İaşvili, Titzian Tabidze, Kolau Nadiradze, Valerian Gaprindaşvili ve arkadaşları "Tsisperkantzelebi" (Mavi Boynuzlar) adlı topluluğu Kutaisi'de kurdular. 1914 yılında, ünlü şair Galaktion Tabidze'nin ateşli şiirlerini içeren ilk kitabı burada yayımlandı. Büyük Rus şair Vladimir Mayakovski Gürcüstan'da doğdu ve Kutaisi'de öğrenim gördü. Gürcü müziğinin dahilerinden Zakaria Paliaşvili Kutaisiliydi.

Gürcü klasiklerinin yanı sıra, dünya müzik sanatının en önemli örnekleri olan "Rigoletto". "La Travita", "Tosca", "Seville Berberi" Kutaisi'deki Opera Evi'nde sahnelendi. Kutaisi'nin kültür yaşamındaki en önemli gelişmelerden biri Kutaisi Senfoni Orkestrasi'nın kurulmasıydı.

Gürcü heykel okulunun kurucusu İakob Nikoladze, bü-

yük halk adamı Niko Nikoladze, ünlü dilci Niko Marr Kutaisi'yi çalışma mekânı olarak seçmişlerdi. Edebiyat gazetesi "Gantiadi" Kutaisi'de yayın yaşamına girdi. Nisan 1976'da Sanat Galerisi açıldı; galerinin üst salonlarında ünlü Gürcü ressam ve heykeltıraşların yapıtlarının teşhir edildiği sürekli sergiler yer aldı.

Kutaisi, ünlü çoksesli şarkılarıyla da tanınır. Bugün çok ünlü olan "Sulİko" ve "Tsitsinatela" Kutaisi kaynaklıdır. Kutaisi, dünyaca ünlü birçok sporcunun yetiştiği bir kenttir aynı zamanda. Dünya satranç şampiyonu Maia Çiburdanidze, ünlü basketçiler Zurab Sakandelidze ve Miheil Korkia, ünlü futbolcular T. Sulakvelidze, R. Şengelaia ve T. Kostava, ünlü dağcı L. Ahvlediani bunlardan bazılarıdır.

Bugünkü Kutaisi'den bir görünüm.

mamuli - 17

შემდეგ მოდიოდა სტატია თბილისზე, სახელწოდებით **„თბილისი ამაყი და ღარიბი“**. აღწერილი იყო ქალაქის ისტორია, იწყებოდა ლეგენდით და თბილისი რომ ცხელ წყალს ნიშნავს, მთებს შორის მოქცეული ოაზისი, მიმოიხილავდა ზოგად შტრიხებს და 90-იანი წლების კრიზისს ეხებოდა. ჩვენი ყურადრება მიიქცია სტატიის სათაურმა, – ავტორი ხაზგასმით აღნიშნავდა ქალაქის მოსახლეობის ინტელექტუალურობას, განათლებულობას, მაგრამ ამავე დროს აფიქსირებდა 90- იანი წლების უმძიმესი პერიოდის სიდუხჭირეს, მკაცრი ზამთრის აუტანლობას.

„მამული“ უფრო მეტი იყო, ვიდრე მხოლოდ ქართული თემების მიმომხილველი. მას მემკვიდრეობით გადმოეცა „ჩვენებურის“ ხაზი, რომ გაეშუქებინა ზოგადად კავკასიაში მცხოვრები ერების ეთნოკულტურული საკითხები. ამ მიზნით ჟურნალს ჰქონდა **ეთნოგრაფია-ფოლკლორის განყოფილება.** მასში თავმოყრილი იყო სტატიები ჩეჩნების, ადიღეელების, ჩერქეზების შესახებ, განხილული იყო მათი ფოლკლორი, წარმოდგენილი იყო „კავკასიური სახლის“ მიერ დასტამბული წიგნები, მაგალითად, ჩეჩნური ფოლკლორის შესახებ. იბეჭდებოდა ცნობილი ზეპირსიტყვიერი ტექსტებიც: ჩეჩნური „ზექა კოპრუზუ ანუ დაზვერვის ხიდი“; ადიღური „ბოიკუსი“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ განყოფილებაში მეგრული ფოლკლორის ნიმუშებიც იყო განთავსებული. შესაძლოა, ეს იმით ავხსნათ, რომ რუსული პოლიტიკა ყოველთვის ხელს უწყობდა ქართველების დაყოფას და მეგრელებს ცალკე ეთნოსად განიხილავდა, თურქეთში გადასულ მუჰაჯირებს შორის მრავლად იყვნენ მეგრელებიც, გარკვეულწილად ისინიც იქ გამოიყოფოდნენ დანარჩენი ქართველებისაგან.

ცნობილია, რომ თურქეთში კავკასიელი ერების წარმომადგენელთა საკმაოდ დიდი დიასპორა არსებობს. როგორც ჩანს, ამ დროისთვის მსგავსი ბეჭდური ორგანო რომელიმე კავკასიურ ენაზე არ არსებობდა და „მამული“

გამოდიოდა ერთგვარ გამაერთიანებელ გამოცემად, რომელიც უცხოეთში გადახვეწილ კავკასიელებს რაღაც ფორმით მიაახლებდა სამშობლოსთან, მით უფრო, რომ ისინი ისევ რკინის ფარდის მიღმა დარჩნენ.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რუბრიკა, რომელიც „მამულს“ ჰქონდა, ეს იყო **საბავშვო განყოფილება.** ძალიან საყურადღებოა ის, რომ ამ რუბრიკაში დაბეჭდილი იყო ტექსტები როგორც ქართულ, ისე თურქულ ენაზე. ბავშვებს შეეძლოთ წაეკითხათ ისტორიები აიეტის შესახებ, სულხან-საბას იგავები, ლექსები. აქვე იყო განთავსებული ფაჰრედინ ჩილოღლუს მიერ გამოცემული წიგნის შესახებ ინფორმაცია – „**დედა ენა ქართული წიგნიერების წიგნი**“, რომელიც მკითხველს აცნობდა ქართულ ასოებს, მართლწერას, აქ იყო ქართული სიტყვების თურქული შესატყვისები, ლექსიკონიცა და საკითხავი ნაწილები. ქართულ ტექსტებს თურქულადაც ჰქონდა შესატყვისი. დაინტერესებული მკითხველი, რომელსაც დიდი სურვილი ჰქონდა წაეკითხა და აღექვა ქართული ტექსტი, მაგრამ ენის არასაკმარისი ცოდნა ამაში ხელს უშლიდა, ტექსტის შინაარსს თურქულადაც გაეცნობოდა და ქართულ კითხვაშიც ცდიდა ბედს.

რუბრიკაში „**ქართული ლიტერატურული პორტრეტები**“ წარმოდგენილ სტატიებში ვრცლად იყო საუბარი ქართველ კლასიკოსებზე. პირველ და მეორე ნომერში დაიბეჭდა კ. სალიას წერილები ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელზე, ესენი გადმოტანილი იყო ჟურნალ „ბედი ქართლისადან“, რომელიც პარიზში გამოიცემოდა. მათში ვრცლად იყო განხილული მწერალთა ყოველმხრივი მოღვაწეობა, თხზულებათა პრობლემატიკა. დანარჩენ ნომრებში განთავსებული იყო სტატიები რუსთაველზე, ვაჟა-ფშაველაზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ალექსანდრე ყაზბეგზე. სტატიები იყო მუხრან მაჭავარიანზეც, ახალგაზრდა შემოქმედზე ეკა ბაქრაძეზე. ჟურნალის მესვეურები ცდილობდნენ თურქეთელი ქართველებისათვის გარკვეული წარმოდგენა შეექმნათ ქართულ მწერლობაზე. კლასიკოსებისა და მეოცე საუკუნის მწერალთა შესახებ სტატიებით ქართული ლიტერატურული თვითმყოფადი ხასიათის გაცნობით ჩვენებურებს უფრო მეტი წარმოდგენა ექმნებოდათ ისტორიულ სამშობლოზე.

ვრცელ წერილში – „**ლიტერატურული კავშირები**“ განხილული იყო ოთარ და თამაზ ჭილაძეების სტუმრობა თურქეთში, ქართველთა სათვისტომოს ცენტრში; სტატიის პათოსით იგრძნობოდა, რომ ქართველი მწერლების სტამბოლში ჩასვლა თურქეთელი ქართველებისათვის უდავოდ ძალიან დიდი მნიშვნელობის ფაქტი იყო. შეხვედრა გააშუქა თურქეთის ტელევიზიამაც. ეს იყო ორი ქვეყნის მწერალთა შეხვედრა, სადაც საუბარი შეეხო ურთიერთობების გაღრმავებასა და სახალხო დიპლომატიას. აღინიშნა, რომ ზოგადად ხელოვნებასა და ლიტერატურას დიდი როლი უნდა ჰქონოდა სახელმწიფოთა შორის მეგობრული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. ამ თვალსაზრისით უდავოდ მნიშვნელოვან და ერთ-ერთ პრიორიტეტულ საქმედ დასახელდა ქართველი და თურქი მწერლების შემოქმედების თარგმნა, რათა ორივე ქვეყნის მკითხველ საზოგადოებას უფრო მეტი წარმოდგენა ჰქონოდა მეზობელი სახელმწიფოების კულტურაზე. ჟურნალში დაიბეჭდა ლია ჩლაიძის მიერ თარგმნილი ლექსები ქართულად და თურქულად.

ჟურნალი „მამული“ აშუქებდა ყველა იმ კულტურულ ღონისძიებას, რომელსაც მართავდნენ თურქეთელი ქართველები. აღსანიშნავია სტატია „მაჭახელას ღამე“. აქ საუბარი იყო ქართული დიასპორის წარმომადგენელთა მიერ გამართულ წვეულებაზე, რომელიც გაამშვენიერა ქართული ცეკვის ანსამბლმა და ბაიარ შაჰინის გულში ჩამწვდომმა სიმღერებმა. ქართულმა ხალხურმა ცეკვებმა და სიმღერებმა დამსწრეთა სამშობლოს მონატრების ტკივილიცა და სიხარულიც უფრო მეტად გააღრმავაო, – მიუთითებდა წერილის ავტორი.

მართალია, ჟურნალ „მამულის“ სულ ხუთი ნომერი გამოვიდა და შემდეგ შეწყდა მისი გამოცემა, მაგრამ მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში თურქეთის ქართველებში. იგი იყო ერთგვარი შუალედური რგოლი ჟურნალებს „ჩვენებურებსა“ და „ფიროსმანს“ შორის. მასში გაშუქებული საკითხები, – საქართველოში მიმდინარე მოვლენების მიმოხილვა, კლასიკოს მწერალთა გაცნობა, ქართული ტექსტების ორივე ენაზე (ქართულ და თურქულ) დაბეჭდვა – სამშობლოს მოწყვეტილი ჩვენებურებისათვის საკუთარი ვინაობის დადასტურების, არდავიწყებისა და მუდმივი კავშირის საუკეთესო საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს.

დასკვნა

თურქეთში გადახვეწილი ქართველებისა და მათი შთამომავლებისათვის ჟურნალი „მამული“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბეჭდური გამოცემაა, რომელმაც საკუთარი წვლილი შეიტანა ჩვენებურების იდენტობის გააზრებასა და ფიქსაციაში.

მასში შეტანილი რუბრიკები ხელს უწყობდა ქართული და ზოგადად კავკასიური კულტურის პოპულარიზაციას თურქეთში გადასახლებულ თუ გადახვეწილ ქართველთა და კავკასიელთა შორის; ახსენებდა მათ დაკარგულ სამშობლოს; აძლევდა საშუალებას ჟურნალის ფურცლებზე ეხილა ქართული ასოები და შეძლებისდაგვარად წაეკითხა ქართული ტექსტები.

შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალმა „მამულმა“ ჩვენებურებისათვის, მართალია, მცირე დროით, მაგრამ საკმაოდ შთამბეჭდავად, იკისრა ისტორიულ სამშობლოსთან სულიერი მეკავშირის ფუნქცია.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

დაუშვილი... 2012: დაუშვილი რ., კალანდაძე გრ., კობახიძე რ., ტარტარაშვილი თ., ქართველები უცხოეთში (ოზქან-მელაშვილი აჰმედ). თბილისი. გვ. 154-155.

თავისუფალი საქართველო: თავისუფალი საქართველო, ქართული ენციკლოპედია. https://georgianencyclopedia.ge/ka/form/28586 .დამოწმება: 12.09.2025.

მამული 1997/1: ჟურნალი „მამული“, №1, იანვარი (თურქულად).

მამული 1997/2: ჟურნალი „მამული,“ №2, აპრილი (თურქულად).

მამული 1997/3: ჟურნალი „მამული,“ №3, ივნისი (თურქულად).

მამული 1997/4: ჟურნალი „მამული“, №4, ოქტომბერ-დეკემბერი (თურქულად).

მამული 1997/5: ჟურნალი „მამული“, №5, მაისი (თურქულად).
ფუტკარაძე 1997: ფუტკარაძე შ., ემიგრანტი ანუ მუჰაჯირი ქართველები თუ ჩვენებურები. ჟურნალი „მამული“, №2, გვ. 14-18.

References and sources

Daushvili… 2012: Daushvili R., Kalandadze Gr., Kobakhidze R., Tartarashvili T., Georgians Abroad (Ozkan-Melashvili Ahmed). Tbilisi. pp.154-155.
Free Georgia: “Free Georgia”, Georgian Encyclopedia. https://georgianencyclopedia.ge/ka/form/28586 .Verification: 12.09.2025.
Mamuli 1997/1: Journal “Mamuli”, №1, January (in Turkish).
Mamuli 1997/2: Journal “Mamuli”, №2, April (in Turkish).
Mamuli 1997/3: Journal “Mamuli”, №3, June (in Turkish).
Mamuli 1997/4: Journal “Mamuli”, №4, October-December (in Turkish).
Mamuli 1997/5: Journal”Mamuli”, №5, May (in Turkish).
Putkaradze1997: Putkaradze Sh., Emigrant or Muhajir Georgians or Our Own. Journal “Mamuli, №2, pp.14-18.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.14

დიმიტრი შალიკაშვილის „საქართველოს წარმომადგენლობა თურქეთში 1921 წელს“, როგორც მემუარული ჟანრის ტექსტი

DIMITRI SHALIKASHVILI'S *"THE DIPLOMATIC REPRESENTATION OF GEORGIA IN TURKEY IN 1921"*: A TEXT OF THE MEMOIR GENRE

ნესტან კუტივაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Nestan Kutivadze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

აბსტრაქტი

დიმიტრი შალიკაშვილი XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული ემიგრაციის ერთ–ერთი საყურადღებო წარმომადგენელია. საქართველოს სამხედრო ატაშეს საგულისხმო მემკვიდრეობა დარჩა, რომელიც მოიცავს დღიურებს, მოგონებებსა და ემიგრანტულ პრესაში გამოქვეყნებულ წერილებს. ეს ტექსტები ქართველ ემიგრანტთა მიერ დატოვებული ღირებული კულტურული მემკვიდრეობაა. ამ მხრივ არც დიმიტრი შალიკაშვილის ტექსტებია გამონაკლისი. ასეთი ოპუსები ყოველთვის გამოირჩევა როგორც ისტორიული ვითარების ცხოველმყოფელი აღწერით, ისე წარსულ კულტურულ თუ საზოგადოებრივ პროცესთან ემოციური კავშირით.

როგორც ცნობილია, 1921 წელს ანაკარაში, მაშინდელ ანგორაში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) წარმომადგენლობა იმყოფებოდა ქემალისტურ თურქეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად. დიმიტრი შალიკაშვილის ჩანაწერებში სწორედ ამ მისიის შესახებაა მოთხრობილი.

დ. შალიკაშვილის დღიურებს არაერთი მნიშვნელოვანი ასპექტი გააჩნია. ჩანაწერებში მკაფიოდ ჩანს საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების მისწრაფებები, არეკლილია საქართველო–თურქეთის მაშინდელი ურთიერთობები, ცოცხლადაა შემონახული XX საუკუნის დასაწყისის თურქეთის კულტურულ–საზოგადოებრივი რეალიები, ასახულია ბოლშევიკების მიმართ დამოკიდებულება თურქეთში.

დიმიტრი შალიკაშვილის დღიურები წარმოადგენს მრავალმხრივ საგულისხმო ტექსტს. ის პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის განუყოფელი ნაწილია ავტორისა თუ სხვა პერსონაჟების თავგადასავლით. ის არაჩვეულებრივად აღადგენს XX საუკუნის დასაწყისის საერთაშორისო ატმოსფეროს, პატარა მებრძოლი ქვეყნის საბედისწერო დამოკიდებულებას სხვა სახელმწიფოთა ინტერესებზე. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია როგორც მემუარული ჟანრის ნაწარმოები, რომელიც ავლენს ავტორის სტილისათვის დამახასიათებელ არაერთ მარკერს – ოსტატურად დახატული ისტორიულ პირთა პორტრეტები, გამოკვეთილი პიროვნული შტრიხები და სხვ. სტუმარმასპინძლობის, გარემოს, ჩაცმულობისა თუ სხვა დეტალების ფიქსირებით; ასევე, ნიშანდობლივი წიაღსვლებით ტექსტი საყურადღებოა კულტუროლოგიული თვალსაზრით და კარგად წარმოაჩენს დიმიტრი შალიკაშვილის ფართო თვალსაწიერსა და მასშტაბურ აზროვნებას, რის გამოც „საქართველოს წარმომადგენლობა თურქეთში 1921 წელს“ ქართული ემიგრანტული ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი საგულისხმო ნიმუშია.

საკვანძო სიტყვები: ქართული ემიგრაცია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ქემალისტური თურქეთი.

ABSTRACT

Dimitri Dimitri Shalikashvili represents one of the prominent figures of the Georgian émigré community of the 1920s. As a Georgian military attaché, he left behind a significant legacy that includes diaries, memoirs, and articles published in the émigré press. These texts form part of the valuable cultural heritage preserved by Georgian emigrants. Dimitri Shalikashvili's works are no exception in this regard. Such writings are always distinguished both by their vivid depiction of historical circumstances and by their emotional engagement with the cultural and social processes of the past.

It is well documented that in 1921 the representation of the Democratic Republic of Georgia (1918–1921) was present in Ankara—then known as Angora—with the objective of establishing diplomatic relations with Turkish Kemalist authorities. The notes of Dimitri Shalikashvili provide an account of this diplomatic mission.

The diaries of D. Shalikashvili encompass several important aspects. The entries distinctly reflect the aspirations of the democratic government of Georgia and the relations between Georgia and Turkey at the time. They vividly preserve the cultural and social realities of early twentieth-century Turkey, and document attitudes toward the Bolsheviks in Turkey.

The diaries represent a text of multifaceted scholarly and cultural significance. They form an integral part of the historical narrative of the First Democratic Republic of Georgia, conveyed through the author's adventures and those of other participants in the events described. The text vividly reconstructs the international atmosphere of the early twentieth century and reveals the dramatic dependence of a small and embattled nation upon the geopolitical interests of other powers. At the same time, the

work is of considerable importance as a memoir text, displaying numerous stylistic markers characteristic of the author's narrative manner, including skillfully rendered portraits of historical personalities, distinct personal traits, and detailed observations concerning hospitality, environment, clothing, and other aspects of everyday life. Through such descriptive observations and characteristic digressive passages, the text also acquires particular significance from a cultural perspective, revealing the author's broad intellectual outlook and expansive thinking. For these reasons, *The Diplomatic Representation of Georgia in Turkey in 1921* may be regarded as one of the significant examples of Georgian émigré literary heritage.

Keywords: Georgian émigré community, Democratic Republic of Georgia, Mustafa Kemal Atatürk.

შესავალი

დიმიტრი შალიკაშვილი XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი საყურადღებო წარმომადგენელია. ქართველი ოფიცერი 1921 წელს საქართველოს დიპლომატიური მისიის წევრი იყო თურქეთში, საიდანაც რუსული ოკუპაციის გამო აღარ დაბრუნებულა. სტამბულიდან ის პოლონეთში გაემგზავრა, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში კი ამერიკაში, კერძოდ ილინოისის შტატში, გადავიდა საცხოვრებლად (იხ. დაუშვილი 2014: 184-186; შარაძე 2003: 46-51; Shalikashvili 1920-1960). საქართველოს სამხედრო ატაშეს დარჩა მდიდარი არქივი, რომელიც მოიცავს დღიურებს, მოგონებებსა და ემიგრანტულ პრესაში გამოქვეყნებულ წერილებს.

ქართველ ემიგრანტთა შემოქმედება ძალზე ღირებული კულტურული მემკვიდრეობაა. ამ მხრივ არც დიმიტრი შალიკაშვილის ტექსტებია გამონაკლისი. ასეთი ოპუსებისათვის ნიშანდობლივია არა მარტო ისტორიული ვითარების ცხოველმყოფელი აღწერა, არამედ წარსულ კულტურულ თუ საზოგადოებრივ პროცესთან ემოციური კავშირი. თვითმხილველის მიერ გადმოცემული და შეფასებული მოვლენები ახალ სიცოცხლეს ანიჭებს მშრალ ისტორიული ფაქტებს. გარდა ამისა, ასეთ ტექსტებს ლიტერატურული ფასეულობაც გააჩნია, რაც კიდევ უფრო ზრდის მათს მნიშვნელობას.

დიმიტრი შალიკაშვილის ჩანაწერებში მოთხრობილია 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობის ვიზიტის შესახებ ანაკარაში, მაშინდელ ანგორაში. პირველად დღიურების ბეჭდვა დაიწყო ვიქტორ ნოზაძის რედაქტორობით გამომავალმა ემიგრანტულმა გამოცემამ „მამული“ (№4, 1951; №6, 1953). სრულყოფილი სახით დ. შალიკაშვილის „საქართველოს წარმომადგენლობა თურქეთში 1921 წელს“ 1973 წელს გამოქვეყნდა ასევე ვიქტორ ნოზაძის რედაქტორობით გამომავალ ჟურნალ „კავკასიონში“ (XVI-XVII, 1972/73), მოგვიანებით ეს უკანასკნელი გურამ შარაძემ დასტამბა (შარაძე 2003: 51-153).

აღსანიშნავია, რომ „კავკასიონში“ გამოქვეყნებულ დღიურებს წინ უძღოდა ვიქტორ ნოზაძის შესავალი წერილი, რომელშიც მეცნიერი,

გარდა იმისა, რომ დღიურებს აფასებდა, როგორც ქართული მემუარული პროზის ნიმუშს, თხზულების უკეთ გასააზრებლად მიმოიხილავდა 1921 წლის საქართველო-თურქეთის ურთიერთობებს, თურქეთში არსებული ისტორიული ვითარების პერიპეტიებს და აღადგენდა ისტორიულ კონტექსტს.

ჩანაწერები მოიცავს 1920 წლის 27 დეკემბრიდან 1921 წლის 20 მარტამდე პერიოდს, თუმცა გამოტოვებულია 16-23 თებერვალი. ამ დეტალზე იმთავითვე გაამახვილა ყურადღება ვიქტორ ნოზაძემ. „სწორედ ის დღეები, როცა ქართულმა მისიამ ანგორაში პირველად გაიგო საქართველოზე რუსეთის თავდასხმის შესახებ და როცა საქართველოს წარმომადგენელი სვიმონ მდივანი მოლაპარაკებას ეწეოდა ქემალისტური თურქეთის მთავრობასთან სამეგობრო ხელშეკრულების დადებისა და ამასთან დაკავშირებით თურქეთ-საქართველოს საზღვრების დადგენის შესახებ. 16-23 თებერვლის ჩანაწერი არც რვეულებში და არც ქაღალდებში არა ჩანს. არ იყო ჩაწერილი? დაიკარგა? გამოურკვეველია“ (შალიკაშვილი 1973: 128), – წერს ვ. ნოზაძე, რომელიც აქვე მიუთითებს, რომ ხელნაწერი მან შემთხვევით აღმოაჩინა ვარბურგში (ვესტფალია), „ფერბინდუნგ შტაბის“ არქივში, 1945 წელს და თარგმნა ნაწილი რუსულიდან, ნაწილი კი – ფრანგული ენიდან. დღიურს თან ახლავს და, შესაბამისად, პუბლიკაციასაც „ზოგიერთი საბუთი”, რომლებიც ძირითადად მოიცავს ტელეგრამებსა და სხვა ხასიათის მიმოწერას, რითაც დასტურდება ჩანაწერებში გადმოცემული ინფორმაცია. დღიურების წინასიტყვაობა 1945 წლით თარიღდება, რაც ნიშნავს, რომ „ანგორა...“ საკმაოდ გვიან გამოქვეყნდა იმის შემდეგაც, რაც ეს უკანასკნელი ვიქტორ ნოზაძის ხელში აღმოჩნდა.

გარდა იმისა, რომ დ. შალიკაშვილის დღიურები შესაძლებელია შეფასებულ იქნეს როგორც მემუარული ჟანრის თხზულება, მას სხვა მნიშვნელოვანიასპექტებიცგააჩნია.მათშორისუმთავრესია,რომგადმოსცემს იმდროინდელი საქართველოსა და თურქეთის ისტორიულ რეალიებს, ამასთან, აირეკლავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ ქემალისტურ თურქეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების პერიპეტიებს, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მისწრაფებებსა და მიზნებს, ბოლშევიკების მიმართ დამოკიდებულებას თურქეთში. ჩანაწერებში იხატება ისტორიულ პერსონაჟთა საგულისხმო პორტრეტები, რომლებიც იკინძება კონკრეტული ამბებიდან, ცოცხლადაა შემონახული XX საუკუნის დასაწყისის თურქეთის კულტურულ-საზოგადოებრივი პლასტები.

კვლევის მეთოდები

კვლევა ეფუძნება დესკრიფციულ და ანალიტიკურ მეთოდებს, ასევე, გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი, ლიტერატურათმცოდნეობითი და სოციოკულტურული ანალიზი.

მსჯელობა

როგორც ცნობილია, 1920 წლის 27 დეკემბერს თურქეთში დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად გაემგზავრა საქართველოს წარმომადგენლობა, რომელიც ანკარაში 1921 წლის 31 იანვარს ჩავიდა. დელეგაციის შემაგენლობაში იყვნენ: ხელმძღვანელი –

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი სიმონ გურგენის ძე მდივანი, სამხედრო მრჩეველი – გენერალი ალექსანდრე ერისთავი, მისიის საქმეთა მწარმოებელი – არისტო ჭუმბაძე, ატაშე – მელიტონ (ოსმან–ბეი) ქარცივაძე, ატაშე – ზია-ბეი აბაშიძე; საგანგებო დავალებათა ოფიცერი ლეიტენანტი დიმიტრი შალიკაშვილი და ოფიცერი – ემუხვარი, ორი შიკრიკი – ჯარისკაცი. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ, რა თქმა უნდა, მთლიანად შეცვალა საქართველოს ისტორიაც და ამ მისიამაც თავისი მიზანი ვერ განახორციელა, მაგრამ ჩანაწერებმა შემოინახა თავგადასავალი საკუთარი სამშობლოსთვის დამაშვრალი ადამიანებისა, რომლებმაც ძალ-ღონე არ დაიშურეს საქართველოს დამოუკიდებლობა განემტკიცებინათ დიპლომატიური გზებით.

ავტორი აღწერს ქართული დელეგაციის შეხვედრებს სხვადასხვა ქალაქის ხელმძღვანელობასთან, გადმოსცემს თურქულ თუ ევროპულ პრესაში გამოქვეყნებულ ინფორმაციას მიმდინარე პროცესებზე. დღიურები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღწუსხავს საქართველოში განვითარებულ ისტორიულ მოვლენებს. დ. შალიკაშვილი პარალელურად რეფლექსირებს იმ ამბებზე, რომლებიც აზერბაიჯანსა და სომხეთში ხდება. აშკარაა, რომ ამის მიხედვით იცვლება თურქეთში მყოფი ქართული დელეგაციის განწყობილებაც და ამოცანებიც. ჩანაწერებში კარგად ჩანს ბოლშევიკების დაუნდობელი ბუნება, ქართველი ერისთვის მოწყობილი ტერორი, ხალხის წინააღმდეგობა და ბრძოლა „ბარბაროსების“ წინააღმდეგ (შალიკაშვილი 1973: 159).

დიმიტრი შალიკაშვილის დღიურები სიმონ მდივნის საკმაოდ შთამბეჭდავპორტრეტსხატავს.საქართველოსსოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი, თავისუფალი სომხეთის რესპუბლიკის ყოფილი პირველი ელჩი წარმოსდგება, როგორც გონიერი და გაწონასწორებული დიპლომატი, რომელიც კარგად ხედავს საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას, ზედმიწევნით სწორად ესმის ევროპისკენ სვლის სასიცოცხლო მნიშვნელობა დემოკრატიული სახელმწიფოსთვის, საქართველო-თურქეთის მჭიდრო ურთიერთობის როლი მეზობელი ხალხების დაახლოების საქმეში.

დღიურები მრავალ საგულისხმო ეპიზოდს ასახავს, მათ შორის ენობრივი კომუნაკიციის დეტალებსაც. როგორც ირკვევა, მიუხედავად იმისა, რომ სიმონ მდივანმა იცოდა ფრანგული ენა, ვერ წარმოთქვამდა ვრცელ სიტყვებს, რის გამოც შეხვედრებზე გამოდიოდა ქართულად, ხოლო ფრანგულად თარგმნიდა არისტო ჭუმბაძე, თურქულად კი – ქართული წარმოშობის ადგილობრივი მოხელეები, ზოგჯერ თურქეთის საგარეო მინისტრსაც უწევდა თარჯიმნობის შეთავსება.

მოგზაურობის სირთულეებს კარგად აჩვენებს ის ფაქტი, რომ ანგორამდე ჩასასვლელად საქართველოს დელეგაციას 35 დღე დასჭირდა. აღსანიშნავია, რომ სადგურზე საგარეო საქმეთა წარმომადგენელი და საგარეო საქმეთა მინისტრის ვაჟი შევქეთ-ბეი ხვდებათ (შალიკაშვილი 1973: 144), რაც უდავოდ პატივისცემის გამოხატულებაა. ქართული დელეგაცია მხოლოდ 1921 წლის 2 თებერვალს ახერხებს თურქეთის საგარეო კომისრისათვის რწმუნებულების სიგელის გადაცემას, ოფიციალური ცერემონიალი კი 8 თებერვალს იმართება თურქეთის რესპუბლიკის დამფუძნებლის – მუსტაფა ქემალ ათათურქის (ქემალ-ფაშას) მოუცლელობის გამო.

ჩანაწერებმა კარგად შემოინახა როგორც ქართული დელეგაციის სამზადისი, ისე უშუალოდ შეხვედრის დეტალები. ს. მდივანს რწმუნების სიგელის ჩაბარების დროს წარმოსათქმელი საპასუხო სიტყვა წინასწარ ქართულად დაუწერია და შემდეგ ყველას ერთად უთარგმნიათ ფრანგულად (შალიკაშვილი 1973: 147). შეხვედრისას ქემალ-ფაშას ადიუტანტი ყოფილა დიდი ხნის წინ თურქეთში საცხოვრებლად წასული აფხაზი ანჩაბაძე, რომელიც ვერ ლაპარაკობდა აფხაზურად. შეხვედრას ქართული მისიის ხუთი წევრი დასწრებია: სიმონ მდივანი, გენერალი ერისთავი, არისტო ჭუმბაძე, ემუხვარი და თავად შალიკაშვილი, თურქეთის მხრიდან კი ყოფილან: ქემალ-ფაშა და იკმეტ-ბეი, კანცელარიის დირექტორი, რომელიც ამავე დროს თურქულიდან თარგმნიდა ქემალ-ფაშას ტექსტს. მხარეებს, არსებული წესის შესაბამისად, ერთმანეთისთვის გადაუციათ წარმოსათქმელი სიტყვის ასლები და პირდაპირ შესდგომიან საუბარს, რომელიც, როგორც ირკვევა, სამ ენაზე მიმდინარეობდა. მდივანი ლაპარაკობდა ქართულად, ფრანგულად თარგმნიდა არისტო ჭუმბაძე, ხოლო ფრანგულიდან თურქულად კანცელარიის დირექტორი. მუსტაფა ქემალიც ფრანგულად ცუდად ლაპარაკობდა თურმე, რის გამოც იკმეტ-ბეი ზოგჯერ აჩერებდა მას და თავიდან თარგმნიდა შემდეგ. დ. შალიკაშვილის ჩანაწერების მიხედვით, შეხვედრაზე საგრძნობი ყოფილა, რომ ქემალ ათათურქი შეხვედრას მნიშვნელოვნად თვლიდა.

დღიურში საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი სხვა ნიუანსებიც. ქემალ-ფაშას კაბინეტი საკმაოდ კარგი, „ანგორისათვის ძვირფასად“ მოწყობილი ოთახი ყოფილა. „ქემალ-ფაშა საშუალო ტანის კაცია. გამხდარი სახისა ნაზი და საინტერესო ხაზებით. შეკრეჭილი ულვაშები. ჭკვიანი სახე, ნებისყოფის მაჩვენებელი. აცვია კარგად ვიზიტკა. ს. მდივანი და ჭუმბაძეც ვიზიტკაში არიან“ (შალიკაშვილი 1973: 149), აქვე შენიშნავს იმასაც, რომ შეხვედრა საათსა და 15 წუთს გაგრძელდა, რომ გაუმასპინძლდნენ ყავითა და პაპიროსით.

ცალკეული ტექსტების გარდა, დღიურებში ფიქსირებულია ამ შეხვედრის საერთო სულისკვეთება, აქცენტები, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობასთან ერთად შეეხება თურქეთისა და კავკასიის გაძლიერების აუცილებლობას. დ. შალიკაშვილის ჩანაწერის მიხედვით, სიმონ მდივანი ხაზს უსვამს, რომ 117 წლის განმავლობაში ცარიზმის უღლის წინააღმდეგ მებრძოლმა დამოუკიდებელმა საქართველომ კარგად იცის თურქეთის მოკავშირეობის მნიშვნელობა მთლიანად კავკასიისთვის (შალიკაშვილი 1973: 149), ხაზგასმულია ქემალ ათათურქის მოსაზრება, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა და მოღვაწეობა ჰგავს თურქეთის ეროვნული ყრილობის პროგრამას, რასაც კარგი სამსახურის გაწევა შეუძლია, აქვეა ს. მდივნის მინიშნება, რომ დამოუკიდებლობის საკითხში საქართველოში სხვა პარტიებიც საერთო პოზიციაზე იმყოფებიან (შალიკაშვილი 1973: 149), – აღნიშნულ საკითხში ერთიანობაზე ასეთ ხაზგასმას, როგორც ჩანს, უნდა გაემყარებინა საქართველოს პოზიციები.

ჩანაწერებში საგანგებოდაა მინიშნებული, რომ შეხვედრისას აქვენტირებული იყო ორივე მხარის მიერ გულწრფელობაზე დაფუძნებული

ურთიერთობა, მაგრამ დ. შალიკაშვილი აქვე საყვედურით წერს: „მთელი საუბრის განმავლობაში ერთჯერაც არ იქნა ნახსენები რუსეთის სახელი. იმის და მიუხედავად, რომ ორივე ლაპარაკობს, წინააღმდეგი ვართ საიდუმლო დიპლომატიისაო, ჩანს, მის წესებს ასრულებენ“ (შალიკაშვილი 1973: 150), – რაც სავსებით გასაგებია მაშინდელი ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით. ჩანაწერებში არაერთხელ კულტივირდება კავკასიის კონფედერაციის იდეაც, დ. შალიკაშვილი ვარაუდობს, რომ თავად ს. მდივანიც მხარს უჭერდა ამ იდეას. რა თქმა უნდა, ისტორიული პერიპეტიების ანალიზი არ წარმოადგენს ამ სტატიის მიზანს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩანაწერები კარგად აჩვენებს საქართველოს მდგომარეობის სიმყიფეს; ქართულ წარმომადგენლობას არ აქვს ილუზია, რომ საერთაშორისო ვითარების კვალდაკვალ თურქეთის დამოკიდებულება უცვლელი დარჩება (შალიკაშვილი 1973: 150) და კარგად გრძნობს ქვეყნის გარეთ მიმდინარე საერთაშორისო მოვლენებით საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის განსაზღვრულობას.

ასეთი მძიმე ფონის მიუხედავად, ის ფაქტი, რომ ქართული დელეგაცია საგანგებოდ დააყოვნეს ესკეშირში, რომ საელჩოს შენობა შესაფერისად მოემზადებინათ (გამოყოფილი ჰქონდათ კარგად მოწესრიგებული პატარა სააგარაკო სახლი ახალი ავეჯით, ჰყავდათ მოსამსახურეებიც (შალიკაშვილი 1973: 144), რომ შეხვედრიდან მობრუნებულებს უკვე უფლება ჰქონდათ მისიის თავზე აღემართათ დროშა და გამოეკიდათ გერბი, მაინც უტოვებდათ იმედს, რომ შეძლებდნენ წარმომადგენლობის უმთავრესი მიზნის განხორციელებას: საზღვრების დადგენას, მოწესრიგებას, ფაქტობრივ მდგომარეობასა და 1918 წლის საზავო ხელშეკრულებას შორის არსებული ცვლილებების იურიდიულად გაფორმებას.

დღეს, როდესაც უკვე მეტ-ნაკლებად განსჯილია ამ პერიოდის მოვლენები და ფაქტები, დღიური კიდევ უფრო დიდ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს საქართველოს დელეგაციის „განწირული სულისკვეთების“ ყოველდღიური აღწუსხვით, დელეგაციისა, რომელსაც ინფორმაციის მისაღებად ტელეგრაფებში ღამის გათენება უწევდა „მავთულების“ შეფერხების გამო.

შეიძლება ითქვას, რომ დღიურის ერთ–ერთი ყველაზე ამაღელვებელი ნაწილია 14 მარტის ჩანაწერი, რომელიც შეეხება ბოლშევიკების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მისიის გაუქმებასა და ანგორაში საქართველოს წარმომადგენლის სტატუსის საბჭოთა რუსეთის წამომადგენელ ბუდუ მდივნისათვის გადაცემას. „ეს პირველი ამბავია ანგორაში წარმომადგენლობის შეცვლის შესახებ. ყველამ იცის ორივე წარმომადგენლის გვარია მდივანი და ორივენი ძმანი არიანო. გაზეთი ამას ირონიით იხსენიებს“ (შალიკაშვილი 1973: 167), – მრავალმნიშვნელოვნად შენიშნავს დ. შალიკაშვილი.

დიმიტრი შალიკაშვილის ტექსტში რამდენჯერმე ჩნდება ბუდუ მდივნის გვარი. აღნიშნულია ქართული მისიისა და ბუდუ მდივანს შორის კომუნიკაციის შესახებაც. დელეგაციის ერთ-ერთი წევრი, ქარცივაძე, სიმონის დავალებით რამდენიმეჯერ შეხვედრია ელჩის ბოლშევიკ ძმას, რის შემდეგაც სამინისტროში დეპეშაც გამოუგზავნიათ, მაგრამ

შეხვედრებისა და დეპეშის შინაარსი დ. შალიკაშვილისათვის სადუმლოდ დარჩენილა (შალიკაშვილი 1973: 158), 4 მარტის ჩანაწერი იტყობინება, რომ ქემალ-ფაშამ მიიღო ბუდუ მდივანი, რაც სიმონ მდივანს სამართლიანად აფიქრებინებს, რომ „თურქებმა უკვე გამოარკვიეს თავისი პოლიტიკა ევროპისა და რუსეთის მიმართ და ახლა შეუძლიათ მდივანს გარკვეული პასუხი მისცენო“ (შალიკაშვილი 1973: 160), – წერს დ. შალიკაშვილი.

საკმაოდ მშრალად აღწერილი ეს ფაქტები საქართველოს ტრაგიკული ისტორიის ფურცლებია. ტრაგიკული და დრამატულია ეს ამბავი თავად ძმებ მდივნებისთვისაც. ისინი ერთსა და იმავე, 1937, წელს აღესრულნენ. ეს თარიღიც სიმბოლურია. სიმონი ემიგრაციაში გარდაიცვალა, პატივით დაკრძალეს ლევილის სასაფლაოზე, როგორც სახელმწიფო მოღვაწე. მის დაკრძალვას დაესწრო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სრული შემადგენლობა ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით, ქართველი და უცხოელი მეგობრები, დარჩა ოთხი ქალიშვილი (შარაძე 1993: 31-38), ხოლო ბუდუ საქართველოში დახვრიტეს, დახვრიტეს მისი შვილებიც (მდივანი 2025; მდივანი 2025ა).

დ. შალიკაშვილის „ანგორა...“ ფართო თვალსაწიერის მქონე ტექსტია. ეს უკანასკნელი მრავალ საგულისხმო შრეს მოიცავს, უმთავრესი ამბის პარალელურად ავტორი აკვირდება გარემოს, ამჩნევს დეტალებს, იშველიებს სხვათა მოსაზრებებს, რომ უფრო სარწმუნო გახადოს ის, რაზეც მოუთხრობს მკითხველს.

ერთ-ერთი მთავარი პლასტი, რომელიც პირველივე ფურცლებიდან იკვეთება, ბოლშევიკების მიმართ დამოკიდებულებაა. დ. შალიკაშვილი აღწერს 30 დეკემბერს ტრაპიზონის სამოქალაქო გუბერნატორის სასახლეში გამართულ მასპინძლობას, რომელზეც ერთმა მორცხვმა ახალგაზრდამ მეტად მორიდებულად მიულოცა გუბერნატორს თურქეთის ახალი სახელმწიფოს დაარსების წლისთავი. „ორი წუთი იჯდა, მერმე თავი დაუკრა ყველას, რაღაც წაილუღლუღა „ამხანაგების“ შესახებ და წავიდა თავის თარჯიმანთან ერთად. მისი წასვლის შემდეგ ყველას ღიმილი მოუვიდა და დაიწყეს ხუმრობა“ (შალიკაშვილი 1951: 127), – სხვებთან ერთად ირონიზირებს დ. შალიკაშვილი. ამ მრავლისმთქმელი გროტესკით ჩანაწერში ბოლშევიკური რუსეთის წარმომადგენლის გაუბედაობასა და სიმორცხვეზე აქცენტი, ბუნებრივია, მიზანმიმართულად კეთდება.

უნდა ითქვას, რომ ბოლშევიკური რუსეთის რეცეფცია დღიურების საგულისხმო ნაწილია. ბოლშევიკებთან დაკავშირებული ეპიზოდები მთელ ტექსტშია გაფანტული და რეფლექსირებული. ბედის ირონიით სამსუნში საქართველოსა და ბოლშევიკური რუსეთის მისიები ერთსა და იმავე სასტუმროში აღმოჩნდნენ დაბინავებული. აღსანიშნავია, რომ ანგორას მიმავალი რუსული მისიის მეთაურიც აფხაზი ეშბა ყოფილა.

მიუხედავად იმისა, რომ ქემალისტური თურქეთი და ბოლშევიკური რუსეთი გაერთიანდა ანტანტის ქვეყნების წინააღმდეგ, ასევე, როგორც თურქი ნაციონალისტებისათვის, ისე რუსი ბოლშევიკებისათვის ერთნაირად მისაღები აღმოჩნდა მსოფლიო პროლეტარიატის რევოლუციის სახელით „იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლა, ძალზე აშკარაა ბოლშევიკების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება თურქეთში. ამ

მოგზაურობას დაწყებიდან დასრულებამდე გასდევს კონკრეტული ამბები, რომლებიც აირეკლავს თურქების ანტიპატიას ბოლშევიკების მიმართ. „უცნაური მდგომარეობაა. ბოლშევიკები ქემალისტების მოკავშირენი არიან, მაგრამ მათ თურქები პატივით არ ეპყრობიან (...). მათ ყველგან დაბრკოლებებს უქმნიან. ბექირ-ბეი (თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი – ნ.კ.) მუდმივ ჩვენთან ზის სალონში, სადაც უშვებენ ან მის, ან ჩვენ ხალხს მხოლოდ. ჩვენს შორის საუკეთესო განწყობილებაა. ბოლშევიკები თავის ოთახებში სხედან და მხოლოდ სასადილოდ მოდიან საერთო დარბაზში“ (შალიკაშვილი 1951: 127), – ეს პასაჟი მკაფიოდ აჩვენებს, რომ კონკრეტული ვითარების გამო გაჩენილი საერთო ინტერესები ვერ წარმოშობს ადამიანურ კეთილგანწყობას და ეს უკანასკნელი გაცილებით ღრმა ფენომენია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ბედი ბოლშევიკური რუსეთის აგრესიამ გადაწყვიტა, ავტორი ცდილობს დარჩეს ობიექტურ მთხრობელად. ნიშანდობლივია, რომ დ. შალიკაშვილი რუსულ ბოლშევიზმთან დაკავშირებით მხოლოდ საკუთარი შთაბეჭდილების საფუძველზე არ გვიამბობს, ის ყურადღებას ამახვილებს თურქეთში მყოფი ამერიკული და ევროპული მისიების წარმომადგენლების განსხვავებულ დამოკიდებულებაზეც: ამერიკელს მიაჩნია, რომ ბოლშევიზმი გავლენას ახდენს თურქეთის მოსახლეობაზე, ფრანგი მოხელე კი თვლის, რომ ვერ ახდენს. თავად დ. შალიკაშვილიც ფიქრობს, რომ თურქეთში „ნიადაგი ბოლშევიზმისათვის ჯერ საკმაოდ მომზადებული არაა“ (შალიკაშვილი 1951: 127). ამგვარი ფრაგმენტებიდან კარგად ჩანს რუსული ბოლშევიზმის საერთაშორისო რეზონანსი.

თურქეთში ბოლშევიკებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება მაშინდელი ხელისუფლების მიერ გადადგმული რადიკალური ნაბიჯებითაცაა გამყარებული დ. შალიკაშვილის ჩანაწერებში. ნათქვამია, რომ მთავრობამ დაკეტა ანგორაში გამომავალი კომუნისტური გაზეთი, ხოლო სამთავრობო გაზეთში „ენინონ“ რელიგიის მინისტრის განცხადება – „კომუნიზმი ეწინააღმდეგება მუსულმანურ რელიგიას და მისი მოქადაგენი არ იცნობენ მაჰმადიანური სარწმუნოების მთავარ დებულებებს“ (შალიკაშვილი 1973: 146) – აშკარად აჩვენებს კულტურულ შეუთავსებლობას, მაგრამ ბოლშევიკთა მიზანდასახულ ბრძოლასაც არანაკლებ უსვამს ხაზს, რაც ბოლშევიკების მიერ საზოგადოებრივი აზრის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებაში ცხადად აისახება. „(...) კომუნისტურმა პარტიამ დაადგინა, შეწყვიტოს აქტიური მუშაობა და ეს მით დაასაბუთა, რომ თურქეთი იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისათვის თავისუფლების მტრების წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში მოსახლეობის ყველა კლასის გაერთიანებაა საჭიროო“ (შალიკაშვილი 1973: 146), – წერს დ. შალიკაშვილი. ასეთი გადაწყვეტილება შესაძლოა სულაც არ იყო ნაკარნახევი მხოლოდ ნაციონალური მიზნებით და ბოლშევიკების მიმართ ხალხის აგრესიის (ამის მაგალითიც არაერთია ტექსტში) შესამცირებლადაც გადაიდგა, მით უფრო, რომ მაშინდელი თურქეთის ეროვნულ ყრილობაში „კომუნისტური იერის“ მხოლოდ ოცი წევრი ყოფილა, უმრავლესობას კი „კომუნიზმის სასტიკი მოწინააღმდეგეები“ წარმოადგენდნენ (შალიკაშვილი 1973: 146), როგორც მიუთითებს დღიურების ავტორი.

დ. შალიკაშვილი დაუფარავად საუბრობს ბოლშევიკების მიმართ თურქეთში არსებულ განსხვავებულ დამოკიდებულებაზეც, რაც უმთავრესად ჩვეულებრივი ადამიანების შეხედულებებში ვლინდება. ბოლშევიზმი ზემოქმედებდა ღარიბ მოსახლეობაზე და ამ ფაქტს არც ქართველი ოფიცერი უარყოფს. ის წერს ერთ მექისეზე, რომელიც ელოდა ბოლშევიკებს. „მე ღარიბი კაცი ვარ და ბოლშევიკებისაგან მივიღებ ყველაფერს, რაც მჭირდებაო!“ (შალიკაშვილი 1953: 216), – ესაა მისი მოლოდინის მიზეზიც და მიზანიც. ჩანაწერები მოსახლეობის ზოგადად მომავლის მიმართ გაჩენილ ნიჰილიზმსაც აირეკლავს. ამერიკელებთან მძღოლად მომუშავე ყოფილი რუსი ოფიცრის თქმით, „უბრალო ხალხი გულგრილად უცქერის ქემალისტურ მოძრაობასაც და ბოლშევიზმსაც. მას აინტერესებს მხოლოდ ყოველდღიური საკითხები ცხოვრებისა და კვებისაო“ (შალიკაშვილი 1953: 216), – წერს დ. შალიკაშვილი, რითაც კარგად აჩვენებს იმ პერიოდის თურქეთში არსებულ მძიმე ისტორიულ თუ სოციალურ ვითარებას.

დ. შალიკაშვილის დღიურები საგულისხმოა იმითაც, რომ ქემალისტური თურქეთის პირველი საგარეო საქმეთა მინისტრის, მოსკოვში თურქეთის დელეგაციის პირველი ხელმძღვანელის – ბექირ-სამი ბეის საკმაოდ დასამახსოვრებელი პორტრეტი იხატება. მკითხველის ყურადღებას ამ მოგზაურობის დასაწყისშივე იქცევს. საქართველოს დელეგაციისა და მინისტრის გზა ბათუმშივე იკვეთება. მოსკოვიდან თურქეთში მიმავალი მინისტრისათვის ბათუმში მოწყობილ საზეიმო დახვედრასა და გულთბილ მასპინძლობას საკმაოდ დეტალურად აღწერს ქართველი ოფიცერი. ნიშანდობლივია, რომ ის ყურადღებას ამახვილებს თურქი მინისტრის წარმომავლობასა და განათლებაზე. „ბექირ-სამი-ბეი შვილია თავის დროზე განთქმული გენერალი კუნდუხოვისა, რომელიც კავკასიიდან თურქეთს გადასახლდა. მან განათლება საფრანგეთში მიიღო. ერთ ხანს იმყოფებოდა თურქულ საელჩოში პეტერბურგს, მერმე გუბერნატორად ტრიპოლისში და ტრაპეზუნდში. იგი სავსებით კულტურული კაცია, რაც თურქეთში მგონი იშვიათია” (შალიკაშვილი 1953: 215), – წერს დ. შალიკაშვილი, რომელიც აქცენტს მისი შვილის ევროპულ განათლებაზეც აკეთებს. ზოგადად, ბექირ-ბეის გონიერ და ნიჭიერ ადამიანად მოისხენიებს, რომელსაც ძალიან შეჩვევია ქართული დელეგაცია (შალიკაშვილი 1973: 143), მით უფრო, რომ ის თავისი ანტიბოლშევიკური განწყობითაც გამორჩეული ყოფილა. აღნიშნულია, რომ ხელიდან არ უშვებდა შემთხვევას, ბოლშევიკების წინააღმდეგ ელაპარაკა და მსმენელებზეც დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. აღსანიშნავია, რომ ბექირ-ბეის გავლენით თავად დ. შალიკაშვილსაც კი ერთი დაინტერესებული გერმანელი ინჟინრისათვის „ანტიბოლშევიკური მოხსენება“ წაუკითხავს (შალიკაშვილი 1973: 141, 144). ბექირ-ბეი ქართველი ოფიცრის ჩანაწერების ერთ-ერთი გამორჩეული და დასამახსოვრებელი პერსონაჟია.

უნდა ითქვას, რომ დღიურებში მრავლადაა თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებასა თუ უშუალოდ ბექირ-ბეის შეხედულებების ამსახველი ისტორიები. მათში ნათლად გამოსჭვივის არა მხოლოდ მინისტრის, არამედ საერთო განწყობა ბოლშევიკების მიმართ, თუმცა ნათელია

ისიც, რომ მიუხედავად ამგვარი დამოკიდებულებისა, მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა მისიამ ანგორაში კარგი შთაბეჭდილება დატოვა „განსაკუთრებით ბოლშევიკებთან შედარებით“ (შალიკაშვილი 1973: 146), რაც არ უნდა ირონიულად ჟღერდეს ეს შედარება, მოვლენები განწყობის შესაბამისად არასოდეს ვითარდება და ამ მხრივ გამონაკლისი არც ქართული დელეგაცია აღმოჩნდა. დ. შალიკაშვილი ზედმიწევნით აცნობიერებს, რომ სიმპატია-ანტიპატიას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება ბექირ-ბეისა თუ, ზოგადად, თურქეთის მხრიდან მიღებულ გაწყვეტილებებში.

„ანგორას“ გამოკვეთილად გასდევს მუჰაჯირი ქართველების თემა. მთელ ტექსტში მათთან დაკავშირებული არაერთ საგულისხმო ეპიზოდია გადმოცემული, თვალში საცემია ქართული წარმომავლობის თურქების სიმრავლე ანგორისაკენ მიმავლების გზაზე. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ თურქ ჩონოსნებთან საქართველოს დელეგაციის თარჯიმნები უმეტესად ქართველი მუსულმანები არიან, რომელთაც ქართული ცუდად იციან, მაგრამ, როგორც დ. შალიკაშვილი აღნიშნავს, „ყველაფერი აინტერესებთ, რაც საქართველოში ხდება“ (შალიკაშვილი 1973: 138). მოწოდებულია ინფორმაცია, რომ იმ დროისათვის ბევრი ქართველი ცხოვრობდა ბრუსში, ხოლო ესკეშირში ქართველები არ ყოფილან, თუმცა სწორედ აქ შეხვდნენ „ქართველ-აჭარელ“ ჟანდარმს, რომელიც კარგად ლაპარაკობდა ქართულად (შალიკაშვილი 1973: 143).

დღიურში ერთი საგულისხმო პლასტია მუსულმან ქართველებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ მუსულმანმა ქართველებმა ქართულიც ცუდად იცოდნენ და სარწმუნოებაც სხვა ჰქონდათ, სულიერად ისინი არ იყვნენ დაშორებული თავიანთ ისტორიულ სამშობლოს, რაზეც კარგად მეტყველებს სოფელ შეკალში მდგარი ბატალიონის მეთაურის, წარმოშობით ქობულეთელი იმნაძის სიტყვები, რომ მუსულმანი ქართველების საქართველოსკენ შემობრუნება სავსებით შესაძლებელია. ეს რომ ერთეული შემთხვევა ყოფილიყო, ფაქტობრივად, თურქი მოხელე, რომელიც თავადაც ქართულად ცუდად ლაპარაკობდა, ვერ ისაუბრებდა მუსულმან ქართველებში შენარჩუნებულ ნაციონალურ იდეალებზე. „მან თქვა: ეროვნული იდეა მუსულმანებში, ქართულ მუსულმანებში სჭარბობსო ახლა სარწმუნოებრივს და თუ მკაცრ ზომებს არ მიიღებენ და ყველაფერი თანდათანობით გაკეთდება, ძალიან ადვილად შეიძლება მუსულმანური ნაწილის საქართველოსთან შეერთებაო“ (შალიკაშვილი 1973: 136), – ამ აქცენტით სამომავლო განვითარების შესაძლებლობას უსვამს ხაზს დ. შალიკაშვილი, რომელიც საგანგებოდ მიანიშნებს იმასაც, რომ იმნაძეს განათლება გერმანიაში აქვს მიღებული და კულტურული კაცია, რაც ძალზე ნიშანდობლივი დეტალია.

დიმიტრი შალიკაშვილი ცალმხრივად არც ერთ საკითხს არ უყურებს, არ ალამაზებს ფაქტებს. რეალობაა, რომ ქართველები ყოველთვის კარგ ამბებთან არ არიან დაკავშირებული. ასე მაგალითად, ტოკატსა და ამასიას შორის მოქმედ ავაზაკთა გუნდის ბელადი ყოფილა „ქართველი (მეგრელი), რომელსაც კომისარი მოუკლავს და თურქეთს გამოქცეულა“ (შალიკაშვილი 1973: 138), – წერს ქართველი ოფიცერი.

ჩანაწერები საგულისხმოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ავტორი წინა პლანზე წამოსწევს თურქეთში ევროპეიზაციის პროცესის ნიუანსებს. ეს შეეხება როგორც მასწავლებლების, მოხელეებისა თუ სამხედროების ჩაცმულობასა, ისე ევროპაში მიღებულ განათლებაზე აქცენტებს. ამ პროცესის უტყუარ დასტურად არის მოწოდებული ამერიკული და ევროპული მისიების წარმომადგენლებთან დაკავშირებული მოგონებები, განსაკუთრებით ამერიკელ მოხელეებთან შეხვედრები. გარდა იმისა, რომ ისინი საკმაოდ ღია, თავისუფალ ადამიანებად არიან დახასიათებული, ქართულ დელეგაციასაც დიდ დახმარებას უწევდნენ თურმე (ამერიკელებმა ქართველებს უფლება მისცეს, ესარგებლათ მათი ავტომობილებით, სადაც კი ნახავდნენ (შალიკაშვილი 1973: 137). ამერიკული განყოფილებებისა და იქ მომუშავე ამერიკელების შესახებ საგანგებოდაა აღნიშნული, როგორც კულტურულ საზოგადოებაში ყოფნის შესაძლებლობასა და ამ შესაძლებლობით მიღებული სიამოვნებაზე.

„ანგორას“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი აქვს და ეს ასპექტი ყველაზე მეტად გამოკვეთს ავტორს, როგორც ნიჭიერ მთხრობელს. მისი დაკვირვებული თვალი არ ხედავს მხოლოდ ლანდშაფტის თავისებურებებს, გარეგნულ ნიშნებს, არამედ სწვდება კულტურულ და ეთნოგრაფიულ კონტექსტს, რაც ამასთანავე ავტორის კარგ განათლებასაც ამჟღავნებს.

შთამბეჭდავია დ. შალიკაშვილის თვალით დანახული ქალაქი ტოკატი. „ქალაქში შესვლა ღამით ლამაზი იყო. პირველად გავიარეთ ქვიტკირიანი ბაღების გასწვრივ, მცირე შენობებით; მერმე შევედით მაღალი სახლებით ჩამწკრივებულ, აზიურ ქუჩებში. სინათლე არაა. ანათებს მხოლოდ ჩვენი ავტო. მგზავრები არ არიან; ხანდახან წაგვაწყდება პოლიციელი, რომელიც სტვენით გვაცილებს; თითქოს მოვხვდით ზღაპრული ძილის სამეფოში. ეს ზღაპარი საუკეთესო დამახასიათებელია თურქებისათვის, რომელიც სხვა არა არის რა, გარდა მძინარე, უფრო სწორედ, მკვდარი სამეფოსი“ (შალიკაშვილი 1973: 137), – ასეთ მეტაფორიზაციას ავტორი ფართო ისტორიული რაკურსით ავრცობს და შემდეგნაირად ხსნის: „ეს საუკეთესო სოფლები, რომლებიც ჩვენ ვნახეთ, ბერძნებისა იყვნენ და არა თურქებისა, იმის მიუხედავად, რომ თურქებს ყოველგვარი უპირატესობა აქვთ, განათლებული და კულტურული ხალხის დიდ პროცენტს შეადგენენ არა თურქები, არამედ კავკასიელნი მთიელნი, ალბანელები, სომხები, ბერძნები“ (შალიკაშვილი 1973: 137), – დასძენს შალიკაშვილი, რომელიც არა მხოლოდ საკმაოდ ღრმად ხედავს თურქეთის მაშინდელ რეალურ ყოფას, არამედ დასამახსოვრებელი ხატებითაც აღიქვამს: „თურქთს შეეძლო გაეკეთებინა ღერბად ასეთი სურათი, რომელსაც ჩვენ აქ ვხედავთ – თურქი მჯდარი პატარა ვირზე, რომელსაც იგი მიაჩაქჩაქებს შიშველი ფეხის წაკვრით. უცნაური ვითარებაა. თურქები თითქოს ახალგაზრდა ერია, მდიდარი შერევით სხვისა სისხლისა. ერი, რომელიც ჩაესახლა ძველი, მაღალი კულტურის მხარეში; მას უნდა ღონე და უნარი ჰქონოდა განევითარებინა ეს კულტურა კიდევ უფრო ძლიერად. სინამდვილებში წინაუკმოდ გამოვიდა. მან არამც თუ მიიღო იგი, არამედ ყოველი ღონით ცდილობდა, უკანასკნელ დღემდე, ჩაეკლა იგი, მოესპო ეს კულტურა, შეგნებით თუ შეუგნებლად...“ (შალიკაშვილი 1973: 137), – მრავლისმთქმელი სიმბოლოებით დატვირთული ეს ვრცელი

ციტატები ზედმიწევნით აჩვენებს ავტორის რაკურსს და ზუსტად ასახავს ევროპისაკენ მიმავალ, თუმცა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში მყოფ ქვეყნას.

დ. შალიკაშვილის ჩანაწერებმა არანაკლებ ცხოველმყოფლად შემოინახა ძველი ანკარის სურათებიც: „ქალაქი დიდი არაა. იგი დასახლებული ყოფილა სომხებით და ომის დროს გაუწმენდიათ. საუკეთესო უბანი დამწვარია. ქუჩები ვიწროა. ზოგ ადგილზე ეტლიც კი ვერ გაივლის. ქალაქი სავსებით აზიურია და საინტერესო ცოტა რამაა. გორაზე, ქალაქის შუა, ძველი, ჯერ კარგად შენახული ციხეა“ (შალიკაშვილი 1973: 145). საგულისხმოა მისი ერთი დაკვირვებაც, რომელიც ნანახსა და წაკითხულს შორის განსხვავებას აფიქსირებს: „აქაური სახლების ფანჯრები ქუჩაში გამოდის და სახლებს თვითონ არა აქვთ ყრუ კედლები, როგორც ირწმუნებიან სამოგზაურო წიგნები და რომანები“ (შალიკაშვილი 1973: 146). ერთი შეხედვით, ეს ძალზე სპეციფიკური დეტალები ასეთი ჩანაწერების მიერ შემონახული საკმაოდ ღირებული ინფორმაციაა. ზოგადად საუკუნის წინანდელი ანკარის ვიწრო ქუჩებში გადაადგილებაც არ ყოფილა იოლი, მით უფრო, რომ მზის ჩასვლისთანავე ქალაქში ეტლები აღარ მოძრაობდნენ (შალიკაშვილი 1973: 146).

საყურადღებოდაა გადმოცემული ქალაქ ესკეშირის თავისებურებებიც, სადაც შეხვდნენ მწერალ ქალს – ჰალიდე ედიბ ადივარის. „(...) პირველი მგოსანი ქალი და პირველი თურქი ქალი, რომელიც უჩადროდ ვნახე. ხალილ-ედიბ ორმოცი წლისა იქნება. ძალიან შეღებილია“ (შალიკაშვილი 1973: 142), – ჩაუწერია თავის დღიურში ემანსიპაციის მომხრე პირველ თურქ მწერალ ქალთან დაკავშირებით ქართველ ემიგრანტს.დ. შალიკაშვილი ზოგადად არაერთხელ შენიშნავს, რომ თურქი ქალები, ევროპული ჩაცმულობის მიუხედავად, ჩადრს მაინც ატარებდნენ.

ავტორის დეტალიზებულ თხრობაში საკმაო ადგილს იჭერს მგზავრობის სირთულეები (გაუვალი ტალახით დაფარულ გზაზე მანქანებისათვის მიწოლაც კი უხდებოდათ ზოგჯერ (შალიკაშვილი 1973: 131, 136, 173). როგორც ირკვევა, ტექნიკური წინააღმდეგობები ხშირად იჩენდა თავს საქართველოს მთავრობასა და მისიას შორის ინფორმაციის მიწოდების მხრივაც. დღიურებში თანდათან იზრდება წუხილი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან გადმოგზავნილი ცნობების სიმცირისა და ბუნდოვანების გამო, რაც, ფაქტობრივად, გზას უჭრიდა დემოკრატიული საქართველოს წარმომადგენლობას თურქეთიდან მიეწვდინა ხმა ევროპისათვის.

ეს დღიურები ინახავს სასოწარკვეთილებასაც საქართველოს ოკუპაციის გამო, ცხადყოფს, რომ საქართველოს მისია, უშუალოდ სიმონ მდივანი, მცდელობას არ აკლებს, რამე გადაწყვეტილება იქნეს მიღებული საქართველოს სასარგებლოდ, შექმნილ და შეცვლილ ვითარებაში ელჩი საუკეთესო გამოსავალს რუსეთისა და თურქეთის ინტერესების დაბალანსებაში ხედავს. ისინი ერთმანეთს აწონასწორებენო, მხოლოდ ერთის ხელში დარჩენა დაღუპავს საქართველოსო (შალიკაშვილი 1973: 164), მაგრამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. დღიურები სრულდება ფრაზით: „ყველაფერი კარგად

იქნება. ოღონდ რწმენამ იცოცხლოს...“ (შალიკაშვილი 1973: 173), რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მორიგი ეტაპი დასრულდა მხოლოდ.

ტრაგიკული მოვლენების მონაწილე თანამედროვის ჩანაწერები სხვა არაერთ საგულისხმო პლასტსაც შეიცავს, მასში ცოცხლდებიან ისტორიული პირები თუ რიგითი ადამიანები, აღდგება მშრალი ფაქტების მიღმა არსებული რეალიები, ზოგჯერ რეკონსტრუირდება დიალოგებიც კი, იუმორით რომ გადმოცემს დიდ გასაჭირს. სწორედ ასეთი პასაჟებით იქმნება ემოციური კავშირი წარსულთან, რაც ამ უკანასკნელს ჩვენი მეხსიერების განუყოფელ ნაწილად აქცევს.

დასკვნა

დიმიტრი შალიკაშვილის დღიურები წარმოადგენს მრავალმხრივ საგულისხმო ტექსტს. ის პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის განუყოფელი ნაწილია ავტორისა თუ სხვა პერსონაჟების თავგადასავლით, არაჩვეულებრივად აღადგენს XX საუკუნის დასაწყისის საერთაშორისო ატმოსფეროს, პატარა მებრძოლი ქვეყნის საბედისწერო დამოკიდებულებას სხვა სახელმწიფოთა ინტერესებზე. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია როგორც მემუარული ჟანრის ნაწარმოები, რომელიც ავლენს ავტორის სტილისათვის დამახასიათებელ არაერთ მარკერს – ოსტატურად დახატული ისტორიულ პირთა პორტრეტები, გამოკვეთილი პიროვნული შტრიხები და სხვ. სტუმარმასპინძლობის, გარემოს, ჩაცმულობისა თუ სხვა დეტალების ფიქსირებით. ასევე, ნიშანდობლივი წიაღსვლებით ტექსტი საყურადღებოა კულტოროლოგიული თვალსაზრისით და კარგად წარმოაჩენს დიმიტრი შალიკაშვილის ფართო თვალსაწიერსა და მასშტაბურ აზროვნებას, რის გამოც „საქართველოს წარმომადგენლობა თურქეთში 1921 წელს“ ქართული ემიგრანტული ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი საგულისხმო ნიმუშია.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

დაუშვილი 2014: დაუშვილი რ., ქართული ემიგრაცია ამერიკაში, თბილისი.

მდივანი 2025: ბუდუ (პოლიკარპე) გურგენის (გიორგის) ძე მდივანი. მოძიებულია: 20.08.2025. https://society.iliauni.edu.ge/persons/764-budu-polikarpe-gurgenis-giorgis-dze-mdivani

მდივანი 2025ა: პოლიკარპე (ბუდუ) მდივანი. მოძიებულია: 20.08.2025. http://www.damoukidebloba.ge/c/news/Stalin_Lists_September_1937

შალიკაშვილი 1951: შალიკაშვილი დ., საქართველოს წარმომადგენლობა 1921 წელს თურქეთში. კრებული „მამული“, №4.

შალიკაშვილი 1953: შალიკაშვილი დ., საქართველოს წარმომადგენლობა 1921 წელს თურქეთში. კრებული „მამული“, №6.

შალიკაშვილი 1972/1973: შალიკაშვილი დ., საქართველოს წარმომადგენლობა თურქეთში 1921 წელს. ჟურნალი „კავკასიონი“, XVI-XVII.

შარაძე 1993: შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი მესამე. გამომცემლობა „მერანი”, თბილისი.

შარაძე 2003: შარაძე გ., ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტომი, IV, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
Shalikashvili 1920-1960: Dimitri Shalikashvili writings.. Last accessed: 20.08.2025. https://oac.cdlib.org/findaid/ark:%2F13030%2Ftf229001v5)

References and Sources

Daushvili 2024: Daushvili R., The Georgian Emigrants in the USA. Tbilisi.
Mdivani 2025: Budu (Polycarp) Mdivani. Last accessed: 20.08.2025. https://society.iliauni.edu.ge/persons/764-budu-polikarpe-gurgenis-giorgis-dze-mdivani.
Mdivani 2025a: Polycarp (Budu) Mdivani. Last accessed: 20.08.2025. http://www.damoukidebloba.ge/c/news/Stalin_Lists_September_1937.
Shalikashvili 1920-1960: Dimitri Shalikashvili writings. Last accessed: 20.08.2025. https://oac.cdlib.org/findaid/ark:%2F13030%2Ftf229001v5).
Shalikashvili 1951: Shalikashvili D., Georgian Delegation to Turkey in 1921. collection “Mamuli”, №4.
Shalikashvili 1953: Shalikashvili D., Georgian Delegation to Turkey in 1921. collection “Mamuli”, №6.
Shalikashvili 1972/1973: Shalikashvili D., Georgian Delegation to Turkey in 1921. Journal “Kavkasioni”, XVI-XVII.
Sharadze 1993: Sharadze G., Under Foreign Skies, Book Three. Publishing House “Merani“, Tbilisi.
Sharadze 2003: Sharadze History of Georgian Journalism, Volume, IV, Publishing House: “Metsniereba”, Tbilisi.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.15

ზოგიერთი ზმნური ფორმის სემანტიკისათვის კლარჯულში

THE SEMANTICS OF CERTAIN VERBAL FORMS IN THE KLARJETIAN DIALECT

თამარ ნინიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Tamar Ninidze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

აბსტრაქტი

კლარჯული წარმოადგენს ქართული ენის ერთ-ერთ გამორჩეულ და ისტორიულად ღრმად ფესვგადგმულ დიალექტს, რომელიც დღემდე ინარჩუნებს როგორც არქაულ, ისე ინოვაციურ ენობრივ ელემენტებს. იგი გავრცელებული იყო ისტორიულ კლარჯეთში, ხოლო დღეს მისი კვალი ძირითადად საქართველოსა და თურქეთის საზღვრისპირა რეგიონებში შემორჩენილ ქართულენოვან მოსახლეობაში გვხვდება. კლარჯული მეტყველება არ არის იზოლირებული ენობრივი ერთეული; იგი ორგანულად არის ჩართული ქართული დიალექტების სისტემაში და ასახავს როგორც ლოკალურ, ისე ზოგად ქართველურ ენობრივ ტენდენციებს.

მეცნიერთა დაკვირვებით, კლარჯეთის რეგიონში ენობრივი სურათი ორად იყოფა: ერთ ნაწილში ჯერ კიდევ ისმის ქართული მეტყველება, ხოლო მეორე ნაწილში მას თურქული ენაცვლება. მიუხედავად იმისა, რომ კლარჯეთის ამ ნაწილში ქართული მეტყველება აღარ გამოიყენება აქტიურად, მაინც შენარჩუნებულია მნიშვნელოვანი კულტურულ-ენობრივი ელემენტები, მათ შორის ტოპონიმიური სახელები, საკუთარი სახელების ქართული ფორმები, ასევე, ზეპირსიტყვიერების ფრაგმენტები და ლექსიკის კვალი ადგილობრივ თურქულ დიალექტებში.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ზმნის, როგორც ენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულის, ფორმობრივ და სემანტიკურ თავისებურებებზე კლარჯულ დიალექტში. გაანალიზებულია ისეთი ზმნური ფორმები, როგორიცაა „ბრძანება“ მირთმევის მნიშვნელობით, რომელიც სალიტერატურო ქართულში არ გვხვდება ამ სემანტიკით, თუმცა დადასტურებულია როგორც დიალექტურ მეტყველებაში, ისე ძველ ქართულ მწერლობაში („პური ბრძანეთ“). ასევე, განხილულია ზმნა „დაჯდომა“, რომელიც კლარჯულში და ზოგადად სამხრულ კილოებში გამოიყენება ცხოვრების, დასახლების ან ოჯახში

შესვლის მნიშვნელობით („დავჯექით ოთხ წელიწად ერთ სახლში“; „ქალი მევიდა, დაჯდა, ამის ქალი›და გავხდეო“).

კვლევა ეფუძნება როგორც ძველ ქართულ წერილობით წყაროებსა და ლექსიკონებს, ასევე თანამედროვე კორპუსულ მონაცემებსა და ზეპირსიტყვიერ მასალას. ნაშრომის მიზანია კლარჯულის, როგორც ცოცხალი და დინამიკური დიალექტის, უნიკალური თავისებურებების წარმოჩენა და ქართული დიალექტოლოგიური კვლევის გაღრმავების ხელშეწყობა.

საკვანძო სიტყვები: კლარჯული დიალექტი, ზმნა, ქართული დიალექტოლოგია.

ABSTRACT

The Klarjetian dialect represents one of the historically most deeply rooted and distinctive dialects of the Georgian language, preserving both archaic and innovative linguistic elements to this day. It was historically spoken in the region of Klarjeti, while today it survives primarily among Georgian-speaking communities residing in the border areas of Georgia and Turkey. Klarjeti speech is not an isolated linguistic entity; rather, it is organically integrated into the broader system of Georgian dialects, reflecting both local and general Kartvelian linguistic tendencies.

Scholarly observations suggest that the linguistic situation in the Klarjeti region is divided into two distinct areas: in one part, Georgian speech continues to be heard, while in the other, it has largely been replaced by Turkish. Even though Georgian is no longer actively spoken in this part of Klarjeti, significant cultural and linguistic elements have been preserved, including toponyms, Georgian forms of personal names, fragments of oral tradition, and lexical traces observable in local Turkish dialects.

This study focuses on the formal and semantic features of the verb as one of the most important lexical-grammatical units of the language in the Klarjetian dialect. The analysis addresses such verbal forms as *brdzaneba* (“to command”) used with the meaning “to offer or serve food,” a semantic value not attested in Standard Georgian but documented both in dialectal usage and in old Georgian literary sources (e.g., *puri brdzanet* “please take bread”). The verb *dajdoma* (“to sit down”) is also examined. In the Klarjeti dialect and, more broadly, in southern dialects it conveys the meaning “to live, settle, or enter a household” (e.g., *davjeqit otkh ts’eli ert sakhshi* “We lived in one house for four years”; *kali mevida, dajda, amis kalida gavkhdeo* “woman came, settled, and became his wife / joined a household”).

The research is based on old Georgian written sources and lexicographical works, as well as contemporary corpus data, and oral linguistic materials. The aim of the study is to highlight the distinctive features of Klarjeti dialect as a living and dynamic linguistic variety and to contribute to the advancement of Georgian dialectological studies.

Keywords: Georgian dialectology, Klarjeti dialect, verb.

შესავალი

ქართული ენის დიალექტთა მრავალფეროვნებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კლარჯულ დიალექტს, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხის – კლარჯეთის მოსახლეობაში იყო გავრცელებული. კლარჯული დიალექტი დღეს უმთავრესად საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართულენოვან საზოგადოებაშია შემორჩენილი და წარმოადგენს დიდი ენობრივი ტრადიციის მატარებელს, სადაც შემონახულია ქართული დიალექტის უძველესი და მრავალმხრივ საინტერესო ენობრივი ფორმები.

კლარჯულ მეტყველებას იყენებდნენ და ნაწილობრივ დღემდე იყენებენ ისტორიული კლარჯეთის ქართული მოსახლეობის შთამომავლები. მისი გავრცელების მთავარი არეალი ჭოროხის ხეობას მოიცავს. თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით, კლარჯეთის ფართო ტერიტორია ძირითადად შედის თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში, კერძოდ, ართვინის პროვინციის ბორჩხის, მურღულისა და არტანუჯის რაიონებში, მცირე ნაწილი კი დღევანდელ საქართველოშია შემორჩენილი – მირვეთის, ქვემო მარადიდისა და კირნათის სოფლებში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი).

მეცნიერთა დაკვირვებით, კლარჯეთის რეგიონში ენობრივი სურათი ორად იყოფა: ერთ ნაწილში ჯერ კიდევ ისმის ქართული მეტყველება, ხოლო მეორე ნაწილში მას თურქული ენაცვლება. მიუხედავად იმისა, რომ კლარჯეთის ამ ნაწილში ქართული მეტყველება აღარ გამოიყენება აქტიურად, მაინც შენარჩუნებულია მნიშვნელოვანი კულტურულ-ენობრივი ელემენტები, მათ შორის ტოპონიმიური სახელები, საკუთარი სახელების ქართული ფორმები, ასევე, ზეპირსიტყვიერების ფრაგმენტები და ლექსიკის კვალი ადგილობრივ თურქულ დიალექტებში.

ენათმეცნიერული თვალსაზრისით აღნიშნული კილო წარმოადგენს ქართული ენის განვითარების განსაკუთრებულ ფორმას, რომელიც არა მხოლოდ დიალექტურ, არამედ სოციალურ და კულტურულ თავისებურებებსაც ასახავს. დღევანდელ ეტაპზე, საუბარი კლარჯულ კილოზე ეფუძნება იმ მეტყველებას, რომელიც შენარჩუნებულია საქართველოსა და თურქეთის იმ ლოკალურ არეალებში, სადაც ჯერ კიდევ ფუნქციონირებს ქართული ენა.

კლარჯულ დიალექტში ზმნა, როგორც ენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლექსიკურ-გრამატიკული ერთეული, საინტერესო კვლევის საგანს წარმოადგენს არა მხოლოდ თავისი ფორმობრივი სტრუქტურით, არამედ სემანტიკური ნიუანსებითაც. დიალექტში არსებული ზოგიერთი ზმნური ფორმა განსხვავდება სალიტერტურო ქართულისაგან როგორც ფორმობრივაად, ისე შინაარსობრივად, რაც მეტყველებს მის დამოუკიდებელ განვითარებაზე და ლოკალურ ენობრივ კანონზომიერებებზე.

სტატიაში გავაანალიზებთ კლარჯული დიალექტისათვის ნიშანდობლივ ზმნურ ფორმებს, მათ სემანტიკურ ნიუანსებს, მაგალითად: **დაჯდომა, ჭამა, მირთმევა, ბრძანება, დახარჯვა**. ნაშრომის მიზანია ამ ფორმების შესწავლით წარმოაჩინოს კლარჯულის, როგორც ცოცხალი და

დინამიკური დიალექტის, უნიკალური თავისებურებები და ხელი შეუწყოს ქართული დიალექტოლოგიური კვლევის შემდგომ გაღრმავებას.

მასალა დამოწმებული გვქვს მონოგრაფიიდან „კლარჯეთი», ასევე, ვეყრდნობით ქართული დილექტური კორპუსის მონაცემებს და ქართული ენის ეროვნულ კორპუსს.

კვლევის მეთოდები

კვლევა ეფუძნება მრავალმხრივ ლინგვისტურ ანალიზს, რომელიც მოიცავს როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ მიდგომებს. ძირითადი მეთოდოლოგიური სტრატეგია არის დიალექტოლოგიური ანალიზი, რომლის მიზანია კლარჯული დიალექტის ზმნური ფორმების ფორმობრივი და სემანტიკური თავისებურებების გამოვლენა და მათი შედარება სალიტერატურო ქართულთან, სხვა ქართველურ კილოებთან და ზოგიერთ შემთხვევაში – თურქულ და სპარსულ ენებთან. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია:

ტექსტოლოგიური ანალიზი: კლარჯულში დადასტურებული საანალიზო ერთეულები განხილულია ძველი ქართული მწერლობის ტექსტებში (მაგ., ამირანდარეჯანიანი, მოქცევაი ქართლისაი, ბიბლიური ტექსტები), სადაც ზმნური ფორმები „ბრძანება“ და „დაჯდომა“, ისევე, როგორც კლარჯულში, ფიქსირდება განსხვავებული სემანტიკით – მირთმევის, ცხოვრების, დასახლების, გამეფების და სხვა მნიშვნელობებით.

დიალექტური მასალის შესწავლა: გამოყენებულია ზეპირი მეტყველების ნიმუშები, რომლებიც ჩაწერილია კლარჯეთში, მათ შორის კირნათის, მირვეთისა და ქვემო მარადიდის სოფლებში. ეს მასალა კარგად ასახავს საანალიზო ზმნური ფორმების გამოყენებას ადგილობრივ მეტყველებაში.

ლექსიკოგრაფიული წყაროების ანალიზი: გამოყენებულია დიაალექტების სალექსიკონო მასალა, ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი (2008), ხევსურულის ლექსიკონი (2005) და სხვა ლექსიკონები, რომლებიც იძლევა ზმნური ფორმების ისტორიულ და სემანტიკურ განმარტებებს.

კორპუსული კვლევა: ქართული ენის ეროვნული კორპუსი და ქართული დიალექტური კორპუსი საშუალებას იძლევა ზმნური ფორმების გამოყენების სინქრონიული დაა დიაქრონიული სურათის ანალიზისთვის.

სემანტიკური ვარიაციების შედარებითი ანალიზი: ზმნური ფორმების მნიშვნელობათა ცვლილებების დადგენა და მათი პარალელების ძიება სხვა ქართველურ დიალექტებში, ასევე თურქულსა და სპარსულ ენებში.

მოცემული მეთოდოლოგიური მიდგომა მიზნად ისახავს კლარჯული დიალექტის ზმნური სისტემის შესწავლით მისი ენობრივი თავისებურებების, კულტურული კონტექსტის და ისტორიული განვითარების პროცესების გააზრებას.

მსჯელობა

კლარჯულ დიალექტში თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენისაგან განსხვავებული მნიშვნელობის მქონე ზმნურ ფორმათაგან განვიხილავთ **ბრძანე** ფორმას. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ, სალიტერატურო ქართულისა და სხვა კილოებისაგან განსხვავებით, კლარჯულში (და საერთოდ, სამხრულ მეტყველებაში)

ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ სიტყვებს **ჭამა** და **მირთმევა. მირთმევა** არ არის პატივისცემის გამომხატველი სიტყვა (ფაღავა... 2016: 576):

ჭუჭულებ *მიართვი* კაკალი, ბაღანას *მიართვი,* გო (კირნათი);

ვჭამთ, ძროხასაც *მივართმევთ* (ისკები).

სტუმრისადმი მიმართვისას: *ჭამეთ*“და მასუკან წეიდთ (ნიმეთიე).

ბრძანე ზმნის გამოყენება „მირთმევის“ მნიშვნელობით აჭარული დიალექტისთვისაა დამახასიათებელი. მეცნიერები მას თურქულის კალკად მიიჩნევენ (გურგენიძე 1973: 81). სპარსულის კალკად მიაჩნია რ. რამიშვილს (2001: 86).

ეს ზმნა **ბრძანე** „მირთმევის“ მნიშვნელობით დასტურდებაა საერო მწერლობის ძეგლებში. მაგალითად:

„ნაომარნი ხართ და დამაშვრალნი, განისვენეთ, პური ***ბრძანეთო*“ (ამირანდარეჯანიანი 1960: 360);**

„ეგრე თქვა მან დიაცმან: მაშვრალნი ხართ და პური *ბრძანეთო*“ (იქვე: 428);

„მერმე ესე გვარქვეს: რად არ *ბრძანებთ* პურსაო?“ (იქვე: 428);

„გვენადირა და მოსრულ ვიყვენით. პური *ებრძანა* და ძილად იწვა მზეჭაბუკი“ (იქვე: 435).

იგივე სემანტიკა (მირთმევისა) დიალექტებიდან შენარჩუნებულია „ჩვენებურების“ მეტყველებაში: „*ბძანე* (მიირთვი – თ.ნ.), არ შეგეხათროს, ღმერთმა შაგარგოს!“ (ფუტკარაძე 1993: 406);

***ბძანევით* (მიირთვით), ნუ ქიბრობთ, ჭამა სირცხვი**ლი არ არი!“ (იქვე).

„ბრძანებას“ სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს: „**ბრძანება** – თქმა უაღრესისა მიერი; თქმა – სწორისა მიმართ, მოკსენება – უაღრესისადმი და ბრძანება უმცროსისათვის ითქმის, რამეთუ სამ სახე არიან თქმანი (ორბელიანი 1966: 313). ბ. ჯორბენაძის დააკვირვებით, **ბრძანება** შეიძლება გამოხატავდეს: ა) საკუთრივ ბრძანებას და იმავდროულად – ენობრივი ეთიკის დონეზე: ბ) თქმას; გ) ყოფნას; დ) მყოფობას; ე) დაჯდომას; ვ) მოსვლას (ჯორბენაძე 1997: 76-77). ძველი ქართული ენის შეერთებულ ლექსიკონში **ბრძანება** განმარტებულია, როგორც განწესება, მივლინება; მიწესა, თქმა; დათქმა; შერისხვა მცნება, სიტყვა, თქმული; საზღვარი (ი. ა.)... **ბრძანება;** მობრძანება, მოსვლის ნებება, მიცემა (უმაღლესი პირის მიერ უდაბლესისათვის), ჩუქება, ბოძება“ (ლექსიკონი 2008).

როგორც მაგალითებით დასტურდება, კლარჯულ დიალექტში ზმნის ფორმა **ბრძანე,** რომელიც სალიტერატურო ქართულში ძირითადად „ბრძანების გაცემისა“ და „თქმის“ მნიშვნელობით გამოიყენება, კლარჯულსა და, ზოგადად, სამხრულ კილოებში „მირთმევის“ მნიშვნელობითაც გვხვდება. ეს სემანტიკური ტრანსფორმაცია ხაზს უსვამს დიალექტის ლექსიკური სისტემის თავისებურებებს. კლარჯულ დიალექტში ზმნები **ჭამა** და **მირთმევა** სემანტიკურად იდენტურია და ფუნქციურად ერთმანეთის შემცვლელად გამოიყენება, რაც მიუთითებს ამ დიალექტისთვის დამახასიათებელ პრაგმატულ ნეიტრალობაზე. განსხვავებით სალიტერატურო ქართული ენისაგან, რომელშიც **მირთმევა** ასოცირდება ევფემისტურ და პატივისცემის გამომხატველ კონტექსტთან. კლარჯულში მსგავსი სოციალური კონოტაცია არ ფიქსირდება. ეს

განსხვავება ხაზს უსვამს დიალექტურ მრავალფეროვნებას და მეტყველების ენის სოციალურ-პრაგმატულ ასპექტებზე, რაც მნიშვნელოვანია ენობრივი პოლიტიკის, სტანდარტიზაციისა და დიალექტოლოგიური კვლევების კონტექსტში.

ბრძანე ზმნა „მირთმევის“ მნიშვნელობით დადასტურებულია როგორც კლარჯული დიალექტის მასალაში, ასევე ძველ ქართულ მწერლობაში, რაც მიუთითებს ამ სემანტიკის ღრმა ფესვებზე. მკვლევართა ნაწილი აღნიშნულ სემანტიკურ ცვლილებას თურქული ან სპარსული ენის გავლენით ხსნის, თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, ის ქართული მოვლენაა და სათავე ძველ ქართულ ენაში აქვს.

კიდევ ერთი ზმნური ფორმა, რომლის სემანტიკაც საინტერესოა კლარჯულ დიალექტში, გახლავთ **დაჯდომა.**

„ცხოვრების, დასახლების, დაბინავების“ მნიშვნელობით კლარჯულში (და, საერთოდ, სამხრულ მეტყველებაში) გავრცელებულია **ჯდომა, დაჯდომა** სხვადასხვა მწკრივის ფორმით:

ბიჭიც გოლჯიქში ***ზის*** **(=ცხოვრობს);**

ერთათ *ზიხართ?* (=ცხოვრობთ?);

დავჯექით **(ვიცხოვრეთ) ოთხ წელიწად ერთ სახლში;**

აქ წყალი უნახვან და *დამჯდარან* **(**ფაღავა... 2016: 576).

თურქულში **ჯდომას, დაჯდომას** (Oturmak) აქვს „ცხოვრების“ მნიშვნელობაც.

ქართულ სალიტერტურო ენაში, წერილობით ძეგლების მიხედვით, დასტურდება **დაჯდა** ზმნური ფორმა „ცხოვრების“ მნიშვნელობით.

დაჯდა (გადატ.) – საცხოვრებლად დადგება, დასახლდება, დამკვიდრდება.

აზო მოვიდა... არიან-ქართლიდან... და მცხეთაში *დაჯდა* (ქეგლ).

„და დაჯდა თამარ საქურივოსა შინა სახლსა შინა აბესალომ ძმისა მისისასა“ (ბაქარის ბიბლია);

ხოლო თამარ წარვიდა და დაჯდა ქურივად სახლსა შინა მამისა თჳსისასა (საკითხავები ძველი აღთქმიდან, თ. 38).

სანალიზო ზმნის მნიშვნელობა არის ასევე „გამეფება“:

და მოვიდა სამარიას და ***დაჯდა*** სამ წელ და არა იყო ბრძოლა შორის სირთა და შორის ისრაელთა (ბაქარის ბიბლია).

(მეორედ) *დაჯდა* მეფედ ბაკურ, ძე რევისი, და მოკ[უ]და იოანეცა ეპისკოპოსი და მის წილ *დაჯდა* მღდელი, რომელი ენება ნინოს მთავარ ეპისკოპოს[ა]დ. /მოქცევაი ქართლისაი/ (ქართული ენის ეროვნული კორპუსი);

და *დაჯდა* მეფედ ძე ვარაზ-ბაქარისი, ძის-წულის წული ფეროზისი, სახელით ფარსმან. /მოქცევა მირიან მეფისა/ (ქართული ენის ეროვნული კორპუსი);

გამეფებაც სამეფო ტახტზე დაჯდომას უკავშირდება. აღნიშნულმა ზმნამაც ამიტომ მიიღო ეს მნიშვნელობა.

კახურ დიალექტში **დაჯდა** „დაფუძნების“ მნიშვნელობით გვხვდება:

სულზე წამოსული ფუტკარი მოვა იქა, ***დაჯდება*** /შიგნიკახური, ჩაწერის ადგილი: იყალთო / თელავი, მთქმელი: სანდრო ბაზიერაშვილი/ (ქდკ).

დაჯდომას ასევე იყენებენ „მწერის, ქვეწარმავლის დაბუდების“ აღსანიშნავად:

აიღე ტოტები, არაფერი *დაჯდეს.*

ეს ქვები თუ არ ავიღეთ, ქვეშ რაიმე *დაჯდება* (მარტვილი, სოფ. ქვედა ხუნწი)...

საინტერესოა, რომ ხევსურულ დიალექტში **დაჯდება** ნიშნავს „მნათობის ჩასვლას“ და მას ევფემისტური მონაცვლეც მოეპოვება:

დაბზანდები-ს – 1. დაბრძანდება, დაჯდება. 2. მთიები (მზე, მთვარე...) ჩავა, ჩაესვენება (ჭინჭარაული 2005: 254).

აღსანიშნავია, რომ **დაჯდომას** სამხრულ კილოებში აქვს სხვა მნიშვნელობაც – გასათხოვარი ქალის მისვლა სასურველი საქმროს ოჯახში და ცოლად, „ქალად დაჟდომა“.

ქალი მევიდა, *დაჯდა,* ამის ქალი›და გავხდეო.

დასკვნა

კლარჯული დიალექტი წარმოადგენს ქართველური ენობრივი სამყაროს ორგანულ და ისტორიულად ღრმად ფესვგადგმულ ნაწილს. იგი არ არის იზოლირებული კილო, არამედ განუყოფელია ქართული ენის დიალექტური სისტემისგან, სადაც არქაული ფენები, ინოვაციები და კონტაქტური გავლენები ბუნებრივად ინტეგრირდება.

ზმნური ფორმები **– ბრძანება** „მირთმევის“ მნიშვნელობით და **დაჯდომა** „ცხოვრების, დასახლების, ოჯახში შესვლის“ მნიშვნელობით – არ არის მხოლოდ კლარჯულისთვის უნიკალური; მსგავს სემანტიკურ ცვლილებებს ვხვდებით სხვა კილოებშიც.

ამგვარი პარალელების არსებობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კლარჯული დიალექტი ორგანული ნაწილია ქართველური დიალექტების საერთო სისტემისა და წარმოადგენს ამ მრავალფეროვანი ქსელის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შტოს. კლარჯულის კვლევა არა მხოლოდ კონკრეტული დიალექტის, არამედ ზოგადად ქართული ენის შესწავლის, განვითარების დინამიკის, ისტორიული სტრატეგიებისა და კულტურულ-ენობრივი მემკვიდრეობის გააზრების საშუალებაა. შესაბამისად, აუცილებელია კლარჯულის, როგორც ცოცხალი და გამორჩეული დიალექტის, დაცვა, შემდგომი კვლევა და შედარებითი ანალიზი ქართველური დიალექტოლოგიის კონტექსტში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ამირანდარეჯანიანი 1960: მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, ჩვენი საუნჯე: ქართული მწერლობა ოც ტომად. ტომი II. ძველი მწერლობა. თბილისი.

ბაქარის ბიბლია https://www.orthodoxy.ge/tserili/gadasatseri/akhali/mate/mate-6.htm. დამოწმება: 12.02.2026.

გურგენიძე 1973: გურგენიძე ნ., აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში. თბილისი.

ლექსიკონი 2008: ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი: შედგენილია ილ. აბულაძის, აკ. შანიძის, ივ. იმნაიშვილისა და სხვა ავტორთა ლექსიკონური წყაროების მიხედვით. შემდგ.: გრიგოლ რუხაძე; რედ.: გვანცა კოპლატაძე, თბილისი.

ორბელიანი 1966: ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, I. თბილისი.
რამიშვილი 2001: რამიშვილი რ., ერთი კალკისთვის ქართულში. XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი.
ფაღავა... 2016: ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ.. ჩოხარაძე მ., შიოშვილი თ., მამულაძე შ., ხალვაში რ., მგელაძე ნ., შაშიკაძე ზ., კარალიძე ჯ., კლარჯეთი, ბათუმი.
ფუტკარაძე 1993: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი. ბათუმი.
ქართული ენის ეროვნული კორპუსი: http://gnc.gov.ge/gnc/page. დამოწმება: 12.02.2026.
ქდკ: ქართული დიალექტური კორპუსი. corpora.co
ქეგლ: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ena.ge. დამოწმება: 12.02.2026.
ჭინჭარაული 2005: ჭინჭარაული ა., ხევსურულის ლექსიკონი. თბილისი.
ჯორბენაძე 1997: ჯორბენაძე ბ., ენა და კულტურა. თბილისი.

References and Sources

AmiranDarejaniani 1960: Mose Khoneli, Amirandarejaniani. In Our Treasure: Georgian Literature in Twenty Volumes, Vol. 2 – Old Literature. Tbilisi.
Chincharauli 2005: Chincharauli Al., Khevsurian Dictionary. Tbilisi.
Corpora.co [online resource]. Retrieved: 12.02.2026.
Georgian National Corpus. http://gnc.gov.ge/gnc/page. Retrieved: : 12.02.2026.
Gurgenidze 1973: Gurgenidze N. Lexical Elements of Eastern Origin in Acharian and Gurian. Tbilisi.
Ena.ge [online resource]. Retrieved: 12.02.2026.
Jorbenadze 1997: Jorbenadze B, Language and Culture. Tbilisi.
Lexicon 2008: Unified Dictionary of Old Georgian Language: 16,800 Words. Compiled based on lexicographic sources by Ilia Abuladze, Akaki Shanidze, Ivane Imnaishvili and others. Compiler: Grigol Rukhadze; Editor: Gvantsa Koplatadze. Tbilisi, Georgian Patriarchate Publishing House “Samshoblo”.
Orbeliani 1966: Orbeliani Sulkhan-Saba. Georgian Dictionary, Vol. I. Tbilisi.
Paghava... 2016: Paghava M.; Tsintsadze M.; Baramidze M.; Chokharadze M.; Shioshvili T.; Mamuladze Sh.; Khalvashi R.; Mgeladze N.; Shashikadze Z.; Karalidze J.. Klarjeti. Batumi. Publisher: “Samshoblo”.
Putkaradze 1993: Putkaradze Sh., Georgian of Our People, Book I. Batumi.
Ramishvili 2001: Ramishvili R.. For One Nation in Georgian. In Proceedings of the XXI Republican Scientific Session on Dialectology. Tbilisi.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.16

დიდი ლიახვის ხეობის ანთროპონიმები მე–18 საუკუნის ქართული და თურქული აღწერების მიხედვით

ANTHROPONYMS OF THE GREATER LIAKHVI VALLEY BASED ON 18TH-CENTURY GEORGIAN AND TURKISH CENSUS RECORDS

ნიკოლოზ ოთინაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გორი, საქართველო

Nikoloz Otinashvili
Gori State University
Gori, Georgia

აბსტრაქტი

ხეობის დემოგრაფიული ძეგლებიდან ძალიან საინტერესოა ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (მე-18 საუკუნის მეორე ნახევარი), რომლებიც გამომცემლობა „მერიდიანმა“ 2013 წელს გამოსცა. ასევე პირველხარისხოვანი ძეგლია 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, რომელიც გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფესორმა ნოდარ შენგელიამ (დაიბეჭდა 2009 წელს). ორივე „აღწერაში“ აღრიცხულია როგორც სხვა ხეობების დასახლებები, ასევე დიდი ლიახვის ხეობა იქ მცხოვრები მოსახლეობის გვარებითა და სახელებით.

მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში ქართლის სამეფოში პოლიტიკური ვითარება გაუარესდა ირანისა და თურქეთის აგრესიის შედეგად, რაც ქართლის დაპყრობით დასრულდა. ქართლში შესულმა ოსმალებმა ოსმალური გადასახადები დააწესეს, აწარმოეს რეესტრები, სადაც ყველაფერი იყო აღწერილი და სწორედ ეს ძეგლია ზემოხსენებული თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, რომელიც შეიცავს იმ დროის მონაცემებს, რაც დღემდე დიდი მნიშვნელობისაა არა მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით. ამჯერად წარმოვადგენთ თურქული აღწერის მასალებს, იმდროინდელი სოფლების - ცხინვალისა და თამარაშენის ანთროპონიმებს, ქართული აღწერის მასალებში დაფიქსირებულ გვარ-სახელებს, რომლებიც თურქული აღწერის დავთრებს დაახლოებით 50 წლით უსწრებს.

ქართულ აღწერებში გვარების სტრუქტურა მოცემულია სახელითა და გვარით, ხოლო თურქულ აღწერაში - სახელითა და მამის სახელით. ვახუშტი ბაგრატიონი თავის მე-18 საუკუნის „აღწერაში“ აღნიშნავს, რომ ცხინვალის მკვიდრნი არიან ქართველები, სომხები და ურიელები. ორივე

აღწერაში ზემოხსენებული ეროვნებები ანთროპონიმებით არის ნაჩვენები. ქართული აღწერა, ასევე, მიუთითებს ებრაელებისთვის განმასხვავებელ ტერმინ „ურიას“. ქართული აღწერის მიხედვით, ცხინვალის მკვიდრნი მოქალაქეთა სხვადასხვა კატეგორიად იყვნენ დაყოფილი.

საკვანძო სიტყვები: ლიახვის ხეობა, ანთროპონიმები, აღწერის დავთრები.

ABSTRACT

Among the demographic documentary monuments of the valley, special attention should be paid to the census registers of the city of Tskhinvali and its surrounding villages (second half of the eighteenth century), published by the Meridiani publishing house in 2013. Another source of primary importance is the *Great Defter of the Tbilisi Vilayet of 1728,* prepared for publication by Academician Sergi Jikia and Professor Nodar Shengelia (published in 2009). Both census records document not only the settlements of other valleys but also those of the Greater Liakhvi Valley, together with the surnames and personal names of its inhabitants.

In the first half of the eighteenth century, the political situation in the Kingdom of Kartli deteriorated as a result of Iranian and Ottoman aggression, ultimately leading to the Ottoman conquest of Kartli. Following their arrival in Kartli, the Ottomans introduced their taxation system and compiled registers in which the relevant data were recorded. One such document is the *Great Defter of the Tbilisi Vilayet,* which contains data from that period and remains of considerable importance not only from a political perspective. The present study examines materials from the Ottoman census records, focusing on the anthroponyms of the villages of Tskhinvali and Tamarasheni of the time, as well as the surnames and personal names documented in the Georgian census records that precede the Ottoman census materials by approximately fifty years.

In the Georgian census records, the structure of surnames is presented as a combination of a given name and a surname, while in the Turkish census records, it appears as a given name followed by the father’s name (patronymic). In his *Description of Georgia (*18th century), Vakhushti Bagrationi states that the inhabitants of Tskhinvali consisted of Georgians, Armenians, and Jews. In both census records these ethnic groups are reflected through anthroponyms. The Georgian census records additionally employs the distinctive term uria to designate Jewish inhabitants. According to the Georgian records, the residents of Tskhinvali were divided into several social categories.

Keywords: Liakhvi Valley, anthroponyms, census records

შესავალი

დიდი ლიახვის ხეობის დემოგრაფიული ძეგლებიდან ძალზე საინტერესოა ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (მე-18 საუკუნის მეორე ნახევარი), რომელიც გამომცემლობა

„მერიდიანმა“ გამოსცა 2013 წელს, ასევე, პირველხარისხოვანი ძეგლია 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, რომელიც გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ (გამოიცა 2009 წელს).

ორივე „აღწერაში“ ფიქსირებულია როგორც სხვა ხეობების, ისე დიდი ლიახვის ხეობის დასახლებული პუნქტები იქ მცხოვრებთა გვარ-სახელებით.

მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში ქართლის სამეფოში პოლიტიკური ვითარება გამწვავდა ირანისა და თურქეთის აგრესიის შედეგად, რაც ქართლის დაპყრობით დასრულდა თურქთა მიერ.

ქართლში შემოსულმა ოსმალებმა დააწესეს ოსმალური გადასახადები, აწარმოებდნენ დავთრებს, სადაც აღიწერებოდა ყველაფერი. სწორედ ეს ძეგლია ზემოთ ხსენებული თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, სადაც მოცემულია იმდროინდელი მონაცემები, რომელსაც დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო პოლიტიკური თვალსაზრისით.

კვლევის მეთოდები

კვლევისას გამოვიყენეთ აღწერითი და ანალიზის მეთოდები. სტატიაში განხილულია თურქული აღწერის მასალებში წარმოდგენილი იმდროინდელი სოფლების – ცხინვალისა და თამარაშენის ანთროპონიმები, ასევე, გაანალიზებულია ქართული აღწერის მასალებში დაფიქსირებული გვარ-სახელები, რომლებიც თურქული აღწერის დავთრებს დაახლოებით 50 წლით უსწრებს.

მსჯელობა

ქართულ აღწერებში გვარ-სახელების სტრუქტურა მოცემულია სახელითა და გვარით, ხოლო თურქულში – სახელითა და მამის სახელით.

ვახუშტი ბაგრატიონი თავის მე-18 საუკუნის „აღწერაში“ აღნიშნავს, რომ ცხინვალის მცხოვრებნი არიან „ქართველნი, სომეხნი, ურიანი“. ორივე აღწერაში ანთროპონიმებით ჩანს ხსენებული ეროვნებები. ქართულ აღწერაში, ასევე, მითითებულია ებრაელთა განმასხვავებელი ტერმინი „ურია“.

ქართული „აღწერის“ მიხედვით, ცხინვალის მცხოვრებნი იყოფა სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეებად:

1. ცხინვალში აქავ თარხნები
2. ცხინვალის სახასო მოყალნე
3. ცხინვალის საბატონიშვილო თარხნები
4. ცხინვალის ალელები
5. ცხინვალის ახალდაბელი ებრაელები.

მე-18 საუკუნის დასაწყისში გაძლიერებული ოსმანთა დიდი იმპერია დაპყრობით ომებს აწარმოებდა როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში ევროპის მიმართულებით. ვახტანგ მეექვსის რუსეთში წასვლის შემდეგ ოსმალები ქართლში შემოვიდნენ, დაამყარეს თავიანთი ხელისუფლება, დაბეგრეს ქართლის მოსახლეობა სხვადასხვა გადასახადებით. დავთარი შედგენილია 1728 წელს (წიგნი I, 2009), რომელიც არის მნიშვნელოვანი წყარო ზემოხსენებულ ეპოქაში თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის კვლევის კუთხით. დავთარში სხვა დასახელებულ პუნქტებთან ერთად აღწერილია დიდი ლიახვის ხეობა, მაშინდელი სოფლები – ცხინვალი

და თამარაშენი. თურქული დავთრის მიხედვით, ცხინვალი საკმაოდ მოზრდილი დასახლება ყოფილა, სადაც 250 კომლზე მეტია აღრიცხული. აღსანიშნავია, რომ აღიწერებოდა მხოლოდ მამაკაცები – სახელითა და მამის სახელით – რომლებიც გადასახადს იხდიდნენ.

იმ დროისათვის ცხინვალში ყოფილა სულ 116 სახლი, ასევე, ყოფილა გაშენებული ვენახები, მოქმედებდა ბაზარი, ყოფილა ერთი ეკლესია, 20 დუქანი და სხვა.

ცხინვალს უნდა გადაეხადა:
ისფენჯი – კაცი 205
ახჩა – 24 600
ხორბალი – ქილა 700, ახჩა – 14 000
ქერი – ქილა 500, ახჩა – 7 500
ჭვავი – ქილა 120, ახჩა – 1 800
ფეტვი – ქილა 200, ახჩა – 3 000
უშრის გადასახადი ვენახზე – 250, თითოეულს – 40
ახჩა – 10 000
გადასახადი ერბოზე – 1 200
გადასახადი სკაზე– 800
არუსანეს გადასახადი – 180
გადასახადი ცხვარზე – 990
გადასახადი ღორზე – 680
წისქვილის თვალი – 4, სრული წყლით გადასახადი – 480
ჯამი – 66 832

თურქული აღწერის მიხედვით, სოფელ თამარაშენში 42 სახლია.
მიწის დღიური მფლობელობა – 50
ჯამი მარცვლეულისა:
ისფენჯი – კაცი 70, ახჩა – 8 400
ხორბალი – ქილა 230, ახჩა – 4 600
ქერი ქილა – 30 160, ახჩა – 2 300
ჭვავი ქილა – 60, ახჩა – 900
გადასახადი ერბოზე – 320
გადასახადი სკაზე – 120
გადასახადი ცხვარზე – 390
გადასახადი ღორზე
ჯამი – 20 480.

თურქული საგადასახადო სისტემა საკმაო მძიმე და რთულია, აქ საჭიროა ზოგიერთი ტერმინის განმარტება, მაგალითად „ახჩა“, რომელიც ყველა სოფლის საგადასახადო სისტემაშია ჩართული.

ახჩა თურქული სიტყვაა და ნიშნავს „მოთეთროს“. ნაწარმოებია თურქული ახ („თეთრი“) სახელიდან. ფულის ეს ნიშანი ტრიალებდა XVI საუკუნიდან. როცა თურქებმა სამხრეთ საქართველო დაიპყრეს, მაშინ „ახჩა“ ფულის ნიშნის ყველაზე მცირე ერთეული იყო და გვხვდება როგორც ვერცხლის, ისე სპილენძის. „ახჩა“ შეესატყვისება სხვადასხვა ფულის ერთეულს (ლომსაძე 2011: 398).

თურქული აღწერის მიხედვით, დავთარში დასახელებულია გადასახადების შემდეგი სახეობანი: **ისფენჯი, უშრი, თაფუ, მურახასიე, ბადთავა, დეშთაბანი, სანახევრო, გამოსაღები, ყიშლაღი, გამოსაღები ცხვარზე, გამოსაღები ღორზე, გამოსაღები ფუტკარზე, წისქვილზე, ხილზე, ბოსტანზე, ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, ცერცვზე, მუხუდოზე, ლობიოზე, ქათამზე** და სხვა. „ჩამოთვლილი გადასახადების დიდი ნაწილი იხდევინებოდა ნატურით, სხვა გადასახადები იკრიბებოდა ფულადაც. ფულით ხდებოდა არამუსულმანი მოსახლეობის გადასახადი 25 ახჩის ოდენობით. თაფუ მიწაზე გადასახადი იყო ხარისხის მიხედვით. ასევე, უშურის გადასახადი ბაღზე, ბოსტანზე, ვენახზე და სხვა (ლომსაძე 2011: 408).

ქართულ და თურქულ აღწერებს აქვთ როგორც საერთო ენობრივი ნიშნები, ისე განსხვავებული. საკუთარი სახელები, როგორც აღინიშნა, გვართან ერთად არის მოცემული და გვხვდება როგორც ხმოვანზე, ისე თანხმოვანზე დაბოლოებული.

თურქული აღწერის შესახებ უნდა მივანიშნოთ, რომ საკუთარი სახელები ქართველმა ინფორმატორებმა ისე ჩააწერინეს თურქებს, როგორი ენობრივი ნორმაც იყო იმ საუკუნეში. განსხვავება შეიძლება იყოს ენობრივ სისტემასა და გრაფიკაში.

ზემოხსენებულ დასახლებებში ანთროპონიმებს ძირითადად **-ა** სუფიქსი დაერთვის, ყოველივე ეს კი სხვა ეროვნების ადამიანების სახელებსაც ეხება, გვხვდება **-ე** ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელებიც. საინტერესოა ებრაელთა სახელები ცხინვალის ქართულ და თურქულ აღწერაში:

ცხინვალის აღწერა (XVIII საუკუნე)

ქართული აღწერა	თურქული აღწერა
ურია მამისთვალაშვილი კაზარა	მარლიხა ძმა მისი
ურია მამისთვალაშვილი მარდინა	აბრამა ძმა მისი
ურია ისრაილაშვილი ისრელა	სურიელა ძმა მისი
დავით ძე დანიელასი	დანიელა ძმა მისი

თამარაშენის აღწერა

ქართული აღწერა	თურქული აღწერა
ურია აფშიკაშვილი დავინა	დაუნა ძე ისრაილისა
ურია მორელაშვილი ყობია	ყობია ძე იოსებისა
ურია კაცობა	კაცობა ძე სურნიესი
ურია მარდენა	მორდეხა ძე სურნიესი

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, „-ა სუფიქსი კნინობით ფორმათა მაწარმოებელია, მაგრამ ამავე დროს შეიძლება იყოს საალერსო-მოფერებითი სახელიც და მხოლოდ დადებით ემოციებს აღძრავს, მისი გამოყენება არავის შეურაცხყოფს“ (ჭუმბურიძე 2003: 63).

თურქული აღწერის მიხედვით, როგორც ზემოთ აღინიშნა, ანთროპონიმები გვხვდება მხოლოდ სახელითა და მამის სახელით – ნანათესაობითარ ბრუნვაში. სპეციალურ გამოკვლევაში შოთა ძიძიგური აღნიშნავს, რომ ასეთი ფორმით -ისი დაბოლოება არის „ნანათესაობითარი სახელობითის დაბოლოება და მოფერებითი მნიშვნელობა აქვს“ (ძიძიგური 1973).

ძველი ცხინვალის ანთროპონიმები, თურქული აღწერის მიხედვით, ,საკუთარი სახელები დაბოლოებულია -**ა**-ზე:

დათუნა ძე გიორგისა — ოთარა ძე ბასილასი
გენება ძე ბერისა — მახარა ძე აბრამისი
ზაქარა ძე გიორგისა — დათუნა ძე პეტრესი
ხოსიტა ძე ბერისა — მახარა ძე ივანესი
ხოსიტა ძე დათუნასი

საკუთარი სახელები დაბოლოებულია -**ე**-ზე:

ივანე ძე გენებასი — ერეკლე ძე ბაბუნასი
თევდორე ძე ბერისა — ოკიმე ძე ხოსიტასი
ლაზარე ძე ოჰანისა — იასე ძე გენებასი
ესტატე ძე ზალისი

საკუთარი სახელები დაბოლოებულია -**ო**-ზე:

კანდო ძე ლაზარესი — შიო ძე ბაბუნასი
ქაიხოსრო ძე გიორგისა — ხოსრო ძე ბერასი
შიო ძე ბერისა — ბუკო ძე ბასილასი

თანხმოვანფუძიანი სახელები გვხვდება **ფუძის სახით**:

ივანე ძე ბასილასი — გივი ძე ივანესი
სიმონ ძე მისი — დავით ძე ოჰანისა
როსტომ ძე ბეჟანისა — ფარსადან ძე გიორგისა
ზაალ ძმა მისი — შერმაზან ძმა მისი
იორამ ძე მამიკასი — ფარმუზ ძე ჯუპასი

ტრადიციულია მამის სახელები **ნათესაობით ბრუნვაში:**

ბერი ძე სეხნიასი — სეხნია ძე დათუნასი
ბერი ძე თამაზასი — გარსევან ძე ბერისა
ზალიკა ძე ნათასი — ანდრია ძე ზალიკასი და სხვა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ცხინვალის მოსახლეობის აღწერით, დასახლება უკვე გაზრდილია, რადგან ვაჭრობის განვითარებამ მოსახლეობა მიიზიდა. უკვე გვხვდება სხვადასხვა კატეგორიის მცხოვრებლები: ხიზანი, ყმა, ბოგანო, თარხანი, ასევე, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში განმარტებულია ქართული ტერმინები:

ბოგანო – უაგარაკო გლეხი; **თარხანი** – სხვათა ენაა. თავისუფალს ჰქვია; **მოყალნე** – მებეგრე; **ნასყიდი** – სყიდვით ნაშოვნი; **ყმა** – მის ალაგში, აგარაკში მოსახლე; **ხიზანი** – ლტოლვილი, რომლებიც თავის სამკვიდროდან აიყარნენ და სხვაგან შეაფარეს თავი (ორბელიანი 1991-1993).

როგორც ზემოთ აღინიშნა, საკმაო რაოდენობით არიან წარმოდგენილი თარხნები გვარებით და ისევ ხმოვანფუძიანი სახელებით: აზნაურიშვილი უნაძე მამუკა, აზნაურიშვილი გარსევანიშვილი სტეფანე, მაისურაძე ხოსრო, შედანაშვილი შოშია, ჩიტიაშვილი გოგია, ცერაძე იოანე, გოგია, მოსიაშვილი ივანე, ლომკაცაშვილი გოგია, ელიაშვილი ავთანდილა და სხვა.

ბატონის სახასო მოყალნე: ხოჯაშვილი ხოსრო, ლალაშვილი ღვთისავარა, მარკოზაშვილი ბეჟანი, გახელაძე გოგია, კობალაძე სვიმონა, იასალაშვილი გაბრიელა...

ქცხინვალის საბატონიშვილო თარხნები: კვანჭახაძე დავითა, კვანჭახაძე გაბრიელა, კვანჭახაძე სვიმონა, ამისი ძმა ივანე, კევლიშვილი ბეჟანა, ამისი ძმა გაბრიელა, ბაქუზანაშვილი გაბრიელა და სხვები.

ქცხინვალის ფარსადან მაჩაბლის ყმა: კასრაძე ტეტია, ჭამპურიძე მასურა, ბერიშვილი გოგია, ამისი ზმისწული დავითა, სვიმონაშვილი გოგია, ერანაშვილი ფარემუზა, მისელაშვილი პაპუნა, ზაზაშვილი ქიტესა, აზნაური ნაბიჭვრიშვილი იოანე, აზნაურიშვილი ნაბიჭვრიშვილი ხოსრო და სხვები.

ქცხინვალის მაჩაბელ-ბადურიშვლი ბარძიმის ყმა: ჯავახიშვილი ბეჟანა, ამისი ყმა ხუხაშვილი შაფათა და ელია, ბერუნაშვილი გოგია, მახნიაშვილი გაბრიელა, ბერუნაშვილი ივანე და სხვები.

ამ დროს ცხინვალში ყმებისა და მამულის კუთვნილება ჰქონდათ, ასევე, თავად მუხრანბატონებს, ელიოზიშვილებს, თაქთაქიშვილებს, ფავლენიშვილებს, მეფე გიორგის, ანახანუმ დედოფალს, ბატონიშვილ იულონს, დარეჯან დედოფალს, ქვათახევის მონასტერს, თირის მონასტერს, შიომღვიმის მონასტერს, სოლომონ მგოსანს, მთაწმინდის მონასტერს.

ყველა ესენი დაფიქსიებულია ზემოხსენებულ აღწერაში, რასაც შემდგომი კვლევა სჭირდება.

ცხინვალის მოსახლეობის გაზრდა ძირითადად ხდებოდა მიგრაციით როგორც მეზობელი მხარეებიდან, ისე სხვადასხვა არაქართულ დასახელებებიდან. მაგალითად, აღწერაში (გვ. 58) ალიდან მოსულები არიან: ყულიჯანაშვილი სვიმონა, ყულიჯანაშვილი ანტონა, მერაბაშვილი მერაბა, ენაკოლოფაშვილი პაატა, რაუესინაშვილი მანუჩარა, ბეგალიშვილი გოგია და სხვები.

სოფელ ახალდაბიდან არიან ჩამოსულები: ურია ხუნდიშვილი იოსება, ელიაშვილი აბრამა, დანიელა, პაპისიმედიშვილი აბრამა, დანიელა, მანაშერა, კაცობა და სხვა.

ხიზნებიდან აღსანიშნავია: გოლინაშვილი გასპარა, მოსესაშვილი ყაზარა, მეურმიშვილი პეტრე, ბროძველი ქაიხოსრო, მეცხვარიშვილი გოგია, გიორგიშვილლი ბერუა, გონგლაძე პავლე, როსტევანაშვილი გოგია, ცაბაძე ივანე, ზაზაშვილი პეტრე, თიღველ კავაძე გოგია, ბეკმელი ბლიაძე ივანე და სხვები.

ბოგანოები: ნასყიდი ბოგანო ბერიკა, უნაძე გოგია, ცერაძე ტეტია, გახელაძე გოგია, კაკუაშვილი ესტატე, ჟამიერაშვილი ოთარა, დიდებელი იესე და სხვები.

ზემოხსენებული აღწერით, სოფელ თამარაშენში სახლობდნენ: ფარსადან, ლუარსაბ, რევაზ, ელიზბარ და დათუა მაჩაბლები, ასევე, ნიკოლოზ და იოსები.

აღწერაში არის შენიშვნა, რომ თავადები გადასახადს არ იხდიდნენ, ამიტომ მათი კომლთა აღნიშვნა არა ხდებოდა.

მაჩაბლების ყმები: დათაშვილი ბეჟან, თუთარაშვილი კაცია, ამისი ძმა ზურაბა, მეტრეველი ზარალო, მეტრეველი გორგია, მეტრეველი ქოქოცა, თუთაშვილი ბერიკა, გაგნიძე ბერიკა, ნადირაძე გოგია, ჩიტიშვილი ბეჟანა, პაპუკიშვილი ხოსია, ებრაელები: ურია ხალხამა, ურია ელია, ურია კაკია, ნინიკაშვილი ისხაკა, ბინიაშვილი შაბათა, დანიელაშვილი დავითა, ლევიაშვილი ურია იაკობა...

დასკვნა

აღწერის დოკუმენტიდან ჩანს, იმ დროს ზუსტდებოდა გვართა ორთოგრაფია და ამიტომ მაჩაბელთა გვარი მოხსენებულია ორი გვარით, რომლებიც ძირითადად დიდი ლიახვის ხეობის სოფლებში ჰქონდათ საუფლისწულო რეზიდენციები. აღწერის დროს სახლის უფროსი ფარსადან მაჩაბელია, რომელიც დიდ მამულებს ფლობს სხვადასხვა სოფლებში. თამარაშენში, ასევე, გვხვდება მაჩაბელ-ბორტიშვილი და მაჩაბელ-ოტიაშვილი. ეს უკანასკნელი გვარები უკვე საკუთარი სახელებისგან არის წარმოშობილი. სოფელ ხეითში, ასევე, ჰქონდათ მფლობელობა როგორც ფარსადან მაჩაბელს, ისე მაჩაბელ-ოტიაშვილებს. ასეთივე მფლობელობა ჰქონდათ ხეითში მაჩაბელ-ბადურიშვილებს, მაჩაბელ-ალხაზიშვილებს. მაჩაბლებს ყმა-მამული ჰქონდათ, ასევე, გორის სოფლებში: დიცში, მეღვრეკისში, ერგნეთში, ახალდაბაში, ვარიანში. ამ მიმართულებით ისტორიულ-ფილოლოგიური წყაროებში მოიპოვება დოკუმენტაცია, რაც კვლევის საგანი უნდა გახდეს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ლომსაძე 2011: ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი. თბილისი.
ჭუმბურიძე 2003: ჭამპურიძე შ., რა გქვია შენ? თბილისი, 2003.
ძიძიგური 1973: ძიძიგური შ., ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი კილოებსა და ზანურში. იკე, I, თბილისი.
ორბელიანი 1991: ორბელიანი ს.ს,, ლექსიკონი ქართული თბილისი, ტ. I.
ორბელიანი 1993: ორბელიანი ს.ს,, ლექსიკონი ქართული თბილისი, ტ. II.

References and Sources

Chumburidze 2003: Champuridze Z., What is your name? Tbilisi.
Dzidziguri 1973: Dzidziguri Sh., Common basis of phonetic processes of vowel complexes in Dialects and Zanuri. Ike, I, Tbilisi.
Lomsadze 2011: Lomsadze Sh., Samtskhe-Javakheti. Tbilisi.
Orbeliani 1991: Orbeliani Sulkhan-Saba, Dictionary of Georgian Tbilisi, vol. I.
Orbeliani 1993: Orbeliani Sulkhan-Saba, Dictionary of Georgian Tbilisi, vol. II.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.17

თურქიზმები სოფელ ღორჯომის მეტყველებაში

TURKISMS IN THE SPEECH OF THE VILLAGE OF GHORJOMI

მედეა რიჟვაძე
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
შუახევი, საქართველო

Medea Rijvadze
St. Tbel Abuseridze University
of Patriarchate of Georgia
\Shuakhevi , Georgia

აბსტრაქტი

წარმოდგენილი კვლევა ეხება ქართული ენის აჭარულ დიალექტში თურქულენოვანი ლექსიკური ერთეულების სესხებისა და მათი ენაში ინტეგრაციის პროცესს, კონკრეტულად კი ღორჯომის მეტყველებაში. ისტორიულმა ვითარებამ – თურქეთის მიერ სამხრეთ საქართველოს ოკუპაციამ – ხელი შეუწყო მრავალსაუკუნოვან ლექსიკურ გავლენას, რაც დღესაც შეინიშნება აჭარულ დიალექტში. ნასესხები სიტყვები მოიცავს როგორც წმინდა თურქულ, ისე სპარსულ და არაბულ ელემენტებს, რომლებიც თურქულის მეშვეობით შემოვიდა და დამკვიდრდა ქართულში.

კვლევის მიზანია, ნასესხები ლექსიკური ერთეულების მაგალითზე სემანტიკური, ფონეტიკური და გრამატიკული თავისებურებების გამოვლენა. მასალა შეიკრიბა როგორც ლექსიკოგრაფიული წყაროებიდან, ისე ადგილობრივ მოსახლეობასთან უშუალო შეხვედრების დროს.

ნაჩვენებია, რომ უცხოური სიტყვების ნაწილი გამოიყენება თავდაპირველი მნიშვნელობით (მაგალითად, ბელა, თახუმი), ხოლო ნაწილი მნიშვნელობაშეცვლილია. არც კალკირების შემთხვევებია ცოტა, ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული ფორმით (მაგ., იოლდაში, ქესტანე, ჰავლი).

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სიტყვაწარმოების ქართულ სტრუქტურებში უცხოურ ფუძეთა გამოყენებას (-იან, -ობა, უ-ო სუფიქსებით) და ზმნათა ქართული მოდელებით გადმოცემულ თურქულ კალკებს. ნათელია, რომ ღორჯომის მეტყველება აქტიურად იყენებს თურქიზმებს, თუმცა ზოგჯერ მათ ახალ მნიშვნელობას ანიჭებს და ოსტატურად უსადაგებს ქართული ენის გრამატიკულ სისტემას.

კვლევა მნიშვნელოვანია როგორც დიალექტოლოგიური, ასევე, ენის ისტორიული განვითარების კუთხით.

საკვანძო სიტყვები: ღორჯომის მეტყველება, დიალექტური ლექსიკა, სიტყვათა სესხება, თურქიზმები ქართულში.

ABSTRACT

The present study examines Turkish lexical borrowings in the Adjarian dialect of the Georgian language and analyzes the processes of their integration into the language, with specific reference to the speech of the village of Ghorjomi. The historical circumstances—namely the Ottoman occupation of southern Georgia—contributed to centuries of lexical influence that can still be observed in the Adjarian dialect today. The loanwords include both purely Turkish elements and items of Persian and Arabic origin that entered Georgian through Turkish and subsequently became established in the language.

The aim of the present study is to identify the semantic, phonetic, and grammatical characteristics of borrowed lexical units. The material was compiled from lexicographic sources as well as through fieldwork conducted during direct meetings with the local population.

The analysis reveals that some foreign lexical units are employed with their original meanings (e.g. *bela, takhumi*), while others have undergone semantic change. Instances of calquing are also attested in forms adapted to the local linguistic context (e.g. *yoldashi, kestane, havli*).

Particular attention is paid to the use of foreign stems within Georgian word-formation structures (with the suffixes *-ian, -oba,* and the prefix–suffix combination *u-...-o*), as well as to Turkish calques conveyed through Georgian verbal models. The analysis clearly demonstrates that the speech of Ghorjomi actively employs Turkisms, which in certain cases undergo semantic modification and are integrated into the grammatical system of Georgian.

The research is important both for Georgian dialectology and for understanding the historical development of the Georgian language.

Keywords: Ghorjomi speech, dialectal vocabulary, lexical borrowing, Turkisms in Georgian.

შესავალი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ აჭარის, წარსული მთელი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ფურცელია. მე-16 საუკუნის ბოლოს ჩვენი სამშობლოს ოდესღაც ერთი ყველაზე დაწინაურებული კუთხე – მესხეთი თურქთა ბატონობის ქვეშ ექცევა, თუმცა აჭარა თავგანწირული ბრძოლით ერთხანს კიდევ იგერიებდა მომხდურ მტერს, მაგრამ მე-17 საუკუნის დამდეგს ისიც ხელთ ჩაიგდო მტერმა. აჭარა სამხრეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად მოსწყდა დედასამშობლოს. იგი ეროვნული გადაგვარების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, თუმცა, მტრის ძალმომრეობითი ასიმილაციის მიუხედავად, მტკიცედ დაიცვა მშობლიური ქართული ენა. ორგანული კავშირი არ გაწყვიტა მასთან, მის დიალექტებთან. მაგრამ გათურქების პოლიტიკა, ისლამის ფანატიზმი მაინც თავისას აკეთებდა; მოზღვავებული უბედურება, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში გრძელდებოდა, თავის კვალს ტოვებდა. სულთნის თურქეთის მუხანათური

ხელი რამდენადმე მასაც მისწვდა. მრავალსაუკუნოვანი ენის საგანძურში მღვრიე ნაკადად შემოიჭრა თურქული ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ელემენტები. თურქიზმებად იგულისხმება წმინდა თურქულის გარდა ამ უკანასკნელის გზით შემოსულ არაბულ-სპარსულ სიტყვები და სხვა ენობრივი ელემენტები.

1874 წელს ღორჯომში ჩასული გიორგი ყაზბეგი იხსენებს: „უკანასკნელი ტერასიდან სოფელ ღორჯომში ჩასვლისას მსხვილი რქოსანი საქონლის დიდი ჯოგი დავინახეთ. მწყემსად პატარა ბიჭები ედგათ. ჩვენამდე ამოდიოდა მათი ჟივილ-ხივილი. პირველად ვხვდები აჭარლებს და ნუთუ თურქულად ელაპარაკებიან ერმანეთს-მეთქი? ნუთუ აჭარაში საქართველო გაქრა? ბოლოს ახლოს მივედი და... აღტაცებული დავრჩი, ბიჭები ქართულად ილანძღებოდნენ“ (ყაზბეგი 1995: 59).

შოთა ძიძიგური შენიშნავს, რომ: „სპარსული და თურქული ენებიდან მომდინარე სიტყვებით და გამოთქმებით ივსებოდა ქართული ლექსიკონი. ხშირად ისეთი სიტყვებიც ინერგებოდა, რომელთა ექვივალენტი ჩვენს ენას კარგა ხანია ჰქონდა. ეს გარემოება შესაბამის ქართულ სიტყვებს გაქრობასა და სამუდამო დავიწყებას უქადდა. ქართულ სალიტერატურო ენას რომ არ ჰქონოდა დიდი ტრადიცია და შინაგანი წინააღმდეგობა არ გაეწია ისეთი უცხოური ელემენტებისთვის, რომლებიც ანაგვიანებდნენ ენას და რომელთა დანერგვას ქართული ენის მდიდარი ლექსიკონი არ მოითხოვდა“ (ძიძიგური 1957: 169). გამოდის, რომ ტენდენცია უცხოურ სიტყვათა სესხებისა აჭარულს ქართულისგან მემკვიდრეობით გადმოეცა. აჭარულ დიალექტში ფართოდ გავრცელებულია თურქული სიტყვები, რომლებიც ასახავენ ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობას, ყოველდღიურ საქმიანობას და კულტურულ რეალობას. როცა განვიხილავთ უცხოურ სიტყვათა სესხებას, წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ მსესხებელი ენობრივი კოლექტივი – ქართული ენის აჭარული დიალექტი – ძირითადად ძალდატანებით სესხულობს პოლიტიკური უპირატესობის მქონე თურქული ენობრივი კოლექტივისაგან უცხოურ სიტყვებსა და გამოთქმებს, ასევე, სტრუქტურულ მოდელებს.

ლექსიკა ყველაზე ცვალებადი ნაწილია ენისა და მიგვაჩნია, რომ მისი შესწავლა სინქრონიულ და განსაკუთრებით დიაქრონიულ დონეზე ყოველთვის აქტუალურია, სიახლის მომცემია. ამ კუთხით კვლევა ხელს უწყობს ახალი ან მივიწყებული ლექსიკური ერთეულების გამოვლენას. შესაბამისად, დიალექტის ლექსიკის შესწავლა ხეობათა თუ თქმა-ქცევების დონეზე სწორედ შეძლებს ამ ლექსიკურ ერთეულთა აღნუსხვას. თითოეული ახალი ლექსიკური ერთეული თავის ადგილს დაიჭერს დიალექტის დარგობრივ ლექსიკაში. დიალექტის ლექსიკის შესწავლა კი არის სალიტერატუტო ენის სიტყვიერი ფონდის საფუძველიცა და სიმდიდრეც.

უცხოურ ელემენტთა სესხებისა და შეთვისების საკითხი ქართული ენის აჭარულ დიალექტში გარკვეულწილად შესწავლილია, თურქულ-არაბულ-სპარსული ენებიდან ქართულსა და მის დიალექტებში ნასესხობათა ცალკეულ საკითხებზე მნიშვნელოვანი მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ა. შანიძეს, გ. წერეთელს, ს. ჯიქიას, მ. ანდრონიკაშვილს, ნ. ჯანაშიას, ზ. თან-დილავას, მ. ცინცაძეს, ალ. მსხალაძეს, შ. ფუტკარაძეს, მ. ფაღავას...

კვლევის მეთოდები

თურქული ენიდან აჭარულში ნასესხებ ენობრივ ელემენტებზე დაკვირვება, სიტყვათა სესხება-დამკვიდრების პროცესის კანონზომიერებათა შესწავლის მიზნით, ჩატარდა ორი მიმართულებით: 1. ნასესხებ სიტყვათა სემანტიკა, 2. ნასესხობათა ფონეტიკური და გრამატიკული თავისებურებანი. ფორმების მოძიებისას გამოყენებულია ემპირიული კვლევა (ადგილობრივ მოსახლეობასთან საუბრისას დაფიქსირებული სიტყვაფორმები), ასევე, დიალექტური ტექსტები და ლექსიკონები. ფორმები შედარებულია როგორც ორიგინალთან, ისე ქართული ენის სხვა დიალექტებში დადასტურებულ მსგავს ფორმებთან, რამდენადაც ზოგიერთ თურქიზმს ახასიათებს გრამატიკული ფორმები, რომლებიც განსხვავდება სხვა რეგიონული დიალექტებისგან.

მსჯელობა

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებში თურქული ენის ოფიციალურმა ჰეგემონიამ ქართული ენის აჭარულ კილოს, აჭარელთა მეტყველებას საკმაოდ ძლიერი დაღი დაასვა. ღორჯომის მეტყველებაში დალექილი თურქული წარმოშობის ბევრი ლექსიკური ერთეული (თითქმის 80%) იმავე მნიშვნელობით და ფორმით არის შემორჩენილი, როგორც ეს თურქულ ენაშია მაგალითად:

აკვნითახუმი (თურქ. < სპ. Takım) – ჯგუფი, გვარი, ჯიში, ნაკრები / აკვნის მოწყობილობა): „ბადიში რომ გაჩნდება, გათხუებული გოგოს ანა-ბაბოჲ აკვნითახუმს მუუტანენ. კომპოზიტი მიღებულია ქართული (აკვანი) და თურქული (თახუმი) ძირების შერწყმით.

ალევი (თურქ.. alev) – ცეცხლი. „ბებრევ სახლს ალევი მიედვა ბითევად და ერწამალაი ჩეიფერფლა“.

ალფაჯული (თურქ. arpacik soğan) – წვრილი სათესლე ხახვი: „იგზე, ბოსტნის განაპირაჲ, ადგილი დავტიე, ალფაჯური ხახვი-ნა დავთესო“.

არჩი (თურქ. aşçı) – მზარეული, არჩიხანა – სამზარეულო (სასადილო). ქორწილებსა და ქელეხებში მოაწყობდენ მზარეულის სამუშაო ადგილს, რომელსაც არჩიხანას უწოდებენ. „ამხელა ქორწილს ერთი *არჩი* რაფერ მუაბრუნებს, დამხმარე-ნა მივცეთ ვინცხაჲ“.

ახორი (თურქ. ahır) – საჯინიბო, ბოსელი. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის მიხედვით, ახორი –: 1. ცხენის ბაგა (საბა), 2. სახლის მოშენებული (ან მოღობილი) სადგომი, სადაც ზამთარში საქონელს აბამენ, – ბოსელი. ღორჯომშიც ბოსელის მნიშვნელობით გვაქვს: „*ახორთ*უკანაჲ ბითევაჲ მეჲღლიზა და ჰაიდე, ააფერი აღარ დარჩა“.

აჯაფ (თურქ. < არაბ. acep) – ნეტავ. „*აჯაფ* გუშინდელმა წვიმამ რაფერ ჩეიარა თაში?!“

ბეთარი (თურქ. Beter) – უარესი. „გამჩენელმა *ბეთარი*დან შიგვიბრალოს“.

ბელქი (თურქ. Belki) – ალბათ, ვინ იცის, იქნებ, ეგებ... „*ბელქი*და მომცა, მარა სულ არ მახსოვს, აჯაფ ჰა წევღებდი?!“

ბალდუზი (თურქ. baldiz) – ცოლისდა.

ბაჯანაღი (თურქ. bacanak) – ქვისლი.

ბაჯიჲა (თურქ.bacı) – და.

ბეზარი (თურქ. < სპ. bezar) – მომაბეზრებელი. მოთმინებიდან გამომყვანი. „ყველდღე ამდენი მოსულ-წასული *ბეზარ* მულ, არვის დანახვა აღარ მინდა დუნიაზე“.

ბერბადი (თურქ. berbat) – ბინძური, ტალახიანი. „ემიაჲ გუშინ გზაში ტალახში წაქცეულა, ბითევაჲ *ბერბადი* იყო რომ მოვდა“.

ბილეზუგი (თურქ. bilezik) – სამაჯური. „ელინს იმფერი ლამაზი *ბილეზუგი* შეაბეს, თვალი დაგრჩებოდა ზეიდან“.

ბითევი (თურქ. bűtűn) – მთლიანად, სრულად, ერთიანად. „ზარმელი ბაღვს გუუმზადე, მარა ბერმა *ბითევა* შეჭამა“.

ბოშუნა (თურქ. boşuna) – ტყუილად, უმიზეზოდ. „მაგ ბაღვის სუჩი არ იყო, *ბოშუნა* გაარეზილე“.

ბოია (თურქ. boya) – საღებავი. „ხემზე ტაიას ზოვლი ლამაზი *ბოები* აქ გასაყიდი“.

ბოლი (თურქ. Bol) – 1. უხვი, ბევრი, 2. ფართო, თავისუფალი. ღორჯომში გამოყენებულია ორივე მნიშვნელობით: „ჩვენი ბაღვიდან ააფერი გამუა, ზოვლი ხელბოლია (ხელგაშლილია)“; „ქორწილს რომ იქ, ყველაფერი *ბოლათ*-ნა გქონდეს, ხალხი არნა ალაპარიკო“; „ეგ შარვალი ზოვლი ბოლაი გაქ, პაწაი ჩაკერვა უნდა“.

გელინი (თურქ. Gelin) – რძალი, პატარძალი. „ბაჯილო, *გელინი* მელოგინეა და თაზე ვერ მიმყავს, შენ სამარ ვტევ და ყურადღება-ნა მიმიქციო“.

გერჩექ (თურქ. gerçekten) – მართლა, ნამდვილად, ჭეშმარიტად. „*გერჩექდანაც* ვერ გაასხვავებ ერთიმეორედან, იმფერი ერთმანეთის სოი არიან“.

დემახ (თურქ. Demek) – ერთი სიტყვით, მაშ, ამგვარად... „*დემაქი* ყველაფერი შენთან დარჩა?!“

დირეგი / დირეღი (თურქ. Direk) – ბოძი. „ეს *დირეგი* შუა ეზოში რომ გაბოგე, ააფრის ადგილი აღარ არის“.

დონღუზი (თურქ. domuz) – ღორი. „*დონღუზის* ხორცი ჩვენზე არ იჭმევა, ზოვლი დიდი ცოდვაა“.

დონუმი (თურქ. dőnűm) – ჯერი, გზა, რეისი. „მოკდა ბაღვი ამ წყლი ზიდვაში, დღე ერთია და ცხრა-ათ *დონუმს* აკეთებს“.

დოშეგი (თურქ. dőşek) – ლეიბი, ქვეშაგები. „ვითამ დოშეგი მზეზე გევტანე და ჭალაში წეველ. მეგემ წვიმამ დუუშვა და სულ გალუმპა“.

ეილუგი (თურქ. eylik) – სიკეთე, მადლი, ამაგი. „ეიკიდი ჰაჲ, *ეილუგი* არვიზე არ გავა, ჩემო შვილო, თავს მიხედე“.

ემედენი (თურქ. Emedani < არაბ.) – უცებ, მოულოდნელად. „*ემედენაჲ* ტლაპოში დიმიცურდა ფეხი და ბითევაი ბერბადი გავხდი“.

ემია (თურქ. emin) – მამის ძმა. „*ემია*ჩემი ნასწავლი და ჭკვიანი კაცი იყო, ქვეყანა ჭკუას ეკითხებოდა“.

ეფეჯა (თურქ. efeyce) – საკმაოდ, ბლომად, საფუძვლიანად. „წლევანდელი ზამთარი *ეფეჯა* თოვლიანი იყო, კიღამის ამევხრჩეთ“.

ზენგინი (თურქ. zengin) – მდიდარი. „*ზენგინი* ფუხარას გაჭირვებას ვერ მიხდება“.

თარაფა (თურქ. < .არაბ. Taraf) – მხარე, კუთხე. „იქითა *თერეფზე* დიდი კაპანია და მანქანებს ზოვლი უჭირს სიარული“.

თელი (თურქ. tel) – მავთული, სიმი. „ჩემი მამული ბითევაჲ *თელით* შამოვღობე, აბა ხის ღობეს ჰა ვნახავდი მაგდენს“.

თემბელი (თურქ. tembel) – ზარმაცი, უქნარა, მოუხერხებელი. „მაგათი ბაღვი ზოვლი *თემბელია,* მაგან ცხოვრება ვერ-ნა ააწყოს, ისე გავს“.

თენექა (თურქ. tenek) – თუნუქის ჭურჭელი. „სახლიდან ყველა ხარახურა გადავყარე, სახლიქვეშაც რაც *თენექები* იყო მივაყოლე“.

თექ (თურქ. tek) – ოღონდ, რამენაირად, როგორმე. „*თექ* მესტუმრე და დანარჩენი ჩემზე იყოს, ყველაფერ გავახაზირებ“.

თოზდი (თურქ. toflu) – ერთგვარი ქინძისთავი. „კაბი გაკერვა ეზარება და კაბა *თოზდებით* აქ შამოკეცილი“.

ჲაღლი (თურქ. Yağlı) – ქონიანი, ცხიმიანი. „თაში გამომცხვარი ჲაღლი ჭადი, ია *ჲაღლი* პური სხვასოჲ გემრიელია“.

ჲალანჩი (თურქ. yalancı) – მატყუარა. „ჩემი ბერის მემრე *ჲალანჩი* დუნიაზე აღაფერი არც მეჰევესება და არც მენატრება“.

იდარე (თურქ. < არაბ. idare) – მოთმინება. „*იდარე* ქენ, ახლა ბაღვები შენ გიყურებენ და ნუ შიაშინებ“.

ინათი (თურქ. inat) – ჯიუტი. „*ინათიანი* კაცი თუ შეგხდა, ვეფერს ვერ გახდები“; „ციცაჲ გავახელე და *ინათი*-ნა ჩემ გაკეთებულ საჭმელსაც არ ჭამს“.

იშტაჰი (თურქ. iştah) – მადა. „ავადმყოფს მუცელი ასტკივდა და *იშტაჰი* ჰიჩ აღარ აქ“.

კარანფილი (თურქ. karanfil) – დარიჩინი. „ბაბოჲ ჩაიში ყველთვინ *კარანფილს* უმატებს“.

კოპჭი (თურქ. copçа) – ლითონის ღილკილო. „კაბა შევკერე და *კოპჭები*-ნა ვიყიდო, რომ დავაბა“.

ლეჩერი (თურქ. < სპ. leçer) – ხილისგან მომზადებული ტკბილი წვენი. „ანამ იმფერი გემრიელი *ლეჩერი* მუადუღა, თითებს ჩეიკნეტ, გელაპარაკები“.

მაქას (თურქ. < არაბ. makas) – მაკრატელი. „*მახასი* სუ დაბლაგვდა, ვეფერი ვეღარ გავჭარ“.

მეხსუზ (თურქ. < არაბ. mahsuz) – სპეციალურად. „*მეხსუზ* არ ვახსენებ ჩემ ვალს, ერთი მაინტერესებს როისნა მომცეს“.

მუთვაღი (თურქ. < არაბ. Mutfak) – სამზარეულო, სამზადი. „ახშანამაზიხან ყველაჲ *მუთვაღში* ვიჯექით და გემრიელაჲ ვლაპარიკობდით“.

ოფე (თურქ. Oprak. დიალექტ.) – პატარა ორმო რაიმეს დასათესად. „ბითევა ყანაში დავაკეთეთ საყართოფე *ოფეები* და ახლა ჩავყრით ყართოფსაც.

სერსემი (თურქ. < სპ. sersemi) – ჩერჩეტი. „ამფერი *სერსემი* ბაღვი მეორე აღარ მინახავს

სექვი (თურქ. seki) – ოთახში კედლის გასწვრივ მიშენებული ტახტი. „ეიკიდი ჰაჲ... ამ ტყვილ დუნიაზე ერწამალაჲ ქრება ყველაფერი...დარჩა ბაბოს *სექვი* ცარიელი!!!“

სინორი (თურქ sinir) – საზღვარი. „ჩვენი ყანების *სინორი* წაბლის ტყემდე მიდიოდა, იმტონი მიწა გვქონდა“.

სობა (თურქ. soba) – ღუმელი. „ბათუმ ახალი *სობაჲ* ვიყიდე, ჰემ ლამაზია და ჰემ სქელი, ამ ზამთარ ერთი გემრიელაჲ გავთბებით“.

სოხრა (თურქ. Surha, დიალექტ.) – „ზოვლი *სოხრა* საქმე მძულს, მირჩევნია სულ არ გააკეთო“.

სუზგი (თურქ. süzgü) – საწური.

სურუნთი (თურქ. Sűrűntű) – უნებისყოფო, მსუნაგი.

სუჩი (თურქ. Suç) – ბრალი, დანაშაული.

ტაია (თურქ. daya) – დედის ძმა. „*ტაიაჩემი* აგზე ცხოვრობდა, ახლა ქალაქ გედეიბარგა“.

ტამარი (თურქ. damar) – 1. ძარღვი 2. გადატ. ხასიათი, გუნება.

ურბა (თურქ. < ფრანგ.-იტალ. urba) – ტანსაცმელი. „ბოხჩა ნიშანს რომ მიიტანდნენ, მაშინ *ურბასაც* აჩუქებდნენ გენილსა“.

ფორჩა (თურქ. Fırça) – 1. ჯაგრისი, 2. ფუნჯი.

ფახირი (თურქ. bakır) – სპილენძი.

ქენერი / ქენარი (თურქ. kenar) – კიდე, ნაპირი.

ქექეჯი (თურქ. kekeç) – ენაბლუ, ენაჩლუნგი.

ქირვა (თურქ. kirve) – ბიჭის ნათლია მუსულმანურ რელიგიაში. „ქორწილში ყველაზე მეტ *ქირვა* იხარჯება“.

ქოქი (თურქ. kők) – ძირი, ჯიში, გვარი. „შენი *ქოქი* ამოგივარდა, ააფერში ვარგიხარ, ჭამისგუდა ხარ“.

ყაბი (თურქ. kab) – ჭურჭელი. „საჭმელს რუმ ვჭამდით, *ყაბებს* ავსწევდი და იქითა წყალზე მიმქონდა გასარეცხად“.

ყაზიაღი (თურქ. gaziyağı) – ნავთი.

ყავღა (თურქ. < სპ. kavga) – ომი, ჩხუბი. „ჩვენი ოჯაღიდან გარეთ მარტო *ყავღა*-ყიამეთი ისმის“.

ყათიანი (< თურქ. Katlı) – სართულიანი. „ძველად სულ *ორყათიანი* ხის სახლები გვქონდა; პირველი საქონლის იყო, მეორე *ყათზე* ჩვენ ვიყავით“.

ყილიღი (თურქ. kilik) – შესახედაობა, გარეგნობა, საჩინოება.

ყორაო (თურქ. Korava, დიალექტ.) – კვაწარახი.

ყულაღარდი (თურქ. kulak+ardi) – ყურწაგდებული. „რამე არ აფიქრებს ამ ცხოვრებაში, სხვანაირი *ყულაღარდი* კაცი დარჩა“.

ყურაღი (თურქ. kurak) – პაპანაქება სიცხე.

ჩენგე (თურქ. Çenge, დიალექტ.) – ქვედა ყბა. „იმფერ არ ველოდი მაგ ამბავს, ხალავ, *ჩენგე* ჩამომივარდა“.

ჩეთინი (თურქ. Çetin) – ძნელი, რთული, მკაცრი.

ჩეშიტ-ჩეშიტი (თურქ. çeşit-çeşit) – ნაირ-ნაირი, ფერად-ფერადი.

ჩინი (თურქ. < სპ. çini) – თეფში. „*ჩინს* რომ გარეცხავ, ჰამან გაწმინდე და სარძიი შკაფში შეინახე-მეთქი, სულ ამას ვასწავლი ციცას“.

ჩოლაღი (თურქ. çolak) – კოჭლი, ცალხელა, საპყარი. „მეგ კაცი ომში *ჩოლაღი* დარჩა – ფეხი დაკარგა“.

ხისიმი (თურქ. < არაბ. Hısım) – ნათესავი. „თურქეთ ბევრი *ხისიმები* გვყავს, დედეს ნამრავლი“.

ჰამან (თურქ. < სპ. Hemen) – უცებ, ეგრევე.

ჰაიდე (თურქ. haydi) – აბა, მიდი!

ჰემ (თურქ/ < სპ. hem) – თანაც, კიდევაც, ისიც-ისიც. *„ჰემ* გუუკეთო და *ჰემ* მუუტანო-ნა“.

ჰიჩ (თურქ. Hiç) – საერთოდ არაფერი „*ჰიჩ* ააფერი არ ვიცი!“

ჰექია (თურქ. < არაბ. hikaye) – მოთხრობა, ზღაპარი. „დიდანომ ბევრი ჰექია იცის“.

სიტყვაში ზოგჯერ შეიძლება თავს იყრიდეს რამდენიმე სემა, რომელთა გამოვლენა ხდება კონტექსტის მიხედვით. როცა საანალიზო სიტყვა პოლისემანტიკურია, მსესხებელი ენის კოლექტივში ყველა მნიშვნელობა არ გადადის, ანუ გადმოტანისას საფუძვლად უდევს ერთი, მადომინირებელი მნიშვნელობა, რომელიც განსაზღვრავს სიტყვის სემანტიკას. მსგავსი შემთხვევები დასტურდება სოფელ ღორჯომის მეტყველებაში შემონახულ თურქიზმთა შორის:

აბლა – თურქულ ენაში რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება: 1. უფროსი და, 2. ბიცოლა, 3. ასაკით უფროსი ქალისადმი მიმართვა. ღორჯომის მეტყველებაში გამოყენებულია „ბიცოლას“ მნიშვნელობით. „სური აბლავ, შელლიგი ჰად არიან?“ საინტერესოა ისიც, რომ დასტურდება აბლიენთი ფორმაც (ბიცოლას ოჯახის წევრები, საბიძაშვილო): „*აბლიენთსა* მივალ, ამაღამ ნადი ჰყავან“.

ანჯახ (თურქ. Ancak) – 1. მხოლოდ, ძლივს, 2. სრულიად მარტო, მარტოდმარტო. ღორჯომის მეტყველებაში მოცემულ ლექსემას იყენებენ „ძლივს“ ზმნიზედის მნიშვნელობით: „*ანჯახ* გამუაღწიეთ, იმფერი ტალახიანი, ჩახერგილი გზა იყო“.

არხატაში (თურქ. Arkadaş) – 1. ამხანაგი, 2. სწორი ტოლი. საანალიზო მეტყველებაში გადმოსცემს პირველ მნიშვნელობას: „ჩემი პრატი რაცხა ჩაკეტილი იზრდება, *არხატაში* ჰიჩ არ ჰყავს“.

ბათახი (თურქ. batağ) – 1. ჭაობიანი ადგილი, 2. მიუვალი, გავერანებული ადგილი. ღორჯომში კი საერთოდ განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინა: „ბინძური“. „ხუსნი ძია სახლში შუაღამეზე დაბრუნდა, მანქანა გაფუჭებოდა და ბითევაჲ ბაყლი-*ბათაღი* იყო“.

ბედენი (თურქ. Beden) – 1. სხეული, 2. ზომა. ღორჯომში დასტურდება „სხეულის“ მნიშვნელობით: „ძალო, ზოვლი *ტანიბედენი* მტკივა“.

ბელა (თურქ. Bela) – 1. უბედურება, 2. შარი. ღორჯომის მეტყველებაში დასტურდება მეორე მნიშვნელობით – „შარი“: „გელაპარაკები, *ბელა* ვნახე“.

ბორი (თურქ. boru) – 1. მილი, მილაკი (თუნუქის, ღუმელის), 2. ბუკი, საყვირი. შესასწავლ მეტყველებაში დამკვიდრებული და გამოყენებულია პირველი მნიშვნელობით: „ტაიაჲ ბათუმ წევდა გუშინ და სობის *ბორები* დავაბარე“.

დოსტი (თურქ. < სპ. dost) – 1. მოყვარე, ნათესავი, 2. მეგობარი, ამხანაგი. ღორჯომში მოყვარე / ნათესავი ოჯახი როცა შეიქმნება, ცოლისა და ქმრის ნათესავები ერთმანეთის *დოსტები* ხდებიან.

ვახტი (თურქ. < არაბ. akti) – 1. დრო, ჟამი, ვადა, 2. მუსულმანური ლოცვის დრო, 3. ძალა. სამივე მნიშვნელობით გვხვდება ღორჯომის მეტყველებაში: „იმფერი დავუძლურდი, რომ ავდგე, მაგის *ვახტიც* არ მაქ“.

ზათი (თურქ. < არაბ. Zaat) – 1. წინათ, წარსულში, უწინ, 2. ისედაც, საერთოდ, ნამდვილად.

ზოღი (თურქ. zoğ) – 1. შოლტი, ქალამნისთვის დაჭრილი საქონლის ტყავი, 2. ზოლი. ღორჯომში დასტურდება „ზოლის“ მნიშვნელობით: „იი *ზოღებაჲ* კაბა ზოვლე გიხდება“.

ზოვლი (თურქ.< სპ. zovl) – 1. ზორბა, წარმოსადეგი, მამაცი, მარჯვე, 2. ძალიან, ძლიერ. დასტურდება „ძალიან, ძლიერ“ მნიშვნელობით, თუმცა გარკვეულ გამოთქმებში დალექილია „წარმოსადეგი“.

ზორი (თურქ. zor) – 1. ზეწოლა, ძალა, 2. ჯაფა, გასაჭირი, 3. ძალად. ღორჯომის მეტყველებაში გამოიყენება „ძალდატანების“ მნიშვნელობით: „*შერ ზორითაი* გააკეთა და იმტონ არ გამოვდა ლამაზი“.

თაბუთი – 1. კიდობანი, 2. მიცვალებულის ჭურჭელი. მიცვალებულს „თაბუთზე” ასვენებენ. თავის მხარეს ფართო, ხოლო ქვედა ნაწილი ვიწროა. ხშირად თაბუთზე დასვენებულ მიცვალებულს თაბუთის გარეშე კრძალავენ, ხოლო თაბუთს მუსლიმანთა სალოცავ საკულტო ნაგებობაში – „ჯამეში” ინახავენ: „ჩვენსა *თაბუთით* არ დაფლენ კდარსა“.

თახუმი (თურქ. < სპ. takım) – 1. ჯგუფი, გვარი, კოლექტივი, ჯიში, 2. ნაკრები. ღორჯომის მეტყველებაში „იარაღებს“ აღნიშნავს: „ჩემი ბითევაი *თახუმი* აბლიენთსა მიზიდეს“.

იშტა / იშტე / იშთე (თურქ. İşte) – 1. ერთი სიტყვით, ამრიგად, 2. ასე ვთქვათ. ღორჯომში გამოიყენება დადასტურებით ნაწილაკად: „გითხარ, *იშტა,* მაგრა ნუ წახვალ-მეთქი“; „მოვდა იშტა“.

იზინი (თურქ. < არაბ. izin) – 1. ნიჭი, საზრიანობა, გონიერება, 2. ნებართვა, ვადა, შვებულება. ღორჯომის მეტყველებაში იზინი მეორე მნიშვნელობითაა დამკვიდრებული. ჰადმე წასლა რომ მოგინდება, *იზინი*-ნა ეიღო ანა-ბაბოდან“.

მერაყი (თურქ. merek) – 1. ცნობისმოყვარე, 2. დარდი. ღორჯომში დასტურდება „დარდის, ვარამის“ მნიშვნელობით.

რიზყი / რიზღი (თურქ. < არაბ.) – 1. წილი, ულუფა, არსებობის საშუალება, 2. ხორაგი, სურსათ-სანოვაგე, საზრდო. საანალიზო სიტყვის მადომინირებელ სემად ჩვენთვის საინტერესო მეტყველებაში არა საკვები, არამედ წილხვდომილი / წილი წარმოგვიდგება: „ყველა სულიერს ამ დუნიაზე მისი *რიზღი* მოყვება“.

ჰევესი (თურქ. < არაბ. heves) – 1. მისწრაფება, მიდრეკილება, ნდომა, წადილი, ხალისი, 2. სიყვარული, ტრფიალი, ხანმოკლე სურვილი. ღორჯომში „ხალისის“ მნიშვნელობით გამოიყენება: „იმფერი *მეჰევესება* ბადიში, სული მელევა“.

ღორჯომის მეტყველებაში, ასევე, გამოიყოფა ჯგუფი ნასესხები სიტყვებისა, რომელთაც მსესხებელ ენაში არსებული მნიშვნელობები არ გადმოყვათ და სხვა მნიშვნელობით გამოიყენებიან. მაგალითად:

ალთუნი (თურქ. altin) – ღორჯომში მნიშვნელობა დავიწროვდა და „ოქროს მონეტას“ უწოდებენ.

ბეიხაბერი (თურქ. < სპ.-არაბ.) – უმაქნისი, უქნარა, დონდლო. ღორჯომში აღნიშნავს: „აზრზე არ არის“: „ამ ქვეყნის *ბეიხეზერი* არ აქ ჩვენებიენთ ბაღვს, ჰაერში დაფრინავს“.

ბურუნი (თურქ. .burun „ცხვირი“). ღორჯომში იხმარება „მოსახვევის, შემოსახვევის“ მნიშვნელობით: „ცენტრში მოსლამდე დიდი *ბურუნია* და ნელა იარე“.

ბაზლუღი (თურქ. yazlık) – საზაფხულო სახლი, აგარაკი. ღორჯომში „დერეფანს“ აღნიშნავს: „სულ ფეხცმული დადიან *ბაზლოღში,* ბერბათია იქაურობა“.

ეგანი (თურქ. Yeğen) – ძმისწული, დისწული. ღორჯომის მეტყველებაში ნათესავს, ხშირად გამრიგოებსაც ეძახიან: „აქ სუ ყველა ჩვენი *ეგნები* სახლობენ“.

ეოლდაში (თურქ. Yoldaş) – ამხანაგი. შდრ. ღორჯომში – დაქირავებული მუშა: „*იოლდაშებმა* სულ იაფად, ასი მეშოკი სილა იმიზიდეს იმ სიმაღლეზე“.

ზიაფეთი (თურქ. Ziyafet) – 1. სტუმრობა, ლხინი, წვეულება, 2. გემრიელი კერძები: „აბლამ იმფერი *ზიაფეთები* გამოგვიტანა, გელაპარიკები გევსესეთ“.

თურთხალი (თურქ. tutkal) – სადურგლო წებო. შდრ. ღორჯომის მეტყველებაში: პლასტმასი.

ლოდოს (თურქ. < < ბერძნ. lodos) – მოღრუბლული, დაბურული ამინდი, ქარის სახეობა. ღორჯომში – წვრილი წვიმა: „გუშღამ იმფერი *ლოდოსი* იყო, ორი მეტრა თოვლი გაადნო“.

სიჰინთი (თურქ. sıhıntı) – მოწყენილობა, ნაღველი, სევდა. შდრ. ღორჯომის მეტყველებაში – ნერვები: „ახლა თუ *სიხინთებმა* მომიარა, ამ შეში ნაფოტს გესრი“.

სილგი (თურქ. silgi) – საშლელი. შდრ. ღორჯომში – ერთგვარი მარლის თავსახური: „ძალმა იმსოდ ლამაზი *სილგი* მომიქარგა, თავიდან არ ვიძროზ“.

სოქაქ (თურქ. < არაბ. sokak) – ქუჩა. შდრ. ღორჯომის მეტყველებაში: სოხახი – იატაკი. „ამ ბაღვს *სოხახ* ზე ფეხშიშველა სიარული ვერ მოვაშლევიე“.

ქესტანე (თურქ. Qesten) – წაბლი. შდრ, ღორჯომში ქესტანა – გოგრის სახეობა: „წლეულს ყანაში იმტონი *ქესტანად* მოვდა, ძლივ შევჭამენით“.

ქიბირ (თურქ. < არაბ. Kibir) – ამპარტავანი, პატივმოყვარე. შდრ. ღორჯომში – პრანჭია: „იმფერი *ქიბრობს,* გეგონება დუნია მისიაო“.

ღამაზი /გამაზ (თურქ. < არაბ. gamaz) – შურიანი, დამსმენი. შდრ. ღორჯომის მეტყველებაში: შეხარბება (სხვას რომ ახარბებს რამეს).

შელლიგი (თურქ. Şenlik) – დროის ტარება, ღრეობა. შდრ. ღორჯომის მეტყველებაში აღნიშნავს „ოჯახის წევრებს, ოჯახობას“: „*შელლიგი* რაფერ გყავს? ხომ ჯანმრთელად არიან?“

ჩობანი (თურქ. Çoban) – მენახირე, მწყემსი. შდრ. ღორჯომის მეტყველებაში – უნიათო, მოუხერხებელი: „სხვანაირი *ჩობანი* დარჩა, ბაბუამისს ჰიჩ არ გავს“.

ჰავლი (თურქ. < ბერძნ. havlu) – პირსახოცი, ოთახებს შორის გამჭოლი დერეფანი; ბაკი, მუთვაღი. შდრ. ღორჯომის მეტყველებაში – ბოსლის ან სახლის შესასვლელი დერეფანი: „*ჰავლში* ფეხ ვერ გადგამ, იმტონი ხერგებია დაყრილი“.

ჰიქმეთი (თურქ. < არ. Hikmet) – ბრძენი, ფილოსოფოსი. შდრ. აჭარულში – საოცარი, საკვირველი: ,,რაფერ ყველა თერეფიდამ ხებერი გაქ, *ჰიქმეთი* ხარ, ხანუმ!”

ჰოშ (თურქ. hoş) – სასიამოვნო. შდრ. ღორჯომში მაიხოში – მომჟავო გემო: „მალახტო ლობიას ტყემალ ვუზამთ, *მაიხოშ* გემოს მისცემს“.

დასტურდება სახელადი ნაწილისა და დამხმარე ზმნისგან შედგენილი კალკირებული ფორმები. ამ დროს სახელადი ნაწილი თურქული რჩება, გადმოღებულია დამხმარე ზმნა.

ჰალალი მიქნია – „მიპატიებია“. კალკირებულია თურქული ზმნიდან: helal etmek, რაც ნიშნავს „კანონიერად ცნობას, პატიებას“.

ყაიბი გახდა – „დაიკარგა“. თურქ. kaybolmak სიტყვასიტყვით ნიშნავს: დაკარგულად გახდომას (kayıp – დაკარგული, olmak – გახდომა).

ყუსურზე არ დიმიხედოთ – „ნუ დამძრახავთ“, კალკია თურქული გამოთქმისა kusuruma bakmayınız, რომლის სიტყვასიტყვითი თარგმანია: ჩემს დანაშაულს ნუ შეხედავთ, ანუ მაპატიეთ.

ყური მისცა / ყურაგდება მისცა – „მოუსმინა“, „ყურადღება მიაქცია“. მომდინარეობს თურქული ზმნიდან kulak vermek, რომელიც სიტყვასიტყვით „ყურის მიცემას“ ნიშნავს.

სიტყვის დაკავება – „პირობის შესრულება“. კალკია თურქული söz tutmak-ისა, რომელიც სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „სიტყვის დაჭერა, დაკავება“ და ნიშნავს „პირობის შესრულებას“.

ეზიეთის მიცემა – შეწუხება. სიტყვასიტყვით: „შეწუხების მიცემა“. „ზოვლი ეზიეთი მოგეცით, ჰამა მადლად დეგედებიან“; „ყუსურზე არ დიმიხედო, ხალავ, ეზიეთი მოგეც, ზოვლი არ მინდოდა, ჰამა მეტი გზა არ მქონდა“.

ინათ ნუ იქ (< თურქ. İnat etme). ინათ ნუ იქ, ჭოვ!

ხებერი არ გვაქ – „არაფერი არ ვიცით“. აქ კალკირებულია თურქული გამოთქმიდან: haberimiz yok – ჩვენ არ ვიცით, ცნობა არ გვაქვს.

წარმოების თვალსაზრისით ღორჯომის მეტყველებაში ყურადღება უნდა გამახვილდეს ყველაზე დამახასიათებელ მოვლენაზე; როცა კონტექსტში სიტყვის ძირი თურქულია, ხოლო მაწარმოებელი – ქართული, ანუ დამატებული სუფიქსები ან წინსართები ქართული წარმოშობისაა. ქართული ენის აგლუტინაციური ბუნება დიალექტურ მეტყველებაშიც იძლევა თურქიზმების გაქართულების საშუალებას. სქემა ასეთია: თურქული ძირი + სუფიქსი:

ალთუნ-ებ-ი („ოქროები“), **ინსნ-ებ-ი** („ადამიანები“), **დოხტურ-ებ-ი („ექიმები“), ხებრ-ებ-ი (ჰაბერები „ამბები“).**

-ობა სუფიქსი დაერთვის თურქულ სახელებს და (ისევე როგორც ქართულ ფუძეებზე დართვის დროს) აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს: **ბაჲრამ-ობა** (Bayram – დღესასწაული, ზეიმი), **ხისიმ-ობა** (hısım – ნათესავი), **ჲეთიმ-ობა** (ობლობა), **ქიბრ-ობა** (პრანჭვა).

თანდებულები: **არაბა-ში** (araba – მანქანა), **ქენერ-ში** (kenar – კუთხე), **დუნია-ში** (dünya – ქვეყანა), **თერეფი-დამ** (Taraf – მხარე), **მეზელუღ-თან** (mezarlik სასაფლაო)...

ღორჯომის მეტყველებაში გავრცელებულია ქართული -იან სუფიქსით ნაწარმოები სიტყვები, რომელთა ძირი თურქულია და, ჩვეულებრივად, მქონებლობის სახელებს აწარმოებს: **აბდეს-იან-ი, მერაყ-იან-ი, ჰერს-იან-ი, საბრ-იან-ი, ინათ-იან-ი**... რთულფუძიან სახელებთან: **ყირმიზფეშტამლ-იან-ი, სიხმასირმ-იან-ი...**

მო–ო კონფიქსიანი წარმოებისაა ზედსართავი სახელები: **მო-სერსემ-ო, მო-სეფილ-ო, მო-ჰიქმეთ-ო...**

უ–ო კონფიქსი აწარმოებს თურქული წარმოშობის უქონლობის სახელებს: **უ-ბერექეთ-ო** (არ. bereket – სიკეთე, დოვლათი, სიუხვე). ,,ყველაფერი მეიტანა მარა უბერექეთო იყო“.

უ-იშტაჰ-ო (თურქ. iştah) – მადა.

უ-ფიშმან-ო (თურქ. < სპ .pişman) – მონანიება, დანანება; მოუფიქრებლი; ,,იმფერი უფიშმანო ინსანია“.

უ-ყისმეთ-ო (თურქ. < არ. kismet – ხვედრი) – უბედო.

უ-ჰევეს-ო (თურქ. Heves – სურვილი) – უხალისო). „დედეი უჰევესოთ გადმოვდა აქ და დასახლდა“...

რაოდენობრივად გამოირჩევა არსებითი სახელისგან ნაწარმოებია ზმნები, რომელთა ძირი თურქულია, წარმოება კი – ქართული. მსგავსი სიტყვები ნათლად წარმოაჩენს სიტყვის უცხო შიგთავსისა და ქართული გრამატიკული ფორმის შერწყმას. მათი გამოყენება ბუნებრივად იქცა. ღორჯომლები (და არა მხოლოდ ღორჯომლები) თურქულ სიტყვას ქართულ „სამოსელს“ აცმევენ. მსგავსი ენობრივი გადამუშავება მხოლოდ თურქული სიტყვების მიმართ როდი ხდება. სხვა ენობრივად უცხო სიტყვების მიმართაც იგივე პროცესი შეინიშნება, რაც ქართველთა მეტყველებაში გავრცელებული ბარბარიზმების „გაქართულებით“ ვლინდება (სპიჩკები, შკაფზე, პოლზე და ა.შ). მაგრამ ღორჯომელთა მეტყველებაში მოჭარბებული თურქიზმების გამო ეს მოვლენა მეტისმეტად თვალში საცემია.

,,ასე უფიშმანიან კაცებსა“; ,,უფიშმანოდ გააკეთა ყველაფერი“.

თურქული სიტყვები გაფორმებულია ქართული ზმნური სუფიქსებით:

ახორთლაღდება – „მოჩვენებად გადაიქცევა“. სიტყვა მიღებულია თურქული სიტყვიდან: hortlak, რომლისგანაც ნაწარმოებია ზმნა hortlamak (გაფორმებულია ქართული ზმნური სუფიქსებით).

არეზილებს – „არცხვენს“ (თურქ. rezillik): „ვერ ხდება, რომ ბაღვი გეიზარდა და ხალხში არეზილებს. მაგას ვერვინ ვერ მეითმენს“.

აჰაზირებს – „ამზადებს“ (თურქ. Hazır): „ანაჲ სარძიეშია, იფთარს ახაზირებს შელლიგისთვინ“.

გამოსაღლამდება – ,,გამოჯამრთელდება“: თურქ. ფუძისგან ,,sağlam“ – ,,ჯანმრთელი“ ნაწარმოები ზმნაა.

გაათექმილა (თურქ. tekmil) – გაამთლიანა, დაასრულა. პაწაი წევკინწლენით და მაგან გაათექმილა დანდურებაც დეიწყო.

გააგერჩექა (თურქ. Gerçekten) – ნამდვილად, მართლა.

გაზენგილდება (თურქ. Zengin) – „გამდიდრდება“. ზმნის ძირია ზენგილ „მდიდარი“, ფუძეში მოხდა ნ/ლ ბგერათა სუბსტიტუცია, თუმცა აქაურთა მეტყველებაში დასტურდება ასევე ზენგინ ფუძეც.

გაათერბიალა (თურქ. terbie) – „გამოწვრთნა, აღზარდა“.

დაამინნეთა (თურქ. minne) – „დააყვედრა“. იმფერი დაამინნეთა ბადიშმა ბერი, გული მუუკლა, ვითამ აქამდე აფერი გუუკეთებია მისთვინ“.

უდინგლებს (თურქ. Dinleme) – „უსმენს, იგებს“: „კარგა დუუდინგლე მაგ შენ არხატაშს, ბევრს ისწავლი“.

დაფიშმანებულა (თურქ. pişman) – „დაფიქრებულა“. მეიფიშმანებს – „მოიფიქრებს“,

დუუარხატაშდა (თურქ. Arkadaş) – „დაუამხანაგდა“. „მარტომ რომ ვეფერს გახდა, მაგას დუუარხატაშდა და საქმეც წინ წევდა“.

თოფლობს (თურქ. topal) – „კოჭლობს“.

მეისეფილებს (თურქ. sefil) – „მოისაწყლებს“.

დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა მკვიდრდება უცხო სიტყვა მიუხედავად იმისა, რომ მისი ეკვივალენტი ენაში / დიალექტში არის.

ადგილობრივთა მეტყველებაში წარმოდგენილია თურქული, არაბული, სპარსული წარმოშობის სიტყვებიც და ადგილობრივი დიალექტური ან ლიტერატურული ფორმებიც ერთი და იმავე ცნების გამოსახატავად. მაგ.: ალთუნი / ოქრო, ანტერი / ოხერი, სამა / ცეკვა, ლალი / მუნჯი, ქორი / ბრმა, ზოფა / ჯოხი, მოსაფირი / სტუმარი, დეთიმი / ობოლი, ყანთარი / სასწორი... თუმცა ნასესხები სიტყვებიდან ბევრი ადვილად განიდევნა ნეოლოგიზმით, მაგრამ ბევრიც აჭარულის საკუთრებად იქცა და მისი ახლით შეცვლა ჯერჯერობით არ მომხდარა: ტვაღი, დირსეგი, ბეთმეზი, მაჲხოში, ნუსხა, ქელფეთი, ყეზა, ყიბლი, ხათმი, ჰასუთა.... ინადი (არაბ.).

დასკვნა

ნასესხები სიტყვები ძირითადად პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების შედეგია, რაც, თავის მხრივ, მიუთითებს ენობრივ კონტაქტზე და ძლიერ ზემოქმედებაზე თურქულ-ოსმალური იმპერიის პერიოდში.

უცხოური ელემენტების ინტენსიური შეღწევის პირობებშიც კი აჭარულ დიალექტში შენარჩუნებულია ქართული ენის გრამატიკული და სტრუქტურული საფუძვლები, რაც უზრუნველყოფს ენის უნიკალურობას.

ამასთან, თურქული, არაბული, სპარსული და სხვა ენობრივი გავლენების შედეგი აჭარული ლექსიკაში მეტად მრავალფეროვანია და აუცილებელია მისი სისტემატური კვლევა, რაც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ აჭარულის, არამედ ზოგადად ქართული ენის ისტორიულ და ლინგვისტურ კონტექსტში შესწავლას.

გამოყენებული ლიტერატურა

ლექსიკონი 2001: თურქულ-ქართული ლექსიკონი, I-II. სტამბოლი.
ნიჟარაძე 1961: ნიჟარაძე შ., ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი.
ქეგლ 2008: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ახალი რედაქცია, ტ. I, თბილისი.
ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი. ბათუმი, 2019.
ყაზბეგი 1995: ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი.
ძიძიგური 1957: ძიძიგური შ., მწერლის ენა. თბილისი.
https://lev.ge/liv/ajaruli.php-online დამოწმება: 21.08.2025.

References

Dictionary 2001: Turkish-Georgian Dictionary, I-II. Istanbul.
Dictionary 2008: Explanatory Dictionary of the Georgian Language, New Edition, Volume I, Tbilisi.
Dzidziguri 1957: Dzidziguri Sh., The Language of a Writer. Tbilisi.
Ethnological Dictionary of the Georgian people. Batumi.
Kazbegi 1995: Kazbegi G., Three Months in Turkish Georgia. Batumi.
Nizharadze 1961: Nizharadze Sh., Upper Adjara Dialect of the Georgian Language. Publishing House “Soviet Adjara”. Batumi.
https://lev.ge/liv/ajaruli.php-online Verification: 21.08.2025.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.18

ფრაზეოლოგიური ერთეულები ემოციური კომპონენტებით ინგლისურ, თურქულ და ქართულ ენებში (შედარებითი ანალიზი)

PHRASEOLOGICAL UNITS WITH EMOTIONAL COMPONENTS IN ENGLISH, TURKISH, AND GEORGIAN (COMPARATIVE ANALYSIS)

ირმა რუსაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Irma Rusadze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

აბსტრაქტი

ფრაზეოლოგიური ერთეულების არსებობა ზოგადად ენებში უნიკალური ფენომენია. ემოციური ფრაზეოლოგიური ერთეულები გამოხატავენ დადებით, ნეიტრალურ, უარყოფით, განსაზღვრულ თუ განუსაზღვრელ ემოციებს. ნაშრომში განხილულია ფრაზეოლოგიური ერთეულები ემოციური კომპონენტებით ინგლისურ, თურქულ და ქართულ ენებში სტრუქტურული, სემანტიკური და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით. არამონათესავე ენების ფრაზეოლოგიის შედარებით შესწავლა საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ კონკრეტული ენის დამახასიათებელი თავისებურებები, მათი ტიპოლოგიური მსგავსებები და განსხვავებები შინაარსისა და გამოხატვის თვალსაზრისით.

ინგლისური, ქართული და თურქული ენების ფრაზეოლოგიური ერთეულების შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოიყოს მსგავსი ნიშნები:

- სომატური ერთეული – გული გამოიყენება სიყვარულისა თუ ემოციური მდგომარეობის გამოსახატავად;
- თვალები გამოირჩევა ემოციური მიმზიდველობით (ცრემლები, მიზიდულობა, რისხვა);
- სისხლი წარმოადგენს ინტენსიურ ემოციებს (რისხვა – „სისხლის ადუღება» (ეს ფრაზეოლოგიზმი სამივე ენაში გვხვდება);
- სახე / პირი გამოიყენება ბედნიერებისა თუ სევდის ემოციის გადმოსაცემად.

საანალიზო ენებში გვხვდება აბსოლუტურად მსგავსი სომატიზმებით გამოხატული ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ერთნაირი ფორმითა და შინაარსით გამოხატავენ ადამიანის ემოციებს (მაგ,. სიბრაზე, რისხვა).

რაც შეეხება განსხვავებებს, შეიძლება ითქვას: ინგლისურ ენაში ემოციური ფრაზეოლოგია მეტწილად ეფუძნება მეტაფორულ და იდიომატურ კონსტრუქციებს, ქართულში – ხატოვან, სომატიზმებზე დამყარებულ და მკვეთრი ემოციების გამომხატველ ერთეულებს, ხოლო თურქულში – სოციალურ ღირებულებებისა და ზომიერი ემოციური ტონის შემცველ ფორმებს.

განხილული მაგალითები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ინგლისური, ქართული და თურქული ენების ფრაზეოლოგიზმებში ემოციური კომპონენტებით, რომლებიც ძირითადად სომატიზმებით ხასიათდება, ვლინდება ენობრივ უნივერსალიათა, ანუ ისეთ ენობრივ მოვლენათა არსებობა, რომლებიც მსოფლიოს ყველა ან უმეტესი ენისთვის არის დამახასიათებელი.

საკვანძო სიტყვები: სომატიზმები, ქართული ფრაზეოლოგიზმები, ინგლისური ფრაზეოლოგიზმები, თურქული ფრაზეოლოგიზმები.

ABSTRACT

This The presence of phraseological units across languages constitutes a distinctive linguistic phenomenon. Emotional phraseological units express positive, neutral, and negative emotions, whether definite or indefinite. The present study examines phraseological units with emotional components in English, Turkish, and Georgian, taking into consideration their structural, semantic, and cultural characteristics. A comparative study of phraseology in unrelated languages enables the identification of language-specific features as well as typological similarities and differences in both semantic content and expression.

A comparative analysis of phraseological units in English, Georgian, and Turkish reveals several common features:

- The somatic component heart functions as a means of expressing love or emotional states;
- The lexeme eyes is associated with emotional expressiveness (tears, attraction, anger);
- Blood represents intense emotional states, particularly anger (e.g., “blood boiling,” a phraseological expression attested in all three languages);
- Face / mouth is used to convey emotional states such as happiness or sadness.

In the languages under consideration, phraseological units expressed through identical somatic elements are attested, conveying human emotions (e.g., anger, rage) in both comparable form and meaning.

As regards the differences, emotional phraseology in English is predominantly based on metaphorical and idiomatic constructions; in Georgian it is characterized by figurative expressions grounded in somatic elements and conveying intense emotions, whereas in Turkish it tends to reflect social values and forms marked by a relatively moderate emotional tone.

The examples examined constitute clear evidence that phraseological units containing emotional components in English, Georgian, and Turkish—primarily characterized by somatic elements—demonstrate the presence of linguistic universals, that is, linguistic phenomena that are common to all or most languages of the world.

Keywords: Somatic elements, Georgian phraseological units, English phraseological units, Turkish phraseological units.

შესავალი

თანამედროვე ვითარებაში, როდესაც მთელი მსოფლიო საზოგადოება მიდის გლობალიზაციის გზით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ლინგვოკულტუროლოგიური ხასიათის კვლევები, რომლებიც გამოკვეთს ზოგადსაკაცობრიო კულტურის სახეს და ამავე დროს წარმოგვიდგენს ცალკეული კულტურის სპეციფიკასა და თვითმყოფადობას. ამგვარი კვლევები უაღრესად ფასეულია მცირერიცხოვანი ერების კულტურებისათვის, როგორც თვითმყოფადობის შენარჩუნების მძლავრი იარაღი. როგორც ცნობილია, თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთ წამყვან დარგად ენის მეშვეობით კულტურის შესწავლა იქცა. ლ. ელმსლევი აღნიშნავს: „ენა, როგორც ნიშანთა სისტემა და მყარი წარმონაქმნი, წარმოადგენს ადამიანის გონიერ და ფსიქიკურ ბუნებაში ჩაწვდომის გასაღებს" (Ельмслев 1960: 132). ამიტომ ლინგვოკულტუროლოგიაში ენა განხილულია კულტურასთან, ადამიანის აზროვნებასთან, ფსიქიკასა და სულიერებასთან მჭიდრო კავშირში. ენისა და კულტურის ურთიერთმიმართებას უპირველესად განსაზღვრავს ადამიანი თავისი მენტალობით, ემოციებით. ენის განსაკუთრებული როლი კულტურასთან მიმართებით განპირობებულია იმით, რომ იგი კულტურის არსებობის, გაცნობიერებისა და განვითარების ძირითადი საშუალებაა.

არსებობს სხვადასხვა გზა და საშუალება იმისათვის, რომ ჩვენი მეტყველება უფრო მრავალფეროვანი გახდეს. ნებისმიერი ენა იძლევა უამრავ საშუალებას, რათა ჩვენს აზრებსა და შეგრძნებებს სრული ემოციური გამომსახველობა მიენიჭოს. ჩვეულებრივ და სპონტანურ დიალოგებში მოსაუბრენი არა მხოლოდ ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ აზრებს ან უცვლიან სხვადასხვა ინფორმაციას, არამედ, ასევე, ენობრივი საშუალებებით გადმოცემენ თავიანთ გრძნობებსა და ემოციებს, რომლებიც გამოსახავენ ადამიანთა იმ მდგომარეობას, რომელშიც ისინი იმყოფებიან, ამიტომ ფრაზეოლოგიური ერთეულები იქნება თუ იდიომები სომატური კომპონენტებით ან კიდევ ანდაზები, ყველა ეს კონკრეტულად ასახავს ერის კულტურისათვის დამახასიათებელ ნორმებსა და წეს-ჩვეულებებს. ენის კუმულაციური ფუნქცია ახორციელებს კავშირს თაობათა შორის და წარმოადგენს არაენობრივი კოლექტიური გამოცდილების გადმოცემის საშუალებას და ვლინდება სხვადასვა დონის ენობრივი ერთეულების სახით. მოდელები, რომლებიც ერთ კომპლექსში აერთიანებენ ენობრივ და კულტურულ მნიშვნელობებს ლიგვოკულტურემებად იწოდებიან, რომელთა კონკრეტულ ნაირსახეობას ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენს.

კვლევის მეთოდები

კვლევა დაფუძნებულია ინგლისური, ქართული და თურქული ენების ფრაზეოლოგიური ერთეულების შედარებით-ტიპოლოგიურ ანალიზზე, კერძოდ, იმ ერთეულებზე, რომლებიც შეიცავს ემოციურ კომპონენტებსა და სომატიზმებს. მასალები შეირჩა სამეცნიერო ლიტერატურიდან და ლექსიკოგრაფიული წყაროებიდან, ფრაზეოლოგიური ლექსიკონებიდან. კვლევაში გამოყენებულია დესკრიფციული მეთოდი, რომელიც უაღრესად ფასეულია ემოციური ფრაზეოლოგიური ერთეულების იდენტიფიკაციისა და აღწერისათვის და კულტურულ-სემანტიკური ანალიზის მეთოდი – ფრაზეოლოგიზმების ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის განსასაზღვრად.

მსჯელობა

ფრაზეოლოგიური ერთეულები წარმოადგენს ენის ლექსიკური მარაგის ყველაზე უფრო თვალწარმტაც, ფერადოვან და ხატოვან ნაწილს. ნებისმიერ ენაში ფრაზეოლოგიზმები არის ერთგვარი სურათების გალერეა, სადაც თავმოყრილია ერის ჩვეულებების, თვისებების, ტრადიციების, ცრურწმენების, ზღაპრებისა და ისტორიის ამსახველი ცოცხალი და ნათელი სურათები. მასში თავმოყრილია ციტატები დიდი პოეტებისა და მწერლების გამონათქვამებიდან, სიბრძნის მარგალიტები, მოსწრებული გამოთქმები და ა.შ. რადგანაც ფრაზეოლოგიზმები ლექსიკის არა მარტო ყველაზე ხატოვანი, აგრეთვე, ყველაზე დემოკრატიული ნაწილია და თავისი წყარო ხალხური მეტყველების ყველაზე უფრო მიუწვდომელი სიღრმიდან მიეწოდება, ამ გალერეაში შეიძლება ბევრ უცნაურ კოლოკვიალურ თუ სომატურ გამონათქვამს წავაწყდეთ (სახოკია 1953-1955). ფრაზეოლოგიურ ერთეულში იგულისხმება ენის მყარი და რეპროდუცირებადი ერთეულები, რომლებიც აღჭურვილია მთლიანი მნიშვნელობით და სხვა სიტყვებთან კომბინირდება გარკვეული წესების შესაბამისად. სიტყვებთან ერთად, ფრაზეოლოგიური ერთეულები ფართოდ გამოიყენება კომუნიკაციაში, რაც მეტყველებას უფრო მრავალფეროვანსა და მდიდარს ხდის.

ლინგვისტიკა ყურადღებას აქცევს ემოციურ სფეროს. ემოციები მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც თან ახლავს ადამიანის საქმიანობას. ემოციების საშუალებით ჩვენ გამოვხატავთ ჩვენს დამოკიდებულებას გარემომცველი სამყაროს მიმართ, იმ ადამიანების მიმართ, ვისთანაც ვურთიერთობთ. ემოციურობა გამოიხატება ენის ყველა დონეზე სიტყვაწარმოებითი, სინტაქსური და ლექსიკური საშუალებებით, მათ შორის ფრაზეოლოგიზმების მეშვეობით.

ფრაზეოლოგიური ერთეულები ემოციური კომპონენტებით არსებითი და თანაც მეცნიერულად საინტერესო ფენომენია ენაში. განსაკუთრებით აღსანიშნია ემოციათა ტიპები სომატიზმებით, რომლებიც კარგად ასახავს ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას (იმედაძე 2007). აქედან გამომდინარე, ჩემი კვლევის მთავარ ამოცანას წარმოადგენს შეპირისპირებით ასპექტში შევისწავლო ფრაზეოლოგიზმები ემოციური კომპონენტებით სამ არამონათესავე და სტრუქტურულად განსხვავებულ ენაში – ინგლისურში, ქართულსა და თურქულში და წარმოვაჩინო, თუ რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის ამ კუთხით.

უპირველეს ყოვლისა, პრიორიტეტი წარმოდგენილ კვლევაში, რა თქმა უნდა, ენიჭება ემოციას, რომელიც ლინგვისტური მეთოდების საშუალებით შეიძლება განხილულ იქნეს ენის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ დონეზე, რომელშიც წინა პლანზე წამოწეულია ადამიანი, მისი სულიერი სამყარო, კულტურა.

ემოცია ფრანგული სიტყვაა (emotion „ვაღელვებ“), რომელიც ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობის, გარე სინამდვილისა და საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების განცდაა. ემოციას მჭიდრო კავშირი აქვს გამომსახველ მოძრაობებთან. მათ გარეშე არ არსებობს სამყარო და თვით ადამიანი ამ სამყაროში. ემოციებია: შიში, რისხვა, სიხარული, სიყვარული, დარდი, სევდა, სიბრაზე და სხვ. თითოეული ემოცია ადამიანის შინაგან დამოკიდებულებას გამოხატავს ამა თუ იმ ობიექტის მიმართ, ანუ, როგორ აღვიქვამთ და შევიმეცნებთ. აქ უკვე ჩვენ საქმე გვაქვს ემოციის კოგნიტურ მიდგომასთან, რომელიც პირველად გ. ლაკოფისა და მ. ჯონსონის შრომებში გამოჩნდა (Lacoff... 1980). ავტორთა აზრით, ადამიანის ეს ფსიქიკური მოვლენები, თითოეული ერის კულტურის გათვალისწინებით, კონცეპტურ სტრუქტურაში არის გაერთიანებული, სადაც თითოეული ემოცია თითოეული ენის შესაბამისი ფრაზეოლოგიური ერთეულებით გადმოიცემა.

განვიხილოთ ზოგადად ემოციათა რამდენიმე ტიპი და მათი გამომხატველი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებშიც ძირითადად გამოყენებულია სომატიზმები.

სიყვარული

„სიყვარული რთული ფსიქიკური მდგომარეობაა. მისთვის დამახასიათებელია: 1. გრძნობების, აზრებისა და მოქმედების აკვიატებული კონცენტრირება სიყვარულის ობიექტზე იმ ზომით, რომ ეს ხშირად სხვა საზრუნავის უგულებელყოფას იწვევს, 2. უკიდურესი სუბიექტურობა, რის გამოც აღიქმება უპირატესად სიყვარულის ობიექტის დადებითი თვისებები, უარყოფითი კი იჩქმალება, ნეიტრალიზდება და პოზიტიურადაც კი ფასდება. 3. ეიფორიული ან ამაღლებული გუნება-განწყობილება, 4. სექსუალური ლტოლვა სიყვარულის ობიექტის მიმართ” (იმედაძე 2007: 223).

1. Head over heels in love with – თავდავიწყებით შეყვარება (ზედმიწ..: თავიდან ქუსლებამდეა შეყვარებული ვინმეზე) (Seidl... 1998: 225).

Yüreği yanmak – ძლიერადაა შეყვარებული (გული ეწვის) (მამულია 2006: 304).

თავდავიწყებით შეყვარება – ეტრფის, უყვარს (სახოკია 1953: 127).

2. Obtain smb’ heart – ვინმეს გული დაიპყრო (ვინმეს გული მოიპოვო) (Seidl... 1998: 226).

Kalbini çalmak – სიყვარულით მოაჯადოვა (გული მოიპარა). გული უფანცქალებს (მამულია 2006: 180).

ვინმეს გული დაიპყრო – ვინმეს შეყვარება (სახოკია 1953: 137).

3. Have one’s heart set on smb./smth – თვალი დაადგა ვინმეს / რამეს (გულის დარჩენა ვინმეზე / რამეზე) (Seidl... 1998: 227).

Göz koymak – მოსწონს, იხიბლება (თვალს ადგამს) (მამულია 2006: 137).

თვალი დაადგა ვინმეს/რამეს – ძალიან მოწონება ვისიმე, რისამე (სახოკია 1953: 102).

სიხარული

ადამიანში ეს ემოცია მეტად დადებით ზეგავლენას ახდენს. როცა ადამიანი გახარებულია, იგი გარეგნულად გამოხატავს ამ ემოციას. მაგალითად: ვიღიმით, გულის ფეთქვა გვიძლიერდება, თვალები გვიბრწყინავს, ანუ, ეს გამოხატულება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ამჟღავნებს ადამიანის შინაგან მდგომარეობას.

1. To make one's blood turn – გულის (სისხლის) აჩქროლება (სისხლის ამოძრავება) (Seidl... 1998: 214).

Gözleri parlamak - ხარობს, თავს ბედნიერად გრძნობს (თვალები უბრწყინავს) (მამულია 2006: 141).

გულის აჩქროლება – ძალიან გახარებულია (სახოკია 1954: 142).

2. Move smb's heart – გულის ამგერება (გულის ამოძრავება) (Seidl... 1998: 227).

სახე უცინის – მხიარულია, უნაღვლოა, უდარდელია (სახოკია 1954: 145).

Ağzı kulaklarına varmak – ძალიან გაუხარდა, პირი გახევაზე აქვს სიხარულისაგან (პირი ყურებამდე მიუვიდა) (მამულია 2006: 21).

სახე უცინის – მხიარულია, უნაღვლოა, უდარდელია (სახოკია 1954: 145).

3. Jump out of one's skin – სიხარულისგან ფეხზე არ დგას (კანიდან ამოხტომა) (Seidl... 1998: 230).

Ayakları yerden kesilmek – ძალიან გახარებულია (მიწაზე ფეხს არ აკარებს) (მამულია 2006: 47).

ფეხზედ აღარ იდგა სიხარულისაგან – მეტისმეტად უხარია, ბედნიერია, ძალზე კმაყოფილია (სახოკია 1954: 195).

შიში

შიშის ემოცია ადამიანში სხვადასხვა ფიზიკურ სისუსტეს იწვევს და მათი ზეგავლენით ადამიანის ქცევა წარუმატებელი რჩება. მაგალითად, მუხლები ეკვეთება და ეცემა, შეშდება, ხმას ვერ იღებს, მუნჯდება.

1. To make smb's hair stand on end – თმა ყალყზე დაუდგა (შიშისგან) (Seidl... 1998: 222).

Tüyleri diken diken olmak – შეეშინდა, დაფრთხა (თმები ყალყზე დაუდგა) (მამულია 2006: 280).

თმა ყალყზე დაუდგა – შეშინდა, შეძრწუნდა შიშისგან (სახოკია 1953: 157).

2. It makes one's blood run cold – ძარღვებში სისხლი გაეყინა (სისხლი ცივად დარბის) (Seidl... 1998: 215).

Kanı donmak - სისხლი ეყინება შიშისგან (შეშდება, სევდება) (მამულია 2006: 186).

ძარღვებში სისხლი გაეყინა – შიშისგან გაშეშდა (სახოკია 1954: 137).

3. Be felt his knees give – მუხლი მოეკვეთა (მუხლებზე დაეცა) (Seidl... 1998: 221).

Dizlerinin bağı çözülmek - ძალა გამოეცალა (მუხლები მოეკეცა, დაუსუტდა) (მამულია 2006: 97).

მუხლი მოეკვეთა, მუხლი მოეჭრა – დასუსტება, შეუძლებლობა ფეხის გადადგმისა, უმოძრაობა (სახოკია 1954: 49).

სიბრაზე

სიბრაზე ადამიანის ბუნებრივი ემოციაა, რომელიც პირველ რიგში გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე მოქმედებს და შეიძლება სხვადასხვაგვარი გამომხატველობითი (ექსპესიული) გამოვლინებებიც ჰქონდეს. ინგლისურ, ქართულ და თურქულ ენებში გვხვდება აბსოლუტურად მსგავსი სომატიზმებით გამოხატული ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ერთნაირი ფორმითა და შინაარსით გამოხატავენ ადამიანის მდგომარეობის ამ ემოციას. მაგ.:

1. It makes one's blood boil – გულის (სისხლის) ადუღება (Seidl... 1998: 215).

Kanı kaynamak - ძალიან გაბრაზება (სისხლის ადუღება) (მამულია 2006: 186).

გულის (სისხლის) ადუღება – გაჯავრება, გაბრაზება, გულის მოსვლა (სახოკია 1953: 387).

2. Stick in one's throa – ყელში გაჩხერა (Seidl... 1998: 230).

Burnundan solumak – ბრაზობს, ბობოქრობს (ცხვირიდან ცეცხლს აფრქვევს) (მამულია 2006: 66).

ყელში გაჩხერა – საშინლად გაბრაზებულია, გაშმაგებულია (სახოკია 1955: 177).

3. Gnashing of teeth – კბილების კრაჭუნი (Seidl... 1998: 231).

კბილების ღრეჭა, კრაჭუნი – მეტისმეტად გაბრაზებულია (სახოკია 1953: 137).

Diş gıcırdatmak – გაბრაზება, განრისხება, დაქადნება, დამუქრება (კბილების კრაჭუნი, კბილების ღრჭიალი) (მამულია 2006: 96).

დარდი

ეს ემოცია ადამიანზე უარყოფითად მოქმედებს, მას თან ახლავს როგორც შინაგანი, ისე გარეგანი გამოვლინებები.

1. with a heavy heart – დამძიმებული გულით (მძიმე გულით) (Seidl... 1998: 226).

დამძიმებული გულით – შეწუხება, გულის ტკენა (სახოკია 1953: 149).

Yüreği burkulmak – დარდობს , წუხს (გული ეკუმშება, გული უმძიმს) (მამულია 2006: 300).

2. one's face falls – სახე ჩამოსტირის (სახე ჩამოუშვა) (Seidl... 1998: 219).

Suratı Sirke Satmak – მოიწყინა, დაღონდა, ცუდ ხასიათზე დადგა (მჟავე სახით დადის, სახე ჩამოუშვა) (მამულია 2006: 266).

სახე ჩამოსტირის – დადარდიანებულია, დანაღვლიანებულია (სახოკია 1954: 147).

3. to dry up one's tears – ცრემლი უშრება (ცრემლის შეშრობა) (Seidl... 1998: 230).

Göz pınarları kurumak – ცრემლი გაუშრა ტირილისგან (თვალის წყაროს დაშრობა (მამულია 2006: 142).

ცრემლი უშრება – უძლურია, ვეღარც ტირის დარდისაგან, ცრემლი გამოელია (სახოკია 1955: 198).

ამრიგად, ინგლისურ, ქართულ და თურქულ ენებში ემოციური კომპონენტების მქონე ფრაზეოლოგიური ერთეულები მჭიდროდ

არის დაკავშირებული კულტურულ ტრადიციებთან, ისტორიულ გამოცდილებასა და საზოგადოებრივ ღირებულებებთან. მიუხედავად იმისა, რომ ენები გენეტიკურად არამონათესავეა, რიგ შემთხვევაში მათ შორის შეინიშნება ტიპოლოგიური მსგავსებები, რაც განპირობებულია უნივერსალური ადამიანური ემოციებითა და ზოგადი კომუნიკაციური საჭიროებებით.

დასკვნა

ფრაზეოლოგიური ერთეულების არსებობა ზოგადად ენებში უნიკალური ფენომენია. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საანალიზო ენები სტრუქტურულად განსხვავებული და არამონათესავეა, მათ შორის ბევრი მსგავსებაცაა, რაც ზოგადად ენობრივ უნივერსალიებს მიეკუთვნება. ინგლისური, ქართული და თურქული ენების ფრაზეოლოგიური ერთეულების შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოიყოს მსგავსება-განსხვავებები ამ კუთხით. მსგავსი ნიშნები:

- სამივე ენა იყენებს სომატურ ერთეულს – გული სიყვარულისა თუ ემოციური მდგომარეობის გამოსახატავად;
- თვალები გამოირჩევა ემოციური მიმზიდველობით (ცრემლები, მიზიდულობა, რისხვა);
- სისხლი წარმოადგენს ინტენსიურ ემოციებს (რისხვა – „სისხლის ადუღება» (ეს ფრაზეოლოგიზმი სამივე ენაში გვხვდება);
- სახე / პირი გამოიყენება ბედნიერებისა თუ სევდის ემოციის გადმოსაცემად;

ინგლისურ, ქართულ და თურქულ ენებში გვხვდება აბსოლუტურად მსგავსი სომატიზმებით გამოხატული ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ერთნაირი ფორმითა და შინაარსით გამოხატავენ ადამიანის მდგომარეობის ამ ემოციას (მაგ,. სიბრაზე, რისხვა).

რაც შეეხება განსხვავებებს, შეიძლება ითქვას: ინგლისურ ენაში ემოციური ფრაზეოლოგია მეტწილად ეფუძნება მეტაფორულ და იდიომატურ კონსტრუქციებს, ქართულში – ხატოვან, სომატიზმებზე დამყარებულ და მკვეთრი ემოციური პოლარობის მქონე ერთეულებს, ხოლო თურქულში – სოციალურ ღირებულებებსა და ზომიერი ემოციური ტონის შემცველ ფორმებს.

განხილული მაგალითები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ინგლისური, ქართული და თურქული ენების ფრაზეოლოგიზმებში ემოციური კომპონენტებით, რომლებიც ძირითადად სომატიზმებით ხასიათდება, ვლინდება ენობრივ უნივერსალიათა, ანუ ისეთ ენობრივ მოვლენათა არსებობა, რომლებიც მსოფლიოს ყველა ან უმეტესი ენისთვის არის დამახასიათებელი. ენაში, ისევე როგორც ზოგადად ბუნებაში, არსებობს შინაგანი წესრიგი, რომელიც შემეცნებადია; მაგრამ იმისთვის, რომ მოხდეს რაიმე საგნის, მოვლენის სიღრმისეული და გააზრებული შემეცნება, საჭიროა მისი შედარება სხვა საგნებსა თუ მოვლენებთან.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

იმედაძე 2007: იმედაძე ი., ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი.
მამულია 2006: მამულია ე., თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. თბილისი.
სახოკია 1953-1955: სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ. I, II, III. თბილისი.
Ельмслев 1960: Ельмслев Л., Пролегомены к теории языка// Новое в лингвистике, вып. 1., Москва.
Щека 1989: Щека Ю.В.,Турецкая разговорная речь.
Lakoff... 1980: Lakoff G., Johnson M.,Metaphors We Live by. Chicago.
Seidl... 1998: Seidl J., McMordie W., English Idioms and How to use them. Oxford University Press.

References and Sources

Hjelmslev 1960: Hjelmslev L., Prolegomena to a Theory of Language // New in Linguistics, Issue 1, Moscow.
Imedadze 2007: Imedadze I., Fundamentals of Psychology. Tbilisi.
Lakoff... 1980: Lakoff G., Johnson M.,Metaphors We Live by. Chicago.
Mamulia 2006: Mamulia E., Turkish-Georgian Phraseological Dictionary. Tbilisi.
Sakhokia 1953–1955: Sakhokia T., Georgian Figurative Expressions, Vols. I, II, III. Tbilisi.
Seidl... 1998: Seidl J., McMordie W., English Idioms and How to use them. Oxford University Press.
Shcheka 1989: Shcheka Yu. V., Turkish Colloquial Speech.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.19

რთული ფუძის ზმნები თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში

COMPLEX-STEM VERBS IN THE SPEECH OF GEORGIANS IN TURKEY

რუსუდან საღინაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Rusudan Saginadze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

აბსტრაქტი

ზმნა ქართული ენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეტყველების ნაწილია, რომელიც განსხვავებულია თავისი პოლიპერსონალიზმითა და წარმოების მრავალფეროვნებით. ის არის გამძლე, ყველაზე მეტად დაცული გავლენებისაგან დროსა და სივრცეში.

ქართული ზმნის ამ თვისებებმა განაპირობა ჩვენი დაინტერესება იმით, თუ როგორია ზმნური სიტყვაწარმოება საქართველოს თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში. აქედან გამომდინარე, ჩვენი ნაშრომის მიზანია თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში შემონახული რთული ფუძის მქონე ზმნების შესწავლა, სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი და ქართული ენის დიალექტებისა თუ ზეპირი მეტყველების მონაცემებთან შედარება, ამავე დროს დაზუსტება ზმნის სიტყვაწარმოებასთან, სტრუქტურასთან დაკავშირებული ზოგიერთი სადავო საკითხისა, კერძოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ტერმინებისა: „რთული ზმნა“, „ზმნური კომპოზიტი“, „შერწყმული ზმნ(ა)ები“... ყოველივე ეს განაპირობებს ჩვენი კვლევის აქტუალურობასაც.

ნაშრომში განხილულია ზმნურ ფორმათა წარმოების სხვადასხვა შემთხვევა: 1. კომპოზიტში ზმნური ანტონიმია (აწევდენ-დადებ-დენ...); 2. *და* კავშირიანი წარმოება (გააწურა და გამააწურა = გასწია და გამოსწია...); 3. უარყოფითნაწილაკიანი ზმნა, მაგალითად, *არდუჩა/ადუჩა* (< არ + დუურჩა = არ დარჩა, ადგილის სახელი); 4. ორმაგი სემანტიკის, რთული სტრუქტურის ზმნები (თხრაშდამიცა = დაარტყა, ცემა; ლაწდამიცა – სილა გააწნა, გაულაწუნა); 5. ორკომპონენტიანი ძირის ზმნური ფორმები (მუუხელფეხოს = ხელი გაუმართოს, დაეხმაროს; დაათვალყურე = დაათვალიერე...) და სხვა. გამოყოფილია როგორც თურქულენოვანი, ისე შერეული, თურქულ-ქართული, სპარსულ-არაბული ზმნური ლექსიკური ერთეულები.

დიალექტური მასალის ანალიზი იძლევა დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში არსებული

რთული ფუძის ზმნები, მიუხედავად თურქული ენის გავლენისა, უმეტესად საერთოქართველურია, სისტემურია ქართული ენისათვის.

საკვანძო სიტყვები: თურქეთელ ქართველთა მეტყველება, სიტყვაწარმოება, ზმნა, რთული ფუძე.

ABSTRACT

The verb is one of the most important parts of speech in the Georgian language, distinguished by its polypersonal nature and the diversity of its morphological formation. It represents a stable linguistic category that has been largely preserved from external influences throughout time and across different regions.

These features of the Georgian verb have led us to explore the nature of verbal word formation in the speech of Georgians living in Turkey. The purpose of this study is therefore to examine verbs with complex stems preserved in the speech of Turkey-based Georgian communities, to conduct a structural and semantic analysis of these forms, and to compare them with data from Georgian dialects and spoken language. At the same time, the research seeks to clarify certain debated issues concerning verbal word formation and structure, particularly the terminology employed in the scholarly literature, including "complex verbs," "verbal composites," and "fused verbs." These considerations determine the relevance of the present study. It examines various patterns of verbal formation, including:

1. verbal antonymy within composite constructions (e.g., *ats'evden–dadebden* 'they raised – they set down');
2. formations linked by the conjunction da 'and' (e.g., *gaats'ura da gamaats'ura* 'pushed out and pulled out'; gasts'ia da gamosts'ia 'pulled and pulled out');
3. verbs containing a negative particle, for example *arducha / aducha* (< *ar + duurča* 'did not remain', functioning as a place name);
4. verbs characterized by complex structure and dual semantic value (e.g., *tkhrashdamitsa* 'to strike, to beat'; *latsdamitsa* 'to slap, to strike with the palm');
5. verbal forms with two-component roots (e.g., *muukhelpekhos* 'to lend a hand, to help'; *daatvalqure* 'to look over, to inspect'), among others.

The study further identifies verbal lexical units of Turkish origin as well as mixed Turkish–Georgian and Persian–Arabic formations.

The analysis of the dialectal material makes it possible to conclude that the complex-stem verbs attested in the speech of Georgians living in Turkey, despite the influence of the Turkish language, are predominantly Common Kartvelian forms and remain systematic within the structure of the Georgian language.

Keywords: Speech of Georgians in Turkey, word formation, verb, complex stems.

შესავალი

თურქეთელ ქართველთა ზეპირმეტყველებაში, გადმოცემებში, ლეგენდებში დაცულია ქართული ენა, შემონახულია ქართული ლექსიკა, ენობრივი ფორმები, რაც ძალიან კარგად ჩანს სიტყვაწარმოებაში, განსაკუთრებით კი ზმნურ ფორმათა წარმოებაში.

ქართული ენა მდიდარია ზმნური სიტყვაწარმოების საშუალებებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია თხზვა ანუ კომპოზიცია და ნაირგვარი ფუძეებისაგან მიღებული ახალ-ახალი სტრუქტურისა და სემანტიკის ზმნები.

მეთოდოლოგია

მასალის განხილვისას გამოყენებულია კვლევის ისეთი ცნობილი მეთოდები, როგორიცაა: აღწერითი და შედარებითი ანალიზის მეთოდები, კორპუსული ანალიზის მეთოდი; კონტექსტუალური ანალიზის მეთოდითა და შედარებითი ანალიზის საშუალებით დაზუსტებულია დიალექტურ ფორმათა შორის მსგავსება თუ განსხვავება.

ჩვენი კვლევა ემყარება ქართველ ენათმეცნიერთა ნაშრომებსა და გამოქვეყნებულ წყაროებს, აგრეთვე, ქართული დიალექტური კორპუსის მონაცემებს (ტექსტებსა და ლექსიკონებს).

მსჯელობა

ზმნური სიტყვაწარმოების შესახებ დამოკიდებულება, შეხედულებები სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით ერთგვაროვანი არ არის.

ა. შანიძე მიუთითებს, რომ ხშირად ძველი ენის ნაშთები და ახალი წარმოების ფორმები ერთმანეთშია გარეული და ძალიან საინტერესო სურათს იძლევა. მას ძველის ნაშთად მიაჩნია რთული ზმნები, ახლისა კი – მიმღეობითი ზმნები (შანიძე 1980, 496). ძველ ქართულში რთული ზმნები ნაწარმოები იყო სახელისა და მეშველზმნის (ცემა, ყოფა, დება, ღება...) მეშვეობით. ამგვარი წარმოებიდან დღეს შემორჩენილია: ცხად-ყოფა, შეურაცხ-ყოფა, უზრუნველ-ყოფა, უგულებელ-ყოფა, სრულ-ყოფა, ყურად-ღება... რთულ ზმნაში იცვლება მეშველზმნა, სახელი კი უცვლელია (იქვე).

ამ წარმოების ზმნათა გვერდით ქართულში გავრცელებულია ისეთი რთული ფუძის ზმნები, რომელთა პირველი ნაწილი არის თანდებული, ზმნიზედა, ზედსართავი ან არსებითი სახელი, მეორე კი – მიმღეობა. მათი უმრავლესობა აწმყოში **-ობ** სუფიქსიანია. ასეთია, მაგალითად: თანაუგრძნობს, თანამშრომლობს, თავდებობს, ზედამხედველობს, შუამავლობს, შუამდგომლობს, ავადმყოფობს, ხელმძღვანელობს... ორგვარი (თითქოსდა მსგავსი) წარმოების ზმნურ ფორმათა არსებობა ხშირად ნორმათა აღრევის საფუძველიც არის. ვგულისხმობთ თანავუგრძნობ – ვუთანაგრძნობ, ვთანამშრომლობ – თანავმშრომლობ... ფორმებს, რომელთაგან პირველი სალიტერატურო ენის თვალსაზრისით სავალდებულო ანუ მართებულია, მეორე კი – არასავალდებულო, ანუ უმართებულო.

აღნიშნული ორგვარი წარმოების ზმნათა რიცხვი ქართულში შედარებით მცირეა. სამაგიეროდ, გავრცელებულია ნაირგვარი სტრუქტურისა და სემანტიკის ზმნები, მათ შორის, ზმნისწინთა მონაცვლეობით განსხვავებული ანტონიმური, სინონიმური ან მასდარული ფუძეგაორკეცებული ზმნები.

ა. შანიძე ანტონიმურ, აგრეთვე, სინონიმურ ფორმებს (აცრემლ-ატიროს, ილაყბ-იუბნოს, დაწყნარდ-დადუმდა...) უწოდებს **შერწყმულ ზმნებს** და მიაჩნია, რომ ასეთი ზმნები უნდა გარჩეულ იქნეს რთული ზმნებისაგან (შანიძე 1980: 498). ჩვენ ამგვარ ფორმებს მივიჩნევთ **რთულ ზმნებად** და მათთან ერთად ნაშრომში გამოვყოფთ თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში არსებულ **კომპოზიტებისაგან ნაწარმოებ ზმნურ ფორმებს.** მათ საერთო სახელად გვაქვს შერჩეული **რთული ფუძის ზმნები**.

გამოვყოფთ ზმნურ ფორმათა წარმოების რამდენიმე შემთხვევას:

- **კომპოზიციის საფუძველი – ზმნური ანტონიმია:**

აწევდენ-დადებდენ: ორმა კაცმა *აწევდენ-დადებდენ* (ნიგ., შ.ფუტკ., 1989: ქდკ, კორპ. გამოც. ავტ. ნ. სურმ.). შდრ. მთარაჭულში (ჭიორა) დადასტურებული ზმნური კომპოზიტი *აწევ-დაწევდა:* ი ხელას ერთი ქვე *აწევ-დაწევდა,* მეორე ქვე იჯდა საღეჭელზე... მეორე ხელას *აწევ-დაწევდა* ჩქარ-ჩქარა... (ქდკ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის არქივი (1949–1988), ჩაწერ. 1959 წ., კორპ. გამოც. ავტ.: ლ. ბაკურ., რ. ლანდ.). მეორე ზმნური ფორმა – **აწევ-დაწევდა** – განსხვავებულია, კომპოზიტის პირველი კომპონენტი შემოკლებულია, რაც ენის ეკონომიურობის პრინციპით უნდა აიხსნას;

წახუალთ-მოხუალთ: ხახულის ცარიელ ადგილეფში იქიდამ-აქედამ მოვდენ ლაზები. ეს საქმეები კაია. *წახუალთ-მოხუალთ,* გურჯიჯა აღარ დეიკარქვის (ნიგ.) (შ. ფუტკ., 1989: ქდკ, კორპ. გამოც. ავტ. ნ. სურმ.). სალიტერატურო ქართულში გვაქვს მასდარული მისვლა-მოსვლა (> მიმოსვლა), მაგრამ არ გვაქვს მისგან ნაწარმოები რთული ზმნა. ძველ ქართულში იყო ამ სემანტიკის ზმნური ფორმა **მიმოდასვლა > მიმოდავალს.** საინტერესოა, ასევე, ძველ ქართულში მსგავსი აგებულების ლექსიკური ერთეულები: **მიმოდარორინება** = აქეთ-იქით სიარული, ხეტიალი; **მიმოდათესვა** = „მიმოთესვა“, გაბნევა, გაფანტვა; „განთესვა“; მიმოდაბნევა = „მიმოდაჯდომა“, „მიმოგება“, გაბნევა, გაფანტვა... (ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი).

ოურიეს-ჩოურიეს: *ოურიეს-ჩოურიეს* ზუელი და ახალი თივა (ქდკ, შავშ.–იმერხ., იქვე). შდრ. თან. ქართ. აურ-დაურია....

და კავშირიანი: *გააწურა და გამააწურა* იხ.: გეეწურა, გადაწურება. *გაწია და გამოწია* (მაგ., ჯამი მაგიდაზე) (ქდკ, ჩვენებურების ქართული. ლექსიკონი. წყაროები: ჩვენებურების ნიგალური მეტყველების სალექსიკონო მასალა);

გეეწურა – იხ.: *გააწურა და გამააწურა,* **გადაწურება,** *გაიწია* იქით, მოერიდა.

ბევრ ნუღარ ლაპარიკოფ, *გეეწურე* იქით! (სტამბ.) (ქდკ, ჩვენებურების ქართული. ლექსიკონი, შ. ფუტკ.); **გადაწურება** – გაწევა, გაჩოჩება. გედეეწურე (მარად.) (იქვე).

სტრუქტურულად საინტერესოა **უარყოფითნაწილაკიანი** ზმნა **არდუჩა** (< არ + დუურჩა = არ დარჩა, ადგილის სახელი): „არდუჩა – „არ დუურჩა“, ვინცხას ბაღვი არ ყოლებია, იმიტომ *არდუჩა* დუურქმევიათ (ისკები) (მ. ცინც., მ. ფაღ., 2007: ქდკ, კორპ. გამოც. ავტ. ნ. სურმ.). კლარჯულში პარალელურად დასტურდება, ასევე, **რ** ბგერადაკარგული ვარიანტი **ადუჩა**: *ადუჩა* მაჰალეა აქ, მიღმა (იქვე).

თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში დასტურდება ორმაგი სემანტიკის, ამავე დროს, იშვიათი და ძალიან საინტერესო სტრუქტურის მქონე რთული ზმნები, რომლებიც მოიცავს ერთდროულად რამდენიმე სიტყვას და აგებულია ასე:

ხმაბაძვითი სიტყვა + და + ზმნა:

თხრაშდამიცა – დაარტყა, ცემა. თხრაშდამიცა ბაღვსა საჟდომზე, ერთი გინდა, თუ ორი! (ინ.) (ფუტკარაძე 1993: 472);

ლაწდამიცა – სილა გააწნა, გაულაწუნა: ლაწდამიცა ყალდინუმზე (ქირიმთი) (კლარჯეთი 2016: 1059).

ორკომპონენტიანი ძირის მქონე ზმნური ფორმები:

არს. სახელი + არს. სახელი:

მუუხელფეხოს – ხელი გაუმართოს. საქმის შესრულებაში დაეხმაროს, შეუსაბამოს. მეჯბური *მუუხელფეხონა* სობას და დაანთო ცეცხლი (ინ.); დედამისმა *მუუხელფეხა,* ხელი შეუწყო და გააქცია ციცაი კაცთან (თ. ქ.) (ფუტკარაძე 1993: 518);

დასახლკარება – დამკვიდრება, დაბინავება: მემრე, მემრე *დასახლკარდებოდენ* (ქოშკი) (კლარჯეთი 2016: 1049);

დათვალყურება – დათვალიერება: *დაათვალყურე,* ცივ წყლებთან გეიყვანე (მურღული) (იქვე);

მოცემული ზმნური ფორმის შესახებ წიგნში „კლარჯეთი“ მითითებულია: „დასტურდება ზმნური ფორმებით შედგენილი კომპოზიტებიც: ბაშქოჲ აგზეა, ათვალყურებდით? (მურღული) (კლარჯეთი 2016: 586). ათვალყურებდით „კლარჯეთის“ ავტორთა მიერ მიჩნეულია კომპოზიტად., ანუ რთულ ზმნად. ჩვენ ამგვარ ნასახელარ ზმნებს რთული ფუძის ზმნებს ვუწოდებთ.

არს. სახელი + ზმნა: გულნაქცეობს – ორსულობის დასაწყის სტადიაშია, მიზეზობს, გული ერევა. *გულნაქცევოფს* ჩემი გელინი სამი თუჲეა, მუცელში რამეს არ უტევს, მოკდა ქალი ნქრევაში (ინ.) (ქდკ, ჩვენებურების ქართული. ლექსიკონი. შ. ფუტკ.);

უყურეგდებულებს – ყურგდებულობს, ყურადღებას აქცევს. იმაზე მიცემული მაქ კლიტე და *უყურეგდებულებს;* ჰო, *უყურეგდებულებს* (ბაზგ.) (ქდკ, ჩვენებურების ქართული. ლექსიკონი. წყაროები: შავშეთი, მ. ცინც., მ. ფაღ., თ. შიოშვ.). მოცემული ზმნური ფორმით გამოხატულია მიმართება ირიბი O_3 პირისადმი.

ზედს. სახელი + არს. სახელი: მოშავბედება – გაუარესება: ხედავ, ტაროსმა *მეიშავბედა* (ისკები) (კლარჯეთი 2016: 1049)...

ზედს. სახელი + ზედს. სახელი: გააკეთილშობილეს (= გაალამაზეს): *გააკეთილშობილეს* აქაუროზა, არხები გეიყვანეს, ტყეები გაკაფეს (ჰ. ფასიოღლუ). კეთილშობილება ადამიანის თვისებაა. აღსანიშნავია, რომ ჰამიდიელი ჰამიეთ ფასიოღლუს მეტყველებაში რთული ფუძისაგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნის ფორმა **გააკეთილშობილეს** გამოიყენება ადგილის გალამაზების, მოწესრიგების მნიშვნელობით და არა ადამიანის თვისების გამოსახატავად (კიკვაძე... 2016: 137).

ზედს. სახელი + ზმნა: მუუცალწვერა – ხერტლიდან (ხერტილი = თითისტარი – ავტ.) ამოხვევის დროს ძაფი ორწვერი ან სამწვერი გახადა,

ძაფს ძაფი მიუტოლა და ისე ამოახვია. ორყათი ზაფი დარჩება, სამყათი გახადე, *მუუცალწვერე* ერთი კიდვენ (ინ.) (ფუტკარაძე 1993: 518).

სემანტიკის მიხედვით ცალკე გამოვყოფთ თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში გავრცელებულ სხვადასხვა სტრუქტურის რთული ფუძის ზმნათა რამდენიმე ჯგუფს:

1. ფუძეგაორკეცებული მასდარისაგან ნაწარმოები მეტყველება წრის სემანტიკის ზმნები:

ატაპტაპებს – ზედმეტად ალაპარაკებს, მეტ უფლებას აძლევს. ქალმა კაცსა არნა წუუსწრა და ბევრი არნა *იტაპტაპო* (ინ.) (ფუტკარაძე 1993: 384);

აფუჩფუჩდება (< აფუჩფუჩება – ჩუმად, ჩურჩულით ლაპარაკი). მაამთილი რომე სახლში შამუა, ჲენგე *აფუჩფუჩდება* (ინ.) (ქდკ, ჩვენებურების ქართული. ლექსიკონი. შ. ფუტკ.);

პუტპუტებს – თავისთვის რაღაცას ლაპარაკობს. დედაბერი *პუტპუტებს* და არი, თაბაეთსუზი გახდა ძალიან (ად.) (ფუტკარაძე 1993: 545);

ჩიფჩიფებს – ვულგ. ძლივს ლაპარაკობს. უკბილო დედაბერი, რაჰალებით *ჩიფჩიფებს* (ფუტკარაძე 1993: 642);

წეილახლახა – ვულგ. ილაყბა, ლაპარაკით გული იჯერა. მოვდეს და *წეილახლახოს* ცოტა (ან.) (იქვე: 654);

წუკწუკებს – ბუზღუნებს, საყვედურით ლაპარაკობს. წუკწუკებს და *წუკწუკებს* დურმაჰალ, რაზ ვერ გახდი (სტ.) (იქვე: 658);

ჭაყჭაყი – ხმამაღალი, უშვერი ლაპარაკი. იჭაყჭაყა – ვულგ. გამ. ილაყბა, ბევრი ილაპარაკა. რამდონეთი *იჭაყჭაყა* ამ ქალმა, თავი აგვატკინა (ინ.) (იქვე: 479).

ჭიპჭიპი – ვულგ. გაუთავებელი ლაპარაკი, ლაქლაქი. მაგას უყვარს ბრევლი ჭიპჭიპი (ფათსა)(იქვე: 662); შდრ. მოცემული ფუძისაგან ნაწარმოები განსხვავებული სემანტიკის: **ჭიპჭიპოვაი,** რაც ინგილოურში ნიშნავს ჭურჭლის მეტისმეტად ავსებას (სითხით, ქონით და მისთ. გადატანით სხვა რამეზეც ითქმის): ვედრაი წყალით *ჭიპჭიპოვს;* ფაყლაზე ბევრ წყალ დემესხა, *ჭიპჭიპოვდა,* იდგა; ფლავზე ბევრ დეესხაყ ქონ, *ჭიპჭიპოვდა* (ქდკ, ინგილოური ლექსიკონი. წყარო: ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი. რ. ღამბაშ.); იგივე მნიშვნელობა აქვს ჯავახურში: სითხეში ტივტივის მსგავსი, უფრო მეტად საჭმელს ბევრი ერბო რომ აქვს, მაშინ იტყვიან: ერბოში *ჭიპჭიპემსო,* ან ერბო *ჭიპჭიპემსო* (ჯავახ. ლექსიკ., გ. ზედგინ.); ქიზიყურში: ერბო *ჭიპჭიპით* გამაადის ნაზუქ. იტყვიან მსუქან ნაზუქზე (ქდკ, კახური ლექსიკ., წყარო: ქიზიყური ლექსიკ. სტ. მენთეშ.); გადატ. მნიშვნელობით **ჭიპჭიპებს** – ტროპული ლექსიკაა, ნიშნავს სიმდიდრეს. *ჭიპჭიპებს* მავანი კაცი. ძალიან მდიდარია (იქვე). სხვა განმარტებით, **ჭიპჭიპი** – ბლანტი მასის ფუილისას გამოცემული ხმა. ლუდი ჭიპჭიპებს (ქართული ლექსიკონი). **ჭიპჭიპი** არის სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც.

ჭუკჭუკი (ძირითადი მნიშვნელობის გარდა) ტკბილი, წყნარი საუბარი. ქალ-კაცი რაცხას *ჭუკჭუკებენ* მათთათვინაი, შენ ნუ ერევი! შდრ. საბა (ჭუკჭუკი – მწყერთ ჴმიანობა) (ინ.) (იქვე: 664);

ამავე სემანტიკისაა ორპირიანი ზმნა ფურჩულებს – ჩურჩულებს, ჩუმად ამბობს. ჩვილი ბაღვი ფურჩულებს მეგემ (ინ.) (ფუტკარაძე 1993:

596), აგრეთვე, სამპირიანი უფურჩულებს (< უჩურჩულებს) – ჩუმად ეუბნება, ეჩურჩულება. ამდენ რას უფურჩულებს ნეტაი (ინ.); უფურჩულა, უფურჩულა, ბაღვსა და გააქცია სოვნი (ბახჩაყაია)(ქდკ, ჩვენებურების ქართული. ლექსიკონი. შ. ფუტკ.).

2. ფუძეგაორკეცებული მასდარისაგან ნაწარმოები სხვადასხვა სემანტიკის ზმნები:

უჭიმჭიმებს – თვალებით ეარშიყება, თვალებს უჭუჭუნებს. ეს ბაღვი სხუასოჲ *უჭიმჭიმებს* თუალებს გოგვებსა. (ინ.) (ქდკ, ჩვენებურების ქართული. ლექსიკონი. შ. ფუტკ.);

წამოციმციმება – წამოტივტივება, გამოჩენა. რუსი ახლა *წამოციმციმდა,* იქამდე თელი ოსმანლისა იყო (უბე) (ქდკ, ჩვენებურების ქართული. ლექსიკონი. წყაროები: შავშეთი. მ. ცინც., მ. ფაღ., თ. შიოშვ.);

ღუზღუზებს – მწიფს, მწიფეა. ითქმება ყურძნის მიმართ. *ღუზღუზებს,* ძიავ, შავი ადესაი (მურღ.) (ქდკ, ჩვენებურების ქართული. ლექსიკონი. შ. ფუტკ.);

წანწალებს – ქანაობს, ირყევა: ერთიც [ხიდი] სოფელში მაქვა, მარა ისე არ *ეწანწალება* (კლარჯეთი 2016: 1079). **წანწალა** – მოქანავე ხიდი ექანება, იმ ხიდ ვეტყვით, ჭოროხზე ათი ცალი წანწალა ხიდი იყო (ქლასკ.) (იქვე).

წიგნში „კლარჯეთი“ (2016) მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სიტყვაწარმოებას. ამ ნაწილში მითითებულია: „გაორკეცებულია ზმნური კომპოზიტი“ და დასახელებულია ორი საინტერესო ზმნური ფორმა: მულმულობს და კუნკულობს: მული მულმულობს, რძალი კუნკულობს (ჯივანი). „მულმულობს ნასახელარი ზმნაა (სახელისაგან მული), კუნკულობს – დისიმილირებული ვარიანტი ჩანს (შდრ. აჭარული კუნკული – უკმაყოფილო ჩუმი ლაპარაკი, გვხვდება ბათუმის მიმდებარე სოფლების მკვიდრთა მეტყველებაში: დედამთილი რაცხას კუნკულებდა...)“ (კლარჯეთი 2016: 584). ჩვენ მოცემულ ლექსიკურ ერთეულებსაც (მულმულობს, კუნკულო/ებს) რთული ფუძის ზმნებად მივიჩნევთ.

3. გაორკეცება და თანხმოვანთა დისიმილაცია:

რ > ლ:

გირგილობენ – მხიარულობენ, ტკბილად საუბრობენ. დაწოლამდი ერთათ *ვგირგილოფთ* (ინეგოლი // (ქდკ, ჩვენებურების ქართული. ლექსიკონი. შ. ფუტკ.);

მუაწარწალებს – მიაყრის-მოაყრის აქეთ-იქეთ, აურდაურევს ყუელაფერს, დალაგებულს აურევს. ბაღვები შემძრალან ოდაში, ჩექმეჯები გამუუყრიან და *მუუწარწალებიან* იქაურობა (თ. ქ.) (ფუტკარაძე 1993: 515);

მ > ნ:

კანკამებს (< კანკამი < კამკამი). არ გაწვიმდება, *კანკამებს* (ხევწრ.) (ქდკ, ჩვენებურების ქართული. ლექსიკონი. წყაროები: შავშეთი. მ. ცინც., მ. ფაღ., თ. შიოშვ.);

ნ > ლ:

ჟინჟილებს – 1 ძლივს ანთია; ნელა იწვის. 2. ღარიბად ცხოვრობს. ჯირეკი ნელა ჟინჟილებს (თ. ქ.); *ჟინჟილებს* რაჰალებით, ქალ-ბაღვსა ძვილაი უარება (სტ.) (ფუტკარაძე 1993: 546);

წინწილებს – წვეთობით მოდის, მოწვეთავს. ამ სიცხიებზე ეხ წყალი *წინწილეფს* და არი რაჰალებით (ად.) (იქვე: 656).

4. გაორკეცება და ერთ-ერთი კომპონენტის ფორმაცვალება:

გააშარშვალებს – შემართავს, აამოქმედებს, გაამზადებს. *გააშვარშვალა* დიდი ფერვანი; რომე გააშარშვალებს დიდ ყამას, მაშინ მიხტები (ფუტკარაძე 1993: 408);

გაახანხანიებს – დროს გაიყვანს, გადაავადებს. გაახანხანიებს, *გაახანხანიებს* და დაგავიწყებს (ინ.) (იქვე);

გაახელისხელებს – ხელიდან ხელში გადასცემს, გაანათხოვრებს. *გაახელისხელა* ის ქითაბი და სოვნი გააყაიბა (ინ.)(იქვე);

გირგილობენ (მრ. რ.) – მხიარულობენ, ტკბილად საუბრობენ. დაწოლამდი ერთათ *ვგირგილობთ* (ინ.)(იქვე: 417);

გულნაქცეობს – ორსულობის დასაწყის სტადიაშია, გულზე აწუხებს, გულს ერევა. *გულნაქცეობს* ჩემი გელინი სამი თვეა... (იქვე: 420);

უსუსუნებს – ზედმეტ ზრუნვას იჩენს, გადაჭარბებით ემსახურება, ეფერება. თითისიგმე ბაღვსა იმდენ *უსუსუნებს,* გიგიკვირდება (ად.) (ფუტკარაძე 1993: 581). შდრ. სუსუნი 1. ფშვინვა, 2. ზედმეტი მზრუნველობა, მოფერება, მომსახურება. იმათ ბევრი სუსუნი იციან ბაღვებზე (ად.); ღმათ სუსუნი დეიწყო და ჰემაც მიცა თავარი სული (და.) (ფუტკარაძე 1993: 571). ვფიქრობთ, **სუსუნი** დაკავშირებულია სიტყვასთან **სული**. მისი გაორკეცებული ფუძეა **სულსული,** რომლისგანაც უნდა იყოს მიღებული ზმნური ფორმა **უსულსულებს** (სული > სულსული > უსულსულებს). შდრ. გამოთქმა „სულს უბერავს“ (გადატ. მნიშვნ.). შესაძლებელია, ასევე, ერთმანეთს დავუკავშიროთ ორი სიტყვა: **სული** და **სუნი.** ამ უკანასკნელისაგან უნდა იყოს მიღებული ფუძეგაორკეცებული **სუნსუნი,** რომლის დისიმილირებული ვარიანტია **სუნსული,** მისგან მიღებული რთული ფუძის ზმნა კი – **დასუნსულებს** (სუნი > სუნსუნი > სუნსული > დასუნსულებს). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, **სუნსულებს** ნიშნავს: სუნსულით დადის, – აქეთ-იქით დარბის და ყნოსვით ეძებს რასმე (ძაღლი, მელია და მისთ.) (ქეგლ);

იგუნგრუცებს – ერთ ადგილას უმიზნოდ იტრიალებს. რამდონ ხანს *იგუნგრუცებს* ეზოში, ღმერთმა იცის (ინ.) (ქდკ, ჩვენებურების ქართული ლექსიკონი. შ. ფუტკ.);

იციცქირება – მონატრებით იყურება. ჩუენა გურჯისტანისკენ შორიდან *ვიციცქირებით,* ცოდვა არ ვართ?! (სტამბ.) (ქდკ, ჩვენებურების ქართული ლექსიკონი. შ. ფუტკ.);

გეითხუთმეტა თვარემ – მთვარე თხუთმეტი დღისა შეიქმნა, სავსე მთვარე გახდა. ძვილაი არ *გეითხუთმეტა* თვარემ? (ფუტკარაძე 1993: 415).

თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში თურქული ენის გავლენა საგრძნობია ზმნურ ფორმათა წარმოებაშიც. გავრცელებულია როგორც თურქულენოვანი, ისე შერეული, თურქულ-ქართული, ასევე, სპარსულ-არაბული ზმნური ლექსიკური ერთეულები:

თურქულენოვანი:

გეჩუფ-გედარ – დიალ. ადგება და წავა (თურქ.) გაიქცა – წავიდა. შენ შაქირას წამეეწევი?! *გეჩუფ-გედარ!* (იმერხ.) (ქდკ, ჩვენებურების ქართული. ლექსიკონი, შ. ფუტკ.)...

თურქულ-ქართული:

ედეგუშება (თურქ. tokuş – ბიძგი, დარტყმა, tokuşmak – მიბიძგვა, დარტყმა, შებრძოლება) – ემუქრება, ებრძვის. „ეს ძაღლები მეგემ ერთმანებსა ედუგუშებიან“ (ინ.); „სულ *გედუგუშოს* ვინცხამ კაია?!“ (მეზ.) (ფუტკარაძე 1993: 444);

გერჩიკამბოზ – ნამდვილად ამბობ (არის დიალოგებში გამოყენებულ კითხვ. წინადადებებში). ბაბოი ბათუმ მივა, იცი? – *გერჩიკამბოზ* თუ? (სტ.) (იქვე: 416)...

გვხვდება სპარსულ-არაბულ ენოვანი შერევის შემთხვევებიც. მაგალითად: **აჯანქვალებს** (< ჯანქვალი = სპ. Can Kuvvani, Can – სული, არაბ. kuvvani – დინამიკური მოძრაობა, სულის, არსების მოძრაობა, რყევა, რხევა). ამფრა *აჯანქვალებს* ანამის ეს ბაღვი, არ აძლევს რაჰათ (ინ.) (იქვე: 389). ასევე, სხვა ფორმები: მუაჯანქვალა, შააჯანქვალებს...

დასკვნა

თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში არსებული რთული ფუძის ზმნური ფორმები, მიუხედავად თურქულენოვანი გავლენისა, უმეტესად საერთოქართველურია, სისტემურია ქართული ენისათვის. მათი გაანალიზება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ზმნა არის ბუნებითაც და აგებულებითაც რთული, მაგრამ იმავდროულად ძალიან მრავალფეროვანი და „ზღუდე და გალავანი“ ქართული ენისა.

ნაშრომში განხილული მასალის გათვალისწინება გამოსადეგი იქნება არა მხოლოდ ლექსიკოლოგიურ-დიალექტოლოგიური, არამედ, ზოგადად, ქართული ენის ისტორიის საკითხების კვლევის თვალსაზრისითაც.

დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

კიკვაძე... 2016: კიკვაძე მ., საღინაძე რ., ზმნური ფორმები „ჰამიდიეს“ ქართულში. „შრომები“, 1. საქ.ართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო. ცენტრი, ბათუმი.

ფაღავა... 2016: ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ჩოხარაძე მ., შიოშვილი თ., მამულაძე შ., ხალვაში რ., მგელაძე ნ., შაშიკაძე ზ., კარალიძე ჯ., კლარჯეთი (მონოგრაფია). „სამშობლო“. ბათუმი.

ფაღავა... 2020: ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ჩოხარაძე მ., შიოშვილი თ., ხალვაში რ., მგელაძე ნ., შაშიკაძე ზ., ხალვაში მ., ჩხვიმიანი ჯ., კარალიძე ჯ., ტაო (მონოგრაფია). „მერიდიანი“. ბათუმი.

ფუტკარაძე 1993: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგ. I, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი.

შანიძე 1980: შანიძე ა., თხზულებანი, ტ. III, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.

ელრესურსები:
ზედგინიძე 2014: ზედგინიძე გ., ჯავახური ლექსიკონი. საუნჯე. თბილისი. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=28&t=19574 დამოწმება: 24.01.2026.
ქართული ლექსიკონი: https://www.ganmarteba.ge/word/%E1%83% AD%E 1%83%98%E1%83%9E%E1%83%AD%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%98 დამოწმება: 20.01.2026.
ქეგლ: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: https://www.ena.ge/ explanatory-online დამოწმება: 24.01.2026.
ქდკ: ქართული დიალექტური კორპუსი: http://www.corpora.co/#/corpus. დამოწმება: 20.01.2026.
ქდკ: ჩვენებურების ქართული ლექსიკონი: http://corpora.co/#/dictionaries). დამოწმება: 24.01.2026.
ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი: http://www.nplg.gov.ge/ saskolo/index.php?a=list&d=44&p=7&w1=%E1%83%9B&w2=%E1%83%98. დამოწმება: 24.01.2026.

References and sources

Kikvadze... 2016: Kikvadze M., Saghinadze R., Verb forms of "Hamidie" in Georgian. "Works", 1. Adjara Autonomous Republic of the National Academy of Sciences, Regional Scientific Center, Batumi.
Paghava... 2016: Paghava M., Tsintsadze M., Baramidze M., Chokharadze M., Shioshvili T., Mamuladze Sh., Khalvashi R., Mgeladze N., Shashikadze Z., Karalidze J., Klarjeti (monograph). "Motherland". Batumi.
Paghava... 2020: Paghava M., Tsintsadze M., Baramidze M., Chokharadze M., Shioshvili T., Khalvashi R., Mgeladze N., Shashikadze Z., Khalvashi M., Chkhvimiani J., Karalidze J., Tao (monograph). "Meridiani". Batumi.
Putkaradze 1993: Putkaradze Sh., The Georgian Language of "Chveneburebi" in Turkey, book II, Adjara Journal-Newspaper Publishing House, Batumi.
Shanidze 1980: Shanidze A., Works, Vol. III, Tbilisi University Publishing House. Tbilisi.
Electronic Resources:
Explanatory Dictionary of the Georgian Language: https://www.ena.ge/explanatory-online.Retrieved: 24.01.2026.
Georgian Dictionary: https://www.ganmarteba.ge/word/%E1%83% AD%E 1%83%98%E1%83%9E%E1%83%AD%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%98. Retrieved: 20.01.2026.
Georgian Dialectal Corpus: http://www.corpora.co/#/corpus. Retrieved: 24.01.2026.
The Georgian Dictionary of "Chveneburebi": http://corpora.co/#/dictionaries). Retrieved: 20.01.2026.
Unified Dictionary of the Old Georgian Language: http://www.nplg.gov.ge/saskolo/ index.php?a=list&d=44&p=7&w1=%E1%83%9B&w2=%E1%83%98. Retrieved: 24.01.2026.
Zedginidze 2014: Zedginidze G., Javakhian Dictionary. "Saunje". Tbilisi.: http://www. nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=28&t=19574. Retrieved: 24.01.2026.

DOi: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.20

ლევან გელაძის პოემა „გუნეშ“

LEVAN GELADZE'S POEM *GUNESH*

სოსლან სურმანიძე
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის
სასწავლო უნივერსიტეტი
შუახევი, საქართველო

Soslan Surmanidze
St. Tbel Abuseridze University
of Patriarchate of Georgia
Shuakhevi, Georgia

აბსტრაქტი

ლევან გელაძე მე-20 საუკუნის თვალსაჩინო პოეტი და საზოგადო მოღვაწეა. მის კალამს არაერთი ლექსი და სტატია ეკუთვნის. პროფესიით ექიმი არანაკლებ ზრუნავდა ხალხის სულიერი განვითარებისთვის. მისი შემოქმედება ერთობ სასიამოვნო და შინაარსობრივად დატვირთულია.

გარდა ლექსებისა და საგაზეთო სტატიებისა, ლევან გელაძის კალამს ეკუთვნის პოემა „გუნეშ“, რომელიც გამორჩეულია როგორც სალექსო ფორმით, ასევე შინაარსით.

პოემის შესავალშივე ჩანს ორი პერსონაჟი: ნური ბეგი და ჰარუნი, რომლებიც ძველი, მრავალჭირგამოვლილი მეგობრები არიან. ჰარუნი ნური ბეგს სარძლოდ თხოვს გუნეშს, – ერთადერთ ქალიშვილს.

პირობა კი მეგობრებმა დიდი ხნის წინ დადეს; როდესაც მემედ-ბეგის წინააღმდეგ ისინი ერთად იბრძოდნენ, ნური დაიჭრა, ის ჰარუნმა გადაარჩინა სიცოცხლეს. მაშინ მეგობრები შეთანხმდნენ, რომ შვილების შეუღლებით დამოყვრდებოდნენ და მათი მეგობრობაც გაგრძელდებოდა.

ლევან გელაძეს ერთი კონკრეტული შემთხვევით სურს დაგვანახოს ზოგადი პრობლემა: მოძველებული ადათ-წესები არ აძლევს ახალ თაობას განვითარების, თავისუფლების, აზროვნების საშუალებას. უაზრო სიამაყე დამღუპველია, როცა ოჯახს, შვილის მომავალს სჭირდება, უკანდახევა უფრო აღგამაღლებს, ვიდრე დაგამცირებს. ახალი თაობის წარმომადგენლის – ასლანის გონს მოგება იყო ავტორის ერთ-ერთი მთავარი მიზანი. ამით მან გვიჩვენა, რომ ახალმა სძლია ძველს. მართალია, დიდი მსხვერპლის საფასურად, მაგრამ დიდი საქმე ხომ დიდ მსხვერპლს მოითხოვს!

ლევან გელაძის პოემა „გუნეში“ ძველისა და ახალის ჭიდილს გადმოგვცემს, სტერეოტიპების მსხვრევას ემსახურება. კარგი პარალელი გაივლება ლევან გელაძის გუნეშს, ვაჟა ფშაველას ალუდა ქეთელაურსა და ჯემალ ქარჩხაძის იგის შორის. „გუნეშ“ შესანიშნავი პოემაა და მომავალ ფართომასშტაბიან კვლევას მოითხოვს.

საკვანძო სიტყვები: ქართული პოეზია, ლევან გელაძე, თაობათა შორის ურთიერთობა, ტრადიციები.

ABSTRACT

Levan Levan Geladze was a distinguished twentieth-century poet and public figure. He is the author of numerous poems and articles. Although a physician by profession, he also cared deeply about the spiritual development of the society. His work is distinguished by its engaging character and meaningful content.

In addition to his poems and newspaper articles, Levan Geladze authored the poem *Gunesh,* which is remarkable both for its poetic form and its thematic content.

From the very beginning of the poem, two characters are introduced: Nuri Beg and Harun, who are old friends who have shared many hardships together. Harun asks Nuri Beg for the hand of his only daughter, Gunesh, in marriage.

This promise had been made by the friends long before: when they fought together against Memed-Beg, Nuri was wounded and his life was saved by Harun. At that moment the friends agreed that they would unite their families through the marriage of their children and that their friendship would thus continue.

Through a single narrative episode, Levan Geladze illustrates a broader problem: outdated customs and traditions hinder the younger generation's development, freedom, and capacity for independent thought. Empty pride proves destructive; when the welfare of a family and the future of a child are at stake, the willingness to step back may elevate a person rather than humiliate them. One of the author's principal intentions was to bring Aslan, a representative of the younger generation, to an awareness of this truth. In doing so, the author demonstrates the triumph of the new over the old. Although achieved at the cost of great sacrifice, great undertakings often demand great sacrifice.

Levan Geladze's poem *Gunesh* depicts the confrontation between the old and the new and challenges established social stereotypes. A compelling parallel may be drawn between Geladze's *Gunesh,* Vazha-Pshavela's *Aluda Ketelauri,* and Jemal Karchkhadze's *Igi.* Gunesh is an outstanding poetic work that deserves further comprehensive scholarly research.

Keywords: Georgian poetry, Levan Geladze, intergenerational relationships, traditions.

შესავალი

ლევან გელაძე მე-20 საუკუნის თვალსაჩინო პოეტი და საზოგადო მოღვაწეა. მის კალამს არაერთი ლექსი და სტატია ეკუთვნის. პროფესიით ექიმი არანაკლებ ზრუნავდა ხალხის სულიერი განვითარებისთვის, მისი შემოქმედება ერთობ სასიამოვნო და შინაარსობრივად დატვირთულია.

ლევან გელაძე 1932 წლის 5 დეკემბერს დაიბადა ხულოს რაიონის სოფელ ღურტაში. ახალგაზრდობის პერიოდი, ჭაბუკობა და სიყმაწვილე პოეტმა სწორედ ამ თვალწარმტაც ადგილას გაატარა. მისი პროფესიის შერჩევაშიც დიდი წვილილი იმ გარემო ფაქტორებმა შეიტანა, სადაც ის ცხოვრობდა.

ლევან გელაძემ 1951 წელს ხულოს პედაგოგიური სასწავლებელი დაასრულა, ხოლო 1957 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო

ინსტიტუტის პედაგოგიური ფაკულტეტი. პოეტისა და მკურნალის მეგობრები იხსენებენ, რომ ის პოეზიით იმდენად იყო გატაცებული და კალამს ისე მართავდა, რომ შეუძლებელიც კი იყო იმ ფაქტის დაჯერება, რომ ლევანმა პოეტობა კი არა, ექიმობა არჩია, მაგრამ ახალაზრდა ექიმი ბათუმის ბავშვთა საავადმყოფოში დასაქმდა.

ლევან გელაძის პასუხი კი ამ ფაქტთან დაკავშირებით საკმაოდ ურყევი იყო: „თქვენ ექიმი და პოეტი ერთად არ გაგიგიათ? ჩემს ხალხს ყველაზე მეტად რაშიც უჭირს, ის დარგი ავირჩიე" – უთქვამს პოეტს.

მკურნალმა და პოეტმა საკუთარი თავი გვერდით გადადო და მთელი თავისი დრო, ენერგია პროფესიას დაუთმო, საჭიროებიდან გამომდინარე, ის თვეობით იმყოფებოდა ზემო აჭარის სოფლის ამბულატორიაში. იქ მუშაობდა, ძალიან ხშირად შეუმჩნევიათ დაღლილ-დაქანცული ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც სახლში ძლივს მივიდოდა და იქაც მოუსვენრად ლამპის შუქზე ძველ ჩანაწერებს, რეცეპტებსა და დასახმარებელ მასალას ეძებდა.

1963 წლის 10 თებერვალს ის, უმწეო და ნორჩი პაციენტის გადასარჩენად მიმავალი, ციხისძირში ავტოავარიის შედეგად დაიღუპა.

კვლევის მეთოდები

ლევან გელაძის პოემა „გუნეშ"-ის ანალიზისას გამოყენებულია კვლევის მეთოდები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, ტექსტის სიღრმისეული მხარეები, შინაარსობრივი თემატიკა და პერსონაჟთა ფსიქოლოგიური პორტრეტი დეტალურად შევისწავლოთ. კერძოდ, გამოყენებულია შემდეგი მიდგომები: შინაარსობრივი ანალიზი – პოემის სიუჟეტის, თემებისა და პერსონაჟთა ქცევის დეტალური განხილვა, ავტორის სათქმელისა და იდეის გამოკვეთა; კონტექსტუალური ანალიზი – ტექსტის გააზრება ისტორიულ და სოციოკულტურულ ფონზე, განსაკუთრებით მაღალმთიანი აჭარის ტრადიციებისა და საზოგადოებრივი წეს-ჩვეულებების ჭრილში; ინტერპრეტაციული მიდგომა – პერსონაჟთა შინაგანი მოტივების, ავტორის დამოკიდებულებებისა და ღირებულებების ინტერპრეტაცია; შედარებითი მეთოდი – ნაწარმოების პარალელები სხვა ლიტერატურულ ტექსტებთან (მაგალითად, ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური" და ჯემალ ქარჩხაძის „იგი") – თემატური და იდეური მსგავსებების დასადგენად.

მსჯელობა

გარდა ლექსებისა და საგაზეთო სტატიებისა, ლევან გელაძის კალამს ეკუთვნის პოემა „გუნეშ", რომელიც გამორჩეულია როგორც სალექსო ფორმით, ისე შინაარსით.

პოემის შესავალშივე ჩანს ორი პერსონაჟი: ნური ბეგი და ჰარუნი, რომლებიც ძველი, მრავალჭირგამოვლილი მეგობრები არიან. ჰარუნი ნური ბეგს სარძლოდ თხოვს გუნეშს – ერთადერთ ქალიშვილს:

„ელჩი ვარ,
იცოდე, არ ხუმრობს ჰარუნი.
ელჩი ვარ, ნაკურთხი ღვთისა და ზეცისა,
დღეს თვალში დუშმანი წიწილად არ მიჩანს,
გუნეშის ელჩობა უფალმა მაღირსა" (გელაძე 2003: 274).

ელჩი-მეგობარი ნური ბეგს წესისამებრ თხოვს, ხალიჩა გაუგონ ეზოში. დაპირებისამებრ მიათხოვოს თავისი გუნეში ჰარუნის ასლანს, რომელიც თავის მხვრივ დედისერთა ვაჟკაცია.

„ნური ბეგ! შემცინე, გახსენი გონება,
მოვედი ელჩი და გამგზავნე მზახალი“ (გელაძე 2003: 274).

საქმე და პირობა კი იმაში მდგომარეობს, რომ დიდი ხნის წინ ხულოში დაიძახეს „თათრობა“. შეიკრიბა მთელი ხულო და მაღალმთიანეთი აჭარა. ჰარუნი და ნური ბეგი აირჩიეს მედროშეებად. მათ ერთიანი ლაშქარით ,,კარათის“ მთაზე კუდით ქვა ასროლინეს მემედ-ბეგს. ბრძოლის ბოლო წუთებში, როცა ბრძოლის ბედი წყდებოდა, მედროშე ნური დაეცა და უთუოდ სიკვდილი ელოდა, რომ არა მეგობრის – ჰარუნის ვაჟკაცობა, რომელმაც მეგობარი გაარიდა ბრძოლის ველს და სიცოცხლე აჩუქა. ამ დროს დაიდო საუკუნო მეგობრობის პირობა:

„ჰარუნ, დღეს სიცოცხლე ნადვილად მაჩუქე,
ქალი მყავს,
ვაჟი გყავს,
გავხდებით მოყვრები,
შენ ჩემს მტერს მრავალჯერ ჩაუქრე მზის შუქი,
ამ ძმობის დიდ ამბავს ყოველთვის მოვყვები...“ (გელაძე 2003: 278).

აქ მთავრდება პოემის პირველი ნაწილი, გახსენება და უკვე კარს მომდგარი ელჩი-მეგობრის ამბავი.

მამა – ნური ბეგი ორ ცეცხლს შუა იწვის: ერთი მხრივ მეგობარი დგას, რომელმაც სიცოცხლე შეუნარჩუნა და ვაჟკაცის წესი არ არის, მთაში განსაკუთრებით, სიტყვის გატეხა, მეორეს მხრივ, არ უნდა თავის ლაღად გაზრდილ ქალიშვილს თავს მოახვიოს თავისი პირობა და მის გამო მსხვერპლი გაიღოს გუნეშმა. აღსანიშნავია, რომ მამამ არაფერი იცის გუნეშის სხვა სიყვარულის შესახებ, თუმცა გული რაღაცნაირად აქვს დამძიმებული და ცუდს უგრძნობს.

მამის წინათგრძნობა, სამწუხაროდ, გამართლდა; აღმოჩნდა, რომ გუნეშს გული შევარდნია ბეჟანზე, ალია გობაძის ობოლ ძმისშვილზე, რომელიც ბიძას გაუზრდია და მის შერცხვენას არავის აპატიებს. თავის მხრივ ბეჟანი და ასლანი ძმადნაფიცები არიან და ასლანმა იცის, ბეჟანს და გუნეშს რომ ერთმანეთი უყვართ.

ბეჟანი „ჭალის თიბვის“ დროს გაიგებს, რომ ასლანისთვის ჰარუნს დაუნიშნია გუნეში, თუმცა ბეჟანმა მამების შეთანხმების შესახებ არაფერი იცის. ბეჟანის გულისტკივილს ძმადნაფიცის ღალატი იწვევს:

„ბეჟანის ძმობილი –
ჰარუნის მემკვიდრე, მამულის პატრონი.
მამა ჰყავს ჭკუით და ლაზათით ცნობილი,
ბაგაზე უბია თამაშა თეთრონი.
ბოლოხანს ტოლებში ყოჩობას იჩემებს,
ლაფში სვრის გვარსა და საკუთარ კაცობას“... (გელაძე 2003: 280).

ბეჟანს, მთელი დღის უგუნებოდ მყოფს, რაღაც წინათგრძნობით გაუბედურების, კოვზი ძირს გაუვარდა, გული წაუვიდა და დაეცა. ამ ამბით ელდანაცემი. თავის მხრივ, ბეჟანიც ორ ცეცხლს შუაა;, საყვარელი ქალი

დაინიშნა და თან ძმადნაფიცმა გააცოფა, გააცეცხლა ასლანის საქციელმა. ბარბაცით მილასლასებს სახლისაკენ განადგურებული ბეჟანი:

„ბეჟანი ბარბაცით მიყვება გრძელ ბილიკს,
მიყვება გულმკვდარი,
მიყვება დაჭრილი,
მოსისხლედ გაუხდა დღეიდან ძმობილი,
დარდი, ვით ბებუთი, გულში აქვს გაჩრილი“ (გელაძე 2003: 280).

ცნობილი ამბავია: „წყაროზე ხალხი რას ამბობს“ და ამ შემთხვევაშიც სოფლის წყაროზე ისმის ყველა ჭორ-მართალი; ვიღაცას ბეჟანის ცოლობა ოცნებად უქცევია, ვიღაცა გუნეშის ქმარს უქებს ბედს. გუნეშსა და ბეჟანს კი გული უდუღთ, თან ხალხში ჭორების დაყრის ეშინიათ და აშკარა შეხვედრას ვერ ბედავენ. ბეჟანმა იცის, რომ წყაროზე აუცილებლად მოვა გუნეში და ელოდება წყაროსთან ახლოს ბუჩქებში:

„თითქოს, თვალში აეკვამლა ნისლი ქუფრი,
შემდეგ, როგორც მზე ღრუბლებშ გამოწვერავს,
ისე სტყორცნა მოახლებულ სატრფოს თვალი.
სტყორცნა თვალი და ააგდო მაღლა კენჭი,
ფეხთ დაეცა, უეცრობით შეკრთა ქალი
და შეხედა გზისპირს ბუჩქნარს რაღაც ეჭვით.
შეხედა და მიასხივა თვალმა თვალსა,
შეხედა და მიანათა მზემან მთვარეს,
სიყვარული რბილად შეიქმს
კლდესაც,
რვალსაც,
ცხოვრებასაც სიყვარული შეგაყვარებს“ (გელაძე 2003: 283).

შეყვარებულებმა თვალებით დაილაპარაკეს, არც ერთს ხმა არ გაუღია, ბეჟანს უფრო გაუშიშვლდა წყლული, გუნეშს მკერდი გაუბზარა, არ ისურვა ასე შუა გზაზე დიდხანს გაჩერება, სატრფოს ნახვამდისო მზერით უთხრა, შეუცვალა კოკას ბეჭი, გაუდგა სახლის გზას და ჩაილაპარაკა: „მეღირსებაო დაღამება“.

სიუჟეტის გამრავალფეროვნების მიზნით ავტორი მაღალმხატვრული ოსტატობით უხვად იყენებს მდგომარეობის შესაბამის ბუნების სურათებს, რითაც ერთგვარად სათქმელისთვისაც გვამზადებს და ამავდროულად გვაჩვენებს, თითქოსდა ბუნება შეყვარებული წყვილის მხარესაა, მათ დარდსა და ვარამს იზიარებს, ესმის მათი:

„გოდერძზე ციმციმებს,
კიაფობს ვენერა,
ის დროა, როს აღარ ფხიზლობენ ძაღლებიც,
მთვარეს, ვით უხსოვარ ომების ვეტერანს,
გაბადრულ სახეზე აჩნია ნახმლევი.
ტახტზე ზის სიზმართა უკვდავი მეუფე,
მას მონებს გუნეშიც ერთგულად ამ ღამით“ (გელაძე 2003: 284).

ღამეში, გამთენიისას, მალულად ხვდებიან ერთმანეთს გუნეში და ბეჟანი. საბოლოოდ სიყვარულში ბეჟანი სწორედ ამ ღამეს გამოუტყდება გუნეშს, მანამდე ჟესტების ენით დაუმტკიცებიათ მათი გრძნობა, ახლა ეუბნება ბეჟანი მთავარ სათქმელს:

„შემოგხვდი მარტოკას წყაროსთან ერთ დილით,
შემოგხვდი და გიძღვენ ეს გული შიშველი.
შეგფიცე კაცობა, შეგფიცე ვაჟობა,
და შენც შემცინე,
მომენდე, ვით შველი“ (გელაძე 2003: 284).

ეს ყელაფერი ერთგვარი სიძველის გამოვლინებაა – ტრადიციული, მალული სიყვარული. პროცესი ფაქტებმა დააჩქარა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ასე ოფიციალურად ვერც კი გამოტყდომოდა სიყვარულში ბეჟანი გუნეშს.

ბეჟანი გაცოფებულია ძმადნაფიცზე, ვერ პატიობს, ვერ წარმოუდგენია, როგორ დარჩა ძველი ადათ-წესების ტყვეობაში, მით უმეტეს, როცა მან ყველა ნაბიჯი იცოდა ბეჟანის, იცოდა, როგორ უყვარდა ბეჟანს გუნეში. ყველაფერს პირველად ძმადნაფიცს უყვებოდა ბეჟანი. გუნეშზე ადრე ასლანმა იცის, რომ ბეჟანს გუნეში შეყვარებია:

„იმ ერთმა იცოდა სიყრმიდან მიყვარდი.
მას მხოლოდ ვამცნობდი იდუმალს გულისას,
ჩვენ ერთად გავბედეთ
ჯირითი,
ნავარდი,
ერთადვე ვეძებდით მალამოს წყლულისას.
- იცოდა და მაინც ფიცვერცხლი გატეხა?
- იცოდა,
- ჩემმა მზემ,
იცოდა, ღმერთმანი“(გელაძე 2003: 285).

ჩვენი პოემის პერსონაჟები, ვაჟას ალუდა ქეთელაურივით და ქარჩხაძის იგის მსგავსად, პირველები არიან, რომლებმაც გაბედეს მოძველებული ტრადიციების წინააღმდეგ გალაშქრება; ისინი ვერ გამოირჩევიან რადიკალური ნაბიჯებით, ვერ იცავენ თავიანთ სიყვარულს, სუსტები არიან, თითქოს ნებდებიან კიდეც, ბეჟანი განსაკუთრებით:

„რა დღიდან ჩვენ ვეღარ შევხვდებით
ერთმანეთს.
რა დღიდან დაგნიშვნენ, გიგულებ სხვის
ცოლად,
რა დღიდან შენ აღარ იცისკრებ ჩემთვისა,
სჯობს, გულზე დამედოს ლოდები მთისტოლა“ (გელაძე 2003: 285).

ეს ფაქტიურად დანებებაა, ბეჟანი ფიქრობს, მისი ცხოვრება უკუღმა დატრიალდა სწორედ იმ დროს, როცა ობლობის დაღდასმულს ეგონა გავიხარე, ტოლ-სწორი ვიპოვე, კერია გავათბო. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ტყეში ყაჩაღად გავარდნას უქადის თავის ცოხვრებას, მაგრამ:

„ – ნუ ბეჟან!
ნუ-მეთქი,
ნუ მიჩენ იარას,
შენი ვარ, შენი ვარ, ნუ-მეთქი,
ნუ, ბიჭო!
დამწვარ გულს კვლავ ნუღარ
მიპობ და მიღარავ,

ასლანი არ მინდა, თუნდ ტყვია გამირჭონ,
თუნდ თმებით მიმაბან ცხენს ურცხვად ძუაზე,
თუნდ ცეცხლში დამიწვან ეს თეთრი ლეჩაქი,
სულ მუდამ, სულ მუდამ,
ვიდგები უარზე.
არც მე ვარ ურჯულო,
არც მე ვარ ლაჩარი“ (გელაძე 2003: 286).

ქალის ასეთმა ნაბიჯმა გამოაცოცხლა ბეჟანი, თითქოს აბესალომივით დაიფიცა გუნეშმა, საპირისპიროდ შეჰფიცა სიყვარული, მზად არის მისთვის ყველანაირი წინააღმდეგობა გადალახოს. აქ უკვე უარის თქმა და უკან დახევა დიდი ლაჩრობაა. მიჯნურები შეთანხმდებიან იმაზე, რომ ამის შემდგომ გუნეშის ეზოს წინ თუთის ძირას შეხვდებიან ღამღამობით. გუნეშმა სატრფოს თავისი ხელით მოქარგული ტილო მისცა: ეს მისია, ვინც დამნიშნავსო, შენს მეტი არავის ვარგუნები. ბეჟანმა, ამ ყველაფრით აღელვებულმა, საგვარეულო, დედის ნაქონი ბეჭედი გაუკეთა გუნეშს. დაწინდულ შეყვარებულების საუბარში გამოიკვეთა ფრაზაც: გავიპაროთ, ცხრა მთას იქით წავიდეთო.

საინტერესოდ ვითარდება მოვლენები მეორე მხარეს, სადაც განსაკუთრებული სამზადისია ნიშნობისთვის. ნური ბეგი ჰარუნს, მეგობარს, უკვე მზახალს, წინდაწინ მიეგება, რომელსაც ძვირფასი „ნიშნის ბოღჩა“ მოაქვს. წესისამებს პატარძალმა სტუმრებს „შარბათი“ უნდა ჩამოურიგოს, მაგრამ გუნეში აგვიანებს გამოსვლას. სტუმრები შეწუხდნენ, განსაკუთრებით კი მამა შფოთავს.

პოემაში საინტერესო პერსონაჟია გუნეშის დედა, სავარაუდოდ, ადათ-წესების ყოფილი მსხვერპლი, რომელიც თავის ქმარს, სახელიანს, ნამუსიანს, ულვაშიანს, დიდ ნური ბეგს შეჰყურებს საცოდავად, როგორც „მონა“. ის ამ შემთხვევაში შუალედური რგოლია მამა-შვილს შორის, ამიტომაც გუნეში პირველს მას ანდობს გულის ნადებს:

„ – შენ გაგიმხელ, გული ბეჟანს მივეც, დედი,
ის აჟღერებს ჩემი გულის ობოლ სიმებს,
გეაჯებით, ნუ მწვავთ ცოცხლად,
შემიბრალეთ,
თავს მოვიკლავ, ბეჟანს თუ არ მიმცემთ ცოლად“ (გელაძე 2003: 289).

გაოგნებული დედა, რომელიც ფიქრობს, რომ შვილს „ბედი ეწია“, ორ ცეცხლა შუა იწვის. შვილი შეეცოდა ძალიან, იქნებ თავისი ახალგაზრდობაც დალანდა გუნეშში, მეორეს მხრივ, ქმარს ამას ვერ ეტყვის. გუნეშს თხოვს: ნუ შეურცხვენ მამას ნამუსის ულვაშს, სიტყვას ნუ გაატეხინებ, თავს ლაფს ნუ დაასხამ.

სტუმრები ვეღარ ითმენენ, პატარძალი! პატარძალი! გაისმის, ავად ხომ არ არის?!.. გაშმაგებული ნური-ბეგი შეიჭრება გუნეშთან და რას ხედავს. აქ არის მამა-შვილს შორის კულმინაციური მომენტი, როცა გუნეში თავისი სიყვარულისთვის წინააღმდეგობას უწევს ყველაზე მთავარ კერპს, ამავდროულად მისთვის სათაყვანებელ მამას:

„რად შეგბულდი?!
რად გამყიდე უღვთოდ, მამი,

სიტყვა მიეც და არ მკითხე მე შვილს ბოლოს,
რად არ გასკდა
ის საათი და ის წამი.
ვის მიმაგდე, მე არ ვიცი, რა კაცია,
არ მინახავს, არ მომიკრავს
ერთხელ თვალი“.
განრისხებული მამა წვდა გუნეშს, მაგრამ თვალებში როცა ჩახედა....
„შედრკა,
ეს თქვა:
„მე სიცოცხლე გამითავდა“.
მწუხარებით, სიმძიმილით თავს აქნევდა...“ (გელაძე 2003: 291).

არავის სურს გაიგოს ნამდვილი სყვარულის ძალა, დრომოჭმული ტრადიციების რღვევა. ვერ წარმოუდგენია მამას, საღ გონებაზე მყოფი შვილი თუ ეტყვის ამას. თავს იჩენს ახალი გამოწვევა – ცრურწმენები. ნური-ბეგს ჰგონია, რომ გუნეში „მოუნუსხეს“.

აყაყანდა შერცხვენილი მოყვრობა, არავის უნდა ნამდვილი მიზეზის გაგება, ყველა საკუთარ ტყავზე ფიქრობს, შეგვარცხვინესო, ბნედიანიაო. ვერ გაუძლო მამამ ამ სცენას, გავიდა გუნეშით სტუმრებთან, განვლო სახლი და ეზოს მიაშურა. მიყვა მეგობარ-მოყვარე ჰარუნი! შეთანხმდნენ, რომ გუნეში ქაჯებს შეუპყრიათ და „ალი-ხოჯას“ უნდა სთხოვონ დახმარება, ლოცვები წაუკითხოს. წესის მიხედვით, ლოცვის დროს ვის სახელსაც იტყვის „მონუსხული“, ლოცვის წამკითხველი ამ სახელს დაწერს ფურცელზე და დაწვავს. რითაც გაათავისუფლებს „მსხვერპლს“. გუნეში კი იძახის: ბეჟანი, ბეჟანი... ალი-ხოჯა კი წვავს მის სახელს.

ერთ დღეს ნურ-ბეგს აცნობეს, რომ შვილი უნდა მოგტაცოს მეჯოგე ბეჟანმა, შენი შვილი მარჯანს ცვლის ქვის კენჭშიო. ნური-ბეგი გადაწყვეტს მოკლას ბეჟანი.

სიუჟეტი ჭადრაკისებურად ვითარდება; ერთ წერტილში იყრის თავს სხვადასხვა ძალა. ნაწარმოებში შემოდის ობოლი ბეჟანის ერთადერთი სისხლით ნათესავი ალია გობაძე, რომელიც არავის აპატიებს „ერთაი“ ძმიშვილის დაჩაგვრას.

ერთი პერიოდი ბეჟანი გაუჩინარდება თითქოს. გუნეში ფიქრობს, რომ მამამ მოაკვლევინა იგი.

მთაში, სავარაუდოდ, შუამთობის დროს, გახურებულია ტაშ-ფანდური, ხორუმის დროს მოცეკვავეები ერთმანეთს ეჯიბრებიან კარგად ცეკვაში, უცებ უცნობი ჭაბუკი შემოსრიალდება წრეში. მას ცეკვაში ბადალი არ ჰყავს, ყველა მას უყურებს. ცეკვით გაუსწორდა გუნეშს:

„და უცებ თვალებმა დაიპყრეს თვალები,
გუნეში ფეხთა ქვეშ ქვეყანა დაბრუნდა,
ჭაბუკიც ერთბაშად შეტოკდა მთვრალივით,
ვით გულში დაჭრილი,
მოეშვა,
მოდუნდა“ (გელაძე 2003: 298).

უცნობმა აცეკვა გუნეში, გაიღიმა და გამოცოცხლდა მილეული გუნეში. მან იცნო უცნობი, სიცოცხლე მოუნდა. უცნობმა ყველა სახის ასპარეზობაში

დაჩაგრა აქამდე პირველობით განებივრებული ასლანი. ქვის (სავარაუდოდ, ბადროს მსგავსი) სროლაში, თოფის სროლაში უცნობს ბადალი არა ჰყავს. ბოლოს ის დოღში წამოეწია დაწინაურებულ ასლანს და აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ წმინდანობამდე აყვანილი ბათუს მსგავსად მიმართა/გააფრთხილა:

„დაეხსენ გუნეშს, აკმარე ტანჯვანი,
ასლან-ბეგ, ყოფილხარ უნდო და მუხთალი,
წაიღე ის შენი ლალი და მარჯანი,
არ დამდო ეგ სისხლი და ცოდვა მურდალი,
გუნეში მიყვარდა, შენ ერთმა იცოდი,
ტრფიალმა არ იცის ბედი და დაწინდვა,
მეგონა ძმობილი ჩემს ცეცხლში იწვოდი,
ისურვე შენ ჩემი მომავლის დაბინდვა“ (გელაძე 2003: 301).

ამ ყველაფერმა გაგიჟებულ ასლანს მორიგი შეცდომა დააშვებინა. ის საღამოჟამს მიუვარდა გუნეშს სახლში, რაც დიდ უწესობად ითვლებოდა, გაიძრო ხანჯალი და მივარდა ქალს. ამან განარისხა გუნეში, წინ წარუდგა ამაყად „საქმროს“, წესების დამრღვევს და პირში მიახალა თავისი ფიქრები:

„ფუი, შენს კაცობას,
ფუი, შენს ქმრობას,
რად მოხველ ბოროტად ასეთ დროს უწესოდ,
აქამდე რაც მტანჯე, ნუთუ არ კმაროდა.
რაც იცი, არ ცდები,
დე ყველამ იცოდეს,
ეს გული სხვისია,
არ მინდა, გეცოლო,
რაც გინდა დამმრახეთ,
რაც გინდა მიცოდეთ“ (გელაძე 2003: 302).

ასლანი გააოგნა გუნეშის საქციელმა, შეაცბუნა მისმა სიამაყემ, მომკალი მზად ვარო. წამოსცდა ისეთი სიტყვები, რომლებიც გუნეშს ღირსებას ულახავს, თანასწორად არ თვლის ასლანი მას, შენი თავი ყისმათმა – ბედმა მარგუნა, მეტიც, ასლანმა თქვა: ქალს ან ჰოს, ან არას ვინ ჰკითხავს, ეგ საქმე გადაწყვეტილიაო. გავარდა სახლიდან გიჟივით. გზად მიმავალმა კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა, – გადაწყვიტა გუნებაში, ქორწილს დავაჩქარებ, დროზე შევირთავ და ვასწავლი ჭკუასო.

ასლანმა თავისი საქციელით დაგვარწმუნა კიდევ ერთხელ, გუნეში რომ მის ხელში ვერ იქნება ბედნიერი, თანასწორი უფლებებიც კი ვერ ექნებათ. მაშინ, როცა ბეჟანი ღირსებისა და ღირებულებების დაცვას და „დედოფლობას“ ჰპირდება. რად უნდა გუნეშს ოქრო-ვერცხლი, თუ თავს „მონად“ იგრძნობს, როგორც დედამისი. მას ურჩევნია მეჯოგე ბეჟანს გაჰყვეს და ბედნიერი იყოს.

დაინიშნა ქორწილის დღე. გუნეშმა გადაწყვიტა, თუ რამე შეემთხვა ბეჟანს და ვერ მიშველა, ვერ შეასრულა მოცემული სიტყვა „გიშველიო“, მაშინ, როცა შავ კლდეებს გაუსწორდებიან, ცხენიდან გადახტება და თავს მოიკლავს. ზუსტად ჩანაფიქრის შესრულების ზღვარზე იჭექა თოფმა:

„წამიც და ვაჟის მკერდს მინებდა მინდობით,
ქარმა ქალს მოსტაცა დედოფლის მანდილი,

და უთხრა ჩურჩულით:

„გზა გქონდეს მშვიდობის....“

გუნეშმა საფიცარს გაანდო წადილი...“ (გელაძე 2003: 307).

გამწარდა ქორწილი, დაიძახეს მდევარი, ასლან-ბეგი თვალებიდან ცეცხლს აფრქვევს.

მდევარმა დაჭრა ბედნიერება წყვილისა, რომლებმაც ადამიანის ევოლუციის გზაზე სცადეს კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა. დაიჭრა ბეჟანი, დაჭრილები კარს მიადგნენ და მფარველობა სთხოვეს მთას განთქმულ კაცს მევლუდ-ბეგს. ცოტა მოგვიანებით კი ასლანის ხალხმა შემოარტყა ალყა მევლუდის სახლს.

ასლანი მორიგ შეცდომას უშვებს, მდევარის მოწინავეს უაზრო ფიქრები აწუხებს:

„უგნურმა გომბიომ დამასხა თავს ლაფი,

ამნაირ სიცოცხლეს მერჩია სიკვდილი!

ო, მაშინ რატომ არ ავჩეხე,

ავკაფე?! (გელაძე 2003: 308).

ამ ფიქრებით ასლანი საბოლოოდ უსვამს წერტილს თავის პოროვნებას, ის ვერ იქნება მომავალი თაობის წარმომადგენელი, ის ჩარჩა ძველ გავლენებში, მისგან ვერ შეიქმნება მოსიყვარულე მეუღლე, ის გუნეშის ღირსი არაა. ამ ყველაფერში კი მკითხველიც საბოლოოდ რწმუნდება.

მევლუდი არ არის ისეთი კაცი, ვის ღობესაც იოლად გადააბიჯებ! კითხულობ მის მიმართვას კართან მყოფებისადმი და ვაჟას ჯოყოლა წარმოგიდგება თვალწინ. მევლუდი სოფლისა და მთის ადათს ახსენებს ხალხს და აფრთხილებს: ვინც მის სტუმრს ცუდად მოექცევა, სახლიდან ცოცხალი ვერ გავა და აღებს კარებს...

შევიდა ასლანი და დახვდა საზარელი სურათი, სიკვდილს ებრძვის ბეჟანი, გუნეში კი ცდილობს ჭრილობა დაუამოს, ცრემლებს აკკურებს. ნანახმა შეზარა, აქედან იწყება ასლანის ფერისცვალება:

„შეზიზღდა თავი და ადათიც ყოველი,

ინატრა: ბედი და თვით ყოფა დაჭრილის,

მიხვდა, რომ დღეს მისთვის არ ყვავის ყვავილი,

შეიგრძნო, რომ მისთვის ღამეა უკუნი,

გაცოცხლდნენ

დღეები,

ბავშვობა,

სილაღე,

გაცოცხლდნენ ტყეები, ქედნების ღუღუნი...

ღელეში ბეჟანთან თამაში სილაზე...

ჰგონია, ყველა მას

აგინებს,

დაცინის,

თვით არის

მახინჯი,

ბოროტი,

საზარი.

მისვლა სურს ბეჟანთან,
რის მტრობა,
რის ჟინი.
თვალები ებინდვის, სახლს გააქვს ზანზარი.
ერთი კვლავ შეხედა ტრფიალით ტანჯულთა,
და მასაც მოუნდა,
მოსწყურდა ტრფიალი,
ცხოვრებაც შეძულდა,
სიცოცხლეც შეძულდა...
იყვირა:
„ჩამქოლეთ!..." –
გავარდა ღრიალით..." (გელაძე 2003: 311).

ასე ასრულებს თავის პოემას ლევან გელაძე, გუნეშის სიყვარული არც საბოლოოდ განწირულია, არც მთლად იმედიანად გამოიყურება, მეტი ალბათობით ეს არ არის ძირითადი სათქმელი პოემისა.

დასკვნა

ლევან გელაძეს ერთი კონკრეტული შემთხვევით სურს დაგვანახოს ზოგადი პრობლემა: მოძველებული ადათ-წესები არ აძლევს ახალ თაობას განვითარების, თავისუფლების, აზროვნების საშუალებას. უაზრო სიამაყე დამღუპველია, როცა ოჯახს, შვილის მომავალს სჭირდება, უკანდახევა უფრო აღგამაღლებს, ვიდრე დაგამცირებს. ახალი თაობის წარმომადგენლის – ასლანის გონს მოგება იყო ავტორის ერთ-ერთი მთავარი მიზანი. ამით მან გვიჩვენა, რომ ახალმა სძლია ძველს. მართალია, დიდი მსხვერპლის საფასურად, მაგრამ დიდი საქმე ხომ დიდ მსხვერპლს მოითხოვს!

ლევან გელაძის პოემა „გუნეში" ძველისა და ახალის ჭიდილს გადმოგვცემს, სტერეოტიპების მსხვრევას ემსახურება. კარგი პარალელი გაივლება ლევან გელაძის გუნეშს, ვაჟა ფშაველას ალუდა ქეთელაურსა და ჯემალ ქარჩხაძის იგის შორის. „გუნეშ" შესანიშნავი პოემაა და მომავალ ფართომასშტაბიან კვლევას მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

გელაძე 2003: გელაძე ლ., ერთტომეული. გამომც „აჭარა". ბათუმი.
ლევან გელაძის პოეზია: https://poetry.ge/pages/levan-geladze/poems დამწმება: 20.06.2025.
ლევან გელაძე – ბოგრაფიული ლექსიკონი http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00017066 დამოწმება: 20.06.205.

References and sources

Geladze 2003: Geladze Levan, "One-volume" published by "Adjara" Publishing House.
Levan Geladze's poetry: https://poetry.ge/pages/levan-geladze/poems 20. 06.2025.
Levan Geladze - Biographical Dictionary http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00017066 20.06.2025.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.21

სიტყვა *ქოქის* სემანტიკისათვის ქართულში

THE SEMANTICS OF THE WORD *"KOKI"* IN GEORGIAN

ჟუჟუნა ფეიქრიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Zhuzhuna Peikrishvili
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

აბსტრაქტი

დიალექტური მეტყველება დღემდე ინახავს ძველი ქართულიდან მომდინარე ლექსიკურ ერთეულებს, რომელთაც საუკუნეთა განმავლობაში განიცადეს მეტ-ნაკლები ფორმობრივ-სემანტიკური ცვლილება. ამ მხრივ საინტერესო მასალა მეტწილად დაცულია ხატოვან გამონათქვამებში. ქართული დიალექტების მკვლევართათვის ისიც ცხადია, რომ, გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, სწრაფი ტემპით იცვლება ძირითადი დიალექტების ენობრივი არეალიც: საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისა თუ სხვა ფაქტორების ხელშეწყობით თანდათან ეძლევა მივიწყებას დიალექტური ლექსემები, რომელთაგან ზოგი ან მთლიანად იკარგება, ან მხოლოდ დიალექტოლოგიის ისტორიის კუთვნილება ხდება. სამწუხაროდ, ამგვარი პროცესი კიდევ უფრო მტკივნეულად ვლინდება მცირერიცხოვანი ენობრივი კოლექტივით დასახლებულ ადგილებში, განსაკუთრებით იმ სოფლების მეტყველებაში, სადაც ხდება კილოთა შერევა ადგილობრივთა შიგა მიგრაციისა და სხვა დიალექტის მომხმარებელთა დემოგრაფიული თუ ენობრივი ანექსიის ფონზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული მოვლენა (ენობრივი ტენდენცია) ქართულ სინამდვილეში XXI საუკუნის ბუნებრივ პროცესად იქცა (ადგილობრივთაგან თითქმის მთლიანად დაცლილ სოფლებში დიალექტური მეტყველებაც ვეღარ აგრძელებს სიცოცხლეს), ამიტომაც კიდევ უფრო ფასეულია და აუცილებელი თუნდაც ცალკეული ერთი სიტყვის გაცოცხლება აღნიშნული სტატიაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

ძველ ქართულში ქოქი დამოუკიდებელი სიტყვა იყო; ერქვა „სხვათა საცემად" გამოწყობილ ეკლესიიან ხის ტოტს, ხეს... იგი ამ სემანტიკით გამოიყენებოდა დაახლოებით XVIII საუკუნემდე. სავარაუდოდ, ამ დროისთვის (ძირითადად ქართული ენის სამხრულ-დასავლურ კილოებში) შემოდის თურქული წარმოშობის სიტყვა „ქოქი" (KÖK) – ბგერობრივად ქართული ქოქის მსგავსი ერთეული – ძირი, ფესვი, გვარი, მოდგმა და მისთანათა შინაარსით. შესაბამისად, იგი ამ ახალი სემანტიკით

უკვე დადასტურებულია XVIII საუკუნის ქართულ მასალებშიც (იხ. საბა: „გვარსავითაა“, დ. გურამიშვილი...), ხოლო XIX საუკუნიდან, ალბათ, როცა ჩვენს ენაში პარალელურად უკვე არსებობდა სიტყვები: ჯიში, გვარი, ფესვი, ძირი, მოდგმა... თურქული წარმოშობის ქოქი თავისი თავდაპირველი მნიშვნელობის გადატანით შინაარსით შემორჩა მხოლოდ წყევლის ფორმულებს სხვადასხვა ზმნური და სახელური ფორმით (შენი ქოქი მოისპოს, ქოქამოწყვეტილი, ქოქავს (სწყევლის), ქოქოლას მიყრა და ა. შ.).

საკვანძო სიტყვები: ქართული დიალექტოლოგია, არქაული ლექსიკა, დიალექტური ლექსიკა, მესხური ლექსიკა.

ABSTRACT

Dialectal speech continues to preserve lexical units originating from Old Georgian that have undergone varying degrees of formal and semantic change over the centuries. In this regard, particularly valuable material is largely retained in figurative expressions. Scholars of Georgian dialectology also recognize that, since the latter half of the twentieth century, the linguistic areas of the principal dialects have been changing rapidly. Due to ongoing socio-economic processes and other factors affecting public life, dialectal lexemes are gradually disappearing, some being lost entirely, while others survive only as part of the historical record of dialectology. Unfortunately, this process is even more pronounced in settlements with small linguistic communities, especially in villages where dialect mixing occurs as a result of internal migration of the local population and the demographic or linguistic expansion of speakers of other dialects.

Considering that this phenomenon (linguistic tendency) has become a natural process in the Georgian linguistic landscape of the twenty-first century, as dialectal speech is no longer able to survive in villages almost entirely depopulated of their local inhabitants, the revival of even a single lexical unit becomes particularly valuable and necessary. The present article is intended precisely to serve this purpose.

In Old Georgian, the word koki was an independent lexeme referring to a thorn-covered tree branch “prepared for striking others.” This meaning remained in use until approximately the eighteenth century. Presumably around this time (primarily in the southwestern dialects of Georgian), the word *kök* of Turkish origin, phonetically similar to Georgian koki, entered the language with meanings such as “root,” “origin,” “lineage,” or “descent,” and related concepts. Consequently, this new semantic value is already attested in eighteenth-century Georgian sources (see Saba: “*gvarsavitaa*”, D. Guramishvili, among others). From the nineteenth century onward, when the Georgian language already possessed several synonymous words such as *jishi* ‘breed,’ *gvari* ‘family name,’ *pesvi* ‘root,’ *dziri* ‘root,’ and *modgma* ‘lineage,’ the Turkish-derived *koki,* survived in its original meaning only in curse formulas, appearing in various verbal and nominal forms.

Keywords: Georgian Georgian dialectology, archaic vocabulary, dialectal lexicon, Meskhetian lexicon.

შესავალი

დიალექტური მეტყველება დღემდე ინახავს ძველი ქართულიდან მომდინარე ლექსიკურ ერთეულებს, რომელთაც საუკუნეთა განმავლობაში განიცადეს მეტ-ნაკლები ფორმობრივ-სემანტიკური ცვლილება. ამ მხრივ საინტერესო მასალა მეტწილად დაცულია ხატოვან სიტყვა-თქმებში. ქართული დიალექტების მკვლევართათვის ისიც ცხადია, რომ, გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, სწრაფი ტემპით იცვლება ძირითადი დიალექტების ენობრივი არეალიც: საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისა თუ სხვა ფაქტორების ხელშეწყობით თანდათან ეძლევა მივიწყებას ოდინდელი დიალექტური ლექსემები – ე. წ. „დიალექტური მარგალიტები“, რომელთაგან ზოგი ან მთლიანად იკარგება („ბიოგრაფიის“ გარეშე), ან მხოლოდ დიალექტოლოგიის ისტორიის კუთვნილება ხდება. სამწუხაროდ, ამგვარი პროცესი კიდევ უფრო მტკივნეულად ვლინდება მცირერიცხოვანი ენობრივი კოლექტივით დასახლებულ ადგილებში, განსაკუთრებით იმ სოფლების მეტყველებაში, სადაც ხდება კილოთა შერევა ადგილობრივთა შიგა მიგრაციისა და იმავდროულად გარეგანი ფაქტორით – სხვა დიალექტის მომხმარებელთა დემოგრაფიული თუ ენობრივი ანექსიის ფონზე...[1]

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული მოვლენა (ენობრივი ტენდენცია) ქართულ სინამდვილეში XXI საუკუნის ბუნებრივ პროცესად იქცა (ადგილობრივთაგან თითქმის მთლიანად დაცლილ სოფლებში დიალექტური მეტყველებაც ველარ აგრძელებს სიცოცხლეს), ამიტომაც კიდევ უფრო ფასეულია და აუცილებელი თუნდაც ცალკეული ერთი სიტყვის გაცოცხლება-გამომზეურება (ამჟამინდელი ჩვენი მსჯელობაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება).

სიტყვა **ქოქი** ჩემს მეხსიერებას შემორჩა ჯერ კიდევ ბავშვობიდან მხოლოდ სპეციალურ გამოთქმებში: *შენი ქოქი ამოვიდეს (// გაწყდეს // მოისპოს)* და გამოიყენებოდა უარყოფით კონტექსტებში წ ყ ე ვ ლ ი ს სემანტიკით, მაშინ როცა „ქოქი“ ცალკე სიტყვად არ გვხვდებოდა, შესაბამისად, მისი დამოუკიდებელი მნიშვნელობაც არ ვიცოდით.

შენიშვნა: ჩვენს მესხურ მეტყველებაში საკმაო რაოდენობით იყო შემონახული ისეთი ფრაზეოლოგიზმები, რომელთა ერთი კომპონენტის ამოსავალი სემანტიკა საერთოდ უცნობი იყო. მაგალითად: *ზრდელივით დარბის, ღრღრით გამოდიან, ნაფაშვარზე იღრიალე, რხრხი გაუდის, ცინტი გადაუბრუნდება, ჩარა ჩამოუშვა* და მისთანანი. წინა წლებში ზოგიერთი მათგანის თავდაპირველი სემანტიკა აღვადგინეთ სპეციალური გამოკვლევებით ან სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით დღესაც ვაგრძელებთ მუშაობას.

ამჯერადაც მესხურ-ფერეიდნულ ფრაზეოლოგიზმებზე მუშაობამ მიგვიყვანა ძველი ქართულიდან მომდინარე დამოუკიდებელი სიტყვის – **ქოქი**-ს – სემანტიკური ევოლუციის გარკვევა-დაზუსტებამდე.

---

[1] დღეს ამის საუკეთესო ნიმუში გახლავთ იმერულ გარემოცვაში მოქცეული ჩემი მშობლიური სოფლის - ახალშენის მესხური მეტყველება (ამის შესახებ ინფორმაცია არაერთგზის მივაწოდე სამეცნიერო წრეებს...).

კვლევის მეთოდები

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია ლინგვისტური მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს როგორც ლექსიკოლოგიურ-ეტიმოლოგიურ ანალიზს, ასევე დიალექტოლოგიურ საველე კვლევას. კვლევის ძირითადი მიზანი იყო სიტყვის „ქოქი" სემანტიკური ევოლუციისა და დიალექტური მნიშვნელობების დადგენა. კვლევა ეფუძნება მრვალფეროვან მეთოდებს, როგორიცაა:

ლიტერატურული წყაროების ანალიზი - გამოყენებულია მრავალფეროვანი ლექსიკონები და ტექსტები, დაწყებული XVII საუკუნიდან XX საუკუნის ბოლომდე, ფერეიდნული და მესხური დიალექტის კორპუსული ლექსიკონები;

საველე კვლევა და ზეპირი მონაცემების შეგროვება - ავტორმა, რომელიც ამ სოფლის მკვიდრია, პირადად ჩაატარა ზეპირი გამოკითხვები იმერეთის რეგიონში, ხონის რაიონის სოფელ ახალშენში, სადაც მესხური მეტყველება დღემდე შემორჩენილია, ასევე ადიგენის რაიონის სოფლებში — უდესა და არალში. რესპონდენტებისგან მიღებული ინფორმაცია დაემთხვა ავტორის მიერ მშობლიურ სოფელში დადასტურებულ მასალას.

შედარებითი დიალექტოლოგიური ანალიზი - ქოქის მნიშვნელობა გაანალიზდა სხვადასხვა დიალექტში (მესხური, გურული, იმერული, რაჭული, ფერეიდნული...), რაც შესაძლებელი გახდა სალექსიკონო მონაცემების საფუძველზე.

ეტიმოლოგიური კვლევა - განხილულია ქოქის თურქული წარმომავლობის ვერსია (KÖK), მისი ბგერითი და სემანტიკური მსგავსება ქართულთან, და მისი დამკვიდრება ქართულ დიალექტებში (წყევლის ფორმულებში) განსხვავებული მნიშვნელობით.

მსჯელობა

სპეციალურ ლიტერატურაში, ლექსიკონებში, სიტყვა **ქოქი** სხვადასხვაგვარადაა განმარტებული, ამიტომ საკითხზე მსჯელობამდე წარმოვადგენთ ძირითადი ლექსიკონების მონაცემებს (მასალებს ვიმოწმებთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით):

ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , ლექსიკონი ქართული (1966):

ქოქი (ქოქი, აქოქ) (ხე) ეკალი ჩირგვიანი, ეკალი (ხე) ელიანოსი: „უბრძანა ქ ო ქ ი თ ა ცემა"; „ვითარცა ქ ო ქ ი თ ა იგვემებოდა გონება ავაზაკისა".

ჩ ი რ გ ვ – (ხე) ცუდი ბუჩქი.

ქოქი გვარსავითაა (დაბეჭდილია წვრილი შრიფტით საილუსტრაციო ნიმუშის გარეშე).

ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე , ძველი ქართული ენის ლექსიკონი (1973):

ქოქი „კაცმან თუ კაცსა შესცოდოს, წერილ არს, რათა სცენ მას ოცდაცხრამეტი ქ ო ქ ი თ ა"; „მეორჱ სცემდა ქ ო ქ ი თ ა"; „ქ ო ქ ი თ ა იგუემებოდა გონება მისი"... (სიტყვასტატიას არ ახლავს სპეციალური განმარტება).

დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი , თხზულებათა სრული კრებული (1980):

ქოქი ძირი, ფესვი, „თესლ-ტომითურთ სულ წარმწყმინდა, ძირით, *ქოქით ამამაგდო*"... **ქოქოლა** მეხის დაყრა დაწყევლა და დაკრულვა (გვ. 415).

ნ ი კ ო ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი , ქართული ლექსიკონი (რუსული თარგმანითურთ) (1961):

ქოქი (ხე) ეკალი ჩირგვიანი (არ ახლავს რუსული შესატყვისი).

დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი (1984):

ქოქი ჩირგვიანი ეკალი терновый куст. куст ежовики. ქოქოლა მეხის დაყრა, დაცემა; დაკრულვა проклятие. ქოქოლა დავაყარეთ я проклял.

ვუკოლ ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა (1912; 1986):

ქოქი (ოსმალ.) ძირი, ფესვი; **ქოქათ ამოვარდნა** – ძირიან-ბუდიან ამოვარდნა, გადაშენება: „აგიშენდება ქოქი, მა ქალი თუ იმასქენი ცოლათ“.

შენიშვნა: „შენი ქოქი გაწყდეს“ ტიპის გამოთქმები რაჭველი ბებიასაგან (როცა ძროხას უბრაზდებოდაო) დღესაც კარგად ახსოვს ქუთაისელ რესპონდენტს ელიზა გიორგობიანს.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ, VII, 1962):

ქოქი (ქოქისა) ძირი. ვისიმე ქოქი გაწყდეს (გაწყდა, ამოაგდო ღმერთმა). წყევლა – ვისიმე გვარი, ჯიში, ჯილაგი გაწყდეს, ამოვარდეს. „აი, ამოაგდოს ღმერთმა ავი კაცის ქოქი“ (ილია)...

ქოქი (ქოქისა) ძვ. „ეკალი ჩირგვიანი“ (საბა).

ქოქავს სწყევლის. „მწყევლე, მქოქე, თუ რომ არ გებრალები“ (ა. ცაგარ.); „უმადურობა იქნება, რომ მარტო წყევლით და ქოქვით გავისტუმროთ ეს წელიწადი“ (ილია). **ქოქგამქრალი** წყევ. განადგურებული, მოსპობილი, „იმ ქოქგამქრალს შემეელია საფანელი?“ (მელან.).

თედო სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი (1979):

ქოქვით აღება წყევლა, მოსპობის სურვილი. „ეხლა რომ სხვას დავუყენო (ბიჭი), ხომ წყევლითა და ქოქვით ამიღო მღვდელმა“ (მელან.).

ქოქის გაწყვეტა დაღუპვა, გადაშენება, გაწყვეტა შთამომავლობისა, ძემომავლის მოსპობა. „მოდგა და მთელი დღე პირი არ დააყენა, მწყევლიდა; შენი ქოქი გაწყდესო!“ „ქოქი“ – თურქულია და ნიშნავს მცენარის ძირ-ფესვსა. ქართულში დიდი ხანია შემოსულია. ანალოგიით გადატანითად გვიქვია ადამიანების შთამომავლობისა, გინა მოდგმისათვის“.

ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა (1984):

ქოქი (გურ., ზ. აჭარ., ქიზიყ.) ძირი, ჯიში, მოდგმა. „ამუარდა შენი ქოქი – მოისპოს შენი ძირი, ჯიში (ა. ღლ.); ძირი, ფესვი. გადატ. წინაპარი, გვარი, ჯილაგი, შთამომავლობა (შ. ნიჟ.); ძირი, ფესვი. გადატ. წინაპარი, გვარი (ს. მენთეშ.), შდრ. საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ, თურქ. KÖK.

ჟუჟუნა ფეიქრიშვილი, მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა (1992):

შენი ქოქი ამოვიდეს // შენი ქოქი გაწყდეს // შენი ქოქი მოისპოს – წყევლაა.

შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული (1993):

ქოქი (KÖK) ფესვი, ძირი, მოდგმა, გვარი. „ყანაში სიმინდი ქოქებ ვასუფთებდი“. „მისი ქოქი იჭმება, გაფხიკავ“. „იმ ყებილეს (– არაბ. მოდგმა, გვარი, თაობა) ბევრი ქოქი აქუან“. „მოვნახეთ ჩუენა ჩუენი ქოქები,“ შდრ. საბა (ქოქი გვარსავითაა).

მარინა ბერიძე, ლია ბაკურაძე, ნიკოლოზ ნახუცრიშვილი, ფერეიდნული დიალექტის კორპუსული ლექსიკონი (2018):

ქოქი კვირტი. „პირველათ იხეთქა, უხეთქია და ჯერ ვარდი არ უქნია. დაამწონა ქოქი, ქოქი გამოუვა, ქოქი“.

დამოწმებული წყაროებით ირკვევა, რომ თავდაპირველად, ძველ ქართულში, **ქოქი** ერქვა ისეთ საგანს, რომლითაც შეიძლებოდა სხვისი ცემა. ბიბლიის ტექსტების საილუსტრაციო ნიმუშებით ასეთ საგნად ივარაუდება *ხის ტოტი, შოლტი, მსხვილი წკეპლა* (ალბათ, ეკლიანი).

ქოქის სემანტიკა უფრო დაკონკრეტებულია საბას ეულ განმარტებაში: *ეკალი ჩირგვიანი.* იქვე მითითებულია, რომ „ჩირგვ“ არის „ცუდი ბუჩქი“, ანუ ეკლიანი ხე. **ქოქი** რომ ეკლებიანი ხეა, ეს დაზუსტებულია **აქოქ** სიტყვითაც, „რომელ არს ეკალი“.

მაშასადამე, სულხან-საბას დაკვირვებითაც, ჯერ კიდევ XVII საუკუნის ქართულში **ქოქი** არის ეკლიანი ხე (ტოტი) გამოყენებული საგანგებო დანიშნულებით („უბრძანა ქოქითა ცემა“), თუმცა იქვე საგულისხმოა ერთი დეტალიც: ჩანს, საბას თვალსაწიერს იმავდროულად არ გამოჰპარვია, ალბათ, ენაში უკვე თავჩენილი ახალი მნიშვნელობა საანალიზო ერთეულისა: „ქოქი გვარსავითაა“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ XVII-XVIII საუკუნეებში ჩვენს ენაში ძველი ქართულიდან მომდინარე დამოუკიდებელი ლექსემის გვერდით (პარალელურად) მკვიდრდება თურქული სიტყვა **ქოქი** (KÖK) განსხვავებული სემანტიკით, რომლის ძირითადი მნიშვნელობაა „ფესვი, ძირი, მოდგმა, გვარი“. აქვე საინტერესოა თ. სახოკიას შენიშვნაც: „ქოქი თურქულია და ნიშნავს მცენარის ძირ-ფესვსა. ქართულში დიდი ხანია შემოსულია. ანალოგიით გვიქვია ადამიანების შთამომავლობისა, გინა მოდგმისათვის“.

ქეგლ-ში **ქოქი**-ს ამოსავალ მნიშვნელობად მითითებულია ძირი, თუმცა საილუსტრაციოდ დამოწმებულია წყევლის ფორმულები (იხ. ზემოთ), ხოლო **ქოქი** იგივეა, რაც: ძვ. „ეკალი ჩირგვიანი“ (საბა). ქეგლის მიხედვითაც, დღეს **ქოქი** ძირის (მოდგმა, ჯიში, შთამომავლობა) მნიშვნელობით შემონახულია მხოლოდ წყევლის გამოთქმებში და მისგან ნაწარმოები უარყოფითი სემანტიკის ზმნებისა თუ ნაზმნარი სახელების შემცველ შესიტყვებებში (ქოქავს – სწყევლის, ქოქვა – წყევლა, ქოქგამქრალი – წყევ. განადგურებული, მოსპობილი...), თორემ, ალბათ, ქართულში უკვე მყარად დამკვიდრებული ძირის, ფესვის, გვარის, ჯილაგის და მისთანათა ნაცვლად ცალკეულ სიტყვად **ქოქის** არავინ გამოიყენებს (მაგ., არავინ იტყვის: „მეც იმ ქოქის წარმომადგენელი ვარ“; „ჩემი ქოქის კაცები აქ აღარ ცხოვრობენ“; „ამ ხეს სუსტი ქოქი ჰქონია, მალე გახმა“ და ა. შ.).

ქართული დიალექტოლოგიური მასალების გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ თურქულიდან შემოსული **ქოქი** ჩვენშიც შესამჩნევი ხდება თავისი პირდაპირი გაგებით ძირითადად სამხრულ-დასავლურ კილოებში; მათ შორის, დადასტურებულია თურქეთელი ქართველების მეტყველებაში (იხ. შ. ფუტკარაძე), ხოლო გურულში, იმერულსა და რაჭულში იგი მეტწილად გამოყენებულია წყევლის ფორმულებში (იხ. ა. ღლონტი, ვ. ბერიძე...).

ანალოგიური ვითარებაა მესხურშიც: ჩვენს ლექსიკონში („მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა“) შეტანილია **ქოქის** შემცველი წყევლის ფორმულები: „შენი ქოქი ამოვიდეს“, „შენი ქოქი გაწყდეს“, „შენი ქოქი

მოისპოს“. ახალშენელთა თავდაპირველ მესხურ მეტყველებაში (და ახლაც!) ქ ო ქ ი ცალკე სიტყვად არ გამოიყენება. სამაგიეროდ, ამავე შინაარსის გვარი, ძირი, მოდგმა, ფესვი, ჯიში, ჯილაგი და მისთანანი ყველასთვის გასაგებია. წყევლის შემცველ გამოთქმებში „ქოქი“-ც ზოგადად ერთის წყევლას რომ არ გულისხმობდა, ესეც ცხადი იყო. მაგალითად, „ქ ო ქ ა მ ო ს ა წ ყ ვ ე ტ ი ღორი სად დაიკარქა, რატო არ მოდის?“ (ანუ „ჯიშგასაწყევტი ღორი“); შდრ. „გ ა ს ა ბ ა რ გ ა ვ ი[2] ზ ა ქ ი ამ წკნატ (ძალიან წვრილ) ფოთლებსაც არ შჭამს“.

ახალშენელთა მესხური მეტყველება იმერეთში, ხონის რაიონში, დამოუკიდებელ ენობრივ ერთეულად იქცა მას შემდეგ, რაც 1910 წელს ადიგენი-ახალციხის რეგიონიდან საკუთარი სურვილით გადმოსახლებულმა მესხებმა დააარსეს ახალი სოფელი (ახალშენი). სრულიად უცხო გარემოში მოხვედრილმა პირველმოსახლეებმა თან გადმოიტანეს თავიანთი წინაპრების ტრადიციული ცხოვრების წესები და, რაც მთავარია, მესხური მეტყველება მისთვის ნიშანდობლივი გრამატიკული ფორმებითა თუ ლექსიკური ერთეულებით (მათ შორის, საკმაო რაოდენობით იყო თურქულ-სპარსული წარმომავლობის სიტყვებიც!).

ცხადია, ჩემს სოფელში დადასტურებული „შენი ქ ო ქ ი ამოვიდეს“ და მსგავსი გამოთქმები სამხრეთ საქართველოდან – მესხეთიდანაა გადმოტანილი, მაგრამ მესხურისა და ჯავახურის მცირე სალექსიკონო მასალებში (იხ. ლიტერატურაში) საანალიზო სიტყვა არ იყო შეტანილი და აქამდე ვერ შევძელით ახალშენელთა მეტყველებაში ჯერ კიდევ შემონახული **ქოქის** თავდაპირველი სემანტიკის დაზუსტება. ამჟამად ამ საკითხით ჩვენი საგანგებო დაინტერესება გამოიწვია ფ ე რ ე ი დ ნ უ ლ დ ი ა ლ ე ქ ტ შ ი დადასტურებული **ქოქის** განსხვავებულმა მნიშვნელობამ: **ქოქი** [არის] კ ვ ი რ ტ ი. „იხეთქა ახლა პირვლათ... და ჯერ ვარდი არ უქნია. გაამწონა ქ ო ქ ი“.

სპარსულში **ქოქი** არ ივარაუდება, ამდენად, ფერეიდნელთა მეტყველებაში მისი არსებობა შეიძლება იყოს თურქულის გავლენის შედეგი, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ ორივე შემთხვევაში **ქოქი** ჰქვია მცენარის ნაწილებს: ძ ი რ ი, ფ ე ს ვ ი და კ ვ ი რ ტ ი. თუმცა ვერ გამოვრიცხავთ ს ხ ვ ა ვ ე რ ს ი ა ს ა ც, კერძოდ: ფერეიდნელთა მეტყველებაში დღემდე დაცული დამოუკიდებელი სიტყვა **ქოქი** XVII საუკუნეში სპარსეთში ტყვედწაყვანილმა ქართველებმა, მათმა თაობებმა – ფერეიდნელებმა – უცხოენობრივი გარემოცვის პირობებშიც კი 400 წლის განმავლობაში მაინც შემოინახეს მშობლიური კუთხიდან – ქართული სინამდვილიდან წაღებული სიტყვა ნაწილობრივ განსხვავებული სემანტიკით: შდრ. ძვ. ქართულის **ქოქი**-ეკლიანი (ხე), ტოტი – ფერეიდნ. **ქოქი**-კვირტი ვარდის (ვარდიც ხომ ეკლიანია).

წარმოდგენილი ჩვენი მსჯელობის მეტი სიზუსტისათვის, საანალიზო სიტყვის გამოყენების შემთხვევები გადავამოწმეთ ზეპირი გზით ადიგენის რაიონის სოფლებში – უ დ ე ს ა და ა რ ა ლ შ ი (დედაჩემი უდელი იყო, მამა – არლელი, მე კი დავიბადე და გავიზარდე იმერეთში, სოფელ ახალშენში). აღმოჩნდა რომ ორივეგან ჯერ კიდევ კარგად არის შემონახული **ქოქი** გამოთქმაში „შ ე ნ ი ქ ო ქ ი ა მ ო ვ ი დ ე ს“, მეტწილად გამოიყენება გაბრა-

[2] **გასაბარგავი** 1) ვულგარ. ჩასაძაღლებელი. „მაგისი ქმარი უფრო ადრე იყო გ ა ს ა ბ ა რ გ ა ვ ი“; 2) გადატ. მსუბუქი საყვედურის გამომხატველი სიტყვა (მეტწილად იტყვიან საქონლის ან ბავშვის მიმართ) (იხ. ფეიქრიშვილი 1992: 32).

ზების, დაწყევლის მნიშვნელობით შინაური ცხოველების მიმართ, ზოგჯერ ადამიანზეც იტყვიანო.[3]

საანალიზო გამოთქმასთან დაკავშირებით ამ ახალმა ინფორმაციებმაც, ჩვენ მიერ 1960-იანი წლების დასაწყისში ჩაწერილ და 1992 წელს წიგნად გამოცემულ მესხურის სალექსიკონო მასალასთან ერთად, კვლავ დაადასტურა, რომ **ქოქი** (ჯიში, გვარი...) გადატანითი მნიშვნელობით წყევლის ფორმულებში „შენი ქოქი ამოვიდეს“ (||ამოვარდეს||მოისპოს...) გამოიყენებოდა მესხურ დიალექტში 1900-იანი წლების დამდეგამდე და შემონახულია დღემდე, ოღონდ, ჩანს, თავდაპირველი მკაცრი წყევლის შინაარსი ახლა ერთგვარად შერბილებულია უფრო ნეიტრალური ნიუანსის მქონე „ამოვიდეს“ (<ამოვარდეს) ზმნური ფორმით.

დასკვნა

ამრიგად, ძველ ქართულში **ქოქი** დამოუკიდებელი სიტყვა იყო; ერქვა „სხვათა საცემად“ გამოყენებულ ეკლებიანი ხის ტოტს, ხეს... იგი ამ სემანტიკით გამოიყენებოდა დაახლ. XVIII საუკუნემდე. სავარაუდოდ, ამ დროისათვის (ძირითადად ქართული ენის სამხრულ-დასავლურ კილოებში) შემოდის თურქული წარმომავლობის სიტყვა „ქოქი“ (KÖK) – ბგერობრივად ქართული ქოქის მსგავსი ერთეული – ძირი, ფესვი, გვარი, მოდგმა და მისთანათა შინაარსით. შესაბამისად, იგი ამ ახალი სემანტიკით უკვე დადასტურებულია XVIII საუკუნის ქართულ მასალებშიც (იხ. საბა: „გვარსავითაა“, დ. გურამიშვილი...), ხოლო XIX საუკუნიდან, ალბათ, როცა ჩვენს ენაში პარალელურად უკვე არსებობდა სიტყვები: ჯიში, გვარი, ფესვი, ძირი, მოდგმა... თურქული წარმომავლობის **ქოქი** თავისი თავდაპირველი მნიშვნელობის გადატანითი შინაარსით შემორჩა მხოლოდ წყევლის ფორმულებს სხვადასხვა ზმნური და სახელური ფორმით (შენი ქოქი მოისპოს, ქოქამოწყვეტილი, ქოქავს (სწყევლის), ქოქოლას მიყრა და ა. შ.).

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე 1973: აბულაძე ილ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი.
ბერიძე 1981: ბერიძე გრ., ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა. თბილისი.
ბერიძე 1912 (1986): ბერიძე ვ., სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა. პეტერბურგი, 1912; ფოტოტიპური გამოცემა, თბილისი.
ბერიძე... 2018: ბერიძე მ., ბაკურაძე ლ., ნახუცრიშვილი ნ., ფერეიდნული დიალექტის კორპუსული ლექსიკონი. თბილისი.
გურამიშვილი 1980: გურამიშვილი დ., თხზულებათა სრული კრებული. თბილისი.
მაისურაძე 1954: მაისურაძე ი., მასალები მესხური ლექსიკიდან. ბათუმის პედინსტიტუტის შრომები, ტ. IV.
ორბელიანი 1966: ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული. თბილისი.
სახოკია 1979: სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი.
ფეიქრიშვილი 1992: ფეიქრიშვილი ჟ., მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა. ქუთაისი.

[3] ინფორმაცია მოგვაწოდეს უდელმა შორენა პარუნაშვილმა და არლელმა თაკო ფეიქრიშვილმა. მადლობა მათ.

ფუტკარაძე 1993: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული. ბათუმი.
ქეგლ 1962: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII. თბილისი.
ღლონტი 1984: ღლონტი ა., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბილისი.
ჩუბინაშვილი 1961: ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი (რუსული თარგმანითურთ). გამოიცა ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით. თბილისი.
ჩუბინაშვილი 1984: ჩუბინაშვილი დ., ქართულ-რუსული ლექსიკონი. პირველად დაიბეჭდა 1890 წელს; მეორე გამოცემა ოფსეტის წესით სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ. თბილისი.

References

Abuladze 1973: Abuladze I., Dictionary of Old Georgian Language. Tbilisi.
Beridze 1981: Beridze G., Lexical Material of the Javakheti Dialect. Tbilisi.
Beridze 1912(1986): Beridze V., Word Collection of Imeretian and Rachian Expressions. St. Petersburg, 1912; Facsimile edition, Tbilisi.
Beridze... 2018: Beridze M., Bakuradze L., Nakhutsrishvili N., Corpus-Based Dictionary of the Fereidani Dialect. Tbilisi.
Chubinashvili 1961: Chubinashvili N., Georgian Dictionary (with Russian Translation). Edited and researched by A. Glonti. Tbilisi.
Chubinashvili 1984: Chubinashvili D., Georgian-Russian Dictionary. First published in 1890; Second edition (offset print), with foreword by A. Shanidze. Tbilisi.
Glonti 1984: Glonti A., Word Collection of Georgian Dialectal Expressions. Tbilisi.
Guramishvili 1980: Guramishvili D., Complete Works. Tbilisi.
KEGL 1962: Explanatory Dictionary of the Georgian Language, Vol. VII. Tbilisi.
Maisuradze 1954: Maisuradze I., 1954, Materials from the Meskhetian Lexicon. Batumi Pedagogical Institute Works, Vol. IV.
Orbeliani 1966: Orbeliani Sulkhan-Saba, Georgian Dictionary. Tbilisi.
Pheikrishvili 1992: Pheikrishvili Zh., Lexical Material of the Meskhetian Dialect. Kutaisi..
Putkaradze 1993: Putkaradze Sh., Georgian of Our People. Batumi.
Sakhokia 1979: Sakhokia T., Georgian Figurative Expressions. Tbilisi.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.22

ყარსიდან პარიზამდე: მიხეილ ბილანიშვილის ცხოვრება და შემოქმედებითი გზა

FROM KARS TO PARIS: THE LIFE AND CREATIVE PATH OF MIKHEIL BILANISHVILI

შორენა ფხაკაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Shorena Pkhakadze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

აბსტრაქტი

მიხეილ ბილანიშვილი (1901-1034) გამორჩეული ქართველი მხატვარი იყო, ხელოვანი, რომელიც XX საუკუნის 20-იანი წლების პარიზის ავანგარდული სცენის ნაწილს წარმოადგენდა. ის დაიბადა ყაღიზმანში, ოჯახთან ერთად თბილისში დასახლდა და თბილისის ვაჟთა გიმნაზიის დასრულების შემდეგ სამხატვრო აკადემიაში ფერწერის მიმართულებით სწავლობდა. მისი მენტორი გიგო გაბაშვილი იყო. შემდგომში სწავლა პარიზში, ანდრე ლოტის სკოლაში, გააგრძელა. მიხეილ ბილანიშვილი ცნობილია, როგორც კუბიზმის, ექსპრესიონიზმისა და სიურრეალიზმის ელემენტების შემომტანი ქართულ მხატვრობაში.

მისი შემოქმედება მრავალფეროვნებით ხასიათდება და მოიცავს პორტრეტებს, პეიზაჟებსა და ნატურმორტებს. მისი ნამუშევარი, როგორიცაა „ქართველი ქალი“, გამორჩეულია ემოციური ინტენსივობით, მედიტაციური განწყობითა და ჰარმონიული ფერებით. ავტოპორტრეტებში ჩანს მხატვრის შინაგანი მდგომარეობა, ფუნჯის ექსპრესიული დარტყმები და შუქ-ჩრდილის კონტრასტები, რაც პორტრეტს მოცულობასა და ენერგიულობას ანიჭებს. პორტრეტებში, მაგალითად, ექიმ ღამბარაშვილის პორტრეტში, ფორმების გეომეტრიული დაშლა კუბისტურ-ექსპრესიონისტულ მანერას ასახავს. ნატურმორტები კლასიკური ევროპული ტრადიციებით ხასიათდებიან, ხოლო „პარიზის პეიზაჟში“ ქალაქის დინამიკა, განათება და ატმოსფერო თვალნათლივ არის გადმოცემული.

მიხეილ ბილანიშვილის თეორიული ნაშრომი „ხელოვნების პრინციპები და ნიკო ფიროსმანიშვილი“ ხაზს უსვამს კომპოზიციის მნიშვნელობას, აკადემიზმისა და მოდერნიზმის ურთიერთმიმართებას და ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნამუშევრად გვევლინება ამ მიმართულებით.

ემიგრანტული ცხოვრება და ჯანმრთელობის პრობლემები ხელოვანის ნაადრევი გარდაცვალების მიზეზად იქცა. მისი ნამუშევრები საქართველოს ხელოვნების მუზეუმსა და უცხოურ კოლექციებშია დაცული.

მიხეილ ბილანიშვილის შემოქმედება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართული მოდერნიზმის განვითარებაში, ეროვნული მოტივების ინტეგრირებით მის თანამედროვე ევროპულ მიმდინარეობებთან. მისი სტილი გამოირჩევა ინოვაციური ხედვით, ტექნიკური დახვეწილობითა და ჟანრული მრავალფეროვნებით, რაც მას ქართულ მხატვრობაში გამორჩეულ ფიგურად აქცევს.

საკვანძო სიტყვები: მიხეილ ბილანიშვილი, ქართული მოდერნიზმი, კუბიზმი, ქართველი ემიგრანტები.

ABSTRACT

Mikheil Bilanishvili (1901–1934) was a prominent Georgian painter who became part of the vibrant Parisian avant-garde milieu of the 1920s. Born in Kağızman, he later relocated with his family to Tbilisi. After completing his education at the Tbilisi Boys' Gymnasium, he enrolled in the Academy of Arts, specializing in painting under the guidance of Gigo Gabashvili. He subsequently continued his artistic education in Paris at the school of the renowned French Cubist painter André Lhote. Bilanishvili is recognized for introducing elements of Cubism, Expressionism, and Surrealism into Georgian visual art.

Bilanashvili's artistic oeuvre is characterized by remarkable diversity, encompassing portraits, landscapes, and still lifes. His painting *Georgian Woman* is distinguished by their emotional intensity, a contemplative mood, and harmonious color palette. In his self-portraits, the artist's inner state is expressed through energetic brushstrokes and pronounced contrasts of light and shadow, giving the portrait both volume and dynamism. In portraits such as that of Dr. Gambashvili, the geometric fragmentation of forms reflects a Cubist-Expressionist manner. His still lifes follow classical European traditions, while his *Paris Landscape* captures the dynamism, lighting, and atmosphere of the city with remarkable clarity.

Mikheil Bilanishvili's theoretical study titled *The Principles of Art and Niko Pirosmanishvili* emphasizes the importance of composition and explores the relationship between academicism and modernism, representing a significant contribution to this discourse.

The hardships of émigré life and declining health led to the artist's premature death. His works are preserved in the Georgian National Museum of Fine Arts as well as in various international collections.

Bilanishvili's artistic legacy played a significant role in the development of Georgian modernism through the integration of national motifs with contemporary European artistic movements. His style is distinguished by innovative vision, technical refinement, and genre diversity, which establish him as a prominent figure in Georgian painting.

Keywords: Mikheil Bilanishvili, Georgian modernism, Cubism, Georgian émigré artists.

შესავალი

მიხეილ ბილანიშვილი XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მხატვრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს მისი შემოქმედების სისტემატიზებულ კვლევას, მისი პორტრეტების, პეიზაჟებისა და ნატურმორტების სტილისტიკური თავისებურებების ანალიზს. ასევე, მხატვრის ადგილის ჩვენებას XX საუკუნის ქართულ მოდერნიზმში და ეროვნული მოტივების ინტეგრაციას ევროპულ ავანგარდულ მიმდინარეობებთან. ასევე, ნაშრომის მიზანია ბილანიშვილის შემოქმედების თეორიული ასპექტების შეფასება, მათ შორის კომპოზიციის მნიშვნელობის, აკადემიზმისა და მოდერნიზმის ურთიერთდამოკიდებულების გამოვლინებას, რაც ხელს შეუწყობს მხატვრის შემოქმედებითი მემკვიდრეობის უკეთ გაგებას და სათანადოდ შეფასებას.

კვლევის მეთოდები

კვლევის ჩატარების პროცესში გამოყენებულია ისტორიულ-ანალიტიკური მეთოდი, რომელიც ხელოვნების ნიმუშებისა და ტექსტური წყაროების დეტალურ შესწავლას ემყარება. განხილულ იქნა მიხეილ ბილანიშვილის თეორიული ნაშრომი, ასევე, მონოგრაფია და მასალა პერიოდიკიდან. მხატვრის ნამუშევრები გაანალიზდა სახელოვნებათმცოდნეო ანალიზის მეთოდით.

მსჯელობა

XX საუკუნის 20-იანი წლების პარიზში მოღვაწე ქართველი მხატვრების – ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, ელენე ახვლედიანისა და ფელიქს ვარლამიშვილის გვერდით მოიხსენიება მიხეილ ბილანიშვილის სახელიც (შარაძე 1993: 438).

მიხეილ ბილანიშვილი იყო მხატვარი, რომელიც 1901 წელს ყარსის პროვინციაში, ყაღიზმანში, დაიბადა. ამ ქალაქს ქართულად აღზევანი ეწოდება. მამა – იოსებ ზაალის ძე ბილანიშვილი იყო პოლკოვნიკი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე, სოფელ პატარძეულიდან, დედა – ეკატერინე თარხნიშვილი. ოჯახი რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდა სარაყამისში, ხოლო შემდეგ თბილისში დასახლდნენ. მიხეილი თბილისის ვაჟთა გიმნაზიის დასრულების შემდეგ სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა ფერწერის მიმართულებით. შემორჩენილია გიგო გაბაშვილის კლასში სწავლის დროს თანაკურსელებთან ერთად გადაღებული ფოტო. მიხეილ ბილანიშვილს თავის მოსწავლედ მიიჩნევდა ევგენი ლანსერეც. 1935 წელს, როდესაც მხატვარი ემიგრაციაში გარდაიცვალა, პროფესორმა მთავრობას ოფიციალური მიმართვა გაუგზავნა, სადაც მის შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევდა (შარაძე 1993: 439-440).

როგორც ნიჭიერი მხატვარი, მეორე კურსის დასრულების შემდეგ, მიხეილ ბილანიშვილი 1924 წელს პარიზში გაგზავნეს. სწავლობდა ცნობილი ფრანგი კუბისტი მხატვრის – ანდრე ლოტის (1885-1962) სკოლაში (ქართველები უცხოეთში).

1927 წლის დასაწყისში მიხეილ ბილანიშვილმა დავით კაკაბაძესა და ელენე ახვლედიანთან ერთად მონაწილეობა მიიღო პარიზის

დამოუკიდებელ მხატვართა 38-ე გამოფენაში. ამის თაობაზე ცნობას გვაწვდის გაზეთ „თეთრი გიორგის“ 1927 წლის თებერვლის მესამე ნომერი:

„მიხეილ ბილანიშვილი – წარმოდგენილია გამოფენაზე ორი სურათით. ეს ახალგაზრდა მხატვარი სულ რამოდენიმე წელია გამოვიდა სამხატვრო ასპარეზზე და დღეს უკვე დიდ ინტერესს იპყრობს ყველასას. მასში უსათუოდ სჩანს შეგნება თანამედროვე მხატვრული გემოვნებისა. სამართლიანად აღნიშნავს ერთი გერმანული გაზეთი, როცა წერს: მ. ბილანიშვილი ერთი საუკეთესო მოვლენათაგანია ამ გამოფენაზე. მისი პორტრეტი მშვენიერ კონცეპციას წარმოადგენს. მისი ხაზობრივი მხარე ლამაზია, განაწილება სინათლისა და ჩრდილების იმსახურებს სრულ ცნობას და იძლევა ლამაზ ეფექტს“ (თეთრი გიორგი 1927, №3).

ჟანრობრივად მხატვრის ნამუშევრები საკმაოდ მრავალფეროვანია. მის შემოქმედებაში გვხვდება როგორც პორტრეტები, ასევე პეიზაჟები და ნატურმორტები. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

1930-1931 წლებში მიხეილ ბილანიშვილმა შექმნა ნამუშევარი „ქართველი ქალი“. ნეიტრალურ ფონზე წარმოდგენილია ახალგაზრდა ქალი, შავი თმით, მწვანე კაბითა და ყავისფერი მოსასხამით. ფერთა შეზღუდული და ჰარმონიული გამოყენება პორტრეტს მეტ სიღრმეს და ემოციურ დატვირთვას ანიჭებს, რაც სევდიან განწყობას ქმნის. პორტრეტი კამერულია. ქალი ¾-ით არის ჩვენკენ შემობრუნებული. ფიგურის სქემატური, შეზღუდული დეტალიზაცია, სახის ლაკონური გამომსახველობა და მუქი ფერის გამოყენება ხაზს უსვამს მედიტაციურ განწყობას. მკვეთრი კონტურები და ხელოვნურად გაწელილი პროპორციები ქმნის მისტიკურ და დამაბნეველ შთაბეჭდილებას, ფიგურის ხელების პოზა კი გარკვეულ ექსპრესიულობას და შინაგან დრამატიზმს მატებს კომპოზიციას.

ძალიან საინტერესოა მის მიერ შექმნილი ავტოპორტრეტი. პორტრეტი დინამიკურია და ფოკუსირებულია ფიგურის სახესა და ზედა ნაწილზე. ფონი მუქია და მხატვრის ფიგურას უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს. ფერთა გამაში ჭარბობს თბილი ყავისფერი და ოქროსფერი ტონები. სახეზე შუქი ეცემა, რაც ძლიერი პლასტიკურობის შთაბეჭდილებას ტოვებს. მხატვარმა სახის ტონალური გარდამავალი ცვალებადობით შექმნა მოცულობის ილუზია, ხოლო ჩრდილები თვალებსა და ყვრიმალებთან ხაზს უსვამს ემოციურ გამომეტყველებას. ეს ნამუშევარი შეიძლება დავუკავშიროთ რეალიზმს, თუმცა თვალსაჩინოა იმპრესიონისტული შეხებებიც, განსაკუთრებით ფუნჯის თავისუფალ დარტყმებში და ფონის ზოგად მონასმებში. მარჯვენა ხელში მხატვარს პალიტრა და ფუნჯები უჭირავს, რაც მის პროფესიულ იდენტობაზე მიუთითებს. ფონზე მოცემული ნახატი, სავარაუდოდ, მისი ნამუშევარია, ან სიმბოლურად უკავშირდება მის შემოქმედებით ხედვას. ნახატში შესამჩნევია მსუბუქი დაუსრულებლობის შეგრძნება, რაც შეიძლება გამოხატავდეს ავტორის შინაგან ძიებებსა და ექსპერიმენტულ მიდგომას. ეს ავტოპორტრეტი არა მხოლოდ მხატვრის ვიზუალურ სახეს გადმოსცემს, არამედ მის შინაგან მდგომარეობასაც ასახავს. მკვეთრი კონტურები, შუქ-

ჩრდილების კონტრასტი და ემოციური გამომეტყველება ერთობლიობაში ქმნის ძლიერ პერსონალურ განაცხადს, რომელიც გვიჩვენებს ხელოვანის სულიერ და შემოქმედებით სამყაროს.

მიხეილ ბილანიშვილი ცნობილი იყო თავისი ექსპრესიული და ავანგარდული სტილით. მისი შემოქმედება კუბიზმის, ექსპრესიონიზმისა და სიურრეალიზმის ელემენტებს მოიცავს, რაც გასაგები ხდება, როდესაც ვიხსენებთ მისი მასწავლებელს – ლოტს. ამის ნიმუშია ექიმ ღამბარაშვილის პორტრეტი, რომელიც წარმოადგენს კუბისტურ-ექსპრესიონისტულ ნამუშევარს. ის სტილისტურად ახლოს არის XX საუკუნის ავანგარდულ მიმდინარეობებთან. ნახატზე გამოსახული პიროვნება გეომეტრიულ ფორმებად არის დაშლილი, რაც კუბიზმის გავლენაზე მიუთითებს. ფერების პალიტრა შედარებით შემოსაზღვრულია მუქი და მიწისფერი ტონებით, თუმცა სახის ნაწილში უფრო ნათელი ფერებია გამოყენებული, რაც ემოციურობას უსვამს ხაზს. შუქ-ჩრდილის თამაში მოცულობის ეფექტს ქმნის. ფიგურის გამომეტყველება მკაცრი და ფიქრიანია. სახის გარკვეული ნაწილების გამოკვეთა (მაგალითად, თვალები და წვერი) ხაზს უსვამს პერსონაჟის ხასიათს და მის შინაგან სამყაროს. ფონი აბსტრაქტული და დინამიკურია, რაც სიურრეალისტურ განზომილებას მატებს ნახატს. ამგვარი პორტრეტი შეიძლება ასახავდეს ინდივიდის რთულ შინაგან სამყაროს, იმ ეპოქის შფოთვას ან თანამედროვე ადამიანის გაუცხოებას.

განვიხილოთ ნატურმორტიც. ნატურმორტზე ასახულია სხვადასხვა ხილი: ვაშლები, ატმები, მსხლები, ყურძენი და სხვა ბუნებრივი ელემენტები. კომპოზიცია ბაროკოს ეპოქის კლასიკურ ნატურმორტებს მოგვაგონებს. ფონი მუქი და ნეიტრალურია გამოყენებული, რაც ფრაგმენტების პლასტიკურობასა და მოცულობას უსვამს ხაზს. ნატურმორტი ორპლანიანია: წინა პლანზე გაცილებით დიდი, მკვეთრად განათებული ნაყოფებია მოცემული, ხოლო უკანა პლანი ჩაბნელებულია, რაც სიღრმის შეგრძნებას ქმნის. ნახატში დომინირებს თბილი, ოქროსფერი და მუქი წითელი ტონები. კონტრასტები ზომიერია, მაგრამ გარკვეულ ადგილებში სიბნელის თამაში მოცულობის ხაზგასმას ემსახურება. ფუნჯის მონასმები ხილის რბილობისა და კანის ტექსტურის შეგრძნებას ქმნის. ეს ნამუშევარი ტრადიციული ნატურმორტია, რომელიც ევროპულ კლასიკურ ფერწერაში (XVI-XVIII საუკუნეები) დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ხილის სიმდიდრე და სიუხვე ჰოლანდიური ოქროს ხანის მხატვრობას მოგვაგონებს (მაგალითად, ფრანს სნაიდერსი ან იან დავიდ დე ჰემი). ნამუშევარი შეიძლება განიმარტოს, როგორც ბუნების სილამაზისა და წარმავლობის სიმბოლო, რაც ნატურმორტის ჟანრის კლასიკური თემა იყო. ნატურმორტში გამოყენებული ხილი ხშირად სიმბოლურ დატვირთვას ატარებს: ვაშლი ცოდნისა და სიცოცხლის სიმბოლოა, ყურძენი ქრისტიანულ კონტექსტში ხშირად სისხლსა და მსხვერპლს უკავშირდება, თუმცა ზოგადად სიუხვეს გამოხატავს. მსხალი და ატამი სიკეთეს, სიჯანსაღეს და სულიერებას უკავშირდება.

მხატვრის შემოქმედების საინტერესო ნაწილს წარმოადგენენ პეიზაჟები. მისი ცნობილი ნამუშევარია „პარიზის პეიზაჟი“. კომპოზიციაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ტრიუმფალურ თაღს. ჩანს ქალაქის აქტიური ცხოვრება: ქუჩაში მოძრაობენ ადამიანები, ეტლები, მანქანები. წინა პლანზე გამოსახული ადამიანების მონახაზები მეტად უხეშია, ხოლო ფონი უფრო რბილი და შორეული სივრცე იქმნება. ფერთა პალიტრა შედგება ოქროსფერი, მუქი წითელი და ყავისფერი ტონებისაგან, რაც მზის შუქსა და ჩრდილებს შორის კონტრასტს აძლიერებს. ცის ცივი ლურჯი და ღრუბლიანი ტონები აძლიერებს სურათის ატმოსფერულობას. მიხეილ ბილანიშვილისათვის დამახასიათებელი არის ქალაქური პეიზაჟების დინამიკური გადმოცემა. პარიზი აქ წარმოდგენილია როგორც ელეგანტური, თუმცა ერთდროულად მოფუსფუსე სივრცე, სადაც მოძრაობა არ ჩერდება.

საინტერესოა ხელოვანის თეორიული ნაშრომი „ხელოვნების პრინციპები და ნიკო ფიროსმანიშვილი“, რომელიც 1929 წელს ჟურნალ „კავკასიონის“ №1-2 ნომერში დაიბეჭდა. სტატიაში საუბარია იმაზე, რომ, მიუხედავად შემოქმედებითი თავისუფლებისა, ხელოვანის წინაშე მაინც დგება კომპოზიციის ამოცანა. მცირედ მიმოხილულია რენესანსი და აკადემიზმი, რომელმაც ხელოვნება კიდევ უფრო მეტად მოაქცია ჩარჩოებში, მაგრამ ამას მოჰყვა ლოგიკური წინააღმდეგობა და ზოგადი სურათის მკვეთრი ცვლილება. შემდეგ დაწვრილებით არის განხილული ფიროსმანის შემოქმედების თავისებურებები, მისი მხატვრული ენა: ფერები, ხაზების რიტმი, შუქ-ჩრდილი და ფორმა (ბილანიშვილი 1929).

ემიგრანტულმა ცხოვრებამ ნაადრევად დაასვა დაღი მხატვრის ჯანმრთელობას. ის ტუბერკულოზით დაავადდა და 1934 წლის მარტში, პარიზში, გარდაიცვალა. დაკრძალულია ტიეს სასაფლაოზე.

მხატვრის ნამუშევრების ნაწილი დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. სხვა ნამუშევრები დაცულია როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში, კერძო კოლექციებში.

დასკვნა

მიხეილ ბილანიშვილის შემოქმედებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული მოდერნიზმის განვითარებაში, სადაც მან ეროვნული მოტივები მის თანამედროვე ევროპულ მიმდინარეობებთან დააკავშირა. მისი შემოქმედება გამოირჩევა როგორც ჟანრული მრავალფეროვნებით, ასევე, დახვეწილი ტექნიკით. მიუხედავად ემიგრაციისა და ნაადრევი გარდაცვალებისა, მ. ბილანიშვილმა შეძლო საკუთარი ინოვაციური ხედვა შეემუშავებინა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ბილანიშვილი 1929: ბილანიშვილი მ., ხელოვნების პრინციპები და ნიკო ფიროსმანიშვილი. გაზეთი „კავკასიონი“. №1-2. თბილისი.
თეთრი გიორგი 1927: გაზეთი „თეთრი გიორგი“, N3.
ქართველები უცხოეთში (მიხეილ ბილანიშვილი). საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა. http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000247/ (დამოწმება: 10.10.2025).
შარაძე 1993: შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ. წიგნი II. თბილისი.

References and Sources

Bilanishvili 1929: Bilanishvili M., Principles of Art and Niko Pirosmanishvili. Newspaper Kavkasioni, No. 1–2. Tbilisi.
Georgians in Emigration (Mikheil Bilanishvili). National Library of Georgia. http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000247/ (last accessed October 10, 2025).
Sharadze 1993: Sharadze, G. Under the Foreign Sky. Book II. Tbilisi.
Tetri Giorgi 1927: Newspaper “Tetri Giorgi”, №3.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.23

იმერხევის ქართული წარმოშობის მოსახლეობის მეტყველების ზოგი თავისებურება (კოდების გადართვა)

SOME FEATURES OF THE SPEECH OF THE GEORGİAN-ORİGİN POPULATİON OF IMERKHEVİ (CODE-SWİTCHİNG)

გიგა ქამუშაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
მირანდა ჭანკვეტაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Giga Kamushadze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
Miranda Tchankvetadze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიაში განხილულია თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მეტყველების თავისებურებები, რომლებიც მძიმე ისტორიული პროცესების შედეგად ჩამოყალიბდა. მრავალი საუკუნის განმავლობაში მიმდინარე პოლიტიკური და კულტურული ცვლილებების მიუხედავად, ქართული ენა მტკიცე და მდგრად სისტემად დარჩა – ორგანიზმად, რომლის დაშლაც ვერ შეძლო ვერც რთულმა ისტორიულმა პირობებმა და ვერც დროის ხანგრძლივობამ, ვინაიდან სწორედ ის წარმოადგენდა ეთნიკური ქართველების ერთობისა და კულტურული იდენტობის ძირითად საფუძველს.

კვლევის მიზანია წარმოჩინდეს იმერხეველთა მეტყველებაში ქართული და თურქული ენების ინტერფერენციის შედეგად წარმოქმნილი სემანტიკური ცვლილებები, რომლებიც თურქული ენის გავლენით საერთო ქართველურ ლექსიკურ ერთეულებში გამოვლინდა.

მასალის დამუშავებისას დაფიქსირდა ისეთი ფაქტები, რომლებიც ქართველური ენობრივი სივრცისთვის უცხოდ ითვლება. აღმოჩნდა, რომ იმერხეველთა მეტყველებაში მსგავსი თავისებურებები, რომლებიც განსხვავდება როგორც ქართული სალიტერატურო ენის, ისე დიალექტური ფორმებისგან, უშუალოდ თურქული ენის ზეგავლენის შედეგია.

საილუსტრაციოდ განხილულია როგორც ზმნური, ისე სახელური ფუძეები, მაგალითად: *დაკარგვა, დაჭერა, დაბარგვა, გაღება, გამოწევა* და სხვ.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ აღნიშნულ ფუძეთა სემანტიკური თავისებურებები სამეტყველო კოდების შერევით არის განპირობებული. ემპირიულ და თეორიულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზდა ფორმა და მნიშვნელობა, დადგინდა მათ შორის არსებული ურთიერთკავშირები, ხოლო მიღებული შედეგების ინტერპრეტაციამ შესაძლებელი გახადა შესაბამისი დასკვნების გამოტანა. აღნიშნული ენობრივი ფორმების საფუძველი იმერხეველ ქართველთა სრული ბილინგვიზმი ჩანს.

საკვანძო სიტყვები: იმერხეული დიალექტი, ბილინგვიზმი, სემანტიკური ცვლილებები.

ABSTRACT

The present article examines features of the speech of the ethnically Georgian population living in the Republic of Turkey, formed as a result of complex historical processes.

Despite centuries of political and cultural transformations, the Georgian language has remained a stable and resilient system—an organism that neither difficult historical conditions nor the passage of time could dismantle, as it has served as the main foundation of unity and cultural identity for ethnic Georgians.

The aim of the present study is to demonstrate the semantic changes that have emerged in the speech of the Imerkhevi population as a result of Georgian–Turkish linguistic interference, manifested in common Kartvelian lexical units under the influence of Turkish.

The analysis of the material revealed several phenomena that may be considered atypical within the Georgian linguistic domain. It was established that in the speech of the Imerkhevi community such features—distinct from both the Georgian standard language and dialectal forms—are the direct result of Turkish linguistic influence.

By way of illustration, both verbal and nominal stems are examined, including such forms as *dak'argva* ("to lose"), *dach'era* ("to catch"), *dabargva* ("to pack up"), *gagheba* ("to open"), and *gamots'eva* ("to pull out"), among others.

The results of the present study demonstrate that the semantic peculiarities of these stems are conditioned by the mixing of linguistic codes. Based on empirical and theoretical data, their forms and meanings were analyzed, the relationships between them were established, and the interpretation of the findings made it possible to draw the corresponding conclusions. The underlying basis of these linguistic forms appears to be the complete bilingualism of Imerkhevi Georgians.

Keywords: Imerkhevian dialect, bilingualism, semantic change.

შესავალი

იმერხეული მეტყველება საინტერესოა ენობრივი კონტაქტების ანალიზის თვალსაზრისით. ამჟამინდელი თურქეთის ტერიტორიაზე, კერძოდ იმერხევში მცხოვრები ქართველების დიდი ნაწილი ორენოვანია, ანუ მშობლიურ ენასთან ერთად კარგად ფლობენ თურქულს. ბუნებრივია, ბილინგვურ გარემოში იმერხეულ მეტყველებაში აისახება თურქულის ზეგავლენა, რაც ხანგრძლივი ისტორიული ურთიერთობების ფონზე გამოიხატება ფონეტიკურ ცვლილებებში, მორფოსინტაქსურ სტრუქტურებსა და ლექსიკაში.

იმერხეული მეტყველება გამოირჩევა კონკრეტული, კონტინუუმისთვის სპეციფიკური ლექსიკური ფენით; სხვა შემთხვევებში კი გვხვდება კოდების შერევისა და გადართვის პროცესი, რომელიც უფრო ზოგადი, საერთო სურათის ნაწილი ხდება.

ენათმეცნიერული კვლევები კოდების შერევის პროცესს გამოარჩევენ, რომელსაც კოდ-სვიჩინგი ეწოდება. ეს პროცესი სინქრონიულად მოიცავს ორი ენობრივი კოდის თანაარსებობას. როდესაც ორივე კოდი თანაბრად გამოიყენება, თანაარსებობა თანასწორ პირობებში ხდება, ხოლო თუ ერთი ენა მეორეზე პრესტიჟულია, თანაარსებობა უთანასწორო პირობებში მიმდინარეობს.

კოდ-სვიჩინგი ხშირად სპონტანური და გაუცნობიერებელია და ახასიათებს საზოგადოებებს, სადაც ბილინგვიზმი ან დიგლოსია გვაქვს; ამ შემთხვევაში მომხმარებლები თანაბრად ფლობენ ორივე ენას ან დიალექტს.

თუმცა, მიუხედავად საუკუნოვანი პროცესებისა და ისტორიული გამოწვევებისა, ქართული ენა დარჩა მყარი და დაურღვეველი ორგანიზმი, რომლის სტაბილურობას ვერც პოლიტიკურმა მოვლენებმა და ვერც დროულმა ცვლილებებმა ვერაფერი დააკლო. ქართული ენა კვლავ განასახიერებს ეთნიკური ერთობისა და კულტურული უწყვეტობის ძირითად საფუძველს.

კვლევის მეთოდები

კვლევისას გამოვიყენეთ აღწერითი, შედარებითი და ანალიზის მეთოდები. ზმნური და სახელური ფუძეების მაგალითზე დავადგინეთ, რომ მათი სემანტიკური თავისებურება ძირითადად სამეტყველო კოდების შერევის შედეგად წარმოიქმნება. ემპირიულ და სამეცნიერო მასალაზე დაყრდნობით გავაანალიზეთ ცალკეულ სიტყვათა სემანტიკური ნიუანსები, ვაჩვენეთ მათ შორის არსებული ურთიერთკავშირი კონტექსტის მიხედვით. მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის საფუძველზე, წარმოვადგინეთ შესაბამისი დასკვნები. განხილული ფორმების სემანტიკური ცვლილების ძირითად საფუძველს იმერხეველ ქართველთა სრული ბილინგვიზმი წარმოადგენს.

მსჯელობა

ცნობილი ფაქტია, მძიმე ისტორიული გარემოების გამო ქართველთა მნიშვნელოვანი ჯგუფები ცხოვრობენ თურქეთის რესპუბლიკაში, ასევე, აზერბაიჯანსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ თურქეთში მცხოვრებმა ეთნიკურმა ქართველებმა დღემდე შეინარჩუნეს მშობლიური ენა.

თურქეთში ეთნიკური ქართველების ერთი ნაწილი ცხოვრობს საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს თურქეთის შემადგენლობაშია და მათი ყოფა დაკავშირებულია შუა საუკუნეებიდან მიმდინარე ერთულ ისტორიულ და პოლიტიკურ პროცესებთან; მეორე ჯგუფი კი მუჰაჯირობის მძიმე და ტრაგიკულ მოვლენებთან არის დაკავშირებული. მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი სოციალურ-პოლიტიკური ზეწოლისა, ქართული ენა აღმოჩნდა მყარი და შეურყეველი, რის შედეგადაც ის გახდა ეთნიკური ქართველების ერთობისა და კულტურული უწყვეტობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა ქართული ენა თაობიდან თაობამდე შეინარჩუნეს, როგორც უნიკალური წყარო ეთნოკულტურული ინფორმაციის (ღუტიძე 2016: 11).

გადასახლებულთა ზუსტი რაოდენობა დღემდე არ არის ცნობილი. ზ. ჭიჭინაძე თავის ნაშრომში – „ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში“ – უარყოფს ბათუმის მუფთის – ჰასან ეფენდი გვერდაძის მონაცემებს, რომლის მიხედვითაც საქართველოს ტერიტორიიდან 150 000 ქართველის გადაყვანა ივარაუდება. ზ. ჭიჭინაძე აღნიშნულ რიცხვს გადაჭარბებულად მიიჩნევს (ჭიჭინაძე 1913: 147).

ისტორიული სამშობლოსგან იძულებითი მოწყვეტისა და ხანგრძლივი პერიოდის მიუხედავად, იმერხეველმა ქართველებმა არ დაივიწყეს მშობლიური ენა, ნაციონალური ადათ-წესები და ტრადიციები. ეს პროცესი გულისხმობს მათ ცნობიერებაში ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისადმი ინტერესის გაღვიძებას. გახსნილი საზღვრები მათ საშუალებას აძლევს, მოინახულონ ახლობლები და იხილონ მშობლიური მიწა, რაც მნიშვნელოვნად ამძაფრებს ეროვნულ ცნობიერებას.

მასალაზე მუშაობის დროს გამოვიკვლიეთ იმერხეული მეტყველებისათვის სპეციფიკური ენობრივი ფაქტები, რომლებიც ქართულ სალიტერატურო ენასა თუ სხვა დიალექტებში უჩვეულოა. ნათელია, რომ ეს თავისებურებები ხშირ შემთხვევაში თურქული ენის პირდაპირი ზეგავლენის შედეგია.

საილუსტრაციოდ განვიხილავთ როგორც სახელურ, ასევე ზმნურ ფუძეებს, მაგალითად: **დაკარგვა, დაჭერა, დაბარგვა, გაღება,** რომლებიც კარგად წარმოაჩენენ ენობრივ პროცესში ორი ენის ურთიერთქმედების გავლენას.

დაკარგვა – ზმნური ფუძის ძირითადი მნიშვნელობა ჩვენებურთა მეტყველებაში, სხვა ქართველური ქვესისტემების მსგავსად, არის რაიმეს დაკარგვა: სომეხებმა და ბერძნებმა დინი არ *დაკარქეს,* მათ დინზე არიან და სკოლაც იმითვინ არ არი მათთვინ იასაღი (სოფ. შოლტისხევი, ფუტკარაძე 1993: 153).

იგივე ზმნა სამხრულ კილოებში დადასტურდა ქართულისათვის უჩვეულო კონტექსტებშიც: ომი *დაკარქეს* ოსმანლიმ (ფუტკარაძე, 1993: 151. ჩაწერილია სოფ. აჰმედიეში. ადაფაზარის რაიონში, სადაც ცხოროზენ იმერხეველ მუჰაჯირთა შთამომავლები); ოტობუსი გადაბრუნებულა, ჩვიდმეტი კაცი *დეიკარქენ* (სოფ. შოლტისხევი. ფუტკარაძე 1993: 242).

მოცემულ მაგალითებში **დაკარგვა** გამოიყენება: ა) წაგების, ბ) სიკვდილის / გარდაცვალების სემანტიკით. ასეთი მნიშვნელობით

აღნიშნული ზმნა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, სხვა ქართველურ ქვესისტემებში არ დასტურდება. ქართული ენის იმერხეულ დიალექტში რისიმე წაგების ან გარდაცვალების აღსანიშნავად დაკარგვა ფორმის გამოყენება, ვფიქრობთ, კალკია თურქული ზმნისა kaybetmek, რომელსაც „დაკარგვის“ მნიშვნელობასთან ერთად უფიქსირდება „წაგება, გარდაცვალება“. მთხრობელი სპონტანურად ურევს კოდებს, იყენებს ზმნის ძირითად მნიშვნელობას. პირველ შემთხვევაში გულისხმობს, რომ ოსმალებმა ომი წააგეს, მეორე შემთხვევაში კი – ავტობუსის გადაბრუნების შედეგად ჩვიდმეტი ადამიანი გარდაიცვალა.

დაჭერა – ზმნური ფუძე, იმერხეულ დიალექტში, მსგავსად სხვა ქართველური ქვესისტემებისა, ძირითადად აღნიშნავს რაიმეს დაჭერას, მაგალითად, ღელეში ჩეველ, თევზი-ნა *დევიჭირო* (სოფ. ხოხლევი. ფუტკარაძე 1993: 203).

ეს ზმნა, ასევე, გვხვდება სამხრულ კილოებში ისეთ კონტექსტებში, რომლებიც ქართული სალიტერატურო ენისათვის უჩვეულოა. მაგალითად: ახალათ *დოუჭირავან* სახლი; ორნი შესულან. რამდენათ *დეიჭირეს*, არ ვიცით (სოფ. ხოხლევი. ფუტკარაძე 1993: 202).

მოცემულ შემთხვევებში **დაჭერა გ**ამოყენებულია ისეთი მნიშვნელობით, რომელიც კალკია თურქული tutmak ზმნისა. ამ უკანასკნელის ძირითადი მნიშვნელობა მოიცავს ნივთის ხელში დაჭერას ან დაკავებას, თუმცა, კონტექსტიდან გამომდინარე, ზოგჯერ აღნიშნავს „ფართის დაქირავებასაც“. იგულისხმება, რომ ახლახან იქირავეს სახლი; ორნი შესულან, რამდენად იქირავეს, უცნობია.

დაბარგვა – ვფიქრობთ, ზმნის ფუძე მომდინარეობს **ბარგი** სახელისაგან. აღნიშნული სიტყვა კარგად არის ცნობილი იმერხეველთათვის, მაგალითად: დავაყრიდით ხარის არაბაზე *ბარგსა* და მიქვქონდა მაღლა-დაბლა (ფუტკარაძე 1993: 344, ჩაწერილია სოფ. ჰაირიეში. მდებარეობს შუა თურქეთში, ბურსის ვილაიეთის ინეგოლის რაიონში, მაგრამ დასახლებულია იმერხევიდან წასული მუჰაჯირებით).

ბარგი-დან წარმოქმნილი **დაბარგვა** ფორმა სამხრულ კილოებშიც გვხვდება ისეთ კონტექსტში, რომელიც ქართული სალიტერატურო ენისთვის უცხოა, მაგალითად: გამუაცხობთ ყეთმერ, ქადას, კაკლიან ქადას, ბიშსა. სუფრაზე *დავბარგავთ,* ვჭამთ (სოფ. ბაზგირეთი. ფუტკარაძე 1993: 248).

ჩვენი დაკვირვებით, ამ წინადადებაში იგრძნობა თურქული ენის ზემოქმედება, რადგან თურქული ზმნა taşımak გულისხმობს „ტარებას“, „გადატანას“ ან „გადაბარგებას“. თურქულში არსებობს გამოთქმა: yemek, el birliğiyle sofraya taşındı – „საჭმელი ერთობლივად იქნა სუფრაზე მიტანილი“. იმერხეულში ეს კონტექსტი გადაითარგმნა როგორც „საჭმელი ერთობლივად სუფრაზე გადააბარგეს“, რაც პირდაპირ ასახავს თურქული ენის გავლენას.

გაღება – ზმნური ფორმა იმერხეველთა მეტყველებაში გვხვდება არა მხოლოდ ძირითადი მნიშვნელობით („გახსნა, გაშლა“), არამედ გარკვეულ შემთხვევაში სხვა დატვირთვითაც გვევლინება, რაც ქართულ სალიტერატურო ენაში არ გვაქვს. მაგალითად, იუხასა თექ-თექ არ *ვაღებთ;*

ექვს-ექვს ერთათ ვაღებთ; მემრე-ნა გააღო უხლავაით; გააღო-ნა სუფრაზე (ფუტკარაძე 1993: 37. ჩაწერილია სოფ. ჰაირიეში, სადაც ცხოვრობენ იმერხეველ მუჰაჯირთა შთამომავლები).

თურქული ზმნა açmak გულისხმობს: 1) „გაღება, გახსნა, გაშლა“; 2) „გაბრტყელება“. აღნიშნულ შემთხვევაშიც ჩვენ საქმე გვაქვს კოდების სპონტანურ შერევასთან. მთქმელი აქ გულისხმობს ცომის რამდენიმე ნაჭრის ერთდროულად გაბრტყელებას და არა მის გახსნა-გაშლას.

გამოწევა – ეს ზმნა ჩვენებურთა მეტყველებაში, როგორც სხვა ქართულ დიალექტებში, ნიშნავს „გაწევას, გაწელვას“, მაგალითად: შუაზედ რომ გავარიგევბდით, *გავწევდით* იან თარფზე; ჯორკოი *გამოწიე* და ჩამოჯექ შენცა (ფუტკარაძე 1993: 419, ჩაწერილია სოფ. ჰაირიეში, ინეგოლის რაიონში).

მსგავსი ნიმუშები სამხრულ კილოებშიც გვხვდება: ყანაფეკვაში ორი შოლტისხეველი კაცი ოსმანაი და ზექერიაი *გამოვსწიევით* ქასეთში (სოფ. შოლტისხევი. ფუტკარაძე 1993: 240).

ამ მაგალითებში **გამოწევა** ფორმა ფოტოს / ვიდეოს გადაღების მნიშვნელობით გამოიყენება, რაც ქართული ენისათვის არ არის დამახასიათებელი. ჩვენებურების მიხედვით, ეს ფორმა არის კალკი თურქული ზმნისა çekmek, რომელიც, სხვა მნიშვნელობებთან ერთად, გამოხატავს „გადაღებას“.

დასკვნა

ზემოთ განხილული მაგალითები აჩვენებს, რომ სიტყვათა სემანტიკური თავისებურება ძირითადად სამეტყველო კოდების შერევის შედეგია, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული ჩვენებურ ქართველთა სრულ ბილინგვიზმთან.

ანალიზმა დაადასტურა, რომ ქართული ენის სამხრული დიალექტები, მათ შორის იმერხეული, რომლებიც უკვე ოთხ საუკუნეზე მეტი ხანია იმყოფებიან დანარჩენი ქართულენოვანი გარემოდან შორს და მჭიდროდ ურთიერთობენ თურქულენოვან საზოგადოებასთან, განსაკუთრებულად მგრძნობიარე არიან თურქული სალიტერატურო ენისა და მისი დიალექტების ზეგავლენის მიმართ. ამ ზეგავლენის შედეგია კალკური გადართვები, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სიტყვათა სემანტიკურ ცვლილებებს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ლაბაძე 2010: ლაბაძე მ., ქართველურ დიალექტურ კოდთა შერევის საკითხისათვის მურღულის ხეობაში (თურქეთის რესპუბლიკა). ჟურნალი „წელიწდეული”, II, ქუთაისი.

ფუტკარაძე 1993: ფუტკარაძე შ., ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით; სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება; შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

ქამუშაძე 2019: ქამუშაძე გ., თურქული ენის გავლენის შედეგებისათვის მუჰაჯირთა ქართულ მეტყველებაზე. IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“. ქუთაისი.

ჭიჭინაძე 1913: ჭიჭინაძე ზ., მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფილისი.

თურქულ-ქართული ლექსიკონი 2011: თურქულ-ქართული ლექსიკონი. ლ. ჩლაიძის რედაქციით. სტამბოლი.

Türkçe Sözlük 2011: Türkçe Sözlük, Türk Dil Kurumu Yayınları, 11 baskı. Ankara.

References and Sources

Chichinadze 1913: Chichinadze Z., Muslim Georgians and their villages in Georgia". Tbilisi.

Kamushadze 2019: Kamushadze G., On the Results of the Influence of the Turkish Language on the Muhajiri Georgian Speech, IV International Scientific Conference "Modern Interdisciplinarism and Humanitarian Thinking". Kutaisi.

Labadze 2010: Labadze M., On the issue of mixing of Georgian dialect codes in the Murghuli Gorge (Republic of Turkey), Annual of Kutaisi scientific Library, II. Kutaisi.

Putkaradze 1993: Putkaradze Sh., Peculiarities of the South-Western Dialects of the Georgian Language According to the Speech of the Historical Tao-Klarjeti and Muhajiri Georgians; Dissertation for the Degree of Doctor of Philological Sciences. Academician Arnold Chikobava Institute of Linguistics of the Georgian Academy of Sciences, Department of Kartvelian Languages; Shota Rustaveli Batumi State University.Tbilisi.

Turkish-Georgian Dictionary 2011: Turkish-Georgian Dictionary, edited by L. Chlaidze. Istanbul.

Turkish Dictionary 2011: Turkish Dictionary, Turkish Language Association Publications, 11th edition. Ankara.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.24

ქართულ-თურქული ურთიერთობების საკითხები კიტა აბაშიძის პუბლიცისტურ ნააზრევში

ISSUES OF GEORGIAN-TURKISH RELATIONS IN THE PUBLICISTIC WRITINGS OF KITA ABASHIDZE

კახაბერ ქებულაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Kakhaber Kebuladze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

აბსტრაქტი

თვალსაჩინო ქართველმა საზოგადო მოღვაწემ და კრიტიკოსმა კიტა (ივანე) გიორგის ძე აბაშიძემ (1870-1917), საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ქუთაისის ორგანიზაციის გაზეთებში „მეგობარი“ (შემდეგში „ჩვენი მეგობარი“) 1915-1916 წლებში გამოაქვეყნა მეზობელი ხალხებისადმი მიძღვნილი წერილების სერია. თავდაპირველად მან ათი წერილი დაბეჭდა სათაურით „ჩვენ და სომხები“, ხოლო ორი – „ჩვენ და თათრები“. წერილების გამოქვეყნება, ჩვენი აზრით, ორმა მიზეზმა განაპირობა: პირველი – 1914 წელს თბილისში გამოიცა სომეხი ავტორის ბ. იშხანიანის წიგნი, რომლიც სათაურია „ქართველ-სომეხთა შორის არსებული შუღლის ეკონომიური და საზოგადოებრივი საფუძველი“, სადაც უაღრესად ტენდენციურად და ცალმხრივად გაშუქებული ქართველთა და სომეხთა ურთიერთობა; მეორე – კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი (1905-1915), რომელიც პროსომხური ორიენტაციის იყო, კავკასიიდან გაიწვიეს.

თავის პუბლიკაციებში ავტორს გაშუქებული აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ქართველთა და სომეხთა დამოკიდებულებას შეეხება. ერთ-ერთი მათგანია სომხების მისწრაფება ამიერკავკასიაში ჰეგემონობისაკენ, რასაც ხელს უწყობდა სომხური ბურჟუაზიის მიერ მოსყიდულ-მოქრთამული კავკასიის რუსული ადმინისტრაცია, თვით მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის მეთაურობით. კ. აბაშიძე თავის წერილებში მკაცრად ილაშქრებდა სომეხთა ამ მისწაფებების წინააღმდეგ.

სომხეთის შოვინისტურ წრეებთან კამათმა კიტა აბაშიძე ბუნებრივად მიიყვანა იმის აუცილებლობამდე, რომ გამოეხატა ქართველი საზოგადოების

დამოკიდებულება ჩვენს მეზობელ სხვა ხალებისადმი, გაერკვია, თუ რა პოზიცია ეჭირათ მათ იმ საკითხებში, რაც უთანხმოებისა და დავის საგნად ქცეულიყო. მაგალითად, როგორც ზემოთ აღინიშნა, თათრებთან ურთიერთობას მიეძღვნა კ. აბაშიძის ორი წერილი – „ჩვენ და თათრები“, რომლებიც გაზეთ „ჩვენს მეგობარში“ დაიბეჭდა.

საკვანძო სიტყვები: კიტა აბაშიძე, ქართული პრესა, სოციალისტ-ფედერალისტური პარტია.

ABSTRACT

The prominent Georgian public figure and critic Kita (Ivane) Abashidze (1870-1917) published in 1915-1916 a series of articles devoted to neighboring peoples in the newspaper *Megobari* (“Friend”), later renamed *Chveni Megobari* (“Our Friend”), the press organ of the Kutaisi organization of the Georgian Socialist-Federalist Party.

Initially he published ten articles entitled *We and the Armenians and two entitled We and the Tatars.* In our opinion, the publication of these articles was conditioned by two circumstances: First, in 1914 a book by the Armenian author B. Ishkhanyan was published in Tbilisi under the title *The Economic and Social Foundations of the Hostility Between Georgians and Armenians*, in which Georgian-Armenian relations are presented in an extremely biased and one-sided manner. Second, the Viceroy of the Caucasus, Vorontsov-Dashkov (1905-1915), who pursued a pro-Armenian policy, was recalled from the region.

In his publications, the author addressed several important issues concerning Georgian- Armenian relations. Among them was the Armenian aspiration toward hegemony in Transcaucasia, which, according to the author, was facilitated by the Russian administration in the Caucasus—allegedly bribed and influenced by the Armenian bourgeoisie—under the leadership of the Viceroy Vorontsov-Dashkov.

In his articles, K. Abashidze strongly opposed these Armenian aspirations. His polemic with Armenian nationalist circles led Kita Abashidze to articulate the position of Georgian society toward other neighboring peoples and to clarify their attitudes on matters that had become the subject of dispute and controversy. As noted above, two of his articles (*We and the Tatars)* were devoted to relations with the Tatars (i.e., Azerbaijanis) and were published in the newspaper *Chveni Megobari.*

Keywords: Kita Abashidze, Georgian press, Socialist-Federalist Party.

შესავალი

კიტა აბაშიძემ როგორც პუბლიცისტმა მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ დაიწყო, სადაც აქვეყნებდა წერილებს საქართველოს საშინაო ვითარების შესახებ. ამასთან, ხშირად ბეჭდავდა საერთაშორისო მიმოხილვებსაც. ილია ჭავჭავაძისეულ „ივერიაში“ თანამშრომლობა კიტა აბაშიძის მრავალმხრივი პუბლიცისტური მოღვაწეობის ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ფურცელია.

კ. აბაშიძის პუბლიცისტურ მემკვიდერობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობისადმი მიძღვნილ წერილების სერიას, რომელიც 1915-1916 წლებში საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ქუთაისის ორგანიზაციის გაზეთში „მეგობარი“ (შემდეგში „ჩვენი მეგობარი“) დაბეჭდა.

კვლევის მეთოდები

ნაშრომში გამოყენებულია აღწერითი, ისტორიული და ანალიზის მეთოდები. აღწერილი გვაქვს კიტა აბაშიძის წერილებში ასახული ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობები, სადაც კრიტიკულად, ისტორიულ ასპექტში განხილულია პუბლიცისტის მიდგომები და მოსაზრებები თანამედროვე კონტექსტში.

მსჯელობა

კიტა აბაშიძე თვლიდა, რომ კავკასიის ერთა შორის ძალთა განწყობილებამ ქართველებისა და თათრების დაახლოების საკითხი დააყენა, რისი მიზეზიც შექმნილი პოლიტიკური ვითარება იყო. მისი აზრით, სომეხთა ერთი ნაწილის მამლაყინწობამ, ცრუ იმპერიალიზმით გატაცებამ, მათმა მიზანმა, მოეპოვებინათ კავკასიაში ჰეგემონია თავისთავად შეაშფოთა ამიერკავკასიაში მცხოვრები სხვა ერები და, პირველ რიგში, ისინი, ვისაც ყველაზე მეტად ,,ფაქტიურ ზარალს“ აყენებდა სომეხთა პოლიტიკა. ასეთ ვითარებაში თავისთავად დადგა საკითხი კავკასიაში დარჩენილ ორ ძირითად ხალხს შორის დამყარებულიყო მტკიცე კავშირი, რისი საფუძველი უნდა ყოფილიყო სომეხთა შოვინისტური ნაწილის ალაგმვა, მათი ჰეგემონური მისწაფების წინააღმდეგ ბრძოლა. მისი განმარტებით, სურვილი ამ ორი ერის დაახლოებისა თავდაცვის მიზნით იყო ნაკარნახევი, რადგან სომეხთა აგრესული ბურჟუაზიის თავგასულობას საზღვარი არ ჰქონდა.

რაც შეეხებოდა ქართველთა და თურქთა ურთიერთობას, კ. აბაშიძე მიაჩნდა, რომ: ,,ამ ურთიერთობას არავითარი ხორციელი სახე არ მიუღია დღემდის. იგი გამოიხატა რამდენიმე საჯარო წარმოთქმულ სიტყვაში და გულწრფელ თანაგრძნობაში“ (ჩვენი მეგობარი 1916, №8).

სომხების შოვინისტური წრეების მიერ წარმოებული იმპერიალისტური პოლიტიკით მობეზრებული ქართველი და თათრები არავითარ შემთხვევას ხელიდან არ უშვებდნენ, რომ „ერთმანეთისთვის თანაგრძნობა და საურთიერთო სიმპატია არ განეცხადებინათ“ (იქვე).

ყოველი თეორიული მოსაზრება, რომელიც ხორცშესხმული და განხორციელებული არ იქნებოდა, კ. აბაშიძეს ფუჭად მიაჩნდა. იგი აღტაცებული იყო იმით, რომ, მიუხედავად კავკასიის რუსული ადმინისტრაციის მცდელობისა – „ძლიერი ქართველები დაესუსტებინა და

უძლური სომხობა გაეძლიერებინა“, ქართველებს მაინც შენარჩუნებული ჰქონდათ თავიანთი დიდი კულტურა და ტრადიცია. თანაც „დღეს ასი წლის შემდეგ „ქართველთა საკითხი“ რუსეთის მთავრობასა და საზოგადოების წინაშე, უფრო ძლიერად და მწვავედ არის წარმოყენებული, ვიდრე ოდესმე ყოფილა. „სომეხთა გაძლიერება“ ქართველების ხარჯზე გამოდგა მიზანმიუღწეველი ბოროტმოქმედება“ (იქვე). კიტა აბაშიძის აზრით, თქმა იმისა, თითქოს რუსეთის თვითმპყრობელობის ასეთ პოლიტიკას „ქართველი ერის სხეულისათვის ვნება არ მოეტანოს“, არ იქნებოდა მართალი, მაგრამ იგი ამაყობდა იმით, რომ „მან ეს სხეული ვერც დაასახიჩრა, ვერც მოსპო და ეს თამაშიც წაგებული გამოდგა“ (იქვე). კიტა აბაშიძე იმედოვნებდა, რომ ეს „გულითადი შეთანხმება“, რომელიც ჩამოყალიბდა ქართველებსა და თურქებს შორის, თანდათან დიდ საზოგადოებრივ კავშირად გადაიქცეოდა, მაშასადამე, „გულის“ სფეროს გადასცდებოდა. წერილის ავტორი იმთავითვე ინტერესდებოდა, თუ რის საფუძველზე შეიძლებოდა მომხდარიყო ასეთი შეთანხმება ქართველებსა და თათრებს შორის.

თურქებთან ურთიერთობის გარკვევამ კ. აბაშიძე ბუნებრივად მიიყვანა მშობლიურ აჭარასთან. ცნობილია, რომ პირველი იმპერიალისტური ომის დროს აჭარა სერიოზული განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. 1914 წლის შემოდგომაზე გერმანიის მხარეზე ომში ჩაება თურქთი, რომელსაც ფართო დაპყრობითი გეგმები ჰქონდა. აჭარა საომარი ოპერაციების ასპარეზად გადაიქცა. აჭარის მუსლიმანი მოსახლეობა აქტიურად ჩაება თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. მიუხედავად ამისა, ცარიზმმა აჭარლებს ღალატში დასდო ბრალი. ნამდვილად კი, აჭარლებს მსგავსი არაფერი ჩაუდენიათ. შეიქმნა უაღრესად ტრაგიკული მდგომარეობა. როგორც ობიექტურმა და სპეციალურმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა, მათ არ გამოუჩენიათ არავითარი სარწმუნოებრივი მტრობა ან რაიმე მასობრივი უკმაყოფილება მეფის რუსეთის წინააღმდეგ. არაერთმა ოფიციალურმა კომისიამ და განსაკუთრებით აჭარლების სასამართლო პროცესებმა დაადასტურა, რომ ხალხი, შეძლებისდაგვარად, ყოველმხრივ ეხმარებოდა რუსეთის ჯარს.

მიუხედავად ამისა, რუსული შოვინისტური პრესა უღირს და ღვარძლიან აგიტაციას ეწეოდა აჭარის მოსახლეობის მიმართ. განუწყვეტლივ და სისტემატურად აღვივებდა ეროვნულ და რელიგიურ შუღლს. ზოგჯერ ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლებიც კი იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ, რომ აჭარლების წინააღმდეგ წარმოწყებული კამპანია სახელმწიფოებრივი უგნურობა და პოლიტიკური პროვოკაცია იყო.

მეფის რუსეთის მიერ წამოყენებული ბრალდებას შედეგად მოჰყვა ის, რომ მრავალი აჭარელი საბრალდებო სკამზე აღმოჩნდა. ჩატარდა „აჭარელთა საქმის“ სახელწოდებით ცნობილი რამდენიმე სასამართლო პროცესი* („აჭარელთა პროცესის“ შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული რ. გაბაშვილის „მოგონებებში”, 1992, გვ. 118-119). ქართველ მაჰმადიანებს სერიოზული საფრთხე დაემუქრათ. მათ დასაცავად მთელი ქრისტიანული საქართველო აღდგა.

კიტა აბაშიძე დაინტერესდა, თუ როგორი პოზიცია ჰქონდათ ე.წ. „აჭარელთა საქმესთან” დაკავშირებით როგორც სომხებს, ასევე თათრებს. მისი აზრით, სომხების პოზიცია ნათლად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული რუსი ავტორის – ბ. სიბირსკის წერილში „აჭარელთა

პროცესის შთაბეჭდილებანი". მან თავისი სტატია გაზეთ „კავკასკოე სლოვოს" 1915 წლის №229-ში მოათავსა. წერილის ძირითადი ადგილები თავის ფურცლებზე გადმობეჭდა გაზეთმა „მეგობარმა" (1915, №20).

ბ. სიბირსკი აღნიშნავდა, რომ აჭარას, როგორც პროვიანციას, არ უღალატია რუსეთისთვის, მაგრამ ასეთ დასკვნასთან ერთად არ უნდა შეგვემცირებინა რიცხვი „მოღალატეებისა, რომელიც ისე დიდი რიცხვი იყო, რომ უნდა ითქვას – ძალიან დიდმა უმცირესობამ ჩაიდინა მოღალატეობა და თანაც ერთი ნაწილი მცხოვრებთა ოსმალოთ პასიურად კიდეც თანაუგრძნობდა. მასა აჭარლებისა ოსმალთა მფარველობის ქვეშ აწიოკებდა რუსეთის მოქალაქე ქრისტიანებს" (იგულისხმებოდა სომხები – კ.ქ.) (მეგობარი 1915, №20).

კიტა აბაშიძე გაზეთ „კავკასკოე სლოვოს" „სომეხთა პლუტოკრატიის ოფიციოზს" უწოდებდა, ხოლო თავად წერილს შელამაზებულად და ტენდენციურად თვლიდა. მისი აზრით, როგორც ბ. სიბირსკის, ასევე სომეხი შოვინისტების მიზანს შეადგენდა, რომ მთელი აჭარა გაეხვიათ ამ საშინელ საქმეში. იმიტომ რომ „აოხრებულ აჭარას თვით დაპატრონებოდნენ და ამგვარად მომავალი სომხეთისათვის ყოველი მხრით ზღვისკენ გაეშალა გზა და გადახვეწილთა და ჩამოხჩობილთა ბინები ხელში ჩაეგდოთ" (იქვე).

რაც შეეხება თურქებთან დამოკიდებულების საკითხს, კ. აბაშიძე, როგორც უკვე ითქვა, მას განიხილავდა აჭარის მოსახლეობის მაგალითზე. იგი აღნიშნავდა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით კამათი ჰქონდათ ცნობილ ქართველ პუბლიცისტს, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთ თვალსაჩინო წევრს – სამსონ ფირცხალავას (რომელმაც თავისი წერილები „სიტყვის" ფსევდონიმით დაბეჭდა) და ბაქოში გამომავალ თათრული გაზეთ „აჩიკსოზის" ხელმძღვანელს – რასულ-ზადეს. თურქი ავტორის წერილი რუსულად თარგმნა და თავის ფურცლებზე გადმობეჭდა „ზაკავკასაია რეჩ"-მა (1916, №30).

სამსონ ფირცხალავა თავის წერილში „პატარა ამბები" აღნიშნავდა: „ჩვენი და მაჰმადიანი ერების დამოკიდებულების საქმეში ჩართულია ერთი დიდი რამ, რომელსაც ქართველობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს – ესაა ბედი მაჰმადიან ქართველებისა, რომლებიც ქართველი ერის მესამედს შეადგენდენ. ჩვენი აზრი და მიზანი სადა და მარტივია: სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველო ერთი საქართველოა სხვადასხვა სარწმუნოების. ქართველები ერთი დედის შვილები არიან და ქართველი ერი მხოლოდ ისეთ პოლიტიკურ მიმართულებას დაუჭერს მხარს, რომელიც ყველა ქართველს აეთიანებს და არ თიშავს. მეგობრულად ვთხოვთ ჩვენს მეზობლებს, ყოველთვის იქონიონ მხედველობაში ეს გარემოება" (სახალხო ფურცელი 1916, №503).

რასულ-ზადე ეთანხმებოდა ს. ფირცხალავას მოსაზრებას, თუმცა იქვე მიუთითებდა, რომ, მართალია, აჭარლები ქართველები იყვნენ, მაგრამ მთელი სამასი წლის განმავლობაში მათზე დიდი გავლენა ჰქონდათ ოსმალებს და დღესაც უწყვეტი კავშირი აქვთ მაჰმადიან ქართველებთანო.

კიტა აბაშიძე აქტიურად ჩაება ს. ფირცხალავასა და რასულ-ზადეს პოლემიკაში და თავისი ქვეყნის ინტერესები მტკიცედ დაიცვა. მისი აზრით, სამი საუკუნის განმავლობაში აჭარელთა კულტურა მხოლოდ დაცემა-

დაქვეითების გზას ადგა და თუკი ამ ხნის ხნის მანძილზე რაიმე ღირებული შეიქმნა, ისიც უდავოდ ქართული „დედა-კულტურის" დამსახურება იყო. მაშასადამე, – წერდა იგი, – კულტურული პრეტენზიები ჩვენი მეზობლებისა ყოველ საფუძველს მოკლებული უნდა იყოს" (ჩვენი მეგობარი 1916, №11).

რასულ-ზადე თავის წერილში წინა პლანზე წამოწევდა აჭარლებისადმი „სარწმუნეობრივ ინტერესებს" და ასეთ განმარტებას იძლეოდა: „სარწმუნეობრივი განახლების საქმეში (აჭარლებს) დახმარებას გაუწევენ თურქები. კაცობრიობის ურთიერთობაში არის ხოლმე ეპოქა, როდესაც ერთა ცხოვრებაში სარწმუნოებასა და სარწმუნოებრივ გრძნობას უპყრია უპირველესი ადგილი და არავითარ სხვა ფაქტორს არ შეუძლია ისეთი დიდმნიშვნელოვანი როლი ითამაშოს, როგორც სწორედ სარწმუნოებას" (იქვე).

სამსონ ფირცხალავა კი ასეთ შეფასებას აძლევდა თურქი ავტორის მოსაზრებას: „საქართველოს ცხოვრებაზე ერთ საუკუნეზე მეტია დიდი გავლენა აქვს ქრისტიან რუსეთს, მაგრამ ამის მეოხებით ქართველ ერს არ დაუკარგავს თავისი ეროვნება, არ გათქვეფილა რუსის ხალხში, არ მიაჩნია თავისი თავი რუსად და როგორც წინად არ გაბერძენებულა, ისე ეხლა არ ფიქრობს გარუსებას" (სახალხო ფურცელი 1916, №503).

კიტა აბაშიძე იმედს გამოთქვამდა, რომ მიუხედავად მცირე გაუგებრობისა, ქართველებისა და თურქების დაახლოებას ხელს ვერავინ შეუშლიდა. იგი მოუწოდებდა ჩვენს მეზობლებს, გულახდილად ეღიარებინათ, რომ: *„აჭარლები ისტორიული უბედურების მსხვერპლნი არიან, რომ მათი ნაციონალური კულტურა აღდგენილ უნდა იქმნეს, ვინაიდან ეს მხნე, მშვენიერი, ლაღი და გამრჯე ხალხი გადაგვარების გზაზე იდგა იმავე ისტორიული ბედის წყალობით. აჭარელმა თავისი ეროვნული სახე უნდა მოიპოვოს. თურქმა ამაში ხელი უნდა გაგვიმართონ, თუგინდ მარტო იმისთვის, რომ დაგვიმტკიცონ, რომ აჭარელთა გადაგვარებასა და კულტურულად დაცემის პროცესს ისინი არა თუ არ ამართლებენ, სამარცხვინო და დასაგმობ საქმედ მიაჩნიათ იგი.*

თუ საკითხი ასე დასმული იქნება, თურქებისა და ქართველების კავშირს ხელს ვეღარა შეუშლის და ეს ფაქტი მათის დაახლოებისა იქმნება საბედნიერო მოვლენა კავკასიის ერთა შორის სოლიდარობის დამკვიდრებისათვის, ურომლისოთ ვიმეორებთ, კავკასიის ერთა იდეალის აღსრულება იქმნება საბედნიერო მოვლენა კავკასიის ერთა შორის სოლიდარობის დამკვიდრებისათვის, ურომლისოთ ვიმეორებთ, კავკასიის ერთა ცხოვრება იქმნება ნიადაგ საფრთხეში და უეჭველად ადრე თუ გვიან ამ ერთა ცხოვრებას უფსკრულში გადაჩეხვს. რაც უფრო ადრე შევიგნებთ ამას, მით უკეთესია ყველასათვის" (ხაზგასმა ჩვენია – კ.ქ.) (ჩვენი მეგობარი 1916, №11).

დასკვნა

კიტა აბაშიძემ სომხებთან პოლემიკის დროს ჩამოაყალიბა ერთადერთი სწორი შეხედულება, რომელიც წითელ ზოლად გასდევს ამიერკავკასიის ხალხებისადმი მიძღვნილ მისი წერილების სერიას. მისი აზრით: „არც ერთ ერს არ შეუძლია დაიჩემოს კავკასიაში ჰეგემონია. ყველა ერი თავის ტყავში

უნდა დაეტიოს და რომ კავკასიის ერთა საეროვნო იდეალის განხორციელება ერთიანად დამოკიდებულია კავკასიის ერთა შორის სოლიდარობის განვითარებასა და განმტკიცებაზე“ (მეგობარი 1916, №21).

კიტა აბაშიძის მიერ XX საუკუნის 10-იან წლებში გამოთქმული ეს მოსაზრება დღესაც, XXI საუკუნის 20-იან წლებშიც, სავსებით ინარჩუნებს თავის ცხოველმყოფელობასა და სიცოცხლისუნარიანობას. ამიერკავკასიის ხალხების – ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების – გონივრულ ურთიერთობაზე ბევრად არის დამოკიდებული, როგორი იქნება ხვალინდელი საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, საერთოდ მთელი კავკასია, მახლობელი აღმოსავლეთი.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

გაბაშვილი 1992: გაბაშვილი რ., მოგონებები. თბილისი.
მეგობარი 1915: გაზეთი „მეგობარი“. №20.
სახალხო ფურცელი 1916: გაზეთი „სახალხო ფურცელი“. №503.
ჩვენი მეგობარი 1916: გაზეთი „ჩვენი მეგობარი“. №8, №11, №21.

References and Sources

Chveni Megobari 1916: Newspaper “Chveni Megobari». №8, №11, №21.
Gabashvili 1992: Gabashvili R., In Memories. Tbilisi.
Megobari 1915: Newspaper “Megobari», №20.
Sakhallho Furceli 1916: Newspape «Sakhallho Furceli». №503.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.25

ლაზურ–მეგრული საქორწილო ტრადიციების ზოგიერთი საკითხი (ფოლკლორულ–ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

SOME ASPECTS OF LAZ–MEGRELIAN WEDDING TRADITIONS (BASED ON THE FOLK-ETHNOGRAPHIC MATERIALS)

იოსებ შენგელია
დადიანების სასახლეთა
ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი
ზუგდიდი, საქართველო
ნანა აბულაძე
დადიანების სასახლეთა
ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი
ზუგდიდი, საქართველო

Ioseb Shengelia
Zugdidi Dadiani Palaces
History and Architectural Museum
Zugdidi, Georgia
Nana Abuladze
Zugdidi Dadiani Palaces
History and Architectural Museum
Zugdidi, Georgia

აბსტრაქტი

ქორწინების ინსტიტუტმა და მასთან დაკავშირებულმა წეს-ჩვეულებებმა განვითარების საკმაოდ გრძელი გზა განვლო. ქორწინება, რომელიც ქალსა და მამაკაცს შორის საზოგადოებრივი ყოფიერებით ისტორიულად შეპირობებული ურთიერთობა იყო, საზოგადოების კვალდაკვალ იცვლებოდა და ვითარდებოდა. ხალხური შემოქმედება ერის კულტურის, მისი ძირძველობის წარმომჩენი ფენომენია; მასში თავმოყრილია ეროვნული მსოფლგანცდის თავისთავადობის გამომხატველი ფაქტობრივი მასალა.

წეს-ჩვეულების განხილვას ამ ნაშრომში დამხმარე ფუნქცია აქვს, ჩვენ მას იმ შემთხვევაში მივმართავთ, როცა ამგვარი ანალიზი შუქს ჰფენს ფოლკლორული ძეგლის ბუნებას, მაშასადამე, ნაწარმოების გაგებაში გვეხმარება. ფოლკლორისტის ეთნოგრაფიული დაკვირვებანი ყოველთვის ზეპირსიტყვიერების ტრადიციულობით არის განსაზღვრული.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში ჩვენ განვიხილავთ ლაზურ და მეგრულ საქორწინო ტრადიციებს, გამოვავლენთ მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებას. განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ საქორწილო ფოლკლორზე.

საყურადღებოა, რომ ფოლკლორი ხალხის თავისებური ისტორიაცაა. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს ზეპირსიტყვიერი ნიმუშების კვლევას, რომლებიც თავის მხრივ აცოცხლებენ და ასულდგმულებენ ხალხურ წეს-ჩვეულებებს.

ლაზურ და მეგრულ საქორწინო ტრადიციებში ბევრი საერთო ნიშანი იკვეთება, რაც სრულიად ბუნებრივია. ვინაიდან ლაზები და მეგრელები ერთი, ქართული ეთნოსის ნაწილებს წარმოადგენენ. ზოგიერთ ტრადიციას შორის განსხვავება გამოწვეულია რელიგიური ფაქტორით, საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა კულტურებთან მჭიდრო კავშირით და სხვა გარემოებებით.

საკვანძო სიტყვები: ლაზური ფოლკლორი, მეგრული ფოლკლორი, საქორწინო ტრადიციები.

ABSTRACT

The institution of marriage and the customs associated with it have undergone a long process of development. Marriage, historically formed as a socially conditioned relationship between a woman and a man, evolved and transformed alongside society.

Folk art demonstrates the culture of a nation and reveals its ancient heritage; it contains valuable material that expresses the uniqueness of a people's national worldview.

In the present study, the discussion of customs serves an auxiliary function and is employed only when such analysis helps clarify the nature of a folkloric monument and thus contributes to a better understanding of the work. The ethnographic observations of a folklorist are always determined by the traditional nature of oral literature.

Within the scope of the present study, Laz and Megrelian wedding traditions are examined, with the aim of identifying their similarities and differences, with particular attention devoted to wedding folklore.

It is worth mentioning that folklore represents a distinctive historical record of a people; therefore, the study of oral folklore materials is particularly important, as they preserve and revitalize folk customs.

Numerous shared features can be observed in Laz and Megrelian wedding traditions, which is natural given that the Laz and Megrelians represent parts of the same Georgian ethnos. Differences between certain traditions are conditioned by religious factors, centuries of close contact with various cultures, and other circumstances.

Keywords: Laz folklore, Megrelian folklore, wedding traditions.

შესავალი

ქართველურ პოეტურ ფოლკლორში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლაზურ-მეგრულ ლექსებსა და სიმღერებს, რომლებიც ზოგადქართული ფოლკლორის შემადგენელი ნაწილია.

ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდაა შესწავლილი ლაზურ-მეგრული საქორწილო რიტუალი. აღნიშნულ საკითხზე ჩვენამდე მოღწეული პირველი ცნობა ეკუთვნის არქანჯელო ლამბერტს (ლამბერტი 1938: 82-86); მეგრულ ქორწილს აღწერს ეთნოგრაფი თედო სახოკია (სახოკია 1956: 70-112), სერგი მაკალათია (მაკალათია 1941: 259-271), ნუგზარ ანთელავა (ანთელავა 2015); აღნიშნული კუთხის საქორწილო ფოლკლორი შეისწავლა ნანა აბულაძემ (აბულაძე 2017) და სხვებმა. ლაზურ საქორწინო ტრადიციებზე ცნობები დაცულია მ. ვანილიშისა და ა. თანდილავას წიგნში ლაზეთი (ვანილიში... 1964: 112-122), ზურაბ თანდილავას წიგნში ლაზური ხალხური პოეზია (თანდილავა 1972: 114-135), ნუგზარ მგელაძემ (მგელაძე 2023) და სხვებმა.

წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში ჩვენ განვიხილავთ ლაზურ და მეგრულ საქორწინო ტრადიციებს, გამოვავლენთ მათ შორის მსგავსებას და განსხვავებას. განსაკუთრებული ყურადღებას გავამახვილებთ საქორწილო ფოლკლორზე.

სამეგრელოში ქორწინების დამაბრკოლებელ ფაქტორთა შორის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სისხლით ნათესაობა („ზისხირით მოჯგირალა“) იყო. ისევე როგორც მთელს საქართველოში, სამეგრელოშიც იკრძალება ერთი გვარის წარმომადგენელთა ერთმანეთზე დაქორწინება. ტრადიციის თანახმად, ერიდებოდნენ თანასოფლელთა შორის ქორწინებასაც. არ შეაუღლებდნენ ერთი სალოცავის ქალ-ვაჟს; აუცილებლად გასათვალისწინებელ გარემოებად ითვლებოდა ნათლიობა. მირონი, მართალია, ხელოვნურად დანათესავების ფორმაა, მაგრამ სისხლსა და ხორცზე უფრო ძლიერია, თორმეტ მოდგმაზე გადადის (შავიანიძე 2015: 154).

მუსლიმანური რელიგიის გავლენით ლაზები ისე მკაცრად არ იცავდნენ წყვილთა შორის ეგზოგემიურ კავშირს, როგორც მეგრელები, მაგრამ ნათესავზე ქორწილი აქაც ხშირ შემთხვევაში მკაცრად იყო აკრძალული. ლაზებში ხშირი იყო მეზობლის ქალიშვილზე დანიშვნის ფაქტები (ვანილიში... 1964: 112).

სამეგრელოში მექორწინეთა ასაკი 15 წლიდან იწყებოდა. ლაზეთში ბიჭს დაახლოებით 17-18 წლის შემდეგ ნიშნავდნენ. თუ ოჯახში დედისერთა შვილი იყო, შეიძლებოდა 13 წლისაც დაენიშნათ და დაეოჯახებინათ (თანდილავა 1972: 116). ლაზი ქალები 12-13 წლის ასაკიდან საოჯახო ცხოვრებისთვის მომზადებულად ითვლებოდნენ და შრომის პროცესში ერთვებოდნენ (მგელაძე 2023: 82).

ლაზეთში იცოდნენ დაბადებამდე ნიშნობაც, რასაც ლაზები „მეჩქინეის“ ეძახდნენ (მგელაძე 2023: 86).

სამეგრელოში ცნობილი იყო აკვანში დანიშვნა, რასაც „ონწეშ იკოდგუმა“ ერქვა (მაკალათია 1941: 260-261). ეს ტრადიცია უცხო არ

ყოფილა ლაზებისთვისაც და მას ლაზეთშიც თითქმის ანალოგიურ სახელს – „ონწელიშ აკოდგუმას'' ეძახდნენ (ვანილიში... 1964: 112).

სამეგრელოში საველე მუშაობის დროს ჩაწერილი ზეპირსიტყვიერების ნიმუში ამ ტრადიციის აღმნიშვნელია:

ამდღა ონწეს იკოდგუნა — „დღეს აკვანში დანიშნავენ
ბაგრატი დო ანეტაში... — ბაგრატსა და ანეტას...“

(მთქმელი: ღუღუნი მებონია, სოფ. ჯაღირა, 2000 წ.).

სამეგრელოში ახალგაზრდა ქალ-ვაჟის დაქორწინებას მშობლები წყვეტენ, რომლებიც დასამოყვრებლად იმ ოჯახს აირჩევენ, რომელსაც ეკონომიკური და სოციალური ინტერესებიდან გამომდინარე ხელსაყრელად ჩათვლიდნენ (აბაკელია 1999; 305).

მეგრული პოეტური ტექსტი გარკვევით გვიცხადებს, რომ:

ოსურსქუაშ გათხუალა — „ქალიშვილის გათხოვება
დიდა - მუმას მოძგნია... — დედ-მამას ეკითხებაო...“

(ქართული ხალხური სიტყვიერება 2016: 347).

ლაზებშიც დანიშვნა და ქორწინებაში უპირატესობა მშობლებს ეძლეოდათ, ვაჟისა და ქალის შეუღლება კი შუამავლობის საშუალებით ხდებოდა. ბიჭის მშობლები ცდილობდნენ კარგი გვარის ქალიშვილი მოეყვანათ რძლად. თავის მხრივ, ქალიშვილის მშობლებიც ცდილობდნენ, კარგი გვარიშვილისთვის მიეთხოვებინათ შვილი (ვანილიში... 1964: 113).

ლაზური ფოლკლორიდან ჩანს, თუ როგორ რძალს აფასებდნენ ლაზები:

ბაზი ქესქინი რენ, გეიოხორონს ბელის,
ვარ-თი ელუდგითუნ ჰეშო თემბელის.
„ზოგი გამრჯე არის და ცეკვავს ბარზე,
არ გაუჩერდება ზარმაცებს გვერდზე“

(ყიფშიძე 1939: 46).

ბაზი ონჯღორარი ივენ, ნეზუღი, „ზოგი მორცხვი არის, აგრეთვე ნაზი,
გიარი ვარ აჭკომენ, დიდო იაზუღი, საჭმელს ვეღარ შეჭამს შესაცოდავი“

(იქვე).

სხვა ლექსში ვკითხულობთ:

პატი ვოე მო გიჩქიტას, — „ნუ გგონია ცუდი ვარ,
აღაში სოი მიღუნ... — აღას წარმოშობა მაქვს..
ხოფას დო ნოღედის — ხოფასა და ნოღედში
ოთხი ოხოი მიღუნ. — ოთხი სახლი მაქვს''

(ნარაკიძე 2020: 118).

სამეგრელოში წყვილთა შორის ქორწინებაში დიდი იყო შუამავლის – „მარებელის“ როლი. მარებელი „სამოხოში“ ან მთელ სოფელში დიდი გავლენით მოსარგებლე პირი იყო (ანთელავა 2015: 70).

მაჭანკლის სახე განსაკუთრებით კარგად არის წარმოდგენილი მეგრულ ხალხურ პოეზიაში. მეგრულ ლექსში „მარებელი, ჯიმა დო და “ (მაჭანკალი, ძმა და და):

მარებელი: — მაჭანკალი:
დას ათხინთია – მიწუეს დო — „დას ათხოვებსო – მითხრეს და
მა გოხოლუთ მარებელი... — მე გახლავართ მაჭანკალი...“

(ქართული ხალხური სიტყვიერება 1975: 188).

ლაზ წყვილთა დაქორწინების საქმეშიც მაჭანკლის – `ელჩის" როლი განსაკუთებული იყო. საპატარძლოს ოჯახში მიმავალ შუამავალს თან მიჰქონდა ტკბილეულობა. იგი ქალის ოჯახში მზის ჩასვლისას მიდიოდა, სახლში მარჯვენა ფეხით შედიოდა და დამხვდურთ მიესალმებოდა (მგელაძე 2023: 87).

ლაზურმა ზეპირსიტყვიერებამ შემოგვინახა ლექსი :

ელჩი მოხთუ ქიურქენი, „ელჩი მოვიდა ქურქითა (ბეწვის მოსასხამით),
მეფჩი გიმიშის თონი; ივაწოდე (მივეცი) ვერვხლის სკამი;
ვა მომწონდუ შკულე, რომ (როცა) აღარ მომეწონა,
მეფჩი ქერქიში თონი. მივაწოდე ქერქის სკამი".

ლაზები ნიშნობისთვის საუკეთესო დღედ ხუთშაბათს, თვეებიდან იანვარს თვლიდნენ (რურუა 2005: 10), წელიწადის დროებიდან კი – „წანაღანს" ანუ ახალ წელს / იანვარს (თანდილავა 1972: 122). ერთ ლაზურ ლექსში ვკითხულობთ:

ვიქიფ სქანი ნიშანი, „გავაკეთებ შენს ნიშანს (დაგნიშნავ),
მოხთაში წანაღანი რომ დადგება იანვარი (ახალი წელი)"
(ახალაია 2015: 575).

სამეგრელოში ნიშნობა წლის ნებისმიერ დროს ტარდებოდა, ნიშნობა, როგორც წესი, საპატარძლოს ოჯახში ეწყობოდა. ქალის დასანიშნად წასულებს თან უნდა წაეღოთ ძღვენი (ანთელავა 2015: 99).

ლაზური ჩვეულების თანახმად, ვაჟს უფლება ეძლევა მოხერხებულ შემთხვევაში, თუნდაც საჯაროდ, „კულანის ხე მენთხას'' (ქალიშვილს ხელი წააკაროს). „ხემენთხიმერი'' (ხელწაკარებული) ქალიშვილის ცოლად წაყვანა წესისამებრ სხვას არ შეუძლია. ლაზურ ფოლკლორში შემონახულია ლექსი, სადაც ვაჟი უმღერის „ხემენთხიმერ'' ქალიშვილს:

ანწი სუმ წანა იყვენ, „სამი წელი სრულდება,
მენდილი სქანი მიღუ... შენი მანდილი მე მაქვს..." (თანდილავა 1972: 118-119).

საცოლედ დასაკუთრების მიზნით მსგავსი ჩვეულება სამეგრელოშიც იყო გავრცელებული. შეკრებაში საკმარისი იყო ყმაწვილ კაცს ქუდი ესროლა გასათხოვარი ქალისათვის და თუ მოახვედრებდა, ქალი დანიშნულად ითვლებოდა (სახოკია 1956: 87).

ლაზებისა და მეგრელებისთვის არც ქალის მოტაცებით დაუფლება იყო უცხო.

ბოზო, ვარ მაყონი-ნა, „გოგოვ, თუ არ გამომყვები,
მორკაფუ გურის მიღუნ... მოტაცება გულში მაქვს..."
(თანდილავა 1964: 170).

ნიშნობიდან ქორწილამდე პერიოდი საპატარძლოსთვის „საჭყუდო თუთად" (სამზითვო თვე) ან „საჭყუდი წანად" (სამზითვო წელიწადი), ხოლო სასიძოსათვის „სინჯაში სახარჯოდ დინორინად" (სიძის სახარჯოდ ყოფნა) ან უბრალოდ „სასინჯოდ დინორინად" (სასიძოდ ყოფნა) იწოდებოდა. როცა ორივე მხარე სათანადოდ მოემზადებოდა, დანიშნავდნენ ე.წ. „გინაჭყვადალი დღას" (გადასაწყვეტ დღეს). შერჩეულ დღეს მექორწინეთა შორის წარმოებდა მოლაპარაკება ქორწილის დროზე,

მაყრიონის რაოდენობასა და ე.წ. „საკამპანიოზე“ (საქორწილოზე) (ანთელავა 2015: 109-110).

ქორწილის დღეს ცხენოსანი მაყრიონი როგორც კი მიუახლოვდებოდა სიძის სახლს, მათგან ერთ-ერთი გამოეყოფოდა ჯგუფს და თოფის სროლით და ცხენის ჭენებით სხვებზე ადრე მივიდოდა სიძის სახლში. მას მახარობელს ეძახდნენ. მახარობელს პირში შაქარს ან თაფლს უსვამდნენ, ზოგ შემთხვევაში ასაჩუქრებდნენ (Чурсин 1956: 167). ლაზურ ფოლკლორში შემონახულია მაყრული ლექს-სიმღერა:

მაყარეფეთე ოფშა ქომოფთით იალი-იალი,
მანი-მანი, ბიჭეფე, ქელებონჭათ სანდალი!...
„მაყრებით სავსე (ნავით) მოვედით ნაპირ-ნაპირ,
ჩქარა-ჩქარა, ბიჭებო, ამოვსწიოთ სანდალი!..“ (ყიფშიძე 1939: 47).

პატარძლის მოსაყვანად წასულებს სამეგრელოში წინ „დუდმაყარე“ (მაყრიონის მეთაური) მიუძღვებოდა. მას გვერდიგვერდ მიყვებოდა „მეგურგინე მორდია“ (მეჯვარე), ოდნავ უკან კი მახარობლად გამოყოფილი პირი („მახარე“). შემდეგ მოდიოდა ქალთა ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი მეწინავეთაგანი მდადი („დადე“) უნდა ყოფილიყო. ქალებს უკან მოყვებოდნენ მაყარი მამაკაცები ორ ან სამ მწკრივად. მაყრის სვლის ასეთ წესში ასახულია მისი წევრების უფლებები და პრივილეგია. პატარძლის სახლს მიახლოებული მაყარი გაგზავნიდა მახარებელს, რომლის დაბრუნებისთანავე მაყრიონი თოფის სროლით შედიოდა მექორწილეთა ეზოში. ქალის მხარე მათ დიდი ზარ-ზეიმით ხვდებოდა (ანთელავა 2015: 181).

მეგრულმა ზეპირსიტყვიერებამ შემოინახა ვინმე საბაიას მიერ ერთ-ერთ ქორწილში ნათქვამი ლექსი:

დუდმაყარე გოხოლუთუ, „მაყრიონის თავკაცი გახლავართ
საბაია ბარღეფული, საბაია ბარღეფული,
ხვალ მობრთინ ვაიჩქდან, მარტოდ მოსული არ გეგონოთ,
ართო ვორეთ არყებული! [ყველა] ერთად ვართ დაძრული!“

პასუხი იაკობ გულუასაგან, ექსპრომტად თქმული მასპინძლის მხრიდან:

ვითი ხოჯი დოიცვილით, „ათი ხარი დაგიკალით,
ხოლო ვარე ბაღებული, კიდევ არაა საკმარისი,
ირკოჩ ართო მუს მიშით? ყველანი ერთად რად მოდიოდით?
დუდ რცოფუნა არდებული! ყოფილხართ თავაგდებული!“
(სამუშია 1971: 102).

მაყრიონი სიძის ოჯახში შესვლისთანავე ცნობილ საქორწილო სიმღერას „კუჩხიბედნიერა“ (ფეხბედნიერი) შემოსძახებდა.

ტრადიციული ლაზური / ჭანური ოჯახი სუფრას სასტუმრო ოთახში ანდა დიდ ოდაში შლიდა, ძირითადად იქ, სადაც შუაცეცხლი ან ბუხარი იყო გამართული. დიდ ოდაში – „ხომანდურში“ სუფრა განსაკუთრებით წვიმიან ამინდებში იშლებოდა. სტუმრებს – ნათესავებს, მეზობლებს ქორწილამდე სამი დღით ადრე ეპატიჟებოდნენ. ქორწილში თითოეული ოჯახიდან ორი ადამიანი მაინც იქნებოდა წარმოდგენილი (რურუა 2005: 13).

ქორწილის დღეს ლაზი / ჭანი მაყრები ცხენებით დედოფლის მამისეულ სახლში მიემგზავრებოდნენ. პატარძალს მამიდაშვილ-ბიძაშვილები ფეხს დაბანდნენ, წინდასა და ფეხსაცმელს შორის ფულს ჩაუდებდნენ. საქმროს სახლში მისთვის ახალგაზრდა გოგონას ფეხი უნდა დაებანა, ხოლო პატარძალს ფეხსაცმელში ჩადებული ფული უნდა ეჩუქებინა (მგელაძე 2023: 94).

სამეგრელოში ეკლესიიდან გამოსულ ჯვარდაწერილებს მაყარი თოფების სროლითა და სიმღერით ხვდებოდა. ეზოში შემოსულ ნეფე-დედოფალს მიუახლოვდებოდა სიძის დედა, თითო კოვზ თაფლს შეაჭმევდა და სახლისაკენ გაუძღვებოდა. სახლში შესულ ნეფე-დედოფალს წინ მეჯვარე მიუძღვებოდა და კერიის გარშემო სამჯერ შემოვლის შემდეგ დედოფალს კალთაში პატარა ბიჭს ჩაუსვამდნენ. სწამდათ, რომ ამ მაგიური ხასიათის ქმედების წყალობით შეუღლებულების პირველი შვილი ვაჟი იქნებოდა (ანთელავა 2015: 187-188). ლაზ პატარძალს სახლის ზღურბლი მარჯვენა ფეხით უნდა გადაელახა, მომავალი დედამთილი მას ხელს ანთებული შუაცეცხლის კერაზე ან ბუხარზე მიადებინებდა (მგელაძე 2023: 97).

სამეგრელოში საქორწინო ნადიმი („დიარა“) „დუდკოჩის“ განკარგულებით იწყებოდა (ანთელავა 2015: 194).

საქორწილო სუფრის თავში ოჯახის (გვარის) უფროსი იჯდა პირით აღმოსავლეთისაკენ; მისგან მარჯვენა მხარეს დასხდებოდნენ ამავე გვარის უფროსი წარმომადგენლები. პატარძლის ახლობლებს ისე დასხამდნენ, რომ ახლო ყოფილიყვნენ პატარძალთან (აბაკელია 1999: 307).

ოჯახის უფროსი მამაკაცი ირჩევს თამადას, დალოცავს ღვინით. შემდეგ ხდება ე.წ. „მოპასუხის“ არჩევა პატარძლის ახლობლებისაგან და ამის შემდეგ თამადა იწყებს თავისი მოვალეობის შესრულებას (იქვე).

თამადის ინსტიტუტი ლაზებისთვის მუსლიმანური რელიგიის შემოსვლის შემდეგ გაქრა, ასევე, არ სვამდნენ ღვინოს (მგელაძე 2023: 90).

ქორწინების შემდეგ ცოლ-ქმარი სამეგრელოში ერთმანეთს არ ეტყოდნენ ნამდვილ სახელს და ამას უწოდებდნენ „სახელიში ფულუას“ (სახელის დამალვას) (მაკალათია 1941: 253-254). ჩვენ მიერ სარფში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით მსგავსი წესი არსებობდა ლაზებშიც.

ლაზური ისევე, როგორც მეგრული ფოლკლორი, მდიდარია სუფრასთან შესასრულებული ლექს-სიმღერებითაც. საქორწილო სიმღერათა შორის აღსანიშნავია „ჭუტა ნოსა'' (პატარძალი):

ლუმჯინე მჟორა-სთერი, ჭუტა ნუსა, „საღამოს მზესავით, პატარძალო ?
სო ულურ ჭუტა, ჭუტა? სად მიდიხარ ნელა-ნელა?
ფოთინი გიჭაფარე, ჭუტა ნუსა, ფეხსაცმელს შეგიკერავ, პატარძალო,
კუჩხე გიღუნ ჭუჭუტა ... ფეხი გაქვს პაწაწინა...“

(ჟღენტი 1938: 156).

ლაზურის პარალელურად მოგვყავს მეგრული სასუფრო ლექს-სიმღერებიც:

ართიანც ალურენა „ერთმანეთს (მხარში) უდგანან
ჯგირი ბოში დო ჯგირი ცირა, კარგი ბიჭი და კარგი გოგო,

სასახელო ცოფედას –
თენეფიში აკოძინა...
ჯგირი ჩილი დო ქომონჯობა,
თენეფც გუუტარებუდანი,
მუნეფიში მარდუალეფგშა
გური გუუხარებუდანი...

სახელოვანი იყოს
მათი შეერთება...
კარგი ცოლ-ქმრობა
მათ გაეტარებინოთ,
თავიანთი გამზრდელებისათვის
გული გაეხარებინოთ...“
(ფ. არქ. ს. 232: 192–194).

ჰოი, ოლეხახუნე,
ტაბაკ ქოდუონწყუათ დო
კოჩ ქოდახუნე!
ჰოი, ოლეხახუნე,
მოჭყუდუს ვავშკიდა დო
დადე ქახუნე,
დადე ქახუნე
ჰოი, ოლეხახუნე,
ტოლუმბაში ვავშკიდა დო
ბილბაშ ქახუნე,
ჰოი, ბილბაშ ქახუნე...

„ჰოი, ოლეხახუნე,
მაგიდა დავაწყოთ და
კაცი დასვი!
ჰოი, ოლეხახუნე,
პატარძალს არ ვკადრებ და
მდადე (გარეთ) გასვი,
მდადე (გარეთ) გასვი.
ჰოი, ოლეხახუნე,
ტოლუმბაშს არ ვკადრებ და
ბილბაში (გარეთ) გასვი,
ჰოი, ბილბაშ (გარეთ) გასვი...“
(ქართული ხალხური სიტყვიერება 1975: 180).

დასკვნა

როგორც ჩვენ მიერ მოყვანილი მასალებიდან ჩანს, ლაზურ და მეგრულ საქორწინო ტრადიციებში ბევრი საერთო ნიუანსი იკვეთება, რაც სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ლაზები და მეგრელები ერთი, ქართული ეთნოსის ნაწილებს წარმოადგენენ. გარკვეულ შემთხვევებში განსხვავება გამოწვეულია რელიგიური ფაქტორით, საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა კულტურებთან მჭიდრო კავშირით და სხვა გარემოებებით.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

აბაკელია 1999: აბაკელია ნ., საქორწილო წეს-ჩვეულებები სამეგრელოში, სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში. თბილისი-ზუგდიდი.

აბულაძე 2017: აბულაძე ნ., მეგრული საქორწილო ზეპირსიტყვიერება, სადოქტორო დისერტაცია. თბილისი.

ანთელავა 2015: ანთელავა ნ., ტრადიციული წეს-ჩვეულებები სამეგრელოში. თბილისი.

ახალაია… 2015: ახალაია ნ., ბაწაში წ., ლორთქიფანიძე გ., ლორთქიფანიძე ქ., მემიშიში ო., ქავთარაძე ზ., ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში. თბილისი.

თანდილავა… 1964: თანდილავა ა., ვანილიში მ., ლაზეთი. თბილისი.

თანდილავა 1972: თანდილავა ზ., ლაზური ხალხური პოეზია. ბათუმი.

ლამბერტი 1938: ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა. თბილისი.

მაკალათია 1941: მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი.

მგელაძე 2023: მგელაძე ნ., ლაზური/ჭანური ქორწილი და საქორწინო რიტუალები (ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული და ლიტერატურული წყაროების მიხედვით. ქართული წყაროთმცოდნეობა, XXV. თბილისი.
ნარაკიძე 2020: ნარაკიძე ც., საქორწილო ლექს-სიმღერები ლაზურში. ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“, XXIV. ქუთაისი.
პირადი არქივი: მთქმელი: ღუღუნი მებონია, სოფ. ჯაღირა, 2000 წელი.
ჟღენტი 1938: ჟღენტის ს., ჭანური ტექსტები, არქაბული კილო. თბილისი.
რურუა 2005: რურუა პ., ლაზური ქორწილი. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, VIII. თბილისი.
სახოკია 1956: სახოკია თ., ეთნოგრაფიული ნაწერები. თბილისი.
სამუშია 1971: სამუშია კ., ქართული ხალხური პოეზიის მასალები. თბილისი.
ფ. არქ. ს. 232: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი, სამეგრელოს კოლექცია 232.
ქართული ხალხური სიტყვიერება 1975: ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტოგო გუდავამ. თბილისი.
ქართული ხალხური სიტყვიერება 2016: ქართული ხალხური სიტყვიერება (ჩხოროწყუს რაიონი). წიგნი გამოსაცემად მოამზადა ა. ლომთაძემ. თბილისი.
ყიფშიძე 1939: ყიფშიძე ი., ჭანური ტექსტები. თბილისი.
შავიანიძე 2015: შავიანიძე დ., სამეგრელო – ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი. ქუთაისი.
Чурсин 1956: Материалы по этнографии Абхазии / Г.Ф. Чурсин; [С предисл. Л. Акаба]; Абх. ин-т языка, лит-ры и истории. Сухуми, Абхазгосиздат.

References and Sources

Abakelia 1999: Abakelia N., Wedding Customs in Samegrelo, Samegrelo, Colchis, Odishi. Tbilisi–Zugdidi.
Abuladze 2017: Abuladze N., Mingrelian Oral Wedding Tradition (Dissertation). Tbilisi.
Akhalaia... 2015: Akhalaia N., Batsashi Ts., Lortkipanidze G., Lortkipanidze K., Memishishi O., Kavtaradze Z., The Laz and Lazeti in Turkish Publications. Tbilisi.
Antelava 2015: Antelava N., Traditional Customs in Samegrelo. Tbilisi.
Chursin 1956: Chursin G.F., Materials on the Ethnography of Abkhazia, with a foreword by L. Akaba; Abkhazian Institute of Language, Literature, and History. Sukhumi: Abkhazgosizdat.
Folk. Arch. 232: Folklore Archive of the Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Samegrelo Collection No. 232.
From a Personal Archive: Narrator Ghughuni Mebonia, village of Jaghira, year 2000.
Georgian Folk Literature 1975: Georgian Folk Literature, Mingrelian Texts, Vol. I – Poetry, Prepared for Publication, with Preface and Study by Togo Gudava. Tbilisi.
Georgian Folk Literature 2016: Georgian Folk Literature (Chkhorotsku Region), Prepared for publication by A. Lomtadze. Tbilisi.

Kipshidze 1939: Kipshidze I., Chan Texts. Tbilisi.
Lamberti 1938: Lambert A., Description of Samegrelo. Tbilisi.
Makalatia 1941: Makalatia S., History and Ethnography of Samegrelo. Tbilisi.
Mgeladze 2023: Mgeladze N., Laz/Chan Wedding and Wedding Rituals (Based on Folklore-Ethnographic and Literary Sources), Kartuli Tskhvarotmtsodneoba (Georgian Source Studies). Tbilisi.
Narakidze 2020: Narakidze Ts., Wedding Poetry and Songs in the Laz Language, Kartvelian Heritage, Vol. XXIV. Kutaisi.
Rurua 2005: Rurua P., Laz Wedding, Historical-Ethnographic Researches, Vol. VIII. Tbilisi.
Sakhokia 1956: Sakhokia T., Ethnographic Writings. Tbilisi.
Samushia 1971: Samushia K., Materials of Georgian Folk Poetry. Tbilisi.
Shavianidze 2015: Shavianidze D., Samegrelo: A Historical-Ethnographic Study. Kutaisi.
Tandilava... 1964: Tandilava A., Vanilishi M., Lazeti. Tbilisi.
Tandilava 1972: Tandilava Z., Laz Folk Poetry. Batumi.
Zhghenti 1938: Zhghenti S., Chan Texts, Archabuli Dialect. Tbilisi.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.26

ლაზური აივანი დადიანების სასახლეში

THE LAZ-STYLE BALCONY OF THE DADIANI PALACE

მზისადარ ჭაფანძე
დადიანების სასახლეთა
ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი
ზუგდიდი, საქართველო

Mzisadar Chapandze
Dadiani Palaces
Historical and Architectural Museum
Zugdidi, Georgia:

აბსტრაქტი

„ზუგდიდში დადიანების სასახლეებს დიდი ხნის ისტორია აქვს. საფიქრებელია, რომ პირველ სასახლეს აქ ლევან II დადიანის (1611-1657) დროს ჩაეყარა საფუძველი. დიდი მთავრის სიკვდილის შემდეგ აქ ბინა მისმა მემკვიდრეებმა დაიდეს და ზუგდიდის სასახლე მთავარ რეზიდენციად აქციეს.

„სამეგრელოს მთავარს ორმოცდაათზე მეტი სასახლე აქვს, რომელთა შორის უმშვენიერესია ზუგდიდის სასახლე, იგი აგებულია საუცხოო ქვისაგან და შესანიშნავია როგორც სივრცე-სიდიდით, ისე ფანჯრების, აივნებისა და მხატვრობის სიმშვენიერით“ – ასე აღწერს იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი იმ პერიოდისთვის უძლიერესი ფეოდალების ულამაზეს სასახლეს. დიდ ველზე, რომელზედაც ამჟამად არსებული არქიტექტურული ანსამბლია გაშენებული, ისტორიული წყაროების ცნობით, მანამდე რამდენიმე სასახლე მდგარა. როგორც ჩანს, ყველა ძლიერი მთავარი აქ უყრიდა საფუძველს საკუთარ რეზიდენციას.

არც სამეგრელოს უკანასკნელი დედოფალი – ეკატერინე ჭავჭავაძე დადიანისა აღმოჩნდა გამონაკლისი, რომელმაც თავისი მეუღლის – დავით დადიანის სასახლეს ახალი ამჯობინა და რეზიდენციის ტერიტორიაზე ფართო სამშენებლო სამუშაოები წამოაწყებინა. მან განაახლებინა და არ აღაშენა ზუგდიდის ახლანდელი მთავარი სასახლე თავისი ფლიგელებით, ფრონტონით და ლამაზის ჩუქურთმებით შემკობილი მოაჯირ-აივნებით ჩრდილოეთის მხარეს.

ყველაზე მეტი ისტორიული წყარო მთავარი ანუ დედოფლისეული სასახლის მშენებლობის შესახებაა დაცული. როგორც აღმოჩნდა, დედოფლის მიზანი გრანდიოზული და ევროპული ტიპის რეზიდენციის აგება იყო, პროექტი, სავარაუდოდ, ევროპაში ან რუსეთში უნდა მომზადებულიყო, რადგან იგი პარიზში უნახავს ეკატერინე დადიანის მეგობარს ბერტა ფონ ზუტნერს.

სამეგრელოს მთავრები და მათი სასახლეები მთელს კავკასიაში განთქმული იყვნენ სიმდიდრითა და ძლიერებით.

საკვანძო სიტყვები: დადიანების სასახლეები, ზუგდიდის სასახლე, ლაზური აივანი.

ABSTRACT

The Dadiani palace complex in Zugdidi has a long history. It is assumed that the foundations of the first palace were laid during the reign of Levan II Dadiani (1611–1657). After the death of the grand prince, his successors settled there and transformed the Zugdidi palace into their principal residence.

“The Prince of Samegrelo possesses more than fifty palaces, the most magnificent of which is the palace of Zugdidi. Built of fine stone, it is distinguished both by its spaciousness and by the beauty of its windows, balconies, and artwork.” — This is how the Italian missionary Arcangelo Lamberti described the stunning residence of one of the most powerful feudal rulers of the period. According to historical sources, several palaces once stood on the large field where the present architectural ensemble is now located. It seems that every powerful ruler founded his own residence there.

The last ruling princess of Samegrelo, Ekaterine Chavchavadze-Dadiani, was likewise not an exception. Preferring a new residence to the palace of her husband, Davit Dadiani, she initiated extensive construction works within the residence complex. Under her direction, the present main palace of Zugdidi was renovated and expanded, together with its wings, pediment, and the northern balconies embellished with finely carved decorative railings.

Most of the surviving historical sources relate to the construction of this main palace, also known as the Queen’s Palace. It appears that the queen intended to build a grand residence in the European style. The architectural project was most likely prepared in Europe or Russia, as it was reportedly seen in Paris by Ekaterine Dadiani’s friend, Bertha von Suttner.

The princes of Samegrelo and their palaces were renowned throughout the Caucasus for their wealth and power.

Keywords: Dadiani Palaces, Zugdidi Palace, Laz-style Balcony’

შესავალი

ზუგდიდში დადიანების სასახლეებს დიდი ხნის ისტორია აქვს. საფიქრებელია, რომ პირველ სასახლეს აქ ლევან II დადიანის (1611-1657) დროს ჩაეყარა საფუძველი. დიდი მთავარი ყურადღებას არ აკლებდა თავის რეზიდენციას, რომელიც გამხდარა „დიდმშენი და პალატებიანი, ზღუდეგოდოლიანი“ (გზამკვლელი 2024: 6). დიდი მთავრის სიკვდილის შემდეგ აქ ბინა მისმა მემკვიდრეებმა დაიდეს, ზუგდიდის სასახლე მთავარ რეზიდენციად აქციეს, მის კედლებში ცხოვრება უკვე მთელი გაქანებით ჩქეფდა.

იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი აქაურობამ განცვიფრებაში მოიყვანა, მოგვიანებით იგი წერს: ,,სამეგრელოს მთავარს ორმოცდაათზე მეტი სასახლე აქვს, რომელთა შორის უმშვენიერესია ზუგდიდის სასახლე. იგი აგებულია საუცხოო ქვისაგან, და შესანიშნავია, როგორც სივრცე-სიდიდით ისე ფანჯრების, აივნებისა და მხატვრობის სიმშვენიერით“ (ლამბერტი 1938: 10-18).

„ზუგდიდს სალარო გააღეს ანგარიშ მიუხდომელი,
ყუელა გაეყო დადიანს, მისცა არ დაუმცრომელი:
თუალ მარგალიტი უფასო, რაც იყო მათი ყოველი,
ნახე წყალობა ღუთისაგან, რისა შეიქნა მშობელი!“

(გზამკვლელი 2024: 6).

XVII საუკუნის ავტორის ფეშანგის ეს სიტყვები პოემიდან „შაჰნავაზიანი“ კარგად მეტყველებს იმდროინდელი ზუგდიდის მნიშვნელობასა და სიმდიდრეზე.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ ზუგდიდის, ერთ-ერთი მთავარი სიამაყე, სამეგრელოს მთავრების, დადიანების სასახლეების სამუზეუმო კომპლექსი, რომელიც მოიცავს სამეგრელოს დედოფლის, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა და უფლისწულ ნიკო დადიანის სასახლეებს.

მსჯელობა

დიდ ველზე, რომელზეც ამჟამად არსებული არქიტექტურული ანსამბლია გაშენებული, ისტორიული წყაროების ცნობით, მანამდე რამდენიმე სასახლე მდგარა. როგორც ჩანს, ყველა ძლიერი მთავარი აქ უყრიდა საფუძველს საკუთარ რეზიდენციას.

XVIII- XIX საუკუნეების მიჯნაზე დადიანებს უკვე ჰქონდათ სასახლე ქალაქის შუაგულში, დღევანდელი რეზიდენციის ტერიტორიაზე. ამისათვის მათ საგანგებოდ შეურჩევიათ ადგილი. ამ ადგილას სასახლეების მშენებლობა გრიგოლ დადიანის (1788-1807) გარდაცვალების შემდეგ მოკლე პერიოდში დაწყებულა. 1837 წელს კი დავით დადიანს აღნიშნულ ტერიტორიაზე დროებითი სასახლეების მშენებლობა დაუწყია. მთავარი რეზიდენციის აგებას იგი მომავალში გეგმავდა. „ნამდვილი სამთავრო სასახლე“ მალე აშენებულა – ორსართულიანი და ოცოთახიანი. შენობის შუა ნაწილი ქვისაგან შეუსრულებიათ და მასზე მოგვიანებით, წაბლის ხის მასალის გამოყენებით, დამატებითი ოთახები მიუშენებიათ. რეზიდენციის მოსაწყობად დადიანს რუსეთის იმპერატორის თანხმობის შემდეგ, ყულევის პორტით, ბაჟგადაუხდელად, საზღვარგარეთიდან 25 ათას მანეთად შეფასებული ძვირფასი ავეჯი და ინვენტარი შემოუტანია.

აღნიშნული ნაგებობა 1855 წელს ომერ ფაშამ დაიკავა და იქ ოსმალო ჯარისკაცებისათვის ლაზარეთი განალაგა. გრიგოლ ლევანის ძე დადიანის (1814-1902) წარმატებული კონტრშეტევისა და ზუგდიდის დაბრუნების შემდეგ ისკანდერ ფაშამ გაქცევის წინ შენობა გადაწვა. ნაგებობა დიმიტრი ყიფიანმა აღადგინა და სამეგრელოს მმართველ ჭილაევს დაუთმო, თუმცა ცოტა ხანში სასახლე კვლავ ცეცხლმა გაანადგურა. შემდეგ აღარ აღუდგენიათ, დარჩენილი ქვის კედლები კი დაუნგრევიათ და ნიკო დადიანის სასახლის მშენებლობისათვის გამოუყენებიათ (გზამკვლელი 2024: 8).

ნიკო დადიანის სასახლე XIX საუკუნის 80-იან წლებშია აგებული. მისი არქიტექტორია ლეონიდ ვასილიევი. რეზიდენცია ორსართულიანია, ოთხივე კუთხით დამშვენებულია ხის აივნებით, რომლებსაც ლამაზი, ორნამენტირებული ჩუქურთმები აქვს. ამ სასახლეში ხის სამუშაოები, აივნის ჩუქურთმები და კიბის რიკულები, გადმოცემის თანახმად, შესრულებულია ადგილობრივი ხელოსნების, ხეზე კვეთის ოსტატების – ომარ ბულიასა და ათანასე ლაგვილავას მიერ. სასახლეს 28 ოთახი აქვს, რამდენიმე ბუხარი, რომლითაც სასახლე მთლიანად თბებოდა. სასახლის მშვენებას წარმოადგენს დიდი საბანკეტო და სამეჯლისო დარბაზი, სადაც სამეგრელოს მთავრები საპატიო სტუმრებს იღებდნენ, აქ იმართებოდა ლიტერატურული საღამოები; ამ სასახლეს სტუმრობდნენ: მარი ბროსე, კორნელი ბოროზდინი, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, არტურ და ბერტა ფონ ზუტნერები, იონა მეუნარგია და სხვა გამოჩენილი ადამიანები (იხ. ილუსტრაცია №1).

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ნიკო დადიანის რეზიდენცია ეროვნული კულტურის მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა, სწორედ აქ ჩაისახა იდეა – წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკისათვის გადაეცათ დადიანების უნიკალური წიგნები და ხელნაწერი დოკუმენტები.

სამეგრელოს უკანასკნელმა დედოფალმა, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისამ (1816-1882) მეუღლის – დავით დადიანის (1813-1853) სასახლეს ახალი ამჯობინა. დედოფალს დავითის დის – პუპი დადიანის სახლის თაღები მოეწონა, რომლის პირველ სართულზე ღვინის დარბაზი და პარკეტების დამამზადებელი ქარხანა იყო. პუპის გათხოვების შემდეგ დედოფალმა იმ დროის სახელგანთქმული ხუროთმოძღვარი, 1851-1852 წლებში თბილისში მეფისნაცვლის კარის არქიტექტორი და სამოქალაქო კანცელარიის ხელმძღვანელი ედვიგ იაკობის ძე რაისი მოიწვია და შენობის განახლება დაავალა. რაისმა ძველი სახლი გააფართოვა, მარჯვედ გამოიყენა მისი თაღები, აზიურ და ქართულ ხუროთმოძღვრებას ხალასად მიუსადაგა ბაროკოსა და როკოკოს სტილი... ქართველების გარდა სასახლის მშენებლობაში უცხოელებიც მონაწილეობდნენ: იაკობ ,,თათარი“, ხასან ხამუზ ოღლი და თეოდორე ბერძენი. შედეგი განსაცვიფრებელი აღმოჩნდა, ზუგდიდის მთავარ მოედანზე მანამდე არნახული სივრცისა და სინატიფის ქათქათა შენობა წამოიმართა (კალანდია 2006: 6. იხ. ილუსტრაცია №2).

სასახლის მშენებლობა გაჭიანურდა, 1873 წელს დაწყებული სამუშაოები 1878 წელს ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. ბერტა ფონ ზუტნერი, რომელიც სწორედ ამ პერიოდში ესტუმრა ზუგდიდს, აღნიშნავს: „რამდენიმე მშვენიერი წელი დავყავით ჩვენ პატარა დაბა ზუგდიდში, სამეგრელოს მთავარ ქალაქში... აქ არის ბაღში ჩადგმული გრაფ როზმორდიუკის ვილა, ცოტა მოშორებით თავადის ქალის დროებითი ბინა, დიდი პარკის კიდეში, რომლის შუაგულში აღმართულიყო სასახლის დაუმთავრებელი შენობა“ (კალანდია 2012: 55).

დადიანების სასახლის შესახებ საინტერესო ცნობაა დაცული ჰერცოგინია დე როანის მოგონებებში, სადაც ნათქვამია: ,,ჩვენ შევდივართ სამეგრელოს დედაქალაქში, რომელიც მიმოზის ყვავილების ტყეშია ჩაფლული. ხეები დაფარულია პატარა სურნელოვანი ბუმბულით, რომელიც გამოყოფს მეტად სასიამოვნო თავისებურ ჰაერს“ (კალანდია 2006: 272).

უცხოელი მოგზაურების მასალებიდან ცხადად ჩანს, რომ ზუგდიდის სასახლეს განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭებოდა, გარკვეულ უპირატესობას ფლობდა, რაც აქ გამართულ ელჩობებსა და შეხვედრებში გამოიხატებოდა. ძირითად დროს კი სასახლეში მთავარი და მისი ოჯახი ატარებდა.

ყველაზე მეტი ისტორიული წყარო მთავარი ანუ დედოფლისეული სასახლის მშენებლობის შესახებაა დაცული. როგორც აღმოჩნდა, დედოფლის მიზანი გრანდიოზული და ევროპული ტიპის რეზიდენციის აგება იყო. იგი თავიდანვე ისეთი სტილის სასახლედ ჩაიფიქრეს, როგორებიც დღემდე გვხვდება საფრანგეთში, ინგლისში, ავსტრიასა თუ რუსეთში.

ახალი რეზიდენციის პროექტი, სავარაუდოდ, ევროპაში ან რუსეთში უნდა მომზადებულიყო, რადგან იგი პარიზში უნახავს ეკატერინე დადიანის მეგობარს – ბერტა ფონ ზუტნერს. აი, რას წერს სახელგანთქმული ავსტრიელი მწერალი: „ძველი სასახლე, რომელიც მთავარს თავის დროზე ევროპული სტილითა და დიდი პეწით გაემართა, თურქებმა დაანგრიეს და იავარქმნეს, და ახლა დედოფალს უნდოდა ახალი, კიდევ უფრო მშვენიერი სასახლე აეგო. მე გეგმა ნანახი და სასახლის მორთვა-გაწყობის დეტალებიც გაცნობილი მქონდა. ერთი დარბაზი სპარსული სტილით, მეორე ლუი XIV სტილით უნდა გაემართათ, ხოლო ავეჯი და ხელოვნების ნიმუშები დედოფალს ევროპაში ყოფნისას შეეძინა და ნელ-ნელა ზუგდიდში გადაეგზავნა“ (ადამია 2023: 23).

დედოფლისეული სასახლის სამშენებლო სამუშაოები 1873 წლის 25 მაისს რომ დაწყებულა, ამ ვერსიას ადასტურებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკანცელარიო დოკუმენტი, რომელიც დაცულია დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში. დოკუმენტი შედგება 20 გვერდისაგან და წარმოადგენს ყოვლელდღიურ ანგარიშს, თუ რამდენი ადამიანი იღებდა მონაწილეობას, რამდენი სამუშაო დღე ჰქონდა თითოეულ მათგანს შესრულებული და რა თანხას მიიღებდნენ ყოველდღიურად, სულ 153 ადამიანი არის ნახსენები, რომლებიც სხვადასხვა ტიპის სამუშაოებს ასრულებდნენ: ზოგი მეურმე იყო, ზოგი კიდევ მთიბავი, ხის ოსტატი, მშენებელი, ყავრისა და წნელის დამამზადებელი და სხვა. სამშენებლო მასალებს გორდიდან, ანაკლიიდან, ყულევიდან და სამეგრელოს ახლო სოფლებიდან ეზიდებოდნენ, კვირა დღე და ქრისტიანული დღესასწაულები უქმედ იყო გამოცხადებული. ქართველებთან ერთად თათრებიც იღებდნენ მონაწილეობას (ზსიემ/ ს.ა. 655).

ზუგდიდის დედოფლისეული სასახლის რეზიდენციის მთავარი ფასადი ტიუდორების სტილის თავისებური ინტერპრეტაციაა, შიდა ეზო ქართულისა და ოსმალურის ნაზავია. საიდანაც ცენტრალური ადგილი **ლაზურ აივანს** უკავია. იგი მთლიანად ხისაა და შიდა ეზოში მთელს შენობას გარს აკრავს. აივანი 51 მასიური ხის ბოძზე დგას და ისეა ნაკეთები, რომ არსად ლურსმანი არაა გამოყენებული. თითქმის ყველა დეტალი მოჩუქურთმებულია. აივნის გალერეით, ხისაგან ხელით დამზადებული სადარბაზო კარით მთავარ მოედანზე შედიხართ, რომელსაც უნიკალური ხის ჭერი ამშვენებს. მის შესაქმნელად ხუროთმოძღვრებს 10 ათასამდე

ხის პატარა დეტალი ხელით დაუმუშავებიათ და ასე შეუქმნიათ დაახლოებით ხუთმეტრიანი მოზაიკა, სადაც ცენტრალური ადგილი შვიდკუთხა გეომეტრიულ ფიგურას უკავია. ჭერზე გამოსახული მოზაიკის ქვეშ ფერადი ნაჭერია დაყოლებული, რაც ლაზური აივნის ოსტატობას განსხვავებულ ფერებში წარმოადგენს, შუა ნაწილში ამოკვეთილია ვარდული, რომლის მსგავსსაც, ასევე, ვხვდებით აჭარის ტერიტორიაზე არსებულ მეჩეთში. ვარდული ნაყოფიერების, ოჯახისა და ქვეყნიერების სიმბოლოდ ითვლებოდა,. მთლიანად აივნის მოზაიკურ გაფორმებაში დაახლოებით 50 ათასამდე გეომეტრიული და მცენარეული ხის პატარა ორნამენტია გამოყენებული. ზუსტად არ არის ცნობილი, ვინ არის აივნის არქიტექტორი, თუმცა. გადმოცემის მიხედვით, სამეგრელოს დედოფალს აივნის გასაკეთებლად ლაზეთიდან საუკეთესო ოსტატები მოუწვევია და მათთვის მანამდე არნახული არქიტექტურული ნიმუშის შექმნა დაუვალებია. ლაზებსაც ძალა არ დაუშურებიათ და დედოფლის ბრძანება ბრწყინვალედ შეუსრულებიათ, წაბლის ხის პატარა დეტალები არა მარტო ხელით გამოუთლიათ, არამედ ყოველი მათგანი თაფლში სხვადასხვა ტემპერატურაზე გამოუხარშავთ, რითაც ხეს სხვადასხვა ფერი მიუღია, შესაბამისად აივნის მოზაიკა საუცხოო გამოსულა. ლაზების ნამუშევარი დედოფალ ეკატერინეს ძალიან მოსწონებია და ისინი დიდძალი ოქროთი უხვად დაუჯილდოებია. ეკატერინესათვის პირობა მიუციათ, რომ მსგავს მშვენიერებას მეტად აღარ შექმნიდნენ. დადიანების სასახლის ლაზური აივნის ჭერი განსაკუთრებულ მსგავსებას ავლენს ბერლინის ნაციონალურ მუზეუმში დაცულ ალ-ანდალუსიის, იგივე გრენადის, სასახლის XIV საუკუნის ჭერთან. სპეციალისტთა აზრით, „ლაზურ აივანს მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება“ (გზამკვლევი 2002: 16 -17. იხ. ილუსტრაცია №3, №4).

XX საუკუნის 80-იან წლებში მუზეუმის დირექტორის – ნელი მიქაიას თაოსნობით, ლაზურ აივანს რესტავრაცია ჩაუტარდა, რამაც აივანი განადგურებას გადაარჩინა. რესტავრატორებმა უნიკალური სამუშაოები ჩაატარეს, შემორჩენილი ფრაგმენტებისგან მთელი კომპოზიცია აღადგინეს. თუმცა, როგორც ჩანს, აივნისთვის პირველადი სახის დაბრუნება სრულად ვერ მოხერხდა, რაზეც მუზეუმში დაცული XIX საუკუნის ფოტოები მეტყველებს (იხ. ილუსტრაცია №4).

დედოფლისეული სასახლის მშვენება არის ულამაზესი ორნამენტებითა და საოცარი ჩუქურთმებით მორთული ლაზური აივანი (იხ. ილუსტრაცია №5, №6).

უნდა აღინიშნოს, რომ ლაზურ ჩუქურთმებს დღესაც არ დაუკარგავთ ძველი ქართული ისტორიული ძეგლების ორგანიზმში მხატვრული მომხიბლაობა, რასაც მრავალი საუკუნის განმავლობაში განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი.

ლაზური ჩუქურთმა და ორნამენტები თავისი მოტივების წარმოშობით უძველეს კულტურას ეკუთვნის და ძველი ტრადიციიდან მომდინარეობს. ლაზი ოსტატები ჩუქურთმებისთვის უმთავრესად მცენარეულ და ცხოველურ მოტივებს იყენებდნენ – ყვავილის, ვაზის, ხის, ლომის, ცხვრის, ფრინველისა და სხვ., რომელთა გამოსახვით ხელოვანი ქმნიდა სიბრტყის

მხატვრული დამუშავების მრავალფეროვან კომპოზიციას (ადამია 1956: 88-89).

ისტორიულად ლაზები ცნობილი იყვნენ როგორც ხის ოსტატები. ვახუშტი მათ ასე ახასიათებს: „კაცნი არიან ხელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთა...'' (ვარშალომიძე 2005: 87).

ლაზების ხეზე მუშაობის ხელოვნებაზე XIX საუკუნისა და შემდგომი პერიოდის საისტორიო და ხუროთმოძღვრული ხასიათის შრომებშიც მნიშვნელოვანი მონაცემები აისახა .

ლაზებისათვის ხურო-მეჩუქურთმეობა, როგორც საშოვარზე გასულთა შრომითი საქმიანობა და მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების წყარო, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით დადასტურებულია. ამ თვალსაზრისით მეტად საგულისხმოა აკად. გ. ჩიტაიას დაკვირვება: „მთელ დასავლეთ საქართველოში, ისე როგორც სამხრეთ საქართველოში და ნაწილობრივ მე-20 საუკუნის დასაწყისში ლაზები საუკეთესო ხის უსტიებად იყვნენ მიჩნეული“ (ვარშალომიძე 2005: 87).

ლაზი ხუროები ძირითადად ორ-, სამ- ან ოთხკაციან ჯგუფებად დადიოდნენ საშოვარზე. ხშირად წინასწარ აზუსტებდნენ პირობებს – აღებული სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ თუ ვისგან, რა ფასად და რა ფორმის სახლს ააშენებდნენ. ამგვარი დეტალები ადრევე უნდა გადაეწყვიტათ. ფართოდ იყო გავრცელებული შრომის დღიური ანაზღაურება. სწორედ ასეთი ხასიათის დოკუმენტს მივაკვლიეთ დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, სადაც გაწერილია ყოველდღიური ანაზღაურების გრაფიკი მუშებსა და ხელოსნებზე (ზსიემ / ს.ა. 655). მეტად მნიშვნელოვანი იყო ამა თუ იმ ხუროს აღიარება სოფელში, თემში და ა. შ. რაც უფრო მეტი სახლი ჰქონდა აშენებული ხუროს, მით უფრო იყო დაფასებული. მიუხედავად ამგვარი ყურადღებისა, ბევრი მათგანის კონკრეტული ვინაობა აღარ შემორჩა ისტორიას (ვარშალომიძე 2005: 87).

არქიტექტურულ ანსამბლს ასრულებს დასავლეთით მიშენებული სამსართულიანი მასიური ინგლისური ტიპის კოშკი, რომელიც სამალავად და საგანძურის გასახიზნად გამოიყენებოდა. ამიტომ კედლები აქ ყველაზე სქელი, ფანჯრები კი ყველაზე ვიწროა. გადმოცემის თანახმად, დადიანები ამ კოშკში ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთ უდიდეს განძს, ღვთისმშობლის კვართს ინახავდნენ და მას მარიამ ღვთისმშობლის პატივსაცემად ქალწულის კოშკს ეძახდნენ.

დასკვნა

სასახლეში მუზეუმი 1921 წელს დაარსდა, მუზეუმის პირველი დირექტორის – აკაკი ჭანტურიას თაოსნობით, სამეგრელოს მთავრის – დავით ლევანის ძე დადიანის ძველ ნივთთა საცავ-საგანძურისა და სამეგრელოს ეკლესია-მონასტრებიდან გადმოტანილ ქართულ სიძველეთა ბაზაზე. სასახლეში უნიკალურ კოლექციასთან ერთად მრავლად იხილავთ ნივთებს, რომლებიც დადიანების ევროპულ მონარქებთან მჭიდრო კავშირზე მეტყველებს. მათ შორის გამორჩეულია ნაპოლეონ ბონაპარტის ნიღაბი.

ნაშრომში განხილული დადიანების სამთავრო სასახლეები წარმოადგენას გვიქმნის ამ ოჯახის სიმდიდრესა და ძლიერებაზე. სამეგრელოს მთავრები მთელს კავკასიაში განთქმული იყვნენ როგორც დიდძალი უძრავი ქონების პატრონები.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ადამია 1956: ადამია ი., ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება. თბილისი.
ადამია 2023: ბერტა ფონ ზუტნერი, ჩვენი მეგობარი და მოკავშირე. შემდგენელ-რედაქტორი ს. ადამია. თბილისი. გამომცემლობა ,,არტანუჯი".
გზამკვლევი 2002: გზამკვლევი, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი. თბილისი.
გზამკვლევი 2024: გზამკვლევი, ზუგდიდის დადიანების სასახლეები. ზუგდიდი.
ვარშალომიძე 2005: ვარშალომიძე ჯ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ბსუ ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, IV. ბათუმი. ბათუმის უნივერსიტეტის გამოცემა.
ზსიემ / ს.ა: დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის საკანცელარიო არქივის კოლექცია.
კალანდია 2006: კალანდია გ., გაძარცული საგანძური. თბილისი. გამომცემლობა ,,არტანუჯი".
კალანდია 2012: კალანდია გ., დადიანების სასახლე. ჟურნალი „სასახლის სახსოვარი". თბილისი.
ლამბერტი 1938: ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა. ტფილისი.

References and Sources

Adamia 1956: Adamia I.,Georgian Folk Architecture. Tbilisi.
Adamia 2023: Bertha fon Suttner, Our Friend and Ally. Compiled and edited by S. Adamia. Tbilisi. Publishing House. „Artanuj".
Guide 2002: Guide, Dadiani Palaces Historical and Architectural Museum, Tbilisi.
Guide 2024: Guide, Dadiani Palaces of Zugdidi, Zugdidi.
Kalandia 2006: Kalandia G., The Looted Treasure, Tbilisi, Artanuj Publishing House.
Kalandia 2012: Kalandia G., Dadiani Palace. Journal. Palace Memoirs. Tbilisi.
Lambert 1938: Lambert A., Description of Samegrelo. Tbilisi.
Varshalomidze 2005: Varshalomidze J. Georgian Academy of Sciences, Proceedings of the Batumi Niko Berdzenishvili Scientific and Research Institute IV, Batumi University Press, Batumi.
Zhem / Ch.A: Collection of the Chancellery Archive of the Manuscript Fund of the Dadiani Palaces Historical and Architectural Museum.

ილუსტრაციები



ილუსტრაცია №1
ნიკო დადიანისეული სასახლე




ილუსტრაცია №2
დედოფლისეული სასახლე



ილუსტრაცია №3
ლაზური აივანი



ილუსტრაცია №4
ლაზური აივანი



ილუსტრაცია №5
ლაზური აივნის კარი



ილუსტრაცია №6

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.27

ზოგიერთი თურქული ნასესხობა ქართულ სალიტერატურა ენასა და მეგრულში

SELECTED TURKISH LOANWORDS IN THE GEORGIAN LITERARY LANGUAGE AND IN MEGRELIAN

მაგდა ჩიქაბერიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
მანანა ხვინგია
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Magda Chikaberidze
Georgian Technical University
Tbilisi, Georgia
Manana Chvingia
Georgian National University
Tbilisi, Georgia

აბსტრაქტი

ქართულ სალიტერატურო ენაში მრავლად არის თურქული ნასესხობები, რაც საქართველოსა და თურქეთს შორის მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის შედეგია. აგრეთვე ბევრი თურქული სიტყვა დამკვიდრდა საქართველოს იმ კუთხეთა მეტყველებაში, რომლებიც თურქეთს ესაზღვრება ან მის შემადგენლობაში შედის და თურქეთის პირდაპირ გავლენას განიცდის. მაგალითად: აჭარულში, გურულში, მესხურში (სამცხურ-ჯავახურში), იმერხეულში...

ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ (1453) საქართველო და თურქეთი დამეზობლდნენ. თურქეთის გავლენა საქართველოზე გაიზარდა და ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო. მათ შორის ენებსაც. XVI-XVIII საუკუნეების ქართულ დოკუმენტურ წყაროებში ბევრი თურქული სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის ტერმინია. ამავე დროს არაერთი თურქული სიტყვა ზეპირი გზით გავრცელდა ქართულ დიალექტებში.

ჩვენ დავინტერესდით და გავეცანით თურქულ ნასესხობებს ქართულ სალიტერატურო ენასა და მეგრულში. კვლევამ ცხადყო, რომ ქართულმა სალიტერატურო ენამ გაცილებით მეტი თურქული სიტყვა შეითვისა, ვიდრე მეგრულმა. ამის მიზეზია ქართულ-თურქული სახელმწიფოებრივი ურთიერთობა, რომელიც, უპირველესად, სალიტერატურო ენაზე აისახა და შემდეგ მის დიალექტებზე.

ქართულ სალიტერატურო ენასა და მეგრულში გვხვდება ზომა-წონის, ფულის ერთეულის, საბრძოლო და სამუშაო იარაღის, პროფესიის / თანამდებობის / სოციალური სტატუსის, სამოსელისა და სხვათა აღმნიშვნელი ტერმინები. არაერთი თურქული სიტყვა სამუდამოდ დამკვიდრდა ქართულში, გაქართულდა. მათ გარეშე თანამედროვე ქართული ენა წარმოუდგენელია.

საკვანძო სიტყვები: სიტყვათა სესხება, თურქიზმები ქართულში, ნასესხობები მეგრულში.

ABSTRACT

The Georgian literary language contains numerous Turkish loanwords, resulting from the centuries-long political, economic, and cultural relations between Georgia and Turkey. Many Turkish words have become established in the speech of those Georgian regions bordering Turkey or historically falling within its sphere of influence—for example, the Adjarian, Gurian, Meskhetian (Samtskhe–Javakhetian), and Imerkhevian dialects.

After the fall of the Byzantine Empire (1453), Georgia and the Ottoman state became neighboring political entities. Turkish influence on Georgia intensified and extended to every sphere of life, including language.

Numerous Turkish socio-economic terms are attested in Georgian documentary sources dating from the sixteenth to the eighteenth centuries. At the same time, many Turkish lexical items spread through oral transmission into Georgian dialects.

The present research investigates Turkish loanwords in the Georgian literary language and in Megrelian. The study revealed that the Georgian literary language has assimilated far more Turkish lexical items than Megrelian. This may be explained by Georgian–Turkish political relations, which were reflected primarily in the literary language and subsequently in its dialects.

In Georgian literary language and Megrelian there are terms denoting units of weight and measure, monetary units, military and work tools, professions, offices, social status, clothing, and other categories. Many Turkish lexical borrowings have become permanently established in Georgian and have undergone full linguistic integration. Without them, the Modern Georgian language would be difficult to imagine.

Keywords: Lexical borrowing, Turkish loanwords in Georgian, loanwords in Megrelian.

შესავალი

ქართულ სალიტერატურო ენაში მრავლად არის თურქული ნასესხობები, რაც თურქეთთან მრავალსაუკუნოვანმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და კულტურულმა ურთიერთობამ განაპირობა. არაერთი თურქული სიტყვა დამკვიდრდა საქართველოს იმ კუთხეთა მეტყველებაშიც, რომლებიც თურქეთს ესაზღვრება ან ამჟამად მის შემადგენლობაში შედის

და თურქეთის პირდაპირ გავლენას განიცდის. მაგალითად, აჭარულში, გურულში, მესხურში (სამცხურ-ჯავახურში), იმერხეულში...

ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ საქართველო და თურქეთი დამეზობლდნენ. თურქეთის გავლენა საქართველოზე გაიზარდა და ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო. მათ შორის ენებსაც. XVI-XVIII საუკუნეების ქართულ დოკუმენტურ წყაროებში მრავლად გვხვდება თურქული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიკური ტერმინოლოგია. ამავდროულად, ბევრი თურქული სიტყვა ზეპირი გზით გავრცელდა ქართულ დიალექტებში.

მეთოდები

ჩვენ გავეცანით თურქულ ნასესხობებს ქართულ სალიტერატურო ენასა და მეგრულში. კვლევისას გამოვიყენეთ სიტყვათა შედარებითი და შეპირისპირებითი მეთოდები. კვლევამ ცხადყო, რომ ქართულმა სალიტერატურო ენამ გაცილებით მეტი თურქული სიტყვა შეითვისა, ვიდრე მეგრულმა. ამის მიზეზია ქართულ-თურქული სახელმწიფოებრივი ურთიერთობა, რომელიც, უპირველესად, სალიტერატურო ენაზე აისახება და შემდეგ მის დიალექტებზე.

მსჯელობა

ქართულ სალიტერატურო ენასა და მეგრულში ნასესხები თურქული ლექსიკური ერთეულების ნაწილი უცვლელად იხმარება როგორც ფორმობრივად, ისე მნიშვნელობის თვალსაზრისით, ნაწილი კი გარკვეულ ფონეტიკურ თუ სემანტიკურ დონეზე სახეცვლილია. განვიხილოთ სხვადასხვა დარგის ლექსიკა. (ეს ტექსტი დავამატე!)

ზომა-წონის აღმნიშვნელი ტერმინები

ბათმან-ი – მარცვლეულის, ფქვილის საწყაო ერთეული, დაახლოებით ნახევარ ფუთამდე (ზოგ კუთხეში). ერთი ბ. ლობიო (ჩიქობავა 1986: 56).

ბათმანი – მარცვლეულის საწყაო ერთეული. ამჟამად გავრცელებულია რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთსა და გურიაში. დაახლოებით ნახევარ ფუთამდე, სხვადასხვა კუთხეში მეტ-ნაკლები ტევადობისაა. ამ სიტყვის თურქული ადეკვატი **ბათმან-ი** დასტურდება ჯერ კიდევ მე-11 საუკუნის თურქულ ტექსტებში (რუხაძე 1988: 144).

ბათმანი (მეგრ.) – ნახევარფუთიანი საწყაო მარცვლეულისათვის (ქობალია 2010).

თოფ-ი – მთლიანი ქსოვილი, ბრტყლად დახვეული; ქსოვილის ზომის მსხვილი ერთეული. სამი თ. ჩითი (ჩიქობავა 1986: 241).

თოფი (მეგრ.) – ქსოვილისი ზომის ერთეული (ქაჯაია 2009).

ჩანახ-ი – 1. გულამოღებული ხის (ან თუნუქისაგან გაკეთებული) ცილინდრული ჭურჭელი გარკვეული ზომისა მარცვლეულისათვის (ან ფქვილისათვის); იყენებენ საწყაოდაც. 2. ამ საწყაოს წონისა (დაახლოებით ნახევარი ფუთი). ერთი ჩ. ლობიო (ჩიქობავა 1986: 523).

შდრ. ჩანახი (მეგრ.) – ნახევარი ფუთის საწყაო (ქობალია 2010).

ფულის ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინები

უზალთუნ-ი (ძვ.) – ათი კაპიკი; ათკაპიკიანი. ვერცხლის უზალთუნი (ჩიქობავა 1986: 426).

შდრ. „უზალთუნი“ მეგრულში არ გვხვდება.

ფარა (ძვ.) – 1. უმცირესი ფულის ერთეული, კაპიკი. 2. (საუბ.) საერთოდ, ფული. გახვრეტილი ფარა (საუბ.) იტყოდნენ ძალიან ცოტა ფულზე (ჩიქობავა 1986: 442).

ფარა – ფული. თეშოთ მილიონი მუთა ფარა რე: ქხს, 1, გვ. 58 – ამისთვის მილიონი არაფერი ფულია. ა, სქანი ფარავა: მ. ხუბ., გვ. 53 – ა, შენი ფულიო. შდრ. ლაზ. ფარა ფული (ნ. მარი) (ქაჯაია 2002).

საბრძოლო / სამუშაო იარაღის აღმნიშვნელი ტერმინები

თოფ-ი – ხელის გრძელლულიანი ცეცხლსასროლი იარაღი (ჩიქობავა 1986: 241). **თოფ-იარაღ-ი** – თოფი და სხვადასხვა საბრძოლო იარაღი (იქვე: 242).

თოფი (მეგრ.) – თოფი (იარაღი), თოფი (ფართლისა) (ქობალია 2010).

იარაღ-ი – 1. რაიმე სამუშაოს შესასრულებლად საჭირო საგანი ან მოწყობილობა, ხელსაწყო, 2. ბრძოლისა და თავდაცვის საშუალება (თოფი, ზარბაზანი, ხმალი, ხანჯალი და მისთ.) (ჩიქობავა 1986: 244).

იარაღი – რაიმე სამუშაოს შესასრულებლად საჭირო საგანი ან მოწყობილობა: საბა ორბელიანთან – მეომართა აღსაკაზმავი გინა ცხენთა და მჭედელთა; ქართული **იარაღ** სიტყვა იგივე უნდა იყოს, რაც აზერბაიჯანული **იარაგ** და თურქული **იარაკ** (რუხაძე 1988: 148)

შდრ. **იარაყი** (მეგრ.) – იარაღი, საჭურველი (ქობალია 2010).

იატაგან-ი (ძვ.) – მოკლე მოღუნული ორპირი მახვილი (ჩიქობავა 1986: 244).

შდრ. „**იატაგანი**“ მეგრულში არ გვხვდება.

ფალია – 1. ძველებური კაჟიანი თოფის (დამბაჩის) ის ადგილი, სადაც თოფისწამალს აყრიდნენ და ნაპერწკალი ჩნდებოდა. 2. თვით თოფისწამალი. ფალიამ აიარა – ფალია აინთო (ჩიქობავა 1986: 441).

ფალია (მეგრ.) – ფალია (ქაჯაია 2002).

ფინდიხ-ი – მსხვილი სასროლი ტყვია (ჩიქობავა 1986: 446).

ფინდიხი (მეგრ.) – ფინდიხი; სისწრაფე, სიმარდე; ჯირითის სახეობა (ქობალია 2010).

ყამა (კუთხ.) – მრავალწვერა სატევარი (ჩიქობავა 1986: 464).

ყამა – ყამა, სატევარი, ხანჯალი. ათე ჩქიმი წვანდამი *ყამათ* გოუსოფუ შქაშა დუცუ „ამ ჩემი წვერიანი ხანჯლით გავუჩეხ (გავუხეთქ) შუაზე თავს“ (ქაჯაია 2002).

ყამა (მეგრ.) – სატევარი (ქობალია 2010).

ყუმბარა – მსკდომი ჭურვი (ჩიქობავა 1986: 468).

შდრ. სიტყვა „ყუმბარა“ მეგრულში არ დასტურდება.

ურო – 1. დიდი ჩაქუჩი. 2. მოზრდილი ჩაქუჩის მსგავსი სპორტული იარაღი სატყორცნად (ჩიქობავა 1986: 432).

ურო – დიდი ჩაქუჩი... პირდაპირ კავშირში უნდა იყოს თურქულ ენებში საკმაოდ გავრცელებულ სიტყვასთან – **ურმაქ** (ცემა, დარტყმა) ძველი თრუქული ენის ლექსიკონში ფიქსირებულია **ურგუ** – „იარაღი, რომლითაც ცემენ“ (რუხაძე 1988: 149).

ურო (მეგრ.) – ურო. ურომ ნარანჯეფი „უროთი ნაცემი“ (ქობალია 2010).

ჩაქუჩ-ი – ხისტარიანი რკინის იარაღი; იყენებენ ლურსმნის ჩასარჭობად, საჭედად და სხვა (ჩიქობავა 1986: 527).

ჩაქუჩი (მეგრ.) – ჩაქუჩი; ჩაქუჩ-კვახჩა-ქულამური – მჭედლის ატრიბუტები, სამჭედლო (სიტყვასიტყვით: ურო, საბერველი და გრდემლი) (ქობალია 2010).

ჩიხრიხ-ი – მოწყობილობა ბამბის კურკის გამოსარჩევად (ჩიქობავა 1986: 533).

ჩიხრიხი (მეგრ.) – ჩიხრიხი, მოწყობილობა ბამბის კურკის გამოსარჩევად (თურქ.) (ქობალია 2010).

პროფესიის, თანამდებობის, სოციალური სტატუსის აღმნიშვნელი ტერმინები

ბეგ-ი – (ძვ.) ფეოდალი, მემამულე (აზერბაიჯანელებში, თურქებში) (ჩიქობავა 1986: 59).

„ბეგი“ ამ მნიშვნელობით მეგრულში არ დასტურდება.

ყაენ-ი – (ისტ.) მეფის ტიტული აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში (ჩიქობავა 1986: 464).

ყაენი – ყენი, ყენპატონი – მთავარი, ბატონი (გადატ.) (ქობალია 2020: 816).

ყაზახ-ი – (ძვ. კუთხ.) გლეხი (ჩიქობავა 1986: 464).

შდრ. მეგრ. **ყაზახი / ყაზაყი** – ყაზახი; გლეხი; ვაჟკაცი; კეთილშობილი (ქაჯაია 2002); შდრ. ყაზახი – მდაბიო, გლეხი; ყაზაყი – ვაჟკაცი, მამაკაცი (ქობალია 2010).

ყარაულ-ი – 1. შეიარაღებული მცველი, დარაჯი, გუშაგი. 2. შეიარაღებულ პირთა ჯგუფი, რომელიც სადარაჯო სამსახურს ეწევა (ჩიქობავა 1986: 465).

ყარული (მეგრ.) – დარაჯი, ყარაული. ბავშვი რომ მარტო რჩებოდა, დედა აკვანზე ჯოხს მიაყუდებდა ავსულისგან დასაცავად, ამ ჯოხს ერქვა ყარაული (ქობალია 2010).

საყოფაცხოვრებო ნივთები

თოკ-ი – მსხვილად ნაგრეხი რამდენიმე წვერი კანაფი, სელი და მისთ. (ჩიქობავა 1986: 241).

თოკი (მეგრ.) – თოკი (ქობალია 2010).

თულუხ-ი – (ძვ.) წყლის საზიდავი (ცხენით და მისთ.) რუმბი ან კასრი, 2. დიდი თუნგი (იციან მთაში) (ჩიქობავა 1986: 242).

შდრ. **თულუხი** (მეგრ.) – მძლავრი, გოლიათი; დიდი თუნგი (ქობალია 2010).

შინაური ცხოველების აღმნიშვნელი სიტყვები

ბუღა – დაუკოდავი ხარი (კამეჩი), რომელსაც სანაშენედ ინახავენ, კურო (ჩიქობავა 1986: 65).

ბუღა – დაუკოდავი ხარი, კამეჩი, რომელსაც ინახავენ სანაშენოდ. თურქ. ბუღა < ქართ. ბუღა. ძველი თურქული ენის ლექსიკონის თანახმად, დადასტურებულია მაჰმუდ ქაშგარელთან (რუხაძე 1988: 146).

ბუღა (მეგრ.) – ბუღა, კურო (ქაჯაია 2001); ბუღაია – პატარა ბუღა (მოზარდს გამოაჯავრებენ) (ქობალია 2010).

იორღა – კარგად მოსიარულე ცხენი, თოხარიკი (ჩიქობავა 1986: 250).

იორღა (მეგრ.) – იორღა (ქობალია 2010).

გასტრონომიული ტერმინები

ქვიშნა – (კუთხ.) ალუბალი (ჩიქობავა 1986: 456).

ქვიშნა (მეგრ.) – ქვიშნა, ალუბალი, უგრეხელზეც იტყვიან; ქვიშნაბული – ალუბალი (ქობალია 2010).

ხიზილალა [სპ.-თურქ.] – თევზის ქვრითი, საჭმელად გამზადებული (ჩიქობავა 1986: 580).

ხიზილალა (მეგრ.) – ხიზილალა (ქობალია 2010).

სამოსელის აღმნიშვნელი სიტყვები

თივთიკ-ი – 1. თხის, ცხვრის, სიასამურის, კვერნის და ზოგი სხვა ცხოველის წვრილი და ნაზი ბალანი, ამოსული მქისე ფაცახის ქვეშ, 2. ამ ბეწვისაგან დამზადებული ქსოვილი. თივთიკის ჩოხა. თივთიკის ყაბალახი, 3. იგივეა, რაც გერმა. თივთიკის ბალიში (ჩიქობავა 1986: 241).

შდრ. მეგრ. **თიფთიკი** – თივთიკი (ქობალია 2010).

ქეჩ-ი – (კუთხ.) იგივეა, რაც ბოტი (ჩიქობავა 1986: 454).

ქეჩი (მეგრ.) – თხა, ყოჩი (იგივეა, რაც ქენჩი); ქენჩი – ფარის, ნახირის წინამძღოლი, ყოჩი; ფრენია, ხტუნია; ავარდნილი, რქიანი (გადატ.) (ქობალია 2010).

ქეჩა – იგივეა, რაც ნაბადი (ჩიქობავა 1986: 454).

ქეჩა (მეგრ.) – თექა, შეუღებავი ნაბადი (ქობალია 2010).

ჩექმა – მაღალყელიანი ფეხსაცმელი, წაღა (ჩიქობავა 1986: 531).

ჩექმა (მეგრ.) – ჩექმა (ქობალია 2010).

ზედსართავი სახელები

დინჯ-ი – 1. დარბაისელი, მშვიდი, წყნარი (ადამიანი), 2. აუჩქარებელი, აუღელვებელი, დარბაისლური (ქცევა, ლაპარაკი) (ჩიქობავა 1986: 213).

დინჯი – დარბაისელი, მშვიდი, წყნარი. ზმნზ. დინჯად, ნაწარმოები ზმნები: დინჯდება, დინჯობა (ქეგლ); არ დასტურდება ეს სიტყვა არც ს.-ს. ორბელიანისა და არც ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში, რაც მეტყველებს მის მოგვიანო ხანის ნასესხობაზე ქართულ ენაში. ქართ. დინჯი < თურქ. დინჩ. (რუხაძე 1988: 146).

შდრ. მეგრ. **თინჩი** – დინჯი, მშვიდი, დარბაისელი; **თიჯ/თ□ჯ** – დინჯი (ქობალია 2010).

ლაფაჩ-ი – ნელი, ზანტი; დოყლაპია (ჩიქობავა 1986: 275).

შდრ. მეგრ. ლოფოჩო – გაღლეტილი; ხის, უპირატესად, ბლის ქერქი; ქვევრის სარქველი ბლის ქერქისაგან; ყრუ-მუნი; უდარდელი, ყურს რომ არაფერზე შეიფერთხავს (გადატ.) (ქობალია 2010).

სხვა ნასესხობები: ომახიანი – რიხიანი, ვაჟკაცური, ძლიერი; **ოინბაზი** – თვალთმაქცი, ეშმაკი, მატყუარა; **ფინთი** (საუბ.) – ცუდი, უვარგისი; **ქორფა** – ახალი, ნორჩი; **ყირმიზი** – წითელი; **შლეგი** – გიჟი, გადარეული, ფეთიანი...

ქართულ სალიტერატურო ენაში აგრეთვე მრავლად გვხვდება **პროფესიის, თანამდებობის, სოციალური სტატუსის** აღმნიშვნელი თურქული წარმოშობის სიტყვები. ესენია: **თოქმაჩი** – უროს მცემელი სამჭედლოში; **თულუხჩი** – მეთულუხე; **იანიჩარი** – პრივილეგირებული ქვეითი ჯარი სულთნის თურქეთში XIV-XIX სს-ში; **იასაული** – რევოლუციამდე პოლიციის მოხელე სოფელში; **უზბაში** – ასისთავი, მამასახლისი; **ფაშა –** უმაღლესი სამხედრო ან სამოქალაქო წოდებულება ძველად ოსმალეთში, ეგვიპტეში და ზოგ მუსლიმანურ ქვეყანაში; **ყარაჩოღელი** (ყარაჩოხელი) – ძველ თბილისში ვაჭარი ან ხელოსანი; **ყაჩაღი** – შეიარაღებული თავდამსხმელი, მძარცველი, ავაზაკი; **შამანი** – მკურნალ-ჯადოქარი, რომელიც თითქოს სულების დახმარებით კურნავს ავადმყოფებს; **ჩარჩი –** გამყიდველი, ქორვაჭარი, სპეკულანტი; **ხანი** – მეფე, მთავარი ზოგიერთი თურქი და მონღოლი ხალხისა...

სამოსელის აღმნიშვნელი სიტყვები: **ლაფჩინი** (კუთხ.) – წაღა ერთგვარი; **ფოსტალი** – ფლოსტი; **ქულაჯა** – მამაკაცის ზედა სამოსელი

ძვირფასი ქსოვილისა, ბეწვმოვლებული; **ქურქი** – თბილი (საზამთრო) ზედა ჩასაცმელი ბეწვეულისა; **ყაბალახი** – რბილი ქსოვლისი წოწოლა გრძელტოტებიანი თავსაბურავი, ჩვეულებრივ, მამაკაცისა; **ჩალმა** – თავზე შემოსახვევი საბურველი მამაკაცისა მუსლიმანურ ქვეყნებში; **ჩოხა** – 1. მამაკაცის ზედა ტანსაცმელი, წელში გამოყვანილი, ღრმად გულამოჭრილი; აქვს მაჯამდე ჩახსნილი სახელოები და განიერი კალთები; იცვამენ ახალუხს ზევიდან...

გასტრონომიული ტერმინები: არტალა – ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილი ან ამ ნაწილისაგან დამზადებული წვნიანი შეჭამანდი; **ბურღული** – პურეულის მსხვილად დაღერღილი მარცვალი; **ტოლმა –** დაკეპილი ხორცი ბრინჯით და სხვადასხვა სანელებლით შეზავებული, კომბოსტოს ან ვაზის ფოთოლში გუნდ-გუნდად შეხვეული და წვენში მოხარშული; **ყაურმა** – თავისსავე ქონში მოხრაკული ხორცი ხახვით; **ყაღი** – დამარილებული გამხმარი ხორცი, **ჩაროზი** – დესერტი...

საუკუნეების განმავლობაში, საქართველოს მიმართ თურქეთის აგრესიული პოლიტიკის მიუხედავად, ქართველ და თურქ ხალხებს შორის ურთიერთობა გამყარდა, რაც ენებზეც აისახა. ბევრი თურქული სიტყვა ქართულში სამუდამოდ დამკვიდრდა, გაქართულდა. მაგალითად: ბუღი, ბოღმა, დინჯი, თუთუნი, თოკი, იარა, იარლიყი, მაზუთი, ოინი, ოჯახი, ქორფა, ყადაღა, ყუთი, ჩალიჩი, ჩიბუხი, ხარდანი... მათ გარეშე თანამედროვე ქართული ენა წარმოუდგენელია.

გამოყენებული ლიტერატურა

რუხაძე 1988: რუხაძე ლ., ზოგიერთი თურქული ნასესხობის შესახებ ქართულში. ჟურნალი „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №4.

ქაჯაია 2001-2009: ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ოთხ ტომად. თბილისი, ტ. I – 2001, ტ. II-III – 2002, ტ. IV – 2009. გამომც. „ნეკერი“, „ინოვაცია“.

ქობალია 2010: ქობალია ა., მეგრული ლექსიკონი. თბილისი. გამომც. „არტანუჯი“.

ქობალია 2020: ქობალია ა., ქართულ-მეგრული ლექსიკონი. თბილისი. გამომც. „არტანუჯი“.

ჩიქობავა 1986: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული. მთავარი რედაქტორი არნ. ჩიქობავა. თბილისი.

References

Chikobava 1986: Explanatory Dictionary of the Georgian Language, single-volume edition. Chief Editor: Arn. Chikobava. Tbilisi.

Kajaia 2001-2009: Kajaia O., Mingrelian–Georgian Dictionary, Tbilisi, Vol. I – 2001, Vol. II-III – 2002, Vol. IV – 2009. Publishing Houze “Nekeri“, „Inovacia”.

Kobalia 2010: Kobalia A., Mingrelian Dictionary. Tbilisi. Publishing Houze “Artanuji“

Kobalia 2020: Kobalia A., Georgian–Mingrelian Dictionary. Tbilisi. Publishing Houze “Artanuji“.

Rukhadze 1988: Rukhadze L. On Some Turkish Loanwords in Georgian. Matsne, Series of Language and Literature, №4. Tbilisi.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.28

ორჰან ფამუქის მხატვრული პროზის რეცეფცია ქართულ ლიტერატურულ სივრცეში

THE RECEPTION OF ORHAN PAMUK'S FICTION IN THE GEORGIAN LITERARY CONTEXT

მანანა ჭიჭინაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Manana Chichinadze
Akaki Tsereteli State University
Kutais, Georgia

აბსტრაქტი

სტატიაში წარმოჩენილია თურქი ნობელიანტი მწერლის – ორჰან ფამუქის მხატვრული პროზის რეცეფცია ქართულ ლიტერატურულ სივრცეში. კვლევის მიზანია, წარმოაჩინოს, როგორ იქნა აღქმული პოსტმოდერნისტული ხედვით გამორჩეული ორჰან ფამუქის ტექსტები ქართველ მკვლევართა, მთარგმნელთა და ლიტერატურით გატაცებულ მკითხველთა მიერ. ანალიზის საფუძველს წარმოადგენს ის მრავალრიცხოვანი მასალა, რომელიც წლების განმავლობაში ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო სივრცეში.

ჩვენს ხელთ არსებული მასალის შესწავლამ აჩვენა, რომ ორჰან ფამუქი თურქულ ლიტერატურაში ეპოქალურ მოვლენად და თურქული ლიტერატურის მოდერნიზების კატალიზატორადაა აღიარებული. თურქული პროზა მან გლობალურ ლიტერატურულ კონტექსტში წარმოაჩინა. აქედან გამომდინარე, მისით ქართველი მკითხველის გატაცება არც მოდურია და არც ნობელის პრემიით განპირობებული ტენდენცია. იგი ღრმად ფესვგადგმული კულტურულ-ისტორიული და ლიტერატურული პროცესების შედეგია. მისი ტექსტები ერთგვარი „ემოციური ხიდის“ როლს ასრულებენ ქართულ კულტურასთან მიმართებით.

სტატიაში დასახელებულ ავტორთა შეფასებები ეხება არა მარტო ო. ფამუქის მხატვრული პროზის ქართულ თარგმანებს, არამედ მთელ ლიტერატურულ ეკოსისტემას – თარგმნის პოლიტიკას, კულტურულ ინიციატივებსა და იმ საერთო გარემოს, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ შემოდის მსოფლიო ლიტერატურა ქართულ კულტურულ სივრცეში. ორჰან ფამუქის მაგალითი ნათლად აჩვენებს, რომ, მიუხედავად სირთულეებისა, საქართველოს აქვს პოტენციალი, აქტიურად ჩაერთოს თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებში, რასაც ადასტურებს ის მრავალრიცხოვანი

კვლევები, რომელთა მიხედვითაც ო. ფამუქი კულტურათაშორისი დიალოგის ერთ-ერთი საინტერესო, გამორჩეული მწერალია.

ორჰან ფამუქის შემოქმედება, როგორც ქართულმა კრიტიკამ აჩვენა, არა მხოლოდ ლიტერატურული, არამედ ფილოსოფიურ-ცივილიზაციური დიალოგის ფორმაა, სადაც აღმოსავლეთი და დასავლეთი თანაარსებობენ ჰუმანისტური სამყაროს საერთო სივრცეში.

საკვანძო სიტყვები: ორჰან ფამუქი, პოსტმოდერნიზმი, თურქულ–ქართული ლიტერატურული ურთიერთობები, თარგმანი, რეცეფცია.

ABSTRACT

The present article examines the reception of the fiction of the Turkish Nobel Prize-winning author Orhan Pamuk within the Georgian literary context. The study aims to demonstrate how Pamuk's texts—marked by a distinctive postmodernist vision—have been perceived by Georgian scholars, translators, and readers passionate about literature. The analysis is based on the extensive material that has been published in the Georgian literary field over many years.

An examination of the available materials shows that Orhan Pamuk is widely recognized in Turkish literature as an epochal figure and as a catalyst for its modernization. Through his work, Turkish prose gained greater visibility within the context of global literary processes. Therefore, the Georgian readership's interest in Pamuk's works is neither a matter of literary fashion nor a tendency driven solely by the Nobel Prize; rather, it stems from long-established cultural, historical, and literary processes. His texts thus act as an "emotional bridge" in relation to Georgian culture.

The evaluations presented by the authors discussed in the article address not only the Georgian translations of Orhan Pamuk's fiction, but also the wider literary ecosystem: translation policy, cultural initiatives, and the overall environment that determines the ways in which world literature becomes integrated into the Georgian cultural context. The example of Orhan Pamuk clearly demonstrates that, despite certain challenges, Georgia has the capacity to engage actively in contemporary literary processes. This is evidenced by numerous studies that regard Pamuk as a distinguished and influential figure fostering intercultural dialogue.

As demonstrated by Georgian literary criticism, Orhan Pamuk's oeuvre constitutes not merely a literary undertaking but also a mode of philosophical and civilizational dialogue—a discursive space wherein East and West coexist and interact within a shared humanistic framework.

Keywords: Orhan Pamuk, postmodernism, Turkish–Georgian literary relations, translation, reception.

შესავალი

თურქული პოსტმოდერნისტული ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული რომანისტი ორჰან ფამუქი სალიტერატურო კრიტიკაში ცნობილია, როგორც აღმოსავლურ ფესვებზე ამოზრდილი და დასავლური მსოფლხედვის მქონე ის მწერალი, რომელმაც შეძლო „აღმოსავლური კულტურისა და დასავლური ესთეტიკის სინთეზის“ საფუძველზე შექმნილი თავისი მხატვრული სამყარო მთელი მსოფლიოს ინტერესის საგნად ექცია. მის ნაწარმოებებში სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის მკითხველი ეძებს თავის პასუხებს იდენტობის, კულტურული და ისტორიული მეხსიერების, ტრადიციებისა და თანამედროვე გამოწვევების შესახებ. ამიტომაცაა იგი პოპულარული როგორც საკუთარ სამშობლოში, ისე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

ორჰან ფამუქის ნაწარმოებები სამოცზე მეტ ენაზეა თარგმნილი. მისი შემოქმედებისადმი ინტერესს ისიც განაპირობებს, რომ მას მიღებული აქვს წამყვანი თურქული და საერთაშორისო ჯილდოები, ნობელის პრემიის ჩათვლით.

მისი რომანები ითარგმნა და დაიბეჭდა ისეთ ცნობილ გამომცემლობებში, როგორებიცაა: „დიოგენე“, „ინტელექტი“, „წიგნები ბათუმში“ და სხვ. მისმა რომანებმა: „წყვდიადი და სინათლე“, „ჩუმი სახლი“, „თეთრი კოშკი“, „ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟები“, „შავი წიგნი“, „ახალი ცხოვრება“, „მე მქვია წითელი“, „თოვლი“, „უმანკოების მუზეუმი“ და სხვა ქართველი მკითხველის დიდი დაინტერესება გამოიწვია, რაც მკაფიოდ აისახა როგორც ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, ისე, ზოგადად, ქართულ ინტერნეტსივრცეში.

სტატიაში შევეცადეთ წარმოგვეჩინა, თუ როგორ იქნა აღქმული თურქი მწერლის ტექსტები ქართველ მკვლევართა და მთარგმნელთა მიერ. ანალიზის საფუძველს წარმოადგენს ის მრავალრიცხოვანი მასალა, რომელიც წლების განმავლობაში ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო სივრცეში.

კვლევის მეთოდები

წარმოდგენილი ნაშრომი ემყარება აღწერით, შედარებით-შეპირისპირებით, ტიპოლოგიურ, ანალიზის, სინთეზის, ინტერ-ტექსტუალური მიდგომებისა და კონცეფციების თეორიული ანალიზის მეთოდებს.

მსჯელობა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორჰან ფამუქის მხატვრული შემოქმედებით ერთნაირად დაინტერესდა ქართველი ლიტერატურათმცოდნეები და, ზოგადად, ლიტერატურის მოყვარული ადამიანები, რომელთა მონოგრაფიებში, სტატიებსა და გამოხმაურებებში სხვადასხვა ასპექტითაა დანახული და შეფასებული მწერლის მხატვრული პროზა. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს რ. ხომერიკის, ს. ალთუნის, თ. ფარულავას, ა. ნიკოლეიშვილის, ე. ჯაველიძის, შ. მახაჭაძის, ი. ტაველიძის, მ. გაფრინდაშვილის, ლ. ჩლაიძის, ნ. ჯანაშიას, თ. ალფენიძის, ქ. ტომარაძის, თ. კახიძის, ლ. ღლონტის, მ. ხარბედიას, ი. ახვლედიანის, რ. ჯაიანის, გ. ლობჟანიძისა და სხვა ავტორთა ნააზრევი.

ორჰან ფამუქის რომანების თემატიკასა და სტრუქტურაზე სადოქტორო ნაშრომი მოამზადა **თამარ ალფენიძემ**. „თანამედროვე თურქული რომანის ქართული თარგმანების ძირითადი პრობლემები მთარგმნელობითი თეორიის ფონზე“ იკვლია ეკატერინე ახლედიანმა; მისი პროზის ინტერტექსტუალობის ასპექტები გააანალიზა ელენე ჯაველიძემ; რომანები: „მე წითელი მქვია“ და „წითური ქალი“ ინტერტექსტუალობის ტიპოლოგიისა და ფუნქციური ანალიზის კუთხით შეისწავლა მაკა სუსარეიშვილმა, ხოლო აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის პრობლემა ელიფ შაფაქისა და ორჰან ფამუქის პროზის მაგალითზე მკაფიოდ წარმოაჩინა შორენა მახაჭაძემ; რელიგიური თემები, რიტუალები და ისლამური ტრადიციები თუ როგორაა გადმოტანილი ორჰან ფამუქის რომანების ქართულ თაგმანებში, იკვლია ირმა ახვლედიანმა. რომანების სტილისტიკური და სემანტიკური ანალიზი შემოგვთავაზეს თინათინ კახიძემ, ლანა ღლონტმა და სხვ.

ქართულ ენაზე თურქული პოსტმოდერნისტული ლიტერატურის თარგმანის პირველი სიღრმისეული მეცნიერული ანალიზი ეკუთვნის **რუსუდან ხომერიკს,** რომელმაც 2019 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „პოსტმოდერნისტული ტექსტის თარგმნის პრობლემები (ორჰან ფამუქის რომანების „მე წითელი მქვია“ და „შავი წიგნის“ ქართული თარგმანების მიხედვით)“. ნაშრომში ნათლად და მკაფიოდაა წარმოჩენილი, რაოდენ რთულია ორჰან ფამუქის პოსტმოდერნისტული რომანების ქართულად თარგმნა, რაც, როგორც მკვლევარი მიუთითებს, განპირობებულია პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი ინტერტექსტუალური, პარატექსტუალური, მეტატექსტუალური, ჰიპერტექსტუალური და არქიტექსტუალური ელემენტების გადმოტანის სირთულეებით.

ნაშრომი მეცნიერულად ასაბუთებს, რომ თურქული პოსტ-მოდერნისტული ტექსტების ქართულად თარგმნისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თარგმნის ადეკვატურობის პრინციპის დაცვას, რაც, რა თქმა უნდა, გულისხმობს ორიგინალი ტექსტის შინაარსობრივი და სტილისტური მახასიათებლების შენარჩუნებას — ეროვნული კოლორიტის, კულტურული კოდის, ალუზიებისა და ლიტერატურული ინტერტექსტების ზუსტ გადმოტანას ქართულ ენაში, რაც მთარგმნელის მხრიდან მოითხოვს როგორც ენების ღრმა ცოდნას, ისე კულტუროლოგიურ და ლიტერატურათმცოდნეობით კომპეტენციებსაც.

რ. ხომერიკის კვლევით დასტურდება, რომ მთარგმნელებმა - ლ. ჩლაიძემ და ნ. ჯანაშიამ თარგმნის ადეკვატურობის პრინციპის გამოყენებით, სარკისებური თარგმანის, კალკირებისა და კომენტირების მეთოდებით შეუნარჩუნეს ტექსტებს შინაარსობრივი და სტილისტური იდენტურობა, რამაც განაპირობა შედეგად მიგვეღო ორიგინალის ტოლფასი მხატვრული თარგმანები. ლ. ჩლაიძისა და ნ. ჯანაშიას მიერ შესრულებული ორჰან ფამუქის რომანების ქართული თარგმანები წარმოაჩენს მთარგმნელთა სიღრმისეულ ცოდნას ენებისას, კულტურათაშორისი დიალოგის მაღალ ხარისხს, მათ მიერ გამოყენებული სტრატეგიების ეფექტურობას.

რიტა ჯაიანიც თავის სტატიაში – „ლიტერატურული თარგმანის ტენდენციებისთვის“ თურქული ლიტერატურით ქართველთა

დაინტერესებას ქართველ მთარგმნელთა ღრმა პროფესიონალიზმით ხსნის. ავტორი სტატიაში თარგმანებს ახასიათებს როგორც ხალხთა შორის კომუნიკაციის ერთ-ერთ ფორმას, რაც განპირობებულია სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური თუ კულტურათშორისი ინტერესებით. შორეული წარსულიდან მოყოლებული, ჩვენი ქართველი წინაპრები სწორედ ამის გათვალისწინებით არჩევდნენ სათარგმნელ თხზულებებს, რომლებშიც „ხედავდნენ და პოულობდნენ პასუხს მათთვის საჭირბოროტო და სასიცოცხლო საკითხებზე“ (კეკელიძე 1979: 19). ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ი. ჭავჭავაძის წერილი: „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის კოზლოვიდან „შეშლილის“ თარგმანზედა“, რომელშიც ილიამ რ. ერისთავი სწორედ იმის გამო გააკრიტიკა, რომ მის მიერ შერჩეული ნაწარმოები არც თემის აქტუალობით გამოირჩეოდა და არც თარგმანის ხარისხით.

ამ მხრივ, სულ სხვა ვითარებაა დღეს. უნდა ვაღიაროთ, რომ სწორედ ქართველ მთარგნელთა დიდი დამსახურებაა ორჰან ფამუქის შემოქმედებით ქართველი მკითხველის ამგვარი დაინტერესება.

ამაზე მეტყველებს რ. ჯაიანის ზემოხსენებულ სტატიაში ავტორის დაკვირვება იმაზე, რომ ბოლო წლებში ლიტერატურულ კონკურსზე „საბა“ წარდგენილ წიგნთა რაოდენობა გაიზარდა თარგმნილი ლიტერატურის ხარჯზე. ამის მაგალითად ასახელებს ორჰან ფამუქის შემოქმედებას, რასაც ქართველი მთარგმნელების დამსახურებად მიიჩნევს. მკვლევრის აზრით, თურქული ლიტერატურით, კერძოდ, ო. ფამუქით ქართველთა ამგვარი დაინტერესება განპირობებული უნდა იყოს ქართულ და თურქულ კულტურებს შორის მსგავსებით. გარდა ამისა, საქართველოსა და თურქეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორიით, რამაც გარკვეული კვალი დატოვა ქართულ კულტურასა და, ზოგადად, ქართველი ხალხის ცნობიერებაში.

ორჰან ფამუქის მხატვრული პროზის შესახებ მნიშვნელოვანი კვლევა შემოგვთავაზა **სუდან ალთუნმა** თავისი სადისერტაციო ნაშრომით – „მეოცე საუკუნის თურქულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები და აჰმეთ მითჰათ ეფენდის შემოქმედება“. მკვლევარი, მიმდინარე ქართულ-თურქულ ურთიერთობებზე მსჯელობისას, თურქეთში პოსტმოდერნისტული ლიტერატურის განვითარება-გაძლიერებას სრულიად სამართლიანად უკავშირებს ოღუზ ათაისა და ორჰან ფამუქის სახელებს. ს. ალთუნიც, სხვების მსგავსად, თურქული პოსტმოდერნისტული ლიტერატურის წინამძღოლად ორჰან ფამუქს მიიჩნევს, რომელიც აერთიანებს აღმოსავლურ და დასავლურ კულტურულ პარადიგმებს. კვლევა იმ მხრივაც იპყრობს მკითხველის ყურადღებას, რომ მასში წარმოჩენილია სხვადასხვა ავტორთა მიერ ორჰან ფამუქის შემოქმედების განსხვავებული ასპექტები, რაც მთლიანობაში ქმნის მწერლის, როგორც ლიტერატურული ფენომენის კომპლექსურ პორტრეტს.

თურქული ლიტერატურის მკვლევარი და ცნობილი მთარგმნელი თამარ ალფენიძე შენიშნავს, რომ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობასა და კრიტიკაში თანამედროვე თურქულ ლიტერატურაზე კრიტიკული წერილები თითქმის არ არსებობს. ეს მაშინ, როცა ლიტერატურის კრიტიკოსისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თუ როგორ, რა

თავისებურებებით წარმოჩინდა თურქულ ლიტერატურაში მსოფლიო ლიტერატურის განვითარების საფეხურები, რასაც თურქული საზოგადოების ეროვნული წარსულის გაგებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს (ალფენიძე 2006: 12).

ს. ალთუნი იმეორებს მ. გაფრინდაშვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ორჰან ფამუქის რომანების მთავარი მახასიათებელი აღმოსავლურ-დასავლური სამყაროს შეხვედრაა და „მისი პოსტმოდერნისტული რომანის ლაიტმოტივი – ევროპულობისაკენ სწრაფვა და გულისწყვეტა იმაზე, თუ დღემდე რატომ ვერ გახდნენ თურქები ევროპელები“ (გაფრინდაშვილი 2017: 1).

როგორც ორჰან ფამუქის მხატვრული პროზიდან ჩანს, მწერლის ხედვა ამ ორ სამყაროს შორის გადაულახავ უფსკრულს კი არა, რადიკალური სხვადასხვაობის მიუხედავად, შეხების წერტილების მოძებნას გულისხმობს, რაზეც მეტყველებს ს. ალთუნის კვლევაში საგანგებოდ ხაზგასმული **ნინო ვახანიას** შეხედულება იმის თაობაზე, რომ ო. ფამუქი თავის ნაწარმოებში – „თეთრი ციხესიმაგრე“ რადიკალურად კი არ მიჯნავს აღმოსავლეთსა და დასავლეთს ერთმანეთისაგან, არამედ ახმოვანებს ერთიანობაში მათი აღქმის იდეას. ამასთან დაკავშირებით, ნ. ვახანია ეთანხმება მწერლის პოზიციას, რომ ღმერთმა ეს მრავალფეროვანი ქვეყანა საცხოვრებლად მისცა ადამის მოდგმას, მიუხედავად მათი განსხვავებულობისა. მისი აზრით, „ნებისმიერი მცდელობა კაცობრიობის გაყოფა-დაყოფისა კანის ფერის, რელიგიური აღმსარებლობისა, ეროვნული თუ სხვა ნიშნით, ხელოვნურია და საბოლოო ჯამში – დამღუპველი ... აღმოსავლეთი აღმოსავლეთია და დასავლეთი – დასავლეთი და ისინი აუცილებლად უნდა შეხვდნენ, საკუთარი სპეციფიკის, განსაკუთრებულობის შენარჩუნებით“ (ვახანია 2008: 5).

როგორც ვხედავთ, ნ. ვახანია ორჰან ფამუქს წარმოაჩენს კულტურათაშორისი რეფლექსიის ავტორად, რომელსაც კაცობრიობის მრავალფეროვნება არ ესახება ადამიანების ურთიერთობის ხელშემშლელ ფაქტორად.

მალხაზ ხარბედიას თქმით, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობა დროულად გამოეხმაურა ო. ფამუქის გამოჩენას ქართულ ლიტერატურულ სივრცეში, რასაც ადასტურებს ისეთი თურქოლოგების ნაშრომები, როგორებიც არიან: თ. ალფენიძე, ქ. ტომარაძე, ნ. ჯანაშია და ლ. ჩლაიძე. თუმცა იგი გაკვირვებას გამოხატავს იმის გამო, რომ ქართველმა მთარგმნელებმა, რატომღაც, ორჰან ფამუქის მეორეხარისხოვანი ნაწარმოებები – „ორმაგი სახე“, „თეთრი ციხესიმაგრე“, ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები“ – აირჩიეს სათარმნელად, რომლებიც, მკვლევრის ეს ტექსტები, „არ იყო ამ მწერლის საუკეთესო ნაწარმოებები“ (ხარბედია 2010).

მ. ხარბედია საქებარ სიტყვებს არ იშურებს ორან ფამუქის ნაწარმოებზე „მე წითელი მქვია“, რომელშიც ავტორი აშუქებს ისეთ პრობლემებს, რომლებიც საქართველოსთვისაც მტკივნეულია. მაგალითად ასახელებს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობის ურთულეს პრობლემას, რომელიც ძალზე ორიგინალურადაა განხილული მწერლის მიერ. „ავტორი ფაქიზი შტრიხებით წარმოაჩენს აღმოსავლელი კაცის

ქცევა როგორ აღიქმება დასავლელის თვალით. „ძალიან იშვიათად მეგულება მსოფლიო ლიტერატურაში ამ ტიპის ნაწარმოები, რომელიც ამ პრობლემას ამ სიღრმით განიხილავს“ (იქვე). „მე წითელი მქვია“ მკვლევრის ყურადრებას იპყრობს ენობრივი თვალსაზრისითაც და საკუთარი შეხედულების დასასაბუთებლად შედარებისთვის იხმობს ჰ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“, რომლის პერსონაჟები ხასიათდებიან მეტყველების თავისებური მანერით – კოლორიტული მეტყველებით, რისი გადატანა სხვა ენაზე ურთულესი მოვლენაა. მკვლევარი დადებითად აფასებს ფამუქის „მე წითელი მქვიას“ პერსონაჟების მეტყველების თავისებურებების გათვალისწინებას და ქართულ თარგმანში მის ადეკვატურად გადმოტანას, რასაც ლ. ჩლაიძის დამსახურებად მიიჩნევს.

მ. ხარბედიამ ო. ფამუქის გამოჩენას თურქულ ლიტერატურაში უწოდა ეპოქალური მოვლენა, თურქული ლიტერატურის მოდერნიზაციის კატალიზატორი, რომელმაც თურქული პროზა წარმოაჩინა გლობარულ ლიტერატურულ კონტექსტში.

საბოლოოდ, მ. ხარბედიას შეფასება ორჰან ფამუქზე არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული მწერლის მაგალითით. ეს არის კომენტარი მთელ ლიტერატურულ ეკოსისტემაზე – თარგმნის პოლიტიკაზე, კულტურულ ინიციატივებზე და იმ საერთო გარემოზე, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ შედის მსოფლიო ლიტერატურა ქართულ კულტურულ სივრცეში. ო. ფამუქის მაგალითი ნათლად აჩვენებს, რომ, მიუხედავად სირთულეებისა, საქართველოს აქვს პოტენციალი, აქტიურად ჩაერთოს თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებში, რასაც ადასტურებს ის მრავალრიცხოვანი კვლევები, რომელთა მიხედვითაც ორჰან ფამუქი კულტურათაშორისი დიალოგის ერთ-ერთი საინტერესო, გამორჩეული მწერალია.

გიგა ზედანია და **ირმა ტაველიძე** მიიჩნევენ, რომ ორჰან ფამუქი თავისი თემატიკით (ქალაქი, ტრადიციებისა და მოდერნისტული ტენდენციების დაპირისპირება, რომელიც თითქმის ერთნაირი სიმწვავით ვლინდება ორივე კულტურაში) ქართველი მკითხველისთვის განსაკუთრებულად ახლობელია. ამას ადასტურებს ი. ტაველიძის სიტყვებიც მწერალზე, რომ იგი „ჩვენი ბიჭია“, რაც ამავდროულად წარმოაჩენს, რომ ორჰან ფამუქით ქართველი მკითხველის გატაცება არც მოდურია და არც ნობელის პრემიით განპირობებული ტენდენცია; იგი ღრმად ფესვგადგმული კულტურულ-ისტორიული და ლიტერატურული პროცესების შედეგია. მისი ტექსტები ერთგვარი „ემოციური ხიდის“ როლს ასრულებენ ქართულ კულტურასთან.

შორენა მახაჭაძის კვლევაში – „აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის პრობლემა ელიფ შაფაქისა და ორჰან ფამუქის პროზაში“ – ამ ორი მწერლის შემოქმედების მაგალითზე გაანალიზებულია გლობალიზაციის, საინფორმაციო-კომუნიკაციური რევოლუციის ეპოქაში აღმოსავლურ-დასავლურ კულტურათა შორის დიალოგის პრობლემა. ზოგადად, უნდა ითქვას, რომ აღმოსავლურ-დასავლურად კულტურების დაყოფა არ ახალია, მას დიდი ხნის ისტორია აქვს, რაც განპირობებულია სამყაროს შემეცნების განსხვავებული მეთოდებით, აღმსარებლობითა და ტრადიციებით, საზოგადოებრივ-ეკონომიკური, პოლიტიკური სტრუქტურებით.

კვლევაში სწორედ ამ განსხვავების ფონზეა ნათლად წარმოჩენილი, რომ, გლობალიზაციისა და მულტიკულტურული გარემოს ზრდის მიუხედავად, კულტურათა დაპირისპირება და განსხვავებები კვლავ მნიშვნელოვან ფაქტორებად რჩება. „აღმოსავლეთი აღმოსავლეთია და დასავლეთი – დასავლეთი და ისინი ვერასოდეს გაუგებენ ერთმანეთს“, – რადიარდ კიპლინგის ამ მოსაზრებას, როგორც მკლევარი შენიშნავს, ორჰან ფამუქი სავსებით იზიარებს და თავის მხრივ უმატებს, რომ „ერთიც ალაჰისაა და მეორეც“ (ფამუქი 2014: 178).

შ. მახაჭაძის დაკვირვებით, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მწერალი საფუძვლიანად იცნობს აღმოსავლურ და დასავლურ სამყაროს, მათი მიდგომა აღნიშნული პრობლემის მიმართ მაინც განსხვავებულია. ე. შაფაქი აღმოსავლელი ემიგრანტის თვალით, ფემინისტურად ხატავს დასავლეთსა და აღმოსავლეთს, გარედან აღიქვამს, ფამუქი კი – „შიგჩაბრუნებული მზერით“, ისტორიულ ფესვებზე დაყრდნობით, სტამბოლის სევდასა და აღმოსავლეთის განუმეორებლობას აჩვენებს (მახაჭაძე 2024: 384).

ელიფ შაფაქისა და ორჰან ფამუქის პროზის შედარებითი ანალიზის კვლევამ შ. მახაჭაძე მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ „გლობალიზაციის პროცესში, მულტიკულტურული, მულტილინგვისტური და ციფრული გარემოს პირობებში ადამიანები, ერთი მხრივ, ცდილობენ იდენტობის შენარჩუნებას და, მეორე მხრივ, პრაქტიკულად სწავლობენ და ითავისებენ კულტურებს შორის დიალოგის, უცხო კულტურისადმი ტოლერანტული დამოკიდებულების აუცილებლობას, ხვდებიან, რომ სხვა კულტურის მიღება მისი გაგების გარეშე წარმოუდგენელია“ (მახაჭაძე 2024: 380). ამასთან დაკავშირებით, გასაზიარებელია შ. მახაჭაძის შეხედულება იმის თაობაზე, რომ ქართველთა დიდი ინტერესი ორჰან ფამუქის შემოქმედებისადმი განპირობებულია თურქი და ქართველი მკითხველების საერთო ინტერესებით, რაც გამოიხატება იმით, რომ ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდგარ ორივე ქვეყანას ავკარგიანი წარსული და ტრადიციები აკავშირებს. უნდა ითქვას, რომ არც დასავლური ცივილიზაციისაკენ სწრაფვა და ევროკავშირში გაერთიანების სურვილი, არც იდენტობის დაკარგვა-გაუცხოების შიშით გამოწვეული ემოციებია მათთვის უცხო. ო. ფამუქი სწორედ ამ პრობლემებს აშუქებს თავის პოსტმოდერნისტულ ნაწარმოებებში, რომელთა პერსონაჟებისთვის ორგანულია გაორება, შინაგანი წინააღმდეგობანი. მწერლის აზრით, უცხო კულტურაში მოხვედრილი ადამიანი რომ არ გაუცხოვდეს, როგორღაც უნდა იპოვოს შეხების წერტილები, თუმცა ეს არ ნიშნავს უარის თქმას საკუთარ კულტურაზე. აღმოსავლეთის შეტრიალება რომ არ არის საჭირო, ეს კარგად ჩანს მის ნაწარმოებში „მე წითელი მქვია“. ორჰან ფამუქისთვის მიუღებელია „სხვის უნიჭო ასლად ყოფნა“, ვინაიდან იგი არ ესახება პრობლემის მოგვარების გზად, პირიქით, მისი აზრით, ეს უფრო ამძაფრებს თვითგამორკვევის კრიზისს, გაორებას და ააქტიურებს მტრულ განწყობილებებს (ფამუქი 2013: 2-3). ო. ფამუქი თავისი ნაწარმოებებით გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია აღმოსავლურ კულტურაზე აღზრდილმა ადამიანმა დასავლური კულტურაც მიიღოს ისე, რომ საკუთარი იდენტობა არ დაკარგოს.

მაკა სუსარეიშვილის სადისერტაცია ნაშრომში – პოსტმოდერნისტული ტენდენციები ორჰან ფამუქის რომანებში („მე წითელი მქვია“ და „წითური ქალი“) – მკაფიოდაა წარმოჩენილი თურქული იდენტობის განმსაზღვრელი აღმოსავლური და დასავლური კულტურების ბინარული ოპოზიციის მხატვრული ვერბალიზება. „მე წითელი მქვია“ და „წითური ქალი“ ინტერტექსტუალობის ტიპოლოგიისა და ფუნქციური ანალიზის კუთხით პირველად სწორედ მ. სუსარეიშვილმა იკვლია. მისი აზრით, დასახელებულ რომანებში მკაფიოდ გამოვლინდა მწერლის პოსტმოდერნისტული ხელწერა. ორჰან ფამუქისთვის, მისივე თქმით, დამახასიათებელია სტრუქტურალისტურ და ფროიდის პრინციპებზე დაყრდნობით ანტისტრუქტურის შექმნა, პლურალიზმის, ცვალებადობის პრინციპების გათვალისწინებით დეიდეოლოგიზაციის, ანტიტოტალიტარიზმის ტენდენციების მხატვრული ვერბალიზება (სუსარეიშვილი 2023: 185). მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს რომანებში წარმოდგენილ ექსპლიციტურ (ღია მითითებები სხვადასხვა ტექსტსა და ავტორზე) და იმპლიციტურ (ირიბი მითითებები/ალუზიები) მითითებებზე. ამ მხრივ, მწერალი ასახელებს როგორც აღმოსავლელ, ისე დასავლელ მწერლებს: სოფოკლეს, უმბერტო ეკოს, ფირდოუსს, ნიზამი განჯელს, დოსტოევსკის, ედგარ ალან პოსა და სხვ.

მ. სუსარეიშვილის თქმით, ორჰან ფამუქი თავის პროზაში იყენებს პასტიშს (ერთი ტექსტის (ჰიპოტექსტის) იმიტაციისა და ტრანსფორმაციის შედეგად მიღებული ახალი ტექსტი – ჰიპერტექსტი). როგორც მკვლევარი მიუთითებს, ო. ფამუქის რომანებში გვაქვს ისეთი რეფერენციები, რომლებიც მიემართება სახვით ხელოვნებას, ფერწერას, კინოხელოვნებას. მათში შერწყმულია ინტერტექსტუალური და ინტერმედიალური რეფერენციები, რაც ქმნის მწერლის პოსტმოდერნისტულ ხელწერას.

თამთა ფარულავას სტატიაში „ინტერტექსტუალური თამაშები – ორჰან ფამუქის „მე წითელი მქვია“ განხილულია ორჰან ფამუქის „მე წითელი მქვია“ და ნიზამი განჯელის თხზულების – „ხოსროვი და შირინი“ ტექსტთა შორის ნათესაობისა და დიალოგის საკითხი

როგორც წერილის ავტორი შენიშნავს, სპარსული კლასიკური ლიტერატურაც და მისი გმირები პოსტმოდერნისტული „სამოსით“ შემოდიან ო. ფამუქის რომანში. მასში მწერალი აცოცხლებს სპარსული ლიტერატურის პასაჟებს, პერსონაჟებს, სპარსული კულტურის მოღვაწეთა სახეებს, ისტორიულ რეალიებს. მწერალი ამით არ კმაყოფილდება; მისი რომანის მოზაიკაში ჩნდება „შაჰნამე“, „ვისრამიანი“, იოსების ბიბლიური ამბავი, რაც წერილის ავტორს ახსენებს როლან ბარტის გამონათქვამს: „ტექსტი ციტატებისგანაა მოქსოვილი და ათასობით კულტურულ პირველწყაროზე მიგვითითებს“ (ბარტი 2002: 55). რომანის ეს ინტერტექსტუალობა მკითხველს მკაფიო წარმოდგენას უქმნის ავტორის შემოქმედებით სტილზე. ტყუილად კი არ შეადარა თ. ფარულავამ ო. ფამუქის რომანი „მე წითელი მქვია“ აისბერგს, ყინულის ლოდს, რომლის მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი ჩანს, უმეტესი ნაწილი კი წყლითაა დაფარული, ანუ ეხმიანება ჰემინგუეის, რომლის მიხედვითაც, ყოველი უბრალო მოთხრობა მარტო იმას კი არ ეყრდნობა, რაც გარედან ჩანს, არამედ იმას, რაც მის

სიღრმეშია დაფარული, ანუ შესწავლილი მასალის მოცულობას“ (Markec 1982: 263). რომანის „მე წითელი მქვია“ სტრუქტურული და სიუჟეტური პოეტიკის თავისებურებანი მრავალსახოვან ოსმალურ კულტურას ეყრდნობა. იგი „თანადროული თურქული საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებასაც მიემართება... უფრო ორი (და მეტი) კულტურის დიალოგია – ბახტინისეული პოლიფონიაა (ფარულავა 2013: 97).

მკვლევრები: **ნაზი ხელაია** და **თენგიზ გუმბერიძე** სტატიაში – „ქართველები და კავკასიის ხალხები ორჰან ფამუქის რომანში „მე წითელი მქვია“ – აღნიშნავენ, რომ, მიუხედავად რომანის მთავარი მამოძრავებელი ღერძისა, რაც აზიური და ევროპული კულტურის დაპირისპირება-კონფლიქტის წარმოჩენაა, მასში ავტორს განსხვავებულ კონტექსტში ჰყავს მოხსენიებული ქართველები და კავკასიელები. როგორც წერილის ავტორები მიუთითებენ, ქართველები და კავკასიელები ო. ფამუქის რომანში „მე წითელი მქვია“ ფრაგმენტულად არიან წარმოჩენილნი; თუმცა მწერალი ზოგჯერ სიმპათიას გამოხატავს თბილისისა და მისი მცხოვრებლების მიმართ, რაზეც მიუთითებს „მხატვართუხუცესის სულიდან ამომსკდარი „ეჰ, თბილისი“ (ხელაია... 2013: 269), რაც იმას უნდა გულისხმობდეს, რომ ორჰან ფამუქს თბილისთან, როგორც ხელოვნებისმოყვარე ქალაქთან, ხელოვნების მძაფრი შეგრძნება აკავშირებს, ზოგჯერ კი აფხაზებსა და მთელი კავკასიის ხალხებს უარყოფითად ახასიათებს, რასაც წერილის ავტორები თავისებურ გამართლებას უძებნიან. მათი აზრით, მიზეზი დევნილობაში უნდა ვეძიოთ, რადგან, სამწუხაროდ, დევნილობისა და გაუსაძლისი პირობების გამო ადამიანები ხშირად სხვათა წინაშე ვერ წარმოჩინდებიან თავიანთი ერებისადმი დამახასიათებელი საუკეთესო თვისებებით, რაც გარკვეულ გაღიზიანებასა და გულისწყრომას იწვევა აბორიგენებში და სწორედ ეს ვითარება გვიჩვენა მწერალმა თავის რომანში. ო. ფამუქი უკმაყოფილოა იმით, რომ სტამბოლს აფხაზები, ქართველები, ბოსნიელები... მოედვნენ და უმსგავსობაში ჩაითრიეს ქვეყანა, ყავახანებში „ზნედაცემული შფოთის თავები“ იკრიბებოდნენ და დილამდე ბილწსიტყვაობდნენ.

წერილის ავტორები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ პოსტმოდერნისტულ ნაწარმოებში მკითხველი პასიური არ არის, ისიც ნაწარმოების ერთ-ერთი ცოცხალი, აქტიური პერსონაჟია და მან უნდა იგრძნოს და გააანალიზოს პერსონაჟთა ნააზრევიც და ნამოქმედარიც.

ორჰან ფამუქის პოსტმოდერნისტულ პროზას რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა ელენე ჯაველიძემ. მკვლევარი სტატიაში „ნარატიული სტრატეგიები ორჰან ფამუქის რომანის „მე წითელი მქვია“ განიხილავს დასახელებული რომანის ნარატიულ სტრატეგიებსა და პოსტმოდერნისტული ესთეტიკის თავისებურებებს. იგი მკაფიოდ წარმოაჩენს, რომ „მე წითელი მქვია“ არის „ფილიგრანულად სტილიზებული ნაზავი ისტორიული რომანის, დეტექტივის, სასიყვარულო სამკუთხედის, თეოლოგიურ და კულტურულ ასოციაციასთან თამაშის, ფილოსოფიური იგავისა და მისტიფიკაციის. მკვლევარი ყურადღებას უთმობს ო. ფამუქის მიერ გამოყენებული ექფრაზის ტექნიკას, რომელიც ქმნის ინტელექტუალური, ფილოსოფიური და თეოლოგიური დისკურსის შესაძლებლობას. რომანში მკვეთრადაა გამოხატული ორჰან ფამუქის

პოსტმოდერნისტული სტილისტიკა, ნაჩვენებია „მე“-ს იდენტიფიკაციის რღვევის პროცესი, მწერლის გარდასახვა საკუთარი ტექსტის პროტაგონისტად, რაც პოსტმოდერნისტული წერის მახასიათებელია (ჯაველიძე 2023).

სტატიაში – „ინტერტექსტუალობის საკითხი ორჰან ფამუქის რომანში „თოვლი“ – **ელიზბარ ჯაველიძე** აღნიშნავს, რომ „თოვლი“ რთული, პოლიფონიური, პოსტმოდერნისტული ტექსტია, იგი ერთდროულად პოლიტიკური, ფილოსოფიური, ინტერტექსტუალური და ესთეტიკური დრამაა. მწერლის პოეტიკა ემყარება პოსტმოდერნიზმის ძირითად პრინციპებს – ინტერტექსტუალობას, ავტორის გაუჩინარებას, თამაშს, მეტაფიქციას, ნარატივების პლურალიზმს, რომელშიც ტექსტი ტექსტზეა აგებული. სტატიის ავტორის დაკვირვებით, მწერალი ქმნის გაფართოებულ პოსტმოდერნისტულ ინტერტექსტუალურ ქსელს, რომელშიც ყოველი ეპიზოდი, სახე და სიმბოლო უკავშირდება როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ლიტერატურულ ტრადიციებს – დაწყებული ბორხესიდან და კაფკადან, დამთავრებული ტურგენევით, გოგოლით, მანით, კოლრიჯითა და სუფიური ტექსტებით. მასში რეალური და გამოგონილი, აწმყო და წარსული, გვერდიგვერდ არსებობენ.

მიუხედავად იმისა, რომ ორჰან ფამუქი „თოვლს“ არ თვლის პოლიტიკურად მოტივირებულ რომანად, ის მწერლის ერთადერთი პოლიტიკური რომანია, რომელზეც უდიდესი გავლენა მოუხდენია დოსტოევსკის რომანს „ეშმაკნი“. მკვლევარი სტატიაში – „კავკასიური დრამა ორჰან ფამუქის „თოვლში“ – იმოწმებს თვითონ მწერლის სიტყვებს, რომ მას დოსტოევსკის დასახელებული რომანი „ყველა დროის უდიდეს პოლიტიკურ რომანად“ მიაჩნია (ფამუქი 2014: 236). ნაწარმოებში თურქეთის სოციალური კრიზისები კულტურულ-ფილოსოფიურ ფორმატით ცნაურდება. მწერალს მოქმედება შორეულ წარსულში გადააქვს. იგი ქმნის ისტორიას, რომელიც ძირითადად ვითარდება ყარსში. ნაწარმოებში ნაჩვენები ყარსი კავკასიის ისტორიული, ეთნიკური და პოლიტიკური დაძაბულობის კონდენსირებული მიკრომოდელია, სადაც მოღვაწეობენ სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებების მქონე დაჯგუფებები, რომელთაც თავიანთი ევროცენტრისტული და ანტიევროცენტრისტული პროგრამები აქვთ.

ე. ჯაველიძის დაკვირვებით, ო. ფამუქი ქმნის პოლიფონიურ ნარატივს, რომელიც ერთდროულად ასახავს და აკრიტიკებს კიდეც რელიგიურ და სეკულარულ იდეოლოგიებს.

ავთანდილ ნიკოლეიშვილის წერილში – „გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“ და ორჰან ფამუქის „თოვლი“ (მსოფლმხედველობრივი ურთიერთმიმართებანი)“ – სათანადო პარალელების მოხმობით წარმოჩენილია დასახელებულ ავტორთა მსოფლმხედველობრივ ურთიერთმიმართებათა საკითხი. ხსენებულ რომანებში პოლიტიკური თვალთახედვითა და ისტორიული სიმართლითაა ასახული ეპოქალური მოვლენები, რამაც ორივე მწერალი ემიგრაციაში გადახვეწა. საერთო ნიშან-თვისებები მათი რომანების მთავარ გმირებსაც აღმოაჩნდათ; ორივე ხელოვანია, კერძოდ, პოეტი, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური

შეხედულებების გამო ტოტალიტარული მმართველობის მსხვერპლნი ხდებიან და ვინაიდან მათ (კასა და თამაზს) საკუთარ ქვეყნებში ადამიანური ბედნიერების მოპოვება მირაჟად ესახებათ, ისინი ევროპას ეხიზნებიან იმ იმედით, რომ მხოლოდ ევროპულ ღირებულებებთან ზიარებით შეძლებენ სანუკვარი ოცნებების რეალურად განხორციელებას. ო. ფამუქის კა და გრ. რობაქიძის თამაზი სიყვარულშიც ერთნაირი ბედისანი აღმოჩნდნენ – ვერც ერთმა ვერ შეძლო საყვარელ ადამიანთან ოჯახის შექმნა.

გრ. რობაქიძისა და ო. ფამუქის რომანების მსოფლმხედველობრივ ურთიერთობათა წარმოჩენისას, ა. ნიკოლეიშვილი განსაკუთრებულად გამოყოფს რელიგიურ პრობლემას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და თურქეთს შორის, ამ თვალსაზრისით, რადიკალურად განსხვავებული ვითარება იყო, უნდა ითქვას, რომ ღვთაებრივი რწმენის მიმართ „ჩაკლული სულისა“ და „თოვლის“ ავტორებისთვის პრინციპულად მიუღებელია მათი ქვეყნების ხელისუფალთა მიერ სახელმწიფოებრივ დონეზე გატარებული რელიგიური პოლიტიკა. საბჭოთა ხელისუფლების მმართველობითი პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანი იყო რელიგიის ოპიუმად გამოცხადება და ამ ნიადაგზე „სამყაროდან ღმერთის განდევნა“ (ნიკოლეიშვილი 2013: 269). ამ საკითხთან დაკავშირებით ო. ფამუქის პოზიცია მკვეთრი რადიკალიზმით არ ხასიათდება; როგორც მკლევარი მიუთითებს,იგი „შინაგანად რამდენადმე წინააღმდეგობრივიცაა და გაორებულიც“ (იქვე). ორჰან ფამუქი რელიგიურ პრობლემას უკავშირებს ევროპულ ღირებულებათა მიღება-არმიღებას, რაც ნათლად ჩანს ისლამისტებისა და ქემალისტების დახასიათებით. ერთისთვის დასავლური სამყარო სრულიად მიუღებელია, მეორისთვის კი სახელმწიფოებრივი განვითარების უმთავრეს მიზნად მიჩნეულია ევროპულ ღირებულებებთან ზიარება, დასავლურ ოჯახში თურქეთის მყარად დამკვიდრება და არა რელიგიური ცნებებისადმი ფანატიკური ერთგულება.

გრ. რობაქიძისა და ო. ფამუქის მიერ წარმოჩენილ მხატვრულ სამყაროთა არსებითი სხვადასხვაობის მიუხედავად, ა. ნიკოლეიშვილი სტატიაში ასკვნის, რომ საანალიზოდ აღებული რომანების მიხედვით, ეპოქალური სინამდვილის საჭირბოროტო პრობლემათა განსჯა-გაანალიზებისას, ორივე მწერლის მსოფლმხედველობაში აშკარად ვლინდება პრობლემათა ერთი ნაწილის მსგავსი მოქალაქეობრივი თვალთახედვით ანალიზისა და შეფასების ტენდენცია (იქვე).

ქართველ მკვლევართა ყურადღება მიიქცია ფერების ფუნქციამ ორჰან ფამუქის შემოქმედებაში. როგორც ცნობილია, მწერლისთვის უცხო არ არის ფერადი სათაურები. **ქეთევან ტომარაძე** 2008 წელს, თავის ნათარგმნ „თეთრი ციხესიმაგრის“ წინასიტყვაობაში წერს: „თვალშისაცემი გარემოებაა, რომ თავისი ნაწარმოებების სახელწოდებებს მწერალი ხშირად ფერთან აკავშირებს“ (ტომარაძე 2006:. 6), რისი დასტურიცაა: „მე წითელი მქვია“, „შავი წიგნი“, „თეთრი ციხესიმაგრე“. მართალია, ისლამურ კულტურაში ბევრი სიმბოლო უკავშირდება ფერებს, მაგრამ დავიმოწმებთ რ. ხომერიკს, რომლის თქმითაც, მწერალი ფერებს ამ მნიშვნელობით არ იყენებს. ფერი მისთვის საშუალებაა გადმოცეს ის, რისი აღწერაც რთულია, კერძოდ, გრძნობები, სუნები, ქარი, სიცივე და სხვ. ანუ მწერალი ფერების საშუალებით

გადმოგვცემს თავისი გმირების შეგრძნებებს (ხომერიკი 2019: 82). „თეთრი ციხესიმაგრის“ შესახებ ნ. ვახანია მიიჩნევს, რომ „თეთრი“ საკუთრივ ფერს კი არა, უფრო სპეტაკს, ხელუხლებელს, უმწიკლოს უნდა ნიშნავდეს. ამ რომანით ო. ფამუქმა „ქათქათა, სათუთი, საოცნებო ციხესიმაგრე აუგო სამყაროს ერთიანობის, ხალხთა მეგობრობის იდეას (ვახანია 2008). თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მწერალმა ამ რომანს „დიოპიო“ უწოდა, რაც იტალიურად „წყვილს“ ნიშნავს, მაშინ გასაგები ხდება, რისი თქმაც უნდოდა მწერალს. ნ. ვახანიას აზრით, ფამუქი თეთრ ფერზე აპელირებით გვეუბნება: „აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთი ციხესიმაგრეა, მათი ცალ-ცალკე არსებობა შეუძლებელია“ (იქვე).

ქ. ტომარაძე ნაშრომში – „ორჰან ფამუქის რომანის „შავი წიგნის“ სათაურის გასააზრებლად“ – იკვლევს რომანის სახელწოდების სიმბოლიკას და ავტორისეულ ჩანაფიქრს. მკვლევრის აზრით, შავი ფერი ტექსტში ცენტრალური პოზიციით გამოირჩევა და ასოცირდება პერსონაჟ გალიბის თვითშემეცნების, დაკარგული მეუღლის ძიებისა და მეტაფიზიკური აღქმის პროცესთან. ქ. ტომარაძის თქმით, რომანი ფერთა, სიუჟეტური და სუფიზმის ელემენტების ინტეგრირებული სისტემით მკითხველს შემეცნებით და ესთეტიკურ გამოცდილებას სთავაზობს. ნაშრომი ასახავს ო. ფამუქის პოსტმოდერნისტულ სტრატეგიას, რომელშიც „შავი წიგნი“ არა მხოლოდ ამბავს, არამედ სიმბოლურად ადამიანის არსებობისა და ბედის პოტენციალს წარმოაჩენს.

სტატიაში – „ორჰან ფამუქის რომან „შავი წიგნის“ ესთეტიკური პარადიგმა“ – ელიზბარ ჯაველიძე „შავ წიგნს“ მეტაფიქციურ რომანს უწოდებს, რომელშიც ნაჩვენებია წიგნის შექმნის ისტორია, ხელოვანის პოსტმოდერნისტულ ტიპოლოგიაში ხელოვანის ჩამოყალიბება.

მკვლევრის შეფასებით, „შავი წიგნი“ ორჰან ფამუქის ერთ-ერთი ყველაზე ინტერტექსტუალური ნაწარმოებია, ფაქტობრივად, ჰიპერტექსტია, რომელშიც, როგორც ავტორი წერს, „კლასიკური სუფიური ნაწარმოებების ნარატიული კოდები შეფარდებულია დასავლური რომანის თავისებურებებთან და თანამედროვე ხედვებთან“, რის შედეგადაც ტექსტი იქცევა მეტარომანად, რომელშიც „მხატვრული მოდელირების ობიექტი არა ცხოვრებაა, არამედ ტექსტების სივრცე“ (ჯაველიძე 2024: 115).

რომანში ნათლად ჩანს, რომ ორჰან ფამუქი „ადამიანის დეცენტრაციას ეწევა“, ანუ წარმოაჩენს არა იდეალიზებულ ადამიანს, არამედ მისი სულის ყველაზე დაფარულ ლაბირინთებს, ფიზიოლოგიურ სისუსტეებს. რომანში აგრეთვე მკაფიოდ ჩანს პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი პაროდიისა და თამაშის პრინციპები.

როგორც მკვლევარი აღნიშნავს, „შავი წიგნი“ შეიძლება ჩაითვალოს „მეტაფიზიკურ დეტექტიურ ისტორიად, ეპისტემმოლოგიურ ძიებაზე აგებულ ფილოსოფიურ ნაწარმოებად“ (იქვე: 116).

დასკვნა

ქართულ სალიტერატურო სივრცეში ორჰან ფამუქის მხატვრული პროზის რეცეფციამ აჩვენა, რომ ლიტერატურათმცოდნეთა მეცნიერული შეფასებები და ლიტერატურის მოყვარული მკითხველი საზოგადოების დიდი ნაწილის შთაბეჭდილებები არაერთგვაროვანია, მაგრამ საერთო

განწყობილება – პოზიტიური. მისი პოსტმოდერნისტული ნაწარმოებები მეტყველებენ ავტორის დიდ ინტელექტზე, ამოუწურავ მხატვრულ ფანტაზიასა და წარსულის ისტორიულ მეხსიერებაზე დაფუძნებული თავისი ერის ნათელ მომავალზე.

როგორც ქართველი მკითხველი აღნიშნავს, ორჰან ფამუქის წიგნებისათვის დამახასიათებელია ეროვნული თვითგამორკვევის კრიზისი გამოწვეული ევროპულ და ისლამურ ღირებულებათა შორის კონფლიქტით, რაც მათს გაორებას იწვევს, მაგრამ ამისდა მიუხედავად თვლიან, რომ ორჰან ფამუქს მოვლენების კომპლექსური განვითარების თვალსაზრისით, დამაინტრიგებელი სიუჟეტებითა და ხასიათთა სიღრმით ცოტა თუ მოეპოვება ბადალი მსოფლიო ლიტერატურაში. როგორც ჩანს, სწორედ ამან განაპირობა ქართველი მკითხველის დაინტერესება „აღმოსავლეთით ამოსული ახალი ვარსკვლავით“, როგორც უწოდებენ მას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

გამოყენებული ლიტერატურა

ალთუნი 2018: ალთუნი ს., მეოცე საუკუნის თურქულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები და აჰმეთ მითჰათ ეფენდის შემოქმედება. სადოქტორო დისერტაცია, ბათუმი.

ალფენიძე 2006: ალფენიძე თ., ორჰან ფამუქის „შავი წიგნის“ იდეურ-ესთეტიკური ანალიზი. ავტორეფერატი, თბილისი, http://eprints.iliauni.edu.ge/7444/ დამოწმება: 14.02.2026.

ალფენიძე 2015: ალფენიძე თ., ფამუქის რომანების თემატური სისტემა, დისერტაცია, თსუ გამომცემლობა.

ახვლედიანი 2019: ახვლედიანი ე., რელიგიასთან დაკავშირებული ლექსიკის თარგმნის თავისებურებები (ორჰან ფამუქის რომანების ქართული თარგმანების მიხედვით). კულტურათაშორისი კომუნიკაციები, №31, თბილისი, (გვ. 36-41) https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/295460/1/Kulturatashorisi_Komunikaciebi_2019_N31.pdf დამოწმება: 14.02.2026.

ბარტი 2002: ბარტი რ., ავტორის სიკვდილი. ჟურნალი „სჯანი“, №3, საქართველის მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი

ბახტინი 2008: ბახტინი მ., კარნავალიზებული ლიტერატურა. ლიტერატურის თეორია, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი.

გაფრინდაშვილი 2017: გაფრინდაშვილი მ., ორჰან ფამუქის რომანებში აღმოსავლურ-დასავლურ კულტურათა დიალოგი. თბილისი.

გაფრინდაშვილი 2017: გაფრინდაშვილი მ. „ლიტერატურა ჩაის თანხლებით“, http://www.trt.net.tr/georgian/programebi/2017/01/09/literatura-ch-ais-t-anxlebit-02-2017 დამოწმება: 14.02.2026.

ვახანია 2008: ვახანია ნ., ორჰან ფამუქი „თეთრი ციხესიმაგრე“ ანუ ჩვენ ერთი დედა – მიწის შვილები ვართ, ჟურნალი „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, №5, თბილისი. https://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/period/document/HASH01234516e5f4527111705a4c.1.1?p.s=AdvancedFieldQuery დამოწმება: 10.02. 2026.

კახიძე 2014: კახიძე თ., ორჰან ფამუქი და პოსტმოდერნულიო თხრობის სტრუქტურა. ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“, №3, გვ. 22- 27.
კეკელიძე 1979: კეკელიძე კ., ბიბლიოგრაფია. გამომც. „მეცნიერება“, თბილისი.
კინწურაშვილი 2008: კინწურაშვილი მ., ინტერტექსტუალობა როგორც ტექსტის ინტერპრეტაციის ერთ-ერთი საშუალება, თსუ, დისერტაცია.
ნიკოლეიშვილი 2013: ნიკოლეიშვილი ა., გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“ და ორჰან ფამუქის რომანი „თოვლი“ (მსოფლმხედველობრივი ურთიერტმიმართებანი). აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მოამბე“, №2 (გვ. 265-170).
სუსარეიშვილი 2023: სუსარეიშვილი მ., პოსტმოდერნისტული ტენდენციები ორჰან ფამუქის რომანებში („მე წითელი მქვია“ და „წითური ქალი“), დისერტაცია, ქუთაისი.
ტაველიძე 2013: ტაველიძე ი., ფამუქმანია, საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „არილი, 28/11/2013 http://arilimag.ge/%e1%83%98%e1%83%a0%e1%83%9b%e1%83%90-%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%95%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%ab%e1%83%94%e1%83%a4%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%a3%e1%83%a5%e1%83%9d%e1%83%9b%e1%83%90%e1%83%9c/ დამოწმება: დამოწმება: 14.02.2026.
ტომარაძე, 2006ა: ტომარაძე ქ., პირველი თურქი ნობელიანტი. ჟურნალი ,,ჩვენი მწერლობა“, №25, გვ. 36-38. თბილისი,
ტომარაძე, 2006 ბ: ტომარაძე ქ., ორჰან ფამუქის პროზის კვლევა. თბილისი.
ფარულავა 2023: ფარულავა თ., ინტერტექსტუალური პარალელები – ნიზამი განჯელის „ხოსროვი და შირინი’ და ორჰან ფამუქის „მე წითელი მქვია“. ილიას სახელმწიფო უნოვერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ახლო აღმოსავლეთი და კავკასია: კულტურა. ისტორია. პოლიტიკა“. 15-17 დეკემბერი.
ფამუქი 2008: ფამუქი ო., თეთრი ციხესიმაგრე. გამომც. „ინტელექტი“, თბილისი.
ფამუქი 2009: ფამუქი ო., ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი
ფამუქი 2010: ფამუქი ო., მე წითელი მქვია. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი.
ფამუქი 2011: ფამუქი ო., თოვლი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი.
ფამუქი 2013: ფამუქი ო., შავი წიგნი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი.
ფამუქი 2017: ფამუქი ო., წითური ქალი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი.
ღლონტი 2019: ღლონტი ლ., კულტურული მესხიერება და იდენტობა ფამუქის რომანებში. სამეცნიერო ჟურნალი „მოამბე“, №1, გვ. 78-85.
ხარბედია 2010: ხარბედია მ., ორჰან ფამუქის მეოთხე წიგნი ქართულ ენაზე, https://www.radiotavisupleba.ge/a/2115489.html დამოწმება: 14.02.2026.

ხარბედია 2011: ხარბედია მ., ინტერვიუ ორჰან ფამუქის შესახებ. ლიტერატურული გაზეთი, 20/01/2011. http://arilimag.ge/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%B0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%90/ დამოწმება: 10.02. 2026.

ხელაია... 2013: ხელაია ნ., გუმბერიძე თ., ქართველები და კავკასიის ხალხები ორჰან ფამუქის რომანში „მე წითელი მქვია“.აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მოამბე“, №2, გვ.267-272.

ხომერიკი 2019: ხომერიკი რ.. პოსტმოდრნიზმის ზოგიერთი ნიშან-თვისება თურქულ ლიტერატურაში. კულტურათაშორისი კომუნიკაციები, №31, თბილისი, https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/295460/1/Kulturatashorisi_Komunikaciebi_2019_N31.pdf (გვ. 3-12) დამოწმება: 14.02.2026.

ჯაიანი 2019: ჯაიანი რ., ლიტერატურული თარგმანის ტენდენციებისთვის თანამედროვე საქართველოში. თბილისი, გვ. 178-183. https://ice.tsu.ge/wp-content/uploads/2019/03/Jaiani_R._18Tomi_178gv..pdf დამოწმება: 14.02.2026.

ჯაველიძე 2017: ჯაველიძე ე., ინტერტექსტუალობის საკითხი ორჰან ფამუქის რომანში „თოვლი“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, №10, ნაწ. II, გვ. 117-128. თბილისი,

ჯაველიძე 2018: ჯაველიძე ე., ინტერტექსტუალობა ორჰან ფამუქის პროზაში. თსუ პრესა, თანამედროვე პრობლემები, ტ. 2, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ჯაველიძე 2019: ჯაველიძე ე., აღმოსავლეთ-დასავლეთის დიქოტომია ორჰან ფამუქის რომანში „მე წითელი მქვია“. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, XIII, XX საუკუნის 80-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები და ლიტერატურული დისკურსი. საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, ნაწილი II, (გვ. 168-181) http://literaturatmcodneoba.tsu.ge/files/tematuri/13simp%20(2).pdf დამოწმება: 14.02.2026.

ჯაველიძე 2022: ჯაველიძე ე., კავკასიური დრამა ორჰან ფამუქის „თოვლში“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, https://caucasiologycongress.tsu.ge/public/uploads/images/javelidze.pdf დამოწმება: 14.02.2026.

ჯაველიძე 2023 ა: ჯაველიძე ე., ნარატიული სტრატეგიები ორჰან ფამუქის რომანში „მე წითელი მქვია“, VIII საერთაშორისო კონფერენცია, ენა და კულტურა, ქუთაისი. file:///C:/Users/Administrator/Downloads/112%20(12).pdf) დამოწმება: 14.02.2026.

ჯაველიძე 2023ბ: ჯაველიძე ე., ორჰან ფამუქის პოლიტიკური რომანის თავისებურება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „ახლო აღმოსავლეთი და კავკასია: კულტურა. ისტორია. პოლიტიკა, 15-17 დეკემბერი.

ჯაველიძე 2024: ჯაველიძე ე., ორჰან ფამუქის რომან „შავი წიგნის“ ესთეტიკური პარადიგმა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „ახლო აღმოსავლეთი და კავკასია: კულტურა. ისტორია. პოლიტიკა“. 19-21 დეკემბერი.

Бахтин 1975: Бахтин М., Вопросы литературы и эстетики. Москва.

Маркес 1982: Маркес Габриэль Гарсиа, Писатели Латинской Америки о литературе, Москва: Радуга.

References and Sourses

Akhvlediani 2019: Akhvlediani E. Peculiarities of Translating Religious Vocabulary (Based on Georgian Translations of Orhan Pamuk's Novels). Intercultural Communications, No. 31, pp. 36–41. Available at: https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/295460/1/Kulturatashorisi_Komunikaciebi, №31 .pdf Verification: 14.02.2026.

Altuni 2018: Altuni S., Turkish-Georgian Literary Relations in the Twentieth Century and the Works of Ahmet Mithat Efendi. Doctoral dissertation, Batumi.

Alphenidze 2006: Alphenidze T., The Ideological and Aesthetic Analysis of Orhan Pamuk's The Black Book. Author's abstract, Tbilisi. Available at: http://eprints.iliauni.edu.ge/7444/ Verification: 14.02.2026.

Alphenidze 2015: Alphenidze T., Thematic System in Orhan Pamuk's Novels. Doctoral dissertation, Tbilisi State University.

Bakhtin 1975: Bakhtin M. Questions of literature and aesthetics. Moscow..

Bakhtin 2008: Bakhtin M., Carnivalized Literature. In Theory of Literature. Tbilisi: Institute of Literature Press.

Barthes 2002: Barthe S., The Death of the Author. Sjani, No. 3, Georgian Academy of Sciences, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, p. 55, Tbilisi.

Gaprindashvili 2017: Gaprindashvili M., The Dialogue of Eastern and Western Cultures in Orhan Pamuk's Novels. Tbilisi.

Gaprindashvili 2017: Gaprindashvili M., Literature with Tea. Available at: http://www.trt.net.tr/georgian/programebi/2017/01/09/literatura-ch-ais-t-anxlebit-02-2017

Glonti 2019: Glonti L. Cultural Memory and Identity in Pamuk's Novels. Scientific Messenger, No.1, pp. 78-85.

Jaiani 2019: Jaiani R., Trends in Literary Translation in Contemporary Georgia, pp. 178-183. Available at: https://ice.tsu.ge/wp-content/uploads/2019/03/Jaiani_R._18Tomi_178gv..pdf Verification: 14.02.2026.

Javelidze 2017: Javelidze E., The Problem of Intertextuality in Orhan Pamuk's Snow. G. Tsereteli Institute of Oriental Studies, Ilia State University, The Middle East and Georgia, No. 10, Part II, pp. 117-128.

Javelidze 2018: Javelidze E., Intertextuality in Orhan Pamuk's Prose. Tbilisi State University Press.

Javelidze 2019: Javelidze E., The East–West Dichotomy in Orhan Pamuk's My Name is Red. Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Contemporary Problems of Literary Studies, XIII, Part II, pp. 168–181. Available at: http://literaturatmcodneoba.tsu.ge/files/tematuri/13simp%20(2).pdf Verification: 14.02.2026.

Javelidze 2022: Javelidze E., The Caucasian Drama in Orhan Pamuk's Snow. Ilia State University, G. Tsereteli Institute of Oriental Studies. Available at: https://caucasiologycongress.tsu.ge/public/uploads/images/javelidze.pdf Verification: 14.02.2026.

Javelidze 2023a: Javelidze E., Narrative Strategies in Orhan Pamuk's My Name is Red. VIII International Conference: Language and Culture, Kutaisi.

Javelidze 2023b: Javelidze E., The Specificity of Orhan Pamuk's Political Novel. Annual International Conference of the G. Tsereteli Institute of Oriental Studies: The Middle East and the Caucasus: Culture, History, Politics, 15–17 December.

Javelidze 2024: Javelidze E., The Aesthetic Paradigm of Orhan Pamuk's Novel The Black Book. Annual International Conference of the G. Tsereteli Institute of Oriental Studies: The Middle East and the Caucasus: Culture, History, Politics, 19-21 December.

Kakhidze 2014: Kakhidze T., Orhan Pamuk and the Structure of Postmodern Narrative. Literature and Art, No.3, pp. 22–27.

Kekelidze 1979: Kekelidze K., Bibliography. Tbilisi: Metsniereba.

Kharbedia 2010: Kharbedia M., The Fourth Book of Orhan Pamuk in Georgian.. Available at: https://www.radiotavisupleba.ge/a/2115489.html Verification: 14.02.2026.

Kharbedia 2011: Kharbedia G., Interview About Orhan Pamuk. Literary Newspaper. Available at: http://arilimag.ge/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%B0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%90/ (20/01/2011). Verification: 14.02.2026.

Khelaia… 2013: Khelaia N., Gumberidze T., Georgians and the Peoples of the Caucasus in Orhan Pamuk's My Name is Red. Messenger of Akaki Tsereteli State University, No.2, pp. 267–272.

Khomeriki 2019: Khomeriki R., Some Features of Postmodernism in Turkish Literature. Intercultural Communications, No.31, pp. 3–12. Available at: https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/295460/1/Kulturatashorisi_Komunikaciebi_2019_N31.pdf Verification: 14.02.2026.

Kintsurashvili 2008: Kintsurashvili M., Intertextuality as a Means of Text Interpretation. Doctoral dissertation, Tbilisi State University, 2008.

Markes 1982: Markes Gabriel Garcia. Writers of Latin America about literature, Moscow: Publishing House „Raduga".

Nikoleishvili 2013: Nikoleishvili A., Grigol Robakidze's The Hanged Soul and Orhan Pamuk's Snow (Worldview Relations). Messenger of Akaki Tsereteli State University, No2, pp. 170-265.

Pamuk 2008: Pamuk O., The White Castle. Tbilisi: Publishing House "Intelekt".

Pamuk 2009: Pamuk O., Cevdet Bey and His Sons. Tbilisi: Bakur Sulakauri Publishing House.

Pamuk 2010: Pamuk O., My Name is Red. Tbilisi: Bakur Sulakauri Publishing House.

Pamuk 2011: Pamuk O., Snow. Tbilisi: Bakur Sulakauri Publishing House.

Pamuk 2013: Pamuk O., The Black Book. Tbilisi: Bakur Sulakauri Publishing House.

Pamuk 2017: Pamuk O., he Red-Haired Woman. Tbilisi: Bakur Sulakauri Publishing House.

Parulava 2023: Parulava T., Intertextual Parallels: Nizami Ganjavi's Khosrow and Shirin and Orhan Pamuk's My Name is Red. Annual International Conference of the G. Tsereteli Institute of Oriental Studies, Ilia State University: The Middle East and the Caucasus: Culture, History, Politics, 15–17 December.

Susareishvili M., 2023: Susareishvili M., Postmodernist Tendencies in Orhan Pamuk's Novels (My Name is Red and The Red-Haired Woman). Doctoral dissertation, Kutaisi.

Tavelidze 2013: Tavelidze I., Pamukomania. Arili, 28/11/2013. Available at: http://arilimag.ge/%e1%83%98%e1%83%a0%e1%83%9b%e1%83%90-%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%95%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%ab%e1%83%94%e1%83%a4%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%a3%e1%83%a5%e1%83%9d%e1%83%9b%e1%83%90%e1%83%9c/ Verification: 14.02.2026.

Tomaradze 2006a: Tomaradze K., The First Turkish Nobel Laureate. Our Literature, No.25, pp. 36–38. Tomaradze 2006b: Tomaradze K., Studies on Orhan Pamuk's Prose. Tbilisi, 2006.

Vakhania 2008: Vakhania N., Orhan Pamuk's The White Castle, or: We Are All Children of One Mother–Earth. Intercultural Communications, No.5, Tbilisi. Available at: https://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/period/document/HASH01234516e5f4527111705a4c.1.1?p.s=AdvancedFieldQuery Verification: 14.02.2026.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.29

ბილალ დინდარი (მიქელაძე) – „ვეფხისტყაოსნის“ თურქულ ენაზე მთარგმნელი

BILAL DINDAR (MIKELADZE): TRANSLATOR OF RUSTAVELI'S *THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN* INTO TURKISH

სოფიკო ჭუმბურიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Sofiko Chumburidze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ბილალ დინდარს – თურქეთში მოღვაწე მეცნიერსა და მთარგმნელს, რომელმაც ქართული კულტურის საგანძური და მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოები „ვეფხისტყაოსანი“ თურქულ ენაზე თარგმნა. თარგმანი 1991 წელს გამოქვეყნდა.

ბილალ დინდარის ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე განსაკუთრებულია იმითაც, რომ ის ერთადერთი ავტორია, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ სრულად თარგმნა. ამ ფაქტით თურქულ საზოგადოებას საშუალება მიეცა, უფრო ღრმად გასცნობოდა ქართული კულტურის უმთავრეს ძეგლს, რომელიც საუკუნეების წინ დაიწერა და აქტუალურობას დღესაც არ კარგავს.

ესეც უნდა ითქვას: ბილალ დინდარს „ვეფხისტყაოსანი“ ორიგინალიდან არ უთარგმნია. თვითონვე აღნიშნავს, რომ მან იხელმძღვანელა სერგი წულაძის მიერ შექმნილი ფრანგული თარგმანით და აზერბაიჯანული ვერსიით, რომელიც 1930-იან წლებში შექმნა პოეტმა აჰმეთ ჯევათმა და პირველად გამოქვეყნდა 1978 წელს.

სწორედ ამ მიზეზით, თურქოლოგები და რუსთველოლოგები აღნიშნავენ, რომ ბილალ დინდარის თურქულენოვან თარგმანში ბევრი უზუსტობაა.ამის ერთ-ერთი მიზეზი ქრისტიანულ და მუსლიმანურ კულტურებს შორის განსხვავებაა. მიუხედავად არსებული კრიტიკული მოსაზრებებისა, უნდა აღინიშნოს, რომ ბილალ დინდარმა, აზებაიჯანელ მეგობართან – ასოცირებულ პროფესორ ზეინალაბიდინ მაქასთან ერთად თავი გაართვა იმ სირთულეებს, რაც პოემის რიტმულ სტრუქტურასთან,

სემანტიკურ სიღრმესა და მასში წარმოდგენილ ისტორიულ და კულტურულ შინაარსთანაა დაკავშირებული.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დღემდე არ არსებობს „ვეფხისტყაოსნის“ უშუალოდ ქართული ენიდან შესრულებული თურქული თარგმანი, შესაბამისად, ბილალ დინდარის თურქულენოვანი თარგმანი დასაფასებელია, რადგან მან შეძლო ქართული კლასიკის გაცნობისთვის ახალი სივრცე შეექმნა.

შოთა რუსთაველის გენიალური პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ბილალ დინდარისეული თარგმანი არა მხოლოდ ორი ქვეყნის ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობის განვითარებას უწყობს ხელს, არამედ მსოფლიო ლიტერატურულ სივრცეში აძლიერებს ქართულ კლასიკასთან დაკავშირებულ ინტელექტუალურ ცნობადობას.

საკვანძო სიტყვები: ბილალ დინდარი, „ვეფხისტყაოსანი“, თარგმანი.

ABSTRACT

The The present study is devoted to Bilal Dindar, a scholar and translator based in Turkey, who produced the first complete Turkish translation of Rustaveli's *The Knight in the Panther's Skin*, a landmark of world literature and the crown jewel of Georgian cultural tradition. The translation was published in 1991.

Bilal Dindar's contribution to Georgian culture is particularly significant in that he remains the only translator to have rendered the poem in its entirety into Turkish. Through his work, Turkish readers gained the opportunity to engage more profoundly with this seminal Georgian masterpiece, a text composed centuries ago yet still resonant and relevant in contemporary literary discourse.

Dindar did not translate the poem directly from the Georgian original. As he himself notes, he relied primarily on Sergi Tzuladze's French translation and on the Azerbaijani version produced in the 1930s by the poet Ahmad Javad, first published in 1978.

Owing to this methodological approach, both Turkologists and Rustvelologists observe numerous inaccuracies in his translation. These are partly attributable to the challenges inherent in mediated translation and partly to the cultural distance between Christian and Muslim cultural traditions. Nevertheless, despite the existing critical assessments, it should be recognized that Dindar—together with his Azerbaijani colleague, Associate Professor Zeynalabidin Maka—managed to overcome the considerable difficulties posed by the poem's complex metrical structure, semantic depth, and rich historical and cultural layers.

It is particularly noteworthy that, to this day, no direct Turkish translation of *The Knight in the Panther's Skin* from the Georgian original exists. Consequently, Dindar's Turkish rendition remains an invaluable contribution, opening a new avenue for the reception of Georgian classical literature.

Thus, Bilal Dindar’s translation of Shota Rustaveli’s brilliant epic not only fosters the development of Georgian–Turkish cultural relations but also enhances the global visibility and intellectual recognition of Georgian literary heritage.

Keywords: Bilal Dindar, The Knight in the Panther’s Skin, translation

შესავალი

„ვეფხისტყაოსანი“ არა მარტო ქართული ლიტერატურისა და კულტურის მნიშვნელოვანი მონაპოვარია, არამედ მსოფლიოს კლასიკოსთა საგანძურშიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. „მე-12 საუკუნის ქართული პოეტური კულტურის გვირგვინი და დღემდე დაუძლეველი მწვერვალია შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ (კეკელიძე... 1987: 246).

„ვეფხისტყაოსნის“ პოეტური თუ პროზაული თარგმანი მსოფლიოს მრავალ ენაზე არსებობს. შოთა რუსთაველის პოემა უყურადღებოდ არც თურქ მთარგმნელებს დარჩენიათ. ის თურქულად ორჯერ ითარგმნა. პირველი თარგმანი შესრულებულია აჰმედ ოზქანის (მელაშვილის) მიერ. ეს თარგმანი აჰმედმა დააფუძნა სამედ ვურგუნისა და მამედ რაჰიმის აზერბაიჯანულ თარგმანს სახელწოდებით: Pələng dərisi geymiş pəhlivan (ითარგმნება როგორც „ვეფხის ტყავით შემოსილი გმირი“), რომელიც პირველად 1937 წელს გამოიცა და თურქულადაც ითარგმნა მცირე ცვლილებებით. აჰმედ ოზქანის თურქულენოვანი თარგმანი წიგნად არ გამოქვეყნებულა. მხოლოდ 169 სტროფი დაიბეჭდა ჟურნალ „ჩვენებურებში“ (1977-1979 წლებში).

მეორედ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნით დაინტერესდა თურქი მეცნიერი ბილალ დინდარი. ცნობილია, რომ ის საქართველოში 1990 წელს სამეცნიერო კონგრესზე მოიწვიეს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ ნახა. მათ შორის არ იყო თურქულენოვანი თარგმანი. სწორედ მაშინ გადაწყვიტა, რომ თავად ეთარგმნა.

კვლევის მეთოდები

ნაშრომში წარმოდგენილი საკითხის შესწავლის მიზნით გამოყენებულია სამეცნიერო ლიტერატურის ურთიერთშეჯერება-შესწავლაზე დაფუძნებული ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. ნაშრომი ეფუძნება განსახილველი თემის შესახებ მოძიებულ სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებასა და სათანადო ანალიზს.

მსჯელობა

ბილალ დინდარი აქტიურ მთარგმნელობით და ქართველოლოგიურ საქმიანობას მისდევდა. კერძოდ, ქართველ მწერალთა შემოქმედების მისეული თარგმანები გამოქვეყნებულია თურქულ პერიოდულ გამოცემებსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ჟურნალში „არმაღანი“. ფილოსოფიის დარგში აქვს გამოცემული სამი წიგნი: ,,შეიხ ბედრედინ ვარიდათი“ (ფრანგულ ენაზე), „ემანუელ მუნიეს პერსონალიზმი“ და „რჩეული ფილოსოფიური ნაწერები“. ასევე, არის ოცზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი. აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთი ეროვნული და საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში. უნდა ითქვას, რომ ბილალ დინდარის შემოქმედებითი მოღვაწეობის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მან სრულად თარგმნა თარგმნა თურქულ ენაზე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. თარგმანზე მუშაობისას მას ეხმარებოდა აზერბაიჯანელი ზეინელაბიდინ მაქასი. აღნიშნული თარგმანი გამოიცა 1991 წელს, სათაურით „ვეფხისტყაოსანი რაინდი“. როგორც მთარგმნელები აღნიშნავენ, მათ ისარგებლეს აზერბაიჯანული თარგმანით, რომელიც ქართულიდან აზერბაიჯანელმა პოეტმა აჰმედ ჯავადმა 1930-იან წლებში თარგმნა და პირველად გამოიცა 1978 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პირდაპირი თარგმანი ქართულიდან თურქულ ენაზე ჯერჯერობით არ გვაქვს. ბილალ დინდარის ნაშრომი ერთადერთია, რომლის მეშვეობითაც თურქი მკითხველი „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსსა და მნიშვნელობას ეცნობა.

ბილალ დინდარის შრომას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველო-თურქეთის კულტურულ ურთიერთობებში. მისმა თარგმანმა ხელი შეუწყო თურქულ საზოგადოებაში ქართული ლიტერატურის გაცნობასა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენას.

ბუნებრივია, თარგმნილი ტექსტის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლო მთარგმნელმა ორიგინალი ტექსტის შინაარსის გაგება, რამდენად ფლობდა ავტორი სათარაგმნი ტექსტის ენას. „მთარგმნელი თარგმნის პროცესში ხშირად აწყდება სირთულეებს, რადგან ის არაა იმ კულტურის წარმომადგენელი, რომელ ენაზეც ტექსტს თარგმნის, მან თარგმანში უნდა მოძებნოს ტექსტის წყაროს ანალოგიური ფორმა, რათა შექმნას შთაბეჭდილება, რომ თარგმანი ორიგინალის ეკვივალენტია“ (ნიქაბაძე 2022: 176).

ბილალ დინდარი წიგნის შესავალში განმარტავს, თუ როგორ იმუშავა თარგმანზე: „მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიცოდი აჭარის ავტონომიურ რეგიონში სალაპარაკო ენის დიალექტი, მე არ ვიყავი კარგად გათვითცნობიერებული ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ამიტომ გადავლახე ენობრივი ბარიერი და შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ თურქულად ვთარგმნე ჩემი მეგობრის, ასოცირებული პროფესორის, დოქტორ ზეინელაბიდინ მაქასის, აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის ექსპერტის დახმარებით“ (ცილაძე 2018). ბილალ დინდარმა აღნიშნა, რომ თარგმანზე მუშაობისას მან იხელმძღვანელა სერგი წულაძისეული ფრანგული თარგმანითა და აჰმედ ჯავადისეული აზერბაიჯანული თარგმანით.

აღსანიშნავია, რომ ბილალ დინდარის „ვეფხისტყაოსნის“ თურქულენოვანი თარგმანის შესახებ ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტში ნონა ნიქაბაძის მიერ დაცულია სადოქტორო დისერტაცია: „ვეფხისტყაოსნის" თურქული თარგმანების კორპუსლინგვისტური და კრიტიკული ანალიზი". დისერტაციაში განხილულია ცალკეული სიტყვები: მზისა და მთვარის კონცეპტი, მეტაფორების გადატანის საკითხი ერთი ენიდან მეორეში, სიტყვათა კლების შემთხვევები, არასწორად გაგებული ლექსიკური ერთეულები, მუსიკალური ინსტრუმენტების თარგმანი, კულტურული კონცეპტების თარგმანი და სხვა. სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, კორპუსლინგვისტური ანალიზის განხილვის შედეგად, ასკვნის, რომ „ვეფხისტყაოსნის" თურქულ თარგმანში შინაარსობრივი მხარე მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია, მაგრამ ხშირად მთარგმნელი საკუთარ ინტერპრეტაციას ავლენს, რასაც თავისუფალი თარგმანისკენ მივყავართ. თარგმნის პროცესში საკუთარ ენასა და კულტურაზე მორგებულ სპეციფიკურ-კულტურულ კონცეპტებს გვთავაზობს, რომელიც მრავალფეროვნებით გამოირჩევა. სისტემური ხასიათი აქვს სიტყვის გამოტოვებას, რაც, შესაძლოა, როგორც მატების შემთხვევაში იყო, რითმის რღვევის თავიდან ასაცილებლად სჭირდება მთარგმნელს. ტექსტში ხშირად დასტურდება იმპლიციტური ხერხის ექსპლიციტურ ხერხად გარდაქმნის მცდელობა, რაც წინ უსწრებს ორიგინალი ტექსტის სიუჟეტს, შესაბამისად, თავს იჩენს ტექსტის კოჰერენტულობის დარღვევა" (ნიქაბაძე 2023: 181).

დასკვნა

ბილალ დინდარმა „ვეფხისტყაოსნის" თურქულ ენაზე თარგმნით მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი საქართველო-თურქეთის კულტურულ ურთიერთობებში. განსაკუთრებულია მისი დამსახურება თურქულენოვან სამყაროში ქართული ლიტერატურისა და, ზოგადად, კულტურის პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

კეკელიძე... 1987: კეკელიძე კ., ბარამიძე ა., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII სს.). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.

ნიქაბაძე 2021: ნიქაბაძე ნ., „ვეფხისტყაოსნის" თურქული თარგმანის ზოგიერთი საკითხისათვის. კულტურათაშორისი დიალოგები, შრომები, VI. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ნიქაბაძე 2022: ნიქაბაძე ნ., კულტურული კონცეპტები „ვეფხისტყაოსნის" თურქულ თარგმანში. აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ნიქაბაძე 2023: ნიქაბაძე ნ., „ვეფხისტყაოსნის" თურქული თარგმანების კორპუსლინგვისტური ანალიზი. ბათუმი.

ცილაძე 2018: ცილაძე ბ., რა დაემართა შოთა რუსთველს თურქულად? https://tetripiala.wordpress.com/2018/07/19/1627/ დამოწმება: 08.12.2025).

References

Ciladze 2018: Ciladze B., What Happened to Shota Rustaveli in Turkish? Retrieved from, https://tetripiala.wordpress.com/2018/07/19/1627/ (Verification: 08.12.2025)..

Kekelidze... 1987: Kekelidze K., Baramidze A., History of Old Georgian Literature (V–XVIII centuries). Tbilisi: University Publishing House.

Nikabadze 2021: Nikabadze N., On Some Issues of the Turkish Translation of "The Knight in the Panther's Skin". Cultural Dialogues, Vol. VI, Telavi State University named after Ivane Javakhishvili.

Nikabadze 2022: Nikabadze N., Cultural Concepts in the Turkish Translation of "The Knight in the Panther's Skin". Bulletin of Oriental Studies, Batumi Shota Rustaveli State University.

Nikabadze 2023: Nikabadze N., Corpus-Linguistic Analysis of the Turkish Translations of "The Knight in the Panther's Skin". Batumi.

DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2026.30.30

ქართულ-თურქული ენობრივი კონტაქტები და ლექსიკური ინტერფერენცია აჭარულ შელოცვებში (საველე ექსპედიციის მასალების ანალიზი)

GEORGIAN–TURKISH LINGUISTIC CONTACTS AND LEXICAL INTERFERENCE IN ADJARIAN INCANTATIONS (ANALYSIS OF FIELDWORK MATERIALS)

ლუიზა ხაჭაპურიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Luiza Khachapuridze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

აბსტრაქტი

წარმოდგენილი სტატია ეხება ქართულ-თურქული ენობრივი კონტაქტებისა და ლექსიკური ინტერფერენციის საკითხებს აჭარულ შელოცვებში, რომლებიც ქართული ხალხური მედიცინის ერთ-ერთ უძველეს ფენად გვევლინება. შელოცვები, როგორც ვერბალური მაგიის ფორმა, აერთიანებს ნატუროპათიურ და მაგიურ-რელიგიურ ელემენტებს, ხოლო მათი ენობრივი სტრუქტურა წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს ქართული დიალექტოლოგიისა და ეთნოლინგვისტიკისათვის. აჭარაში შემონახული ტექსტები განსაკუთრებულად საინტერესოდ ასახავენ იმ მრავალსაუკუნოვან ქართულ-თურქულ ურთიერთობათა შედეგებს, რომლებიც ენობრივ დონეზე გამოხატულია ლექსიკური სესხებით, ფონოლოგიური ადაპტაციითა და სემანტიკური ასიმილაციით.

კვლევის ემპირიულ ბაზას წარმოადგენს 2023 წელს ჭვანის ხეობაში ჩატარებული საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციის პერიოდში ჩაწერილი შელოცვები, რომლებიც გაანალიზდა ფონოლოგიური, ეტიმოლოგიური და სემანტიკურ-კომპარატიული მეთოდებით. აღნიშნულმა მიდგომამ შესაძლებელი გახადა შელოცვებში თურქული ლექსემების წარმოშობის, ფუნქციური როლისა და ინტეგრაციის თავისებურებების იდენტიფიცირება. გამოვლინდა, რომ თურქული წარმოშობის სიტყვები გვხვდება როგორც შელოცვების სახელწოდებებში (ბასხუნი, დარცნილი, გვეჯო), ისე ტექსტურ კონსტრუქციებში, სადაც მათი გამოყენება ემსახურება მაგიურ სიმბოლიკას და ემოციურ ინტენსივობას.

ტექსტებში აშკარად შეინიშნება ფონოლოგიური ადაპტაციის მაგალითები (asker - ესკერი, baskın - ბასხუნი), აგრეთვე სინტაქსური კალკირება(ricaetmek-რიჯაუყოთგვეჯოს).მიუხედავადინტერფერენციული ელემენტებისა, შელოცვების სიღრმისეული სტრუქტურა, რიტმულობა და რელიგიურ-მაგიური შრეები მკვეთრად ქართული კულტურული სისტემის ნაწილად რჩება.

კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ აჭარულ შელოცვებში ენობრივი კონტაქტები არ იწვევს ქართული ტრადიციის დაშლას, არამედ განაპირობებს მის გამდიდრებასა და ტრანსფორმაციას. ენობრივი და კულტურული ინტეგრაცია ამ შემთხვევაში განიხილება როგორც სინთეზის პროცესი, რომელიც ადასტურებს ქართული ხალხური კულტურის სიცოცხლისუნარიანობას, ადაპტაციის უნარსა და მრავალშრიან ეთნოლინგვისტურ საფუძველს.

საკვანძო სიტყვები: აჭარული დიალექტი, შელოცვები, ეთნოლინგვისტიკა, ქართულ-თურქული კონტაქტები; ლექსიკური ინტერფერენცია.

ABSTRACT

The present study examines the phenomena of Georgian–Turkish linguistic contacts aThe present study examines Georgian–Turkish linguistic contacts and lexical interference in Adjarian incantations, which represent one of the oldest layers of Georgian folk medicine. As a form of verbal magic, incantations combine naturopathic and magico-religious elements, while their linguistic structure represents an important source for the study of Georgian dialectology and ethnolinguistics. The texts preserved in Adjara reflect centuries of cultural and linguistic interaction between Georgians and Turks, manifested at the linguistic level through lexical borrowing, phonological adaptation, and semantic assimilation.

The empirical basis of the study consists of incantations recorded during a field ethnographic expedition conducted in 2023 in the Chvana Valley. These materials were analyzed through phonological, etymological, and semantic-comparative methods. This methodological framework made it possible to identify the origin, functional role, and integration patterns of Turkish lexemes in the incantations. The analysis revealed that words of Turkish origin occur both in the titles of incantations (*Baskhuni, Dartsnili, Gvejo)* and within textual constructions, where they contribute to magical symbolism and emotional intensity.

The analyzed texts exhibit clear examples of phonological adaptation (*asker → esk'eri, baskın – baskhuni)*, as well as instances of syntactic calquing (*rica etmek → rija uk'ot gvejos)*. Despite the presence of such interference elements, the deeper structure of the incantations – their rhythmic organization and religious-magical layers—remains firmly embedded within the Georgian cultural system.

The findings of the study demonstrate that linguistic contacts in Adjarian incantations do not undermine Georgian tradition; on the contrary, they facilitate its enrichment and transformation. Thus, linguistic and cultural integration in this context may be interpreted as a process of synthesis that confirms the vitality of Georgian folk culture, its capacity for adaptation, and its multilayered ethnolinguistic foundation.

Keywords: Adjarian dialect, incantations, ethnolinguistics, Georgian-Turkish linguistic contact; lexical interference.

შესავალი

ქართული ხალხური მედიცინა ორგანულად აერთიანებს ნატუროფათიურ და მაგიურ-რელიგიურ თეორიებსა და პრაქტიკებს. მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია შელოცვები – ვერბალური მაგიის ფორმა, რომელიც ისტორიულად ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. აჭარაში შემონახულ შელოცვებს განსაკუთრებული ფენომენოლოგიური და ლინგვისტური ღირებულება აქვს, რადგან ისინი ასახავენ როგორც ადგილობრივ ფოლკლორულ მემკვიდრეობას, ასევე, მრავალსაუკუნოვან ქართულ-თურქულ ენობრივ კონტაქტებს.

წინამდებარე კვლევა ემყარება 2023 წელს ჭვანის ხეობაში განხორციელებული საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციის პერიოდში მოპოვებულ მასალას და მიზნად ისახავს აჭარულ შელოცვებში თურქული ლექსიკის ფუნქციური როლისა და ლექსიკური ინტერფერენციის გამოვლენას.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდები ეფუძნება საველე მასალებსა და ინტერვიუებს, მიღებული ტექსტები გაანალიზდა სხვადასხვა მეთოდით; ფონოლოგიური ანალიზის მეთოდით გამოვლინდა თურქული ლექსემების ადაპტაციის თავისებურებები, ეტიმოლოგიური მეთოდით დადგინდა მათი წარმომავლობა და სესხების წყაროები, სემანტიკურ-კომპარატიული მეთოდით კი – მათი ფუნქციური დატვირთვა შელოცვების სტრუქტურაში. აღნიშნული მეთოდები ოპტიმალურია ენობრივი კონტაქტებისა და ლექსიკური ინტერფერენციის სიღრმისეული შესწავლისთვის.

მსჯელობა

ამჯერად განვიხილავთ იმ შელოცვებს რომლებშიც თურქული ლექსიკა გვხვდება. საალალიზო მასალა შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: 1. შელოცვები რომელთა სახელწოდება გვხვდება თურქულად და 2. შელოცვები, რომლებშიც გამოიყენება თურქული ლექსიკა.

1. თურქული სახელწოდების მქონე სამკურნალო შელოცვები: დარცნილი, გვეჯო, ბახსუნი, ხორი.

დარცნილის (ჭვალის, ძარღვის დაჭიმვის) შელოცვა

„წელი ან კისერი რომ შეგეკრება, ძარღვი გეისკვნება, დაიჭიმება ამის ლოცვაა, ჩვენ დარცნილს უძახით: ადამ დიეცა, სისხლი ჩიექცა, ცხრა დეიძახა, ცხრა წყარო წყალი ერთად შეიკრა, პონწკლია ძაღლმა მირქინა, პონწკმა პონწკს მოახტა, ჩახტა ჩანჩქერში, **დაქცნილო** დაბეჭდილო, გახსნილო, გახარებულო, შეგიტყევი“, – ამას ამბობ და თან ზილავ მტკივნეულ ადგილს“ (მურმან ტაკიძე, 82 წლის, სოფ. ჟანივრი).

დარცნილი თურქული წარმომავლობის სიტყვაა: თურქ. dar – „ვიწრო, მჭიდრო“. მაგ.: daralmak – „დაჭიმვა, შეკუმშვა, შეზღუდვა», sinir – ძირითადად ითარგმნება როგორც ნერვი (მემიში 2012), შეიძლება ვთქვათ: dar + sinir („დაჭიმული ნერვი“)-იდან მივიღეთ **დარცინირი -> დარცნირი** და აქედან **დარცნილი.**

ბახსუნის შელოცვა

„იგი იკითხება იმ შემთხვევაში, როცა ბავშვი დადიოდა და ერთხელაც გაიღვიძა და ველარ გაიარა. როგორც ჩვენი რესპონდენტები გვიყვებიან, „როცა კვდარს მიწას მიაბარებენ, იმ მომენტში ბავშვი მწოლიარე არ უნდა ყოფილიყო. თუ ბავშვი წოლიარე იყო, იმ პერიოდში იტყოდნენ: ამის გამო დავარდაო. ამიტომ მიჰყავდათ სასაფლაოზე, სამჯერ ფეხს დაადგმევიებდენ საფლავზე და შეულოცავდნენ, ვითომ გამოვიდოდა ავადმყოფობა. რწმენა იყო ასეთი“ (იური თავდგირიძე, 59 წლის. სოფ. ნაღვარევი).

ტერმინი **ბასხუნი** დასტურდება იმერხეულშიც. მომდინარეობს თურქული სიტყვისაგან Baskin – „თავდასხმა“ (მემიში 2012).

ხორის ლოცვა // ბღერის შელოცვა

ბღერი / მუნი / ქეცი, სამედიცინო ტერმინოლოგიით **სკაბიე** (Scabies) – პარაზიტი, რომელიც იწვევს გამონაყარს, კანის აქერცვლასა და ძლიერ ქავილს.

„აბღვერილო ბღვერია, უსახლკარო შერია, სად ხარ? სად იარები? – ტაფასა, შაქასა თუ ჭალასა, ნუ წამისვამ წამალსა. შენ არ კითხავ წასვლასა“ (იამზე მელიქაძე-ტაკიძე, 47 წლის, სოფ. ჟანივრი).

ხორი ფონეტიკური ვარიანტია თურქული სიტყვისა kuru – „მშრალი“ (მემიში 2012).

2. შელოცვები, რომლებშიც გამოიყენება თურქული ლექსიკა

თვალის ლოცვა

„ალისასა, მალისასა, **შეგირჯულავ** თვალისასა, შინავრისასა, გარევლისა, ათასფერი **ირსნისა**, შვიდი თულლი ქალისა, სამი **თულლი** კაცისა, იგერ მოდის შავი ღელე, იმასა მოაქვს შავი გველი, ჩავყე შავი ყავარჯენი, ამოვიღე შავი გველი, დავჭარი შავტარიანი დანით, ჩავყარე **გაჩდიალებულ** ქოთანში, ვხარშე და **ვაჟრე** (ნელი ხარშვა), ვხარშე და ვაჟრე, გევტაი, გორს, ქარს და ეკალს მივეცი, ვინც არ უშვას ხელი, გედეიაროს მთა, თავი დაკრას ქვას. თვალსა ნაცარი, გულსა ლახვარი, სამი კონა ნემსი, ნემს-მახათა დიესოს გულსა და **გიეშმარითო**. ჩაუკითხავ და გადაუბერავ. თუ ცისფერ წყალს იტყვი, ყველაფერი ცისფერი უნდა თქვა, თუ შავს, მაშინ ყველაფერი შავი უნდა თქვა (იური თავდგირიძე, 59 წლის. სოფ. ნაღვარევი).

ირსანი (თურქ. Insan) – ადამიანი; თული (თურქ. Tür) – ნაირი, სახეობა, ტიპი (მემიში 2012).

ჟრობა, გაჩდიალება, გაძმართვა - ქართულ დიალექტურ ლექსიკას განეკუთვნება:

ვაჟრე /ჟრობა (გურული) - ნელი ხარშვა, მოდუღება კიწმარიშვილი 2016; შარაშიძე 2014);

გაძმართვა (ლეჩხ.) – იგივე გაძმარვა, უეცარი სიკვდილი, მუცელზე გასკდომა (ღლონტი 1974).

გაჩდიალება - ლექსიკონებში არ იძებნება, მაგრამ გაჩხრიალება, აწსუ ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მასალების მიხედვით, ნიშნავს „გასუფთავებას, გაწკრიალებას, რისამე წყლით გარეცხვას“.

გვეჯოს შელოცვა

ამ შელოცვას ზემო აჭარაში ბავშვს უკითხავენ, როცა პატარა ფეხზე ვერ დგება. როცა დაბადებიდან დავარდნილია ,ამ დროს იკითხება

გვეჯოს შელოცვა. ჩვენი რესპონდენტი 47 წლის იამზე მელიქაძე-ტაკიძე სოფელ ჟანივრიდან გვიყვება: „როცა ბავშვს ძვლები განუვითარებელი აქვს და ვერ დგება, ან მრუდე ძვლები აქვს, მაშინ კითხულობენ გვეჯოს შელოცვას. შელოცვა ხდება შვიდ საფეხურებიან ხის კიბეზე, დავარდნილი ვინმემ ხელში უნდა დაიჭიროს. ბავშვის გამოსალოცად საჭიროა: თაფლის სანთელი, შვიდი წყაროს წყალი, სამი გამოყენებული ნემსი, კვირისთავი, სამი ფერის ძაფი, მაკრატელი და თან **რიჯა უყოთ გვეჯოს“**.

რიჯა ვუყოთ ანუ ვთხოვოთ გვეჯოს – კალკირებულია თურქული შედგენილი ზმნიდან: rica etmek, რაც სიტყვასიტყვით თხოვნის გაკეთებას ნიშნავს (მემიში 2012).

გვეჯო / დაგვაჯული (ზ. იმერ.) – პატარა, ჯუჯა ასაკთან შეუფერებელი სიდაბლის მქონე მოზარდი (ღლონტი 1974).

უჟმურის ლოცვა

„იგერ მუა შავი კაცი, მისი შავი ჯოხითა, მის შავი ჩოხითა, მის შავი ესკერითა. აქ არ არის შენი ადგილი, აქ არის თეთრი მამლის ყივილი, იქ არის შენი ადგილი, მომცილდი, წადი აქედან, ჰაით!“ (იამზე მელიქაძე-ტაკიძე, 47 წლის, სოფ. ჟანივრი).

ესკერი (თურქ. Asker) – ჯარი (მემიში 2012).

„ბეწვი ჩაბრუნების“ ლოცვა

„ადაეზო, მადაეზო, ბეწვო, გამოი **ფაჭაზეო, სეირზე** თუ **სამაზეო,** დოლზე თუ ზურნაზეო. თეთრი ხარ, თეთრად გამოდი, წითელი ხარ, წითლად გამოდი, შავი ხარ, შავად გამოდი. გამოდი, გამოეცალე ფაჭაზეო. მამლის ყივილი რომ ვერ მიახწევს, ისეთი ადგილიდან მოტანილი ხის სოკოს გადაბერებულს, მოხარშავთ და შემდეგ წაუსვამთ და თან ვულოცავთ“ (მურმან ტაკიძე, 82 წლის, სოფ. ჟანივრი).

სამა – ცეკვა, როკა დასტურება საბასთან და დიალექტებში (ორბელიანი 1991; ღლონტი 1974).

სეირი (თურქ. Seyir) – თამაში, ხუმრობა, გართობა (მემიში 2012; ნეიმანი 1978).

ქართულში **ფაჭა,** იგივე ფიჭა – დამდნარი ფიჭის ნაძირალი. ამ სიტყვით დასტურდება საბასთან „ცვილის ნაწური“ (ორბელიანი 1991) და დიალექტურ ლექსიკონებში. შდრ. მეგრულში ფაჭა/ფაჭაჭი აღნიშნავს „ქოჩორს, ფაფარს“ (ქაჯაია 2002).

აქედან გამომდინარეფიქრობთ, აჭარული **ფაჭა** უნდა უკავშირდებოდეს მეგრულ **ფაფარს/თმას** და გამოლოცვა: „ბეწვო, გამოი **ფაჭაზეო**“ უნდა ნიშნავდეს: ბეწვო გამოდი თმის სახით.

ჟიჟინაის / გრიპის ლოცვა

„ჟიჟინაი მჭირდა ადვილად. რა მივართვათ სადილად? – ანკალი, მანკალი, შვიდი თაგვის ბარკალი. ჟიჟინაი შევკარ, **შევბახჩირე,** ძაღლის კუდზე გამოვკიდე. ძაღლი ღელეს გავახტუმლე, ჟიჟინაი წყალში ჩავახტუმლე“ (იამზე მელიქაძე-ტაკიძე, 47 წლის, სოფელი ჟანივრი).

ჟიჟინაი (ზ. აჭარ.) – სურდო (ღლონტი 1974).

შევაბახჩირე – ბოხჩა, ფუთა. ჩვენს ვარიანტში შებახჩირება „ბოხჩად შეკვრას, შეფუთვას“ ნიშნავს. ლექსიკონებში დასტურდება მხოლოდ არს.

სახელი – ბოხჩა, იგივე ფუთა. „ზურგზე რაღაც **ბოხჩა** ეკიდა“ (ა. ყაზბეგი – ქეგლ; ნეიმანი 1978). ლექსემა მომდინარეობს თურქული სიტყვისაგან bohça, çıkın – „შეკვრა/ შეკრული“ (მემიში 2012).

სამეურნეო შელოცვები

ნისლის ასაყრელი შელოცვა

„ნისლო, ნისლო, ეიყარე, ცხრამთას იქით გედიყარე, შენი ქალი (ცოლი) ორსული, ტყუპი შვილი ეყოლა, ერთი ლალი, ერთი ქორი, ერთი იმაზე ბეთარი. მალე მიხვალ, მოგირჩება, გვიან მიხვალ, მოგიკვდება, ამინ!“ (მურმან ტაკიძე, 82 წლის,,სოფ. ჟანივრი).

ლალი (თურქ. Lâl) - მუნჯი; მომდინარეობს არაბულიდან: lāl, რომელსაც იყენებდნენ ოსმალურ თურქულში. **ქორი** (თურქ. Kör) – ბრმა; ბეთარი (თურქ. beter) – უარესი (მემიში 2012).

შემლოცველი - ხოჯიები

„ექიმები იყო **ხოჯიები** იყო და **ნუსხაჯები.** ხოჯა გამოულოცებდა, ნუსხაჯები ნუსხას დავაწერიებდით, მუუტანდი და ბაღვს ჩაუდებდი აკვანში, ბაღვს“ (უმიანე მჟავანაძე, 87 წლის, სოფ. ნაღვარევი).

ხოჯა (სპარს. hoca) – მოლა სასულიერო პირი (მემიში 2012).

ნუსხა – ჩქარად აღწერილი (ორბელიანი 1991).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მისი რამდენიმე ვარიანტია:

1. **ნუსხა,** სია, აღწერა; 2. ნუსხა (ნუსხისა) კუთხ. (იმერ. გურ.) – ჯადო, თილისმა. „ნუსხა ჰქონდა ალფესი ელიაძეს, ისეთი რაღაც საშუალება, რომლის შემწეობით ქალები ვერ ახერხებდნენ წინააღდგომოდნენ ამ მატყუარა მაცდურს“ (ჭ. ლომთ.); 3. ნუსხავ-ს კუთხ. (იმერ. გურ.); [მო] ნუსხა, [მოუ]ნუსხავს) , ხიბლავს, აჯადოებს „ მაგრამ მოხუცთა სიდინჯე, რიდი, მნუსხავს, ვით სახე თეთრი მთებისა“ (ქეგლ.).

ნუსხა (თურქ. bölüm, parça, nüsha) – ასლი, ეგზემპლარი, ნუსხა bölüm - ნაწილი, განყოფილება, ეპიზოდი, თავი parça – ნაწილი, ცალი, ფრაგმენტი, ნაჭერი (მემიში 2012) აღნიშნული ლექსიკონის მიხედვით, სამივე სიტყვა რაღაც ტიპის ნაწილს ან ასლს აღნიშნავს, მაგრამ განსხვავებული კონტექსტით.

აჭარულში **ნუსხაჯი** სასულიერო პირი იყო. თუ ავადმყოფს ჯამეში მისვლა არ შეეძლო, ნუსხაჯი ლოცვას დაუწერდა და ავადმყოფის ოჯახის წევრს გაატანდა. ეს დაწერილი ავადმყოფს თავქვეშ უნდა ამოედო და ხალხის რწმენით იგი განიკურნებოდა.

პ.ს: აქვე შევნიშნავთ, რომ რამდენიმე ადგილზე შეგვხვდა შელოცვები თურქულ ენაზეც. ჩაწერილი მასალა გადავამოწმეთ თურქული ენის სპეციალისტთან და აღმოჩნდა, რომ ისინი ყურანის ერთ-ერთ ლოცვას წარმოადგენდა. შესაძლოა, სასულიერო პირის მიერ დაავადებულისთვის წაკითხულ ლოცვას მსმენელი იმახსოვრებდა და შემდეგ თავად უკითხავდა სახლში ავადმყოფს.

დასკვნები

კვლევის შედეგების ანალიზი საშუალებას იძლევა ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დასკვნები:

ლექსიკური ინტერფერენცია: აჭარულ შელოცვებში ქართულ-

თურქული ენობრივი კონტაქტები ვლინდება როგორც სახელწოდებების, ისე შინაარსობრივი ლექსიკის დონეზე.

ფონოლოგიური ადაპტაცია: ხმოვნების ასიმილაცია ქართული ფონოლოგიური სისტემის მიხედვით: თურქ. baskın > ქართ. ბასხუნი; თურქ. asker >ქართ. ესკერი; თურქ. insan > ქართ. ირსანი.

სინტაქსური რეფერენციაცია: „რიჯა უყოთ გვეჯოს» კალკირებულია თურქული rica etmek-დან „ვთხოვოთ გვეჯოს».

კულტურული ასიმილაცია: თურქული წარმოშობის ტერმინები ღრმადაა ინტეგრირებული ლოკალურ ხალხურ სამედიცინო ტრადიციაში.

ენობრივი მდგრადობა: ისტორიული ენობრივი კონტაქტების მიუხედავად, შელოცვების ძირითადი სტრუქტურა და ფუნქცია ქართულ ტრადიციას ემყარება.

რეგიონული სპეციფიკა: აჭარული შელოცვები ასახავს ამ რეგიონის ენობრივი და კულტურული კონტაქტების თავისებურებებს.

კვლევა ადასტურებს, რომ ენობრივი კონტაქტები არ იწვევს კულტურული ტრადიციის დაკარგვას, არამედ მდიდრდება ახალი ელემენტებით, რაც ქართული ხალხური კულტურის ადაპტირების უნარის დასტურია.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

კიწმარიშვილი 2016: კიწმარიშვილი ნ., დაუცხრომელთა სამყოფელი. გურია / თბილისი. გამომც. „ნიკოლოზ კიწმარიშვილი“.

მემიში 2012: ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონი = Gurcuce-Turkce Ve Turkce-Gurcuce / შემდგ. ორჰან მემიში; რედ. ფათიჰ მაჰმეთ საინი; წინასიტყვ. თემურ ჯაგოდნიშვილი, თბილისი. შზსუ-ს გამოცემა.

ნეიმანი 1978: ნეიმანი ალ., ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. მე-3 გამოცემა. თბილისი. გამომც. „განათლება“.

ორბელიანი 1991: ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული. თბილისი. გამომც. „მერანი“.

ფუტკარაძე 2016: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, II. ბათუმი. გამომც. „აჭარა“.

ქაჯაია 2002: ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III. თბილისი. გამომც. „ნეკერი“.

ქეგლ: ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი https://www.ena.ge/explanatory-online დამოწმება: 25.12.2025.

ღლონტი 1974: ღლონტი ა., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. წ. 1, 2. თბილისი. გამომც. „განათლება“.

შარაშიძე 2014: შარაშიძე გ., გურული ლექსიკონი: პუბლიკაციები გურიის სულიერი და მატერიალური კულტურის ისტორიიდან. გამომცემელი და რედაქტორი ილია თავბერიძე. თბილისი.. გამომც. „გურიის სიძველეთა კვლევის ცენტრი“.

References and Sources

Glonti 1974: Glonti, A., The Core of Georgian Idioms, Vols. 1–2. Tbilisi. Publishing House “Ganatleba“.

Kajaia 2002: Kajaia O., Mingrelian-Georgian Dictionary [Megrul-Kartuli Leksikoni]. Tbilisi, III.. Publishing House “Nekeri“.

Kitsmarishvili 2016: Kitsmarishvili N., Dautskhromelta samkhoeli [The Abode of the Restless]. Guria/Tbilisi. Publishing House “Nikoloz Kitsmarishvili“.

KEGL: Explanatory Dictionary of the Georgian Language https://www.ena.ge/explanatoryonline 25.12.2025.

Memishi 2012: Memishi O., Georgian-Turkish and Turkish-Georgian Dictionary [Gurcuce-Turkce ve Turkce-Gurcuce] (F. Mahmet Saini, Ed.; T. Jagodnishvili, Pref.). Tbilisi. ShZSU Publication.

Neiman 1978: Neiman A., Lexicon of Georgian Synonyms [Kartul Sinonimta Leksikoni] (3rd ed.). Tbilisi. Publishing House “Ganatleba“.

Orbeliani 1991: Orbeliani S.-S., Lexicon Georgian [Leksikoni Kartuli]. Tbilisi. Publishing House “Merani“.

Putkaradze 2016: Putkaradze Sh., Chveneburebis Kartuli [Georgian of Our People]. II, Batumi. Publishing House “Achara“.

Sharashidze 2014: Sharashidze G.,Gurian Lexicon: Publications from the History of Guria’s Spiritual and Material Culture [Guruli Leksikoni: Publikatsiebi Guriis Sulieri da Materiuli Kulturis Istoriidan] (I. Tavberidze, Ed.). Tbilisi. Publishing House “Guria Antiquities Research Center“.

ავტორთა მონაცემები
CONTRIBUTORS

ფატი აბაშიძე – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი
Pati Abashidze – Batumi Shota Rustaveli State University, Researcher of Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute, PhD of philology
: +995 555 51 23 78
pati.abashidze@bsu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0009-0005-9995-5716

ნანა აბულაძე – დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი, ისტორიის დოქტორი
Nana Abuladze – Zugdidi Dadiani Palaces Historical and Architectural Museum.
Doctor of philology
: +995 574 18 18 84
abuladze777@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0009-0009-2419-0770

ფერიდე აფაქიძე – დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ფონდის მცველი
Peride Apakidze – Zugdidi Dadiani Palaces Historical and Architectural Museum.
.: +995 557 289 277
apakidzeferide@gmail,com
ORCID: https://orcid.org/0009-0003-4452-4666

ციალა ბენდელიანი – ფილოლოგიის დოქტორი, ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახახულევის საჯარო სკოლის პედაგოგი, ხონის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის თანამშრომელი
Tsiala Bendeliani – Doctor of Philology, Public School of the Village of Nakhakhulevi, Khoni Municipality; Khoni Center for Students and Youth
+995 593 54 25 24
ciala.bendeliani@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0009-0007-3465-6728

გოდერძი ბოლქვაძე – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, თბილისის თავისუფალი სკოლის ისტორიის მასწავლებელი
Goderdzi Bolkvadze – Sokhumi State University, PHD Student; History teacher of the Tbilisi Free School
+ 995 577 39 51 64
: God.bolkvadze@gmail.com
ORCID: **https://orcid.org/**0009-0008-2216-5099

კესო გეჯუა – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ქართველოლოგიის ცენტრის ასოცირებული მკვლევარი, ფილოლოგიის დოქტორი
Keso Gejua – Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia, Kartvelology Centre, Associate Researcher, Doctor of Philology
995 557 706 705
keso.gejua90@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0000-0002-0004-9627

თეა გიგიტაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის დოქტორანტი
Tea Gigitashvili – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Institute Of Caucasology, PhD student
+995 577 97 32 09
tea.gigitashvili@hum.tsu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0009-0001-5607-0396

თამარ გოგოლაძე – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი
Tamar Gogoladze – Gori State University, Professor, Doctor of Philology
:+995 577 25 12 72
tamilagogoladze@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0000-0003-0450-2924

ქეთევან გოდერძიშვილი – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევარი ფაზისის აკადემიის წევრი, ფილოლოგიის დოქტორი
Ketevan Goderdzishvili – Researcher at Ilia State University Member of Fazis Academy, doctor of philology
+995 595 22 76 80
k.goderdzishvili@yahoo.com
ORCID: https://orcid.org/0000-0002-2095-910X

ნატალია გულუა – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი
Natalia Gulua _Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Doctor of Philology.
+995 595 50 83 37; 571 21 35 69
Tamila.Lomtatidze@bsu.rdu.ge
ORCID: https://orcid.org/0000-0001-6163-5876

თენგიზ გუმბერიძე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი
Tengiz Gumberidze – Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Doctor of Philology
+995 599 26 39 50
Gumberidze.tengizi@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0009-0005-3069-0174

ეკა დადიანი – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფ. ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი
Eka Dadiani – Akaki Tsereteli State University. Associate Professor, Doctor of Philology. Head of the Scientific-Research Center of Kartvelology named after Professor Tariel Putkaradze
+995 598 10 14 72.
dadianiekaa@gmail.com; eka.dadiani@atsu.edu.ge.
ORCID: hhttps://orcid.org/0009-0005-8231-5552

მარიკა თედორაძე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი
Marika Tedoradze – Akaki Tsereteli State University, Assistant Professor, Doctor of Philology
+995 577 66 86 03
maritedoradze@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0009-0006-8310-7488

ზეინაბ კიკვიძე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი
Zeinab Kikvidze – Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Doctor of Philology
+995 595 59 11 90
zeikik@yahoo.com
ORCID: https://orcid.org/0009-0002-8589-4201

ნესტან კუტივაძე– აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი
Tsiala Narakidze – Akaki Tsereteli State University, Professor, Doctor of Philology
:+995 577 13 18 55
nestan.kutivadze@atsu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0000-0001-8419-6976

თამარ ნინიძე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი
Tamar Ninidze– Akaki Tsereteli State University, Assistant Professor, Doctor of Philology
+995 595 09 78 07
tamar.ninidze@atsu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0009-0008-6217-5419

ნიკოლოზ ოთინაშვილი– გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასისტენტი პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი
Nikoloz Otinashvili –Akaki Gori State University, Assistant Professor, Doctor of Philology
+995 599 32 22 10
nikolozotinashvili873@gmail.com

მედეა რიჟვაძე – საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის დოქტორი
Medea Rijvadze– Georgian Patriarchate St. Tbel Abuseridze Teaching University, Doctor of Philology
: +995 593 39 14 07
Deamedea70@gmail. Com
ORCID: https://orcid.org/0009-0001-0116-1338

ირმა რუსაძე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი
Irma Rusadze– Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Doctor of Philology.
: +995 577 66 84 65
irmarusadze@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0009-0003-8391-0623

რუსუდან საღინაძე– აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი
Rusudan Saginadze – Akaki Tsereteli State Univeristy, Professor, Doctor of Philology
+995 577 72 74 28
r_saginadze@yahoo.com
ORCID: https://orcid.org/0000-0001-9230-0243

სოსლან სურმანიძე – საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი
Soslan Surmanidze – Associate Professor of the Georgian Patriarchate St. Tbel Abuseridze University, Doctor of Philology.
: +995 591 71 94 93
:surmanidzesoso@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0009-0000-4220-6291

ჟუჟუნა ფეიქრიშვილი – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ემერიტუსი პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი
Zhuzhuna Peikrishvili – Akaki Tsereteli State University, Emeritus Professor, Doctor of Philology
+995 593 61 30 14
tamar.jujuna.feiqrishvili@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0009-0000-9725-1233

შორენა ფხაკაძე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
Shorena Pkhakadze – Akaki Tsereteli State University, Assistant Professor, PhD in Art History
+995 555 555 759 741
shorena.pkhakadze1@atsu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0009-0000-7242-074X

გიგა ქამუშაძე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი
Giga Kamushadzei – Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Doctor of Philology.
+ 995 593 60 13 88
rgiga.kamushadze@atsu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0000-0003-2206-5537

კახაბერ ქებულაძე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი
Kakhaber Kebuladze – Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Doctor of History
+995 577 28 28 41
k.kebuladze@gmail.com
ORCID: https://ofcid.org/0009-0004-1498-698X

იოსებ შენგელია – დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი, ისტორიის დოქტორი
Ioseb Shengelia – Zugdidi Dadiani Palaces History and Architectural Museum, Doctor of History
+995 598 12 08 33
iosebshengelia94@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0009-0008-5266-0752

მირანდა ჭანკვეტაძე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი
Miranda Tchankvetadze – Akaki Tsereteli State University, Assistant Professor, Doctor of Philology
+ 995 593 60 13 88
giga.kamushadze@atsu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0000-0003-2206-5537

მზისადარ ჭაფანძე – დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი
Mzisadar Chapandze – Zugdidi Dadiani Palaces History and Architectural Museum
+995 593 31 96 70
mzisa.chapandze69@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0009-0002-7467-8298

მაგდა ჩიქაბერიძე _ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი
Magda Chikaberidze – Georgian Technical University, Associate Professor, Doctor of philology
+995 555 34 25 53
mchikaberidze@gmail. Com
ORCID https://orcid.org/0009-0008-7406-1304

მანანა ჭიჭინაძე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის დოქტორი
Manana Chichinadze – Akaki Tsereteli State University, Doctor of Philology.
:+995 599 74 00 86
mananachichi77@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0009-0008-8953-3669

სოფიკო ჭუმბურიძე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის დოქტორი
Sofiko Chumburidze – Akaki Tsereteli State University, Doctor of Philology
:+995 555 27 64 58
Chumburidze.sofikoo@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0009-0000-4735-9078

ლუიზა ხაჭაპურიძე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; ფილოლოგიის დოქტორი
Luiza Khachapuridze _ Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Doctor of Philology
+995 577 66 86 01
Luiza.khachapuridze@atsu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/00000-0002-1991-2005

მანანა ხვინგია – სოხუმის უნივერსიტეტის დოქტორანტი
Manana Chvingia – Sokhumi State University, PHD Student
+995 577 17 50 07
mananakhvingia@gmail.com
ORCID https://orcid.org/0009-0008-5660-1928

ტექნიკური რედაქტორი: **მალხაზ დოგრაშვილი**
კორექტურა: **თინათინ მილორავა**
თეონა მაჭავარიანი

კრებული გამოსაცემად მომზადდა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებულ
პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სახელობის
ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში